მცირე ტიპები

ალმანახი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
2 გადაწყვეტილებები

2

მცირე შედევრები

ალმანახი

II

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2011

UDC (უაკ) 32+327
პ-563

გ. ჭუმბურიძისა და ზ. ჭილაძის რედაქციით

გარეკანი: ნანუკა ჭილაძე

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

დაიბეჭდა საქართველოში, თბილისში
გამომცემლობა „საქართველოს უნივერსიტეტი"
Copyright © The University of Georgia
საავტორო უფლებები დაცულია © 2010 გამომცემლობა „საქართველოს უნივერსიტეტი"
ISSN 1512-2557

სარჩევი

წინათქმის მაგიერ:
'ასე რომ დაუკრა, ათი წელი მაინც უნდა სწავლობდე...' 5
რომანები
პატრიკ ზიუსკინდი – ნელსურნელება 9
ამონარიდები
პოლ ჯონსონი – "*შერეკილი, მაგრამ – საინტერესოდ...*" 182
ნოველები
მოთხრობები
გიიომ აპოლინერი – მეზღვაური ამსტერდამიდან 211
ართურ კონან დოილი – კარამაზოვების საქმე 217
უილიამ ფოლკნერი – ბოლი 229
ელიგ ზანდერ ა. მილნი – ჭიქა ღვინო 257
პიესები
ჯონ ბოიტონ პრისტლი – 31 ივნისი 272
ეს ე რთი და… 361
თინათინ თოფურია – წითელი წიგნი ანუ the things you let go..... 364
პოეზია
Ad Memoriam: იოსიფ ბროდსკი & ვახუშტი კოტეტიშვილი
ორი საათი რეზერვუარში 385
საჩვენო ზღაპრები
"სამართალმა პური ჭამა..." ანუ გუბერნატორი კომბლე 392
ნაცარქექია ინტერნეტში 398
კბილის გასაკრავი
თარგმანი თუ გრანტიყლაპიობა? 407
საჯოლდაო ქვად . . .
Valeri Chkadua:
HOW NOT TO BE AN ALIEN
(Jelter-Skelter Mythstories of Georgia) 411



წინათქმის მაგიერ

'ასე რომ დაუკრა, ათი წელი მაინც უნდა სწავლობდე...'

(ერთი ძველისძველი კინოფილმიდან)

საოცარი ნეოლოგიზმი მახსოვს, ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი — "საკითხავი წიგნი"...

'საკითხავი რამე ისეთი არაფერი გაქ?' — და იგულისხმებოდა რაიმე გასართობი, იოლად საკითხავი – თითქოსდა ტვინმისატანებელი უცილობლად ტვინსაჭყლეტიც უნდა ყოფილიყო, მსუბუქი საკითხავი კი — გადაღლილ გონებაზე საფურცლავი ლაყე ლიტერატურა.

ის ლოზუნგიც მახსენდება — პარტიამ რომ ერთადერთი რამ აუკრძალა საბჭოთა მწერლებს — ცუდად წერა...

კარგად წერა არც ისე ძნელია, ოღონდ ერთი ათი წელი მაინც უნდა ისწავლო.

"მე ლექსს არა ვწერ, ლექსი თვითონ მწერს..."

"ყველა ხევსური ვიცი, დანტეა..."

"ქართველი პოეტი 2-ჯერ პოეტია..."

"საზოგადოდ, გალაკტიონის დონის პოეტს ჯერ ფეხი არ დაუდგამს დედამიწაზე..."

"არა უშავს, პოეზიაა, გაიტანს..."

არა-ა, ასე ვერაფერს ისწავლი.

უ-უდიდესი ლიტერატურა გვაქვს, რაღა თქმა უნდა, უბრალოდ — პატარა ერი ვართ და არავინ გვიცნობს; აი, რომ გაგვიცნობენ...

მითოლოგიზირებაა ეს, სხვა არაფერი.

ყველა ყველას იცნობს, როცა ამის სურვილი უჩნდება: სერბ პავიჩს, პაკისტანელ რუშდის, კოლუმბიელ მარკესს, ინდოელ ვიკრამ სეთს, თურქ ორჰან პამუკს... ნეტა საიდან? და თარგმნიან, თარგმნიან, თარგმნიან!.. ნეტა რატო? გვიკვირს — ხალხს ფული არა აქ, ქართულად თარგმნილ საკითხავს ცოტას ყიდულობს, დახლები კი სავსეა ორ-სამჯერ უფრო ძვირი რუსული წიგნით და იყიდება, იყიდება...

ოღონდ ქართული ძნიად გადის — სახელი გატეხილი აქვს, და არც ქართულად გახმოვანებულ ფილმებზეა დიდი მოთხოვნა — მათი ტოპ-ათეულიდან $8^{1/2}$ ისეა თარგმნილი, კიდევ კარგი რომ ქართულის ხაბარს არ არიან, თორემ დე ნირო გინდა, ალ პაჩინო, ჯეკ ნიკოლსონი თუ ასე გასინჯეთ, სილვესტერ სტალონეც კი გვიჩივლებდნენ — იდიოტებად რატო გამოგყევართო!

და რა აზომ-აწონვა ამას უნდა: თუ სახელგანთქმული ესპანურენოვანი მწერლის, რომელიც რაღაცა მანქანებით ვერაფრით მოხვდა ნობელიანტთა სიაში (ბორხესს ვგულისხმობ) ნოველები რეზო მიშველაძისას არა სჯობია, ნობელიანტ მარკესის "გაცხადებული მკვლელობის ქრონიკა" — "სამოსელ პირველს" ან თუნდაც მარიო პიუზოს "ნათლია" (და არა *ნათლიმამა!*) "დათა თუთაშხიას" — ცუდად ყოფილა მთარგმნელის საქმე; ხოლო თუ მიქელანჯელოს, შექსპირისა და ემილი დიკინსონის სონეტები — შესაბამისად, მ. მაჭავარიანის, ბესიკ ხარანაულისა და ლია სტურუას ლექსებს, ე.ი. აქ მოსკოვის ამრევი ხელი ურევია! და როცა აკა მორჩილაძის "გადაფრენა" 10 თავით მაღლა დგას პატრიკ ზიუსკინდის "სუნამოზე", ქართულ ენას კი არა აქვს ბატონებო პრობლემები — ენის მოხმარების პრობლემა გვქონია, ეგაა და ეგ. ბოლო-ბოლო, ამის მაგალითად შექსპირის მრავალთნაქები ქართული თარგმანების მოხმობაც საკმარისი იქნებოდა — იგივე რობერტ სტურუას სულაც გამარტივებული პროზაული ტექსტის დაკვეთა დასჭირდა...

ზოგადად, ხომ ცხადზე-ცხადია — ტომას სტერნზ ელიოტი, ქართულად ნათარგმანები, ჩვენი პოეტ-ლაურეატების ნებისმიერ კრებულს უცილობლად უნდა აღემატებოდეს, და იმ სახელგავარდნილი პოსტ- თუ პრე- მოდერნისტის ლექსები, რომლის კითხვით მიღმა ქვეყნების ინტელექტუალური ელიტა თურმე კითხვით ვერა ძღება — კოტე ყუბანეიშვილის ოპუსებზე ნაკლებ "საკაიფო" არ უნდა იყოს... ვითომ, ბევრს ვითხოვ?!

ესეცა ვთქვათ — თუ იცის ვინმემ, გინესის წიგნში რომ ვართ შესატანი ე.ა. პოს "ყორანის" თარგმანთა რაოდენობის მხრივ?! ჯერ კიდევ იმ საუკუნის მიწურულს, 41-ე ვარიანტი ჩამივარდა ხელში... და რა მერე? ახსოვს ვინმეს რომელიმე?

ეგრეა, შუმერი მკვდარია, ჩეჩენი — ცოცხალი; ჩვენ — ვართ რა... ერთმანეთის ქება-განქიქებაში.

თარგმნა ხელოვნება კი არა, *ხელობაა;* ხელოსანს კიდე, რომ დაოსტატდე, 10 წელი მაინც გინდა.

მე კიდე იმის თქმა მინდა, ყველა თუ თავის ნავში ჩაჯდა, იქნება სახლის გზაც გამოჩნდეს...

ეგაა, მაგისთვის კიდევ ბევრი 10 წელია საჭირო.

ვ.ჭ.

რომანები



ნელსურნელება

(მავანი მკვლელის ამბავი)

კარი I

1.

მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში ცხოვრობდა კაცი, ვინაც იმ დროის უსასიზღრეს და უაღმატებულეს პიროვნებებს განეკუთვნებოდა, ანუ — იმ ხანისა, ასე მდიდარი რომ გახლდათ აღმატებული და საზიზღარი პიროვნებებით. სახელად ჟან-ბატისტ გრენუი ერქვა და თუ ეს სახელი – დე სადის, სენ-ჟიუსტის, ფუშეს, ნაპოლეონისა და სხვა გენიალური ურჩხულებისაგან განსხვავებით — მივიწყებულია, მივიწყებულია არა იმიტომ, თითქოს იგი წყვდიადის ამ სახელგანთქმულ ნაშიერებს ჩამორჩებოდა ქედმაღლობაში, ადამიანის სიძულვილში, გარყვნილებაში... მოკლედ – უღმერთობაში, არამედ იმის გამო, რომ მისი გენიალობა და უკიდეგანო პატივმოყვარეობა იმგვარი სფეროთი შემოიფარგლა, რომელიც ისტორიაში კვალს არ ტოვებს, კერძოდ – სურნელთა ქროლვადი სამეფოთი.

იმ დროის ქალაქებში ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისთვის წარმოუდგენელი სიმყრალე იდგა: ქუჩები ყარდა ნეხვით, ეზოები ყარდა შარდით, კიბეები — დამპალი ხითა და ვირთხის ცურცლით, სამზარეულოები – უვარგისი ქვანახშირითა და ცხვრის ქონით; ფენა-ფენა მტვრით ყარდა გაუნიავებელი სადარბაზო ოთახები, საძინებლები – ჭუჭყიანი თეთრეულით, ნესტიანი ბუმბულითა და ღამის ქოთნების მომწარო-მოტკბო ანაორთქლით; ბუხრებიდან მწვრის სუნი მოედინებოდა, სათრიმლავი სახელოსნოებიდან – მტუტის სიმყრალის, სასაკლაოებიდან – გამოშვებული სისხლის. ადამიანები ოფლითა და გაურეცხავი თეთრეულით ყარდნენ; პირიდან დამპალი კბილების სუნი ამოსდიოდათ, სტომაქებიდან – ხახვის წვენის, ხოლო სიბერეში მათ სხეულებს ობიანი ყველის, ამჟავებული რძისა და ავადმყოფური სიმსივნეების სიმყრალე სდიოდა. ყარდა მდინარეები, ყარდა მოედნები, ეკლესიებიც ყარდა. ყარდა ხიდების ქვეშ და სასახლეებში. მყრალი სურნელი ასდიოდათ

გლეხებსა და ღვთისმსახურებს, ხელოსნების შეგირდებსა და ხელოსნების ცოლებს. ყარდა თავადაზნაურობა და თვით მეფეც კი ყარდა – მტაცებელი ნადირის ყროლით, ხოლო დედოფალი — ზაფხულშიცა და ზამთარშიც – ბებერი თხისა. იმხანად ბაქტერიების გამხრწნელ აქტიურობას წინ არავითარი დაბრკოლება არ ედობებოდა და ამიტომაც ადამიანის ყოველგვარ საქმიანობას, როგორც შემოქმედებითს, ისე დამანგრეველს, სიცოცხლის ჩასახვისა თუ ქრობის ყოველგვარ გამოვლინებას — სიმყრალე ახლდა.

თავისთავად იგულისხმება, რომ პარიზში ყველაზე დიდი სიმყრალე იდგა, ვინაიდან საფრანგეთის უდიდესი ქალაქი სწორედ პარიზი გახლდათ, ხოლო ო'ფერისა და ფერონრის ქუჩებს შორის მოქცეულ ერთ ალაგს „უმანკო გვემილთა სასაფლაო" ერქვა და აი იქ მართლაც რომ ჯოჯოხეთურად ყარდა. მთელი რვაასი წლის განმავლობაში სწორედ აქ ეზიდებოდნენ მიცვალებულებს ოტელ-დიედან და სხვა ახლომდებარე სამწყსოებიდან; რვაასი წლის განმავლობაში ჯგროდ მოჰქონდათ ისინი საზიდრებით და გრძელ ორმოებში ყრიდნენ; რვაასი წლის განმავლობაში აწყობდნენ მათ ფენებად, ჩონჩხი ჩონჩხთან, საძმო საფლავებში და საოჯახო სამარხებში. მხოლოდ მოგვიანებით, ზედ საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინა დღეებში, მას შემდეგ რაც საფლავების ნაწილი ჩამოიშალა, ხოლო სიმყრალემ გარეშემო მაცხოვრებლები აიძულა არათუ ხმა ამოეღოთ, არამედ უკვე ნამდვილი ჯანყისათვის მიემართნათ, სასაფლაო დახურეს, მილიონობით ძვლები და თავის ქალები მონმარტრის კატაკომბებში ჩაყარეს და იმ ადგილას ბაზარი გამართეს. სწორედ აქ, სამეფოს უმყრალეს ადგილას, 1738 წლის 17 ივლისს, ქვეყნიერებას მოევლინა ჟან-ბატისტ გრენუი. ეს წელიწადის ერთ-ერთ ყველაზე მცხუნვარე დღეს მოხდა; ხვატი ტყვიასავით ეფინა სასაფლაოზე და მეზობელ ჩიხებში დამპალი საზამთროსა თუ დამწვარი რქის სუნით გაჟღენთილ ხრწნილის ბუღს მიადინებდა. გრენუის დედა, როდესაც შეტევები დაეწყო, ოფერის ქუჩაზე, თევზის დახლთან იდგა და სათლიდან ამოღებულ ქორჭილებს წელავდა. სენაში ვითომდა იმავე დილით დაჭერილი თევზი უკვე სათლშივე ისე ყარდა, ჯერ კიდევ შემორჩენილ გვამების სუნსაც ახშობდა. ოღონდაც გრენუის დედა საერთოდ ვერ გრძნობდა ვერც თევზისა და ვერც გვამის სუნს, რადგანაც საოცრად დაჩლუნგებული ჰქონდა ყნოსვა. გარდა ამისა, შიგანიც სტკიოდა და ტკივილი უგრძნობელს ხდიდა გარეშე გამაღიზიანებლების მიმართ. მხოლოდ ერთი რამ სურდა – ტკივილი შემწყდარიყო და ეს საზიზღარი მშობიარობაც, მისთვის უკვე რიგით მეხუთე, წარსულს მიბარებოდა... მანამდელებსაც აქვე, თევზის დახლთან გაუსწორდა: ყველა ბავშვი მკვდარი, ან ცოცხალ-მკვდარი დაიბადა, რადგან მისგანვე გამომძვრალი სისხლიანი ნაყოფი არაფრით განსხვავებდებოდა თევზის შიგნეულისაგან, რომელიც მის გარშემო ეყარა და არც მასზე დიდხანს ატანდა – საღამოს, ყველაფერს ერთად, ნიჩბით მოხვეტავდნენ ხოლმე და საზიდრებით გადაჰქონდათ ან სასაფლაოზე, ან დაბლა, მდინარის პირას. ასევე უნდა მომხდარიყო დღესაც და ქალბატონი გრენუი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი (ზუსტად იმ ხანებში შეუსრულდა 25 წელი), ჯერაც საკმაოდ კარგი შესახედავი, შენარჩუნებული რომ ჰქონდა თითქმის ყველა კბილი პირში და საკმაო თმა თავზე, და ნიკრისის ქარის, და ათაშანგის, და მსუბუქი თავბრუსხვევების გარდა სერიოზული ავადობა არა სჭირდა რა, ჯერ კიდევ

რომ იმედოვნებდა დიდი ხნის სიცოცხლეს – ხუთი, ან შეიძლება ათი წელიც კი – და არც ის მიაჩნდა გამორიცხულად, რომ გათხოვდებოდა და ნაქვრივალი, ხელოსნის პატივცემული მეუღლის სახელით ბავშვებს გააჩენდა... ქალბატონ გრენუის ალალად სურდა, ყველაფერი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო. როდესაც შეტევები გაუძლიერდა, შეძვრა თევზის გამოსაწელავი მაგიდის ქვეშ (სადაც ადრე უკვე ოთხჯერ მოილოგინა), იმშობიარა და ახლადდაბადებული არსების ჭიპლარი თევზისავე ასაქნელი დანით გადაჭრა. ოღონდაც, შემდგომ, სიცხისა და სიმყრალის გამოისობით, რასაც აღიქვამდა არა როგორც თავისთავად სიცხესა და სიმყრალეს, არამედ როგორც რასმე აუტანელს, გამაბრუებელს, მწველს – როგორც შროშანებით გადაპენტილ ველს, როგორც ნარგიზებით გამოტენილ ვიწრო ოთახს – გრძნობა დაკარგა, გვერდზე გადაწვა, მაგიდის ქვეშიდან გადმოგორდა და ზედ შუა ქუჩაში აღმოჩნდა, დანით ხელში...

ატყდა ერთი ყაყანი და ვაი-ვიში, უსაქმურების ბრბო გარს შემოერტყა სხეულს და პოლიციაც იქვე გაჩნდა.

ეკითხებიან – რა გჭირს?

– არაფერი!

– რისთვის დაგჭირდა ეგ დანა?

– არაფრისთვის!

– საიდანაა სისხლი კაბაზე?

– თევზისაა!..

ქალი დგება, დანას მოისვრის და განსაბანად მიდის...

უცაბედად, ჩვილი ტირილს იწყებს. მაგიდის ქვეშ, ბუზების ზუზუნში, თევზეულობის შიგნეულობასა და თავებს შორის ახალშობილს პოულობენ და გამოათრევენ ღვთის სინათლესა და ხალხის სამსჯავროზე. პოლიცია რომელიღაც მეძუძურს აბარებს ბავშვს, ხოლო დედას აპატიმრებენ. ვინაიდან ქალი არაფერს უარყოფს და ზედმეტი მიეთ-მოეთის გარეშე აღიარებს, რომ ამ ნაბიჭვრის სადმე მიტოვებას ეპირებოდა, რათა შიმშილით ამოსძრობოდა სული და მსგავსი რამ უკვე ოთხგზის ჰქონია თურმე ჩადენილი, მას სასამართლოს გადასცემენ, ბევრჯერად ბავშვთაკვლაში სცნობენ ბრალეულად და კვირის სწორს, გრევის მოედანზე, თავს კვეთენ.

ამ დროისათვის, ჩვილმა უკვე რამდენიმე ძიძა გამოიცვალა — არცერთი მათგანი არ თანხმდებოდა ორ დღეზე მეტ ხანს გაეჩერებინა თავისთან. ქალები ჩიოდნენ—ძალიან ხარბია, ორის ულუფას სწოვს, უხსენოდ ტოვებს სხვა ძუძუმწოვრებს და ამით თავად ჩვენ საარსებო წყაროს გვისპობსო. მართლაცდა, ერთადერთი ბავშვის კვება განა, რა სარფას მოიტანს!.. პოლიციის ოფიცერმაც, რომლის მოვალეობაში შედიოდა კიდეც ობლებისა და მიგდებულების ზედამხედველობა — ვინმე ლაფოსმა, მალე დაკარგა მოთმი-

ნება და სენ-ანტუანის ქუჩაზე მდებარე თავშესაფარში გადაწყვიტა მისი წაყვანა, საიდანაც უპატრონო ჩვილებს უკვე რუანში, სახელმწიფო ინტერნატში აგზავნიდნენ ყოველდღე; მაგრამ ვინაიდან ბავშვების ტრანსპორტირება ფეხოსანი მებარგულების მეშვეობით ხდებოდა, ლაფანის ყუთებით, რომლებშიაც ეკონომიის მიზნით ოთხ-ოთხ მათგანს სვამდნენ, და ვინაიდან ამის გამო სიკვდილიანობის პროცენტი ძლიერ მატულობდა, და ვინაიდან მებარგულები, ამავე მიზეზთა გამო მხოლოდ მონათლული ბავშვების წაყვანას ყაბულდებოდნენ და ისიც შევსებული საგზაო ფურცლის თანხლებით, რომელზედაც რუანში, ბავშვის ჩაბარების შემდეგ, ბეჭედს უსვამდნენ, და ვინაიდან გრენუის იმდროისათვის არც ნათლობა მიუღია და არც სახელი, რომლის შეტანაც საგზაო ფურცელში იქნებოდა შესაძლებელი, და ვინაიდან პოლიციის მხრიდან უხერხული იქნებოდა მოუნათლავი და უსახელო ბავშვის შესაკრები პუნქტის კარებთან ჩამოსმა, რაც სიძნელეების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება გახლდათ... და რადგანაც, ამასთანავე, ზოგიერთი სხვა ბიუროკრატიული ხასიათის სიძნელეებიც წარმოიშვა და თან დროც არ ითმენდა, პოლიციის ოფიცერმა ლაფოსმა თავდაპირველ განზრახვაზე ხელი აიღო და ბრძანება გასცა – ბავშვი, ხელწერილით, რომელიმე სასულიერო დაწესებულებაში ჩაბარებინათ, რათა იქ მოენათლათ და მის შემდგომ ბედზეც ეზრუნათ. ჰოდა, გრენუიც სენ-მარტენის ქუჩაზე მდებარე სენ-მერის მონასტერს მიაბარეს.

სახელად ჟან-ბატისტი დაანათლეს. ვინაიდან მონასტრის წინამძღვარი იმ დღეს რიგიან ხასიათზე გახლდათ და საქველმოქმედო ხარჯებიც ჯერ კიდევ სრულად არ ამოეწურა, ბავშვი აღარ გადააგზავნეს რუანში – გადაწყვიტეს, მონასტრის ხარჯით აღეზარდათ. ამ მიზნით გადასცეს იგი სენ-დენის ქუჩაზე მცხოვრებ ჟანა ბიუსის, რომელსაც, საწყის ფასად, კვირაში სამი ფრანკი შესთავაზეს გაწეული მომსახურებისათვის.

2.

რამდენიმე კვირის შემდგომ, მოწნული კალათით ხელში, ჟანა ბიუსი მონასტრის კართან აიტუზა და მამა ტერიეს — მელოტ, ორმოცდაათიოდე წლის ბერს, ოდნავ ნაკბენი ღვინის სუნი რომ სდევდა მუდამ, განუცხადა: *აგერა, ბატონო* – და კალათი ზღურბლზე დადგა.

– რაა ეს? – იკითხა ტერიემ, დაიხარა და კალათი დაყნოსა იმ იმედით, შიგ რაღაც სასუსნავს აღმოაჩენდა.

– ო’ფერელი ბავშვთამკვლელის ნაბუშარი!

მამა ტერიემ ხელები მოაფათურა კალათში და ბავშვს სახეზე გადახადა.

– მშვენივრად გამოიყურება. ვარდისფერია და პუტკუნა...

– იმიტომა რომ მე შემხეთქა, ძირამდე გამომწოვა! ოღონდ ეხლა კი მეყო, ეხლა უკვე თხის რძეც შეგიძლიათ აჭამოთ, ფაფაც, თალგამის წვენიც... ყველაფერს ხეთქავს ეგ ნაბუშარი...

მამა ტერიეს, ამ მეტად დამყოლი კაცის მთავარი სამსახურეობრივი მოვალეობა მონასტრის საქველმოქმედო ფონდის მართვა იყო. იგი ურიგებდა ფულს ღარიბებსა და უქონელთ და მოელოდა, რომ ამისათვის მადლობას ეტყოდნენ და სხვა საქმეებით მაინც აღარ დატვირთავდნენ. წვრილმანები არ სიამოვნებდა, ვინაიდან წვრილმანებს მუდამ გართულებები მოსდევდა, ნებისმიერი საქმის ყოველგვარი გართულება სულიერ წონასწორობას ურღვევდა და მსგავს რაიმეს კი – საერთოდ ვერ იტანდა. ახლაც საკუთარ თავზე ბრაზობდა იმის გამო, რომ ჭიშკარი გააღო. ერჩივნა, ამ არსებას აეღო თავისი კალათი და ჯანდაბამდეც წასულიყო თავისი სადარდებლითა და ძუძუმწოვრებით. ტერიე ნელ-ნელა გასწორდა წელში, ჩაისუნთქა მოთელილი მატყლისა და რძის სუნი, ჟანას რომ ასდიოდა... სასიამოვნო სუნი იყო.

– არ მესმის რა გინდა. ამ ჩვილს სულაც არ აწყენს, ერთხანობა თუ კიდევ აჭმევ ძუძუს.

– მაგას არა, – გააწყვეტინა ჟანამ, – მე კი მწყენს. სამმაგსა ვჭამდი და მაინც მთელი ათი ფუნტი დავიფერთხე! და რისთვის? კვირაში სამი ფრანკისთვის!

– აჰაა, გასაგებია, – ტერიეს ოდნავ გულს მოეფონა, – გასაგებია: ისევ ფულზეა საქმე.

– არა!

– ნუ მედავები. როდესაც ამ ჭიშკარზე აკაკუნებენ, ყოველთვის ფულზეა ლაპარაკი. ხშირად ვოცნებობ ხოლმე, ჭიშკრის მიღმა ერთხელ მაინც აღმოჩნდეს ადამიანი, რომელმაც ისე შემოიარა, მცირეოდენი ყურადღების გამოსაჩენად! რომელსაც რამოდენიმე ცალი კაკალი, ან ცოტაოდენი ხილი დაეტოვებინა პატივისცემის ნიშნად... განა ცოტაა შემოდგომით ისეთი რამ, რაც შეუძლიათ შემოგვაწიონ, თუკი ახლოში ჩაივლიან? ვთქვათ, ყვავილები... თუნდაც ერთხელ ვინმემ უბრალოდ შემოიხედოს და ისე, მეგობრულად მითხრას: „ღმერთი შეგეწიოთ, მამაო ტერიე, სულ ჯანმრთელად გამყოფოთ!“, მაგრამ როგორც ჩანს, მაგას მე ვერ მოვესწრები. თუ აბრახუნებენ – ესე იგი მათხოვარია, თუ მათხოვარი არაა — ვაჭარია, თუ არც ვაჭარია, მაშინ ხელოსანია და თუ მოწყალებას არა გთხოვს, მაშასადამე, ანგარიშს წარმოგიდგენს. ქუჩაშიც კი აღარ გამესვლება – ბიჯი ვერ გადამიდგამს, ვიღაცეები არ დამეხვიონ გარს, ვინძლო ბებერ ტერიეს რამე დავცინცლოთო.

— ე-ეგ მე არა ვყოფილვარ, – თქვა ჟანამ.

– იცი რას გეტყვი: განა ერთადერთი ძიძა ხარ ჩვენს სამწყსოში! რამდენია ვისაც ერთი სული აქვს, სამ ფრანკად ამ შესანიშნავ ჩვილს ძუძუ აჭამოს, ან ფაფა, ან წვენები... ან სხვა რამ საკვები...

– მერე, მიეცით ვინმე მაგნაირს!

– მეორეს მხრივ, არც ბავშვის ასე მიგდება ვარგა. ვინ იცის – მოუხდება კია სხვისი რძე? ხომ იცი, ჩვილი უკვე შენი მკერდის სუნსა და შენს გულისცემას იქნება მიჩვეული...

ერთხელ კიდევ ღრმად ჩაისუნთქა თბილი ანაორთქლის სურნელი, ძიძას რომ ასდიოდა, მაგრამ რაკი შეატყო, ჩემმა სიტყვებმა მიზანს ვერ მიაღწიაო, დაამატა:

– ეხლა მოკიდე ამ კალათას ხელი და წადი სახლში. წინამძღვარს მოველაპარაკები, კვირაში ოთხი ფრანკი გადაგიხადონ.

– არა! — თქვა ძიძამ.

– კარგი, ასე იყოს: ხუთი!

– არა.

– აბა, რამდენი გინდა?! – წამოიყვირა ტერიემ, – ხუთ ფრანკისა რა უნდა აჭამო ამ ჩვილს?

– არავითარი ფული მე არ მინდა! – თქვა ჟანამ, – საერთოდ არ მინდა ეს ნაბუშარი სახლში გავაჩერო...

– კი, მაგრამ, რატომ? – პერიემ ისევ ჩაჰყო ხელი კალათაში. – გადასარევი ბავშვია: ასეთი ვარდისფერი, არც ტირის, წყნარად სძინავს და უკვე მონათლულიცაა!

– ეგ ეშმაკსა ყავს შეპყრობილი...

ტერიემ სასწრაფოდ ამოიღო ხელი კალათიდან.

– შეუძლებელია! გამორიცხულია, ძუძუთა ბავშვი ეშმაკის შეპყრობილი იყოს. ჩვილი ჯერ არაა ადამიანი, ის მომავალი ადამიანია მხოლოდ და სულიც არ ჩამოყალიბებია ჯერ. აქედან გამომდინარე, ეშმაკისათვის ის ყოველგვარ ინტერესს მოკლებულია. იქნება და უკვე ლაპარაკობს? თუ ბნედა მოსვლია ოდესმე? ან იქნებ გოგირდის სუნი ასდის?

– მაგას არაფრის სუნი არ სდის!

– ა, ხომ ხედავ! აი, ნიშანი! ეშმაკის შეპყრობილი რომ იყოს, მყრალი სუნი აუვიდოდა.

ძიძა რომ დაემშვიდებინა და თან საკუთარი გამბედაობაც ეჩვენებინა, ტერიემ კალათი ასწია და ჩაყნოსა.

– არაფერი განსაკუთრებული, – წარმოთქვა მან რამდენიმეგზის შეყნოსვის შემდგომ, – მართლაც რომ არაფერი! ერთი ეგაა, მეჩვენება თითქოს მის

სახვევებს კი ასდის რაღაცა სუნი, – და კალათა ქალს გაუწოდა, რათა მასაც დაედასტურებინა ეჭვი.

– მაგაზე არ ვამბობ, – პირქუშად შეეპასუხა ძიძა და კალათი უკან გააწევინა. – სახვევებზე არ გეუბნებით. მაგის ჩასვრილ სახვევებს სხვა რა სუნი უნდა სდიოდეს? რაცაა, ეგაა. თავად მაგას, მაგ ნაბუშარს არ ასდის!

– ეგ იმიტომ რომ ჯანმრთელია! – ხმას აუწია ტერიემ, – ჯანმრთელია და იმიტომაც არ ასდის სუნი! ნებისმიერმა იცის, რომ სუნი მხოლოდ ავადმყოფ ბავშვებს ასდით. თუ ბავშვს ყვავილი სჭირს, მას ცხენის ჩონჩორიკის სუნი ასდის, თუ ქუნთრუშა შეეყარა – ძველი ვაშლის, ხოლო ჭლექის დროს – ხახვის. ეს კიდევ ჯანმრთელია – სულ ესაა მთელი მისი ავადმყოფობა. რატომ უნდა ყარდეს? განა შენი საკუთარი ბავშვები ყარან?

– არა, – თქვა ჟანამ. – ოღონდ მათ ადამიანიშვილის შესაფერისი სუნი მაინც ასდით.

ტერიემ ისევ მიწაზე დადგა კალათა, რაკიღა მრისხანების იმ პირველი ტალღების შემოტევა იგრძნო, დედაკაცის სიჯიუტის გამო რომ ეწყებოდა. კამათის გაგრძელების შემთხვევაში, გამორიცხული არ იყო ორივე ხელის თავისუფლად ქნევა დასჭირვებოდა და შიშობდა, ამით ბავშვს არ დაშავებოდა რაიმე. თუმცა, საწყისად, ჯერ ხელები ზურგსუკან დაიწყო, ღიპი დარბაისლურად გაიგდო წინ და მკაცრი კილოთი დაეკითხა ქალს:

– ესე იგი, შენ ამტკიცებ რომ იცი, როგორი სუნი უნდა ასდიოდეს ადამიანის ნაშიერს, ვინაც ამავე დროს – ნება მიბოძე ესეც შეგახსენო, მითუმეტეს რომ იგი უკვე მონათლულია — იგივე ღვთისშვილი არს?

– დიახაც, – თქვა ძიძამ.

– და ამავე დროს შენ ამტკიცებ, რომ თუ მას იმგვარი სუნი არ სდის, როგორიც თავად მიგაჩნია საჭიროდ – შენ, მეძუძურ ჟანა ბიუსის, სენ-დენის ქუჩიდან – იგი უცილობლად სატანას კერძია?!

ღირსმა მამა ტერიემ მარცხენა ხელი ზურგსუკნიდან გამოაცურა და კითხვის ნიშნად მოღუნული თითი მუქარით მიუტანა ქალს ცხვირთან. ჟანა ჩაფიქრდა. სულაც არ ეპიტნავებოდა, საუბარი თეოლოგიური დისპუტის კალაპოტში მოქცეულიყო – მანდ იმთავითვე დასახრჩობად იყო განწირული.

– მსგავსი თითქოს არაფერი მიქვამს – უკან დაიხია ქალმა. – ჩარეულია აქ სატანა, თუ არაა ჩარეული – თავად გადაწყვიტეთ, მამაო ტერიე, ეგ მე არ მეხება. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: ეს ბავშვი თავზარს მცემს, იმიტომ რომ ის სუნი არ ასდის, ჩვილებს რომ უნდა სდიოდეთ.

– აჰა-ა–, კმაყოფილებით წარმოთქვა ტერიემ და ხელები ისევ ზურგსუკან შემოიწყო. – ესე იგი, ჩვენს სიტყვებს ეშმაკის შესახებ უკანვე ვიღებთ. ძალიან კარგი. ახლა კი ქენი სიკეთე და ამიხსენი: როგორი სუნი ასდით ძუ-

ძუთა ბავშვებს, როცა მათ სწორედ ისეთი სუნი ასდით, როგორიც შენის აზრით, მათ ჩვეულებრივ უნდა სდიოდეთ?!

– კარგი სუნი ასდით, – თქვა ძიძამ.

– რას ნიშნავს „კარგი“? – შეღრინა ტერიემ. – განა ცოტა რაიმეს ასდის კარგი სუნი? იის კონას კარგი სუნი ასდის, შეჭამანდიდან ამოღებულ ხოცსაც, და ბაღებს არაბეთისას... მე იმას გეკითხები – რაგვარი სუნი ასდით ძუძუთა ბალღებს?!

ძიძამ პასუხი შეაგვიანა. რაღა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა როგორი სურნელი ასდის ძუძუთა ბავშვებს, იცოდა ძალიან ზუსტად — მის ხელში ათეულობით მათგანს გაევლო — იგი აჭმევდა მათ, არწევდა, კოცნიდა და ეფერებოდა. ღამ-ღამობით ყნოსვით შეიგრძნობდა ჩვილს ლოგინში და ახლაც ზუსტად ახსოვდა ეს სურნელი. ოღონდაც, სიტყვიერად მისი გადმოცემა არც არასოდეს უცდია...

– აბა? – ტერიე აიზღარბა და მოუთმენლობისაგან თითები აატკაცუნა.

– ახლა როგორაა საქმე, – ქალი იხტიბარს არ იტეხდა, – ესე უცებ ვერც იტყვი... აი, მაგათ ყველგან სასიამოვნო სუნი ასდით, ოღონდ ერთნაირი კი არა, ხვდებით მამაო? მათ ფეხებს, მაგალითად, მზით გამთბარი, გლუვი ქვების სუნი ასდის... არა, უფრო თიხის ქოთნების... ან უფრო სწორედ კარაქის, ახალი კარაქის, აი, ეგრეა – მაგათ ფეხებს ახალი კარაქის სურნელი სდის. სხეულებს კიდე... რძეში რო გალეტს ჩაალბობთ, ისეთი; ხოლო თავებს, იქ, კეფაზე, სადაც თმები ხუჭუჭდება... მოკლედ აი აქ, მამაო, სადაც თქვენ უკვე აღარაფერი აღარა გაქვთ — და ამდენი სისულელის მოსმენისაგან გაშეშებულ, მორჩილად თავდახრილ ტერიეს მოტვლეპილ კეფაზე დაუკაკუნა — დიახ აქ, ზუსტად აქ მამაო, მათ ყველაზე გემრიელი სუნი ასდით. კარამელის სუნივითაა მამაო, და ისეთი საოცარი, ისეთი ტკბილია, ვერც წარმოიდგენთ! როგორც კი ემანდ უყნოსავ – მაშინვე შეგიყვარდება, გინდა საკუთარი იყოს და გინდა სხვისი. სწორედ ასეთი სუნი უნდა ასდიოდეს ძუძუთა ბავშვს და არა სხვაგვარი. თუ მათ არავითარი სურნელი არ ასდით, თუ კეფაზე არავითარი სუნი არ ასდის, როგორც ამ ნაბუშარს, ზამთრის სუსხივით, მაშინ... როგორც ინებებთ, ისე ახსენით ეს მამაო, მაგრამ მე... – ქალმა ხელები მკერდზე მიიკრა და ისეთი ზიზღით შეხედა კალათას, თითქოს შიგ გომბეშო იჯდა, – მე, ჟანა ბიუსის, მაგასთან საქმე აღარა მაქ!

მამა ტერიემ ნელი-ნელ ასწია თავი და რამდენიმეჯერ გადაისვა ხელი ტონზურაზე, თითქოს იქ თმების გასწორება უნდაო; მერე, ვითომდა შემთხვევით, თითები ნესტოებთან მიიტანა და დაყნოსა.

– როგორც კარამელს? – დაეკითხა ისევ და შეეცადა მკაცრი ტონი დაებრუნებინა. – კარამელიო!.. რა გესმის შენ კარამელის? გიჭამია ოდესმე?

– მე კი არა, ოღონდ... – ჩაილაპრაკა ჟანამ, – აი ერთხელ, დიდ სასტუმროში ვიყავი, სენ-ონორეს ქუჩაზე და ჩემი თვალით ვუყურე, როგორ

ამზადებდნენ მწვარი შაქრისა და ნაღებისაგან. ისეთი გემრიელი სუნი ქონდა, ისეთი, ცხოვრებაში არ დამავიწყდება!

– კაი, ჰო... როგორც გინდა. – ტერიემ ერთხელ კიდევ ეჭვიანად იყნოსა თითზე... ოღონდ ახლა გაჩუმდი ერთ წამს... ვატყობ, სრული ძალისხმევა დამჭირდება ამ დონეზე შენთან სასაუბროდ! მაშ, ასე: ვადასტურებ, რომ გარკვეული მიზეზების გამო, უარს ამბობ გააგრძელო ჩემთვის მონდობილი ჩვილის, ჟან-ბატისტ გრენიუს კვება და უბრუნებ მას დროებით მეურვეს, სენ-მერის მონასტერს.. საწუხარია ესე, მაგრამ ვფიქრობ, შენი გადარწმუნება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. დათხოვნილი ხარ.

ამ სიტყვებით ასწია კალათა, კიდევ ერთხელ შეიყნოსა რძის, მატყლისა და მიმქრალი სითბოს ფუმფულა სუნი, ჭიშკარი მიკეტა, გადარაზა, შებრუნდა და თავისი კაბინეტისაკენ გაემართა.

3.

განათლებული ადამიანი გახლდათ ღირსი მამა ტერიე. თეოლოგიას ნაზიარები, იგი ფილოსოფიასაც სწყალობდა და გზადაგზა არც ბოტანიკასა და ალქიმიას აკლებდა ხელს... ყოველნაირად მეცადინეობდა, საკუთარ პიროვნულობაში კრიტიკული აზროვნება განევითარებინა. განათუ მეტისმეტი მოსდიოდა – მათსავით, ვისაც სასწაულქმედებებს, წინასწარმეტყველებებსა თუ წმინდა წიგნებში შეაქვთ ეჭვი – მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნები ხშირად არ ექვემდებარებიან გააზრებულ ახსნას და ზოგჯერ, ეწინააღმდეგებიან კიდეც ერთმანეთს; პირიქით – ერჩივნა, სრულიად არ შეხებოდა ასეთ საკითხებს, რადგან არც გული უთქმოდა და თანაც, მოუსვენრობისა და ეჭვის მორევში ჩაძირვას უფრთხოდა. ხოლო იმისათვის, რომ საღი გონებით ისარგებლო, კაცს უპირველესად, სიმშვიდე და საკუთარი თავის რწმენა სჭირდება. ოღონდაც, იგი ყოველგვარი მისაღები მეთოდებით ებრძოდა უბირი ხალხის ცრურწმენებს: ჯადოქრობა თუ ბანქოზე მკითხაობა, ჯადოთილისმების ტარება, გათვალვისაგან გამოლოცვა, სულების შელოცვა, ათასი ჯურის თვალთმაქცობანი სავსე მთვარობისას... რაღას არ სჩადიოდნენ ეს კეთილი ადამიანები! გულით წუხდა, რომ ქრისტიანობის ათასწლოვანი ისტორიის მიუხედავად, ეს წარმართული ჩვევები ჯერ კიდევ არ იყო ამოძირკვული და თან, უმეტეს შემთხვევებში, ეგრედ წოდებული „სატანასთან კავშირიცა“ და „ეშმასაგან შეპყრობილობაც“ — ახლოით განჩხრეკისას — უბრალოდ, ცრუმორწმუნეობის ზეობა აღმოჩნდებოდა ხოლმე. მართალია, თავად სატანას არსებობისა თუ მისი ძალის უარყოფა, მამა ტერიეს მხრივ, მეტისმეტი იქნებოდა – მსგავსი პრობლემების გადაწყვეტა, რაიც ღვთისმეტყველების ძირითად საფუძვლებს შეეხება, ერთი უბრალო, მდაბალი ბერის საქმე არაა. ამისათვის ზეგარდმო ინსტანციები არსებობენ. Autem*, თუკი

* აქ: მეორეს მხრივ (ლათ.)

ისეთი ჭკუამოკლე არსება, როგორიც ჟანა ბიუსია, აცხადებს – რაღაც ეშმაკეული აღმოვაჩინეო, სწორედ ეგაა იმის უტყუარი საბუთი, რომ სატანას ამ საქმეში ხელი არ ურევია... სწორედ იმით რომ ჟანას მიაჩნია, თითქოსდა ხსენებული ეშმაკეული აღმოაჩინოს, ურყევლად დასტურდება — აქ არაფერი ეშმაკეული არაა განრეული! სატანა არც ისეთი ბრიყვია, თავისი თავი ვიღაც მეძუძურე ჟანა ბიუსის აღმოაჩენინოს, და ისიც ყნოსვით – ამ ყველაზე პრიმიტიული, ყველაზე ქვენა გრძნობით! განათუ ჯოჯოხეთს მხოლოდ გოგირდის სიმყრალე ასდის და სამოთხეს – საკმევლისა და მირონის სურნელი! ... ესაა უშავბნელესი ცრურწმენა, შორეული, წარმართული დროის შესაფერი – როცა ადამიანები პირუტყვებით ცხოვრობდნენ, როცა სახედველიც ისეთი სუსტი ჰქონდათ, ფერებსაც კი ვერ არკვევდნენ ხეირიანად, მაგრამ სამაგიეროდ სისხლის გეშისა სწამდათ; სუნის, რომელსაც გრძნობდნენ, რომლის მიხედვითაც მტერს მოყვარისაგან განარჩევდნენ და სწამდათ, რომ მათ სუნსაც ასევე გრძნობდნენ გოლიათი კაციაჭამიები, მაქცია მგლები და როკაპი ფურიები, რომლებიც თითქოსდა მათზე ნადირობდნენ... ამიტომაც სწირავდნენ თავიანთ ამაზრზენ ღმერთებს კოცონებზე დამწვარ, აყროლებულ, მხრჩოლავ მსხვერპლს... საშინელებაა! „სულელი ცხვირით ხედავსო“ – ნათქვამია და ალბათ მართლაც მეტს, ვინემ თვალებით; და საფიქრებელია, ღვთივბოძებული გონების ნათელმა კიდევ ათასწლეული უნდა ანათოს, სანამ პირველყოფილი ცრურწმენების ნაფლეთები საბოლოოდ განიფანტება...

მაგრამ რა შუაშია აქ ეს პატარა არსება, ეს პაწია ბალღი?! წევს თავისთვის კალათში და სძინავს ტკბილად... არც არაფერი გაეგება იმ დამზაფრავი ბრალდებების, მას რომ წაუყენეს. თავხედი ძიძა კიდევ ბედავს ამტკიცოს, თითქოს ისეთი სუნი არ აგდის, როგორიც ადამიანების შვილს უნდა ასდიოდეს... რა გინდა ახლა ამაზე რო უთხრა?! *უ-ტუ-ტუ-ტუ-ტუ...*

მამა ტერიემ ფრთხილად დაარწია კალათი, რამოდენიმეჯერ კიდევ დაადუდღუნა ეს თავისი უ-ტუ-ტუ... რაკიღა ფიქრობდა, ასეთი წამოძახილი უებარი დამამშვიდებელია და კეთილისმყოფელადაც მოქმედებს ძუძუთა ბავშვებზეო.

„მაშ, ჩვენ თურმე მაინცდამაინც კარამელის სუნი უნდა აგვდიოდეს, არა? *უ-ტუ-ტუ...*” — მერე კალათში ხელი მოაფათურა, ამოიღო, დასუნა, მაგრამ მის მიერვე სადილად მირთმეული მჟავე კომბოსტოს სუნი შეიგრძნო მხოლოდ. შეყოყმანდა, მიმოიხედა – ემანდ ვინმე არ მითვალთვალებდესო, კალათა ასწია და თავისი სქელი ცხვირი ჩარგო შიგ, ღრმად, იმდენად ღრმად, რომ ბავშვის თხელმა, წითურმა თმამ ცხვირის ნესტოებზე მოუღიტინა; მაინცდამაინც კარგად გააზრებული არც ჰქონდა, როგორი სუნი უნდა ასდიოდეს ჩვილს – არა კარამელის, რა თქმა უნდა, ეს თავისთავად გასაგები იყო: კარამელი ხომ დამწვარი შაქარია და ჩვილს, რომელსაც რძის გარდა ჯერ არაფერი უჭამია, არ შეიძლება დამწვარი შაქრის სუნი ასდიოდეს. შეიძლება ძიძის რძის სუნი აუვიდეს... მაგრამ რძის სუნი ნამდვილად არ ასდიოდა. იქნებ თმების, კანის ან სულაც ოდნავი ოფლის? ტერიემ დაყნოსა და შეეცადა საკუთარი თავი დაერწმუნებინა, სწორედ რომ თმების, კანის ან სულაც ოდნავი ოფლის სუნს ვგრძნობო, მაგრამ ცდა ამაო გამოდგა – ვერავითარი სუნი ვერ მოყნოსა. “ბავშვებს ალბათ, საერთოდ არ ასდით არავითარი სუნი,” –

გაიფიქრა ღირსმა ტერიემ. – "საქმეც სწორედ ისაა, რომ ძუძუთა ბავშვს, თუკი მას სისუფთავეში ამყოფებენ, არ შეიძლება რაიმეს სუნი ასდიოდეს; ისევე, როგორც არ შეუძლია ილაპარაკოს, ირბინოს, ან წეროს. ეს ყველაფერი მხოლოდ ასაკთან ერთად მოდის. უფრო ზუსტად – ადამიანი ძლიერი სუნის გავრცელებას მხოლოდ სქესობრივი მომწიფების შემდგომ იწყებს; დიახაც, სწორედ რომ ასეა და არა სხვაგვარად... განა თავის დროზე ჰორაციუსმა არ დაწერა: *ყმაწვილს ბეკეკას სუნი სდიოდა, ქალიშვილს კი – თეთრი ნარგიზის...* ვის-ვის, და რომაელებს მაინც გაეგებოდათ მსგავსი რამეები! ადამიანის სუნი – სხეულის სუნია, და აქედან გამომდინარე – ცოდვის სუნი... რა სუნი უნდა ასდიოდეს ბავშვს, რომელსაც არც სიზმარში და არც ცხადში, არავითარ ცოდვაში ფეხი არ ჩაუდგამს? რისი სუნი უნდა სდიოდეს? *უ-ტუ-ტუ!* არც არაფრის!"

ბერმა კალათი მუხლებზე დაიდგა და ფრთხილად დაარწია. ბავშვს ჯერ კიდევ ეძინა. მარჯვენა ხელი, პატარა და ვარდისფერი, წნულის კიდეზე გადმოეშვირა. ტერიეს გაეღიმა და უეცრად ძალზე მყუდროდ იგრძნო თავი. დროის ამ მცირე მონაკვეთში ერთი იმგვარი უსაგნო ფიქრიც კი გაივლო გუნებაში, რომ დავუშვათ და – ის ამ ბავშვის მამაა; ვითომდა ბერი კი არა, ერთი უბრალო, პატიოსანი ხელოსანია; უპოვია თავისთვის ცოლი, თბილი ისეთი დედაკაცი, მატყლისა და რძის სუნი რომ ასდის, გაუჩენიათ ბიჭუნა და აი, ანანავებს ახლა მუხლებზე საკუთარ შვილს! – *უ-ტუ-ტუ...* გაფიქრებაც კი ეამა. იყო ამაში რაღაც ნუგეშის მომგვრელი... მამა მუხლებზე ათამაშებს თავის ბიჭუნას, *უ-ტუ-ტუ...* სურათი სამყაროსავით ძველი იყო და მაინც მუდამ ახალი, ალალ-მართალი, დასაბამიდან... დიახ! დიახ!..

მამა ტერიეს გრძნობები მოეძალა, სული გაუთბა...

ამასობაში ბავშვმაც გამოიღვიძა. ოღონდ ჯერ გაიღვიძა მისმა ცხვირმა: პაწაწინა ცხვირი ამოძრავდა, შეიჭმუხნა და შეყნოსვა იწყო; შეისუნთქა ჰაერი და ნელ-ნელა, მოკლე-მოკლე სრუტუნით გამოუშვა, თითქოს დაცემინება სურსო. მერე დაიმანჭა და ბავშვმა ახლა თვალები გაახილა. გაურკვეველი ფერის თვალები – მქრქალი ნაცრისფერის, ტბორის მწვანესა და მოთეთრო-ნაღებისფერი რაღაც ნაზავი; თხელი, ლორწოვანი ლიბრით დაფარული და ჯერჯეობით არც სახედველად გამოსადეგი. ტერიეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ეს თვალები მას საერთოდ არც აღიქვამდნენ. აი, რაც შეეხება ცხვირს... თუ დაბინდული მზერა რაღაც გაურკვეველს მისჩერებოდა, ცხვირს, ეტყობა, რაღაც გარკვეული ამოეღო მიზანში და მამა ტერიესაც უცნაური გრძნობა გაუჩნდა, რომ ეს მიზანი თავად იყო, პირადად იგი – მამა ტერიე! პაწაწა ნესტოები გასაშლელი კოკრებივით იბერებოდნენ ბავშვის სახეზე; ოღონდ იმ კოკრებივით, მტაცებელ ყვავილებს რომ აქვთ, სამეფო ბოტანიკურ ბაღში მოშენებულებს – რაღაც მომნუსხავი, მიმზიდველი, შემსრუტავი ძალა იგრძნობოდა მათში. ტერიეს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბავშვი ხედავდა მას, აღიქვავდა თავის ნესტოებით; მჭახედ და გამომცდელად, და გაცილებით უფრო გამსჭვალავად, ვიდრე ეს თვალებს შეუძლიათ. თითქოს ნესტოებით ისრუტავდა რაღაც ისეთს, მისგან გამომდინარეს, რაც ტერიეს ვერც შეეკავებინა და ვერც დაეფარა.

ბავშვი, რომელსაც თავად არ ასდიოდა არავითარი სუნი, ყოვლად მოურიდებლად იყნოსავდა მას, ბავშვი მას გეშით გრძნობდა! და უცებ, ტერიეს საკუთარი თავი მოეჩვენა ამყრალებული – ოფლითა და ძმრით, მჟავე კომბოსტოთი და გაურეცხავი თეთრეულით; მოეჩვენა, რომ შიშველია და მახინჯი, რომ მას შეჰყურებს ვინმე, ვისაც თავი ჯერ არაფრით გაუცია. ეჩვენებოდა – ყნოსვამ კანს გააღწია, შეიჭრა შიგნით, სულ, სულ შიგნით, სიღრმეებში... უფაქიზესი გრძნობები, ყველაზე ბინძური აზრები შიშვლდებოდა ამ პატარა, ხარბი ცხვირის წინაშე, ჯერ ცხვირიც რომ არ ეთქმოდა — რაღაც წამონაზარდი სახეზე, რომელიც რიტმულად იჭმუხნებოდა და იბერებოდა; პაწაწინა, ნასვრეტებიანი, მთრთოლავი ასო. ტერიეს გააჟრჟოლა, გულზიდვა მოაწვა. ამჯერად მანაც შეარხია ცხვირი, თითქოს მის წინ ისეთი რამ იდო, რასაც უამური სუნი ასდის და რასთანაც მას არავითარი კავშირი არ სურდა ჰქონოდა. მშვიდობით, ზმანებანო საკუთარ სისხლსა და ხორცზე! გაითელა გრძნობამორეული ხილვა მამისა, ძისა და სურნელოვანი დედიკოსი. გაქრა ნაზი ოცნებების აცმა, საკუთარ თავსა და ამ ბავშვზე რომ ააგო: უცხო, ცივი არსება ეწვა ახლა მუხლებზე, სამტრო ცხოველი – და ღვთისმოშიშობა, თავდაჭერა და საღი აზრი რომ არა, რაიც მამა ტერიეს თავთვისებეთაგანი გახლდათ, ისე ჩამოიბერტყავდა კალთიდან, როგორც რამ ობობას...

ტერიე წამოიმართა, კალათი მაგიდაზე დადგა. ერთი სული ჰქონდა, საერთოდ გათავისუფლებულიყო ამ ჩვილისა და მთელი ამ ამბიდან, რაც შეიძლება სასწრაფოდ, ახლავე, დაუყოვნებლივ!...

და აი, სწორედ ამ დროს ჩვილმა ჯღავილი მორთო. თვალები მოჭუტა, წითელი პირი დააფჩინა და ისე საზიზღრად და გამყინავად აწივლდა, მამა ტერიეს, ლამის იყო, ძარღვებში სისხლი გაეყინა. ბავშვის გასაჩუმებლად, კალათას აყანყალებდა და გაჰყვიროდა: უ-ტუ-ტუ-ტუ-უ, მაგრამ ჩვილმა უფრო უმატა ტირილს; სახე სულმთლად წამოუჭარხალდა, ლამისაა ჩაბჟირებულიყო.

“როგორმე უნდა მოვაშოროთ აქაურობას!” – ფიქრობდა ტერიე, – “მოვიცილოთ ეს...” — *ეშმაო*, უნდოდა ეთქვა, მაგრამ გამოერკვა და ენა მოიკვნიტა... — “მოვიშოროთ ეს ურჩხული, ეს აუტანელი ბავშვი! მაგრამ საით?” – უბანში ბევრი ძიძა და თავშესაფარი მოიძებნებოდა, ოღონდ მონასტერთან მეტისმეტად ახლოს, თითქმის გვერდიგვერდ. ეს არსება კი სადმე შორს უნდა წაეყვანა, იმდენად შორს, შეუძლებელი ყოფილიყო მისი ასე, ნებისმიერ დღეს კარზე მოყენება. ჯობდა, რა თქმა უნდა, სულაც სხვა მრევლისთვის გადაელოცა; სენის გაღმა გაყვანა ხომ – კიდევ უკეთესი. უფრო კიდევ – ქალაქის გარეთ, სენ-ანტუანის გარეუბანში. “აჰა! აი სად წავიყვანთ ამ მყვირალას – ქალაქიდან შორს, აღმოსავლეთით, ბასტილიის გაღმა, სადაც ღამ-ღამობით ქალაქის ჭიშკრებს კეტავენ!”

ტერიემ ანაფორის კალთები აიკეცა, ხელი სტაცა აღნავლებულ კალათას და გაიქცა. გაიქცა ჩიხების ლაბირინთებით, სენ-ანტუანის გარეუბნისაკენ, სენის გაყოლებაზე. იქ, აღმოსავლეთით, შარონის ქუჩის სულ ბოლოში, მაგდალინელის მონასტრის ახლოს, ცხოვრობდა ვინმე ქალბატონი გაიარი, რომელიც ნებისმიერი ასაკისა და წარმომავლობის ბავშვებს იღებდა სრულ კმაყ-

ოფაზე, ოღონდ კი ვინმეს ფული გადაეხადა. აქ მან ჯერ კიდევ მყვირალი კალათა მადამ გაიარს გადასცა, ერთი წლის ქირა წინასწარ გადაიხადა და ისევ ქალაქისაკენ გამოიქცა. მონასტერში დაბრუნებულმა, ანაფორაც გაიძრო, საცვლებიც, თითქოს ჭირი რამ შეეროდაო, თავით-ფეხებამდე განიბანა, საკუთარ სენაკში, საწოლში მწოლიარემ კიდევ დიდხანს ილოცა, პირჯვარიც ბევრჯერ გადაიწერა და ბოლოს, როგორც იქნა, ჩაიძინა.

4.

ქალბატონი გაიარი ჯერ ოცდაათისაც არ იყო, მაგრამ ცხოვრება უკვე გამოვლილი ჰქონდა. გარეგნობით საკუთარ ასაკს თითქოს სავსებით შეეფერებოდა, ოღონდ ამავე დროს, ორჯერ, სამჯერ ხნიერადაც გამოიყურებოდა და ქალიშვილის მუმიას უფრო მოგაგონებდათ. შინაგანად, დიდი ხნის მკდარი იყო: ბავშვობაში მამამ ბუხრის საჩხრეკი ჩაარტყა შუბლში, ზედ წარბებს შუა და მას შემდეგ დაკარგა ყნოსვაც და ყოველგვარი ადამიანური სითბოს შეგრძნებაც, გინდ სიცივისაც და საერთოდ, ყოველგვარი გაცდის უნარი. იმ ერთი დარტყმით მოკლეს მასში სინაზე, სიძულვილი, სიხარული თუ სასოწარკვეთილება. უფრო გვიან კიდევ, არც ქმართან თანაცხოვრებისას და არც ბავშვების გაჩენისას უგრძნია რაიმე – არაფერი, სრულიად არაფერი. არც დარდობდა მათზე, რომლებიც დაეხოცნენ და არც ხარობდა მათით, რომლებიც დაურჩნენ. ქმარი რომ სცემდა ხოლმე – არც კი კრთებოდა და არც მაშინ უგრძნია შვება, როდესაც იგი, ოტელ-დიეს თავშესაფარში, ქოლერით მოკვდა. ორად-ორი შეგრძნება ჰქონდა – ოდნავი სულიერი ნაღველი, როდესაც თვიური შაკიკის დრო მოუწევდა, და ოდნავ შესამჩნევი სულიერი შემსუბუქება, როდესაც შაკიკი გაუვლიდა; არავითარი სხვა გრძნობები ამ ცოცხლად მკვდარ ქალს არ გააჩნდა.

მეორეს მხრივ... ან იქნებ, სწორედაც რომ ემოციურობის სრული ატროფიის გამო, ქალბატონი გაიარი დაუოკებელ, შეიძლება ითქვას, დაუნდობელ ლტოლვას იჩენდა სამართალიანობისა და წესრიგის მიმართ. მის აღსაზრდელებში არცერთს არავითარი უპირატესობა არ ენიჭებოდა და მათგან არც არავინ დაჩაგრულა ოდესმე. მადამ გაიარი დღეში სამჯერ აჭმევდა მათ და ამის მეტად, არა ნამცეცი, არა წინწკალი არ ერგებოდათ. ასევე, დღეში მხოლოდ სამჯერ უცვლიდა ჩვილებს საფენებს და ისიც მხოლოდ წლამდე: ის, ვინც ამის შემდეგ ჩაისველებდა, ჯილდოდ ერთ სილაქს და ერთი ჭამით ნაკლებს იგემებდა. მიღებული თანხის ზუსტად ნახევარი აღსაზრდელებზე იხარჯებოდა, ნახევარს კი თავად იტოვებდა. სიიაფის დროს, არასოდეს ცდილა შემოსავლის გაზრდას და არც სიდუხჭირის ხანებში მიუმატებია დანახარჯებისთვის თუნდაც ორიოდ სუ – მაშინაც კი, როცა საკითხი სიკვდილ-სიცოცხლეზე იდგა: წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ეს საქმიანობა მისთვის წამგებიანი იქნებოდა. ქალბატონი გაიარი ფულს კი არ იყო დახარბებული – მას ფული სჭირდებოდა. ყველაფერი ზუსტად ჰქონდა გათვლილი: სიბერეში რენტის ყიდვა სურდა, და კიდევ საკმარისი თანხის მოქუჩება, რათა

უფლება მიეცა თავისათვის, საკუთარ სახლში მომკვდარიყო, ქმარივით ღატაკთა თავშესაფარში არ გაეჭიმა ფეხი. ქმრის სიკვდილს იგი მაინ-ცადამაინც არ შეუშფოთებია, მაგრამ სძულდა ერთმანეთისათვის სავსებით უცხო ადამიანების ეს საერთო-სახალხო სიკვდილი – საკუთრად სიკვდილის უფლება უნდოდა ჰქონოდა, და ამისათვის საჭირო თანხა სრულად მოე-გროვებინა. მართალია, ხდებოდა ხოლმე, ოცდახუთამდე აღსაზრდელიდან სამი ან ოთხი უკვდებოდა გამორჩეულად სუსხიან ზამთარს, ოღონდ ეს შედეგი მაინც უკეთესი იყო სხვა კერძო გადიებთან შედარებით; ხოლო დიდი სახელმწიფო თუ საეკლესიო თავშესაფრების შედეგებს, სადაც ხშირად უპა-ტრონო ბავშვების ცხრა მეათედი იღუპებოდა, ხომ სჯობდა და სჯობდა. სი-მართლე ითქვას, მათი შევსება ადვილი იყო: პარიზის საშო ყოველწლიურად აწარმოებდა ათი ათასზე მეტ მიგდებულ, უკანონოდშობილ თუ ობოლ ბავშვს, ასე რომ გარკვეულ დანაკარგებს იოლად ურიგდებოდნენ.

პატარა გრენუისათვის ნაღდი ღვთის წყალობა იყო ქალბატონ გაიარისას მოხვედრა. სათუოა, სადმე სხვაგან რომ გადარჩენილიყო, აქ კი, ამ უსულ-გულო ქალთან – გაიხარა. მაგარი აგებულებისა იყო და იშვიათი გამძლეო-ბით გამოირჩეოდა. ვისაც მასავით გადაეტანა დაბადება ნამუსრევს შორის, ცხოვრებიდან საკუთარი თავის გაძევების ნებას ძნელად თუ მისცემდა ვინმეს. შეეძლო მთელი დღეობით ეხვრიპა წყალ-წყალა წვნიანი, შეეძლო დაკმაყო-ფილებულიყო გაწყალებული რძით, მოენელებინა დამპალი ბოსტნეული თუ სუნდაკარული ხორცი. ჩვილობაშივე გადაიტანა წითელა, დიზენტერია, ყვავილი, ქოლერა; ჩავარდა ექვსმეტრიან ჭაში, მდუღარე წყლითაც დაი-ფუფქა და მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ამისაგან მრავალი ნაიარევი, ნაწიბური, ფუფხი, დაკენკილი სახე, დამახინჯებული ფეხი დარჩა სამახსოვ-როდ, ის მაინც ცოცხლობდა, რადგან ბაქტერიასავით შემგუებელი იყო და ტკიპასავით ამტანი – იმ ტკიპასავით, ხის ტოტზე რომ მოყუჩებულა და ჯერ კიდევ წინა წელს გამოწოვილი სისხლის პაწაწკინტელა წვეთით იკვებება.

სხეულისათვის საკვებისა და სამოსის მეტად მწირი რაოდენობა სჭირდე-ბოდა, სულისათვის კი არ სჭირდებოდა არაფერი. უსაფრთხოება, ყურადღება, სინაზე, სიყვარული და ყველაფერი მსგავსი, რაც ვითომდა, ბავშვებს სჭირდებათ, გრენუისათვის რულიად ზედმეტი ბარგი იყო. მეტიც, ისე ჩანდა, მან დასაბამიდან უარი თქვა ყოველივეზე – იმთავითვე – რათა ეცოცხლა.

ძახილი, რომლითაც თავის დაბადება განაცხადა – ძახილი თევზის დასახ-არისხებელი მაგიდის ქვემოდან, რითაც მშობელი დედა ეშაფოტთან მიიყვანა, არ იყო შეუცნობელი ძახილი თანაგრძნობასა და სიყვარულზე, არამედ გაც-ნობიერებული – მეტიც, კინაღამ წამოგვცდა, გააზრებული-თქო, – რითაც ახალშობილი მთელი შეუპოვრობით ილაშქრებდა სიყვარულის წინააღმდეგ; სიცოცხლისათვის, ოღონდ – სიყვარულის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, ერთ-ერთი ამ ორიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ მეორის გამორიცხვის შედეგად, და გრენუის რომ მოეთხოვა ყველაფერი ერთად, უცილობლად დაიღუპებოდა, დაიღუპებოდა ყოვლად საბრალობლად. თუმცა... მისთვის მინიჭებული მეორე შესაძლებლობის გამოყენებაც ხომ შეეძლო – დადუმებუ-ლიყო და დაბადებიდან სიკვდილამდე ის გზა აერჩია, ცხოვრებას რომ გვერდს უვლის – ამით როგორც ქვეყანას, ისე საკუთარ თავსაც დიდ ბოროტებას

აარიდებდა. ოღონდ ეგაა, არყოფნაში ასე უხმაუროდ წასასვლელად თანდაყოლილი გულითადობის თუნდაც ცინცხალი იყო საჭირო – ანუ ის, რაც მას არ გააჩნდა. თავიდანვე ურჩხული იყო და სიცოცხლესაც მხოლოდ სიჯიუტისა და ღვარძლიანობის გამოისობით მისცა ხმა.

თავისთავად გასაგებია, მან ეს გადაწყვეტილება მიიღო არა როგორც ზრდასრულმა ადამიანმა, რომელიც ასე თუ ისე, გონებითა და გამოცდილებით საზღვრავს — ორი პერსპექტივიდან რომელი აირჩიოს; და მაინც, გააკეთა არჩევანი, გააკეთა ვეგეტატიურ დონეზე, ასე ვთქვათ, მცენარეულად – ისე, როგორც ამას მარცვალი შვება: ამოუშვას ყლორტი, თუ გაუღვივებელი დარჩეს; ან როგორც ის ტკიპა ხეზე, რომელსაც სიცოცხლე, ზამთრის გადატანის გარდა, არაფერს სთავაზობს; პატარა, მახინჯი ტკიპა თავის ლეგატყვიისფერ სხეულს ბურთულად ახვევს, რათა გარე სამყაროს რაც შეიძლება მცირე ზედაპირი მიუშვიროს; საკუთარ ტყავს სქელსა და პრიალას ხდის, რათა გარეთ არ გაექცეს არაფერი – არა სითბო, არა ანაორთქლი. ტკიპა საკუთარ თავს პატარას და შეუმჩნეველს ხდის – რათა არავინ შეარჩნიოს და არ მიაჭყლიტოს. მარტოხელა, თავისთავში ჩაძირული, ზის თავის ხეზე – ბრმა, ყრუ, მუნჯი და მხოლოდ ეძიებს, წლობით ეძიებს მოშორებით ჩავლილი ცოცხალი არსებების სისხლის სუნს – არსებებისა, რომელთაც ვერასოდეს დაეწევა. ტკიპას შეეძლო ჩამოვარდნის უფლება მიეცა თავისათვის, ნეშომპალაზე დაცემულიყო, გახოხებულიყო რამდენიმე კილომეტრით აქეთ ან იქით, ჩაფლულიყო გამხმარ ფოთლებში – სასიკვდილოდ გადაედო თავი და არავისაც არ დაენანებოდა, ღმერთმა ხომ იცის – არავის. მაგრამ ტკიპა – ჯიუტი, უდრეკი და საძაგელი, მიიყუჟა, და ცოცხლობს, და ელოდება; ელოდება – ვიდრე სრულიად არასავარაუდო ვითარება, ზუსტად მისი ხის ძირში, რომელიმე ცხოველის სახით სისხლს არ მოუვლენს. მხოლოდ მაშინ ანებებს თავს მალვას, ვარდება, და ეჭიდება, და ეწებება, და ეხრახნება ამ უცხო სხეულს...

სწორედ ასეთის რამ ტკიპა იყო პატარა გრენუი. ცხოვრობდა საკუთარ გარსში გამოყუდული, უკეთესი დროების მოლოდინში. არცა ღიმილს, არცა ყვირილს, არცა თვალების ციალს და არცა სუნს – სრულიად არაფერს არ გასცემდა გარესამყაროს, საკუთარი უწმინდურებების გარდა. მადამ გაიარის ადგილას ნებისმიერი სხვა ქალი თავიდან მოიშორებდა ამ ბავშვს, მაგრამ ქალბატონ გაიარს ხომ ყნოსვა არ ჰქონდა, ვერც კი გრძნობდა, რომ ბავშვს სუნი არ ასდის და არც არავითარ სულიერ მოქცევას არ ელოდა მისგან, ვინაიდან მისივე სული სამუდამოდ დაეხშო განგებას.

სამაგიეროდ, სხვა ბავშვებს მაშინვე ტანმა უგრძნოთ, რომ გრენუის ყველაფერი რიგზე ვერ ჰქონდა. ახალმოსული რაღაც გაურკვეველ, პირველყოფილ ზაფრას იწვევდა მათში; ყოველთვის გვერდს უვლიდნენ მის საწოლს და თავიანთ ქვეშაგებშიც ისე მჭიდროდ იწვნენ და ეკვროდნენ ერთმანეთს, თითქოს ოთახში საცივემ იმატაო. უფრო პატარებს ისიც ეჩვენებოდათ, გამჭოლი ქარი უბერავსო და ტიროდნენ. სხვებს ესიზმრებოდათ, რომ გრენუი მათ სუნთქვას ართმევს. ერთხელაც, მოზრდილებმა მისი დახრჩობა გადაწყვიტეს და სახეზე ნაჭრები, საბნები და თივაც კი დააყარეს. დილით, როდესაც ქალბატონმა გაიარმა გამოათრია იგი ამ გროვიდან, გრენუი – დაჩეჩქვილი,

დალურჯებული, ნატანჯი, მაგრამ მაინც ცოცხალი იყო. ბავშვებმა კიდევ ორ-სამჯერ სცადეს მსგავსი რამ, მაგრამ ამაოდ. საკუთარი ხელებით რომ მოეშთოთ, ცხვირი და პირი აეკრათ – რაც უფრო სანდო ხერხი იქნებოდა – თავს არიდებდნენ. მიკარება არ უნდოდათ, რადგან მათში ის ზიზღს იწვევდა — ამაზრზენი ობობასავით, რომლის გაჭყლეტაც ასევე ამაზრზენია.

მერე გრენუი მოიზარდა და ბავშვებმაც მსგავს გამოხდომებზე ხელი აიღეს; თითქოს შეიგნეს, რომ ამგვარად მას ვერ მოსპობდნენ. ახლა უბრალოდ, გაურბოდნენ – მიკარებას, შეხებასაც კი ერიდებოდნენ. მათ იგი სძულდათ, არც ეჭვიანობდნენ და არც შურდათ მისი: მსგავსი გრძნობებისათვის მადამ გაიარის სახლში, სიმართლე ითქვას, არც არავითარი საბაბი არ მოიძებნებოდა. ოღონდ ბორკავდათ კია მისი თანყოფნა, მის სუნს ვერ იღებდნენ და ეშინოდათ მისი...

5.

ამასთანავე, უცხო თვალისთვის საშინელი მასში არაფერი იყო: ყმაწვილობაში არც იმდენად მაღალი ჩანდა და არც იმდენად ძალოვანი; მახინჯი, მაგრამ არც ისეთი, მის დანახვას ვინმე შეეძრწუნებინა. არც აგრესიული იყო, არც ლაქუცა, არც ცბიერი და არც ყელზე ადგებოდა ვინმეს. მუდამ განზე დგომა ერჩია. თითქოს არც გონება უჭრიდა ისე, კაცს ეშმაკეული ეხსენებინა. პირველად მხოლოდ სამი წლისამ გაიარა ორივე ფეხზე; პირველი სიტყვა ოთხისამ წარმოთქვა: *თევზებიო* – ექოსავით აღმოხდა უცაბედად წამოგზნებულს, როდესაც შარონის ქუჩაზე, შორი გზიდან ჩამოსული თევზით მოვაჭრე გამოჩნდა და მაღალი ხმით იწყო თავისი საქონლის ქება. შემდეგი სიტყვები, რომლებიც მან ამოღერღა, იყო: 'ბალბიფოთლა', 'თხის ბაგა', 'მწნილი კომბოსტო' და 'ბუა-ჟაკი' (*მშვიდობისმცემელთა დედათა მონასტრის* მებაღეს შეკედლებული ერთი უპოვარის მეტსახელი, რომელსაც მადამ გაიარი ქირაობდა ხოლმე ყველაზე მძიმე სამუშაოსათვის და რომელიც იმითი იყო ცნობილი, რომ სიცოცხლეში ტანი არასოდეს დაებანა). რაც შეეხება ზმნებს, ზედსართავ სახელებსა და ზმნიზედებს, გრენუი მათ, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ცნობდა. '*კი*' და '*არა*'-ს გარდა მხოლოდ საყრდენ სიტყვებს იყენებდა, ძირითადად საკუთარ ან ამა თუ იმ საგნების სახელებს – მცენარეების, ცხოველების, ადამიანებისა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მისი ყნოსვის არეში ხვდებოდნენ.

მარტისთვის თბილი მზის ქვეშ, ლღობისაგან ატკაცუნებულ წიფლის მორების გროვაზე მჯდომმა, პირველად წარმოთქვა სიტყვა 'შეშა'. აქამდე ასჯერ მაინც უნახავს შეშა, გაუგონია ეს სიტყვა, მშინვლელობაც კი ესმოდა მისი: ხშირად გაუგზავნიათ ზამთრობით შეშის მოსატანად, მაგრამ თავად საგანი – *შეშა* – არანაირად არ მიაჩნდა იმდენად საინტერესოდ, მისი სახელი წარმოეთქვა. ეს სწორედ მარტის დღეს მოხდა, როდესაც იმ ხორაზე იჯდა. მორები თაკარად იყო დაწყობილი ქალბატონ გაიარის ფარდულის კედელთან,

ცერად გადმოწეული ჩარდახის ქვეშ. ზემოთა მორებს ცხელი და ტკბილი სუნი ასდიოდა, ხორის სიღრმიდანაც ხავსის რბილი სურნელი აღწევდა, ხოლო ფარდულის ფიჭვის კედლიდან ფისის ანაორთქლის თბილი ნაკადი მოიწევდა.

იჯდა გრენუი შეშაზე, ფეხები გან-გან გაეშალა, ხოლო ზურგი ფარდულის კედლისათვის მიებჯინა; თვალები დახუჭული ჰქონდა და წარბსაც არ ატოკებდა. არაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა და ვერც გრძნობდა ვერაფერს. უბრალოდ, ისუნთქავდა ხის სუნს – ბოლქვებად რომ იდგა მის გარშემო, ზემოთ იწევდა და ჩარდახის ქვეშ გროვდებოდა. სვამდა ამ სურნელს, იძირებოდა მასში, იჟღინთებოდა სხეულის ყველაზე შიდა ფორებამდე, თვითონ ხდებოდა ხის ნაწილი; იწვა ხის ხორაზე ხის თოჯინა – პინოქიო, მკვდარივით, ვიდრე კაი ხნის, ალბათ ნახევარი საათის შემდეგ, არ ამოღერღა სიტყვა „შეშა“, – ისე, თითქოს თავად იყო სავსე შეშით, ყელამდე იყო შეშით გამაძღარი; თითქოს მუცელი, ყელი, ცხვირი, ამოვსებული ჰქონდა შეშით – და ლამის ამოაღებინა ეს სიტყვა.

სწორედ ამან გადაარჩინა და გამოაფხიზლა; გადაარჩინა თავად ხის გამომძალავი არსისაგან, მისი სურნელისაგან, დახრჩობით რომ ემუქრებოდა. წამოიწია, ჩამოგორდა მორებიდან და წაჩანჩალდა თავისი გახევებული ფეხებით. რამდენიმე დღის შემდეგაც კი ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული იმ მძაფრი ყნოსვითი შთაბეჭდილების გამო და როდესაც მოგონება ახალი ძალით ამოუტივტივდებოდა ხოლმე, თავისთვის ბუტბუტებდა, შელოცვასავით: ‘*შეშა, შეშა...*’.

ასე სწავლობდა ლაპარაკს. სიტყვებისადმი, რომლებიც უსუნო საგნებს აღნიშნავდნენ – ანუ აბსტრაქტულ, უმთავრესად კი ქცევითსა და ზნეობრივ ცნებებზე, გართულება ჰქონდა: ვერ იმახსოვრებდა და ხმარების დროს ერთმანეთში ურევდა ხოლმე. შემდგომშიც, როდესაც დაკაცდა, უხალისოდ და ხშირად არასწორად ხმარობდა: უფლება, სინდისი, ღმერთი, სიხარული, პასუხისმგებლობა, თავმდაბლობა, მადლიერება – ყველა ესენი მისთვის ბინდით იყო მოცული და ვერც ის შეეგნო ბოლომდე, რაც ამ სიტყვებით უნდა გამოიხატოს. მეორეს მხრივ, საყველპურო ენაც მალე უკმარისი გახდა, რათა ყველა ის საგანი აღენიშნა, რომელიც მას მხოლოდ ყნოსვით წარმოდგენებად ჰქონდა გათავისებული. ის უკვე ყნოსვით არჩევდა არამარტო შეშას, არამედ მის ჯიშებსაც: წიფელი, მუხა, ფიჭვი, თელა, მსხალი; ძველი შეშა, ახალი, გამოფიტული, დამპალი; ყნოსვითვე არჩევდა ცალკეულ ნამორებს, ნაფოტებს, ნახერხს – და არჩევდა უკეთ, ვიდრე სხვები თვალით გაარჩევდნენ. და იგივე ხდებოდა, კაცმა რომ თქვას, სხვა საგნების მიმართაც.

ის, რომ თეთრი სასმელი, რომელსაც ქალბატონი გაიარი დღეყოველ ურიგებდა თავის აღსაზრდელებს და რასაც ყოველთვის რძე ერქვა, გრენუის მიერ მუდამ სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა როგორც სუნით, ისე გემოთი – ხან ცხელი იყო, ხან ცივი; ხან ერთი ძროხის, ხან მეორის; ხან მეტი ნაღები ჰქონდა მოხდილი, ხან ნაკლები... ის, რომ ბუხრის კვამლი ყოველ წუთს, მეტიც — ყოველ წამს სუნთა ათეულობით ახალ ნაზავს ავრცელებდა და სურნელის ახალ-ახალ ერთეულად ერთიანდებოდა, ოღონდ ამ კვამლს მაინც

მხოლოდ ერთი სახელი – „კვამლი“ ჰქონდა; ის რომ მიწა, სანახები, გარემო – ის, რაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ყოველი შესუნთქვისას, ახალ-ახალი სურნელით ივსებოდა და სულ სხვა აღსანიშნით ცოცხლდებოდა, უნდა დაგესახელებინა სამი, სამად-სამი მოუქნელი სიტყვით – მთელი ეს შეუსაბამობა ყნოსვით აღქმული სამყაროს სიმდიდრესა და ენის სიღატაკეს შორის პატარა გრენუის აიძულებდა, სწორედ რომ თავად ენის საფუძვლიანობაში შეეტანა ეჭვი. ამიტომაც, სიტყვიერ გამოხატულებამდე მხოლოდ მაშინ დამდაბლდებოდა ხოლმე, როდესაც ეს უცილობელი იყო, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

ექვსი წლისათვის, ყნოსვით ჰქონდა შესწავლილი გარე სამყარო. არ იყო არა ნივთი მადამ გაიარის სახლში, შარონის ქუჩის ჩრდილო ნაწილში არ მოიძებნებოდა არც ადგილი, არცა ადამიანი, არც ქვა, ხე, ბუჩქი თუ მესერი, არც ერთი, თუნდაც სულ პატარა შუკა, რომელსაც ყნოსვით ვერც იცნობდა და მახსოვრობაში არ ექნებოდა შემონახული მთელი თავისი განუმეორებლობით. მოაგროვა ათი, ან იქნებ ასი ათასი სპეციფიური, თავისებურად განუმეორებელი სუნი და ისე ცხადად, ისე ცოცხლად ჰქონდა დანარჩუნებული, რომ არა მხოლოდ იხსენებდა მათ — თუკი ხელახლად შეიგრძნობდა სადმე — არამედ მაშინვე შეიგრძნობდა, როცა კი იხსენებდა. უფრო მეტიც, შეეძლო საკუთარ წარმოსახვაში ახლებურად შეეერთებინა ისინი, და ამრიგად სურნელების ისეთი კონა შეექმნა, ბუნებაში საერთოდ რომ არც არსებობდა.

უზარმაზარი ლექსიკონის პატრონივით, გრენუის შეეძლო მრავალი სუნისაგან ნებისმიერი რაოდენობის ახალი ფრაზები შეექმნა და ეს იმ ასაკში, როდესაც სხვა ბავშვები ძლივ-ძლივობით არჩევენ საჭირო სიტყვებს და მარტივ, მოკლე წინადადებებს ტიტინებენ, რაც სრულიად არაა საკმარისი ქვეყნიერების აღწერისათვის. ყველაზე ზუსტი იქნებოდა გრენუის შედარება ვინმე ვუნდერკინდ მუსიკოსთან, რომელსაც გარკვეული მელოდიიდან თუ ჰარმონიიდან ამოუჩხრეკია ცალკეული ხმების ანბანი და უკვე თავად თხზავს ახალ-ახალ მელოდიებსა და ქმნის ჰარმონიებს — ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ სუნის ანბანი გაცილებით დიდი და მრავალმხრივია, ვიდრე მუსიკის, და კიდევ იმით, რომ ვუნდერკინდ გრენუის შემოქმედებითი მოღვაწეობა მხოლოდ მასშივე თამაშდებოდა და ვერავინ, მისსავე გარდა, ვერაფერს ამჩნევდა.

გარეგნულად, სულ უფრო და უფრო იკეტებოდა თავისთავში. სენ-ანტუანის გარეუბნის ჩრდილო ნაწილში დაწანწალებდა, დაძვრებოდა ბაღებში, მინდვრებში, ვენახებში. ხანდახან იქვე ეძინა: გაქრებოდა ხოლმე რამდენიმე დღით და იმ სასჯელს, რომელსაც დაადებდნენ, ხმისამოუღებლად იტანდა. სარდაფში გამოკეტვას, მშივრად დატოვებას, დამატებით მისჯილ სამუშაოს – არაფერს არ შეეძლო მისი ქცევის შეცვლა. ვერც *ღვთისშშობლის ნეტარი მძინების* ეკლესიის სამწყსო სკოლის შიგადაშიგ მონახულებამაც (სრული წელიწად-ნახევრის განმავლობაში) ვერავითარი შესამჩნევი კვალი ვერ დაატყო. ჩამარცვლით კითხვისა და საკუთარი სახელის დაწერის გარდა არაფერი უსწავლია. მღვდელსაც, უბრალოდ, ერთ ჭკუასუსტ ღვთისშვილად მიაჩნდა. სამაგიეროდ, მადამ გაიარმა შეამჩნია გრენუის უჩვეულო — თუ არ ვიტყოდით ზებუნებრივი — უნარი და თვისებები; თუნდაც ის, რომ სრულიად

არ გააჩნდა ღამისა და სიბნელის ბავშვური შიში. ყოველთვის და ყოველ საქმეზე შეიძლებოდა მისი ჩაგზავნა სარდაფში, სადაც სხვა ბავშვები ჩახედვასაც კი ძლივს ბედავდნენ; ან ნებისმიერ შავბნელ ღამეს შეშის მოსატანად ფარდულიდან; თან არასოდეს მიჰქონდა სანათური და მაინც ზუსტად პოულობდა და მაშინვე მოჰქონდა საჭირო ნივთი. არასოდეს აკეთებდა ზედმეტ მოძრაობებს, არ ბორძიკობდა და არც არასოდეს არაფერი გადაუყირავებია. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ გრენუის, როგორც ქ-ნმა გაიარმა შეატყო, ქაღალდის, ფიცრულის, მოხურული კარის, მტკიცედ ნაგები ქვის კედლების მიღმა ხედვაც შეეძლო: არც შეიხედავდა, ისე მოგახსენებდათ, აღსაზრდელებიდან იმ დროს ვინ იმყოფებოდა საძინებელში. ყვავილოვანი კომბოსტოს თავში რომ ლოქორა იმალებოდა, მან ამ თავის გაჩეხვამდე იცოდა; ხოლო ერთხელ, როცა ქალბატონმა გაიარმა ისე კარგად დამალა ფული, მერე თავადაც ვეღარ მიაკვლია, გრენუიმ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიათითა საკვამურის უკანა მხარეს და წარმოიდგინეთ – ფული სწორედ იქ აღმოჩნდა! მომავლის წინასწარმეტყველებაც შეეძლო: ხდებოდა ხოლმე, ვინმეს სტუმრობას მის მოსვლამდე კარგა ხნით ადრე მოახსენებდა, ანდა უშეცდომოდ გამოიცნობდა წვიმისა და ჭექა-ქუხილის მოახლოებას ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცაზე ღრუბლის ფთილიც არსად მოჩანდა.

არადა, რომ ყველაფერს ამას ის კი ვერ ხედავდა, არამედ სულ უფრო და უფრო მკაფიოდ შეიგრძნობდა ყნოსვით – ლოქორას კომბოსტოში, ფულს საკვამურის მიღმა, ადამიანს კედლის იქითა მხარეს თუ რამდენიმე კვარტლის სიშორიდან – ქალბატონი გაიარი სიზმრადაც კი ვერ ისიზმრებდა, მაშინაც კი, მისი ყნოსვა საჩხრეკის დარტყმას რომ არ დაეზიანებინა; დარწმუნებული გახლდათ, რომ ბავშვს – ჭკუასუსტი იყო თუ არა – სხვა, მეორე სახეც ჰქონდა; ხოლო რამდენადაც დანამდვილებით იცოდა, რომ ორსახოვნებას უბედურება და სიკვდილი მოაქვს, საბრალო ქალი ძრწოლამ შეიპყრო.

რაღა თქმა უნდა, ასევე სრულიად აუტანელი იყო იმის გაფიქრებაც, რომ მასთან ერთად, მის ჭერქვეშ ცხოვრობს ვინმე, ვისაც აქვს ნიჭი კედლებსა და ტიხრებს მიღმა დაინახოს გულმოდგინედ დამალული ფული... და როგორც კი გრენუის ეს თვისება აღმოუჩინა, მაშინვე მისი თავიდან მოშორება ჩაიდო გულში. ყველაფერი შესანიშნავად აეწყო: ზუსტად იმ ხანებში – გრენუი რვა წლისა იქნებოდა — სენ-მერის მონასტერმა გაუგებარი მიზეზის გამო შეწყვიტა ყოველწლიური შესატანის გადახდა. ქ-მა გაიარმა არც შეახსენა მონასტერს დავალიანება, წესისა და რიგის დაცვით ერთი კვირა აცალა, მერე ჩაავლო ბავშვს ხელი და ქალაქს მიაშურა.

მორტერლის ქუჩაზე, მდინარის შორიახლოს, ერთი მისი ნაცნობი დაბაღი ცხოვრობდა, სახელად გრიმალი, რომელსაც მუდმივად სჭირდებოდა ბიჭუნები – და არა იმისთვის, მოწაფედ თუ შეგირდად აეყვანა; უბრალოდ, იაფ მუშახელს ეძებდა შავი სამუშაოსათვის. ეს ხელობა ხომ სიცოცხლისათვის საშიშ საქმიანობის შესრულებასაც ითხოვს – ეს პირუტყვის შემპალი ტყავის გაფხეკვაო, ეს შხამიანი სათრიმლავი და საღები სითხეების შერევაო, მძაფრი შესაწამლების გამოყვანაო – ამიტომაც წესიერ ხელოსანს მუდამ ენანებოდა თავისი უკვე გამოწვრთნილი დამხმარეების ასეთ საქმეზე მიშვება და ჯერიჯერზე ქირაობდა ხოლმე უმუშევარ მაწანწალებს ან უპატრონო ბავშვებს,

რომელთა ამბის გამკითხავი, უბედურების შემთხვევაში, კაცი არ იყო. ქალბატონმა გაიარმა, რასაკვირველია, იცოდა, რომ გრიმალის სათრიმლავში გრენუის, ადამიანური საზომით, გადარჩენის შანსი არ ჰქონდა; იცოდა, მაგრამ ისეთი ქალი არ იყო, მსგავს რამეებზე ფიქრით აეტკივა თავი. ვალი მოიხადა, ჩვილი გამოზარდა და აწი, რაც უნდა მოსვლოდა ბავშვს შემდგომში, მას უკვე აღარ მოეკითხებოდა. გადარჩება – კარგია, მოკვდება – ეგეც არაფერი; მთავარია, ყველაფერი კანონის მიხედვით იყოს. ამიტომაც გამოართვა ბატონ გრიმალს ბავშვის გადაცემაზე ხელწერილი, თვითონაც მოუწერა ხელი საკომისიო თხუთმეტი ფრანკის მიღებაზე და სახლში, შარონის ქუჩაზე დაბრუნდა.

უნდა ითქვას, ქალბატონი გაიარი არავითარ სინიდისის ქენჯნას არ გრძნობდა. პირიქით, დარწმუნებული იყო, არა მარტო კანონიერად, სამართლიანადაც მოვიქეციო: იმ ბავშვის ყოფნა თავშესაფარში, რომლისთვისაც ფულს არავინ იხდის, მხოლოდ სხვა ბავშვების ხარჯზე, ან მის საკუთარ ხარჯზე იქნებოდა შესაძლებელი და ეს უკვე არა მარტო სხვა ბავშვების, თვით მის საკუთარ მომავალსაც ემუქრებოდა — იმ პირად, საკუთრად, კერძოდ სიკვდილს – იმ ერთადერთ რაიმეს, რისი სურვილიც ჯერ კიდევ შემორჩენოდა ცხოვრებაში.

ვინაიდან სწორედ აქ უნდა დავცილდეთ ქალბატონ გაიარს და მეტად ველარც შევხვდებით ჩვენს მონათხრობში, რამდენიმე სიტყვით მაინც გეტყვით მისი უკანასკნელი დღეების ამბებს. სულიერად ბავშვობაშივე მკვდარმა, ხორციელად, მისსავე საუბედუროდ, ღრმა სიბერემდე იცოცხლა. ქრისტეშობიდან 1782 წელს, ზაფხულში, მეშვიდე ათეულს მიტანებულმა, მიატოვა თავისი ხელობა და როგორც იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რენტა შეისყიდა. იჯდა თავის ერთი ციცქნა სახლში, სიკვდილს ელოდა და განა რა მანქანებით წარმოიდგენდა, თუ მის მაგივრად მოვიდოდა ისეთი რამ, რისი გამოთვლაც ქვეყნად არავის შეეძლო, რაც ჯერ არასოდეს მომხდარიყო ამ ქვეყნად! რევოლუცია – ესე იგი, სასწაულებრივი სისწრაფით მომხდარი ძირფესვიანი ცვლილებები – საზოგადოებრივ, მორალურ, ტრანსცენდენტურ ურთიერთობებში... თავდაპირველად, ეს რევოლუცია ქალბატონ გაიარის პირად ბედიღბალზე არავითარ გავლენას არ ახდენდა; შემდგომ, ოთხმოცს რომ მიუკაკუნა, გამოირკვა – ის კაცი, რომელიც რენტას უხდიდა, გაღატაკდა და იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო, ხოლო მისი ქონება ვინმე შარვლების ფაბრიკანტმა იყიდა აუქციონზე. საკმაო ხანს ისე სჩანდა, ვითარების ასეთი ცვლილება ქალბატონ გაიარისათვის საბედისწერო ვერანაირად ვერ იქნებოდა, ვინაიდან ზემოხსენებული ფაბრიკანტი, თავის მხრივ, პატიოსნად უხდიდა რენტას; მაგრამ დადგა დღე, როდესაც ფულმა ლითონის მონეტების მაგივრად ქაღალდის პატარა ფურცლების სახე მიიღო და ეს უკვე მისი მატერიალური დასასრულის საწყისად იქცა...

ორი წლის შემდეგ რენტა შეშის საფასურის გადასახდელადაც აღარ კმაროდა. ქალბატონი გაიარი იძულებული შეიქნა, შეუსაბამოდ მცირე ფასად გაეყიდა სახლი, ვინაიდან მის გარდა ათასობით აღმოჩნდა სხვა, ვისაც ასევე სახლის გაყიდვა მოუხდა, ხოლო საფასურად ისევ ეს უმაქნისი ქაღალდები მიიღო; კიდევ ორი წლის შემდგომ აღარც ამ ქაღალდებს ჰქონდა ფასი და

1797 წელს – უკვე ლამის ოთხმოცდაათისა გახლდათ – ამდენი ხნის შრომით, ნამცეც-ნამცეც ნაგროვები მთელი თავისი ქონება დაელია. ბოლოს კოკიის ქუჩაზე, საქათმისხელა მიწურში ცხოვრობდა და მხოლოდღა მაშინ, ათი თუ ოცი წლის დაგვიანებით ესტუმრა სიკვდილი: მოვიდა სიმსივნის სახით — ავადობამ ჯერ ყელში წაუჭირა, ჭამის მადა დააკარგვინა, შემდეგ ხმაც. ასე რომ, უარის თქმაც აღარ შეეძლო, როდესაც ოტელ-დიეს თავშესაფარში აგზავნიდნენ. იქ იმავე, ასობით მომაკვდავით გამოჭედილ პალატაში მოათავსეს, სადაც თავის დროს მისმა ქმარმა მიაბარა სული უფალს: საერთო საწოლში ჩააწვინეს, ხუთ სრულიად უცხო დედაბერთან და სამი კვირით დატოვეს იქ, საერთო-სახალხოდ სასიკვდილოდ. შემდეგ კი ტომარაში გამოკერეს, დილის ოთხ საათზე, ორმოცდაათ სხვა გვამთან ერთად საზიდარზე დააგდეს და ეჟვნების წკარუნის თანხლებით წაიღეს ახალ სასაფლაოზე, კლემარში, ქალაქის კარიდან მოშორებით. იქ, საერთო საფლავში, გამოუმწვარი კირის სქელი ფენის ქვეშ ჩააწვინეს, სამუდამოდ განსასვენებლად.

ეს 1799 წელს მოხდა. მადლობა უფალს, მას არ ჰქონია საკუთარი ბედიღბლის რაიმე წინათგრძნობა, სახლში რომ ბრუნდებოდა 1747 წლის იმ ავბედით დღეს – როდესაც მან ყრმა გრენუი და ჩვენი თხრობა დატოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ საერთოდ დაკარგავდა სამართლიანობის რწმენას – ანუ ამქვეყნიური ყოფის მისთვის მისაწვდომ ერთადერთ საზრისს.

6.

პირველივე მზერით, რომელიც მან ბატონ გრიმალს მიაპყრო – არა, პირველივე ალღოიანი შესუნთქვით, რომლითაც გრიმალის სუნი შეიყნოსა – გრენუი მიხვდა, ამ ადამიანს შეეძლო ცემით მიესიკვდილებია თუნდაც სულ უმცირესი დაუდევრობისათვის. ახლა მისი სიცოცხლე ზუსტად იმდენი ღირდა, რამდენიც მისი სამუშაო, ანუ მისი სიცოცხლე მხოლოდ იმ სარგებლობას უთანასწორდებოდა, რომლითაც მას გრიმალი ზომავდა; და გრენუიც მორჩილად გაწვა პატრონის ფეხებთან, თავის წამოწევის მცდელობაც რომ არ ჰქონია, ისე. დღიდან დღემდე იხშობდა საკუთარი სიჯიუტისა და ჭირვეულობის მთელ ენერგიას და ზემოხსენებულ ტკიპასავით მხოლოდ იმისთვის იყენებდა, როგორმე გამყინვარების ეს პერიოდი გადაეტანა: მოთმინებით, თავმდაბლობით, შეუმჩნევლად – რათა სიცოცხლის იმედის ნაპერწკალი შეენარჩუნებინა – მინავლებულ, ოღონდაც გულმოდგინედ ნაცარმიყრილ ნაკვერჩხალზე. გრენუი ახლა მორჩილების, შრომისმოყვარეობისა და უმცირესით კმაყოფის უებრო მაგალითი გახდა. ყოველ ბრძანებას სულმოუთქმელად ასრულებდა, ყოველგვარ საკვებზე ყაბულს იყო. საღამოობით უსიტყვოდ თანხმდებოდა სადაბაღოს გვერდზე მიშენებულ საკუჭნაოში ჩაკეტვას, სადაც სახელოსნო იარაღები ეწყო და დამარილებელი ტყავები ეკიდა. იქ ეძინა, დაბეკნილი მიწის იატაკზე. კვირიდან კვირამდე მუშაობდა, დილიდან გვიან ღამემდე, ზამთარში – რვა, ზაფხულში – თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი საათიც კი: ფხეკდა აყროლებულ ტყავებს, წყალში ალბობდა, ბალანს აგლე-

ჯდა, კირს უსვამდა, შაბით ჟღენთავდა; აპობდა შეშას, ქერქს აცლიდა არყსა და ურთხელს, ჩადიოდა სათრიმლავ ორმოებში, მუდამ საზიზღარი ანაორთქლით რომ იყო სავსე; შეგირდების ბრძანებით ფენებად აწყობდა ტყავებს, აფანტავდა მელნის დაჭყლეტილ ბურთულებს, მერე ამ შემზარავ ნაზავს ურთხელის ტოტებსა და მიწას აყრიდა... რამდენიმე წლის შემდეგ იძულებული იყო ისევ ამოეთხარა ეს ორმოები და თითქმის უკვე გათრიმლული, მუმიფიცირებული ტყავები ამოეთრია. თუ ტყავებს არ მარხავდა და არ თხრიდა, მაშინ წყალს ეზიდებოდა, თვეობით ეზიდებოდა, მდინარიდან ზემოთ, სახელოსნომდე. ყოველთვის ორი სათლით, ასობით სათლში დღეში, ვინაიდან ტყავის დამუშავებას უამრავი წყალი სჭირდება: დასარეცხად, დასალბობად, გამოსახარშად, შესაღებად. თვეობით მუშაობდა ასე, მეთულუხჩედ, უკანასკნელ ძაფამდე ილუმპებოდა და საღამოობით ტანსაცმლიდან წურწურით ჩამოსდიოდა ხოლმე წყალი, ხოლო კანი ცივი ჰქონდა და ლბილი, ნატივით.

ამგვარი – უფრო პირუტყვული, ვინემ ადამიანური არსებობის წლისთავზე ჯილეხით დაავადდა, მეტყავეების ამ სასტიკი დაავადებით, რომლის დასასრულიც, უმეტესწილად, მხოლოდ სიკვდილია. გრიმალმა ხელი ჩაიქნია და მის შემცვლელს დაუწყო ძებნა, თუმცა კი ერთვარი სინანულით, ვინაიდან არასოდეს ჰყოლია გრენუიზე უფრო დამჯერე და მონდომებული მესაქმე. მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გრენუი გადარჩა. ოღონდ დიდი, შავი ნახეთქებისაგან ნაწიბურები დარჩა კისერზე, ღაწვებსა და ყურებს უკან, რამაც კიდევ უფრო დაამახინჯა და ადრინდელზე უსიამო შესახედი გახადა. სამაგიეროდ, დარჩა ფასდაუდებელი უპირატესობა – იმუნიტეტი ჯილეხის წყლულის მიმართ; ასე რომ, ახლა დახეთქილი და სისხლმდინარი თითებითაც უშიშრად შეეძლო ყველაზე ცუდი ტყავების დამუშავება, ხოლო რადგან მისი შეცვლა აღარ იყო ასე ადვილი, მისი სამუშაოსა და, აქედან გამომდინარე, მისი სიცოცხლის საფასურიც გაიზარდა. მოულოდნელად, უფლება მისცეს შიშველ მიწაზე აღარ დაეძინა, თავისივე ხელით გაეკეთებინა ხის საწოლი ფარდულში, ზედ თივა დაეყარა და ძველი საბანი დაეფარებინა. ღამღამობით აღარ კეტავდნენ და საკვებიც უფრო ასატანი გახდა. გრიმალი მას უკვე არა როგორც უბრალოდ პირუტყვს, არამედ როგორც სასარგებლო შინაურ პირუტყვს, ისე ექცეოდა.

როდესაც გრენუის თორმეტი წელი შეუსრულდა, გრიმალმა კვირაობით, ნახევარი დღით, მისი სამუშაოდან დათხოვნა დაიწყო; ხოლო ცამეტისას უფლება მისცეს სადაგ დღეებშიც, სამუშაოს შემდეგ, ერთი საათით გასულიყო ქუჩაში და თავის ჭკუაზე ევლო აღმა-დაღმა. მან გაიმარჯვა, ვინაიდან ცოცხალი დარჩა და გარკვეულწილად უფლებაც მიიღო, საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრა. გადაიარა გამყინვარების ხანამ. ტკიპა გრენუი ისევ გამოცოცხლდა, დილის ჰაერს იყნოსავდა და მასში მონადირის ინსტინქტმა გაიღვიძა. ახლა მის წინაშე ყოველგვარ სურნელთა უდიდესი ნაკრძალი – პარიზ-ქალაქი გადაშლილიყო.

7.

აი, აქ კი ზღაპარში მოხვდა თითქოს: უახლოესი, სენ-ჟაკ-დე-ლა-ბუშის უბანი და წმ. ევსტახის ეკლესიის მიმდებარე ქუჩები უკვე ზღაპარივით იყო — სენ-დენისა და სენ-მარტენის ქუჩებიდან განშტოებულ შუკებში, ხუთ-ექვს სართულიან სახლებში ხალხი ისე მჭიდროდ დაბეკნილი ცხოვრობდა, ეს სახლები კიდე ისე ახლო-ახლო წამოემართათ, მზის სხივი არ აღწევდა შიგ, ხოლო ჰაერი დამდგარი წყალივით უძრაო იყო და ათასგვარი სუნით გაჯერებული. ადამიანებისა თუ ცხოველების, კერძებისა თუ ავადობის ყროლი, სოკომოდებული ქვისა თუ დამპალი წყლის შმორი, საპნის ნახარშის, დამბალი ტყავის, ახალგამომცხვარი პურისა და ნადგამი ძმრის, ცარცით ნაპრიალები ლითონის, შალფეისა და ლუდის, ცხიმების, ცრემლებისა თუ მშრალი თივის სუნები ერთმანეთში არეულიყო; ათასობით სხვადასხვა სუნი ლავასავით ეფინებოდა ქუჩების ახოებს და სახურავების თავზეც კი იშვიათად თუ ქრებოდა, ხოლო ქვაფენილებიდან — არასოდეს. ყნოსვამოჩლუნგებული მაცხოვრებლები ერთიანად შეჩვეულიყვნენ სუნების ამ მორევს: ის მათგან იშვა და მათშივე ბუდობდა, ეს ის ჰაერი იყო, რომლითაც ოდითგანვე სუნთქავდნენ, რომელსაც ისევე მორგებოდნენ, როგორც ზედშემომდნარ ძველმან ტანსაცმელს — მას ვერც ტანზე გრძნობ, ვეღარც მის სუნს აღიქვამ.

ოღონდ გრენუისათვის ეს პირველი იყო და არათუ სრულად აღიქვამდა არომების ამ ჯარს — ახარისხებდა კიდეც, ანაწევრებდა და უმცირეს ნაწილებად თუ ნაწილაკებად შლიდა. მისი ზემგრძნობიარე ყნოსვა ოხშივრებისა და ანაორთქლების ამ ჩახლართული გორგალიდან ძაფი-ძაფად გამოათავისუფლებდა ხოლმე ძირითად, მყარ სუნებს და დიდ სიამესაც გვრიდა ამგვარი ნართის ხვევა.

ხშირად, რომელიმე სახლის კედელს მიყუდებული, ან სადმე ბნელ კუთხეში მიყუჟული, თვალმინაბული, ნესტოებდაბერილი იდგა პირღია — ღრმა, მდორე წყლების მტაცებელი თევზივით; და როდესაც ჰაერის ოდნავი შეთრთოლება თითქოსდა უწვრილესი ძაფის ბოლოს შეურხევდა ცხვირწინ, შანსს არ უშვებდა ჩაევლო, და მოეყნოსა, და შთაენთქა, და საკუთარ მეხსიერებაში დაეკონსერვებინა სამუდამოდ. ეს შეიძლება უკვე კარგად ნაცნობი სუნის რომელიმე ნაირსახეობა ყოფილიყო, ან სულაც ახალი, ჯერეთ მოუყნოსავი სუნი, რომლის წყარო არც კი იცოდა, რა შეიძლება ყოფილიყო — ვთქვათ, აბრეშუმის ახლადდანაუთოები საცვლების, ან ჩინური ჩაის, ან ვერცხლით მოსირმული დიბა-ატლასის, ბოთლის ყელიდან ახალამოძრობილი კორპის საცობის, კუს ბაკნის სავარცხლის... გრენუი ნადირობდა ამ უცხო სუნებზე, კოლექციონერის სიხელით აგროვებდა მათ და მეხსიერების თაროებზე, დანომრილებივით უჩენდა ადგილს.

მაძებრის ყნოსვა-ყნოსვით რომ გამოძღებოდა, ახლა ბაზრის მოედანს მიადგებოდა, სადაც საღამოობით მთელი დღის დანალექი ბასრი სუნები ბატონობდნენ და გრენუი ისევე *ხედავდა* მათ თავისი ცხვირით, როგორც მავანი თვალით აღიქვამდა მათი წარმოშობის წყაროს: გახვითქულ მეკურტნეებს, კვერცხებით სავსე კალათას, ღვინითა თუ ძმრით სავსე რუმბებს, კარტოფილისა და ფქვილის ტომრებს, ახალგაჭედილი ლურსმნებით სავსე ყუთს,

თევზის დახლებს, თოფებად დახვეული ნაჭრების პირამიდებს, თიხის ჭურ-ჭელს და ათასობით სხვა წვრილმანს, რაც კი დღისით გამოეტანათ გასაყიდად — და ყველაფერ ამას გრენუი უკეთ ყნოსავდა, ვიდრე სხვა დაინახავდა: ის, ასე ვთქვათ, ჰაერში დანატოვარ მათ არსს აღიქვამდა, მათს მიმქროლავ სულს, და ამ აღქმაში ადგილი აღარ რჩებოდა მათი თანმხლები უხეში მატერიალური გამოვლინებებისათვის – ხმაურის, ჯგლეთის, ყაყანის...

ანდა სულაც გრევის მოედნისაკენ გაუხვევდა ხოლმე, სადაც დედამისს წაასოსნეს თავი; იქ, სანაპიროზე, გემები, კარჭაპები და ათასი ჯურის ნავების ჯგრო ლივლივებდა, და მზით გამთბარი ქვანახშირის, და გადასატვირთი მარცვლეულის, და დაწნეხილი თივის, და გაფისული ხის, და სველი ბაგირების სუნი იდგა. აი, დასავლეთიდან კი —ქალქის მდინარით განასერი ჭრილიდან, ქარს მინდორ-ველების, ნეის მდელოების, სენ-ჟერმენისა და ვერსალის მიდამო ტყეების სუნი მოჰქონდა; და ზღვისაც — ტილოს აფრის, იოდიანი წყლის, მარილისა და ცივი მზის შორეული სუნი... მარტივი სუნი იყო, თავისთავად, ოღონდ ძლიერი და ფენოვანი, და გრენუის არც სურდა მისი დანაწევრება მარილოვანის, წყლოვანის, თევზის, წყალმცენარეების, სინოტივისა და ა.შ. ფენებად; ერჩივნა ერთიანად შეენახა, მთლიანობაში, და როდესმე სუფთა ესენციად ექცია, ყოველგვარი მინარევების გარეშე. მერე, როცა გაიგო რომ ზღვა დიდია, თვალუწვდენელი, მრავალი დღე-ღამე შეიძლება იცურო ზედ, ნაპირის დაუნახავადო, ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე — წინა ანძის ზედ კენწეროზე, სათვალთვალო კასრში ზის და ზღვის უკიდეგანო სუნში მიცურავს, — არა, სუნიც კი არაა ეს, უფრო ფშვინვა, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა, და სიამით ინთქმებოდა კიდეც ამ ნასუნთქში. ოღონდაც, არაფერი ამის მსგავსი არ ეწერა გრენუის — სენის ნაპირას, გრევის მოედანზე მდგარს არ ეწერა ენახა მართლა დიდი წყალი, დასავლეთით მდებარე ვეებერთელა ოკეანე, არ ეწერა მის სუნთქვაში გათქვეფილიყო...

წმ. ევსტახის ეკლესიის მიმდებარე უბნები ისე შეისწავლა, კუნაპეტ ღამეშიც კი ყნოსვით გაიგნებდა გზას. ამის მერე სანადირო არეალიც გაიფართოვა — ჯერ დასავლეთით, სენ-ონორეს გარეუბანი აითვისა, შემდეგ სენ-ანტუანის ქუჩას აუყვა ბოლომდე და ბოლოს მდინარის მეორე ნაპირზეც გადავიდა, სორბონის კვარტალსა და სენ-ჟერმენის მხარეს, სადაც მდიდრები სახლობდნენ. აქ ალაყაფებიდან ეტლის ტყავისა და ლაქიების დაპუდრული პარიკების სუნი გამოდიოდა, გალავანშემორტყმულ ბაღებიდან კი — ვარდების, ახალშეკრეჭილი ბუჩქებისა და შადრევნის სუნი აღწევდა. და სწორედ მაშინ მოყნოსა გრენუიმ პირველად სუნამო — ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ერთი უბრალო ლავანდისა და ვარდისწყლის სუნი იყო — ალბათ შადრევნების წყალს თუ ურევდნენ საგანგებო შემთხვევებში, მაგრამ მერე და მერე სხვანაირი, უფრო ძვირფასი შენარევების სურნელიც გაარჩია, საღამოობით ოთხცხენშებმულ ეტლებს შლეიფივით რომ გასდევდათ უკან. დიდად გასაკვირი არც მათში იყო რაიმე — ამ არომებსაც სულ იოლად იმახსოვრებდა — ოღონდ იმას კი მიაქცია ყურადღება, რომ ზოგი მათგანი სწორედაც ყურადღების მისაქცევად იყო გამიზნული, და არც მთლად უვარგისი ჩანდა.

და მაინც, გრენუისათვის ისინი ისევ და ისევ უბრალოდ განზავებულ და არა შერეულ, ანუ — თვითმყოფად ესენციებად რჩებოდა; დარწმუნებული გახლდათ, იგივე მასალებიდან თავად სრულიად სხვა, სრულიად განსხვავებულ ნელსურნელებას გამოიყვანდა. თუმცა ისიც ითქვს, გრენუისათვის ჯერ არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, *კარგი* უცხო სუნი მოსდიოდა თუ *ცუდი* — ჯერ-ჯერობით არ ჰქონდა. მისი ამ უცნაური ნადირობის მიზანი ქვეყნად არსებული ყველა ახალი, მისთვის ჯერეთ უცნობი სუნის მოყნოსვა და დამახსოვრება იყო: ცხენის ოფლის სუნი მისთვის ისევე ფასეული გახლდათ, როგორც მეწამული ვარდის კოკრისა, ტილოს მძაღე-მომწარო სუნი — იგივე რაც დიდვაჭართა სამზარეულოდან გამონადენი, ღვინოში ჩამბალი ხბოს ხორცის სუნი. გრენუი ეძებდა, პოულობდა, ნთქავდა, იწოვდა განურჩევლად, და მის მიერ შედგენილ სუნების კომბინაციებში ჯერ არავითარი ესთეტური პრინციპი არ ისახებოდა; უბრალოდ, უცნაურ ფანტაზიებს აყოლილი, წარმოსახვაში აჯვარებდა მათ და სულ ახალ-ახალ ვარიანტებს ქმნიდა, ქმნიდა და იქვე შლიდა შემადგენელ ნაწილებად, როგორც კუბებით მოთამაშე ბავშვი — ქმნიდა და ანგრევდა, ყოველგვარი შემოქმედებითი პრონციპის გარეშე.

8.

1753 წლის 1 სექტემბერს, მისი უდიდებულესობის არცთუ ისე მრგვალი თარიღის აღსანიშნად, სამეფო ხიდზე ფეიერვერკი მოეწყო. მთლად ისეთი დიდებული ვერ გახლდათ, როგორც მეფის ქორწინებისადმი მიძღვნილი, ან ის ლეგენდარული ფეიერვერკი, უფლისწულის დაბადებას რომ მიეძღვნა, და მაინც, ფრიად შთამბეჭდავი სანახაობა გამოვიდა. გემების ანძებზე „ეშმაკის ბორბლები“ ტრიალებდა, ცეცხლოვანი მხეცების გამოსახულებები ხიდიდან წყალში ვარსკვლავების წვიმას აფრქვევდნენ, გამაყრუებელი ხმაურით ფეთქდებოდა პეტარდები და ქვაფენილზე სატკაცუნოები სკდებოდა, ცაში მქროლავი შუშხუნები კი თეთრ შროშანებს აქარგავდნენ ღამის შავ კალთას. ორივე სანაპიროზე შეკრებილი მრავალათასიანი ბრბო აღტაცებული შეძახილებს არ იშურებდა – ისმოდა „ბრავო“ და ასევე, თქვენ წარმოიდგინეთ, „ვივატ!“ –იმის მიუხედავად, რომ მეფე ოცდათვრამეტი წლის წინ ავიდა ტახტზე და სახალხო სიყვარულის მწვერვალიც კარგა ხანია, უკან მოეტოვებინა. აი, რისი გაკეთება შეუძლია ერთ კარგ ფეიერვერკს.

გრენუი ხმის ამოუღებლად იდგა პავილიონის ჩრდილში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სამეფო ხიდის პირდაპირ. ზეიმში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა და არც ცეცხლოვანი ეფექტების მიმართ გამოუჩენია რაიმე ინტერესი. იმ იმედით მოვიდა აქ, რაღაც ახალი შეეყნოსა, მაგრამ თავად ფეიერვერკი, სუნის თვალსაზრისით, ახალს არაფერს პირდებოდა. ყველაფერი, რაც იქ ასეთი თვალისმომჭრელი ფუფუნებით კაშკაშებდა, ნაპერწკლდებოდა, ტკაცუნობდა და სტვენდა, მხოლოდ დ მხოლოდ გოგირდის, ზეთისა და გვარჯილის სუნის ყოვლად ერთფეროვანი ნარევი გახლდათ.

უკვე ამ მოსაწყენი ღონისძიების მიტოვებას აპირებდა გრენუი, რათა ლუვრის გალერეის გაყოლებით სახლში წასულიყო; მაგრამ უეცრად ქარმა რაღაც მიიტანა მასთან – პაწია, ძლივს შესაყნოსი კორპუსკული, ნატიფი სურნელის რაღაც ნაწილაკი – არა, უფრო მცირე; უფრო მეტად წინათგრძნობა, ვიდრე სურნელი და ამასთანავე სარწმუნო ვარაუდი, რომ არაფერი მსგავსი მას არასოდეს უგრძვნია. კედელს მოსწყდა და ნესტოები დაბერა. სურნელი ისეთი ნატიფი და გამჭვირვალე იყო, ისევ და ისევ უსხლტე-ბოდა ხელიდან. ძნელი იყო მისი დაჭერა, იფარებოდა პეტარდების დენთის ბოლით, ადამიანების ჯგროს ანაორთქლით, იგლიჯებოდა და იშლებოდა ქალაქის ათასი სხვადასხვა სუნით. მაგრამ შემდგომ, უეცრად, ისევ გამოიკვეთებოდა და სუნის პატარა ნაფლეთი მეყვსეულად, რაღაც შეუცნობი მინიშნებით ელამუნებოდა... და იქვე ქრებოდა. წამებულივით იტანჯებოდა გრენუი, და იტანჯდებოდა არა მარტო მისი ხარბი ბუნება, ასეთ გამოწვევას რომ ვერ გუობდა, არამედ გულით, ნამდვილად რომ – იტანჯებოდა. ბუნდოვანი ეჭვი გაუჩნდა, ეს სურნელი გასაღები იქნებოდა ყველა დანარჩენის გამოსაჩხრეკად, ჩამოსამწკრივებლად, დასახარისხებლად; რომ არ შეიძლებოდა სურნელთა სამყაროში გარკვევა, თუკი ვერ გაითავისებდა ამ ერთადერთს და იგი, გრენუი, ტყუილუბრალოდ განვლიდა ცხოვრებას, თუ ვერ მიითვისებდა, ვერ დაიმორჩილებდა მას; და უნდა მოეპოვებინა იგი არა იმიტომ, რომ უბრალოდ, დასაკუთრების პირველყოფილი წყურვილი კლავდა, არამედ საკუთარივე სულის მოსათოკად.

აღგზნებისაგან ლამის შეუძლოდ გახდა. ჯერ კიდევ ვერც გაერკვია, საერთოდ საიდან მოდიოდა ეს სურნელი. წყვეტილები მის მოყნოსვას შორის ხანდახან რამდენიმე წუთი გრძელდებოდა და ასეთ დროს შემაძრწუნებელი შიში იპყრობდა, რომ სამუდამოდ დაკარგა კვალი. ბოლოს და ბოლოს იმ დამამშვიდებელ დასკვნამდე მაინც მივიდა, რომ მდინარის მეორე ნაპირიდან, სადღაც სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან აღწევსო.

გრენუი პავალიონის კედელს მოშორდა, ადამიანების მორევში ჩაყვინა, ხიდზე გადასასვლელად იწყო გზის გაკვლევა. ხშირად ჩერდებოდა, ფეხის წვერებზე დგებოდა და ადამიანების თავებს ზემოთ ყნოსავდა ჰაერს. აღგზნების გამო, ხან ვერაფერს გრძნობდა, მერე რაღაცას დაიჭერდა, ჩაეჭიდებოდა სურნელის მონაბერს, დარწმუნდებოდა, რომ სწორად ეჭირი გეზი და ისევ ჩაყვინთავდა ათასი დოყლაპიისა და პიროტექნიკოსების ბრბოში – ამათ კი გამუდმებით მიჰქონდათ ჩირაღდნები ნაირ-ნაირ პატრუქებთან – მერე კარგავდა გეშს დენთის საზიზღარ კვამლში, თავგზასაც კარგავდა და ისევ ჯიკავ-ჯიკავით მიძვრებოდა წინ. რამდენიმე დაუსრულებლად გაწელილი წუთის მერე გაღმა ნაპირზე აღმოჩნდა, გვერდი აუარა მაიის პალატებს, მალაკეს სანაპიროს და იმ ადგილს, სადაც სენის ქუჩა მთლად სანაპირომდე უწევს.

აქ შეჩერდა, სული მოითქვა და კვლავ შეიყნოსა ჰაერი. აშკარა იყო, სწორად მიდიოდა. ახლა აღარ დაკარგავდა კვალს. უცნობი სურნელი ლენტივით ეშვებოდა სენის ქუჩის მხრიდან, მკვეთრი და განუმეორებელი, ოღონდ ამავე დროს თხელი, ნატიფი და გამჭვირვალე... უცებ გრენუიმ იგრძნო როგორ უფეთქავდა გული, მაგრამ არა სირბილისა და დაძაბულობის, არამედ იმ უცაბედი უსასოობისაგან, რაიც ამ სუნის შეგრძნებას მოჰყვა. ეცადა,

გაეხსენებინა რაიმე მსგავსი, მაგრამ არავითარი შედარება აქ არ ვარგოდა. ამ სუნში რაღაც სიხალისე იყო; მაგრამ არა ლიმონის ან ნარინჯის, არა სურნელოვანი ფისის, ანდა დარიჩინის ფოთლის, ან პიტნისა, ან არყის ხის წვენის, ან ქაფურის, ან თუნდაც ფიჭვის წიწვების, არც მაისის შხაპუნა წვიმის, არც მონაბერი სუსხის, არც წყაროს ანკარა წყლის... და იმავე დროს სითბოს გამოსცემდა თითქოს: ოღონდ არა ისე როგორც ბერგამოტი, კვიპაროსი ან მუშკი, არა როგორც ჟასმინი ან ნარგიზი, ან ვარდის ხე ან ზამბახი... ამ სურნელში შეუთავსებადი უთავსდებოდა ერთმანეთს – ქროლვადიც და მდგრადიც; ოღონდ უბრალოდ ერთმანეთში კი არ იყვნენ არეულნი, არამედ ერთ რაღაც მთლიანს წარმოადგენდა. ერთსა და იმავე დროს, ეს სურნელი მცირე იყო და სუსტი და თან მტკიცე და გამძლე, როგორც უთხელესი ფერადოვანი აბრეშუმის ნაკუწი. თუმცა... არა, მაინც არა როგორც აბრეშუმი, უფრო თაფლივით ტკბილი რძე, ფუნთუშა რომ ჩაადნება ხოლმე – არადა, ერთი მეორეს როგორღაც არ ეწყობა: რძე და აბრეშუმი! ეს რაღაცნაირი მიუწვდომელი სურნელი, ენით აუწერელი, ვერავითარ ჩარჩოსა თუ განსაზღვრებაში ვერ ეტეოდა, ის არ უნდა არსებულიყო საერთოდ; და მაინც, ის არსებობდა – ანუ მუნმყოფობდა თავისი დიდებული უცილობლობით. გრენუი შიშშემდგარი გულით მიუყვებოდა მას – გრძნობდა, თვითონ კი არ მისდევდა ამ სუნს, სურნელს დაეტყვევებინა და ახლა დაუძლეველი ძალით ეზიდებოდა თავისკენ.

სენის ქუჩას აუყვა. სახლები გამოცარიელებულები ჩანდა, არც გარეთ ჭაჭანებდა ვინმე. ხალხი სანაპიროს შეფენოდა, ფეიერვერკით დასატკბობად. აქ ხელს აღარ უშლიდა ბრბოს ფეთიანი სუნი, არც დენთის სიმყრალე. ქუჩას ჩვეული ოხშივარი სდიოდა – წყლისა და ნარეცხის, ვირთხებისა და ბოსტნეულის მპალის. ოღონდ ყოველივე ამის თავზე ლივლივებდა – ნაზად და ცხადად – ის სურნელი, რამაც გრენუი აქ მოიყვანა. რამდენიმე მოსახვევის შემდეგ, ღამისეული ცის მკრთალი სინათლე მაღალმა სახლებმა გადაკეტა და გრენუიც ბნელში აგრძელებდა გზას – არც არანაირი ნიშანსვეტი არ სჭირდებოდა, სუნი საიმედო გზამკვლევად უჩნდა.

ორმოცდაათიოდე მეტრის იქით მარჯვნივ შეუხვია, მარეს ქუჩის გადაკვეთაზე, სრულიად ჩაბნელებულ შუკაში. აქ, ქვაფენილის ორივე მხარეს, სახლები ხელის ერთ გაწვდენაზე იდგა. უცნაური ის იყო, სუნი კი არ ძლიერდებოდა, უბრალოდ, უფრო სუფთა, კრიალა ხდებოდა და სწორედ ამის წყალობით იძენდა ანდამატივით ძალასა და მიმზიდველობას. ახლა გრენუი თითქოს საკუთარი ნების გარეშე მიდიოდა. ერთგან სუნმა მტკიცედ მიაბრუნა მარჯვნივ და რომ ეგონა, კედელს მივებჯინები შუბლითო — ერთ დაბალ, თაღოვან გასასვლელში აღმოჩნდა. მთვარეულივით გაიარა თაღის ქვეშ, უფრო მომცრო ეზოში მოხვდა და იქ, ბოლოს და ბოლოს, სინათლეც გამოჩნდა: კედელთან, დახრილი კუთხით მიშენებული ხის ჩარდახის ქვეშ, მაგიდაზე, სანთელი ენთო. მაგიდასთან გოგონა იჯდა და ქლიავს ჩურჩავდა. იღებდა ხილს დაყანთრებული კალათიდან, ყუნწს აგლეჯდა, დანით კურკას აცლიდა და მერე იქვე სათლში ყრიდა. ასე, ცამეტი-თოთხმეტი წლისა თუ იქნებოდა. გრენუი გაშრა. მაშინვე იგრძნო, რა ავრცელებდა იმ სურნელს, რომელიც მან კარგა ნახევარი მილის მოშორებით, სენის გაღმა ნაპირზე

იყნოსა: არა ეს ჭუჭყიანი ეზო, ან ეს მწიფე ქლიავი. სუნის წყარო თავად ეს გოგონა იყო.

გრენუი გონს ვერ მოდიოდა. წამით ისიც გაიფიქრა, არასოდეს ამ გოგონას სუნზე მშვენიერი არაფერი შემისუნთქავსო. მხოლოდ სილუეტს ხედავდა, რადგან სინათლის პირისპირ იდგა, მაგრამ იცოდა რა ზოგადად ადამიანების სუნი, და მრავალი ათასი სუნი ცალკეული მამაკაცის, ქალისა თუ ბავშვის, მის გონებაში ვერაფრით თავსდებოდა აზრი, რომ ამგვარი ნატიფი სურნელი ადამიანს შეიძლებოდა ასვლოდა. საერთოდ, ადამიანებს მდარე და უბადრუკი სუნი დასდევდათ. ბავშვებს უგემური სუნი, ქალებს – მოხრაკული ღორის ქონისა და დამპალი თევზის, მამაკაცებს – შარდის, მწარე ოფლისა და ყველის; სრულიად უინტერესო, უსიამო სუნები... და აი, პირველად თავის სიცოცხლეში, გრენუი არ ენდო საკუთარ ცხვირს და დასახმარებლად თვალებს მოუხმო, სურდა დარწმუნებულიყო, ყნოსვა არ მატყუებსო. ოღონდაც, ეს გრძნობათა აღრევა დიდხანს არ გაგრძელებულა. სულ ერთი წამი დასჭირდა, რათა ხედვით დაედასტურებინა თავისი ყნოსვითი შთაბეჭდილებები და ახლა უკვე უყოყმანოდ მინდობოდა მათ. ირწმუნა, რომ ადამიანს იყნოსავდა, გრძნობდა მისი იღლიების ოფლის, მისი თმების ცხიმის, მისი წელის მძაღე-მწარ სურნელებას და ნეტარებდა. ზღვაურის სიგრილეს აგონებდა გოგონას ოფლი, თმები – კაკლის ზეთს, წელი – წყლის შროშანების თაიგულს, კანი – ჭერმის ყვავილებს... და ყველა ამ შემადგენელის ერთიანობა იმდენად ჰარმონიულ, აღმატებულ, ლამის ჯადოსნურ სურნელს ქმნიდა, რომ ყველაფერი ის, რაც კი ოდესმე შეეგრძნო გრენუის, სურნელთა ყველა ის შენობა, რომელთაც იგი ასე თამაშ-თამაშით აგებდა საკუთარ წარმოსახვაში, უეცრად ხუხულასავით დაეშალა – სიმწირისა და უმნიშვნელობის გამოისობით. ასი ათასი სხვა სუნი ახლოსაც ვერ მოვიდოდა ამ ერთთან. იგი იყო უმაღლესი მოცემულობა, ყველა დანარჩენი კი მხოლოდ მის კვალად და მსგავსად უნდა აგებულიყო...

და უცებ იაზრა გრენუიმ: ვერ მიითვისებდა, ვერ გაითავისებდა ამ სურნელს და მისი ცხოვრებაც ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. სულ უმცირეს წვრილმანებამდე უნდა შეეცნო, სულ უკანასკნელ, უნაზეს ელფერამდე; მისი უბრალოდ აღქმა სრულიადაც არ იყო საკმარისი – მას სურდა საკუთარი დამდა დაედო ამ არომაზე; საკუთარი შავბნელი სულის ხვეულებში ჩაებეჭდა, სულ ბოლომდე გამოეკვლია და ამიერიდან მხოლოდ ამ ჯადოსნური ფორმულის შინაგანი აგებულების თანახმად ეცხოვრა, ეფიქრა, შე-ეყნოსა გარე სამყარო.

გრენუი ნელ-ნელა მიიწევდა წინ. ახლოს, უფრო ახლოს. აი, უკვე, უკვე ჩარდახის ქვეშ შეაბიჯა და გოგონას ზურგსუკან გაჩერდა, სულ ერთ ნაბიჯზე... მას კი ჯერ არაფერი ეგრძნო.

წითური თმები ჰქონდა, ხოლო ნაცრისფერი, უსახელო კაბა თეთრ, გაჩხინკულ მხრებს და ქლიავის წვენისაგან გაყვითლებულ ხელებს უჩენდა. გრენუი წინ გადახრილი იდგა და მის სურნელს ისუნთქავდა, ამჯერად სრულიად შეურყვნელს, თმებიდან თუ კაბის ამონაჭრებიდან რომ ამოსდიოდა და მძიმედ მოედინებოდა მისკენ.

გოგონას შეამცივნა. იგი ჯერ ვერ ხედავდა გრენუის, მხოლოდ რაღაც უანგარიშო შეკრთომა იგრძნო, უცნაური თრთოლვა – დიდი ხნის წინათ გადალახულმა შიშმა შეიპყრო თითქოს; მოეჩვენა, მის ზურგს უკან ცივმა ქარმა მობერა, თითქოს ვიღაცას დიდი, ღრმა სარდაფის ფართო კარი გამოეღო ბოლომდე. დანა გვერდზე გადადო, ხელები მკერდზე მიიკრა და შემობრუნდა.

გრენუის სრულად ეყო დრო, რათა ყელში ხელები წაეჭირა მისთვის. გოგონას არ წამოუყვირია, არც განძრეულა, არც თავის დაცვა უცდია როგორმე – ერთიანად გახევებულიყო ძრწოლისაგან. გრენუი კი ვერ ხედავდა მის ნაზ, ჭირფლით მოფენილ სახეს, ვერც ალისფერ პირს, ვერც დიდრონ, ღია-მწვანე თვალებს, რადგან ვიდრე ახრჩობდა, ქუთუთოები მაგრად ჰქონდა მოხუჭული და იმას შიშობდა მხოლოდ – მისი სურნელის ერთი მისხალიც არ დაკარგვოდა...

როცა დარწმუნდა, მკვდარიაო, დააწვინა მიწაზე, ქლიავის კურკებს შორის, ჩამოგლიჯა კაბა და სურნელის ჭავლი ახლა ნაკადად იქცა, ჯერ თავის თავში მოაქცია და მერე ტალღად გადაუარა; გრენუი სახით მიეკრა კანზე, ფართოდ დაბერილი ნესტოები გადააჭარა მისი მუცლიდან მკერდისაკენ, ყელისაკენ, სახეზე, თმებზე და ისევ უკან — წელზე და ქვემოთ, თეძოებზე, ბარძაყებზე, მის თეთრ ფეხებზე; მისი სუნი შეისუნთქა თხემით-ტერფამდე, თმებიდან თითის წვერამდე, მისი სუნის ნარჩენები შეაგროვა ნიკაპიდან, ჭიპის ღრუდან თუ იღლიების ნაკეცებიდან.

როდესაც გრენუიმ მთელი სურნელი შეიწოვა და გოგონაც თითქოს ხელში შეაჭკნა, რამოდენიმე ხანს კიდევ იყო მის გვერდით ჩაცუცქული, მისი სუნით გაჟღენთილი; არც სურდა დაეხარჯა ამ სუნიდან სულ ოდნავიც კი – ჯერ-ჯერობით მაინც მჭიდროდ უნდა დაეგმანა ყნოსვითი მეხსიერების შინაგანი ხუფები... მერე წამოდგა და სანთელი ჩააქრო.

9.

ამ დროისათვის, დღესასწაულის მონაწილეებმა სიმღერებითა და წარამარა ერთი და იგივე წამოძახილით „ვივატ!“ სენის ქუჩაზე, თავთავიანთ სახლებში დაბრუნება იწყეს. გრენუიმ სიბნელეში, ყნოსვა-ყნოსვით მიაგნო შესახვევიდან გასასვლელს, ხოლო იქიდან კი მის მიმყოლ, პტი-ოგიუსტენის ქუჩას, რომელიც ასევე მდინარისაკენ ეშვებოდა. ცოტა მოგვიანებით ხალხი მოკლულს გადააწყდა. ატყდა ჩოჩქოლი, შეატყობინეს ჟანდარმერიას; ოღონდ გრენუი უკვე კარგა ხნის გასული იყო გაღმა ნაპირზე.

იმ ღამეს თავისი სარდაფი სასახლედ ეჩვენა, ხოლო ფიცრის საწოლი – დიდებულ სარეცელად. ამ ღამემდე, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, არასოდეს გასჩენია ბედნიერების შეგრძნება, თუმცა ჩლუნგი კმაყოფილების განცდა – მართალია იშვიათად – მაინც ეწვეოდა ხოლმე. ახლა კი ბედნიერე-

ბისაგან თრთოდა, ნეტარებისაგან ვერც იძინებდა – თითქოს მეორედ დაიბადაო; არა, არა მეორედ, არამედ პირველად, ვინაიდან აქამდე მხოლოდ არსებობდა როგორც ცხოველი, რაღაც დაბინდული წარმოდგენით საკუთარ თავზე; ხოლო დღეს მიხვდა ვინაა ის სინამდვილეში: უბრალოდ — *გენიოსი*; და რომ ამიერიდან მის სიცოცხლეს აქვს აზრი, და მოწოდება, და მიზანი, და უმაღლესი დანიშნულება; მან უნდა მოახდინოს გადატრიალება სუნთა სამყაროში, და რომ ქვეყნად მხოლოდ ის ერთი ფლობს ამისათვის ყველა აუცილებელ საშუალებას: ფენომენალურ ყნოსვას, ფანტასტიკურ მეხსიერებასა და — რაც ახლა მთავარი იყო — ამ მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილ იმ მარეს ქუჩელი გოგონას სურნელს, რომელშიც რაღაც ჯადო-ფორმულის სახით იფარებოდა ყოველივე, რითაც ნელსურნელება შედგება: სინატიფე, სიმკვეთრე, სიმტკიცე, მრავალმხრივობა და უცნაური, დამთრგუნველი მშვენიერება. თითქოს ნიშანსვეტი ჰპოვა საკუთარი მომავალი ცხოვრებისათვის და როგორც ყველა გენიალურად ბოროტ პიროვნებას, მოწყობილთ ისე, რომ მხოლოდ გარე მოვლენების გამოისობით იკაფება პირდაპირი ნაკვალევი მათი სულების ქაოტურ ხვეულებში, გრენუის აღარ შეეძლო უარეყო ის, რაც ერთხელ უკვე ელიარებინა თავისი ცხოვრების წარმმართველად. ახლა მისთვის ცნობილი გახდა, რისთვის ეჭიდებოდა ასე ჯიუტად და გამწარებით სიცოცხლეს – სურნელთა შემქმნელი უნდა გახდეს; და არა ვიღაც რიგითი თითხნია, არამედ ყველა დროის უდიდესი მენელსაცხებლე!..

იმავე ღამეს, ჯერ სიფხიზლეში, შემდეგ კი ძილშიაც, საკუთარ მოგონებათა მთელი საწყობი გადაქექა — მილიონობით ნატეხი, კენჭი, აგური, ანუ მთელი ის სამშენებლო მასალა გადაარჩია, რითაც თვისობრივად შედგება ხოლმე რომელიც გნებავთ ნელსურნელების სტრუქტურა და ისინი ერთგვარ სისტემაში მოიყვანა: საამო საამოსთან, უსიამო უსიამოსთან, რბილი რბილთან, ხეშეში ხეშეშთან, ყროლი ყროლთან, სურნელოვანი სურნელოვანთან... ერთი კვირის შემდეგ ეს წესრიგი, სუნთა ეს კატალოგი უფრო მწყობრი და შესაბამისად დახარისხებულიც გახდა, იერარქია – უფრო ზუსტი. უკვე ძალიან მალე შეძლო შესდგომოდა სურნელთა მრავალსართულიანი შენობების გეგმაზომიერ აღმართვას: სახლები, კედლები, საფეხურები, ოთახები, საიდუმლო სათავსოები... და ყოველდღიურად იზრდებოდა, მატულობდა, მიმზიდველი ხდებოდა ნელსურნელებათა მრავალხაზოვანი კომპოზიციების შინაგანი სიმკვიდრეც.

ის გარემოება, რომ ყოველივე ამას საძირკვლად მკვლელობა ედგა (თუკი საერთოდ იაზრებდა ასეთ ფაქტს) გრენუისათვის ყოვლად უმნიშვნელო ამბავი იყო. მარეს ქუჩელი გოგონას გარეგნობას – მის სახეს, მის სხეულს – უკვე ვეღარც იხსენებდა. აკი შეინარჩუნა მთავარი, რაც მას აართვა და მიითვისა: მისი სურნელი!

იმ დროის პარიზში ნაღდ პარფიუმერთა სახელი სულ რაღაც ათ-თორმეტ კაცს ჰქონდა დაგდებული. ექვსი მათგანი სენის მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდა, ექვსი – მარცხენაზე, ხოლო ერთი ზუსტად შუაში, ზარაფ-მეკერმეთა ხიდზე, რომელიც მარჯვენა ნაპირს კუნძულ სიტესთან აკავშირებდა. ამ ხიდს ორივე მხრიდან ისე მჭიდროდ ჰქონდა ოთხსართულიანი სახლები მოდგმული, ვერც ერთ მხარეს მდინარეს ვერ დაინახავდი – ყოვლად ჩვეული, საფუძვ-

ლიანად მოკირწყლული და ამასთანავე, მეტად ელეგანტური ქუჩის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ამ ხიდის მიდამოებიც ქალაქის ერთ-ერთ მოდურ უბნად ითვლებოდა — აქ იყო განლაგებული სახელგანთქმული სავაჭროები, სადაც მუშტარს თავის საქონელს სთავაზობდნენ ოქრომჭედლები, ხის ძვირფას ჯიშებზე მომუშავე ოსტატები, პარიკების, ჩანთების, საფულეების, სურათების ჩარჩოების დამამზადებელნი თუ უთხელესი ქვედა საცვლებისა და წინდების მქსოველი ხელოსნები, საუკეთესო მეწაღეები; ეპოლეტების ამომქარგველები, ოქროს ღილების ჩამომსმელები და ზარაფები. აქვე იდგა ცნობილი მენელსაცხებლის, ჯუზეპე ბალდინის მაღაზიაცა და საცხოვრებელი სახლიც. ვიტრინის თავზე ნაჯერი მწვანე ფერის ჩარდახი ჰქონდა გადაჭიმული, კედელზე — ოქროთი გაწყობილი, ბალდინის პირადი ღერბი ეკიდა: ოქროს ფლაკონი, რომლიდანაც ოქროსავე ყვავილების თაიგული ამოზრდილიყო; კარის წინ მწვანე ხალიჩა დაეფინათ, ოქროთი ამოსირმული იგივე ღერბით. წინკარის გაღებისას პაწია ზარები სპარსულ ჰანგს ჩამოაწკრიალებდნენ ხოლმე, და ორი ვერცხლის ყანჩა ნისკარტებიდან იის წყალს ასხურებდა ოქროცურვილ ფიალაში, რომელსაც ასევე ბალდინის ღერბის ფორმა ჰქონდა.

წიფლის ხის დახლთან თავად ბალდინი იდგა, ხანმოთეული და სვეტივით უძრავი, პუდრმოფრქვეულ პარიკსა და ოქროსფერი სირმით გაწყობილ სერთუკში გამოკვართული. ფრანჟიპანის ფირმის ნუშისწყალი – რომელსაც იგი ყოველ დილას ისხურებდა – ანაორთქლ ღრუბლად ებურვოდა გარშემო და მის არსებას გარეშემო მყოფთაგან რაღაც მჭვირვალ-ნისლოვან სიშორეში ამყოფებდა. ყოვლად არაბუნებრივი უძრაობით, საკუთარი თავის მანეკენს ჰგავდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ზანზალაკების მელოდიური ჟღარუნი გაისმოდა, ხოლო ყანჩები ჭავლის ფრქვევას იწყებდნენ – რაც, თავისთავად, არც ისე ხშირად ხდებოდა – მანეკენი სასწრაფოდ ცოცხლდებოდა, მოიბუზებოდა, პატარა, მკვირცხლი ხდებოდა და მრავალჯერადი თავის დაკვრით გამოფრინდებოდა ხოლმე დახლსმიღმიდან, ისეთი გამალებით, რომ ნელსურნელების ღრუბელი უკან მიყოლას ძლივსღა ასწრებდა; ამის შემდეგ მორჩილად სთხოვდა ხოლმე კლიენტს დაბრძანებულიყო და უნატიფესი არომებისა თუ კოსმეტიკური საშუალებების არჩევანით დატკბობა ენება.

ბალდინის ისინი ათასობით ჰქონდა. ასორტიმენტი იწყებოდა სუფთა ესენციებით, ყვავილების ზეთებით, ნაყენებით, ნაწურებით, სეკრეციებით, ბალზამებით, სურნელოვანი ფისებითა და სხვა პრეპარატებით – დაფშვნილ, თხევად თუ ბლანტ ფორმებში – პომადებში, პასტებში, ყველა ხარისხის პუდრებში და საპნებში, ვრცელდებოდა მშრალ სუნამოებზე, ფიქსატურებზე, ბრილიანტინებზე, თმის ამოსაზრდელ ელექსირებზე, მეჭეჭების მოსაშორებელ წვეთებსა თუ მცირე გარეგანი ზადის დასაფარ პაწაწინა სალბუნებზე; ხოლო მთავრდებოდა მალამოებით, ლოსიონებით, სხვადასხვაგვარი მარილებით, ტუალეტის წყლებითა და სუნამოების აურაცხელი რაოდენობით. ესეცაა, ბალდინის ოდენ კლასიკური კოსმეტიკის პროდუქტები არ აკმაყოფილებდა და ღირსების საქმედ მიითვლიდა, მოეგროვებინა თავის სავაჭროში ყველაფერი, რასაც კი რაიმე სურნელი სდიოდა, ანთუ ასეთის მისაღებად გამოიყენებოდა. ამიტომაც საკმეველი ჩხირების, პასტილებისა და სანთლების გარდა, იქვე ნახავდით ყველა სხვა სანელებელსაც – ანისულის თესლიდან

დაწყებული, მიხაკ-დარიჩინამდე; სიროფებს, ლიქიორებს, ხილის წვენებს; ღვინოს – კვიპროსიდან, მალაგიდან და კორინთოდან; მრავალი სახის თაფლს, ყავასა და ჩაის, და დაშაქრულ ხილის ჩირს, კარამელს, შოკოლადს, დაკონსერვებულ წაბლს, კიტრებსა და ხახვს და მარინადში ჩადებულ ვირთევზასაც კი. ამას გარდა, სურნელოვანი ცვილი ბეჭდებისათვის, სუნამო-მოფრქვეული საწერი ქაღალდი, მელანი – სასიყვარულო ბარათებისათვის, ვარდის ზეთის სუნი რომ ასდიოდათ, ესპანური ტყავის რიდიკიულები, აბანოზის ხის ლუსკუმები ყალმებისათვის, ქოთნები და ფინჯნები ყვავილების ფურცლებისათვის, თითბრის საკმეველები, მთის ბროლის დიდი თუ მცირე ფლაკონები, შიგ ქარვის საცობებით; ნატის ხელთათმანები, ნატიფსუნიანი ცხვირსახოცები, ჯავზით გაჯერებული ყურთბალიშები და მუშკით გაჟღენ-თილი შპალიერები, ათწლეულობით რომ იკავებდნენ სურნელს...

ცხადია, მთელი ეს აუარება საქონელი ვერანაირად ვერ განეფინებოდა ერთ ასეთ პომპეზურ სავაჭროში, რომელიც ქუჩაზე (უფრო სწორად, ხიდზე) გამოდიოდა და ვინაიდან სარდაფი არ ჰქონდათ, არამარტო საკუჭნაო, არამედ მეორე და მესამე სართული და ასევე, პირველ სართულზე განლაგებული, მდინარის მხარეს გამავალი ყველა სათავსოც საწყობად იყო ქცეული. ყოველივე ამის გამოისობით, ბალდინის სახლში სუნთა აუწერელი ქაოსი იდგა: რამდენადაც ნატიფი იყო ცალკეული საქონლის სურნელი – ბალდინი ხომ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნედლეულს იმარაგებდა – იმდენადვე აუ-ტანელი იყო მათი ერთად აღრეული სუნი, როგორც იმ ორკესტრის ჟღერა-დობა, რომელშიც ყოველი მუსიკოსი თავის საკუთარ მელოდიას ფორტისი-მოთი უკრავს; თავად ბალდინი და მისი მსახურები რახანია შეჩვეულიყვნენ ამ ქაოსს, დაბერებული დირიჟორებივით, მუდამ ყურნაკლულობა რომ აწუხებთ და თავად პატრონის მეუღლეც, რომელიც მეოთხე სართულზე ცხოვრობდა და შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა საწყობი ფართის შემდგომ ზრდას, თითქმის უკვე შერიგებოდა ბედს. აი, კლიენტის ამბავი კი სულს სხვა იყო – თუკი პირველად ეწვეოდა ბალდინის საწარმოს, აქ გამეფებულ სუნთა დომხალი სახეში მუშტის დარტყმასავით მოქმედებდა მასზე და ხასიათისდა მიხედვით, ან აღფრთოვანებას იწვევდა, ან შეცბუნებას. ყოველ შემთხვევაში, ისე აბნევდა, კაცი ხშირად ვეღარც ახერხებდა იმის გააზრებას, თუ საერთოდ რატომ შემოიარა აქ. შიკრიკ ბიჭუნებს ავიწყდებოდათ დავალებები, კადნიერი ბატონები უხერხულად იშმუშნებოდნენ, ხოლო ყოფილა შემთხვევა, ზოგიერთ ქალბატონს რაღაც ისტერიკისდაგვარი მოძალებია, ან კლაუსტროფობიის შეტევა მოუმიზეზებია, გული წასვლია და მათი გრძნობაზე მოყვანა მხოლოდ ნიშადურისა თუ ქაფურის სპირტის წყალობით გამხდარა შესაძლებელი.

ამა გარემოებებისდა გამოისობით, სულაც აღარ იყო გასაკვირი, რომ ზან-ზალაკები ჯუზეპე ბალდინის კარებთან სულ უფრო იშვიათად ჩამოაწკა-რუნებდნენ ხოლმე სპარსულ მელოდიას და ყანჩებიც სულ უფრო და უფრო იშვიათად ასხურებდნენ იის წყალს...

10.

– შენიე! – გამოსძახა ბალდინიმ დახლისიქიდან, სადაც ის რამდენიმე საათს ბოძივით იდგა და დახურულ კარს მისჩერებოდა – ჩამოიცვით პარიკი!

ზეთისხილის ზეთით სავსე მომცრო კასრსა და კაუჭებზე დაკიდებულ ბაიონურ შებოლილ ბარკალს შორის გამოჩნდა შენიე, ბალდინის შეგირდი, ისიც უკვე საკმაოდ ხნიერი, თუმცა მაინც პატრონზე ახალგაზრდა; გამოვიდა წინ სავაჭროს შედარებით კოხტად მოწყობილ ნაწილში, სერთუკის ჯიბიდან პარიკი ამოაძვრინა და თავზე დაიკოსა.

– უკვე მიბრძანდებით?

– არა, – გაეპასუხა ბალდინი, – რამდენიმე საათით ჩემს სამუშაო კაბინეტში ავალ და იმედია, იქ მაინც არავინ შემაწუხებს – გამიგეთ? ა-რა-ვინ!

– აჰა, გასაგებია, – ახალი სუნამოს შექმნას აპირებთ...

ბალდინი: სწორედაც რომ, გრაფ ვერამონის შეკვეთით. ესპანური ტყავის ნელსურნელებით გაჯერება მთხოვა და რაღაც სრულიად ახალი სურს. მოითხოვს რაღაც... ე-ე.... აი, ამის მსგავსს, რა ქვია... მგონი, „ამური და ფსიქეა“ უნდა ერქვას... იმ უნიჭო რეგვენის შეთითხნილია, სენ-ანდრე-დეზ -არის ქუჩიდან... რას ეძახიან...

შენიე: პელისიე.

ბალდინი: ხო, პელისიე. სწორედ ეგრე უწოდა მაგ გონებაჩლუნგმა – *„ამური და ფსიქეა – პელისიესაგან“.* იცნობთ მაგ სუნამოს?

შენიე: მოდი და ნუ იცნობ... მთელი ქვეყანა ახლა მაგას ისხურებს. ოღონდ პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ – დიდი ვერაფერი! თქვენს ნამუშევართან ხომ ახლოსაც ვერ მოვა, მსიე ბალდინი!

ბალდინი: სწორეა, ვერ მოვა.

შენიე: უაღრესად ბანალური სუნი ასდის მაგ „ამურს“.

ბალდინი: უხამსიც კი, შეიძლება ითქვას.

შენიე: უკიდურესად უხამსი, მსიე ბალდინი, როგორც ყველა მაგის სუნამოს. ლიმეტინზე თუ აყენებს.

ბალდინი: ეგრე იქნება. კიდე რა ურევია შიგ?

შენიე: ნარინჯის ესენცია და იქნებ, როზმარინის ნაყენიც.

ბალდინი: ეგ მე ნაკლებად მაღელვებს.

შენიე: რაღა თქმა უნდა.

ბალდინი: ფეხებზეც მკიდია, რა აურდაურია თავის ნარეცხში მაგ ბრიყვმა პელისიემ. ახლა ეგ მადარდეთ!

შენიე: სავსებით მართალი ბრძანდებით, მსიე ბალდინი.

ბალდინი: ვგონებ, თქვენთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, რომ ბალდინი ყოველთვის თავად ქმნის საკუთარ პარფიუმერიას!

შენიე: ვიცი, მსიე.

ბალდინი: იდეებიც ჩემია და დამუშავებაც!

შენიე: დიახ. მსიე.

ბალდინი: ახლა ისეთ რამეს შევქმნი გრაფისთვის, მთელი პარიზი მაგაზე ლაპარაკობდეს...

შენიე: ეჭვიც არ მეპარება, მსიე ბალდინი.

ბალდინი: სავაჭროს თქვენზე ვტოვებ, შენიე: უნდა ვიმუშაო, ნურავის მისცემთ ჩემი შეწუხების უფლებას, შენიე.

და ამ სიტყვებით მოხუცი, უკვე არა დიდებული, არამედ წელში მოხრილი, როგორღაც მოტეხილი, ნელ-ნელა აუყვა კიბეს ზემოთ, მეორე სართულისაკენ, სადაც მისი სამუშაო კაბინეტი იყო.

ახლა შენიემ დაიკავა ადგილი დახლსუკან, ზუსტად იგივე პოზა მიიღო, როგორც მის პატრონს სჩვეოდა და უძრავი მზერით მიაჩერდა კარებს. ზუსტად იცოდა, რაც მოხდებოდა უახლოეს საათებში, კერძოდ: დახლთან – სრულიად არაფერი, ხოლო ზემოთ, ბალდინის სამუშაო კაბინეტში – მორიგი კატასტროფა. ბალდინი ფრანჟიპანის წყლით გაჟღენთილ თავის ცისფერ სერთუკს გაიხდის, მიუჯდება სამუშაო მაგიდას და ზეშთაგონებას დაელოდება. ის კი არა და არ მოვა. მერე მივარდება საცდელი ფლაკონების კარადას და ესენციების ალალბედზე არევას მოჰყვება. არც აქედან გამოვა რაიმე ხეირი. ბალდინი წყევლა-კრულვით გამოაღებს ფანჯარას და ნაზავს მდინარეში მოისვრის. შემდეგ სხვა ნაერთის გაკეთებას სცდის და ისევ არაფერი გამოუვა. მაშინ ბატონი ბალდინი გამძვინვარდება, აკივლდება და ბოლოს, ოთახში ჩამოწოლილი ეთერზეთების მძიმე სურნელებით გამოქანთარებული, აქვითინდება. საღამოს, ასე, შვიდი საათისათვის დაბლა დაეშვება ნამტირალევი, საბრალო, აკანკალებული და იტყვის: „შენიე, სულ დავკარგე ყნოსვა, არავითარი სუნამოს შექმნა მე აღარ შემიძლია... დავიღუპე, ჩემში ისედაც ყველაფერი მკვდარია, შენიე! მე ახლა მართლა სიკვდილი მინდა— ამაში მაინც დამეხმარეთ, შენიე!“ და შენიე შესთავაზებს, ვინმე გააგზავნონ პელისიესთან, ერთი ფლაკონი მოდური სუნამოს საყიდლად; ბალდინიც დაეთანხმება, ოღონდ იმ პირობით, რომ ვერა სულიერი ვერ გაიგებს ამ თავისმოსაყივნებელ ამბავს. შენიე შეფიცებს, და ისინი საიდუმლოდ, ღამით გაჟღენთავენ გრაფ ვერამონის ბიუვარს – სხვისი სუნამოთი. ყველაფერი ზუსტად ასე მოხდება და არა სხვანაირად, და ახლა შენიეს მხოლოდ ერთი სურ-

ვილი აქვს – ეს კომედია რაც შეიძლება მალე დამთავრდეს. ბალდინი აღარაა ის დიდებული პარფიუმერი... კი, ადრე, ახალგაზრდობაში, ამ ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ, სწორედ მან შექმნა „სამხრეთის ვარდი“ და „ბალდინის თაიგული“ — ორი მართლაც რომ ღვთაებრივი სურნელი, რომლებსაც უნდა უმადლოდეს კიდეც თავის ქონებას; მაგრამ ახლა მოხუცდა, გაცვდა, ჩამორჩა დროს, დღეისდღის გემოვნებას, და მაშინაც კი, როცა საერთოდ ახერხებდა რაიმე ახლის შეთითხნას, ყოველთვის წარღვნამდელი, გაუსაღებელი საძაგლობა გამოუდიოდა, რასაც მერე ათგზის აზავებდნენ და ცალობით ასაღებდნენ ხოლმე, როგორც დასამატ საშუალებას შადრევნების წყლისათვის. „ცოდო კია, – გაიფიქრა შენიემ და სარკეში ჩაიხედა, პარიკის სისწორე შეიმოწმა – ცოდოა ბებერი ბალდინი, და გაკოტრების პირას მისული მისი ეს მშვენიერი სავაჭროც დასანანია; მეც ცოდო ვარ, განა არა – ვიდრე ის საბოლოოდ გაკოტრდებოდეს, კიდეც მოვხუცდები და მერე რაღა მისი შესყიდვის თავი მექნება“...

11.

ჯუზეპე ბალდინიმ კი გაიძრო თავისი სართუკი, მაგრამ უფრო ძველი ჩვეულებისამებრ, თორემ ფრანჟიპანის წყლის სუნი უკვე კაი ხანია მის ყნოსვას აღარ აღიზიანებდა: რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ისე მიეჩვია, საერთოდ ველარც ამჩნევდა. მართალია, კაბინეტის კარიც გაიხურა, ისიც მართალია, რომ ითხოვა — არავინ შემაწუხოსო, მაგრამ არც საწერ მაგიდას მისჯდომია და არც ზეშთაგონებას დალოდებია, რადგან შენიეზე უკეთ უწყოდა, არავითარი ზეშთაგონება არ ეწვეოდა. საქმე ისაა, იგი არც აროდეს სწვევია – დიახ, სწორია, ბებერი იყო, და გაცვეთილი, და აღარც დიდებული პარფიუმერი ეთქმოდა, მაგრამ სინამდვილეში ხომ არც არასოდეს ყოფილა ასეთი: „სამხრეთის ვარდი“ მან მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან, ხოლო „ბალდინის თაიგულის“ რეცეპტი ერთი გენუელი სანელებლებით მოვაჭრისაგან შეისყიდა. ყველა სხვა მისი სუნამო კარგა ხნის წინათ ცნობილი, ოღონდ საკმარისად მივიწყებული ნარევები იყო. თავად მას ჯერ არასდროს არაფერი გამოუგონია და საერთოდ, ბალდინი არც იყო რაიმეს გამომგონებელი – იგი უფრო მაღალხარისხოვან ნელსაცხებელთა დამამზადებელი გახლდათ – როგორც მზარეული, რომელიც შესანიშნავად ამზადებს სხვისი რეცეპტების მიხედვით, ოღონდაც ვერა კერძს ვერ დაარქმევს საკუთარ სახელს, უცილობლადქცეულ თავსართ *a lá*-ს დამა-ტებით... მთელ ამ კომედიას – ლაბორატორიით, და ექსპერიმენტებით, და ზეშთაგონებით, და იდუმალებით – ბალდინი მხოლოდ იმიტომ გაითამაშებდა ხოლმე, რომ ოსტატის სახელი შეენარჩუნებინა – “პარფიუმერი და მეხელთათმანე”. პარფიუმერი ხომ სასწაულებს ქმნის და ცოტათი ალქიმიკოსია, ასე თვლის ხალხი – მით უკეთესი! ის, რომ მთელი მისი ხელოვნება ისევე ხელობაა, როგორც ნებისმიერი სხვა, იცოდა მხოლოდ მან, და კიდეც ამაყობდა ამით; არც სურდა გამომგონებელი ყოფილიყო — გამომგონებლობა ფრიად საეჭვო რამ გახლავთ, რადგან მუდამ და ყოველთვის წესების დარღვევას ნიშნავს. ბალდინი იმთა-

ვითვე არ აპირებდა ახალი სუნამოს შექმნას გრაფ ვერამონისათვის. ყოველ შემთხვევაში, შენიეს მაინც არ დასჭირდება მისი დაყოლიება, არც პელისიეს ნათითხნის შოვნა... თავად იშოვა. აგერ, საწერ მაგიდაზე დევს, ფანჯარასთან, დაწახნაგებულსახურავიან პაწია ფლაკონში. რამდენიმე დღის წინ შეიძინა. რა თქმა უნდა არა პირადად – სად გაგონილა, ბალდინი პირადად ცხადდებოდეს ვინმე პელისიესთან სუნამოს საყიდლად! შუამავლის საშუალებით მოქმედებდა და იმ შუამავალმაც კიდე სხვას მიმართა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ოღონდაც ამჯერად ბალდინი სულაც არ აპირებდა ამ სხვისი სუნამოს გამოყენებას ერთადერთი ტყავის გასაჯერებლად – მან უარესი რამ ჩაიფიქრა: ასლის გადაღება.

ამგვარი ქმედება კანონით არ იყო აკრძალული, თუმცა უზნეობად კი ითვლებოდა. კონკურენტის ნაწარმის ფარულად დუბლირება და მისი საკუთარი დამღით გაყიდვა, ზედმიწევნით არაკეთილშობილური საქციელი გახლდათ. მაგრამ უარესი ამბავია, სამხილით ხელში თუ დაგიჭერენ და ამიტომაც, შენიემ სრულიად არაფერი არ უნდა იცოდეს, რადგან ენა მაინც ზომაზე გრძელი აქვს...

ე-ეჰ! ცუდია, ცუდი, პატიოსან ადამიანს რომ ამგვარად უწევს თავის გატანა! მძიმეა მსხვრპლად მიიტანო ყველაზე ძვირფასი, რაიც გაგაჩნია – საკუთარი ღირსება ასე უბადრუკად დაალაქავო! მაგრამ რა გინდა ქნა?! გრაფი ვერამონისთანა მუშტრის დაკარგვაც ვერაფერ სიკეთეს მოიტანს... მის გარდა განა რომელი გვაროვანი მომხმარებელი შერჩა? ისევ ისე უნდა იძუნძულოს შეკვეთების საშოვნელად, როგორც ოციან წლებში, თავის კარიერას რომ იწყებდა, ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა ხონჩით. ღმერთია მოწმე, ჯუზეპე ბალდინი, ყველაზე დიდი და ხეირიანად განლაგებული პარფიუმერიის მაღაზიის მეპატრონე, ახლა სახლში აკითხავს კლიენტებს ჩემოდნით ხელში! ეს კი მას სულაც არ ეპიტნავებოდა: უკვე სამოცსაა მიტანებული და რაღა დროს მარკიზებისთვის ასფურცელაზე დაყანებული ტუალეტის წყლის, ძმარ „ოთხი ყაჩაღისა“ თუ შაკიკის საწინააღმდეგო მალამოს ქებაა! ამას გარდა, იმ მისაღებებში ყოვლად უგვანი კონკურენცია მეფობდა: თუნდაც ის ქვეშქვეშა ბ-ნი ბურე, დოფინის ქუჩიდან, რომ ამტკიცებს – ჩემთან პომადების ყველაზე დიდი არჩევანია მთელს ევროპაშიო; ანდა ის ვიღაცა კალტო, მოკონსეის ქუჩიდან, გრაფინია დ'არტუას პირად მომმარაგებლად რომ გაძვრა; ახლა კიდევ ეს თავკერძა პელისიე სენ-ანდრე-დეზ-არის ქუჩიდან, ყოველ წელს რომ რაღაც უცხო სუნამო შემოაქვს მოდაში და კეთილშობილთა თუ მდაბიორთ ერთნაირად აკარგვინებს ჭკუას...

ისიც ითქვას, ეს პელისიე მთელს საპარფიუმერიო ბაზარს ქაოსში აქცევდა. როდესაც რომელიმე სეზონში უნგრული მოდა დომინირებდა და ბალდინი, შესაბამისად, ლავანდს, ბერგამოტს, როზმარინს იმარაგებდა – პელისიე მუშკით უხვად გაჯერებულ რაღაც *„განცხრომა“*-ს გამოყრიდა გასაყიდად და ყველას უცებ შემოეჭდებოდა უმძაფრესი სურვილი მხოლოდ მისი სუნი ეფრქვია; ბალდინის აღარაფერი შეეძლო იმის გარდა, რომ როზმარინი თავის დასაბან წყლად გადაემუშავებინა, ხოლო ლავანდა საყნოსავ ტომსიკებში ჩაეყარა და ჩაეკერებინა. სამაგიეროდ, როდესაც შემდეგი წლისათვის შესაბამისი რაოდენობის მუშკს, ციბეტინს და კასტორიუმს შეუკვეთავდა, პე-

ლისიე საკუთარ ხუშტურზე ქმნიდა სუნამოს, რომელსაც „ველური ყვავილი“ ერქვა და ისიც წამიერად პოულობდა წარმატებას. ხანგრძლივი ღამეული ცდების, ან წრეგადასული ხარჯებით ჯაშუშების დაქირავების ფასად, ბალდინი ბოლოს და ბოლოს არკვევდა რისგან შედგებოდა ეს „ყვავილი“ – პელისიე კი ისევ ახალ კოზირს ჩამოდიოდა: „თურქულ ღამეებს“, ანდა „ლისაბონის რიჟრაჟს“, ანდა „სამეფო კარის თაიგულს“ და ეშმაკმა უწყის კიდევ რას არა. ასეა თუ ისე, ეს კაცი, ამ თავისი დაუოკებელი გამომგონებლობით, მთლიანად მენელსაცხებლეთა ამქარს უთხრიდა ძირს. აბა როგორ არ უნდა დაგნანებოდა, რომ ამქრული უფლებების მკაცრი დრო წარსულს ჩაბარდა! ამისთანა წამგლეჯი, მეტიჩარა, გაქნილი საქმოსანი, დახვეწილი გემოვნების დაკნინების ხარჯზე რომ მდიდრდება, მართლა იმის ღირსია, ყველაზე დრაკონული ზომები მიუსადაგო! პატენტიც უნდა წაართვა, პარფიუმერიის საქმეებში ჩარევა ხომ საერთოდ უნდა აუკრძალო... ჯერ ამ თაღლითმა რაღაც-რაღაცეები მაინც ისწავლოს! განათუ განსწავლული პარფიუმერია და მეხელთათმანე, ეს პელისიე! მამამისიც ერთი უბრალო ძმრის მხდელი იყო, და პელისიეც ძმრის მხდელია და სხვა არაფერი! იმითი მიეტმასნა ჭეშმარიტ მენელსაცხებელთა წრეს, ძმრის მხდელებს უფლება რომ მიეცათ სპირტის პროდუქტებზეც იმუშაონ, და ფათურობს ახლა აქ ვირთხასავით! ერთი მითხარით, რა საჭიროა ყოველ სეზონზე სულ ახალ-ახალი სუნამო გამოაგდო ბაზარზე? ვის რაში სჭირდება? ადრე საზოგადოება სავსებით კმაყოფილდებოდა იის წყლითა და ნაირნაირი ყვავილების ნაყენის უბრალო შერევით, და მათი შემადგენლობაც ოდნავ თუ იცვლებოდა სადღაც ათ წელიწადში ერთხელ. ბოლოს და ბოლოს, ათასწლეულობით კმაყოფილდებოდა ხალხი ბალზამითა და სურნელოვანი ფისით, საკმეველით, ზეთებითა და გამხმარი სუნელებით... და მას შემდეგაც კი, როცა კოლბებისა და სახდელი აპარატების გამოყენებით გამოხდილი წყლის მიღება ისწავლეს, ხოლო წყლის ორთქლის დახმარებით – ბალახებისათვის, ყვავილებისათვის, სხვადასხვა სახის მერქანისათვის მათი სურნელოვანი სულის წართმევა – ეთერული ზეთების სახით, მუხის პრესების მეშვეობით მისი გამოწურვა ხილის თესლებიდან, კურკებიდან თუ კანიდან, ანდა გულმოდგინედ გაფილტრული ცხიმების საშუალებით მისი გამოყვანა ყვავილების ფურცლებიდან, მათი რაოდენობა ჯერ კიდევ შემოსაზღვრული იყო. იმ ზნეკეთილ დროებაში, ისეთი ტიპის გამოჩენა, როგორიც პელისიეა, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა: იმხანად უბრალო პომადის მოსამზადებლადაც კი ისეთი ნიჭიერება იყო საჭირო, რაგვარსაც ეს მეძმარე ოცნებითაც ვერ შესწვდებოდა. საჭირო იყო არა მხოლოდ გამოხდის ტექნოლოგიის ცოდნა, არამედ ერთდროულად უნდა ყოფილიყავი მენელსაცხებლე და აფთიაქარი, ალქიმიკოსი და ხელოსანი, ვაჭარი, მწიგნობარი და მებაღე ერთდროულად; უნდა გაგერჩია ცხვრის თირკმლის ქონი ხბოს ქონისაგან, ხოლო ია „ვიქტორია“ — პარმის იისაგან; უნდა გცოდნოდა, როდის მწიფდება ჰელიოტროპი და როდის ყვავილობს ბალბიფოთლა და რომ ჟასმინის ყვავილი, მზის ამოსვლის მერე, თავის სურნელს სრულიად კარგავს... მსგავს რამეებზე ხომ პელისიეს მსგავს სუბიექტებს წარმოდგენაც არა აქვთ! იქნება და ის არც არასოდეს გაშორებია პარიზის კედლებს და არც აყვავებული ჟასმინი უნახავს ოდესმე?! მას ალბათ სიზმრადაც არ მოლანდებია, რაოდენი შავი სამუშაოა საჭირო, ასი ათასი ჟასმინის ფურცლისაგან კონკრეციის პაწაწინა ბურთულა, ან რამოდენიმე

წვეთი სუფთა ესენცია რომ მიიღო! მისთვის ჟასმინი მხოლოდ და მხოლოდ პატარა ფლაკონში ჩასხმული, დაწურული მუქი ყავისფერი სითხე თუა, რომელიც ცეცხლგამძლე ყუთში უდევს სხვა ფლაკონებთან ერთად და რომლითაც ის თავის სუნამოებს აზავებს... არა, ბატონო ჩემო, იმ კეთილ ძველ დროებაში, როცა ხელობას პატივს სცემდნენ, ამისთანა ქარაფშუტა ვინმეს არც გააბედვინებდნენ პარფიუმერების მარაქაში გარევას! ჯერ ერთი, არავითარი მონაცემები მას არ გააჩნია: არც მტკიცე ხასიათი, არც განათლება, არც მორიდება, არც ამქრული ზემდგომ-ქვემდგომის გაგება... ყველა თავს წარმატებას მხოლოდ და მხოლოდ იმ აღმოჩენას უნდა უმადლოდეს, რომელიც ორასი წლით ადრე მოახდინა გენიალურმა მაურიციო ფარჟიპანიმ – ისიც იტალიელი გახლდათ, სხვათა შორის – რომ არომატული ნივთიერებები ღვინის სპირტში იხსენება! მერე შეურია ეს არომატული ფხვნილები ალკოჰოლში და ამით მათი სურნელი აქროლად სითხეზე გადაიტანა – გაანთავისუფლა სუნი მატერიისაგან, სული ჩაუდგა მას, გამოიგონა სუნი – როგორც ნელსურნელება, მოკლედ: შექმნა სუნამო. რამხელა საქმეა! არა, ეპოქალური გამოგონებაა – ამას ადამიანთა მოდგმის მხოლოდ უმაღლეს მიღწევებს თუ შევადარებთ: ასირიელების მიერ დამწერლობის შექმნას, ევკლიდესეულ გეომეტრიას, პლატონის იდეებს ან ბერძნების მიერ ყურძნის ღვინოდ გადაქცევის ამბავს! ჭეშმარიტად, პრომეთეს გმირობაა, მაგრამ რამდენადაც გონის ყოველ დიად გამობრწყინებას არა ოდენ სინათლე, არამედ ჩრდილიც მიირქმევს და კეთილდღეობასთან ერთად, მწუხარება და სიმწარეც მოაქვს, ასევე ფირჟიპანის აღმოჩენას, საუბედუროდ, უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა: როგორც კი ადამიანებმა ყვავილებისა და ბალახების, და ხეების, ფისებისა თუ ცხოველთა სეკრეციის სულის გამოლოცვა ისწავლეს და მათი გამომწყვდევა თავდაცობილ ფლაკონებში, არომატიზაციის ხელოვნება ხელიდან გაუსხლტათ ყოვლისმოცდნე, იშვიათ ოსტატებს და გზა გაეხსნათ რა გინდა რა ცრუმარქვიებს, რომლებმაც მხოლოდ სარფიანი საქმეების გაჩარხვა იციან — ამ ვირთხა პელისიესავით! იმაზე თავისაუტკივებლად, თუ როდის და როგორ წარმოიშვა მისი ფლაკონების ჯადოქრული შემცველობა, მას ახლა შეუძლია უბრალოდ კოჭი უგოროს საკუთარი ყნოსვის ხუშტურებს და ერთმანეთში ათქვიფოს ყველაფერი, რაც თავად მას, ანდა მყიდველს მოეპრიანება...

ამ გარეწარმა პელისიემ, სულ რაღაც ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, ალბათ უფრო მეტი ქონება მოაქუჩა, ვიდრე მან, ბალდინიმ დააგროვა მისი ოჯახის სამი თაობის მძიმე, შეუპოვარი შრომით. თანაც, ეს პელისიეს ქონება ყოველდღიურად მატულობს, ხოლო მისი, ბალდინისა, ყოველდღიურად დნება. ასეთი რამ საერთოდ ვერ მოხდებოდა ძველ დროებაში! ყველასგან პატივცემული ოსტატი და დარბაისელი კომერსანტი რომ იძულებული ხდება, ლამის საკუთარი არსებობისათვის იბრძოლოს – ასეთი რამ სულ ახლახან, რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო! მას შემდეგ რაც ყველგან და ყოველგან გადაიგრიალა სიახლეების ამ ციებ-ცხელებამ, საქმოსნობის ამ შეუკავებელმა ფაღარათმა, ექსპერიმენტატორობის გამხეცებულმა სიშმაგემ, ამ განდიდების მანიამ ვაჭართა, მოგზაურთა, მეცნიერთა წრეში!!!

ანდა თუნდაც ეს სიჩქარეებზე გადარევა! რაში დასჭირდათ უამრავი ახალი გზის გათხრა? რისთვის მართავენ ახალ-ახალ ხიდებს? რისთვის? რომ ლიონამდე ერთ კვირაში ჩააღწიო? მერედა, რა ჭკუა აქვს ამას? ვისთვისაა ეს სასარგებლო, რას სერავენ თავქუდმოგლეჯილნი ამ ალტანტიკას? რომ ერთი თვის შემდეგ ამერიკაში აღმოჩნდნენ?! კი მაგრამ, ადამიანები ხომ საუკუნეების განმავლობაში ამ კონტინენტის გარეშეც მშვენივრად გრძნობდნენ თავს! და საერთოდ, რა ესაქმება ცივილიზებულ ადამიანს პირველყოფილ ტყეში, ინდიელებთან და ზანგებთან?! ანდა ლაპლანდიაში, ჩრდილოეთით, სადაც მუდმივი ყინულია და სადაც ველურები ცხოვრობენ და უმ თევზს მიირთმევენ? ესეც ეცოტავათ — ახალი, კიდევ ერთი კონტინენტის აღმოჩენა მოისურვეს — სადღაც სამხრეთის ზღვებშიო, ამბობენ. რისთვის უნდათ ეს სისულელე? სხვებიც ასევე იქცეოდნენო — შერეკილი ესპანელები, გაფუყული ინგლისელები, უტიფარი ჰოლანდიელები – რომლებთანაც, სხვათა შორის, მერე ბრძოლა მოგვიწია და რისი უფლებაც საერთოდ არ უნდა მიგვეცა საკუთარი თავისთვის... 300.000 ლივრი ნაღდი – აი, რა ჯდება ერთი სამხედრო ხომალდი, ის კიდე ხუთ წუთში იძირება ზარბაზნის ერთი გასროლით და გადასახადებიდან აკრეფილი ფულიც წავიდა ზღვის ფსკერზე!... ბატონი ფინანსთა მინისტრი ახლა უკვე მთელი ათი პროცენტის გადახდას მოითხოვს შემოსავლიდან, რაც სრული გაღატაკებაა, ჩემმა ღმერთმა! მაშინაც კი, თუ ნაწილ-ნაწილ, ან სულაც არ გადაიხდი არაფერს, ასეთ ზნედაცემულ გარემოში მაინც ვერაფერ ხეირს ნახავ...

დიახაც, ბატონო ჩემო, ადამიანის ყველა უბედურება იმისაგანაა, რომ არავის სურს სახლში წყნარად ჯდომა – იქ, სადაც მათი ადგილია. ასე ამბობდა პასკალი. მაგრამ პასკალი ხომ დიადი ადამიანი იყო, ასე ვთქვათ, ფრანჟიპანი თავის საქმეში, ე. ი. ნამდვილი ოსტატი; ასეთებზე კი ახლა მოთხოვნილება აღარაა. ახლა ისინი ჰუგენოტების ან ვიღაც ინგლისელების წამქეზებლურ ტრაქტატებს კითხულობენ, ანდა წიგნებს წერენ, ან ეგრეთწოდებულ დიად სამეცნიერო ნაშრომებს, სადაც ყველაფერი და ყოველივე კითხვის ქვეშა აქვთ დაყენებული. თითქოს უკვე აღარაფერი ჭეშმარიტი აღარ არსებობს და ყველაფერი შეიცვალა. ჭიქა წყალში თურმე, პაწაწინა ცხოველები დაცურავენ, რომლებსაც ადრე ვერავინ ამჩნევდა; ათაშანგი ჩვეულებრივი ავადობა ყოფილა და არა ღვთის რისხვა; ღმერთს თურმე, სამყარო შვიდ დღეში კი არა, მილიონობით წლების განმავლობაში შეუქმნია, თუ ეს ღმერთიც არსებობდა საერთოდ; ველურები ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც ჩვენ; ბავშვებს არასწორად ვზრდით; დედამიწა უკვე მრგვალი კი აღარაა, როგორც ადრე იყო, არამედ ზემოდან და ქვემოდან შებრტყელებულია, ნესვივით – თითქოს მხოლოდ ამაშია საქმე! ყველა, ვისაც არ ეზარება, კითხვებს იძლევა, და თხრიან, და იკვლევენ, და ჩხრეკენ, და რაზე აღარ ატარებენ ექსპერიმენტებს! ახლა ცოტაა თქვა რა და როგორ, კეთილი ინებე და დაამტკიცე, წარმოადგინე მოწმეები, ჩამოალაგე ციფრები, ჩაატარე რაღაც სულელური ცდები... ვიღაც დიდროებმა, და დალამბერებმა, და ვოლტერებმა, და რუსოებმა, და სხვა მწერლუკებმა, ვინც არ უნდა იყვნენ – მათ შორის სასულიერო პირებიც ყოფილან თურმე და კეთილშობილი ბატონებიც — თავისას მიაღწიეს: საკუთარი მოუსვენრობა, ამ ქვეყანაზე ყველაფრის მიმართ დაუკმაყოფილებლობისა თუ უკმაყოფილების გარყვნილი ჩვეულება —

მოკლედ, მათ თავებში გამეფებული ეს უსაზღვრო ქაოსი, მოახერხეს და ახლა მთელს საზოგადოებას გადასდეს!

საითაც უნდა გაიხედო, ყველას რაღაც ციებცხელება შეყრია. ქალები წიგნების კითხულობენ, ღვთისმსახურები ყავახანებში ატუზულან... ერთხელ კიდე, როდესაც პოლიცია ჩაერია და ამ გველაძუა არამზადებიდან რომელიღაცა ვირის აბანოში ჩააყუდა, გამომცემლებმა ერთი ყალილა ატეხეს, ზემდგომმა ბატონებმა და ქალბატონებმაც თავიანთი გავლენა გამოიყენეს და ისე მოხდა, ორი-სამი კვირის შემდეგ გაათავისუფლეს კიდეც... თუ საზღვარგარეთ გაუშვეს, სადაც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განაგრძობდა პამფლეტების ჯღაბნას. სალონებში მხოლოდ კომეტებზე და ექსპედიციებზე ლაყბობენ, ბერკეტის ძალასა და ნიუტონზე, არხების მშენებლობაზე, ორგანიზმში სისხლის მიმოქცევასა და დედამიწის დიამეტრზე.

მეფემაც კი ნება დართო, მის წინაშე რაღაც ახალმოდური სიბრიყვის ჩვენება მოეხდინათ – რაღაცა ხელოვნური ქუხილივით, ელექტრობა ეწოდებაო: მთელი სამეფო კარის თანდასწრებით, კაცმა ბოთლი ბოთლზე გაახახუნა და ნაპერწკლები გადმოცვივდა და მის უდიდებულესობაზე, როგორც ამბობენ, ამან დიდზე-დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინაო. წარმოუდგენელია რომ მის დიდ პაპას, იმ მართლაც რომ დიდ ლუდოვიკოს, რომლის ძლევამოსილ მმართველობასაც, ბალდინი, მისდა საბედნიეროდ, კიდევ შეესწრო, მსგავსი სისულელის დემონსტრაცია მოეთმინა საკუთარ კარზე! მაგრამ სწორედ ასეთია ამ ახალი დროების სული და ძაან ვეჭვობ, ყოველივე ეს კეთილად დამთავრდეს.

ვინაიდან, თუ უკვე დასაშვებია ყოვლად უსირცხვილო მეთოდებით, ყოვლად თავხედურად, ღვთის ეკლესიის ავტორიტეტის შელახვა; თუ არანაკლებ ღვთიურ მონარქიასა და ღვთივკურთხეული მეფის პერსონას განიხილავენ როგორც ცვლად პოზიციას, მმართველობის სხვა ფორმებთან ერთად, რაღაც ერთიან კატალოგში, საიდანაც საკუთარი გემოვნებისდა მიხედვით ნებისმიერი შეგიძლია აირჩიო; თუ ბოლოს და ბოლოს იქამდე დავეშვით, რომ თავად ყოვლისშემძლე უფალს ზედმეტად აცხადებენ და ყოვლად თავდაჯერებულად ამტკიცებენ, წესრიგი, ზნეობა და ბედნიერება მის გარეშეც შესაძლებელიაო, რომ ყოველივე ამისათვის თავად ადამიანის თანდაყოლილი გონიერებაც სრულიად საკმარისია... ღმერთო დიდებულო! მაშინ, ყოველ შემთხვევაში, რაღაა გასაკვირი, თუ ყველაფერი ყირამალა მიდის და ზნეჩვეულებანი გადაგვარდა და კაცობრიობამ თავს დაიტეხა სასჯელი მისგან, ვისაც თავადვე უარყოფს და ყოველივე ეს ძალიან-ძალიან ცუდად დამთავრდება... 1681 წლის დიდი კომეტა, რომელსაც ისინი უბრალოდ ვარსკვლავების გროვად თვლიდნენ და ატრიზავებდნენ, სწორედ რომ უფლის გამაფრთხილებელი ნიშანი იყო, რადგან მან – ახლა მაინც ხომ ცნობილია – სწორად გვიწინასწარმეტყველა ლპობა სულიერი, საუკუნე გარყვნილებისა, პოლიტიკური, რელიგიური ჭაობისა, რომელიც კაცობრიობამ თავადვე შექმნა საკუთარი თავისთვის და რომელშიც, აღრე თუ გვიან, თავადვე ჩაიძირება და სადაც მხოლოდ ისეთი აყროლებული და საზიზღარი ჭაობის ყვავილები იფურჩქნებიან, როგორიც ეს პელისიეა!..“

ბებერი ბალდინი ფანჯარასთან იდგა და არაფრისმთქმელი თვალებით გადაჰყურებდა მზის ცერა სხივებქვეშ გაწოლილ მდინარეს. ხიდის ქვემოდან გამოყვინთავდნენ ხოლმე სატვირთო ნავები და ნელა მისრიალებდნენ დასავლეთით, ახალ ხიდსა და ლუვრის მისადგომებისკენ. არცერთი მათგანი არ მოყვებოდა ზემოთ, დინების საწინააღმდეგოდ. ისინი მდინარის მეორე ტოტში უხვევდნენ, კუნძულის იქითა მხარეს, აქ კი მხოლოდ ქვემოთ მიცურავდნენ, ცარიელი და დატვირთული გემები, ნიჩბებიანი ნავები და მეთევზეთა ბრტყელძირა ნუშები, ჭუჭყისაგან გაყავისფრებული წყალი და წყალი – მზისაგან ოქროსფერი რომ გადასდიოდა. ყველაფერი დაბლით მიისწრაფვოდა – ნელა, ფართოდ, შეუკავებლად, ხოლო როდესაც ბალდინი ძირს იყურებოდა — სახლის კედლის გაყოლებაზე, სულ ეჩვენებოდა, თითქოს ხიდის ბურჯებს დინება იწოვსო და თავბრუ ესხმოდა.

ხიდზე სახლის ყიდვა შეცდომა იყო... ორმაგად შეცდომა იყო სახლის ყიდვა დასავლეთის მხარეს, და ახლა მუდმივად თვალწინ უდგას მდინარე, რომელიც სადღაც შორს მიედინება, და მუდმივად ეჩვენება, რომ მის სახლსაც და მის მიერ ათეულობით წლების მანძილზე ნაგროვებ ქონებას ასევე მიატივტვებს ეს მდინარე, და თვითონაც უკვე საკმარისად ბებერია და მისუსტებული, რომ ამ მდინარებამ არ ჩაიყოლოს. ხშირად, საქმეებზე მარცხენა ნაპირზე გადასული, სორბონთან მდებარე უბნიდან, ან წმ. სულპიციუსის ტაძრის შემოგარენიდან, სახლში ბრუნდებოდა არა სენ-მიშელის ხიდით, არამედ კუნძულის გავლით, ახალი ხიდით, უფრო გრძელი გზით, რადგან ამ ხიდზე სახლები არ იდგა. ჩერდებოდა ხოლმე აღმოსავლეთის მხარის მოაჯირთან და ზევიდან დაყურებდა დინებას, რათა ხანდახან მაინც დაენახა როგორ მოისწრაფვის ყველაფერი მისკენ, მის შესახვედრად; და მიეცემოდა ხოლმე ტკბილ ოცნებებს იმაზე, რომ საქმე უდუღს და გადმოუდის, რომ ოჯახობა განცხრომაშია, რომ ქალები გასაქანს არ აძლევენ და ქონებაც, იმის მაგივრად რომ ხელში ადნებოდეს, სულ უმრავლდება და უმრავლდება...

მაგრამ შემდეგ, როდესაც მზერას ოდნავ ზემოთ მიაპყრობდა, სულ რაღაც ასი მეტრის მანძილზე ხედავდა თავის სახლს, რომელიც მაღლა, ზარაფთა ხიდზე იდგა, დაყანთრული და ვიწრო; ხედავდა საკუთარი კაბინეტის ფანჯრებს მეორე სართულზე და საკუთარ თავს, ფანჯარასთან მდგომს და დაბლით, მდინარეზე მიჩერებულს, მზერით რომ აცილებდა ქვემოთ მიმდინარე წყალს – ისევე, როგორც ახლა. აქ კი ლამაზი სიზმარი მთავრდებოდა და ახალ ხიდზე მდგარი ბალდინი სახლში ბრუნდებოდა, უფრო მეტად დათრგუნული ვიდრე მანამდე, უფრო დათრგუნული, ვიდრე ახლა, როცა ფანჯარას ზურგი აქცია, მივიდა საწერ მაგიდასთან და სავარძელში ჩაჯდა...

მის წინ ფლაკონი იდგა, პელისიეს სუნამოთი. ოქროსფერდაკრული ყავისფერი სითხე, მზის სინათლეზე მოციმციმე, გამჭვირვალე იყო და შემღვრევის ყოველგვარ კვალს მოკლებული, სრულიად უმანკოდ გამოიყურებოდა, ჩაის თხელი ნაყენივით – ოღონდაც შეიცავდა ოთხ მეხუთედ სპირტსა და ერთ მეხუთედ იმ იდუმალ ნაზავს, მთელი ქალაქის აღგზნება რომ შეეძლო. თავად ეს ნაზავიც სამი, ან იქნებ ოცდაათი სხვადასხვა ნივთიერებისაგან შედგებოდა, რომლებიც სრულიად განსაზღვრულ (შესაძლებელთა უსასრულო

რიცხვიდან) მოცულობაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან მიმართებით და სწორედ ეს იყო სუნამოს სული – თუკი, რაღა თქმა უნდა, მართებულია ამ სიტყვის ხმარება, როდესაც პელისიეს ნაწარმზე ლაპარაკობ, და ახლა მისი შემადგენლობის გამორკვევაღა იყო საჭირო.

ბალდინიმ გულმოდგინედ მოიხოცა ცხვირი და ოდნავ ჩამოუშვა ფარდები ფანჯარაზე, რადგან ბირდაპირი მზის სინათლე მავნებელია ნებისმიერი სურნელოვანი ნივთიერებისა და ნებისმიერი, ცოტად თუ ბევრად ნატიფი კონცენტრაციის სურნელებისათვის. საწერი მაგიდის უჯრიდან თეთრი, მაქმანებიანი, გატკიცინებული ცხვირსახოცი ამოიღო, ამასთანავე თავი უკან გადასწია და ნესტოებსაც თითები მოუჭირა – ღმერთმა ნუ ქნას და ყნოსვითი შთაბეჭდილება ნაჩქარევად, პირდაპირ ბოთლიდან მიიღოს! ყოველი სუნამო თავისუფალ, აქროლად მდგომარეობაში უნდა შეიყნოსო და არა — კონცენტრირებულში... რამდენიმე წვეთი ქსოვილს დააპკურა, მერე ერთი-ორჯერ ჰაერში გააქნია სპირტის სულის გასანიავებლად, და ფრთხილად მიიტანა ცხვირთან. სამი ძალიან მოკლე, მკვეთრი შესუნთქვით შეიწოვა არომა, თითქოსდა რაიმე ფხვნილი ყოფილიყო, უცებ ამოისუნთქა, ხელით ჰაერი თავისი ცხვირისაკენ მოდენა, კიდევ ერთხელ დაყნოსა, საბოლოო, ღრმა შესუნთქვაც გააკეთა და ახლა უკვე აუჩქარებლად, მრავალჯერადი შეყოვნებით ამოისუნთქა... ყოველივე ამის შემდეგ ცხვირსახოცი მაგიდაზე დააგდო და სავარძლის საზურგეზე გადაწვა.

სისაზიზღრემდე კარგი იყო ეს ოხერი! ამ უბადრუკმა პელისიემ, საუბედუროდ, მაინც იცოდა თავისი საქმის ყადრი. ღმერთო, რა ოსტატია — თუნდაც ათასგზის უსწავლელი იყოს... ბალდინის სურვილმა მოუარა, „ამური და ფსიქეა“ მისი ნამოქმედარი ყოფილიყო. ამ სუნამოში ვულგარულობის ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა — სრულიად კლასიკური არომა, სრულყოფილი, ჰარმონიული და ამავე დროს, სრულიად ახალი. სიახლე იყო, მაგრამ არა მომაბეზრებელი. ყვავილოვანი, მაგრამ არა დაშაქრული. ტევადობა ჰქონდა, ბრწყინვალე, მიმზიდველი, დიდებული, მუქ-ყავისფერი სიღრმე – ამასთანავე არც გადატვირთული იყო და არც მაღალფარდოვნების კვალი აჩნდა...

ბალდინი ლამის მოწიწების შეგრძნებით წამოდგა და კიდევ ერთხელ მიიტანა ცხვირსახოცი სახესთან. „შესანიშნავია, შესანიშნავი...” — ბუტბუტებდა და ხარბად ყნოსავდა. – “ხალისი იგრძნობა და მშვენიერია, როგორც კონტრაპუნქტი! განწყობილებას გიმაღლებს... არა... რა სისულელეა!“ — გაშმაგებით მოისროლა ცხვირსახოცი, შებრუნდა და კაბინეტის ყველაზე შორეულ კუთხეში გადგა, თითქოს საკუთარი აღფრთოვანებისა შერცხვაო. სასაცილოა მსგავსი, სრულიად უადგილო მჭევრმეტყველება – *მელოდია. სიმშვენიერე. მხიარულება. ამაღლებული განწყობა...* – სისულელეა! ბავშვური ტიტინი! წამიერი შთაბეჭდილება, ძველი ცოდვა — ტემპერამენტის საკითხი. იქნებ, იტალიური ხასიათი. არასოდეს განსაჯო პირველი შთაბეჭდილებით! ოქროს წესი! ბალდინი, შე ბებერო ვირო! როდესაც ყნოსავ – დაყნოსე, განსჯით კი მერე განსაჯე! კი ბატონო, ეს „ამური და ფსიქეა“ არცთუ ჩვეულებრივი სუნამოა. ფრიად შესანიშნავი ნამოქმედარი. ოღონდაც, მარჯვედ შეთითხნილი ნაკეთობა, თუ სიყალბეს არ ვიტყვით. არადა, ისეთი კაცისაგან, როგორიც პელისიეა, სიყალბის გარდა რას უნდა

ელოდე! ისედაც ცხადია, პელისიესთანა ტიპი არც დაიწყებს ჩვეულებრივი, უფერული სუნამოს დიდი რაოდენობით წარმოებას. თაღლითს შეუძლია თვალებში ნაცარი შეგაყაროს, სურნელის ვითომდა სრული ჰარმონიულობით ყნოსვა აგირიოს... ბატკნის ტყავში გამოხვეული მგელი, კლასიკურ ხელოვნებაში გამძვრალი ეს გაიძვერა — მოკლედ, ნამდვილი ეშმა, ოღონდ ნიჭიერი, და ეს უარესია, ვიდრე ვინმე უნიჭო და უცოდინარი, რომელსაც თავისი უვიცობა ვერც კი შეუცვნია!..

ფრთხილად, ჯუზეპე, შენ მაინც ნუ მისცემ ნებას, ასე გაგაცურონ! შენზე ხომ მხოლოდ თავდაპირველად იმოქმედა ცრუ შთაბეჭდილებამ... ვინ იცის, რა მოუვა ამ სურნელს, ვთქვათ, ერთი საათის შემდეგ, როდესაც ქროლვადი სუბსტანციები აორთქლდება და მისი ძირგული არსი გამოვლინდება! ანდა დღეს საღამოს, როდესაც გაიგებ იმ მძიმე, მუქი კომპონენტების სურნელს, ჯერ-ჯერობით ბინდბუნდში რომ იმალებიან, სასიამოვნო ყვავილოვანი საფანელის ქვეშ? ჯერ შეიცადე, ბალდინი – ჯერ შეიცადე!

რიგით მეორე წესი გვაუწყებს: სუნამოები დროში ცოცხლობენ; მათ აქვთ თავიანთი სიყრმე, ახალგაზრდობა და სიბერე. თუ სამივე ხანს თანაბრად საამო სურნელს გამოსცემენ, მაშინღა მივიჩნევთ მათ ღირსეულად – განა არა, რამდენჯერ მომზდარა, ჩვენივე მომზადებული ნაზავი პირელ გასინჯვაზე მშვენიერ, ნორჩ სურნელს ავრცელებდა, ცოტა ხნის შემდეგ – დამპალი ხილისას, და საბოლოოდ, სრულიად აუტანელს – ეულ ციბეტინის სუნს... ეს იმიტომ, რომ უნებურად დოზას გადავამეტეთ... ციბეტინთან, საერთოდ, დიდი სიფრთხილეა საჭირო! ერთ ზედმეტ მისხალსაც კი შეუძლია დამანგრეველი შედეგი მოგვცეს. მუდმივი შეცდომა. ვინ იცის – იქნება პელისიემაც ვერ მოზომა ციბეტინი? სავსებით შესაძლებელია, საღამოთი ამ თქვენი ნაქები სუნამოდან მხოლოდ კატის შარდის ნაკვალევი დარჩეს! ვნახოთ, ვნახოთ.

ოღონდ ჯერ ისევ დავყნოსოთ. როგორც ბასრი ნაჯახი ჩეხავს ხის ნამორს პაწაწა ნაფოტებად, ისე ჩვენი ცხვირი დაშლის მას შემადგენელ ნაწილებად... აი, მაშინ აღმოჩნდება, რომ ეს ვითომდა ჯადოსნური სურნელი სრულიად ჩვულებრივი, ძველთაგანვე ცნობილი ხერხითაა მიღებული. არ დაგავიწყდეთ, ბატონებო – მთელი ჩვენი ბალდინთა გვარი, შთამომავლობითი მენელსაცხებლები ვართ! ცინცხლად გავარკვევთ ამ მეძმარე პელისიეს ამბავს! ნიღაბს ჩამოვგლეჯთ მის ამაზრზენ სახეს და ამ ვითომც ნოვატორს დავუმტკიცებთ, რისი გაკეთება ძალუძს ძირძველ ხელობას! ჩვენ მის მოდურ სუნამოს გადავიღებთ, ჩვენივე ხელით შევქმნით მის ზუსტ ასლს, თანაც ისეთი სრული სიზუსტით, რომ თვითონაც ვერ გამოარჩიოს საკუთარი ქმნილებისაგან... არაფერიც, ესეც არაა საკმარისი! ჩვენ უკეთესს შევქმნით. ჩვენ გამოვიკვლევთ მის შეცდომებს, და გამოვასწორებთ, და ამით ავუწევთ ყურს მაგ პელისიეს! დიახაც, ბ-ნო პელისიე, ბ-ნო შარლატონო, შე ვირთხა შენა, პარფიუმერობაც არ მომინდომა ამ მეძმარიამ?!

ახლა კი საქმე, ბალდინი! აბა შენ იცი, ცხვირი გაისუფთავე და ყნოსე, ყნოსე ყოველგვარი სანტიმენტების გარეშე! ხელოვნების ყველა წესის დაცვით დაშალე ეს ნაზავი და საღამომდე ფორმულაც ჩვენი იქნება!...

ბალდინი ისევ საწერ მაგიდას მიეჭრა, უჯრიდან ქაღალდი, მელანი და სუფთა ცხვირსახოცი ამოალაგა, წინ დაიწყო ეს ყველაფერი და ანალიტიკურ ჯაფას შეუდგა; მთელი სამუშაო ის იყო, რომ ცხვირის წინ გაიტარებდა სუნამოთი დანამულ ცხვირსახოცს და მის ცხვირწინ ჩაქროლებული სურნელოვანი აურიდან ამა თუ იმ შემადგენელი ნაწილის ყნოსვით გამორჩევას ესწრაფვოდა; ამასთანავე, სურდა თავიდან აეცილებინა სუნის მთლიანობაში აღქმა – ცხვირსახოცს წამსვე სახიდან შორს იჭერდა გაწვდილ ხელში და ახლად აღმოჩენილი ინგრედიენტის ქაღალდზე აღნუსხვას ცდილობდა. შემდეგ ისევ უნდა გაექნია ცხვირსახოცი, ჩასჭიდებოდა სურნელის სხვა ფრაგმენტს და ასე შემდეგ... ისევ და ისევ.

13.

თითქმის ორი საათი მუშაობდა ბალდინი, შეუსვენებლად, უფრო და უფრო ენერგიული ხდებოდა მისი მოძრაობები, კალმის წრიპინი ქაღალდზე – სულ უფრო ნევრასთენიული, სუნამოს დოზები, ცხვირსახოცს რომ აფრქვევდა და ცხვირთან მიჰქონდა – სულ მეტი და მეტი...

საქმე იქამდე მივიდა, უკვე სურნელებასაც ველარ არჩევდა. კარგა ხნის გაბრუებული იყო ეთერული სუბსტანციებით – იყნოსავდა, მაგრამ ვერც კი შეიგრძნობდა – არადა დასაწყისში ხომ ირწმუნა, შეუცდომლად გამოკვეთდა ყოველ მათგანს... უკვე ხვდებოდა, ყოველი შემდგომი მცდელობა უნაყოფო იყო. ვერასოდეს მიხვდება, რას წარმოადგენს ეს ახალმოდური სუნამო, ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინც ნამდვილად ვეღარაფერს გაიგებს; კაცმა რომ თქვას, ვერც ხვალ გაიგებს ვერაფერს, თუნდაც, ღვთის წყალობით, მანამდე ყნოსვაც გაუნიავდეს... არადა, ვერა და ვერ ისწავლა ეს გამოყნოსვა, ყოველთვის ეზარებოდა ეს საქმე – არომატის დაშლა. ბოლოს და ბოლოს, რა ჰქვია ამას – მთელის დანაწილება, ანუ ასე თუ ისე იღბლიანად შედგენლი მთლიანის დაშლა უბრალო ფრაგმენტებად? არა, გმადლობთ, ვერაფერი სიკეთეა... ყოველ შემთხვევაში, ჩემგნით მაინც სრულიად საკმარისია, სრულიად საკმარისი.

ოღონდაც მისი ხელი მექანიკურად აგრძელებდა ათასჯერ გავარჯიშებული, ნატიფი ჟესტით მაქმანიანი ცხვირსახოცის სუნამოთი დანამვას, აქეთ-იქით ქნევასა და სახესთან გატარებას, თან ყოველ გაფრიალებაზე ასევე მექანიკურად ისრუტავდა არომატით გაჟღენთილი ჰაერის პორციას, რათა ხელოვნების ყველა წესის დაცვით, ჯერ შეეკავებინა სუნთქვა და შემდგომ, გახანგრძლივებული ამოსუნთქვით, ნარნარად გამოეშვა ნასუნთქი. ბოლოს და ბოლოს, თავად ცხვირმა გაათავისუფლა ამ წამებისაგან – ალერგიამ მოუარა და დაიბუშტა, გამოიტენა, თითქოს ფიჭით დაიცოო და ბალდინის არა თუ რაიმეს დაყნოსვა, სუნთქვაც კი უჭირდა — აი ისე, მძიმე სურდოს დროს რომ იცის ხოლმე და თვალების კუთხეებშიც ცრემლი უდგებოდა. მადლობა ღმერთს! ახლა კი შეუძლია დამშვიდებული სინდისით შეწყვიტოს მუშაობა.

თავისი მოვალეობა ხომ შეასრულა, მოიმოქმედა ყველაფერი, რისი ძალაც შესწევდა, ხელოვნების ყველა წესის დაცვით და დამარცხდა, როგორც ეს უკვე არა ერთხელ მომხდარა. Ultra fosse nemo obligatur.* ბასტა. ხვალე დილით პელისიესთან გააგზავნის ვინმეს ახალი ფლაკონისათვის, დააპკურებს გრაფ ვერამონის ბიუვარს და შეკვეთაც შესრულებული იქნება. მერე აიღებს ძველმოდური პომადებით, ნელსაცხებლებით, მალამოებით, საპნის ნაჭრებით სავსე თავის პატარა ჩემოდანს და წავა ვიღაც ბებრუხანა მარკიზებისა და მათი მეუღლეების სალონების შემოსავლელდ; და ერთხელაც, უკანასკნელი გადამღძვალი მარკიზესაც მიაბარებს სულს უფალს და ბალდინიც თავის უკანასკნელ კლიენტს დაკარგავს; და თავადაც გადაბერებული მოხუცი იქნება უკვე და ალბათ, საკუთარი სახლის გაყიდვა მოუწევს – პელისიესა თუ რომელიმე სხვა ახლადგამოჩეკილი ვაჭრუკანასათვის. დიდი-დიდი, აქედან რამდენიმე ათასი ლივრი დარჩეს; და წაიყოლებს თან რამდენიმე ჩემოდანსა და თავის ბებრუცანა ცოლს, თუ მანამდე ისიც არ მიიცვალა, და იტალიაში გაემგზავრება; ხოლო თუ ეს ხანგრძლივი მოგზაურობა გადაიტანა, იყიდის პატარა სახლს სოფელში, მესინას ახლო, სადაც ცხოვრება გაცილებით იაფია ვიდრე აქ; და იგი, ჯუზეპე ბალდინი, ოდესღაც პარიზის რჩეული პარფიუმერი, თუკი ამაზეც ღვთის ნება იქნა, საბოლოოდ მაინც სიღატაკეში განუტევებს სულს... ასე რომ, ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის.

თავი დაუცო ფლაკონს, გადადო კალამი და უკანასკნელად მოიწმინდა ოფლი დანამული ცხვირსახოცით. მხოლოდ აორთქლებული ალკოჰოლის სიგრილე შეიგრძნო, სხვა არაფერი.

ბალდინი წამოიმართა, ფარდები გადაწია და გახევებული მიაჩერდა დაისის სისხლისფერ ზოლს ლუვრის გადაღმა და მის მქრქალ ანარეკლს კრამიტის სახურავებზე. ქვემოთ მდინარე ლაპლაპებდა, გემები კი გამქრალიყვნენ. მერე, ეტყობა, ქარმა დაუბერა, რადგან მდინარის ზედაპირს ჭავლი მოედო, ქერცლით დაიფარა, აქა-იქ აბრჭყვიალდა, სულ უფრო და უფრო ახლოს; თითქოსდა უზარმაზარმა ხელმა წყალზე მილიონობით ლუიდორი დააპნია და მდინარემაც, გეგონებოდათ, უკუღმა იწყო დენა – ბაჯაღლო ოქროს მბრწყინავი ნაკადი ახლა ბალდინის მხარეს მოსრიალებდა...

რამოდენიმე ხანს ჩუმად იდგა; იდგა და ამ დიდებულ სურათს შეჰყურებდა სევდანარევი მზერით; მერე უეცრად გამოაღო ფანჯარა, დააფიათა დარაბები და პელისიეს ფლაკონი, სუნამოს ნარჩენიანად, ქვევით მოისროლა. უყურებდა, როგორ დაებერტყა ფლაკონი წყალზე და წამიერად როგორ გაგლიჯა მბზინვარე ხალიჩა...

ოთახში სუფთა ჰაერი შემოიჭრა. ბალდინიმ სული მოითქვა, შეიცადა, ვიდრე გასიებული ცხვირი მოუგრძნობიერდებოდა, ფანჯარა დახურა და თითქმის იმავე წამს ღამეც ჩამოდგა. ოქროსფრად აბრჭყვიალებული მდინარე უცებ ფერფლისფერ-ნაცრისფერ სილუეტად გაიყინა. ოთახშიც ჩამობნელდა.

---

* ვერავის დაავალებ მის შესაძლებლობებზე მეტს (ლათ.)

ბალდინი ისევ იმ პოზაში იდგა და ისევ მდინარეს მისჩერებოდა უძრავი მზერით. „არავისაც არ გავაგზავნი ხვალ პელისიესთან, – წარმოთქვა და ორივე ხელით ჩაეჭიდა სკამის საზურგეს, – არავის. არც სალონების შემოსავლელად წავალ. ხვალვე ნოტარიუსთან მივალ და სახლსა და სავაჭროს გავყიდი… დიახაც!.“.

სახეზე ჯიუტი, ჭირვეული გამომეტყველება გაუჩნდა და უეცრად თავი ლამის ბედნიერად იგრძნო. ის ახლა ისევ ახალგაზრდა ბალდინი იყო და ბედს გაბედულად ესროდა გამოწვევას – მერე და რა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეს გამოწვევა უკან დახევას ნიშნავდა მხოლოდ — თუნდაც ასე იყოს! სხვა მაინც არაფერი დარჩენია. ეს ბრიყვული დროება გამოსავალს აღარ უტოვებს. კეთილიცა და ავი დროებაც უფლის ნებითაა, მაგრამ მას სურს, რომ ცუდ დროებაში კი არ ვწუწუნებდეთ, კი არ მოვთქვამდეთ, არამედ ვიქცეოდეთ ისე, როგორც შეჰფერის კაცსა კაცობა... აკი მიმანიშნა – ეს სისხლისფერ-მოოქროსფერო მირაჟი ნაღდად გაფრთხილება იყო: მიდი, ბალდინი, იმოქმედე, სანამ გვიან არაა! ჯერ კიდევ მტკიცეა სახლი შენი, ჯერ კიდევ სავსე გაქვს საკუჭნაოები, ჯერ კიდევ მოგცემენ რიგიან საფასურს შენი დაცემისაკენ მიმავალი საქმის საფასურად; გადაწყვეტილების მიღება ჯერ კიდევ შენზეა – მართალია, განა მესინას შეხიზნული სიბერე იყო შენი ცხოვრების მიზანი, მაგრამ ეგ მაინც უფრო ღირსეულია, ვიდრე პარიზში გაღატაკება! დაე, იზეიმონ მათ – ყველა ამ ბრუე, კალტო და პელისიეებმა – დიახ, ჯუზეპე ბალდინი ტოვებს ბრძოლის ველს, ოღონდ სჩადის ამას თავისი ნებით და ქედმოუხრელად!

ახლა ლამის ამაყობდა საკუთარი თავით და უკიდეგანო შვებასაც გრძნობდა. პირველად მრავალი წლის განმავლობაში, ნაძალადევი თავაზიანობის კრუნჩხვებმა, მუდმივად რომ უძაბავდა კეფას, სულ უფრო და უფრო დამამცირებლად რომ ხრიდა წელში, როგორც იქნა თავი ანება მის ბებერ მალებს და მრავალი წლის შემდეგ პირველად გასწორდა ძალადაუტანებლად, განთავისუფლებული და გალაღებული... შესუნთქული ჰაერი ახლა თავისუფლად გაუდიოდა ცხვირის ძგიდეებში, ახლა უკვე მკაფიოდ შეიგრძნობდა „ამურისა და ფსიქეას“ სურნელს, რომლითაც გაჯერებული იყო ოთახი, ოღონდაც ამჯერად ეს მისთვის სრულიად არაფერს ნიშნავდა. ჯუზეპე ბალდინის ეყო ნებისყოფა, მკვეთრად ეცვალა თავისი ცხოვრება – ახლა ის ავა ზემოთ, მეუღლესთან და თავის გადაწყვეტილებას ამცნობს; მერე გადავა მდინარის მეორე ნაპირზე, ან პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს მიაკითხავს, სანთელს დაანთებს და მადლს შესწირავს უფალს იმ წარმოუდგენელი სულიერი სიმტკიცისათვის, რითაც მან იგი, ჯუზეპე ბალდინი დააჯილდოვა. ლამის ახალგაზრდული დარდიმანდობით შეისწორა პარიკი მელოტ ქალაზე, ლურჯი სერთუკი მოიცვა, ხელი სტაცა შანდალს, მაგიდაზე რომ იდგა და კაბინეტის კარი გამოიხურა. ის-ის იყო, სანთელი აანთო ზემოთ, საცხოვრებელი სათავსოებისაკენ კიბის გასანათლებლად, როდესაც ქვემოთ, პირველი სართულზე, ზარმა გაიჟღრიალა. ეს არ იყო მაღაზიის მთავარი შემოსასვლელის მელოდიური, სპარსული ზანზალაკი, არამედ უსიამო წკარუნი უკანა, შიკრიკებისა და მსახურებისთვის განკუთვნილ კართან, რომელიც მუდამ უშლიდა ნერვებს. რა ხანია აპირებდა ამ საძაგლობის მოშორებას და ახ-

ალი, უფრო სასიამოვნო ხმის მქონე ზარის შეძენას, მაგრამ ამგვარ ზედმეტ ხარჯს მაინც ერიდებოდა. ახლა კი – გაიფიქრა ბალდინიმ და უცებ ხითხითი აუტყდა – ახლა მისთვის სულ ერთია, სხვამ იზრუნოს, თვითონ კი ამ მომაბეზრებელ ჟღარუნს სახლთან ერთად გაყიდის...

ზარმა ისევ გაიწკარუნა. ბალდინიმ მიაყურადა. შენიე, რა თქმა უნდა, უკვე წავიდა. ცხადია, არც მოახლე აპირებს დაბლა ჩასვლას. ბოლოს მაინც გადაწყვიტა, თავად გაეღო კარი.

ურდული გამოწია, მძიმე კარი გააღო და – ვერაფერიც ვერ დაინახა. გარეთ გამეფებულმა სიბნელემ სრულიად ჩაყლაპა სანთლის შუქი. მერე ძლივს გაარჩია ტანმორჩილი ფიგურა, ბავშვი, ანდა მოზარდი ბიჭუნა, ხელზე გადაკიდებული რაღაც ტვირთით.

– რა გინდა?

– მეტრ გრიმალმა გამომგზავნა, თხის ტყავები მოგიტანეთ, – თქვა ბიჭმა, უფრო ახლოს მოვიდა და ბალდინის იდაყვში მოხრილი ხელი გამოუწოდა, რომელზედაც ერთმანეთზე დაწყობილი დასტა ტყავები ეკიდა. სანთლის მკრთალ სინათლეზე ბალდინიმ ბიჭუნას ეჭვიანად დადარაჯებული თვალები დალანდა; გვერდზე გადახრილი იდგა, თითქოს საკუთარ ხელს ეფარებაო – ამ ბავშვივით, სულ რომ ელოდება, მცემენო.

ეს გრენუი იყო.

14.

თხის ტყავები, — გაიხსენა ბალდინიმ. რამდენიმე დღის წინ შეუკვეთა უთხელესი, ურბილესი ტყავი გრაფ ვერამონის ბიუვარისათვის, ცალი 15 ფრანკად. თუმცა ახლა აღარც სჭირდებოდა და შეეძლო ფული დაეზოგა. მეორეს მხრივ, თუ ტყავებს უკანვე დააბრუნებს... დაიწყებენ ყბედობას, ჭორი აგორდება: ბალდინი თურმე არასაიმედო გახდა, ბალდინის დამკვეთები აღარა ჰყავს... ეს კი ცუდია, ძალიან ცუდი; არა, მსგავსი ხმები სასტიკად დააგდებს მაღაზიის გასაყიდ ფასს! სჯობს, მაინც ჩავიბაროთ ეს უმაქნისი ტყავები. დროზე ადრე ვერავინ უნდა გაიგოს, ჯუზეპე ბალდინიმ თავისი ცხოვრება უკუღმა რომ დაატრიალა...

– შემო!

კარი გადარაზა და ისინი სახლის მეორე ნახევარში გავიდნენ, წინ – ბალდინი ანთებული სანთლით, უკან – გრენუი თხის ტყავებით მკლავზე. გრენუი პირველად შედიოდა ისეთ ადგილას, სადაც სუნი ყოფის რაღაც დანამატი კი არ იყო, არამედ ალალად იჩემებდა ყველაფრის მოთავეობას. რა თქმა უნდა, ყველა საპარფიუმერო თუ სააფთიაქო სავაჭრო იცოდა ქალაქში,

მთელი ღამეები იდგა ხოლმე ვიტრინების წინ, ცხვირით ეკვროდა კარებებში დარჩენილ ღრიჭოებს; იცოდა ყველა სურნელი, რითაც იქ ვაჭრობდნენ და ხშირად, თავის წარმოსახვაში, მათგან ქმნიდა საუკეთესო სუნამოებს. ასე რომ, ახალი მას აქ არაფერი ელოდა. მაგრამ ისევე, როგორც მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი ოცნებობს, ახლოდან დაინახოს ორკესტრი, ანდა ეკლესიაში როგორმე ქორედზე აძვრეს, ორღანის დაფარულ საბერველებთან, ისევე ეწადა გრენუის შიგნიდან ენახა იქაურობა და როგორც კი გაიგო, ბალდინისთან ტყავებია წასაღებიო, ყველაფერი იღონა, მისთვის მიენდოთ ეს საპასუხისმგებლო საქმე.

და აი, დგას იგი ბალდინის მაღაზიაში, პარიზის ერთ ისეთ კუნჭულში, სადაც უმცირეს ფართობზე სურნელთა უდიდესი რაოდენობაა თავმოყრილი. სანთლის მკრთალ სინათლეზე ძალიან ცოტა რაიმეს თუ ხედავს და ისიც გაკვრით: დახლს და ზედ სასწორს, ყანჩებს შადრევნის თავზე, ღრმა სავარძელს კლიენტებისთვის, ღვნომუქ თაროებს კედლებზე, თითბრის ბზინვარე იარაღებსა და თეთრ ეტიკეტებს ჭიქებსა და ტიგელებზე. სურნელებაც ვერ შეიგრძნო იმაზე მეტი, რაც ქუჩიდანვე მოყნოსა. სამაგიეროდ, მაშინვე გაითავისა ის სერიოზულობა – ლამის წამოგვცდა, წმიდათაწმინდა სერიოზულობაო – რომელიც ამ კედლებში მეფობდა, ოღონდაც სიტყვა „წმიდათაწმინდა“ განათუ რაიმეს ნიშნავდა გრენუისათვის... მან რაღაც სხვა სერიოზულობა იგრძნო, ხელობის სიდინჯე, გამოზომილი თავდაჭერილობა, რომელიც ყოველი ნივთიდან, ავეჯის ყოველი ნაჭრიდან, ჭურჭლეულობიდან, და ბოთლებიდან, და ქოთნებიდან, და მენზურებიდან გამოსჭვიოდა. და ვიდრე ბალდინის მიყვებოდა, ბალდინისავე ჩრდილში – ვინაიდან მეტრი სულაც არ იწუხებდა თავს, მისთვის გზა გაენათებინა — გრენუი იმ აზრმა შეიპყრო, რომ მისი ადგილი სწორედ აქაა და არა სხვაგან, რომ იგი დარჩება აქ, დარჩება სამუდამოდ, და მერე ყირამალა ააყირავებს მსოფლიოს!..

რაღა თქმა უნდა, ეს აზრი, პირდაპირ ვთქვათ, თავხედობამდე კადნიერი იყო. არათუ მიზეზი, საბაბიც კი არავითარი არ არსებობდა ეფიქრა ვინმეს, თითქოს შემთხვევით აქ მოხვედრილ, საეჭვო წარმოშობის, მფარველობამოკლებულ, არანაირი — თუნდაც მეტ-ნაკლებად მყარი მდგომარეობის მქონე დაბადის შეგირდს, მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი პარიზის ყველაზე ცნობილი მენელსაცხებლის მაღაზიაში; მით უმეტეს რომ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფირმის ლიკვიდაცია უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო. ოღონდაც ლაპარაკია არა იმედზე, რომელიც გრენუის არცთუ თავმდაბალ აზრებში გამოიხატა, არამედ შედეგის გარდუვალობაზე — იცოდა, რომ მხოლოდ ერთხელღა დასტოვებდა აქაურობას, რათა გრიმალისაგან თავისი ერთი ხელი ტანსაცმელი წამოეღო და მეტად – აღარასოდეს: ტკიპამ სისხლის სუნი იგრძნო. წლობით იმალებოდა საკუთარ მყიფე ჯავშანში გამოკეტილი და იცდიდა; ახლა კი მოსწყდა და ეცემა – ყოველგვარი იმედისმომცემი ინფორმაციის გარეშე. მაგრამ მით მეტი იყო მისი თვითდაჯერება.

ბალდინიმ უკანა სათავსოს კარი გამოაღო, მდინარის მხარეს რომ გადიოდა და საკუჭნაოს, სახელოსნოსა და ასე ვთქვათ, ლაბორატორიის მოვალეობას ერთდროულად ასრულებდა – ანუ სადაც საპონიც იხარშებოდა,

პომადებიც ითქვიფებოდა და მუცელგაბერილ ბოთლებში საყნოსავი სითხეების შერევაც ერთდროულად ხდებოდა.

– აქეთ! – თქვა და ფანჯარასთან მდგარ დიდ მაგიდაზე მიუთითა. — აგერ, აქ დააწყე!

გრენუიმ უჩუმრად გადაფინა ტყავები მაგიდაზე, სწრაფად დაიწია უკან და კარებთან აიტუზა. ბალდინი ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა. სანთელი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გაწეული, რათა ცვილის არცერთი წვეთი არ დაცემულიყო მაგიდაზე და თითის წვერს ტყავის გარეთა პირზე ასრიალებდა. მერე გადაბრუნა და ახლა უკუღმა პირს გადაუსვა ხელი. *ძალიან კარგი ტყავია – გაშრობისას თითქმის არც შეჯდება, და თუ სწორადაც გააუთოვებ, ასეთივე დამყოლი დარჩება და რბილი...*

მან ეს მაშინვე იგრძნო, როგორც კი ცერა და საჩვენებელ თითებში მოიქცია; ამ ტყავს შეეძლო ძალიან დიდხანს – ხუთი ან, შესაძლოა, ათი წელიც კი შეენახა სურნელი; იქნება ხელთათმანები გააკეთოს, მესინაში გასამგზავრებლად, სამი წყვილი თავისთვის, სამიც მეუღლისათვის...

ხელი უკან წაიღო და გრძნობამორეულმა მაგიდას გადახედა – ყველაფერი რიგით-რიგზე ეწყო: მინის პატარა აბაზანა არომატიზაციისათვის, მინისავე საშრობი ფირფიტა, როდინები ტინკტურის ასარევად, ფილთაქვები, ფუნჯი, მაკრატელი. იფიქრებდით, ნივთებმა მხოლოდ მიიძინეს, სიბნელის ჩამოდგომასთან ერთად, დილით კი ისევ გაიღვიძებენო. იქნებ ეს მაგიდა წაგვეყოლებინა მესინაში? და ზოგიც ყველაზე აუცილებლელი ხელსაწყო... გემრიელი ნამუშევარია – მუხის სქელი ფიცრებისგანაა დამზადებული – ჩარჩოც, უჯრებიცა და ფეხებიც... ამ მაგიდაზე არაფერი არ ქანაობდა და არ იქცეოდა, არ ეშინოდა არავითარი მჟავეების, არავითარი ზეთებისა თუ დანის დაკვრის... გადავიტანოთ მესინაში? კარგა ძვირი კი დაგვიჯდება – თუნდაც ზღვით გააგზავნო! და ამიტომაც გაიყიდება ეს მაგიდა, ხვალვე გაიყიდება და ყველაფერი, რაც მასზეა, რაც მასშია, და რაც მის გვერდითაა, ასევე გაიყიდება! იმიტომ და რადგანაც, რომ ჩვენ, მეტრ ბალდინის, გულჩვილობის მიუხედავად, ხასიათი მაინც მტკიცე გვაქვს! და შევასრულებთ კიდეც ჩვენს გადაწყვეტილებას, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ეს ჩვენთვის; თვალცრემლიანნი ვიტყვით უარს ყველაფერზე, მაგრამ მაინც ვიქმთ ამას, რაკიღა ვიცით, რომ ეს ერთადერთი – დიახ, ერთადერთი სწორი გამოსავალია – დია-ახ!

ბალდინი წასასვლელად შეტრიალდა და მაშინღა შეამჩნია ეს წელში მოხრილი, კარებში გაჩხირული კაცუნა, რომლის არსებობა თითქმის გადაავიწყდა კიდეც.

– ძალიან კარგი, – თქვა მან. – შენს ოსტატს გადაეცი, ტყავი ძალიან კარგია და უახლოეს დღეებში შემოვივლი საფასურის გადასახდელად.

– გადავცემ, – უპასუხა გრენუიმ, – მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, იდგა კარებში და გზას უღობავდა ბალდინის, რომელიც უკვე სახელოსნოს

დატოვებს ეპირებოდა. ბალდინი სახტად დარჩა, მაგრამ ყოველგვარი ეჭვის გარეშე. გრენუის მოქმედება მოკრძალებად მიიღო და არა თავხედობად.

– რაშია საქმე? – დაეკითხა, – კიდევ უნდა გადმომცე რამე? კარგი, ამოალაგე!

გრენუი თავდახრილი იდგა და შუბლსქვემოდან შეჰყურებდა დაძაბული, დადარაჯებული მზერით.

– თქვენთან მინდა ვიმუშაო, მეტრ ბალდინი. თქვენთან, თქვენს მაღაზიაში მინდა ვიმუშაო...

ეს თხოვნა კი არა, უფრო მოთხოვნას ჰგავდა, და არა წარმოთქმულს, არამედ გველის სისინივით გადმონთხეულს, მაგრამ ბალდინიმ გრენუის ეს დამზაფრავი თავდაჯერებულობა ახლაც ბავშვურ უმწეობად მიუთვალა და ალერსიანად გაუღიმა.

– შენ მეტყავის მოწაფე ხარ, შვილო ჩემო, მე კი ამგვარი სამუშაო არაფერი მაქვს. თანაც, საკუთარი შემწეები მყავს და შეგირდიც არა მჭირდება.

– აპირებთ ეს ტყავები სუნამოთი გაჟღინთოთ, მეტრ? ეს ტყავები, მე რომ მოგიტანეთ, გინდათ სუნამოთი გაჟღინთოთ? – გაიშრიალა გრენუიმ, ისე, თითქოს ბალდინის პასუხი არც გაუგიაო.

– კი, ასეა... და რა მერე?

– პელისიეს სუნამოთი? – ჩაიკითხა გრენუი და კიდევ უფრო დახარა თავი.

ბალდინის რაღაც კრუნჩხვისდაგვარმა დაუარა ტანში. არა იმიტომ, რომ თითქოს ეაზროს, საიდან იცის ამან ყველაფერი, არამედ იმიტომ, რომ ის საძულველი სუნამო გაახსენეს, რომლის შემადგენლობის გამორკვევასაც სწორედ ამ დილით ამაოდ ეცადა.

– და შენ გინდა თქვა, თითქოს მე ვიყენებდე იმ... სხვის სუნამოს, რათა...

– სუნი აგდით, - დაისისინა გრენიუმ. – შუბლზე გაცხიათ, და სერთუკის მარჯვენა ჯიბეში დანამული ცხვირსახოცი გიდევთ. არაფრად ვარგა, ეგ „ამური და ფსიქეა“, ძალიან ბევრი ბერგამოტი აქ, უფრო მეტი როზმარინი და მეტისმეტად ცოტა ვარდის ზეთი.

– აჰაა, – თქვა ბალდინიმ, ცოტათი დაბნეულმა, – კიდევ რა?

– ფორთოხლის ყვავილი, ტკბილი ლიმონი, მიხაკი, მუშკი, ჟასმინი, ღვინის სპირტი და კიდევ რაღაცა, სახელი არ ვიცი, ოღონდ აგერ გიდევთ, იქ — იმ ბოთლში! – და თითი გაიშვირა. ბალდინიმ შანდალი მიუმარჯვა ბნელ კუთხეს და მზერა ბიჭის საჩვენებელ თითს გააყოლა თაროსკენ, სადაც მონაცრისფრო-მოყვითალო ბალზამით სავსე მუცელგაბერილი ბოთლი იდგა.

– სტირაქსის ზეთი?

გრენუიმ თავი დაიქნია.

– დიახ, იქ, არი, შიგნით. სტირაქსის ზეთი, – ბნედიანივით მოიკაკვა და სულ ცოტა ათჯერ მაინც ჩაიბუტბუტა თავისთვის – *სტირაქსი – სტირაქსი – სტირაქსი – სტირაქსი...*

ბალდინიმ სანთელი მიუახლოვა ამ ადამიანის მსგავს არსებას და გაიფიქრა: ეს ან შეპყრობილია, ან მასხარა, ან თვითნაბადი ნიჭი... ვინაიდან არათუ სავარაუდო, უეჭველიც კია, რომ მისგან დასახელებული ნივთიერებიდან, სწორი შეთავსების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია იმ ავადსახსენებელი სუნამოს გამოყვანა! ვარდის ზეთი, მიხაკი და სტირაქსი – მთელი დღევანდელი დღე სწორედ ამ სამ კომპონენტს ეძებდა თავგადაკლული; კომპოზიტის დანარჩენი ნაწილები კიდე – და მას ეჩვენებოდა, რომ ისინი თავადაც გამოიცნო – ისე ესადაგებოდნენ ერთმანეთს, როგორც სალუქი, მრგვალი ტორტის სეგმენტები. მხოლოდ იმის გამოკვლევაღა იყო საჭირო, რა თანაფარდობით უნდა შეგეზავებინა. ამისთვის ბალდინის რამდენიმე დღე მოუწევდა ცდების ჩატარება – საზარელი სამუშაოა, გაცილებით უფრო ცუდი, ვიდრე შემადგენლობის იდენტიფიკაცია. საჭირო იყო აწონვა, და გახომვა, და ჩაწერა, და თან სატანურად ყურადღებიანი უნდა ყოფილიყავი, ვინაიდან სულ უმცირეს გაუფრთხილებლობასაც კი – საწვეთურის აკანკალებას, ერთი ზედმეტი წვეთის ჩაღვრას — ყველაფერი წყალში შეეძლო ჩაეყარა. არადა ყოველი ცდა, თუნდაც ფუჭი, დამზაფრავად ძვირი ჯდება. ყოველ ნაზავს ერთი მომცრო ქონების ფასი ადევს... და მას პატარა კაცუნას გამოცდა მოუნდა, მოუნდა გამოეკითხა მისთვის პელისიეს სუნამოს ზუსტი ფორმულა. თუ ის ამას მილიგრამის სიზუსტით გამოიცნობს, მაშინ ნამდვილად თაღლითია, როგორღაც რომ გამოსტყუა პელისიეს რეცეპტი, რათა ახლა მისი, ბალდინის ნდობა მოიპოვოს და მასთან მოეწყოს სამუშაოდ; ხოლო თუ დაახლოებით ამოიცნობს, მაშინ მართლა ყნოსვის გენიოსია და, როგორც ასეთი, მისი, ბალდინის, პროფესიონალურ ყურადღებას იმსახურებს. არათუ ბალდინი აპირებს ეჭვისქვეშ დააყენოს საკუთარი გადაწყვეტილება საქმიდან ჩამოშორების თაობაზე – ლიტრობითაც რომ იშოვოს ეს სუნამო, ბალდინი არც იფიქრებს იმითი გრაფ ვერამონის ბიუვარის გაჟღენთვას, მაგრამ... იმისათვის ხომ არ ხდება კაცი პარფიუმერი, იმისათვის ხომ არ აზავებს მთელი ცხოვრება სუნამოებს, ერთ წამში დაკარგოს მთელი თავისი პროფესიული ჟინი! ახლა მას იმ წყეული სუნამოს ფორმულის შეცნობის სურვილი არ აძლევდა მოსვენებას და უფრო მეტიც — ამ უცნაური ბიჭის ნიჭიც სურდა გამოეკვლია, უნდოდა გაეგო, რა იმალებოდა ყოველივე ამის უკან... უბრალო ცნობისმოყვარეობის ამბავია, სხვა არაფერი.

– კარგა მახვილი ყნოსვა გქონია... – წარმოთქვა მას შემდეგ, რაც გრენუიმ ეს თავისი სისინი შეწყვიტა და უკანვე შებრუნდა სახელოსნოში, რათა შანდალი ფრთხილად დაედგა თავის ადგილას.

– საუკეთესო ყნოსვა მაქვს მთელს პარიზში, მეტრ ბალდინი, – ამოიქშინა გრენუიმ. – ყველა სურნელი ვიცი, ყველა, რაც კი პარიზშია, ოღონდ

ზოგიერთების დასახელება არ ვიცი, მაგრამ შემიძლია ვისწავლო, სუყველა – ბოლოს და ბოლოს, რამდენი იქნება, რამდენიმე ათასი, ყველას ვისწავლი, ამ ბალზამის სახელიც აღარ დამავიწყდება – სტირაქსი; ამას ჰქვია სტირაქსი, სტირაქსი...

– ჩუმად! – შეუყვირა ბალდინიმ, – როცა გელაპარაკები, ნუ მაწყვეტინებ! თავხედი ხარ და ჭიფხია – არა ადამიანმა არ შეიძლება იცოდეს ყველა სურნელი მათი დასახელების მიხედვით. მეც კი არ ვიცი ათასი დასახელება, მხოლოდ რამდენიმე ასეული, რადგან ჩვენს ხელობაში მაგაზე მეტი არცაა; ყველა დანარჩენი სუნი კი არა – სიმყრალეა!

გრენუი, რომელიც თავისი მჭევრმეტყველების ამ მოულოდნელი ამოფრქვევის დროს ლამის წელში გასწორდა და აღელვებული, ხელების ქნევასა და ჰაერში წრეების გამოხაზვას მოჰყვა, რათა ეჩვენებინა როგორ იცის „სუყველაფერი ყველაფერი ყველაფერი“ – როგორც კი ბალდინის მკვახე პასუხი გაიგონა, წამსვე თავი ჩაღუნა, მოიბუზა, პატარა, შავ გომბეშოდ იქცა, უძრავად გაიყინა ზღურბლთან და შეეცადა, საკუთარი მოუთმენლობა დაეფარა.

– თავად მე, – თავისას განაგრძობდა ბალდინი, – რაღა თქმა უნდა, ადრევე მივხვდი, რომ „ამური და ფსიქეა“ სტირაქსის, ვარდის ზეთის, მიხაკის, ბერგამოტის, როზმარინის ექსტრაქტისაგან შედგება. ამის დასადგენად, როგორც იტყვიან, მახვილი ყნოსვა უნდა გქონდეს. სრულიად შესაძლებელია, ღმერთმა შენც დაგაჯილდოვა ამ ნიჭით, როგორც ბევრი, ბევრი სხვა შენს ასაკში; ოღონდ ჭეშმარიტი პარფიუმერისთვის – აქ მან თითი იშვირა ჭერისკენ და გაიბრიქა – ეს ღირსება სრულიადაც არაა საკმარისი! მისთვის აუცილებელია წლობით ნავარჯიშევი, შეუმცდარად მომუშავე ყნოსვითი ორგანო, რომელიც ნებას მისცემს, უყოყმანოდ გამოიცნოს ყველაზე რთული არომაც კი – მისი შემადგენლობა და წილთა შეფარდებები, და ამასთანავე, სურნელთა სრულიად ახალი, უცნობი ნაზავებიც შექმნას... ასეთი ცხვირი – და მან ახლა საკუთარ კეხზე მიიკაკუნა თითი – თავისით არ მოგეცემა, ყმაწვილო! ამგვარი ცხვირი მუყაითობით და მოთმინებით უნდა გამოწვრთნა; იქნება შეგიძლია აქვე, ახლავე დამისახელო ემაგ სუნამოს ზუსტი ფორმულა? აბა – შესძლებ?

გრენუი არ პასუხობდა.

– იქნებ დაახლოებით მაინც? – ჩაეძია ბალდინი და კისერი წაიგრძელა. – თუნდაც მიახლოებით, ზოგადი სახით? აკი საუკეთესო ყნოსვა მაქვს მთელს პარიზშიო!

გრენუი ისევ ჩუმად იდგა.

– აი, ხომ ხედავ, – ჩაილაპარაკა ბალდინიმ კმაყოფილებითა და თან, მცირეოდნავ, იმედგაცრუებით, – არ იცი, რა თქმა უნდა, არ იცი! ან საიდან უნდა იცოდე... მხოლოდ ერთი იმათგანი ხარ, ვინც სადილის დროს არკვევს რა არის კერძში – ოხრახუში თუ სხვა რამ საკმაზი. რას იზამ, ეგეც რამეა.

მაგრამ მზარეულობისაგან ჯერ შორსა ხარ. ყოველ ხელოვნებაში და ხელობაშიც – კარგად დაიმახსოვრე ეს, ვიდრე აქედან წახვალ – ნიჭი თითქმის არაფერს ნიშნავს, მთავარია გამოცდილება, რომელსაც მხოლოდ თავმდაბლობითა და მუყაითობით იძენს კაცი!

ის უკვე შანდლის ასაღებად გაიწია, როდესაც კარების მხრიდან გრენუის ხმამ გაიშრიალა:

— არ ვიცი რას ნიშნავს *ფორმულა*, მეტრ; ეგ მე არ ვიცი, სხვა – რაც გნებავთ...

– ფორმულა – მკაცრად გაეპასუხა ბალდინი, – ესაა ნებისმიერი სუნამოს ალფა და ომეგა, ესაა მითითება, როგორი თანაფარდობით უნდა შევაზავოთ სხვადასხვა შემადგენლები იმ ერთადერთი, განუმეორებელი, სასურველი სურნელის მისაღებად – აი რა არის ფორმულა, ანუ იგივე რეცეპტი – თუკი ეს სიტყვა უფრო ნაცნობია შენთვის.

– ფორმულა, ფორმულა, – ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა გრენუიმ, – არ მჭირდება მე არავითარი ფორმულა. თუ გნებავთ, შეგიზავებთ. გნებავთ, მეტრ? შევაზავო?

– ეგ როგორ?! – იმაზე ხმამაღლა წამოიძახა ბალდინიმ, ვიდრე შეეფერებოდა და უნებლიე მკვეთრი მოძრაობით სანთელი სახესთან მიუტანა, – როგორ თუ – შეაზავო?

გრენუის, პირველად ამ საღამოს, წარბიც არ შეუხრია.

– ისინი ხომ სულ აქ არიან, ის სურნელები, რაც კი საჭიროა; ისინი ყველანი აქ არიან, ამ ოთახში, – და მან კიდევ ერთხელ ატაკა თითი სიბნელეს. – ვარდის ზეთი ეგერაა, იქ კი – ფორთოხლის ყვავილი! აი იქ – მიხაკი! იქით კიდე – როზმარინი!

– რა თქმა უნდა აქაა, ბრიყვო! – იკივლა მოთმინებაგალეულმა ბალდინიმ, – ყველა აქაა! მაგრამ რა ხეირი, თუ ფორმულა არ იცი!

– აგერ ჟასმინია! აგერ ღვინის სპირტი! აგერ — სტირაქსი! — ჩახლეჩილი ხმით განაგრძობდა ჩამოთვლას გრენუი და ყოველი სახელწოდების დასახელებაზე ოთახის ამა თუ იმ კუთხისაკენ იშვერდა ხელს, იქ კი ისეთი სიბნელე იდგა, ბოთლებით სავსე თაროების კონტურიც ძლივას მოჩანდა.

– ახლა არ მითხრა, სიბნელეშიც კატასავით ვხედავო, – ლამის წყობიდან გამოვიდა ბალდინი, – შენ არა მარტო ყველაზე მახვილი ყნოსვა გქონია, ყველაზე მახვილი მხედველობაც მთელს პარიზში, ეგრეა? თუ ამასთან ერთად კარგი სმენაც გაქვს, მაშინ ყურები ცქვიტე და ერთ რამეს გეტყვი: პატარა კი არა, დიდზე-დიდი ცრუპენტელა ყოფილხარ. ალბათ რაღაც დასცინცლე პელისიეს, რაღაცა დაუნახე, ასეა? და თვლი, რომ ახლა შეგიძლია მეც თითზე დამიხვიო?

ამჯერად გრენუი სრულიად გამართული იდგა კარებში, სრულის სიმაღლით, ასე ვთქვათ, და ოდნავ ფეხებგადგმული, ხელებგაშლილი, რაღაც გიგანტურ შავ ობობას გავდა, კარის ჩარჩოს ჩაბღაუჭებულს...

– მომეცით ათი წუთი, – ახლა უკვე დინჯად წარმოთქვა მან. – და დაგიმზადებთ მაგ სუნამოს. პირდაპირ ახლა, აქ, ამ სათავსოში.

– შენა გგონია, უფლებას მოგცემ ჩემს სახელოსნოში იტრიალო? ეგ ესენციები, რომ უყურებ, მთელი ქონება ღირს!

– ვიცი, – თქვა გრენუიმ.

– ოჰო-ჰო! – ბალდინის მოულოდნელობისაგან სუნთქვაც კი შეეკრა, მერე ერთი ღრმად ამოისუნთქა, სული მოითქვა და ამ უბედურს ხანგრძლივი, დაფიქრებული მზერა მიაპყრო. "არსებითად, განა სულერთი არაა? – ფიქრობდა იგი, – ასე თუ ისე, მაინც ყველაფერი მორჩა და გათავდა! რა თქმა უნდა, ეს ღვთის გლახა ვერაფერსაც ვერ შეაზავებს, მსგავს რამეს თვით დიადი ფარჟიპანიც კი ვერ შესძლებდა... მაგრამ რატომ თავადვე არ დავრწმუნდე? ერთიც ვნახოთ და მესინაში რომ ვიქნები, ეჭვი გამიჩნდეს (მოხუცებს ხანდახან უცნაური ეჭვები უჩნდებათ ხოლმე), რომ ჩემი შანსი გავუშვი ხელიდან, ვერ შევიცანი ვუნდერკინდი, გენიოსი, ღვთივმადლცხებული არსება... არა, გამორიცხულია. საღი გონებით თუ განვსჯით – სრულიად გამორიცხული... მაგრამ სასწაულებიც ხომ ხდება? უდავოდ ხდება და სასიკვდილო სარეცელზე ამ ფიქრმაც ხომ შეიძლება გამტანჯოს: იმ საღამოს, პარიზში, სასწაული მოგევლინა, ჯუზეპე – შენ კი თვალები დახუჭე! უმჯობესია ამ სულელმა მაგიდაზე რამოდენიმე წვეთი ვარდის ზეთი თუ მუშკის ნაყენი დაღვაროს — შენც ხომ დაღვრიდი, ბოლოს და ბოლოს – ჯერ კიდევ რომ გაინტერესებდეს პელისიეს სუნამოები... ან რას ნიშნავს რამდენიმე წვეთი – დიახ, ძვირია, ძალიან, ძალიან ძვირი – მაგრამ განა ცოდნის საიმედოობასა და მშვიდ სიბერესთან შედარებით!"

– მისმინე! – წარმოთქვა განგებ გამკაცრებული ხმით. – მისმინე! მე... მართლა, რა გქვია?

– გრენუი, ჟან-ბატისტ გრენუი.

– აჰა, – თქვა ბალდინიმ, – მაშ ასე, მისმინე, ჟან-ბატისტ გრენუი! გადავიფიქრე. შესაძლებლობას გაძლევ ახლავე, დაუყოვნებლივ, საქმით დამიდასტურო ის, რასაც სიტყვით ამტკიცებ. ამასთანავე, ამით საშუალება მოგეცემა, სამარცხვინო მარცხის გზით ისწავლო თავმდაბლობა – ანუ ღირსება, შენს ნორჩ ასაკში ჯერ განუვითარებელი, ოღონდაც უცილობელი წინაპირობა მომავალი შესაძლო წარმატებისათვის – როგორც საზოგადოების წევრის, როგორც ადამიანის, როგორც კეთილი ქრისტიანის! ჩემდათავად, მზადა ვარ საკუთარ ხარჯზე მოგცე ეს გაკვეთილი, რადგან მიზეზთა გამოს სხვათა და სხვათა, ახლა გულუხვობის გამოსაჩენად ვარ განწყობილი და ვინ იცის, იქნებ ოდესმე ამ ამბის მოგონებამ კიდეც გამახალისოს... ოღონდ ნუ იფიქრებ, თითქოს ჩემი გაცურება მოახერხე! ბებერი ბალდინის ცხვირს

ყნოსვა ჯერ კიდევ მახვილი აქვს, საკმარისად მახვილი, რათა სულ უმცირესი განსხვავებაც კი გამოყნოსოს შენს ნაცოდვილარსა და ამ პროდუქტს შორის! – ჯიბიდან პელისიეს სუნამოთი გაჟღენთილი საკუთარი ცხვირსახოცი ამოაძვრინა და გრენუის ცხვირწინ დაუქნია, – ერთი აქეთ მობრძანდი, მაგიდასთან მობრძანდი და გვიჩვენე, რისი მაქნისი ხარ! ოღონდ იცოდე, არაფერი გადამიყირავო აქ და არ გამიტეხო! და საერთოდ, უჩემოდ ხელიც არ ახლო არაფერს... ჯერ მეტ სანთლებს დავანთებ, ჯერ ჩვენ პატარა ილუმინაციას მოვაწყობთ ამ პატარა ექსპერიმენტის საპატივცემლოდ, ასე არ ჯობია?

ამ სიტყვებით მუხის მაგიდიდან ორი შანდალი აიღო და სანთლები აანთო. შანდლები მაგიდის თავსა და ბოლოში განალაგა, შემდეგ ტყავები მისწიმოსწია და შუაგული გაათავისუფლა. მშვიდი, მაგრამ ამავე დროს სწრაფი მოძრაობებით პატარა თაროდან ჩამოიღო ცდისათვის საჭირო ხელსაწყოები: ღიპიანი ბოთლი, მინის ძაბრი, საწვეთური, პატარა და დიდი საწყაო და ყველაფერი ეს წინ, მუხის ხის ზედაპირზე, სანიმუშო წესრიგით ჩამოიმწკრივა...

ბალდინის მთელი ამ მაღალფარდოვანი მონოლოგიდან გრენუიმ მხოლოდ თანხმობა გაიგო, მხოლოდ ნებართვა და იმ ბავშვის შინაგანი ზეიმით, რომელმაც თავისი სიჯიუტით რაღაც დათმობას მიაღწია, და რომელსაც მიუფურთხებია ამ თანხმობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, პირობებისა თუ რაღაც გაუგებარი დიდაქტიკური შეგონებისათვის, პოზაც თავისუფალი გაუხდა, მოძრაობაც – შეუზღუდავი; პირველად დაემსგავსა პირუტყვზე მეტად – ადამიანს. გულთან ახლოსაც არ გაატარა ბალდინის მონოლოგში ჩართული ჭკუისსწავლება – მიხვდა, სძლია მას და ვერავითარ წინააღმდეგობას იგი უკვე ვერ გაუწევდა.

ვიდრე ბალდინი მაგიდას უტრიალებდა, გრენუი ძვირფასი ესენციებით, ზეთებითა და ბალზამებით დატვირთულ თაროებთან გასხლტა, საკუთარი ცხვირის ურყევ ყნოსვას მიჰყვა და თაროებიდან სასწრაფოდ ჩამოხვეტა მისთვის საჭირო ფლაკონები – რიცხვით ცხრა: ფორთოხლის ყვავილის ესენცია; ლიმონის ზეთი, მიხაკის ზეთი და ვარდის ზეთი; ჟასმინის, ბერგამოტის, როზმარინის ექსტრატები და სტირაქსის ბალზამი; ბოლოს კი მთელი ბოცა მაღალპროცენტიანი ღვინის სპირტი მოათრია. მერე დადგა ბალდინის ზურგს უკან (ის ჯერ კიდევ თავშეკავებული პედანტურობით აწყობდა სუნამოს მოსამზადებლად საჭირო ჭურჭელს მაგიდაზე – ოდნავ გვერდზე გასწევდა ერთ ჭიქას, ოდნავ მოსწევდა მეორეს – რათა ყველაფერს კეთილი, ძველთაგანვე შემოღებული მართლწესრიგი დატყობოდა და რაც შეიძლება შთამბეჭდავად ებრჭყვიალა სანთლების შუქზე) და მოუთმენლობისაგან კანკალატანილი ელოდა, თავად მოხუცი როდის გაიწევდა გვერდზე და როდის დაუთმობდა ადგილს.

– ესეც ასე, – როგორც იქნა, აღმოთქვა ბალდინიმ და განზე გადგა – აქ ყველაფერია, რაც შეიძლება დაგჭირდეს შენი... თავაზიანობის გამო, მოდი მას „ექსპერიმენტი“ ვუწოდოთ – არაფერი გამიტეხო, არაფერი დამიღვარო! გაითვალისწინე: ეს სითხეები, ახლა რომ უფლება გეძლევა ისარგებლო, ისეთი იშვიათობაა თავისთავად, ასეთი ნაჯერი სახით მათ ხელში ვეღარასოდეს მოიგდებ!

– რამდენი გაგიკეთოთ, მეტრ? – ისევ შეაწყვეტინა გრენუიმ.

– რამდენი – რა? — დაეკითხა ბალდინი, ეგონა რაღაც მომეყურაო.

— რამდენი სუნამო? – ხრინწიანი ხმით უპასუხა გრენუიმ. — რამდენი გჭირდებათ? გნებავთ პირამდე გაგივსებთ აგერ იმ მათარას? — და მან დაახლოებით სამი ლიტრის ტევადობის შესარევ ჭურჭელზე მიუთითა.

— გაგიჟდი? – წამოიყვირა შეძრწუნებულმა ბალდინიმ, და ამ ყვირილში ის შიშიც იყო, ისევე ღრმად ფესვგადგმული, როგორც თაობებით შთანერგილი შიში მფლანგველობის წინაშე – შიში საკუთრებასა ზედა... მაგრამ შემდეგ, თითქოს ამ მამხილებელი ყვირილისა შერცხვაო, ჩაახველა და ჩაიბურტყუნა:

— ნუ მაწყვეტინებ-მეთქი სიტყვას! – მერე თავი დაიწყნარა და ხმაში ოდნავ ირონიაგარეულმა გააგრძელა:

— რაში გვჭირდება ჩვენ სამი ლიტრი სუნამო, რომელსაც არცერთი არ ვაფასებთ? არსებითად, ნახევარი მენზურაც კი საკმარისია, ხოლო რადგანაც ასე მცირე რაოდენობის შერევა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ნებას გაძლევ ეგ ჭურჭელი, ვთქვათ, ერთ მესამედამდე შეავსო.

– როგორც მიბრძანებთ, მეტრ, – თქვა გრენუიმ. — ოღონდ ამას ჩემებურად გავაკეთებ. არ ვიცი როგორ კეთდება ეს წესის მიხედვით, მე წესები არ მისწავლია, ჩემებურად კი გავაკეთებ.

– შენი ნებაა! – დაეთანხმა ბალდინი. იცოდა, ამ საქმეში არ არსებობს „ჩემებურად“ და „შენებურად“, არსებობს მხოლოდ ერთი, ერთადერთი სწორი ხერხი: იცი ფორმულა და სუნამოს მოცემული რაოდენობიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გააკეთო შესაბამისი გამოთვლები და სხვადასხვა ესენციებიდან კონცენტრატის მკაცრად განსაზღვრული რაოდენობა დაამზადო, რომელიც შემდგომში, ზუსტი პროპორციით, რაც ჩვეულებრივ ერთი/ათთან და ერთი/ოცთან შორის მერყეობს, ალკოჰოლს უნდა შეურიო, ვინემ საბოლოო პროდუქტამდე. არავითარი სხვა ხერხი, მან ეს ზედმიწევნით იცოდა, არ არსებობდა. სწორედ ამიტომ, ის რაც იხილა და რასაც შეყურებდა ჯერ დაცინვითა და უნდობლობით, შემდეგ კი ძრწოლვით და საბოლოოდ, მხოლოდ უილაჯო გაოცებით, მას მხოლოდ სასწაულად ეჩვენა და ეს სცენა ისე ჩაედამღა მახსოვრობაში, სიცოცხლის ბოლომდე არ დავიწყებია.

15.

ჯერ იყო და გრენუიმ სპირტიან ბოცას მოხადა საცობი; ძლივ-ძლივობით ასწია თითქმის თავის სიმაღლეზე, მინის ძაბრიან შესაზავებელს უსწორა და ალკოჰოლი ყოველგვარი მენზურის გარეშე, პირდაპირ ჩაუშვა შიგ. ბალდინის ლამის წონასწორობა დააკარგვინა ამ ყოვლად აღმაშფოთებელმა უმწეობამ: იმას გარდა, რომ ყმაწვილმა ყირამალა დააყენა მენელსაცხებლეთა მთელი მართლწესრიგი – ანუ დაიწყო გამხსნელი საშუალებიდან, როდესაც ჯერ მზად არ ჰქონდა განზავებას დაქვემდებარებული კონცენტრატი – მას სულ უმცირესი ფიზიკური მონაცემებიც კი არ გააჩნდა! დაძაბულობისაგან სახეწამოჭარხლებული გრენუის შემხედვარე ბალდინი განწირულივით ელოდა, მძიმე ჭურჭელი აგერ-აგერ დაეხეთქება მაგიდის კიდეს და ყველაფერს დაამსხვევს და დაფანტავს, რაც კი ზედ ალაგიაო. "სანთლები, – ფიქრობდა – უფალო, ოღონდ ეგ სანთლები არ გადაუყირავდეს! ააფეთქებს აქაურობას, მთელ სახლს გადამიწვავს!" — უკვე მაგიდასთან მივარდნას აპირებდა, ამ შეშლილისათვის ჭურჭლის წაგლეჯა უნდოდა ხელიდან, რომ გრენუიმ თავადვე მშვიდობიანად დაუშვა იატაკზე და თავიც დაუცო. შესაზავებელ ჭურჭელში მსუბუქი, გამჭირვალე სითხე ლივლივებდა – წვეთიც არ ასცდენია ძაბრს. რამდენიმე წამს გრენუი ისეთი კმაყოფილი სახით ითქვამდა სულს, თითქოს ყველაზე მძიმე სამუშაო უკან დარჩაო. და მართლაც, მერე ისეთი სისწრაფით აკეთებდა ყველაფერს, ბალდინი ძლივს ასწრებდა მანიპულაციათა რიგითობის, ან თუნდაც საერთო თანამიმდევრობის შემჩნევას, ხოლო თავად პროცესის გააზრებაზე ხომ – ლაპარაკიც ზედმეტია.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, გრენუი ალალბედზე ტაცებდა ხელს ამა თუ იმ ესენციიან ფლაკონს, მინის საცობს აძრობდა, ერთი წამით მიიტანდა ცხვირთან, შიგთავს დაყნოსავდა, მერე გამობერტყავდა ერთიდან, ჩამოაწვეთებდა მეორედან, გადმოღვრიდა მესამედან მინისავე ძაბრში... საწვეთურს, სინჯარას, კოვზს, შემრევს – ყველა იმ სამარჯვე მოწყობილობას, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მენელსაცხებლეს, შეზავების რთულ პროცესს დაეუფლოს, გრენუი ერთხელაც არ მიკარებია. იმ ბავშვივით ერთობოდა, წყალს, ბალახ-ბულახსა და ტალახს რომ ეჩალიჩება, და ატყლაპუნებს, და აჭყაპუნებს, და აშხაპუნებს, მოკლედ – რაღაც საზიზღრობას თითხნის და მერე ამაყად აცხადებს – შეჭამანდი მოვამზადეო. "დიახ, დიახ, სწორედ რომ ბავშვივით!" — ფიქრობდა ბალდინი — "დაკორძილი ხელების, ნაიარევნაყვავილარი სახისა და ბებრულად გაბუშტული ცხვირის მიუხედავად, მაინც ბავშვურად გამოიყურება; ადრე უფრო ასაკოვანი მეჩვენა, ახლა კი გაცილებით უმცროსი მგონია; თითქოს ორდება, ან სამდება, როგორც ის მიუწვდომელი, შეუცნობელი, ჭირვეული პატარა არაკაცები, რომლებიც თითქოსდა ყველა ქვენა ზრახვების გარეშე, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, ოღონდ სურვილი კი აქვთ, ყველა და ყველაფერი დაიმორჩილონ ამქვეყნად! და შესძლებენ კიდევაც, თუ მათი განდიდების მანია არ შეზღუდე, თუკი უმკაცრესი აღმზრდელობითი ზომების წყალობით სრულფასოვანი ადამიანების თავმოთოკილ არსებობას არ მიაჩვიე. სწორედ ასეთი პატარა ფანატიკოსი უნდა ბუდობდეს ამ კაცუნაში: დგას მაგიდასთან, თვალებანთებული, ყველაფერი დავიწყებია გარშემო, ვერც ამჩნევს, მის გარდა კიდევ

ვინმე თუა სახელოსნოში, მასსა და იმ ფლაკონებს გარდა, რაღაც მარდი მოუხეშავობით რომ მიაქვს ძაბრთან, რათა ეს თავისი ბრიყვული თხლე შეაზავოს, მერე კიდე ეჭვმიუტანლად ამტკიცოს და თავადაც დაიჯეროს, რომ ნატიფი სუნამო შექმნა…" – სანთლების მოციმციმე სინათლეზე ხედავდა ბალდინი, როგორ ცინიკურად და თავდაჯერებით მოქმედებდა ეს კაცუნა და ზიზღისაგან ჟრუანტელი უვლიდა. "მაგისთანები, – გაიფიქრა მან და ისევ ის ძველი წუხილი და უიმედობა დაეუფლა – მაგისთანები ადრე არ იყვნენ; ადამიანთა მოდგმის რაღაც სრულიად ახალი ეგზემპლარია... ასეთნი მხოლოდ სრული დამყაყების, მოდუნებულ, მიხრწნილ ეპოქაში შეიძლება იშვან... მაგრამ ჭკუა მაინც ხომ უნდა ვასწავლოთ ამ ლაწირაკს! ოღონდ, ჯერ მორჩეს... მერე კი იცოცხლე, მიიღებს საკადრისს! ეგ აქედან ოთხზე გაფოფხდება, არარაობა ეგა! დღესდღეობით საერთოდ არ შეიძლება ვინმესთან საქმე დაიჭირო, ვინღა არ ირევა გარშემო!" — ბალდინი იმდენად იყო გულგასიებული ჟამთა სიავის გამო, უცბად ვერც კი იაზრა, რატომ დაუცო გრენუიმ ყველა ფლაკონს თავი, რატომ ამოიღო შესარევიდან ძაბრი, ხოლო თავად ბოთლს ხელი სტაცა ყელში, მარცხენა ხელისგული დააფარა და კარგად შეანჯღრია. მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ძვირფასი შემადგენლობა ლიმონათივით გაქანდა მუცლიდან ყელისაკენ და ისევ უკან, ბალდინის მრისხანებისა და შეძრწუნების რაღაც ხავილი აღმოხდა: „გეყო, გეყო-მეთქი!" — და ხრინწიანი ხმით დააყოლა – "საკმარისია, საკმარისი – ახლავე დადგი ბოთლი მაგიდაზე და ხელი აღარაფერს ახლო, აღარაფერს! ვატყობ, სულ დავკარგე ჭკუა, შენს სულელურ ლაყბობას რომ ავყევი! დიახაც, ნივთებთან მოპყრობის შენეული მანერა, უხეშობა, შენი პრიმიტიული სიბრიყვე გვიჩვენებს, რომ საერთოდ არაფერი გესმის ამ საქმეში, ბარბაროსი ხარ და უვიცი, და ამასთანავე, გვარიანი თავხედიც! უბრალო ძირტკბილას ნაყენის კეთებაც კი არ უნდა მოგანდოს კაცმა! კმაყოფილი, და გახარებული, და მადლობელი უნდა იყო, შენი პატრონი რომ სათრიმლავ სითხეებთან მაინც გიშვებს!.."

ამას გაიძახოდა ბალდინი, და ვიდრე მორჩებოდა, ჰაერი მის გარშემო რარაც ნაცნობი სურნელით გაივსო...

გრენუიმ დადგა ბოთლი, სველი ხელი კი ქურთუკის კალთაზე შეიწმინდა. ერთი, მერე ორი ნაბიჯი უკან, უხერხული თავის დაკვრა, ბალდინის ლანძღვა-თათხვის სეტყვის ქვეშ და ჰაერი საკმარისად შეირხა, რათა ახლახანს შექმნილ სურნელს ყოველ კუთხე-კუნჭულში გაეღწია. თუმცა ბალდინი ჯერ კიდევ ბობოქრობდა, და ჩიოდა, და ილანძღებოდა, ყოველ შესუნთქვაზე სიშმაგე სულ უფრო ნაკლებ საკვებს პოულობდა მისი სულის სიღრმეში: ხვდებოდა, რომ დამარცხდა და ამის გამო სიტყვის დასასრულს ცარიელი პათოსიღა შერჩა; საბოლოოდ, როცა დადუმდა, აღარც დასჭირვებია გრენუის თქმა: „მზადაა, მეტრ!" – აკი თავადაც მიხვდა ყველაფერს.

ამისდა მიუხედავად, და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოთახი სწორედ იმ ავადსახსენებელი სუნამოთი იყო გაჯერებული, მაინც მივიდა ძველ მუხის მაგიდასთან, სინჯის ასაღებად. სერთუკის მარცხენა ჯიბიდან ახალი, თეთრი, მაქმანიანი ცხვირსახოცი ამოიღო, გაასწორა და წესისამებრ, რამოდენიმე წვეთი დააპკურა ზედ; მერე ერთი-ორჯერ გააქნ-გამოაქნია გასანიავებლად, ხელის ნაჩვევი, ნატიფი მოძრაობით გაიტარა ცხვირთან და სურნელი შეის-

რუტა. გრძელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამოსუნთქვის შემდეგ, იძულებული გახდა იქვე, სამფეხა სკამზე დაშვებულიყო. ჯერ კიდევ წუთის წინ აალებული სახე ახლა უეცრად ტილოსავით გადაუთეთრდა.

– შეუძლებელია, – ჩუმად, თავისთვის ჩაიბუტბუტა. – ღმერთმანი, შეუძლებელია… – კვლავ და კვლავ მიჰქონდა ბატისტის თეთრი ნაჭერი ცხვირთან და ყნოსდა, და თავს აქნევდა, და ბუტბუტებდა: „შე-უძლებელია, შეუძლებელი“... ეს სწორედ პელისიეს სუნამო იყო, და თანაც ყოველგვარი მინარევის გარეშე! სურნელთა ის საძულველი ნარევი, ისეთი სიზუსტით გადაღებული, თავად პელისიეც ვერ განარჩევდა საკუთარი ნამოქმედარისაგან. „შეუძლებელია“...

წელში მოკუნტული, სახეგაფითრებული იჯდა ჯუზეპე ბალდინი, პაწია ცხვირსახოცით ხელში, გამუდმებით რომ ცხვირზე იკრავდა სურდოთი შეპყრობილი ქალიშვილივით, და საცოდავად აცეცებდა თვალებს. წუთიერად, მეტყველების უნარიც კი დაკარგა. შეჰყურებდა შესარევი ჭურჭლის შიგთავსს, თავს აქიცინებდა და მონოტონურად ბუტბუტებდა: „შ-შ, შ-შ, შ-შ... შე -შე... შე...“. მერე გრენუი მიუახლოვდა, უჩუმრად, აჩრდილივით.

– არაა ეს კარგი სუნამო, –თქვა მან. – ცუდადაა შედგენილი.

– შე-შე... – უპასუხა ბალდინიმ, გრენუი კი თავისას განაგრძობდა:

– თუ ნებას დამრთავთ, მეტრ, გავაუმჯობესებ. ერთი წუთი მიდროვეთ, მართლა კარგ სუნამოდ გადავაქცევ!..

ბალდინიმ თავი დააკანტურა. არა იმიტომ, თანხმობა გაეცხადებინა – უბრალოდ, ესღა იყო ერთადერთი, რაც ამ აპათიურ მდგომარეობაში შეძლო. ჩარევაც არ უცდია, როცა გრენუი ხელახლა შეუდგა საქმიანობას, მეორედ გადმოასხა სპირტი იმავე ბოციდან შესარევ ჭურჭელში – გამოურეცხავად, პირდაპირ ნარჩენებში ჩაუშვა! ახლაც, თითქოსდა ალალბედზე, ყოველგვარი რიგითობისა და გათვლილი შეფარდებების გარეშე გადაუშვა ძაბრში ფლაკონების შიგთავსი. მხოლოდ მთელი ამ პროცედურის დასასრულს – ამჯერად გრენუის აღარ შეუნჯღრევია ბოთლი, მხოლოდ ოდნავ შეაქანა, კონიაკით სავსე სასმისივით, შესაძლოა ბალდინის მგრძნიარობას გაუწია ანგარიში, შესაძლოა იმიტომ, რომ ნაზავი ამჯერად უფრო ძვირფასად ეჩვენებოდა, – მოკლედ, მხოლოდ ახლა, როდესაც მზა სითხე უკვე ჭურჭელში ლივლივებდა, ბალდინი გამოერკვა, ნელ-ნელა წამოიმართა სკამიდან. თეთრი ნაჭერი ჯერ კიდევ ცხვირზე ჰქონდა მიკრული, თითქოს ფარად უნდა იხმაროს მის ნატიფ ყნოსვაზე ახალი შეტევისაგან თავდასაცავადო.

– მზადაა მეტრ. – შეაგება გრენუიმ, – ამჯერად არცთუ ისე ცუდი გამოვიდა.

– კი, ჰო, კარგია… – პასუხობდა ბალდინი და მარცხენა, თავისუფალ ხელს უმწეოდ იქნევდა განზე.

– არ გნებავთ სინჯი აიღოთ? — ჩაიკრუტუნა გრენუიმ. — მეტრ, ნუთუ მართლა არ გასინჯავთ?

– სხვა დროს, სხვა დროს, ახლა რაღაც განწყობაზე ვერა ვარ... სინჯის ასაღებად... ახლა მაგისთვის არა მცალია. აქეთ წამო!

შანდალი აიღო და სავაჭროში გასავალი კარისაკენ გაბლაყუნდა. გრენუი უკან მიჰყვა. ვიწრო დერეფნით გააღწიეს უკანა, შიკრიკებისათვის განკუთვნილი შემოსასვლელისაკენ. მოხუცი ფრატუნით მიუახლოვდა დაბალ კარს, ურდული გააღო. შემდეგ გვერდზე გადგა, ბიჭუნა რომ გაეტარებინა.

– ახლა შემიძლია თქვენთან ვიმუშაო, მეტრ? შეიძლება? – დაეკითხა უკვე ზღურბლზე მდგარი გრენუი, ძველებურად წელში მოხრილი და დადარაჯებული.

– არ ვიცი, – თქვა ბალდინიმ, – ვიფიქრებ. წადი ახლა!

და გრენუი უეცრად გაქრა, თითქოს ჩაიყლაპაო, ისე დაიკარგა ბნელში. ბალდინი კარგა ხანს იდგა გაშტერებული, მარჯვენა ხელში შანდალი ეჭირა, მარცხენაში ცხვირსახოცი – იფიქრებდით, ეს-ესაა ცხვირიდან სისხლი წასკდაო, – და რაღაც შინაგანი ძრწოლით მისჩერებოდა სიბნელეს. მერე უცბად გამოერკვა, სწრაფად მიხურა კარი, ურდული გაუყარა და სავაჭრო ოთახის გავლით, სახელოსნოში დაბრუნდა.

იქ კიდე ღვთიური სურნელი იდგა. ლამის ცრემლი მოაწვა ბალდინის, არაფრად სჭირდებოდა სინჯის აღება, უბრალოდ იდგა მუხის მაგიდის წინ და ანაორთქლს იყნოსავდა. ბრწყინვალე სუნამო გახლდათ – მასთან შედარებით „ამური და ფსიქეა“ იგივე იქნებოდა, რაც ქუჩის ვიოლინოს წრიპინი — სიმფონიური ორკესტრის ხმიანობასთან. თვალები მილულა და უნებურად, მასში უტკბილესმა მოგონებებმა გაიღვიძა. თავი ჯერ ნეაპოლში, საღამოს პირს ზღვის სანაპიროზე მოსეირნე ახალგაზრდა კაცად წარმოიდგინა, მერე – შავთვალა ლამაზმანის მკლავებში მონებივრედ... ღამის ნიავის დაქროლვაზე აფრიალებული ფარდის უკან ვარდების კონას მოჰკრა თვალი ფანჯრის რაფაზე, გაიგონა დამფრთხალი ჩიტების ჭიკჭიკი და შორეული მუსიკის ხმაც მოესმა ღამის ქულბაქიდან; სულ ახლოს, ყურთან, ჩურჩული გაიგონა: *მიყვარხარ...* სიამოვნებისგან წამოიკვნესა და თვალები გაახილა. არა, ეს სუნამო არ იყო უბრალოდ საპკურებელი სითხე, რაღაც ტუალეტის საგანი – ეს იყო სრულიად თავისებური, უცხო რამ, რომელსაც საკუთარი შიგთავსიდან სულ სხვა, ჯადოსნური სამყაროს ამოშვება შეეძლო, ყოველი ჭირი კაცს უმალვე ავიწყდებოდა და თავსაც ისეთ მდიდრად, ისეთ სვებედნიერად, ისე კარგად იგრძნობდა, რომ...

ახლა ბალდინის სრული სულიერი სიმშვიდე ეწვია. თხის ტყავების დასტიდან ერთი გამოაძრო, მაგიდის კიდეზე გადაფინა, დანა აიღო, ნაჭერს წვერები მოუსწორა, მინის აბაზანაში ჩადო და ახალი სუნამო დაასხა. შემდეგ აბაზანას მინისავე ფირფიტა დააფარა, ნარჩენი სუნამო ორ ფლაკონში გადაასხა, ეტიკეტები მიაკრა და ზედ სახელწოდებაც წააწერა –

„ნეაპოლიტანური ღამეები“. მერე სანთლები ჩააქრო და სახელოსნოდან გავიდა.

ვახშმობისას არაფერი უთქვამს ცოლისთვის; არაფერი წამოსცცენია იმ ღამის საბედისწერო გადაწყვეტილებაზე, დაისის ჟამს რომ მიიღო. არც ცოლს უთქვამს არაფერი, რადგან შეამჩნია, როგორ უბრწყინავდა თვალები და ამით ფრიად კმაყოფილი დარჩა... არც ნოტრ-დამს წასულა, ღვთისათვის მადლის შესაწირად – ეგ კი არა და ამ დღეს ძილისპირული ლოცვის წარმოთქმაც გადაავიწყდა.

16.

მეორე დილით პირდაპირ გრიმალისას გაემართა. ჯერ ტყავების საფასური გადაიხადა; თან გადაიხადა სრულად, არც დაუწუწუნია და ერთხელაც არ შევაჭრებია. მერე სამიკიტნოში ერთ ბოთლ თეთრ ღვინოზე მიიპატიჟა ოსტატი და გრენუი გამოისყიდა. თქმა არ უნდა, არც წამოსცდენია, რისთვის სჭირდებოდა ბიჭი. მოჭორა რაღაც დიდ შეკვეთაზე, რის შესასრულებლადაც ერთი უსწავლელი მუშა სჭირდებოდა შემწედ: ვთქვათ, მცირე მოთხოვნილებების მქონე ვინმე ყმაწვილი, უბრალო დავალებების შესასრულებლად — ტყავი დაეჭრა და სხვა წვრილმანი საქმეც ეკეთებინა... მერე კიდევ ერთი ბოთლი ღვინო მოითხოვა და გრიმალს ოცი ლივრი შესთავაზა — ასე ვთქვათ, იმ უხერხულობის საზღაურად, რაც მას გრენუის წამოსვლით მიადგებოდა. ოცი ლივრი გვარიანი თანხა იყო და გრიმალიც მაშინვე დათანხმდა. ბოლოს სათრიმლავ სახელოსნოში დაბრუნდნენ, სადაც გრენუი, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, უკვე შეკრული ფუთით ელოდებოდა; ბალდინიმ ფული გადაიხადა და იმ აზრით გამსჭვალულმა, ცხოვრებაში საუკეთესო გარიგება გავჩარხეო, გრენუი მაშინვე წაიყვანა თავისთან.

გრიმალი, ასევე დარწმუნებული, რომ ხეირი მისი იყო, ნაცნობ ქულბაქს ეწვია, მირთმეულს კიდევ ორი ბოთლი დააყოლა; შემდეგ, შუადღისათვის, სხვაგან გადაბარგდა, სენის მეორე ნაპირზე და საბოლოოდ ისე გამოიბრუჟა, გვიან საღამოს, როდესაც შინ აპირებდა დაბრუნებას, ჟოფრუა დ'ანესა და ნონენდიერის ქუჩები ერთმანეთში აერია; ამის გამო, იმის მაგივრად რომ მარის ხიდზე მოხვედრილიყო, როგორც თავად აპირებდა, საბედისწერო ცდომილებით თელების სანაპიროზე მოხვდა და იქიდან ისე ჩაენთხლა წყალში, როგორც საკუთარ საწოლში სჩვეოდა ხოლმე. მაშინვე დაიღრჩო, ოღონდაც მდინარეს კიდევ საკმაო დრო დასჭირდა, რათა იგი თავთხელიდან სიღრმეში, უფრო სწრაფი დინებისაკენ ჩაეთრია. მხოლოდ გამთენიისას, დაბაღი გრიმალი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მისი გაბიჟვინებული გვამი, ნელ-ნელა დაცურდა ქვემოთ, დინების გაყოლებაზე, დასავლეთით.

სწორედ იმ დროს, როდესაც ზარაფთა ხიდის თაღებქვეშ მიტივტივებდა, უჩუმრად, ისე რომ ხიდის ბურჯებს არც გასდებია, მის თავზე, ოციოდ

მეტრით მაღლა, ჟან-ბატისტ გრენუი დასაძინებლად ემზადებოდა. ბალდინის სახელოსნოს კუთხეში, პირადად მისთვის, გარანდული ფიცრის ტახტი დადგეს და იმჟამად დაწოლას ეპირებოდა, მაშინ როდესაც მისი ყოფილი პატრონი გრიმალი, წყალზე განრთხმული, ქვემოთ მიცურავდა, ცივ სენაში. გრენუი სიამით მოიკუნტა და ტკიპასავით დაპატარავდა; რული ერეოდა, სულ უფრო და უფრო იძირებოდა ზმანებებში და ბოლოს ტრიუმფალური სვლით მიადგა თავის შინაგან ციხე-სიმაგრეს, სადაც ფარულად იდღესასწაულებდა ყნოსვითი შეგრძნებების სრულ გამარჯვებას: სიტყვაუწვდენი ორგია – საკმევლის სქელი კვამლითა და სურნელოვანი ფისის ანაორთქლით გაჯერებული — პირადად მისდა საპატივცემულოდ.

17.

გრენუის შეძენამ სათავე დაუდო ჯუზეპე ბალდინის ფირმის აღზევებასა და სახელის დაგდებას როგორც ქვეყნის, ისე ევროპული მასშტაბით. სპარსული ზარების წკარუნი კარს ზემოთ თითქმის აღარ წყდებოდა და არც ყანჩები წყვეტდნენ შადრევნების გადმოშხეფებას მის მაღაზიაში, ზარაფთა ხიდზე.

პირველსავე ჯერზე, „ნეაპოლიტანური ღამეების“ კარგა მოზრდილი ბალონის დამზადება მოუხდათ: ოთხმოცი ფლაკონი იმ დღესვე გაიყიდა, სუნამოს ქება-დიდება კი საკვირველი სისწრაფით ვრცელდებოდა ქალაქში. შენიეს თვალები აუჭრელდა, იმდენი ფულის დათვლამ მოუწია და ზურგიც წამოსტკივდა ამდენი დახრითა და თავის დაკვრით. ხოლო ერთხელაც კარი ყურამდე მოფრიალდა და გრაფ დ'არჟანსონის ლაქია შემოვარდა ღრიალ-ღრიალით, როგორც ეს მხოლოდ ლაქიებს სჩვევიათ — სურდა, მიეღო ხუთი ფლაკონი ახალი სუნამო, და შენიე, მისი წასვლის შემდეგ, საათის მეოთხედი მაინც კიდევ ცახცახებდა კრძალვა-ფეთებისგან, რაკიღა გრაფ დ'არჟანსონი სამხედრო მინისტრი და ინტენდანტი გახლდათ მისი უდიდებულესობისა, და ასევე, ერთი უგავლენიანეს პიროვნებათაგანი მთელს პარიზში.

ვიდრე შენიე მარტოდმარტო იგერიებდა მყიდველების შემოტევას დახლთან, ბალდინი, თავის ახალ შეგირდთან ერთად, სახელოსნოში გამოკეტილიყო. ამ ვითარების გასამართლებლად შენიეს მან სრულიად ფანტასტიური თეორია წარუდგინა, „რაციონალიზაციისა და შრომის განაწილების“ სახელწოდებით. ანუ, როგორაც თავად ბრძანა, იგი დიდხანს და მოთმინებით შეჰყურებდა, თუ როგორ ართმევდნენ კლიენტებს პელისიე და მისი მსგავსი სუბიექტები, აგდებით რომ ეკიდებოდნენ ძირძველ ამქრულ ტრადიციებს და ლაფში უთხვრიდნენ ფირმის რეპუტაციას; მაგრამ ახლა მისი — ბალდინის — მოთმინება ამოიწურა, ახლა იგი იღებს მათს თავხედურ გამოწვევას და ამ მეტიჩარა წინამასწარებს მათივე მოგონილი ხერხით გაუსწორდება: ყოველ სეზონზე კი არა, ყოველ თვეს და, თუ აუცილებელი გახდა – ყოველ კვირასაც კი, ახალ სუნამოს გამოუშვებს, და თანაც როგორს! ახლა ის სრულად გახსნის საკუთარი შემოქმედებითი პოტენციის ოქროს ძარღვს!

ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ მან – მხოლოდ და მხოლოდ ერთი უსწავ-ლელი შეგირდის დახმარებით – მთლიანად და მარტოოდენ ნელსურნელებათა წარმოებას მიჰყოს ხელი, მაშინ როდესაც შენიემ მათი გაყიდვისათვის უნდა გადადოს თავი. ეს უთანამედროვესი მეთოდი, შეაგონებდა იგი თავის პარტ-ნიორს, სრულიად ახალ ფურცელს გადაშლის პარფიუმერიის ხელოვნების ისტორიაში; სრულად გაანადგურებს კონკურენტებს და ჩვენც გაგვამ-დიდრებსო – დიახ, იგი შეგნებულად და ხაზგასმით წარმოთქვამდა – „ჩვენ“, რადგანაც განზრახული ჰქონდა, ამ განუზომელი სიმდიდრიდან თავის ძველი, ერთგული თანაშემწისთვისაც ებოძებინა გარკვეული წილი!.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ, შენიე თავის პატრონის ასეთ სიტყვებს მოხუცებულობის მარაზმის საწყის ნიშნად მიიღებდა. „ა, ეგ უკვე მომწიფდა შარიტესთვის“*,– გაიფიქრებდა იგი. – ცოტაც კიდევ და საბოლოოდ გა-რეკავს...“

ოღონდ ამჟამად ის არაფერსაც არ ფიქრობდა; უბრალოდ, თავს ვეღარ აბამდა ფიქრებს – იმდენი სამუშაო ჰქონდა, საღამოობით ძლივსღა ახ-ერხებდა გადაჭედილი სალაროს დაცლასა და კუთვნილი წილის მითვლას. არც არასოდეს დაეჭვებულა ამ ფულის მართალი გზებით მოსვლაში: ბალდ-ინი ხომ ლამის ყოველ მეორე დღეს რაღაც ახალი სუნამოთი ხელდამშვე-ნებული გამოდიოდა სახელოსნოდან!

და რა სურნელები იყო, აღარ იკითხავთ?! არა ოდენ უმაღლესი, უ-უმაღლესი ხარისხის სუნამოები, არამედ ასევე, სულ ნაირ ნაირი ნელ-საცხებლები, და ფერუმარილები, და საპნები, და თმის ლოსიონები, და მა-ლამოები... და საერთოდ, ყველაფერი, რასაც საამო სურნელი უნდა სდიოდეს, სდიოდა კიდეც და სდიოდა სულ ახლებურად და სულ სხვაგვარად; გაცილე-ბით შესანიშნავად, ვიდრე რაიმე ადრინდელ ნაწარმს; და ყველაფერს, სრულიად ყველაფერს, თვით არომატიზირებულ თმების სარჭსაც კი, რომელ-საც ბალდინის ჭირვეულმა განწყობილებამ შექმნა ერთხელ, საზოგადოება მოჯადოებულივით იტაცებდა და ფასსაც არ დაგიდევდა ვინმე – წარმატება ჰქონდა ყველაფერს, რასაც კი ბალდინი ქმნიდა. ეს საოცარი წარმატება იმ-დენად გამაოგნებელი იყო, შენიე აღიქვამდა მას როგორც რამ ზებუნებრივ მოვლენას და მის მიზეზებს აღარ იკვლევდა. ხოლო ამ ახალ მოწაფეს, მოუხეშავ ჯუჯას, ძაღლივით რომ შეფარებოდა სახელოსნოს და რომელსაც ხანდახან თუ მოკრავდით თვალს შენობის სიღრმეში, სინჯარების რეცხვისა და ფილთაქვების წმენდის დროს, თუკი ამ სრულ არარაობას რაიმე კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა ფირმის საარაკო აღზევებასთან – შენიე არ დაი-ჯერებდა, ვინმეს წვრილადაც რომ დაეფქვა მისთვის ყველაფერი.

არადა ჯუჯას, რაღა თქმა უნდა, უშუალო კავშირი ჰქონდა ყველაფერ ამასთან, უშუალო და პირდაპირი კავშირი: ყველაფერი, რაც ბალდინის გა-მოჰქონდა დახლზე და შენიეს უტოვებდა გასაყიდად, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმისა, რასაც გრენუი ამზადებდა დახურული კარის მიღმა. ბალდინის

* მოხუცთა და უპოვართა თავშესაფარი (მთარგმ. შენ.)

ხომ დიდი ხნის წინათ უღალატა ყნოსვამ და ხშირად ნამდვილ სულიერ ტანჯვას განიცდიდა, როცა გრენუის დამზადებულ საოცრებათაგან ერთ-ერთი უნდა ამოერჩია. ამ ჯადოსან შეგირდს სრულიად საფრანგეთის მენელსაცხებელთა მთელი არმიის მომარაგება შეეძლო საუკეთესო რეცეპტებით, ისე რომ არასოდეს განიმეორებდა ერთსა და იმავეს, არასოდეს დაამზადებდა არაფერს, თუნდაც რაღაცით კნინს, მდაბალზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა, რეცეპტები გინდა ფორმულები აქ არაფერ შუაშია – გრენუი თავის სურნელთა კომპოზიციებს იმ ქაოტური და სრულიად არაპროფესიონალური ხერხებით ადგენდა, რომლებმაც თავიდან ასე დაზაფრა ბალდინი. კერძოდ: თითქოსდა ალალბედზე, უაზროდ და უწესრიგოდ ურევდა ერთმანეთში სხვადასხვა შენაერთებს. ერთხელ, არა იმიტომ რომ შეემოწმებინა, არამედ იმისთვის, რათა იქნებ ამ სიგიჟის აზრი გაეგო, ბალდინიმ გრენუის მოსთხოვა — არომების შედგენისას მუდამ სასწორით, საწვეთურითა და მენზურით ესარგებლა; თანდათანობით მიჩვეოდა იმას, რომ ღვინის სპირტი სურნელის მიმცემი კი არა, გასახსნელი საშუალებაა და რომ ის ნაზავს სულ ბოლოს უნდა დაემატოს; და საერთოდაც, ცოტა ნელა იმუშაოს, საფუძვლიანად, ვითარცა ჭეშმარიტ მენელსაცხებლეთა შორისაა მიღებული...

გრენუიმ ყურად იღო მოთხოვნა და ბალდინის პირველად მიეცა საშუალება, დაენახა და ჩაეწერა ამ ჯადოქრობის ცალკეული ოპერაციები. კალმითა და ქაღალდით ჩამოჯდებოდა ხოლმე გრენუის გვერდით, მუდმივად მოუწოდებდა სიდინჯისკენ და იწერდა – რამდენი მისხალი, რამდენი მწიკვი, რამდენი წვეთი ესა თუ ის ჩავიდოდა შესარევ ჭურჭელში. აი, ასეთი უცნაური მეთოდით ახერხებდა ბალდინი უკვე დასრულებული პროცესის ანალიზს და, საბოლოო ჯამში, სინთეტიკურ რეცეპტებს იღებდა. ის, თუ როგორ შეეძლო გრენუის ასეთი რეცეპტის, ან ფორმულის გარეშე მიეღო თავისი სუნამოები და ნაზავები, ბალდინისათვის სასწაულებრივ გამოცანად რჩებოდა; მაგრამ ახლა მან, ყოველ შემთხვევაში, ეს სასწაული ფორმულამდე დაიყვანა და საკუთარი პარფიუმერული სამყაროს აღქმა სრული განადგურებისაგან იხსნა.

ბალდინიმ ახალშედგენილ სურნელთა სულ უფრო და უფრო მეტი რეცეპტი დასტყუა გრენუის და საბოლოოდ აუკრძალა კიდეც რაიმე ახალის შექმნა, ვიდრე იგი, ბალდინი, არ გამოცხადდებოდა კალმითა და ქაღალდით ხელში, რათა არგუსივით ეთვალთვალა პროცესისათვის და ნაბიჯ-ნაბიჯ აღენუსხა ყოველივე.

თავის რეცეპტებს – სულ მალე ათეულობით დაუგროვდა – ბეჯითად გადაიწერდა ხოლმე ორ სხვადასხვა წიგნაკში, რომელთაგან ერთი ცეცხლგამძლე კარადაში ჰქონდა ჩარაზული, ხოლო მეორეს დღისით თან დაატარებდა, ღამ-ღამობით კი ბალიშის ქვეშ ჰქონდა ამოდებული და ესეც გარკვეულ თვითრწმენას ანიჭებდა. ახლა თუ დასჭირდებოდა, თავადვე შეეძლო გრენუის სასწაულების გამეორება და იმედი ჰქონდა, მისი ჩაწერილი ფორმულების კოლექციის წყალობით წინ აღდგომოდა იმ საზარელ შემოქმედებით ქაოსს, ნაკადივით რომ იფრქვეოდა მისი მოწაფის ქვეცნობიერი სამყაროდან. ხოლო ის ამბავი, რომ იგი, უბრალოდ გაოგნებული კი აღარ იწერდა ყველაფერს, არამედ თვალთვალისა და აღნუსხვის საშუალებით თავადაც მონაწილეობდა შემოქმედებით პროცესში, დამაწყნარებლად მო-

ქმედებდა ბალდინიზე და მის თვითდაჯერებას განამტკიცებდა. გარკვეული დროის შემდეგ თავადაც ირწმუნა, რომ ფრიად არსებითი წვლილი ჰქონდა შეტანილი ფაქიზ ნელსურნელებათა შექმნაში. საბოლოოდ, უკვე ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ფორმულები მისი სრული და კანონიერი საკუთრება გახლდათ.

ერთი გამორჩენა გრენუისაც ჰქონდა ამ დისციპლინარული პროცედურიდან, რომელიც ბალდინიმ მოახვია თავს. თავად მას, მართალია, ამის საჭიროება არც უგრძვნია – არასოდეს დაჭირვებია ძველი ფორმულის დამოწმება რათა რამოდენიმე კვირის, ან თვის შემდეგ რომელიმე სუნამოს შემადგენლობა აღედგინა, რადგან არც არასოდეს ავიწყდებოდა. მაგრამ მენზურებისა და სასწორების სავალდებულო გამოყენების შედეგად პარფიუმერიის ენა შეისწავლა და ინსტინქტურად გრძნობდა, ეს ცოდნა კიდევ გამოადგებოდა. ორიოდე კვირის თავზე, გრენუიმ არა მარტო ყველა იმ სურნელოვანი ნივთიერების სახელწოდება იცოდა, რომელიც კი ბალდინის სახელოსნოში მოიპოვებოდა, არამედ ისწავლა, როგორ ჩაეწერა თავისი სუნამოების ფორმულები და პირიქითაც, სხვისი ფორმულებისა და ინსტრუქციების მიხედვით სუნამოები თუ სხვა რამ სურნელოვანი ნივთიერებები შეექმნა. მეტიც, უკვე შეეძლო საკუთარი პარფიუმერული იდეების გრანებში და წვეთებში გამოხატვა, შეეძლო, ყოველგვარი შუალედური სინჯების გარეშე ემოქმედა. როდესაც ბალდინი ახალი სურნელის შექმნას ავალებდა, ვთქვათ — ცხვირსახოცების გასაჟღენთად, ან მშრალი სუნამოსა თუ ფერუმარილის დასამზადებლად, გრენუის უკვე აღარ სჭირდებოდა ფლაკონებისა და ფხვნილებისათვის ხელის მოკიდება: უბრალოდ, მაგიდას მიუჯდებოდა და მაშინვე ჩამოწერდა ხოლმე საჭირო ფორმულას; ისწავლა, ფორმულის მომზადების ხარჯზე, საკუთარი შინაგანი ყნოსვითი წარმოდგენებიდან მზა ნაწარმამდე სავალის გავლა, თუმცა მისთვის ეს მაინც შემოვლითი გზა გახლდათ. საერთოდ კი, მიღებული შეხედულების მიხედვით, ესე იგი – ბალდინის შეხედულების მიხედვით, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. გრენუის საოცრებები საოცრებებად რჩებოდა, მაგრამ რეცეპტურა, რითაც ის ამ საოცრებებს ასაბუთებდა, მჩხიბაობის დამთრგუნველ ეფექტს აცლიდა მათ და ამასაც თავისი უპირატესობა ჰქონდა. რაც უფრო უკეთ ითვისებდა გრენუი პროფესიულ ხერხებსა და მეთოდებს, რაც უფრო გასაგებად იძლეოდა ახსნა-განმარტებებს პარფიუმერიის პირობით ენაზე, მით უფრო ნაკლებად იზაფრებოდა და ნერვიულობდა მისი პატრონი. ბოლოს და ბოლოს, ბალდინი მას ახლა მეტად ნიჭიერ ადამიანად თვლიდა სუნის შეგრძნების თვალსაზრისით, მაგრამ არა მეორე ფარჟიპანად და, რაღა თქმა უნდა, არც შემზარავ ჯადოქრად, ხოლო ყველაფერი ეს გრენუის წისქვილზე ასხავდა წყალს. მას მშვენიერ ნიღბად ემსახურებოდა ხელოსნური ჟარგონი და ჩვევები; პირდაპირ მიაძინებდა ხოლმე ბალდინის წესების სამაგალითო დაცვით, შენარევების ზუსტი აწონვით, შესაზავებელი ჭურჭლის შენჯღრევითა თუ საცდელი თეთრი ცხვირსახოცის ნამვით; მერე კიდევ, პატრონის წაბაძვით, ისევე მანერულად, ისევე ელეგანტურად იტარებდა ცხვირთან, მოსაყნოსად... ხოლო შესაფერის დროს, გამოზომილი პერიოდულობით, შეცდომებსაც უშვებდა, ბალდინის დასანახად: დაავიწყდებოდა რაიმეს გაფილტვრა, არასწორად დააყენებდა სასწორს, ფორმულაში რისამე შემცველობის უაზროდ მაღალ

პროცენტს ჩაწერდა — საბაბს მისცემდა იმისთვის, რომ შეცდომაზე მიეთითებინათ და შემდეგ გულმოდგინედ ასწორებდა ამ ვითომ შეცდომას. ასე შეძლო მან ბალდინის დარწმუნება, რომ ყველაფერი, საბოლოო ჯამში, წესისა და რიგის დაცვით მიდიოდა. გრენუის არ აწყობდა მოხუცის გაანჩხლება – რაც მართალია, მართალია, მას მართლა სურდა ზოგი რამის შესწავლა; არა სუნამოების შედგენა, არა ამა თუ იმ სურნელის შემადგენელთა ზუსტი წყობა – არამც და არამც! ამ მხრივ არავინ იყო ქვეყნად, ვინც მას რაიმეს ასწავლიდა; და საერთოდ, ის ინგრედიენტები, რაც ბალდინის სახლში მოიპოვებოდა, გრენუის წარმოდგენით სრულიადაც არ იყო საკმარისი მართლაც რომ ბრწყინვალე ნესლურნელებათა შესაქმნელად. ყველაფერი ის, რასაც იგი ბალდინისთან ქმნიდა, ბავშვური გასართობი იყო იმასთან შედარებით, რასაც იგი საკუთარ თავში ატარებდა და რის ხორცშესხმასაც ოდესმე, მომავალში აპირებდა. მაგრამ ამისთვის, და მან ეს კარგად უწყოდა, ორი უცილობელი წინაპირობა იყო საჭირო: პირველ რიგში, შედარებით ასატანი არსებობა, თუნდაც შეგირდის მდგომარეობაში, რაც საშუალებას მისცემდა დაუოკებლად მისცემოდა საკუთარ ვნებებს; მეორე – ხელობის იმ ხერხების ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემდა დაემზადებინა, გამოეყო, დაეწურა და დაეკონსერვებინა სურნელოვანი ნივთიერებანი, ამით პირად განკარგულებაში მიეღო ისინი და რაღაც სხვა, ზეგარდმო მიზნისათვის გამოეყენებინა—რადგან, თუმცა გრენუის საუკეთესო ყნოსვა გააჩნდა ქვეყნად და მისი ყნოსვა იმდენადვე ანალიტიკური იყო, რამდენადაც აღქმითი, სურნელთა ფიზიკურად ფლობა ჯერ კიდევ მაინც მის შესაძლებლობათა მიღმა რჩებოდა...

18.

მაშ ასე, გრენუი ნებსით ემორჩილებოდა ბალდინის ინსტრუქციებს, ეუფლებოდა ღორის ქონიდან საპნის გამოხარშვის, ნატისაგან ხელთათმანების კერვის, ხორბლის ფქვილის, დანაყული ნუშისა და იის დაფქვილი ფესვებისაგან – პუდრის მიღების ხელოვნებას. სურნელოვან სანთლებს მერქნის ნახარშის, გვარჯილისა და სანდალოზის ხის ნაქლიბიდან ასხამდა; პრესავდა აღმოსავლურ პასტილებს მურის, ბენზოლის ფისისა და ქართვის ფხვნილისაგან; ურევდა ცომში საკმეველს, შილაქს, ვეტივარიას, დარიჩინს, და მათგან საკმეველ ბურთულებს ასორსოლებდა; ცრიდა და ფითხით ქნიდა დანაყილი ვარდის ფურცლების, ლავანდის ყვავილებისა და კასკარას ქერქისაგან შემდგარ Poudre Imperial-ს; ხარშავდა გრიმს, თეთრსა თუ ნაჯერ ცისფერს; ამზადებდა ჩხირებს – სისხლისფერ-წითელ პომადებს ტუჩებისათვის; წყალში ხსნიდა ფრჩხილებზე წასასმელ, უწმინდესად გაცრილ ფხვნილებს, პიტნის გემონარევ ცარცს კბილებისათვის... ადგენდა პარიკების დასახვევ სითხეებს, წვეთებს მეჭეჭებისა და კოჟრების მოსაშორებლად; აქეთ – მათეთრებელი სახე-კანისთვის და ბელადონას ნაჟური — თვალებისათვის, იქით – მარიამულას საცხი კავალრებისთვის და ჰიგიენური ძმარი ქალბატონებისთვის... გრენუი ნაირ-ნაირი ლოსიონების, ფხვნილების, კოსმეტიკური საშუალებებისა და, ამას გარდა – ჩაის ნაყენების, სუნელების, და ლიქიორების, და

მარინადების, და სხვათა მსგავსთა დამზადებაშიც ასევე გაიწაფა. მოკლედ, სრულად აითვისა ის განსწავლულობა, რაიც ბალდინის შეეძლო მისთვის გაეზიარებინა; მართალია, განსაკუთრებული ინტერესის გარეშე, მაგრამ უჩივლელად და სრული წარმატებით. სამაგიეროდ, გასაოცარ გულმოდგინეობას იჩენდა მაშინ, როცა ბალდინი მას ათასგვარი ტინქტურების, ნაწურებისა თუ ესენციების დაყენებას ასწავლიდა. მოუღლელად ჭყლეტდა ხრახნიან პრესში მწარე ნუშის ლებნებს, ნაყავდა ჯავზის მარცვლებს, ანდა საკეპავი დანით თლიდა ამბრის ნაცრისფერ გორგალს, ანდა სულაც იის ფესვებს ძენძავდა ხოლმე, რათა სპირტის დამატებით, მათგან ნაყენი დაეყენებინა. ისწავლა დასანაწილებელი ძაბრით სარგებლობა — სუფთა ზეთის გამოსაწურად; ბალახებისა და ყვავილების გაშრობაც ისწავლა – ცხაურებზე, ჩრდილში თუ სითბოში, და შრიალა ფოთოლ-ყლორტების დაკონსერვებაც — ფიჭით დალუქულ ქოთნებსა თუ ყუთებში...

ისიც სათქმელია, ბალდინის სახელოსნო არ იყო გათვალისწინებული დიდი რაოდენობით მცენარეული ზეთების გამოხდისათვის, მაგრამ ხანდახან, როდესაც იაფად შეიძლებოდა როზმარინის, პიტნის და სალბის, ან ანისულის თესლის ყიდვა ბაზარზე, ან როდესაც საკმაოდ დიდი პარტიებით შემოდიოდა ზამბახის ბოლქვები, ანდა ბალდრიანის ფესვები, კვლიავი, ჯავზის კაკალი თუ მიხაკის გამხმარი ყვავილი, ბალდინიში ალქიმიკოსი იღვიძებდა; გამოათრევდა ხოლმე თავის უზარმაზარ, სპილენძისაგან დამზადებულ სახდელ ქვაბს, ზედ წამომხობილი გასაცივებელი ლაპოტით, რომელსაც იგი „მავრის თავს“ ეძახდა და ამაყობდა კიდეც, რომ ამ ორმოციოდე წლის წინათ, ლიგურიის სამხრეთ კალთებზე, ტრიალ მინდორში, ამ ქვაბის მეშვეობით ლავანდის დისტილაციას ახდენდა, და ვიდრე გრენუი გამოსახდელად გამიზნულ მასალას აქუცმაცებდა, ბალდინი ცხროიანი სისწრაფით – ვინაიდან გადამუშავების სისწრაფე ანი და ჰოე გახლავთ ამა საქმისა – ქვის ღუმელში ცეცხლს აჩაღებდა, სადაც ზემოხსენებული სპილენძის ქვაბს დგამდა, წყლით სანახევროდ სავსეს; შემდეგ ყრიდა შიგ ნაწილებად დაჩეხილ მცენარეს, აფარებდა თავზე ორმაგკედლიან სახურავს – „მავრის თავს“ – და უერთებდა ორ შლანგს, შემავალი და გამომავალი წყლისათვის. ეს დახვეწილი კონსტრუქცია კონდენსატის გაციებისათვის – გზადაგზა უხსნიდა იგი გრენუის – მან უფრო გვიან ჩაამატა, რადგან თავის დროზე, მინდორში მუშაობისას, გაცივების ეფექტს უბრალოდ ქარის დახმარებით აღწევდა. ყოველივე ამის შემდგომ ცეცხლის შენთების დროც დგებოდა.

ქვაბის შიგთავსი ნელ-ნელა იწყებდა დუღილს. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ჯერ წვეთ-წვეთად, მერე კი ძაფივით წვრილი ნაკადით, დისტილატი ახლა უკვე „მავრის თავის“ სადინარიდან ბალდინის მიერ შედგმულ ფლორენციულ მათარაში მოედინებოდა. დასაწყისითვის ეს გამონახადი ვერაფერი სანახავი იყო – რაღაც წყალწყალა, მღვრიე სითხე; მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთ მათარას მეორე ცვლიდა და ავსებული კიდევ გვერდზე გაიდგმებოდა, ეს დურდო ორ ნაწილად იყოფოდა ხოლმე: ქვემოთ რჩებოდა ყვავილებისა თუ ბალახების წყალი, ზემოთ კი ზეთის სქელი ფენა ლივლივებდა. შემდეგ მხოლოდ ერთი რამ იყო საჭირო: მათარის ქვედა, სწორედ ამისათვის დატანებული ყელიდან ფრთხილად ჩამოესხათ კეთილსურნელოვანი წყალი და

სასრულად მიეღოთ სუფთა ზეთი, ესენცია, ანუ – მცენარის მძაფრარომიანი არსი.

გრენუი მოხიბლული იყო ამ პროცესით. თუკი ცხოვრებაში რაიმე იწვევდა მასში აღტაცებას – რა თქმა უნდა, გარეგნულად არაფრით გამოხატულ, ფარულ, ცივი ალით აალებულ აღტაცებას – ზუსტად ეს ხერხი: ცეცხლის, წყლის, ორთქლისა და ეშმაკეული მანქანის დახმარებით წაერთმიათ ნივთიერებისთვის მათი კეთილსურნელოვანი სული; და ეს ეთერის ზეთიც საუკეთესო რამ იყო, ერთადერთი, რაც საერთოდ აინტერესებდა მათში. უხამსი ნარჩენები: ყვავილები, ჩენჩო, ნაყოფი, ფერები, სილამაზე, სიცოცხლე და სხვა ეგეთი ნაყარნუყარი მას არ ადარდებდა. ეს მხოლოდ გარსი იყო, ბალასტი. ეს ყველაფერი იყრებოდა...

დროდადრო, მაშინ როდესაც ნახადი მთლად წყალწყალა-გამჭვირვალე ხდებოდა, ჩამოდგამდნენ ქვაბს ცეცხლიდან, ხდიდნენ სახურავს და ლექს გადმოღვრიდნენ. სითხე უფერო იყო, როგორც დამლბალი თივა, როგორც გადახარშული ბოსტნეული; მკრთალი და ბოჭკოვანი, ჭყაპივით, ძლივს საცნობი, საზიზღარი ლეში და თავად — სუნს მოკლებული. ყოველივე ამას ფანჯრიდან მდინარეში მოისროდნენ, შემდეგ იღებდნენ ახალ მცენარეებს, ყრიდნენ ქვაბში, წყალს ამატებდნენ და ქვაბს ისევ ცეცხლზე დგამდნენ. ისევ იწყებოდა ქვაბში დუღილი, ისევ იღვრებოდა მცენარეების სიცოცხლის წვენი ფლორენციულ მათარებში. მსგავსი ქმედება ხშირად მთელი ღამე გრძელდებოდა. ბალდინი ღუმელს უთვალთვალებდა, გრენუი თვალს არ აცილებდა ჭავლს – სხვა საქმე, მათარის გამოცვლის დრომდე, მაინც არაფერი ჰქონდა. მოუქნელ აგრეგატს მიჯაჭვულები, ცეცხლთან ახლო, სამფეხა სკამებზე ისხდნენ; ორივენი მოხიბლულები, ოღონდაც სულ სხვადასხვა მიზეზით. ბალდინი ცეცხლის წვითა და სპილენძის ქვაბზე მისი ათინათით ტკბებოდა; სიამოვნებდა შეშის ტკაცუნი და სახდელი აპარატის ბუყბუყი, იმიტომ რომ ყველაფერი ისე იყო, როგორც ადრე, ძველ კარგ დროს... მოიტანდა ხოლმე დახლიდან ერთ ბოთლ ღვინოს, და სხვადასხვა ამბების მოყოლას იწყებდა, დაუსრულებელ ისტორიებს ყვებოდა იმაზე, თუ რა და როგორ იყო წინათ. ომზე ესპანეთის მემკვიდრეობისთვის, რომლის დასასრულზეც პირადად მან, ჯუზეპე ბალდინიმ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა, რადგანაც ავსტრიელების წინააღმდეგ იბრძოდა; პარტიზანებზე, ვისთან ერთადაც შიშის ზარს სცემდა სევენას, ერთი ჰუგენოტის ქალიშვილზე, რომელიც ესტერლეში დანებდა მას, ლავანდის სურნელით დამთვრალი; ტყის ხანძარზე, რომელიც კინაღამ გააჩაღა და რომელიც, ალბათ, მთელს პროვანსს გადაწვავდა – ღმერთმანი, გადაწვავდა – ვინაიდან უბედური მისტრალი ქროდა მაშინ... და ყვებოდა დისტილაციაზე, ისევ და ისევ, თუ როგორ იყო მაშინ, ღამე, გაშლილ მინდორში, სავსე მთვარისას... ღვინოზე, ციკატების ჭრიჭინზე, ლავანდის ზეთზე, რომელიც მაშინ გამოხადა, თან ისეთი და იმგვარი გამოხადა, რომ თავის წონა ვერცხლზე უცვლიდნენ; მისი სწავლის პერიოდზე გენუაში, ხეტიალის წლებზე და ქალაქ გრასზე, სადაც იმდენი ნაღდი პარფიუმერია, რამდენიც სხვაგან ფინაჩები, და მათ შორის იმდენად მდიდრებიც არიან, რომ თავადებივით ცხოვრობენ დიდებულ სასახლეებში – დაჩრდილული ტერასე-

ბითა და ბაღებით და მუხით მოპირკეთებულ სასადილო ოთახებში მიირთ-მევენ საქსონური ფაიფურის თეფშებიდან, ოქროს დანა-ჩანგლით...

აი, ამგვარ ისტორიებს ყვებოდა მოხუცი ბალდინი ჭიქა ღვინოზე, და ლოყები უხურდა ღვინისაგან, ცეცხლისაგან, და საკუთარი თხრობით თვრე-ბოდა. ოღონდაც, ჩრდილში მიმჯდარი გრენუი ყურს არ უგდებდა – არავი-თარი ძველი ისტორიები მას არ აინტერესებდა. აინტერესებდა მხოლოდ ის, რაც მის თვალწინ ხდებოდა; თვალმოუშორებლად მიჩერებოდა „მავრის თა-ვის“ ხვიმრს, საიდანაც ნახადი სითხე მოედინებოდა. ამ დროს თავად წარ-მოიდგინდა ხოლმე თავს ასეთ გამოსახდელ აპარატად, სადაც ყველაფერი დუღს, და ჩუხჩუხებს, და საიდანაც ასეთივე ნაჟური მოედინება, ოღონდ გაცილებით უკეთესი, ახალი, უჩვეულო – იმ ნატიფი მცენარეების დისტი-ლატი, რომლებიც თავად გაახარა საკუთარ თავში, რომლებიც ყვაოდნენ იქ, სადაც მხოლოდ მისი ყნოსვისთვის იყვნენ მისაწვდომნი და რომლებსაც შე-ეძლოთ სურნელოვან ედემად ექციათ მთელი სამყარო, სადაც არსებობა – ყნოსვითი თვალსაზრისით მაინც – უფრო ასატანი იქნებოდა; ანუ ყოფილიყო ერთი უზარმაზარი გამოსახდელი ქვაბი, საიდანაც მის მიერ შექმნილი სურნელები მთელს სამყაროს მოეფინებოდა – აი, ასეთ უცნაურ ოცნებებს ეძლეოდა გრენუი!..

მაგრამ ღვინით შეხურებული ბალდინი თუ უფრო და უფრო იბურდებოდა საკუთარი თხრობის ხლართებში, გრენუიმ მალე აუკრძალა თავს დაუოკებელ ფანტაზიებში გადავარდნა. დასაწყისისთვის დიდი გამოსახდელი აპარატის ხატება ამოიგდო თავიდან და მერე იმის გათვლა დაიწყო, ეს ახლახან შეძენილი ცოდნა უახლოესი მიზნებისთვის როგორ მიესადაგებინა.

19.

სულ ცოტა დრო დასჭირდა გრენუის, გამოხდის ხელობაში დაოსტატებუ-ლიყო. აღმოაჩინა – და ამაში ბალდინის რჩევა-შეგონებებზე უფრო საკუთარი ცხვირი დაეხმარა – რომ მისაღები დისტილატის ხარისხზე ცეცხლის სიმხურვალე გადამწყვეტ გავლენას ახდენს: ანუ ყოველი მცენარე, ყოველი ყვავილი, ხის ყოველი ჯიში და ყოველი ნაყოფი, განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს: ხანდახან ძლიერი აორთქლების გამოწვევაა საჭირო, ხანდახან – ზომიერი დუღილი, ხოლო ზოგიერთი ყვავილი მხოლოდ მაშინ იძლევა საუ-კეთესო სურნელს, როდესაც დაბალ ცეცხლზე იორთქლება.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თავად მომზადების პროცესი: პიტნისა და ლავანდის დამუშავება დიდი კონებით შეიძლებოდა, ანდრესა კი კარგად უნდა გარჩეულიყო, გაჩეჩილიყო, დაჩეხილიყო, დაკეპილიყო, დანაყილიყო, ფქვილივით უნდა მოქცეულიყო, ვიდრე სპილენძის ქვაბში ჩაეშვებოდა. ზოგიერთი მასალა კიდე, და გრენუიში ეს ლამის პიროვნულ წყენას იწვევდა, საერთოდ არ ემორჩილებოდა გამოხდას.

რაკი დარწმუნდა, რა თავდაჯერებულად ექცეოდა გრენუი აპარატურას, ბალდინიმ გამოსახდელი ქვაბი სრულ განკარგულებაში გადაულოცა და გრენიუსაც არ დაუყოვნებია ამით ესარგებლა. მთელი დღეები ქმნიდა სუნამოებს, ამზადებდა სხვადასხვა ნელსაცხებლებს, ხოლო ღამღამობით მხოლოდ გამოხდის იდუმალი ხელოვნებით იყო დაკავებული. უზურში ერთი რამ ჰქონდა – დაემზადებინა სრულიად ახალი სურნელოვანი ნივთიერებები და უკვე მათი დახმარებით გამოეყვანა თუნდაც რამდენიმე იმ აურაცხელ არომათაგან, საკუთარ შეგრძნებებში რომ ატარებდა. საწყის ეტაპზე მან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია: შესძლო დაემზადებინა ზეთი ჭინჭრისაგან და კრეს-სალათის თესლებისაგან, ტუალეტის წყალი ანწლის ახლადშემოხდილი ქერქისა და ურთხელის ნაზი ყლორტებისაგან...

მართალია, მიღებული გამონახადი სურნელის მხრივ ვერაფრით მოგაგონებდნენ პირველად მასალას, მაგრამ მაინც, გარკვეულწილად, ინტერესმოკლებულნი არ იყვნენ შემდგომი გადამუშავებისთვის. მერე აღმოაჩინა ნივთიერებები, რომელთათვის ეს მეთოდი სრულიად მიუღებელი იყო: მაგალითად, სცადა მინის სუნის დისტილირება — გლუვი მინის გრილ-თიხოვანი სუნის, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი სრულებით ვერ აღიქვამს. დაამტვრია ფანჯრის მინა ჯერ დიდრონ ნატეხებად, მერე ნამსხვრევებად და ბოლოს დაფხვნილ მდგომარეობაშიც გამოსცადა, ოღონდ სრულიად უშედეგოდ! სცადა გამოეხადა თითბერი, ფაიფური, ტყავი, ხორბალი და ხრეში; უბრალო მიწა, სისხლი და ხე, ახალი თევზი... საკუთარი თმაც კი. ბოლოს წყალიც გამოხადა — სენის წყალი, რადგან საჭიროდ მიაჩნდა მისი განსაკუთრებული სუნის შენახვა; ეგონა, გამოსახდელი აპარატის დახმარებით შესძლებდა ამ ნივთიერებებისათვის გამოეცალა მათი სული, როგორც აცლიდა ფურისულას, ლავანდს თუ ზირას ნაყოფს. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ გამოხდა სხვა არა არის რა, თუ არა ნივთიერებათა დაშლა აქროლად და მყარ შემადგენლებად? ხოლო იმ სუბსტანციებისთვის, რომელთაც ეთერული ზეთები არ გააჩნიათ, გამოხდის ეს მეთოდი, რაღა თქმა უნდა, სრული უაზრობაა. თანამედროვე ადამიანისათვის, ვისაც ქიმია თუნდაც სკოლაში მაინც უსწავლია, ეს იმთავითვე იქნებოდა გასაგები, მაგრამ გრენუი ამ აზრამდე უზარმაზარი ძალისხმევის, იმედის გადამწურავი ცდების გრძელი რიგის გადავლით მივიდა: თვეობით, მთელი ღამეების განმავლობაში იჯდა სპილენძის ქვაბთან და ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობდა სრულიად ახალ სურნელთა გამოვლენასა და გამოყოფას – ანუ იმ არომებისა, რომლებიც, დისტილირებული სახით, ბუნებაში აროდეს არსებულან. ოღონდაც ყველაფერ ამისაგან სულ რამოდენიმე, ისიც შესაბრალისი ხარისხის მცენარეული ზეთის გარდა, არაფერი გამოვიდა... საკუთარი წარმოსახვის უღრმესი, უმდიდრესი ჭიდან მან ვერცერთი წვეთი ესენცია ვერ ამოიღო. ყოველივედან, რაც მის ფანტასტიურ ყნოსვას ეზმანებოდა, მან ვერცერთი სურნელის მატერიალიზება ვერ მოახერხა.

და როცა შეიგნო რა მარცხიც განიცადა, ისე დაავადდა, ერთი პირობა კინაღამ ფეხებიც გაჭიმა.

20.

ჯერ ძლიერი სიცხეები დაეწყო და ერთხანობა, ოფლდენაც დიდი ჰქონდა, მაგრამ მერე კანის ფორებმა უმტყუნა, ნასიცხი შეუგუბდა და მთელს ტანზე ჩირქოვანი ნახეთქები გაუჩნდა; ალაგ-ალაგ ნამდვილი ფურუნკულები გამოებერა, კრატერებივით რომ გადაიხსნებოდნენ ხოლმე, და საიდანაც ლავასავით მოედინებოდა სისხლნარევი ჩირქი და ამაზრზენი, თეთრ-მოყვითალო ლიმფა. სულ მალე გრენუი წამებულს დაემსგავსა, თითქოსდა შიგან ქვებით განტვინულსა და ათობით ჩირქმდენი იარით დამდუღრულს.

ბალდინი, რა თქმა უნდა, ფრიად შეშფოთებული გახლდათ. არაფრად აწყობდა ამგვარი შეგირდის დაკარგვა – მითუმეტეს ახლა, როცა საქმის გაფართოებასა და ვაჭრობის არა მარტო ქალაქს გარეთ, არამედ სამეფოს საზღვრების მიღმა გაშლასაც კი აპირებდა. ისიც სათქმელია, შორეული პროვინციებიდან თუ მთლად უცხოეთიდან, და ასევე, სამეფო კართან დაახლოებულ პირთაგან სულ მეტი და მეტი შეკვეთები მოდიოდა იმ ახალმოდურ ნელსაცხებლებზე, პარიზელებს რომ ჭკუიდან შლიდა. ბალდინის, ამ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, სენ-ანტუანის გარეუბანში ფილიალის დაარსების იდეა უხიცინებდა – ნამდვილი პატარა მანუფაქტურის, საიდანაც ყველაზე გასავლიანი ნელსურნელებანი, ასე ვთქვათ, en gros* შეზავებულნი, მშვენიერ პატარა ფლაკონებში ჩამოსხმულნი და მშვენიერი პატარა გოგონების მიერ ლამაზად შეფუთულნი, ჰოლანდიას, ინგლისსა თუ გერმანიის იმპერიაში დაიგზავნებოდა. მართალია, მსგავსი წამოწყება არცთუ მთლად კანონიერი იქნებოდა პარიზში დაფუძნებულ პარფიუმერისთვის, მაგრამ ამ თავისი დახვეწილი სუნამოების წყალობით მას ხომ, ბოლო ხანებში, ძლიერი მფარველები გამოუჩნდნენ... არა მარტო მისი აღმატებულება ინტენდანტი – ისეთი გავლენიანი პიროვნებებიც, როგორიც პარიზის საბაჟოს ზედამხედველი, ანდა სულაც, სამეფოს ფინანსური კაბინეტის წევრი, ეკონომიკურად აღმავალი საწარმოების ყოველმხრივ წამქეზებელი და მხარდამჭერი ბ-ნი ფეიდო დე ბრუ... ეს უკანასკნელი სამეფო პრივილეგიის მინიჭებასაც კი ჰპირდებოდა ნართაულად – საუკეთესო რამ, რაზედაც კი შეიძლება მეწარმე კაცმა იოცნებო: საშუალება გეძლევა, გვერდი აუარო ყველა სახელმწიფო თუ შიდა ამქრული წინააღმდეგობების, რაც საქმის გართულებისა და ათასგვარი სანერვიულოს თავიდან აცილებას ნიშნავს და მყარ, ვინძლო სამარადჟამო კეთილდღეობასაც კი მოასწავებს!

და კიდევ ერთ გეგმას ელოლიავებოდა ბალდინი: ეს უკვე თავისებური ანტიპოდი იყო საწარმოს გახსნის იდეისა სენ-ანტუანის გარეუბანში – არც მთლად მდაბიორთათვის განკუთვნილი, მაგრამ მაინც თვითოეულისა და ნებისმიერისათვის ხელმისაწვდომი...

და ერთიც კიდევ – სურდა ექსკლუზიური, პერსონალური სუნამოები შეექმნა მაღალი და უმაღლესი რანგის რჩეულ მომხმარებელთათვის: ისეთი სუ-

* ერთიანად, ბითუმად (ფრანგ.)

ნამოების, თარგით შეკერილი ტანისამოსივით მხოლოდ ერთი პიროვნებისთვის რომ იქნებოდა განკუთვნილი; მხოლოდ ამ პიროვნებას ექნებოდა უფლება ესარგებლა ამ სუნამოთი, თავის სახელი მიენიჭებინა მისთვის. წარმოდგენაში ეხატებოდა სუნამოები: „მარკიზ დე სერნეი“, „მარშალი დე ვიიარი“, „დუკა დ'ეგიიონი“... ეზმანებოდა სუნამო „მარკიზა დე პომპადური“ და ასევე, თქვენ წარმოიდგინეთ, „მისი უდიდებულესობა მეფე-ხელმწიფე“ – დახვეწილ, აქატის ქვის დაწახნაგებულ ფლაკონში, ჭედური ოქროთი მოპირკეთებულსა და ფსკერის შიდა ზედაპირზე ამოტვიფრული სადა წარწერით: „ჯუზეპე ბალდინი. მენელსაცხებლე“. ხელმწიფისა და მისი სახელი — ერთსადაიმავე საგანზე... აი, ასეთ მწვერვალებს მოედო ბალდინის ფანტაზია! გრენუი კი დაავადდა. ეს ოხერი გრიმალი კიდე – ღმერთმა აცხონოს მის სული – ხომ ფიცულობდა და იღმერთებოდა, ბიჭი არასოდეს ავადმყოფობს, მისთვის ყველა სენი იოლია, შავი ჭირიც ვერას ავნებსო... ახლა, რომ აიღოს და მოკვდეს?! საშინელებაა! ოცნება ოცნებად დარჩება – მანუფაქტურაზე, მშვენიერ პატარა გოგონებზე, პრივილეგიებზე, სამეფო სუნამოზე...

ბალდინიმ გადაწყვიტა, ყოველი ღონე ეხმარა მოწაფის ძვირფასი სიცოცხლის გადასარჩენად. ბრძანება გასცა, გრენუი მაღლა აეყვანათ და სუფთა ლოგინში ჩაეწვინათ; უბრძანა, საწოლზე დამასტის თეთრეული გადაეფარებინათ, პირადად გამოიღო ხელი ვიწრო ტახტის ზედა სართულზე ატანაში, მიუხედავად იმისა, რომ გული ერეოდა ბებერების, ჩირქოვანი იარებისა და ძირმაგარების შემხედვარეს. ცოლი აიძულა, ღვინოში დამბალი წიწილის ბულიონი მოემზადებინა ავადმყოფისათვის. იმ უბნის საუკეთესო ექიმიც მიიწვია – ვინმე პროკოფი, რომელიც მხოლოდ მაშინ თანხმდებოდა ავადმყოფის მონახულებას, თუ ფულს – ოც ფრანკს! – წინასწარ უხდიდნენ.

ექიმი მოვიდა, გრძელი, ცვილისფერი თითებით ზეწარი გადასწია, მხოლოდ თვალი შეავლო გრენუის სხეულს, რომელიც მართლა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ასი ტყვია ერთად დაახალესო, და ისე დასტოვა ოთახი, არც კი გაუხსნია ჩანთა, მუდმივად თან რომ დაათრევდა კუდში მიმყოლი მისი თანაშემწე. სრულიად ეჭვმიუტანელი შემთხვევაა – განუცხადა მან ბალდინის. ლაპარაკია შავი ყვავილის ათაშანგურ სახესხვაობაზე, in duo* ჩირქოვან წითელასთან, stadio ultimo.** მკურნალობა უსარგებლოა თუნდაც იმიტომ, რომ შეუძლებელია წესისამებრ სისხლის გამოშვება; გამწოვი მილი არც გაჩერდება ამ ხრწნად სხეულში, რომელიც გვამს უფრო წააგავს, ვიდრე ცოცხალ ორგანიზმს და მიუხედავად იმისა, რომ ამ ავადმყოფობისთვის დამახასიათებელი შავი ჭირის სუნი ჯერ არ იგრძნობა – რაც თავისთავად საოცარია და, მეცნიერული თვალსაზრისით, გარკვეულად კურიოზულიც – ეჭვი არაა, უახლოეს ორმოცდარვა საათში დაავადებას ლეტალური შედეგი ექნება. ეს ისევე უეჭვოა, როგორც ის, რომ მას ექიმი პროკოფი ჰქვია. შემდეგ ექიმმა დიაგნოზის დასმითვის კიდევ მოითხოვა ჰონორარი, ისევ ოცი ფრანკი, მათგან ხუთის დაბრუნებას დაპირდა იმ შემთხვევაში, თუ გვამს მის განკარგულებაში გადასცემდნენ — კლასიკური სიმპტომაციის დემონსტრირე-

---

* დუეტში, წყვილად (ვულგ. ლათ.)

** ბოლო სტადია

ბის მიზნით – და მოვალეობააღსრულებულსახიანი ესკულაპი ღირსეული თავის დაკვრით დაემშვიდობა ვაჭარ-მენელსაცხებლეს.

გიჟს დაემგვანა ბალდინი. უაზროდ მოთქვამდა სასოწარკვეთილი, კვნესოდა და თითებს იჭამდა, თავის სვე-ბედზე გულარძნილი. უმნიშვნელოვანეს, შეიძლება ითქვას, საეტაპო წარმატების მთელი იმედები წყალში ჩაეყარა... არადა, სულ აგერ, ხელის გაწვდენაზე იყო იღბალი! თავის დროზე მას პელისიემ და მეტისმეტად ლიბერალმა ამქართა საძმომ უშალა ხელი; ახლა კი ამ ბიჭმა, ახალ-ახალ სურნელთა ამ უძირო ქვევრმა, ამ უსახლკარო ნაბიჭვარმა, მისივე წონა ოქროშიც რომ არ გაიცვლება, მოახერხა — ზუსტად ახლა, როცა ასეთი პერსპექტივები გაჩნდა – ხელი გამოეკრა რაღაც ყვავილოვანი ათაშანგისა და ჩირქოვანი წითელასათვის, და ისიც როგორაო? – *ინ სტადიო ულტიმო*! რატომ ორი წლის შემდეგ არა? ან სულ ერთი წლის შემდეგ მაინც? იმ დრომდე ხომ შეიძლებოდა მისი ძირისძირამდე ამოხაპვა, ვერცხლის მაღაროსავით გამოთხრა, ოქროს ვირივით... მერეღა მომკვდარიყო, წყნარად და მშვიდად. გეგო-ნოს! ის ახლა კვდება, აგერ, ორმოცდარვა საათში ჩაძაღლდებაო!

ერთი პირი ისიც გაიფიქრა – მდინარის გაღმა, ნოტრ-დამს გადასულიყო, ელოცა, სანთელი დაენთო და ღვთისმშობლისათვის გრენუის გამოჯანმრთელება ეთხოვა, მაგრამ მერე უარყო ეს აზრი, ვინაიდან დრო მოჭრით ჰქონდა. მოარბებინა ქაღალდი, მელანი, მოიმიზეზა – თავად ვიმორიგეევებო – და ცოლი ავადმყოფის ოთახიდან გაისტუმრა. სკამზე ჩამოჯდა საწოლთან, მუხლებზე დასტა ქაღალდები დაიწყო და უკვე მელანში ჩაწობილი, მზა კალმით ხელში შეეცადა გრენუი პარფიუმერული აღსარებისკენ მიედრიკა. ნუ სდუმს, ღმერთმანი, ნუ ჩაიტანს საფლავში ამ განძს, საკუთარ თავში რომ დაატარებს! ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის ამ უკანასკნელ საათს ნუ წაიწყმიდავს ახალი ცოდვით – ანდერძივით უნდა გადასცეს ცოდნა ღირსეულს, რათა შთამომავლობას არ წაართვას ეს დიდებული არომატები! იგი, ბალდინი, საუკეთესოდ წარმართავს ამ ანდერძის აღსრულებას, ამაღლებულ სურნელთა ფორმულების ამ ზედწერილ ფიცარს! მსოფლიოს აზიარებს! ხოლო თავად გრენუის სახელს – უკვდავყოფს, და უკვდავყოფს სამარადისოდ! ყველა წმინდანს ფიცავს, მის სუნამოთაგან საუკეთესო თავად ხელმწიფის ფერხთით აღმოჩნდება – ჭედური ოქროთი მოსევადებული აგათის ფლაკონი, ზედ ამოტვიფრული მიძღვნით: „პარიზელი მენელსაცხებლის, ჟანბატისტ გრენუისაგან“... ასე ლაპარაკობდა, უფრო სწორედ, ეჩურჩულებოდა ბალდინი გრენუის ყურს, სულმოუთქმელად ეფიცებოდა, ევედრებოდა, ამუნათებდა და ეპირფერებოდა.

ოღონდ ამაო იყო ყველაფერი ეს. არაფერი ამოსდიოდა გრენუის, მოთეთრო ლორწოსა და სისხლნარევი ჩირქის გარდა. ჩუმად იწვა დამასტის ზეწარზე, ამ საზიზღარ სითხეს ადენდა და არა თავის განძს, არა იმ ფარულ ცოდნას. არა ფორმულა არ დასცდენია, არცა რეცეპტი. ბალდინი მზად იყო მოეხრჩო, მზად იყო მისი უძლური სხეულიდან ამოეგლიჯა ძვირფასი საიდუმლო – იოტისოდენა იმედი მაინც რომ ჰქონოდა... ან მთლად ასე ბირდაბირ წინააღმდეგობაში არ ყოფილიყო მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვრულის მცნებასთან!

და ასე, მთელი ღამის განმავლობაში, ენას უჩლექდა და ბულბულივით უგალობდა ბალდინი. გულზიდვის მომგვრელ ზიზღს არ ეპუებოდა და ფუს-ფუსებდა ცოცხალ-მკვდარი შეგირდის გარეშემო. სველ ტილოებს უფენდა ოფლით დაცვარულ შუბლზე და საპნით გაპოხილს – მფეთქავ იარებზე; კოვზით ასმევდა ღვინოს, რათა ავადმყოფს ენა გაექანებინა – სულ ამაოდ! განთიადისას ბალდინი მოტყდა. ოთახის კუთხეში, სავარძელში მიესვენა და თავის უილაჯობას მოსთქვამდა. თვალმოუშორებლად შეჰურებდა საწოლს, სადაც კვდებოდა გრენუის პატარა სხეული, რომლის არც გადარჩენა შეეძლო და არც გაძარცვა – კვდომის პროცესის ცქერაღა შეეძლო მხოლოდ. თავს იმ კაპიტანივით გრძნობდა, რომელსაც თვალწინ ეღუპება გემი და მთელი მისი სიმდიდრეც ზღვის უფსკრულში მიაქვს...

უეცრად მომაკვდავმა ტუჩები განახვნო და ჩუმი, ოღონდ მტკიცე, მკაფიო ხმით იკითხა:

– ნუთუ, მეტრ, გამოწურვისა და გამოხდის გარდა, სხვა არა საშუალება არაა სურნელის მისაღებად?

ბალდინიმ იაზრა, ამ სიტყვებმა მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში, ან სულაც მიღმიერ სამყაროში გაიჟღერაო და მექანიკურად უპასუხა:

– კი, არის, როგორ არა...

– მაგალითად? – ისევ გაიხმიანა კითხვამ და ამჯერად ბალდინიმ გრენუის ტუჩების მოძრაობას შეასწრო თვალი. „აი, მორჩა – გაიფიქრა – აგონია თუ ეწყება უკვე...“ წამოდგა, საწოლთან მივიდა და მომაკვდავისაკენ დაიხარა. გრენუი თვალახელილი იწვა და ისეთივე დადარაჯებული მზერით შე-ჰურებდა, როგორც იმ პირველ შეხვედრისას.

– რომლები? – ისევ იკითხა გრენუიმ.

ბალდინი გამოფხიზლდა, შეეცადა მოწოლილი ბოღმაც ჩაეცხრო – ბოლოსდაბოლოს, ხომ არ შეიძლება მომაკვდავს მის უკანასკნელ თხოვნაზე უთხრა უარი – და მშვიდად უპასუხა: სამი ასეთი ხერხია, შვილო ჩემო – enfleurage a chaud, enfleurage a froid, enfleurage a l'huile* – ესენი გამოხდაზე გაცილებით უკეთესია და მათ უნაზესი სურნელის მისაღებად იყენებენ...

– სად?

– სამხრეთში, – იყო პასუხი, – ქალაქი გრასი საერთოდ მაგითაა ცნო-ბილი.

– კარგით, – უპასუხა გრენუიმ.

და თვალები დახუჭა. ბალდინი ნელ-ნელა წამოდგა, მოხიკა ცარიელი საწ-ერი ფურცლები და სანთელი ჩააქრო. გარეთ უკვე ალიონი მომდგარიყო.

---

* ცხელი, ცივი და ზეთოვანი ანფლერაჟი (ფრ.)

მღვდლის გამოძახება იქნება საჭიროო – გაიფიქრა, უნებურად პირჯვარი გადაიწერა და ოთახიდან გავიდა.

გრენუი, ოღონდაც, არ მომკვდარა. მხოლოდ ღრმად ეძინა, ძალიან ღრმად, უსიზმროდ და უშფოთველად. იარები თანდათანობით შეუშრა სხეულზე, ჩირქოვანმა კრატერებმა აპკის გადაკვრა იწყეს, მუწუკებმა – პირის შეკვრა. ერთი კვირის თავზე სრულიად საღსალამათი ჩავიდა ქვევით.

21.

ახლა ის სამხრეთისკენ გამგზავრებაზე ოცნებობდა – იქით, სადაც შესაძლებელი იქნებოდა იმ ახალი ტექნიკის შესწავლა, რომელზედაც მოხუცი უყვებოდა; ოღონდ ამის ხმამაღლა თქმაც კი არ ღირდა: ის ჯერ მხოლოდ მოწაფე იყო – ანუ, არარაობა. პირდაპირ რომ გითხრა, – ეუბნებოდა ბალდინი, რომელსაც მისი მკვდრეთით აღდგომით გამოწვეული სიხარულის შეტევა უკვე გადაეტანა, – არარაობაზე ნაკლებიც ხარ, ვინაიდან წესიერ მოწაფეს ყოვლად უზადო წარმოშობა უნდა ჰქონდეს, კანონიერ ქორწინებაში მყოფი მშობლები და ამქარში ჩენილი ნათესავ-ახლობლებიც ყავდეს, ოსტატთან წესითა და რიგით გააფორმოს ხელშეკრულება სწავლების თაობაზე, შენ კი არაფერი მსგავსი არ გაგაჩნია... თუ იგი, ბალდინი, ერთ მშვენიერ დღეს მაინც დათანხმდება დაეხმაროს მას შეგირდად გახდომაში, ამას მხოლოდ მისი გარკვეული ნიჭიერების გამოისობით გააკეთებს და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გრენუი შემდგომაც სანაქებოდ მოიქცევა. თუმცა იგი, ბალდინი, ბევრჯერაც გატანჯულა ამ თავისი უსაზღვრო გულკეთილობის გამო, არადა ხასიათის შეცვლის ძალაც რომ არ შესწევს!..

რაღა თქმა უნდა, მის სიკეთეს, დაპირების შესასრულებლად, საკმაო ხანი დასჭირდა — კერძოდ, მთელი სამი წელიწადი. ამ დროის განმავლობაში ბალდინიმ საკუთარი ოცნებების განხორციელებაც შესძლო: დააარსა მანუფაქტურა სენ-ანტუანის გარეუბანში, თავისი ბრწყინვალე სუნამოებით სამეფო კარის პარფიუმერის წოდებასაც გამოჰკრა ხელი და სამეფო პრივილეგიებიც მიითვალა. მისი ნატიფი ნელსაცხებლები თუ სუნამოები სადღა არ საღდებოდა: პეტერბურგში, პალერმოში, კოპენჰაგენში... მუშკზე დამზადებული ერთი მათგანი დატაცებაზე იყო კონსტანტინოპოლში, იქ კი, ღმერთია მოწმე, საკუთარი ნაწარმი არ აკლდათ. ლონდონის სიტის ელეგანტურ კანტორებში მისი სუნამოების სურნელი ისევე მტკიცედ იდგა, როგორც პარმის სასახლეში; ვარშავის ციხე-დარბაზი ისევე გაეჟღინთათ, როგორც გრაფ ფონ-უნდ-ცუ ლიპე-დეტმოლდის კარ-მიდამო და საერთოდ, სამოცდაათი წლის ბალდინი, უკვე შერიგებული იმ აზრს, რომ სიღატაკეში აღმოხდებოდა სული სადღაც იქ, მესინას ახლო, ახლა, სიბერეში, ევროპის უცნობილესი მენელსაცხებლისა და პარიზში უმდიდრესი ბურჟუას მდგომარეობას ეწია.

1756 წლის დასაწყისში – ამ დროისათვის ძველი სახლის გვერდით კიდევ ერთი სახლი მიიშენა, რომელიც მხოლოდ საცხოვრებლად იყო გაწყობილი, რადგან ძველი სხვენამდე გახლდათ გამოვსებული ათასგვარი არომატული ნივთიერებებითა და სუნელებით – მან გრენუის აუწყა, რომ თანახმაა გაუშვას იგი, ოღონდ სამი წინაპირობით: ერთი რომ, მას უფლება არ ჰქონდა დაემზადებინა ბალდინის ჭერქვეშ შექმნილ სუნამოთაგან თუნდაც რომელიმე და არც მათი რეცეპტის გადაცემა შეეძლო მესამე პირისთვის; მეორე –უნდა დაეტოვებინა ქალაქი პარიზი და ბალდინის სიცოცხლეში ფეხიც არ შემოედგა იქ; და მესამე – სრული დუმილი უნდა დაეცვა პირველ ორ პირობაზე. დაე, ყველა წმინდანი, მშობელი დედის საბრალო სული და საკუთარი ღირსება დაიფიცოს, რომ...

გრენუიმ, რომელსაც არც ღირსება გააჩნდა, არც წმინდანებისა სწამდა რამე და არც საკუთარი დედის საბრალო სულისა, უყოყმანოდ დაიფიცა სამივე. ყველაფერსაც დაიფიცავდა, სიტყვაშეუბრუნებლად მიიღებდა ბალდინის ყველა პირობას, რადგან უსიკვდილოდ სჭირდებოდა შეგირდის მოწმობა – ეს შესაძლებლობას მისცემდა შეუმჩნევლად ეცხოვრა, შეუფერხებლად ემოგზაურა და სამუშაოზეც მოწყობილიყო. დანარჩენს მისთვის განა რა მნიშვნელობა ჰქონდა? პარიზში არ დაბრუნდეს? რაში სჭირდება ეს პარიზი! ქალაქი მას უკვე უკანასკნელ კუთხამდე აქვს მოყნოსილი, იგი მუდამ მასთანაა, ყველა მისი სურნელითა თუ სიმყრალით... არ დაამზადოს ბალდინის მოდური სუნამოები? ვინმეს არ გადასცეს ფორმულები? თითქოსდა ათასობით ახლის დამზადება არ შეეძლოს! უკეთესებისაც კი – ოღონდ მოინდომოს! მაგრამ რომ არ უნდა? რაში სჭირდება კონკურენცია გაუწიოს ბალდინის, ან ვინ გინდა სხვა ამ ბურჟუა პარფიუმერებს! სულაც არ აპირებს ფული იშოვოს თავისი ხელოვნებით. საცხოვრებელი ფულის გამომუშავებაც კი არ უნდოდა, თუკი სხვა გზით მოახერხებდა რამეს... გრენუის მხოლოდ თავისი შინაგანი „მე“ სურდა გამოეხატა, საკუთარი თვითობა, რომელსაც უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა, ვიდრე ყველაფერ სხვას, რაც კი გარე სამყაროს შეეძლო მიენიჭებინა მისთვის. ამიტომაც, ბალდინის პირობები არაფრად უღირდა.

გაზაფხულზე, მაისის ადრიანი დილით გაუდგა გზას. ბალდინისაგან მიიღო პატარა ზურგჩანთა, ერთი ხელი პერანგი, წყვილი წინდა, ძეხვის დიდი ხვეულა, ცხენის არალი ღამით შიგ გამოსახვევად და ფულად ოცდახუთი ფრანკი. "ეს დაწესებულზე გაცილებით მეტია" – უთხრა ბალდინიმ. გრენუი ხომ განათლებას ეზიარა მასთან, რისთვისაც გროშიც არ გადაუხდია. ამქრული წესებით ორი ფრანკის მიცემაა გათვალისწინებული საგზაოდ და მეტი არაფერი. მაგრამ მას, ბალდინის, საკუთარი სიკეთე ვეღარ მოუთოკავს. წარმატებას უსურვებს მომავალში და კიდევ ერთხელ მოუწოდებს, არ დაივიწყოს ფიცი! – ამ სიტყვებით მიაცილა უკანა კარამდე და ქვეყნის ოთხივ კუთხით დაულოცა გზა.

ხელი არ გაუწვდია მისთვის. საერთოდ, მუდამ ერიდებოდა მასთან მიკარებას. მუდამ ზიზღისმაგვარი მოწიწების გრძნობა ჰქონდა მის მიმართ, თითქოს უფრთხოდა რაიმე არ გადასდებოდა. თითქოსდა ეშინოდა თავი არ წაებილწა.

ამიტომაც დაემშვიდობა სწრაფად და მოკლედ. გრენუიმ თავი დაიქნია და შებრუნდა, და გაეცალა. ქუჩაში სულიერის ჭაჭანება არ იყო.

22.

ბალდინი გაჰყურებდა გრენუის, ვიდრე იგი კუნძულისაკენ მიჩლახუნობდა ხიდზე. პატარა, მხრებში მოხრილი, ზურგჩანთამოკიდებული – მიხრწნილ კუზიან ბებერს წააგავდა. მდინარის გაღმა ნაპირზე, პარლამენტის შენობასთან, ქუჩის შესახვევში, ბალდინიმ იგი მხედველობიდან დაკარგა და უღრმესი შვებაც იგრძნო.

არასოდეს მოწონდა ეს ყმაწვილი, არასოდეს! ახლა ხომ შეეძლო საკუთარ თავს მაინც გამოსტეხოდა ამაში. მთელი იმ დროის მანძილზე, რაც თავის ჭერქვეშ ითმენდა და თან, მარტივად რომ ვთქვათ, ძარცვავდა, სულიერი წონასწორობა მუდამ დარღვეული ჰქონდა. ბალდინის ახლა უმწიკვლო ზნეობის ადამიანად ესახებოდა თავი, ვინც სჩადის რაღაც აკრძალულს, რომელიღაც ბინძურ თამაშს ეწევა აკრძალული საშუალებებით, სადაც მხილების რისკი უმნიშვნელოა, ხოლო წარმატების საწინდარი – უზარმაზარი, მაგრამ ასევე ბევრია სანერვიულო და დიდია სინდისის ქენჯნა. და მართლაც, მთელი ამ წლების განმავლობაში დღეც არ ყოფილა, უსიამო განცდა არ ადევნებოდა – ასე თუ ისე, მას მაინც მოუწევს ზღოს ის ცოდვა, ამ ადამიანს რომ დაუკავშირდა. „ოღონდ ჩაიაროს, – შიშნეულად ლოცულობდა ისევ და ისევ, – ოღონდ კი საშუალება მომცეს ამ გარიგების შედეგებით ვისარგებლო და ბოლოს უზარმაზარი პროცენტების გადახდა არ მომიხდეს სარფიდან! ოღონდაც კი ყველაფერი კარგად დამთავრდეს! დიახ, ცუდად ვიქცევი, მაგრამ უფალი ამაზე თვალს დახუჭავს, რა თქმა უნდა და შემინდობს, რაღა თქმა უნდა, და... მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ხომ ხშირად მცდიდა – და ან რას მერჩოდა ნეტავი, ასე რომ სრულ სამართლიანობას გამოიჩენს, თუ ამჯერად მაინც შემიწყნარებს! თანაც რაშია ჩემი დანაშაული, თუ ეს საერთოდ დანაშაულია? უმეტესად იმაში, რომ ოდნავ დავარღვიე ამქრული წესი, ვიღაც უბირის ზეგარდმო ნიჭი გამოვიყენე და მისი წარმატებები ჩემს წარმატებებად გავასაღე... და განა ეს დანაშაულია? სხვები მთელი ცხოვრება იტყუებიან, მე კი ოდნავ თუ გადავუხვიე იმავე ამქრული ზნეობის კანონს და ისიც სულ რამდენიმე წლის განმავლობაში... და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამისთანა დაუჯერებელი შემთხვევა მომეცა. იქნებ ეს არც იყო შემთხვევითი — იქნება და თავად უფალმა მომიგზავნა სახლში ვიღაც მჩხიბავი, რათა იმ დამცირებისთვის დავეჯილდოვებინე, რაც პელისიესა და მისი დამქაშებისაგან მქონდა ნაწვნევი. ღვთის სამსჯავრო იქნებ სულაც პელისიეს ელის და არა მე! სრულიად და სავსებით შესაძლებელია! ან რითი შეეძლო უფალს პელისიეს დასჯა, თუ არა ჩემი აღზევებით? აქედან გამომდინარე, ჩემი ბედნიერება ღვთის ნააზრევის იარაღია და არათუ უფლება მაქვს, ვალდებულიც ვარ მივიღო ის როგორც ასეთი, ყოველგვარი ყალბი რიდისა და მონანიების გარეშე!“

ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად ფიქრობდა ამას ბალდინი. დილაობით, როდესაც ვიწრო კიბით დახლისაკენ ეშვებოდა, საღამოობით, როდესაც ზემოთ მიემართებოდა სალაროს შიგთავსით და შემდგომაც, როდესაც ოქროსა და ვერცხლის მძიმე მონეტებს ითვლიდა ზარდახშაში; ღამღამობით, ცოლის მხვრინავი ჩონჩხის გვერდით რომ იწვა და დაძინების ძალაც კი არ ედვა კარს მომდგარი ბედნიერების რიდით...

ოღონდაც ახლა უკვე ამ შავბნელ აზრებს ქარი წაიღებს. საზარელი სტუმარი გაემგზავრა და აღარასოდეს დაბრუნდება, ხოლო სიმდიდრე დარჩა და მომავალიც უზრუნველყოფილია. ბალდინიმ მკერდზე დაიდო ხელი და სერთუკის ნაჭრის ქვეშ პატარა წიგნაკი მოისინჯა. წიგნაკში ექვსასი ფორმულა იყო ჩაწერილი – გაცილებით მეტი იმაზე, რის გასაღებასაც მენელსაცხებლეთა რამდენიმე თაობა შეძლებდა. დღესაც რომ დაკარგოს ყველაფერი, ამ საოცარი წიგნაკის დახმარებით სულ რაღაც ერთი წლის თავზე ისევ გამდიდრდება. ჭეშმარიტად, განა რა შეიძლება ამაზე მეტი ითხოვო ღვთისგან?!

დილის მზე სხივებს ფენდა მეზობელი სახლების სახურავებს, ირეკლებოდა იქიდან და მის სახეს თბილ, მოყვითალო ნათელს ადებდა. ბალდინი ჯერ კიდევ იმ ქუჩას გაჰყურებდა, რომელიც სამხრეთით, პარლამენტის შენობისაკენ იყო გაჭიმული – და მადლიერების გრძნობა ავსებდა. გადაწყვიტა, დღესვე წავიდოდა სალოცავად მეორე ნაპირზე, ნოტრ-დამში. ოქროს მონეტას ჩააგდებს ეკლესიის ყულაბაში, სამ სანთელს დაუნთებს და მუხლმოყრილი, უფალს მადლს შესწირავს, ამოდენა ბედნიერება რომ არგუნა წილად და შურისგებისაგან კი დაიფარა.

მაგრამ მერე ისევ რაღაც ბრიყვულად შეეშალა ხელი. ნაშუადღევს, უკვე მზად რომ იყო ეკლესიაში წასასვლელად, ჭორი გავრცელდა ქალაქში, ინგლისმა ომი გამოუცხადა საფრანგეთსო. თავად ამ ხმებმა იგი არცთუ ძალიან ააღელვა, მაგრამ რადგანაც სწორედ იმ დღეებში სუნამოების მთელი პარტიის გაგზავნას აპირებდა ლონდონს, ეკლესიაში წასვლა მაინც გადასდო. ამის მაგივრად, ქალაქში გავიდა ამბის გასაგებად, იქიდან კი თავის მანუფაქტურაში, სენ-ანტუანის გარეუბანში, რათა ლონდონში საქონლის გაგზავნა დროებით შეეჩერებინა. ღამით, საწოლში, დაძინების წინ, გენიალური აზრი გაუჩნდა: ახალი სამყროს კოლონიებისათვის გამართულ მომავალ საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით მოდაში შემოეღო უახლესი სუნამო „კვებეკის სიამაყე“, მძაფრი ჰეროიკული სურნელით, რომლის კომერციული წარმატება – და ეჭვიც არ ეპარებოდა ამაში – სრულად აუნაზღაურებდა ინგლისთან ჩაშლილი შეთანხმების ზარალს. ამ ტკბილი-ნეტარი აზრებით გათანგული, მეტრ ბალდინი შვებით მიეყრდნო ბალიშს, სიამით შეიგრძნო ბალიშის ქვეშ ამოდებული ფორმულებიანი წიგნაკის სიმკვრივე და მიიძინა, რათა აღარასოდეს გამოღვიძებულიყო.

საქმე ისაა, რომ ღამით მცირე მასშტაბის ადგილობრივი კატასტროფა მოხდა, რომელმაც — რასაკვირველია, სათანადო დროის გასვლის შემდეგ — მეფეს საბაბი მისცა ბრძანება გაეცა, რათა პარიზის ყველა ხიდზე ჯერიჯერზე აეღოთ იქ მდგარი საცხოვრებელი შენობები: ყოველგვარი ხილული მიზეზების გარეშე ჩაიშალა ზარაფ-მეკერმეთა ხიდი – დასავლეთის მხრიდან

მესამე და მეოთხე ბურჯებს შორის. საოცრად სწრაფად ჩაშვავდა მდინარეში ორი სახლი, ისე რომ მაცხოვრებელთა გადარჩენის არავითარი შესაძლებლობა აღარ იყო. საბედნიეროდ, მხოლოდ ორი ადამიანი დაიღუპა, კერძოდ – ჯუზეპე ბალდინი და მისი მეუღლე ტერეზა. მსახურები ღამეს სახლში არ ათევდნენ – ზოგი საკვირაოდ დაითხოვეს, ზოგიც თვითნებურად იყო გასული. შენიემ, რომელიც მხოლოდ დილით, ოდნავ ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნდა შინ – უფრო ზუსტად, სურდა დაბრუნებულიყო, სახლი კი აღარ დახვდა – მძიმე ნერვული შოკი გადაიტანა. ოცდაათი წელი ელოლიავებოდა იმედს, რომ ბალდინი, რომელსაც არც შვილები ჰყავდა და არც ნათესავები, ანდერძს მის სასარგებლოდ შეადგენდა. და ყოველივე მეყვსეულად გაქრა – მთელი მემკვიდრეობა, სახლი, ფირმა, ნედლეული, სახელოსნო, თვითონ ბალდინი – და თავად ანდერძიც კი, რომელშიც, სავარაუდოა, უცილობლად შეტანილი იქნებოდა პუნქტი მანუფაქტურის საკუთრების შესახებ...

პოვნით ვერაფერი იპოვნეს. ვერც გვამები, ვერც ფულიანი ზარდახშა, ვერც წიგნაკი იმ ექვსასი ფორმულით. ერთადერთი, რაც ჯუზეპე ბალდინის, ევროპის წარჩინებულ მენელსაცხებლისაგან დარჩა – მუშკის, ძირას, ძმრის, ლავანდისა თუ ათასი სხვა ნივთიერების შერეული სურნელი იყო, რომელიც კიდევ მრავალი კვირის მანძილზე მიჰყვებოდა სენის დინებას, პარიზიდან ვიდრე ჰავრამდე.

კარი II

23.

გრენუი უკვე ორლეანის გზას ადგა, ჯუზეპე ბალდინის სახლი რომ ჩამოშვავდა; უკან ჩამოიტოვა დიდი ქალაქის ანაორთქლების არე და ყოველ ნაბიჯზე, რაც უფრო შორდებოდა პარიზს, ჰაერი სულ უფრო და უფრო სუფთა, კამკამა, გამჭვირვალე ხდებოდა. აღარც უწინდელივით გაჯერებული იყო და ყოველ ფეხის გადადგმაზე ასობით, ათასობით სხვადასხვა სუნის მიერ ურთიერთგანდევნაც შეწყდა. ის ცოტა კი, რაც დარჩა – შარაგზის მტვრის, მდელოების, ნიადაგის, მცენარეების, წყლის სუნი – გრძელი ჩრდილებივით იყო გაფენილი მიწაზე, ალაგ-ალაგ იბურცებოდა, ოდნავ ლივლივებდა და თითქმის არსად წყდებოდა ისე მკვეთრად, როგორც იქ, ქალაქის შუკებში.

გრენუი ხსნასავით აღიქვამდა ამ ბუნებრივ უბრალოებას. ყნოსვას ელამუნებოდა ეს უშფოთველი არომები. აღარ აძალებდა თავს, ყოველ ჩასუნთქვას დაკვირვებოდა, რათა რაიმე უსიამო, მოულოდნელი, მტრული არ ეკრა, ან

სულაც რაიმე საამური არ გამორჩენოდა. პირველად შეძლო ესუნთქა თითქმის თავისუფლად და დაძაბულად აღარ მოეყნოსა ყოველი კუთხე. „თითქმის“ ვთქვით, რადგან ჭეშმარიტად თავისუფლად, თავისებური ფილ-ტრაციის გარეშე, გრენუის ცხვირში ვერაფერი შეაღწევდა. მაშინაც კი, როცა არავითარი საბაბი ამისათვის არ არსებობდა, ინსტინქტური სიფრთხილე მაინც ფხიზლობდა მასში, მუდამ ძირისძირამდე განჩხრეკდა ხოლმე იმას, რაც გარე სამყაროდან მოდიოდა და რაც საკუთარი თავის შიგნით უნდა შეეშვა. ოღონდაც ეგაა, მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ამ შეზ-ღუდულობის მიუხედავად, რაც უფრო შორდებოდა პარიზს, მით უფრო უკეთ გრძნობდა თავს: სულ უფრო და უფრო იოლად სუნთქავდა, უფრო სწრაფად მიაბიჯებდა და ხანდახან წელშიც კი სწორდებოდა; ცდილობდა, გამართუ-ლად ევლო — მოკლედ, შორიდან ლამის ერთი ჩვეულებრივი შეგირდივით გამოიყურებოდა, ანუ როგორც სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი... ხალხისა-გან მოშორება მეტი თავისუფლების გრძნობას ანიჭებდა, პარიზში კი ხალხი უფრო მჭიდროდ ცხოვრობდა, ვიდრე დედამიწის ნებისმიერ სხვა ქალაქში: ექვსასი, შვიდასი ათასი კაცი მაინც დაფუთფუთებდა ქუჩებსა და მოედნებზე, სახლები სარდაფებიდან სხვენამდე იყო გამოტენილი, ნებისმიერი კუთხე-კუნჭული — ადამიანების ჯგროთი ამოვსებული და ნებისმიერ ქვას, მიწის ნებისმიერ ნაგლეჯს, ადამიანების სიმყრალე სდიოდა.

მხოლოდ ახლა, ნელ-ნელა რომ გასცილდა იქაურობას, გრენუი მიხვდა, ამ თვრამეტი წლის მანძილზე როგორ ხუთავდა, როგორ მძიმედ, ჭექა-ქუხილისწინა ჰაერივით აწვა ქალაქის ქოთი. აქამდე ეგონა, სამყარო საერ-თოდ ასეთია და მისგან თავის დაფარვაა საჭირო, საკუთარ თავში ჩაფლობა, გამოკეტვა, გვერდზე გადგომა; თურმე ეს სამყაროს ბრალი არ ყოფილა – ადამიანების ბრალი იყო. ახლა ეჩვენებოდა, რომ ასეთ სამყაროსთან — სამყაროსთან, სადაც სულიერი არ ჭაჭანებდა – სავსებით შესაძლო იყო შერიგება...

მოგზაურობის მესამე დღეს, გრენუი ქალაქ ორლეანის სუნთა არეში მოხ-ვდა. დიდი ქალაქის სიახლოვის რაიმე ნიშნების გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე მოყნოსა ადამიანის არსებობის კვალის გამძაფრება ჰაერში და ახლა გადაწყვიტა, ადრინდელი სურვილის საწინააღმდეგოდ, ორლეანისათვის გვერდი აევლო: არ სურდა, ასე ჩქარა მოსწყდომოდა სუნთქვის ახლახან შეძენილ თავისუფლებას, ისევ ჩაფლულიყო ადამიანების გარემოცვის ყროლში. დიდი წრე დაარტყა, შემოუარა ქალაქს, შატო-ნეფის შორიახლო გამოვიდა ლუარასთან და სოფელ სიულისთან გადალახა მდინარე. სიული მას ძეხვის სუნით შეეგება. გრენუიმ ერთი ხვეულა ძეხვი იყიდა, მდინარის კალაპოტს ზურგი აქცია და ქვეყნის სიღრმეში შეუხვია.

შემდგომ უკვე არა მხოლოდ ქალაქებს, სოფლებსაც გაურბოდა. სულ უფრო გამჭვირვალე, ადამიანებისაგან სულ უფრო უკარები ჰაერით მთვრალი. რომელიმე დასახლებას, ან ცალკე მყოფ მოსახლეს მხოლოდ იმისთვის თუ მიადგებოდა, სურსათის მორიგი მარაგი მიეღო, შეიძენდა პურს და ისევ ტყეში იკარგებოდა. რამდენიმე კვირის თავზე, სოფლებს შორის გზებზე კანტიკუნტად შემოყრილი მგზავრების სუნიც კი აღიზიანებდა. ვეღარ იტანდა ვერც გლეხების სუნს, მდელოებზე ლორთქო ბალახს რომ თიბავდნენ;

შიშნაკრავივით გაურბოდა ყოველ ცხვრის ფარას — არა ცხვრების გამო, არამედ რათა მეცხვარეების სუნს გასცლოდა. გრენუი განურჩევლად მიაბიჯებდა პირდაპირ ველებზე, ოღონდ დიდ წრეს არტყამდა, როგორც კი შეიყნოსავდა რეიტარების ესკადრონს სუნს – ცხენოსანისთვის რამდენიმე საათის სავალზე. სულაც არ ეშინოდა, სხვა შეგირდებისა და მაწანწალებივით, რომ საბუთებს შეუმოწმებდნენ და სამხედრო სამსახურში უკრავდნენ თავს – ისიც არ იცოდა, რომ ომიანობა იყო – უბრალოდ, მხედრების სუნი ეზიზღებოდა. ასე, თავისთავად და განსაკუთრებული მიზეზების გარეშე, მისი მიზანი – რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია გრასამდე, ნელი-ნელ გაფერმკრთალდა. ეს გეგმა, ისევე როგორც მისი სხვა მსგავსი გეგმები თუ სურვილები, ასე ვთქვათ, თავისუფლებაში განზავდა: გრენუი აღარც მიისწრაფვოდა საითმე – მხოლოდ შორს ადამიანებისაგან, და რაც შორს, მით უკეთესი...

ბოლო დროს მხოლოდ ღამღამობით იწყო გადაადგილება; დღისით ტყისპირში შეძვრებოდა ხოლმე, ბუჩქის ქვეშ ეძინა ან ლელიანში იმალებოდა, ყველაზე მიუდგომელ ადგილებში. მოიკუნტებოდა ცხოველივით, თავსა და ტანზე ცხენის არალს იფარებდა, პირს მიწისაკენ იზამდა და ცხვირს მოხრილ იდაყვში ჩაფლავდა ხოლმე, რათა არც ერთი, სულ ოდნავი უცხო სუნიც არ შეჭრილიყო მის ზმანებაში... დაისის ჟამს იღვიძებდა, მოყნოსავდა ყველაფერს გარშემო და მხოლოდ როცა დარწმუნდებოდა, ყველაზე მუყაითმა გლეხმაც დატოვა მინდვრები და ბოლო თავზეხელაღებულმა მოგზაურმაცო – ანუ სიბნელის დადგომასთან ერთად ჭერიცა და საყუდარიც ორივემ გამონახაო, გამოძვრებოდა საკუთარი თავშესაფრიდან და სვლას აგრძელებდა. გზის გაგნებისთვის სინათლე მაინც არ სჭირდებოდა: მაშინაც კი, როცა დღისით-მზისით მიალაჯებდა, თვალები ხშირად მილულული ჰქონდა, საათობით, და ყნოსვასღა იყო ხოლმე მინდობილი. ფერადოვანი ლანდშაფტი, სანახების სიმკვეთრე თვალს სჭრიდა. მთვარის სინათლე უფრო მოსწონდა – უფერული იყო და მხოლოდ მკრთალად აჩენდა არემარეს მნათობი თალხ ფერს აკრავდა დედამიწას და მთელი ღამით ხუთავდა სიცოცხლეს: თითქოსდა თუჯით ჩამოსხმული სამყარო, მისივე სულის მსგავსი, სადაც არა იძროდა რა ქარის გარდა, ჩრდილივით რომ დაეცემოდა ხოლმე ფერფლისფრ ტყეს, და სადაც მხოლოდ ბუნების ათიათასგვარი სურნელი იდგა – ერთადერთი სამყარო, მისივე სულიერი სამყაროს ანარეკლი...

და ასე მიიწევდა იგი სამხრეთის მიმართულებით. დაახლოებით მაგ მიმართულებით, რადგან არა ჩვეულებრივი მაგნიტური, არამედ საკუთარი ყნოსვის კომპასით ვიდოდა და ეს საშუალებას აძლევდა გვერდი აევლო ყოველი ქალაქის, სოფლის, თუ დაბა-დასახლებისათვის. კვირეები გავიდა ისე, სულიერს არ გადაჰყრია არსად. ლამის ირწმუნა კიდეც, სრულიად მარტო იყო ამ ჩამუქებულ, მთვარის ცივი ათინათით მოფენილ სამყაროში, მის ამ უზუსტეს ხელსაწყოს რომ არ მიენიშნებინა რაღაც უკეთესის არსებობაზე!

ადამიანები ღამითაც ხომ არსებობდნენ, ოღონდაც თავ-თავიანთ მოხერხებულ სოროებში იმალებოდნენ ვირთხებივით და ეძინათ. გარემო არ იწმინდებოდა მათგან, ვინაიდან ისინი ძილშიაც გამოსცემდნენ სუნს, მათი სამყოფელის ღია ფანჯრებიდან და ხვრელებიდან გარეთ რომ ჟონავდა, და ერთის

შეხედვით, საკუთარ თავს მინდობილ დედა-ბუნებას წამლავდა; და რაც უფრო ეჩვეოდა გრენუი დაწმენდილ ჰაერს, მით უფრო აწვალებდა ადამიანის სუნი, რომელიც სრულიად მოულოდნელად, უეცრად შეერეოდა ხოლმე გარემოს, თხის სიმყრალესავით საზიზღარი და მწყემსების თავშესაფრის, მენახშირის ქოხისა თუ ყაჩაღების ქვაბულის არსებობას ამცნობდა... და გრენუიც მით უფრო მგრძნობიარედ რეაგირებდა ამ ცოცხალი ლეშის სუნზე, სულ უფრო და უფრო შორს ილტვოდა, და ასე მიჰყავდა საკუთარ ცხვირს ქვეყნის დასალიერზე, სულ უფრო აშორებდა ადამიანებს, სულ უფრო გამიზნულად მიაქანებდა უკიდურესი მარტოობის პოლუსისაკენ.

24.

და ეს პოლუსი, ანუ ამ ერთ ცალკე აღებულ სახელმწიფოში ადამიანებისაგან ყველაზე დაშორებული წერტილი — ოვერნის ცენტრალურ მასივში, კლერმონიდან დაახლოებით ხუთ მილზე, სადღაც ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე, ვულკან პლონ-დიუ-კანტალის მწვერვალი გახლდათ.

თავად ვულკანი უზარმაზარ კონუსს წარმოადგენდა, მონაცრისფროტყვიისფერი ქანებისაგან შედგებოდა და დაუსრულებელი, უღიმღამო ზეგნებით იყო გარშემორტყმული, რომლებიც მხოლოდ აქა-იქ იფარებოდა რუხი ხავსითა და ასევე რუხი, მიწაზე განრთხმული ბუჩქნარით. ზოგან კიდევ ყავისფერი კლდეები ამოჩრილიყო დამპალი კბილებივით, და ხანძრებით შერუჯული ხეები. ეს მხარე მზიან დღეებშიც კი ისე უსიცოცხლოდ და ნაღვლიანად გამოიყურებოდა, ამ ღატაკი პროვინციის ყველაზე გაღლეტილი მეცხვარეც კი არ გამორეკავდა აქეთ თავის ფარას; ხოლო ღამ-ღამობით, მთვარის ფერმკრთალ ნათელში, ეს ღვთისაგან მივიწყებული ადგილი მთლად საიქიოსავით გამოიყურებოდა. მთელს სამეფოში ძებნილმა ყაჩაღმა ლებრენმაც კი სევენაში გაჭრა არჩია – სადაც დაიჭირეს კიდეც და ოთხში ამოიღეს ცოცხლად – აქ, პლონ-დიუ-კანტალში დამალვას, სადაც მას, მართალია, ვერავინ იპოვიდა, მაგრამ სამუდამო მარტოობაში უცილობელი კვდომა კი მოელოდა და რაც, ეტყობა, უარეს უბედურებად მიაჩნდა.

გარშემო, მრავალი მილის მანძილზე, ვერც ადამიანს ნახავდით სადმე და ვერც სხვა რამ თბილსისხლიან ცხოველს – იქ მხოლოდ ღამურების გუნდი, ხოჭოები და გველგესლები სახლობდნენ, თავად მწვერვალზე კი ათწლეულობით არავინ ასულა.

სწორედ ამ მთას მიადგა გრენუი 1756 წლის აგვისტოს ღამეს. განთიადისას წვერზე ავიდა. ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს იყო მისი მოგზაურობის ბოლო; ჯერ კიდევ ეგონა, რომ ეს მხოლოდ ერთი მონაკვეთია უფრო სუფთა ჰაერისაკენ მიმავალ გზაზე. ჩიკორივით ტრიალებდა და ყნოსვით ეცნობოდა ამ ვულკანური წარმოშობის უდაბნოს სანახებს: აღმოსავლეთით, სადაც სენ-ფლიურის ფართო ზეგანი და მდინარე რიუს ჭაობიანი

ნაპირები გადაჭიმულიყო; ჩრდილოეთით, საიდანაც თავად მოვიდა, სადანაც მრავალი დღის განმავლობაში მოფოფხავდა კარსტულ ქედებზე; დასავლეთით – იქიდან დილის ნიავს მხოლოდ ქვისა და ხმელი ბალახის სუნი მოჰქონდა; და ბოლოს, სამხრეთით – ტრიუიერის ბნელ ხეობებამდე, საითაც, მრავალ მილზე, პლონ-დიუ-კანტალის განტოტებები იშლებოდა — ერთნაირი უკაცრიელობა მეფობდა ყველა მიმართულებით, და თუნდ ერთი ბიჯის წადგმა ერთ ან მეორე მხარეს, უკვე ადამიანებთან მიახლოებას ნიშნავდა. გრენუის კომპასის ისარმა აიწყვიტა თითქოს, წრეშიღა ტრიალებდა. აღარავითარი ორიენტირი არ არსებობდა: მან მიაღწია დასახულ სამანს, ოღონდ ხაფანგში კი მოხვდა.

როდესაც მზე ამოიწვერა, იმავე ადგილზე იდგა და ქარის მონაბერს ყნოსავდა: ცდილობდა, გაერკვია, საიდან შეიძლებოდა მოსწვდომოდა ადამიანის სუნი და ის მიმართულება, საითაც ასეთ შემთხვევაში უნდა გაქცეულიყო. თუ მანამდე მუდამ და ყველგან, ნაფლეთ-ნაფლეთ მაინც სწვდებოდა ხოლმე მის ყნოსვას ეს გამაცოფებელი სუნი, აქ, სადაც ახლა იდგა, სრულიად არაფერი იგრძნობოდა. სუნთა სრული აუმღვრევლობა – თუ შეიძლება, ასე ითქვას... გარშემო მხოლოდ უსულო ქვების, რუხი მცოცავი ბუჩქნარისა და ხმელი ბალახის წყნარი შრიალის მსგავსი, ერთფეროვანი სურნელი იდგა.

გვარიანი დრო დასჭირდა, ადამიანთა სუნის არმყოფობა რომ გაეაზრებინა. ერთხანობა, ამან დააბნია კიდეც: მისი უნდობლობა მისსავე შეგრძნებებს უწევდა წინააღმდეგობას. მერე, გამთენიისას, მხედველობა მოიხმო საშველად, მოათვალიერა ცისკიდური – ადამიანის არსებობის თუნდაც რაიმე კვალს ეძებდა – ქოხის სახურავს, ბუხრის კვამლს, ღობეს, ხიდს ან მთის კალთებზე შეფენილ ფარას. ხელიც მიიტანა ყურთან და ცდილობდა, გაერჩია ცელის ზრიალი, ანდა ძაღლის ყეფა, ან ბავშვის ტირილი. მთელი დღე იჯდა მწვერვალზე, თაკარა მზის ქვეშ და თუნდაც უმცირეს რამ ნიშანს ფუჭად ელოდა. მხოლოდ მზის ჩასვლისას დაუთმო მისმა უნდობლობამ რაღაც აღტკინების მსგავს აღფრთოვანებას: როგორც იქნა, მართლა გაეცალა საძულველ სიმყრალეს! მარტოდმარტოა — ერთადერთი სულიერი დედამიწაზე!

ზეიმობდა გრენუი – იმ ტანჯულივით, გემის დაღუპვის შემდეგ, ზღვაში მრავალკვირიანი ხეტიალის ბოლოს, შლეგივით რომ ესალმება პირველსავე დასახლებულ კუნძულს; გრენუი კი ახლა მარტოობის მთაზე დამკვიდრებას ზეიმობდა. ზურგჩანთა, ჩულო და საბიჯგელი მოისროლა, ფეხებს მიწაზე აბაკუნებდა და ხელებს ცისაკენ აპყრობდა, როკავდა ველურად, ოთხივ მხრით გაიძახოდა თავის სახელს, თითებს მუშტავდა — ფეხქვეშ გადაშლილ ქვეყანას ემუქრებოდა და ჩამავალ მზეს და თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა გვიან ღამემდე...

25.

შემდგომი რამდენიმე დღე იმას დაახარჯა, საცხოვრებლად მოწყობილიყო ამ მთაზე – მისთვის ცხადი გახდა, ამ საოცარ ადგილს კიდევ კარგა ხანს არ დატოვებდა. დასაწყისისთვის ისევ ყნოსვა-ყნოსვით დაუწყო წყალს ძებნა და იპოვა კიდეც დაბლა, ნაპრალში, თხელი აპკივით რომ გადმოედინებოდა კლდეზე. ცოტა მოდიოდა, ძალიან ცოტა, მაგრამ ერთი საათის განმავლობაში მოთმინებით ლოკავდა, და სითხის მთელი დღის მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილა. საკვებიც მოძებნა – პატარა სალამანდრები და გველები, რომლებსაც თავებს აწყვეტდა და მთლიანად ყლაპავდა, ტყავიან-ძვლებიანად. შემდეგ კი გამხმარ ლიქენს, რაღაც ბალახ-ბულახს და შტოშს აყოლებდა. სრულიადაც არ ეხამუშებოდა, ჩვეულებრივი ადამიანური თვალსაზრისით, ყოვლად მიუღებელი ამგვარი რაციონი. ბოლოს და ბოლოს, რახანია არ ეგემა ადამიანის ხელით დამზადებული საკვები: პური, ძეხვი, ყველი... შიმშილი რომ შეაწუხებდა, ჭამდა ყველაფერს, რაც კი რამ შესაჭმელს გადააწყდებოდა. პირის გემოთი ისედაც არასოდეს გამოირჩეოდა და ერთადერთი ნეტარი განცდა მისთვის სუფთა, ცინცხალი, სხეულის სუნით შეურყვნელი სურნელით ნეტარება გახლდათ. არც განცხრომაზე ჰქონდა რაიმე წარმოდგენა და შიშველი ქვის საწოლითაც დაკმაყოფილდებოდა, თუმცა ისევ რაღაც უკეთესს კი მიაგნო.

წყაროს შორიახლოს, ბუნებრივი ვიწრო ეხი აღმოაჩინა, რომელიც კედლის სიღრმეში მიიკლაკნებოდა და ოცდაათ მეტრში ნაშალით თავდებოდა. აქ, ეხის ბოლოში, ისეთი სივიწროვე იყო, გრენუის მხრები ძლივს ეტეოდა ღიობში და ისეთი დაბალი, დგომა მხოლოდ მოხრილს შეეძლო; სამაგიეროდ შეეძლო დაჯდომა და თუ მორგვივით დაეხვეოდა – წოლაც. ეს კი სრულად აკმაყოფილებდა მის მცირედ მოთხოვნილებებს. ასეთ ადგილს ერთი დაუფასებელი უპირატესობა ჰქონდა: გვირაბის ბოლოს, დღისითაც კი, უკუნი ღამე იდგა, მკვდრული სიჩუმე და ჰაერი მომლაშო, ნესტიანი სიგრილით სუნთქავდა. გრენუიმ იმთავითვე იგეშა – ამ გამოქვაბულში აროდეს არც ერთი ცოცხალი არსება არ ყოფილა და როდესაც თავად დაიკავა ეს ადგილი, რაღაც ღვთიური მოკრძალების მსგავსი გრძნობა დაეუფლა; ფრთხილად გაშალა მიწაზე ცხენის არალი, თითქოს საკურთხეველს გადააფარაო და დაწვა. ნეტარებდა გრენუი – როგორც საკუთარ კუბოში, ისე იწვა საფრანგეთის ყველაზე ეული მთის წვერიდან კარგა ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე და მანამდე არასოდეს ეგრძნო თავი ასე დაცულად – დედის საშოს თუ არ ჩათვლით, და მთელი მსოფლიო რომ გადამწვარიყო გარშემო, ის აქ ვერაფერს შეიგრძნობდა. მერე ატირდა, ჩუმად, თავისთვის... არც იცოდა, ამ განუსაზღვრელი ბედნიერების საზღაურად ვისთვის აღევლინა ლოცვა.

შემდგომში მხოლოდ იმისთვის გამოდიოდა გარეთ, ნაკადულიდან წყალი აელოკა, სასწრაფოდ განთავისუფლებულიყო შარდისა და განავლისაგან და ხვლიკებზე თუ გველებზე ენადირა. ღამ-ღამობით მათი დაჭერა ადვილი იყო – მუდამ ან ქვების ქვეშ, ან პატარა სოროებში იმალებოდნენ, სადაც უტყუარი ყნოსვით აგნებდა ხოლმე.

პირველი კვირეების განმავლობაში ჯერ კიდევ ადიოდა მწვერვალზე, დასალიერის მოსაყნოსად, მაგრამ მალე ეს რაღაც ჩვეულ ქცევად უფრო ექცა და არა აუცილებლობად, რადგან სახიფათო არც ერთხელ არაფერი შეუყნოსავს. მერე ეს გასვლებიც შეწყვიტა; ამიერიდან მხოლოდ იმას ცდილობდა, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ექსკურსების შემდეგ, რაც შეიძლება სასწრაფოდ დაბრუნებოდა თავის აკლდამას, რადგან ცხოვრებით აკლდამაში ცხოვრობდა მხოლოდ — ანუ, დღე-ღამეში ოცი საათი იჯდა სრულ სიბნელესა და სიჩუმეში, გვირაბის ბოლოს, ჩამოქცეულ კლდის ნაშალს ზურგმიყრდნობილი და თვითმკმარი.

არის ხალხი, მარტოობას რომ ეძიებს: მომნანიე ცოდვილები, უიღბლოები, წმინდანები თუ წინასწარმეტყველნი – ისინი არჩევენ უდაბნოში დაეყუდონ, სადაც ძალაუნებურად მარხულობენ. ზოგიერთი უდაბურ კუნძულზეც ცხოვრობს, ან ხეობებსა თუ გამოქვაბულებში, ზოგი კიდევ ზის – თან ოდნავ კეკლუცობს კიდეც – ტოტებზე ჩამოკიდებულ, ან მაღალ ბოძებზე მიმაგრებულ გალიაში: ამას თავიანთ ღმერთთან მისაახლებლად აკეთებენ: მარტოობა მათ ხორცის მოკვდინებისა და მონანიებისათვის სჭირდებათ, იმის რწმენით სჩადიან, რომ ღვთისნიერ ცხოვრებას ეწევიან; თვეობით და წლობით ელოდებიან ღვთიური ჭეშმარიტების გაცხადებას, რათა ამის შესახებ მერე სასწრაფოდ ამცნონ დანარჩენ კაცობრიობას.

არაფერი მსგავსი გრენუის თავს არ ხდებოდა. ღმერთზე წარმოდგენაც არ ჰქონდა, არც ინანიებდა რაიმეს და არც ზეგარდმო ჭეშმარიტების გარდმოვლენას ელოდა. საკუთარი სიამოვნებისთვის გაეცალა ადამიანებს – მხოლოდ იმისთვის, საკუთარ თავს მიახლოვებოდა. საკუთარ, სრულიად შეუზღუდავ არსებობაში ნეტარებდა და სავსებით კმაყოფილიც იყო საკუთარი თავით. მთელი დღე ამ აკლდამაში იწვა, სიპ ქვაზე განრთხმული, შენელებულად სუნთქავდა, თითქმის არ ესმოდა თავისივე გულისცემა და მაინც, ქვეყნად არავინ ცხოვრობდა გრენუისავით ნაჯერი და გარყვნილი ცხოვრებით...

26.

ამ გარყვნილების ასპარეზი მისი შინაგანი საბძანებელი იყო, სადაც იმთავითვე ფლავდა ყოველი სურნელის ანაორთქლს, რომელსაც კი ოდესმე გადაჰყრია; და ახლა, შესაბამის განწყობაზე მოსასვლელად, ჯერ ყველაზე ადრეულ, ყველაზე შორეულ მოგონებებს გამოიწვევდა ხოლმე: აი, ვთქვათ, მადამ გაიარის საძინებლის მტრული, დახუთული ჰაერი; მამა ტერიეს მომჟავო-მოძმრო სუნთქვა; მეძუძური ჟანას ცხელი, მძაღე ოფლის სუნი, კირმოუყრელი გვამების სუნი უმანკოდ გვემულთა სასაფლაოზე, აქოთებული თევზის სუნი – დედის ხსენებაზე... და ნეტარებდა ზიზღითა და სიძულვილით, და თმები ყალყზე უდგებოდა ამ ტკბილვნებიანი უხამსობისაგან.

ხანდახან საზიზღრობების ეს ნარევიც არასაკმარისი აღმოჩნდებოდა ხოლმე და მაშინ, შესახურებლად, მცირე ყნოსვით ექსკურსიას აწყობდა გრიმალის სადაბაღოში: იყნოსავდა ნესტიან, ხორცის ნაფლეთებით მოფერილი ტყავებისა და ტყავის გამოსაყვანი წამლების ყროლს; ან ერთად წარმოიდგენდა ექვსასი ათასი პარიზელის სხეულთა ანაორთქლს თაკარა ზაფხულის ავხორც ხვატში...

ამ დროს, უეცრად – და მთელი ეს სამზადისიც, სწორედ, ამისთვის იყო საჭირო – დაგროვილი სიძულვილი ორგიასტული სიძლიერით გამოხეთქავდა ხოლმე გარეთ; მეხივით შეიფოფრებოდა ამ სუნების თავზე, რომლებსაც მისი ნატიფი ცხვირი შეურეცხყოთ და ისე დააცხრებოდა მათ, როგორც სეტყვა ჯეჯილიან მინდორს; აცხრებოდა, როგორც გრიგალი, მტვრად აქცევდა და დისტილატის განმწმენდ წყალუხვობაში ძირავდა. სამართლიანი იყო მრისხანება მისი და დიდებული – შურისგება! აჰა, ისიც – ამაღლების წამი და გრენუი, ეს პატარა ადამიანი, აღგზნებისაგან კანკალებდა, თავსაც კი სცემდა ხოლმე ქვას, მერე ნელ-ნელა მოდუნდებოდა და იწვა, გამოფიტული და სულის სიღრმემდე ნაამები. ამაზრზენ სუნთა ამოფრქვევის ეს აქტი, მართლაც რომ მეტისმეტად კმასაყოფელი, მის წარმოსახვაში არსებულ რაღაც მსოფლიო სცენისათვის განკუთვნილ დადგმაში გამორჩეული იყო, ვინაიდან დამსახურებული მოთენთილობის უშესანიშნავეს გრძნობას ანიჭებდა, რითაც მხოლოდ ჭეშმარიტად დიდებულ, გმირულ სახეთა წარმოსახვა ჯილდოვდება ხოლმე. ახლა უკვე მცირე ხნით დასვენების უფლებასაც აძლევდა თავს: გადაწვებოდა ქვის საწოლზე – ფიზიკურად იმდენად, რამდენადაც ადგილი ყოფნიდა ბნელ ეხში; სამაგიეროდ, შინაგანად, საკუთარი სულის საგულდაგულოდ განწმენდილ მიდამოში, მთელი ტანით იშლებოდა, სრულად იწვართებოდა და დახვეწილ სურნელთა გარემოცვაში ნებივრობდა: ვთქვათ, გაზაფხულის მდელოების, ან წიფლის მწვანე ფოთლებში მოთამაშე ნიავის, ანდა, სულაც, ზღვაურის დამარილებული ნუშივით მწკლარტე სურნელს გამოიწვევდა ხოლმე...

გრენუი მხოლოდ საღამოს პირს წამოდგებოდა – პირობითად ასე ვთქვათ, თორემ რა თქმა უნდა, არ იყო არავითარი საღამო, არც დილა, არც შუადღე: არ იყო არც წყვდიადი, არც ნათელი, და არ იყო არც გაზაფხულის მდელოები, და არც წიფლის მწვანე ფოთლები... საერთოდ, გრენუის შინაგან სამყაროში არავითარი ნივთიერი რამ არ არსებობდა, იყო მხოლოდ მათი სურნელი (სწორედ ამიტომ, ერთადერთი შესაბამისი და ამავე დროს, ერთადერთი შესაძლებელი facon de parle* არის ის, რომ ამ სამყაროზე ვილაპარაკოთ როგორც ლანდშაფტზე, ვინაიდან ჩვენი ენა ყოვლად გამოუსადეგარია ყნოსვით შემეცნებათა რეალიების აღსაწერად). ასე რომ, საღამოხანს, გრენუის სულში ჩნდებოდა ის მდგომარეობა და დგებოდა ისეთი დრო, სამხრეთში სიესტის დამთავრებას რომ წააგავს, როდესაც ნაშუადღევის მოთენთილობა ნელა სცილდება გარემოს, მოდუნებული ცხოვრება მზადაა ისევ გამოცოცხლდეს; აალებული სიცხე – ნატიფი არომების მტერი – ახლა

* აქ: ლაპარაკის ფორმა (ფრანგ.)

უკან იწევდა და საძაგელი დემონების ხროვაც განადგურებული გახლდათ. შინაგანი ბრძოლის გლუვი, რბილი მდელოები გამოღვიძების ზანტ სიწყნარეს ეძლეოდნენ და ელოდნენ, მეუფის ნება-სურვილი როდის გარდამოვიდოდა მათზე. და წამოიმართებოდა გრენუი, და ძილბურანს ჩემოიბერტყავდა; დგებოდა დიდებული, სხვა გრენუი: გოლიათივით წამოიმართებოდა, მთელი თავისი ბრწყინვალებით და დამათრობელი იყო ცქერა მისი (ლამის ვწუხვარ კიდეც, რომ არავინ იყო მისი მხილველი!) და თავის წილხვედრ ქვეყანას მედიდურად ავლებდა მზერას.

ჭეშმარიტად, ეს მისი სამეფო იყო – გრენუის შეუწონავი იმპერია! მის მიერ ქმნილი და დაპყრობილი, აოხრებული, განადგურებული და ხელახლა აღშენებული მისივე ჟინით, უსაზღვროებამდე გაფართოებული და ჩუგლუგით ცეცხლოვანით დაცული ყოველგვარი ხელყოფისაგან. მხოლოდღა მისი ნება-სურვილი ბატონობდა აქ, და წარსულის მიაზმთა მოსპობის შემდგომ, მის სამფლობელოში მარტოოდენ კეთილსურნელებას უნდა ეფრქვია, და ახლა ის ძალამოსილი მიაბიჯებდა ახლად მოხნულ ყამირზე და ნაირ-ნაირ სუნებსა სთესდა, სად – უხვად და სად – ძუნწად; უსასრულოდ ფართო ველებსა თუ მომცრო ბაღების კუთხეებში, ხან პეშვით ისროდა თესლს, ხან კი სათითაოდ ფლავდა მათ უშენ, მოფარულ ადგილებში. იმპერიის უშორეს პროვინციებს მოიხილავდა ხოლმე დიდი გრენუი, მებაღე უშრეტი და მალე არცა მდელო დარჩა და არცა კორდი, რაიმე სურნელის მარცვალი რომ არ ჩაეგდო შიგ.

... და იხილა მან ნელსურნელება კეთილი, ქვეყანა მისი გაჟღენთილი ღვთიური თესლით, და იმჟამს მიუშვა მასზე წვიმა მსუბუქი და მიწყივი, ღვინის სპირტისა მსგავსი, და იზრდებოდა ნათესი და უხარებდა გულს, მოსავალი ღელავდა ველად, მყუდრო ბაღჩებში წვენით ივსებოდნენ ღეროები და კოკრები სკდებოდნენ გასაფურჩნქად. მხოლოდღა შემდგომად ამისა სწვეტდა გრენუი წვიმას — ღიმილის მზეს მოუვლენდა ქვეყანას, ხოლო პასუხად, მილიონობით უცხო ყვავილი ერთსულოვნად იშლებოდა და მთელს იმპერიას, კიდით-კიდემდე, მირიადობით ძვირფას სურნელთაგან გამოქსოვილი ხალიჩით ფარავდა; და ითნევდა დიადი გრენუი ყოველს კეთილად, და ახლა საკუთარი სუნთქვის ნიავს შთაბერავდა ქვეყანას, და ამ ალერსში ყვავილები მირიადობითვე თავიანთ სურნელს აერთებდნენ და ყოველი ფერით მოკიაფე ერთიან, გარნა მუდმივცვალებად, სამყაროულ არომებად ერთიანდებოდნენ მისი დიდების საკმევლად ქცეულნი – ბრწყინვალე, დიდებული, განუმეორებელი გრენუისა – და ისიც, ოქროვანი ნელსურნელების ტახტზე წამოჭიმული, უკანვე შეისუნთქავდა სუნთა სამყაროს და მისდამი აღვლენილი მსხვერპლშეწირვის სუნიც უამებდა ყნოსვას; და გარდამოდიოდა ამ სიმაღლიდან, რათა ქმნილება თავისი დაელოცა, და შექმნილიც მადლს უხდიდა აღტყინებით, ზეფრენითა და ახალ-ახალ სურნელთა ფრქვევით...

ამასობაში საღამოვდებოდა კიდეც, ნელსურნელებანი სულ უფრო და უფრო მეტი სასწაულითა და ნიშითა დიდ-დიდითა ენივთებოდნენ ღამის ბნელს. წინ იყო ნელსურნელებათა ბრწყინვალე მეჯლისი – ძვირფასქვებსურნელოვანი ფეიერვერკით!..

თუმცა, ამ დროისთვის გრენუის გენია ოდნავ მოიღლებოდა ხოლმე, დაამთქნარებდა და იტყოდა: „აი, აღვასრულე საქმე დიადი და კმაყოფილი ვარ სრულად; მაგრამ ესეც, ვითარცა ყოველი სრულყოფილი, მოსაწყენი ხდება. ახლა მსურს გავასრულო ეს ჯაფით აღსავსე დღე და კიდევ ერთი სიხარული მივანიჭო საკუთარ თავს“.

ასე იტყოდა გრენუი, და როს ქვემოთ ერთი უბრალო, კეთილსურნელოვანი საზოგადოება ზეიმობდა და როკავდა, იგი, ოქროს ღრუბლიდან გარდამოსული, ფართოდ გაშლილი ფრთებით ირაოს კრავდა საკუთარი სულის ბნელ სამეფოზე და შინ – გულის გულში – მიეშურებოდა...

27.

და რა საამო იყო საკუთარ თავთან დაბრუნება! ეს ორმაგი მანტია – სამყაროს შემქმნელისა და შურისმგებლის – ლამის ქანცს აცლიდა და შესაქმის ღვთიური მოვალეობითა და აღსრულებით გათანგული გრენუი ახლა ოჯახურ მყუდროებას ესწრაფვოდა.

მეწამული ციხე-დარბაზი ერთ ქვიან უდაბნოს ედგა; დიუნები, ჭაობიანი ოაზისი და ქვის შვიდი კედელი ერტყა გარს. ათასობით საკუჭნაო თუ სარდაფი ჰქონდა, და ამდენივე ბრწყინვალე დარბაზი, მათ შორის ერთი – უბრალო, სისხლისფერი ტახტით, რომელზედაც გრენუის, უკვე არა დიდებულ გრენუის, არამედ სრულიად კერძო პირს – უბრალოდ ძვირფას ჟან-ბატისტს — მძიმე დღიური შრომის შემდეგ უყვარდა მოსვენება.

ციხე-დარბაზის საწყობებში კი მაღალი, თითქმის ჭერამდე ასული თაროები ასვეტილიყო, მათზე განლაგებული ყველა იმ სუნით, რაც კი გრენუის შეეგროვებინა სიცოცხლის მანძილზე – ანუ რამდენიმე მილიონი; ხოლო სარდაფებში კასრებით ინახებოდა მისი ცხოვრების საუკეთესო ნელსურნელებანი, და როდესაც დრო მოუწევდათ, მათ ბოთლებში გადაიღებდნენ ხოლმე და კილომეტრობით ამწკრივებდნენ გრილ, ნესტიან დერეფნებში, დამზადების წლებისა და ადგილის მიხედვით. ბოთლი იმდენი იყო, თითოეულის დასაჭაშნიკებლად, ერთი სიცოცხლე ნამდვილად არ იყო სამყოფი.

და როცა ჩვენი ძვირფასი ჟან-ბატისტი, ბოლოს და ბოლოს ბრუნდებოდა *chez soi*[*], მეწამულ დარბაზში წამოწვებოდა მეწამულ ტახტზე, მბრძანებლურად ტაშს შემოჰკრავდა და მსახურთ უხმობდა – უხილავთ და შეუგრძნობელთ, უპირველეს ყოვლისა – ყნოსვით უგრძნობელთ, ანუ სრულიად წარმოსახვით მსახურებს და აგზავნიდა მათ საკუჭნაოებში, რათა სურნელთა უკიდეგანო ბიბლიოთეკიდან ესა თუ ის ტომი მიერთმიათ მისთვის, და უბრძანებდა, სარდაფში ჩასულიყვნენ და მისთვის სასმელიც მიეტანათ; და ეს

[*] საკუთარი კუთხე/თავისთან (ფრანგ.)

წარმოსახვით-წარმოდგენითი მსახურები უმალ მიისწრაფვოდნენ მისი სურვილის აღსასრულებლად და გრენუის სტომაქი ეკუმშებოდა მტანჯავი მოლოდინის კრუნჩხვებისაგან: უეცრად ეუფლებოდა დახლთან მდგომი ლოთის შეგრძნება, რომელსაც შიში იპყრობს, ვაითუ რაიმე მიზეზის გამო შეკვეთილი სირჩა არაყი თუ ჭიქა ღვინო აღარ დაუდგან... ვთქვათ, და სარდაფი დაიცალა? ან იქნება, კასრებში ღვინო აძმარდა? ამდენხანს რატომ ალოდინებენ? რატომ არ ჩანან? სასმელი მას ახლავე სჭირდება, ამ წუთს, კაცი იხრჩობა წყურვილისაგან, ლამის სულს ღაფავს...

კარგი ერთი, ჟან-ბატისტ! ნეტა რას შფოთავ – ახლავე მოვლენ, ციმციმ მოგართმევენ ყველაფერს! აგე, უხილავი ლანგრით მოაქვთ სურნელთა სარჩევი, თეთრ თათმანებში გამოწკეპილ უხილავ ხელებს ძვირფასი ბოთლები უპყრიათ, უფრთხილესად გილაგებენ წინ, თავს გიკრავენ და ქრებიან.

ბოლოს და ბოლოს, კვლავ მარტო დარჩენილი ჟან-ბატისტი ხელს სტაცებს სანუკვარ სურნელებს, პირველ ბოთლს გახსნის და პირამდე ავსებს სასმისს, პირთან მიაქვს და სულმოუთქმელად ცლის: 1752 წლის სურნელი — საღამო ხანს, ბინდბუნდში, სამეფო ხიდზე რომ ჩაავლო, რომელშიც არეული იყო ზღვის, ტყისა და ნაპირზე გამოთრეული, ახლადგაფისული ნავების სულ ოდნავ საგრძნობი სუნი. ეს ის პირველი, დასასრულისაკენ მიწურული ღამე გახლდათ, რომელიც მან გრიმალის ნებართვის გარეშე, პარიზის ქუჩებში, ხეტიალში გაატარა. ეს იყო მომავალი დღის, თავისუფლებაში გატარებული პირველი განთიადის სურნელი, რაღაც ახალი ცხოვრების წინათგრძნობა. სათუთად ინახავდა, მაგრამ თითქმის დღეყოველ, სულ მცირეოდნავ აგემოვნებდა.

მეორე ჭიქის შემდეგ ქრებოდა ყოველგვარი ნერვიულობა, ტახტის რბილ ბალიშზე გადაწოლილი, წიგნს გადაშლიდა და იწყებდა კითხვას თავისი ბავშვობის დღეებზე: თავშესაფრის, ქალაქის ქუჩებისა და შუკა-ჩიხების, ადამიანთა სხვადასხვა სუნზე და იმ დროს, იმ აუტანელ, აწ უკვე წარსულ სუნთა წყებას წყევლიდა. ინტერესითა და ზიზღით კითხულობდა გრენუი წიგნს, და როდესაც ზიზღი სჯაბნიდა სურვილს, ტყლაშუნით ხურავდა მას, გადადებდა და ახლა სხვა წიგნს იღებდა ხელში.

გზადაგზა მუდმივად მიჰქონდა ტუჩებთან კეთილშობილი არომატები. თავისუფლების სურნელიანი ბოთლის შემდეგ, 1744 წლის ბოთლს ხსნიდა, რომელიც მადამ გაიარის სახლთან დაყრილი მორების თბილი ანაორთქლით იყო სავსე; შემდეგ სვამდა სუნამოსა და ყვავილების ბლანტი სურნელით სავსე არომას, სენ–ჟერმენ-დე-პრეს პარკის განაპირას რომ მიაგნო, 1753 წლის ზაფხულის ერთ საღამოს...

მისი სხეული სულ უფრო ივსებოდა ნელსურნელებით, მძიმედ აწვებოდა ბალიშებს, სული კი ჯადოსნურად იბინდებოდა. და მაინც, ამით არ მთავრდებოდა მისი ნადიმი: მართალია, თვალებიც მოეღალა და წიგნიც რა ხანია გავარდნოდა ხელიდან, ოღონდ სურდა კიდევ ერთი, ყველაზე საუცხოო ბოთლისთვის აეხსნა ხუფი – ეს იმ გაღმაქუჩელი გოგონას სურნელი იყო...

გრენუი მას მოკრძალებით სვამდა და ბალიშებზეც კი წამოიწევდა ხოლმე ამისათვის, თუმცა უკვე ყველაფერი ქანაობდა ირგვლივ, და მაინც სვამდა პატარა გრენუი თავისი სულის სარდაფების ამ უძვირფასეს სურნელს, სასმისს სასმისზე ცლიდა და სულ უფრო მეტი მწუხარება ეუფლებოდა — გრძნობდა, ზედმეტი მოუვიდა და მაინც სვამდა, სვამდა ბოლომდე: მიდიოდა ბნელი გასასვლელით ქუჩიდან ეზოსკენ, მიდიოდა სინათლისაკენ, სინათლის წრეში კი იჯდა გოგონა და ქლიავს ჩურჩავდა. ფეიერვერკის ტკაცუნი მოისმოდა შორიდან.

ბოლოს, გადადგამდა სასმისს და იჯდა ჭარბი გრძნობებისა და სიმთვრალისაგან გაქვავებული; იჯდა თვალგაშტერებული, ვიდრე დალეულის გემო სრულად არ გაუქრებოდა ენიდან. მერე, უეცრად, მისი ტვინი ისევე ცარიელდებოდა, როგორც ბოთლები. მაშინ გადაგორდებოდა ტახზე, გარდიგარდმო და წამიერად იძირებოდა გამომათაყვანებელ ძილში.

ამ დროისათვის გარეგანი გრენუიც იძინებდა თავის ჩულოზე. ძილი მისი ისევე უძიროდ ღრმა იყო, როგორც შინაგანი გრენუისა, ვინაიდან ერთის ჰერკულესისებრი გმირობანი არანაკლებ თენთავდა მეორესაც – ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ მაინც ერთნი იყვნენ.

მართალია, როდესაც იღვიძებდა, იღვიძებდა არა ჭაობებითა და შვიდი კედლით გარშემორტყმულ სისხლისფერი ციხე-კოშკის სისხლისფერ დარბაზში და არც მისი სულის მდელოებზე, არამედ თავის ქვის თავშესაფარში ეხის ბოლოს, სრულ სიბნელეში. შიმშილისა და წყურვილისაგან გული ელეოდა, სხეულშიც სტეხდა და აჟრიალებდა, როგორც ლოთს – ლოთიანად გატარებული ღამის შემდეგ და ისიც ფოფხვით, ოთხზე გამოძვრებოდა ხოლმე ეხიდან.

გარეთ დღე-ღამის რომელიმე ჟამი იდგა – ღამის დასაწყისი ან დასასრული, მაგრამ შუაღამეც რომ ყოფილიყო, ვარსკვლავების შუქიც კი თვალს სჭრიდა. ჰაერი მტვრიანი ეჩვენებოდა, მძიმე, ფილტვებს რომ უხევდა, ლანდშაფტიც უხეში ეჩვენებოდა და ნაზი სურნელებაც კი უწვავდა ამ სამყაროს გადაჩვეულ ცხვირს. ტკიპა გრენუი ისეთი მგრძნობიარე ხდებოდა, როგორც ჯავშნიდან გამომძვრალი კიბორჩხალა, შიშველი რომ დახეტიალობს ზღვისპირზე.

ჯერ წყაროსაკენ გასწევდა. კლდიდან ლოკავდა წყალს, კარგა ერთი-ორი საათის განმავლობაში და იტანჯებოდა – დრო თითქოს გაუთავებლად იწელებოდა აქ, რეალურ სამყაროში. მერე მოგლეჯდა ქვებიდან ბღუჯა ხავსს და პირში იტენიდა. ჩაიმუხლებდა ქვებზე, კუჭშიც გადიოდა და ჭამდა კიდეც იმავდროულად – ყველაფერი სწრაფად, სწრაფად, სწრაფად უნდა მომთავრებულიყო — და პაწია ცხოველივით, რომლის თავს უკვე ძერები დასტრიალებენ, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა თავის ეხში, გვირაბის ბოლოს, სადაც ჩულო ჰქონდა დაფენილი. აქ, მხოლოდ აქ გრძნობდა თავს უხიფათოდ, და მისი სულის თეატრშიც ახლა ახალი სპექტაკლი იდგმებოდა.

28.

ასე მიყვებოდა დღე დღეს, კვირა კვირას, თვე თვეს. ასე გავიდა მთელი შვიდი წელიწადი.

გარე სამყაროში კი ომი მეფობდა. ომობდნენ სილეზიასა და საქსონიაში, ჰანოვერსა და ფლანდრიაში, ბოჰემიასა და პომერანიაში. მეფის ჯარისკაცების ძვლები ლაგდებოდა ჰესენში, ვესტფალიაში, ბალეარის კურძულებზე, ინდოეთში, მისისიპის ნაპირებსა თუ კანადაში – რა თქმა უნდა, ვინც ტიფით არ იხოცებოდა გზაშივე. მილიონობით ჯარისკაცს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს ომი, საფრანგეთის მეფეს – კოლონიების დაკარგვად, ხოლო ყველა ხელგამოღებულ ქვეყანას – ისეთ წონა ოქროდ, რომ ბოლოს და ბოლოს, გულის წუხილის მიუხედავად, მის შეწყვეტაზეც შეთანხმდნენ.

სწორედ ამ დროს, ზამთარში, , თავისდა შეუმჩნევლად გრენუი, კინაღამ გაიყინა. ხუთი დღე წაწყობილად იწვა ალისფერ საწოლში და როცა გამოფხიზლდა, განძრევაც ვეღარ შეძლო. სასწრაფოდ დახუჭა თვალები იმის იმედით, ძილში მოვკვდებიო, მაგრამ ლღობის დრო დამდგარყო უკვე, გამოთბა და ამან გადაარჩინა.

ერთხელაც, იმდენი თოვლი ჩამოყარა, ძალა არ ეყო, გაეთხარა და შტოშის ბუჩქებამდე მიეღწია. მაშინ ქვებზე მიყინული ღამურებით იკვებებოდა. როგორღაც კიდევ, ეხის პირს მკვდარი ყვავი იპოვა და შეჭამა. ამ შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ ეს მოვლენები აკავშირებდა რეალობასთან, დანარჩენი დრო თავის ციხე-დარბაზში ცხოვრობდა, საკუთარი სულის თვითმპყრობელურ სამეფოში. იქვე დარჩებოდა კიდეც სიკვდილამდე, ის კატასტროფა რომ არ მომხდარიყო, რომელმაც იგი ეხიდან გამოაძევა და გარე სამყაროში გამოაგდო.

29.

ეს კატასტროფა არც მიწისძვრა იყო, არც ტყის ხანძარი, არც ზვავი და არც მისი ეხის ჩამონგრევა; და საერთოდ, იგი შინაგანი იყო და არა გარეგანი, და სწორედ იმიტომაც გასტანჯა, რომ მის მიერ შერჩეული გაქცევის გზა გადაუკეტა. ყველაფერი კი ძილბურანში მოხდა, უფრო სწორად, ზმანებებში, კიდევ უფრო სწორად – ოცნებებსა და ზმანებებში, ანუ, წარმოსახვაში...

სისხლისფერ ტახტზე იწვა გრენუი და სისხლისფერ დარბაზში ეძინა. მის გარშემო ცარიელი ბოთლები მოფანტულიყო. ბევრი დალია, ძალიან ბევრი, მერე კიდევ ორი ბოთლი იმ წითურთმიანი გოგონას სურნელიც დააყოლა; ეტყობა, სწორედ ამან მოუღო ბოლო. მაინც რა იყო ის ბოლო ჭიქა... მოეჩვენა, დამპალი ჭაობის შუაგულში დგას, ხოლო ჭანჭყობიდან ნისლი მოიწევს, ნელ-ნელა ადის მაღლა და თავით-ფეხებამდე ფარავს გრენუის,

ჟღინთავს მის სხეულს და მალე, ამ ნისლიან სიმყრალეში, მის გარეშემო ერთი ყლუპი სუფთა ჰაერიც აღარ რჩება. ნისლის ჩასუნთქვა უწევდა, რათა არ გაგუდულიყო. მერე ეს ნისლი სუნად იქცა. კარგად იცოდა, ვისი სუნიც იყო – მისი საკუთარი, მისივე საკუთარი სუნი! შემაძრწუნებელი კი ის იყო, რომ არც ამ სუნის ატანა შეეძლო – ვერასდიდებით საკუთარ სუნს ვერ იყნოსავდა!

იაზრა, რა უბეუდრებაც სჭირდა და ისე შემზარავად დაიყვირა, იფიქრებდით, ცოცხლად სწვავენო. ყვირილმა გაანგრია სისხლისფერი კედლები, ჩამოშალა ციხე-კოშკის ქვა; გულ-ღვიძლიდან ამოგლეჯილმა, თხრილებსა და ჭაობებს გადაუქროლა, უდაბნოებს, გადასერა მისი სულის ბნელი სანახები, ცეცხლის გრიგალივით გამოვარდა მისი ყელიდან და ეხის ტეხილებით გარეთ გაექანა გამალებული, ღია ქვეყნისკენ და სენ-ფლუს გორაკებზე გაიშალა — თითქოს თავად მთა ყვიროდა და გრენუიც, გამოღვიძებული, რაღაცის მოგერიებას ცდილობდა, უნდოდა ეს აუტანელი და მახრჩობელა სიმყრალე, უკუეგდო, დაიზაფრა და მთელი სხეული უცახცახებდა მომაკვდინებელი შიშისგან. საკუთარ ყვირილს რომ არ გაერღვია ეს სიმყრალე. თავად ჩაიხრჩობდა შიგ... ამის გახსენებაზე შეაჟრჟოლა; და სანამ ასე იჯდა და ძრწოდა, ვიდრე ცდილობდა საკუთარი დაფეთებული, არეული გონების მოწესრიგებას, ერთი რამ მაინც მტკიცედ გაიაზრა: ახლა შეიცვლის თავის ცხოვრებას – შეიცვლის თუნდაც იმიტომ, რომ მეორედ ასეთი ზმანება აღარ იხილოს – მეორედ ამის მსგავსს ვერაფერს გადაიტანს!

ჩულო მხრებზე მოიგდო და გარეთ გამოძვრა. თებერვლის დასასრულის გვიანი დილა იყო, მზე ანათებდა. გარშემო სველი ქვების, ხავსისა და წყლის სუნი იდგა. ეხის წინ, მიწაზე მჯდარი გრენუი მზეზე თბებოდა და ფართოდ პირდაფჩენილი, სუფთა ჰაერს ყლაპავდა. ჯერ კიდევ აჟრჟოლებდა იმ სიმყრალის გახსენებაზე, სულ ახლახანს რომ დააღწია თავი, და აჟრჟოლებდა იმ დალოცვილი სითბოსაგან, ზურგზე რომ ეფინებოდა. ეს გარე სამყარო მაინც არსებობდა, თუნდაც გასაქცევად; შემაძრწუნებელი ის იქნებოდა, გვირაბიდან გამოსულს, ვერავითარი ქვეყანა ვერ აღმოეჩინა – მხოლოდ საზარელი სიმყრალე შიგნით, გარეთ, და ყოველგან!..

თავზარმა ნელ-ნელა გადაუარა. შიშის მარწუხებმა მოუშვა და ცოტა უფრო თავისუფლად ამოისუნთქა. შუადღისთვის ჩვეული, ცივსისხლიანი არსების თავდაჭერაც აღიდგინა. ცხვირზე იფარებდა ხელს და თითებს შუა ისუნთქავდა ნოტიო, ფრინტების სუნით გაჟღენთილ გაზაფხულის ჰაერს. ოღონდ თავად თითებს არავითარი სუნი არ ასდიოდათ. მტევანი მოაბრუნა და ხელისგული დაყნოსა. ხელის სითბო შეიგრძნო, სუნი კი ვერა. დაფლეთილი სახელო აიკაპიწა და ცხვირი იდაყვში ჩარგო. არავითარი სუნი – არავითარი სუნი იღლიებში, ფეხებზე, არავითარი – სასირცხო ორგანოზე, რომელსაც, რამდენადაც შეეძლო, იმდენად მიუახლოვა ცხვირი... უცნაური ამბავი იყო, ღმერთმანი! გრენუი – კაცი, რომელსაც სხვისი სუნი რამდენიმე მილის მანძილზე სცემდა, საკუთარი სხეულის ნაწილის სუნს ვერ გრძნობდა რაღაც ერთადერთი მტკაველის დაშორებით! ამის მიუხედავად, ამჯერად ზაფრას მაინც არ აჰყოლია – ცივი გონებით განსაჯა და ასე მიმართა საკუთარ თავს: „საქმე ის კი არაა, რომ მე არ ამდის სუნი – სუნი ყველაფერს ასდის – არა-

მედ ის, რომ თავად ვერ ვიყნოსავ, ვინაიდან დაბადებიდანვე ვიყნოსავ მას და ამიტომაც ვერ გრძნობს ცხვირი ჩემი ჩემივე სხეულის სუნს. აი, რომ შე-მეძლოს დროებით მაინც მოვიცილო სუნი ჩემი, ან ნაწილი მისი, ცოტა გადავეჩვიო და შემდგომ ხელახლა ისევ მოვყნოსო, ეჭვი არ არაა, მაშინ კი შევიგრძნობდი მის სუნსაც და – რაც იგივეა – საკუთარი თავისაც“...

ჩულო მოიძრო და სამოსი გაიხადა, უფრო სწორად, ის რაც სამოსიდან დარჩა. გაიხადა ძონძები, შვიდი წლის განმავლობაში ტანზე რომ არ გაუძ-ვრია – ისინი ხომ მაინც იქნებოდნენ მისი სუნით გაჟღენთილი, და გროვად დაყარა ქვაბულის წინ. მერე, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში პირველად, ისევ ავიდა მთის მწვერვალზე. იქ ზუსტად იმ ადგილზე დადგა, სადაც მაშინ, აქ მოსვლის დღეს რომ იდგა, ცხვირით დასავლეთისკენ მიტრიალდა და ქარს მიუშვირა დედიშობილა სხეული. უნდოდა იმდენად განიავებულიყო, იმდენად განწმენდილიყო დასავლეთის ქარით – ანუ ზღვისა და ნესტიანი მდელოების სურნელებით გაჟღენთილიყო, რომ ახლა ამ ქარს გადაეძალა მისივე სხეულის სუნი, რათა ხაფანგი გაემართა მასსა და მის ტანსაცმელს შორის, და აი მაშინ ნაღდად ჩაავლებდა საკუთარ სუნს... დაიძაგრა, წინ გადაიხარა, კისერი ქარის საწინააღმდეგოდ გაიწვდინა და ხელებიც გან-გან გაშალა.

ამ უცნაურ პოზაში იდგა რამდენიმე საათი ზედიზედ, ისე რომ მზეს გადაჩვეული, მატლივით თეთრი კანი გაუწითლდა, თუმც მზე ჯერ მაინც არც ისე მწველი იყო. საღამო ხანს ისევ ეხისაკენ დაეშვა. შორიდანვე დაინახა თავისი ტანსაცმლის გროვა. რომ მიუახლოვდა, ცხვირზე მოიჭირა ხელი და მხოლოდ მაშინ გაუშვა, როცა უშუალოდ ტანსაცმელთან მიიტანა. ჯერ ჭაშ-ნიკი უნდოდა აეღო, როგორც ეს ბალდინისაგან დაისწავლა: შეისუნთქა ჰაერი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ იწყო მისი გამოშვება. თანაც, ორივე ხელისგული ზარივით დააფარა ტანსაცმელს, ხოლო ცხვირი ზარის ენასავით ჩაყო შიგ, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. იქ ათასობით სხვა სურნელი იყო: ქვის, ქვიშის, ხავსის, ფისის, ყვავის სისხლის – იმ ძეხვის სუნიც კი, მრავალი წლის წინათ სიულის შორიახლოს რომ იყიდა – ისიც კი სრულიად მკაფიოდ იგრძნობოდა. უკანასკნელი 7-8 წლის დღიური იყო ეს ტანსაცმელი, და მხოლოდ მისი სუნი, ვინაც მთელი ეს დრო გაუხდელად ატარა – ტან-საცმელს არ აჩნდა.

აი აქ კი, ცოტა არ იყოსდა, ისევ მოეძალა შიში. მზე ჩასულიყო. იდგა შიშველი, ეხის წინ, რომლის შავბნელ ბოლოშიც მთელი შვიდი წელი გაეტარებინა. ცივი ქარი ქროდა და ვერც კი ამჩნევდა, რომ გაითოშა, რადგან შიგანიდან საპასუხო სიცივე მოიწევდა – შიშის სიცივე... ეს შიში არ იყო ის, სიზმარში რომ განიცადა, საკუთარ თავში ჩახრჩობის შიში, რომელსაც შეგიძლია თავი დააღწიო; რასაც ახლა გრძნობდა, საკუთარი თავის ვერშეც-ნობის შიში იყო, იმ წინა შიშის სრულიად საწინააღმდეგო რამ, ამას ვერსაით გაექცეოდა, მისი პირისპირ დახვედრა იყო საჭირო და იმის – რამდენადაც მწარეც არ უნდა აღმოჩნდეს ეს – საბოლოოდ გარკვევა, ჰქონდა თუ არა მას საკუთარი სუნი... და უნდა გაერკვია ეს სასწრაფოდ, ახლავე, ალაგობრივ!

ისევ ეხში შებრუნდა. უკვე რამდენიმე მეტრის შემდეგ სრულ სიბნელეში აღმოჩნდა, მაგრამ ისევე კარგად იგნებდა გზას, როგორც კაშკაშა სინათლეში.

მრავალ ათასჯერ გაუვლია ეს გზა, ყოველი ნაბიჯი და ყოველი მოხვეული იცოდა, ყოველ სტალაქტიდს, ყოველ შვერილს გრძნობდა. გზის გაკვლევა მისთვის სულაც არ იყო ძნელი — ძნელი იმ უსაზარლესი კლაუსტროფობიული ზმანების წინააღმდეგ ბრძოლა გახლდათ, მოქცევის მსგავსად რომ სულ უფრო მაღალ-მაღალ ტალღებად ევლებოდა თავზე. უკან მაინც არ იხევდა. არცოდნის შიშით სძლია ცოდნის შიშს და გაიმარჯვა კიდეც, ვინაიდან არჩევანი არც ჰქონდა. ეხის ბოლოს, ნაშალთან, შიში უკუიქცა. იგრძნო რომ მშვიდადაა, გონება ნათელი აქვს და ცხვირიც სამართებელივით ალესილი... ჩაჯდა, თვალებზე ხელი აიფარა და იქაურობა მოყნოსა. აქ, ქვეყნისგან მოცილებულ ამ ქვის სამარეში გაატარა შვიდი წელი. თუ სადმე უნდა იყოს მისი სუნი, მხოლოდ აქ. ნელა ისუნთქავდა. გულდასმით ამოწმებდა. მეოთხედი საათი მაინც იყო ასე ჩაცუცქული. შეუმცდარი მახსოვრობა ჰქონდა და ზუსტად ახსოვდა როგორი სუნი დახვდა ეხში შვიდი წლის წინათ: ქვისა და მარილიანი სიგრილის, და სისუფთავის, რაც იმას ნიშნავდა, რომ არც ერთ ცოცხალ არსებას აქ ფეხი არ დაედგა... ამჟამადაც ზუსტად ისეთივე სუნი იდგა.

ცოტა ხანს კიდევ იჯდა, სრულიად წყნარად, მხოლოდ ოდნავ აქნევდა თავს. მერე ადგა, შებრუნდა და გასასვლელისაკენ გაემართა. ჯერ მხრებში მოხრილი, ხოლო როდესაც შესაძლებლობა მიეცა, წელგამართული – გარეთ, თავისუფლებისაკენ.

ეხის გარეთ რომ გამოაღწია, ჩამოიფხატა თავისი ძონძები (წაღები ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაულპა), ბეჭებზე ჩულო მოიგდო, იმავე ღამეს დატოვა პლონ-დიუ-კანტალი და სამხრეთისაკენ გაემართა.

30.

გარეგნულად საშინელი შესახედი იყო: თმები მუხლებამდე ჩამოზრდოდა, მეჩხერი წვერები – ჭიპამდე. ფრჩხილები ჩიტის ბრჭყალებს მიუგავდა, ძონძებიდან დახეთქილ-დაქერცლილი კანი მოუჩანდა.

შემხვედრი ხალხი – გლეხები, რომლებიც მინდვრებში მუშაობდნენ ქალაქ პიერფორის შორიახლო, მის დანახვაზე კივილით გარბოდნენ. ქალაქში ხომ მთლად გადარია ყველა: ასეულობით მორბოდნენ მის სანახავად. ზოგიერთს გაქცეული კატორღელი ეგონა, სხვები ამტკიცებდნენ – ადამიანი კი არაა, ადამიანისა და დათვის ნაჯვარია, ტყის ბინადარიო. ერთი ხმელეთს შერჩენილი მეზღვაური იმასაც გაიძახოდა, ველური ინდიელია, ოკეანის გაღმა მდებარე კაიენიდანო. ბოლოს მერთან წაიყვანეს. იქ, დამსწრეთა გასაოცრად, გრენუიმ სიგელი ამოიღო, პირიც დააღო და მართალია საკმაოდ არეულად და ენაბრგვილად – ეს ხომ მისი პირველი სიტყვები იყო ბოლო შვიდი წლის განმავლობაში – მაგრამ მაინც გასაგებად უამბო, რომ ის მოხეტიალე შეგირდია, რომ მას ყაჩაღები დაესხნენ თავს, სადღაც გამოქვაბულში წაათრიეს და იქ

შვიდი წელი გაატარა ტყვეობაში. რახანია არც მზის შუქი უნახავს და არც ვინმე ადამიანი. იკვებებოდა კალათიდან, რომელსაც უხილავი ხელი უშვებდა სიბნელეში და, ალბათ, იმავე ხელმა თუ გაათავისუფლა დაწნული კიბის საშუალებით, და რომ ვერაფერი გაიგო ვერც თავის მომტაცებლებზე და ვერც გამათავისუფლებელზე. მთელი ეს ისტორია იმიტომ მოჩმახა, სიმართლეზე დამაჯერებლად მიაჩნდა და დაიჯერეს კიდეც, რადგან მსგავსი ყაჩაღური თავდასხმები ხშირი იყო ოვერნის, ლანგედოკისა და სევენის მთებში. ყოველი შემთხვევაში, მერმა სრული ნდობით შეიტანა მისი მონათხრობი ოქმში და კიდევაც მოახსენა ამის შესახებ მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასს, პარლამენტის წევრს ტულუზიდან.

ამ მარკიზმა ჯერ კიდევ ორმოცი წლის ასაკში დაკარგა ყოველგვარი ინტერესი სამეფო კარის ცხოვრებისადმი, ვერსალი მიატოვა, თავის მამულში დაბრუნდა და მეცნიერებას უძღვნა თავი. მის კალამს ეკუთვნოდა მნიშვნელოვანი ნაშრომი ე.წ. *დინამიური ეროვნული ეკონომიკის* შესახებ, რომელშიც წინადადებას იძლეოდა, გაეუქმებინათ ყოველგვარი გადასახადი მიწათმფლობელობასა და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმზე, ოღონდ აღედგინათ პროპორციული საშემოსავლო გადასახადი, რათა ხალხი აეძულებინათ, უფრო აქტიურად განევითარებინათ საკუთარი ეკონომიკა. მოგვიანებით, ბროშურის წარმატებით აღფრთოვანებულმა, დაწერა ტრაქტატი თემაზე, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ გოგონები და ბიჭუნები ხუთიდან ათ წლამდე. შემდეგ ექსპერიმენტებმა გაიტაცა სოფლის მეურნეობაში შეჯვარებების განხრით და შეეცადა, ბუღის სპერმის სხვადასხვა ბალახებზე გადატანის შედეგად, რაღაც მოსაწველი ყვავილის მსგავსი ცხოველურ-მცენარეული პროდუქტი გამოეყვანა – რძის მისაღებად. დასაწყისისთვის გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, რამაც საშუალება მისცა, ამ ბალახეული რძისაგან ყველი დაემზადებინა, ლიონის მეცნიერებათა აკადემიის მიერ შეფასებული, როგორც „გემოთი თხის ყველის მსგავსი, ოღონდაც რამდენადმე მწარე“. ამის მიუხედავად, ცდების შეჩერება მოუხდა, რადგან უზარმაზარი თანხები ეხარჯებოდა ბუღის სპერმაზე, ჰექტოლიტრობით რომ ასხურებდნენ მინდვრებს. და მაინც, აგრარულ-ბიოლოგიური პრობლემების კვლევამ იგი არა მარტო ნიადაგის, არამედ, საერთოდ, მიწისა და ბიოსფეროსთან დამოკიდებულების საკითხთან მიიყვანა.

სარძევე-საწველი ყვავილის გამოყვანაზე ცდებს რომ მორჩა, ახლა შეურყეველი თავგამოდებით მისდგა დიდი თხზულების წერას, მიწასთან სიახლოვისა და ვიტალურობის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. თეზისად ის ჰქონდა, რომ სიცოცხლე მიწისაგან მხოლოდ განსაზღვრულ მანძილზე დაშორებისას შეიძლება განვითარდეს, რადგან მიწა მუდმივად გამოყოფს ლპობის აირს — ესაა ეგრეთწოდებული fluidum letale*, რომელიც ვიტალურ ძალებს თრგუნავს და ადრე თუ გვიან, მათს სრულს პარალიზებასაც ახდენს. ამიტომაც არის, რომ ყველა ცოცხალი არსება, ზრდის საშუალებით ცდილობს, გასცილდეს მიწას — ე. ი. მისგან ზემოთ იზრდება და არა მასში;

* მომაკვდინებელი აირი (ლათ.)

ამავე მიზეზით მიაქვთ ზემოთ თავისი ყველაზე ფასეული ნაწილები: ხორბალს – თავთავი, ყვავილს – კოკორი, ადამიანს – თავი. და ამიტომაც არის, რომ როდესაც სიბერე მოხრის მათ და ისევ მიწისაკენ მიდრეკს, ისინი უცილობლად ამ ლეტალური გაზის გავლენის ქვეშ ხვდებიან და ბოლოს და ბოლოს, ხრწნის პროცესის წყალობით, იმავე გაზად გადიქცევიან სიკ-ვდილის შემდეგ.

ცნობისთანავე, რომ პიერფორს მოევლინა კაცი, რომელსაც შვიდი წელი ქვაბულში გაუტარებია, ხრწნის მთავარი ელემენტით – მიწით გარემოცულს, აღტკინებულმა მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასმა წამსვე გადაწყვიტა, გრენუი სასწრაფოდ ჩემს ლაბორატორიაში უნდა გადავიყვანო და იქ დიდის ყურადღებითა და უახლესი მეთოდებით გამოვიკვლიოო. მარკიზს მიაჩნდა, რომ გრენუი შესანიშნავი ნიმუში იქნებოდა ზემოხსენებული ლეტალური თე-ორიის დასამტკიცებლად; ამ სუბიექტზე *ფლუიდუმ ლეტალე*-ს ზემოქმედებას მისი ოცდახუთი წლის სხეული მოხუცებულის მიხრწნილობამდე მიეყვანა და სიკვდილისაგან მხოლოდ იმან გადაარჩინა – ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდა თავად ტაიად-ესპინასს, რომ ტყვეობაში ყოფნისას, გრენუი მიწისა-გან დაცილებული მცენარეებით იკვებებოდა – სავარაუდოა, პურითა და ხილით. ახლა, ირწმუნებოდა მარკიზი, ავადმყოფისათვის სრული ჯანმრთე-ლობის დასაბრუნებლად, აუცილებელი იყო ფლუიდის სრულიად განდევნა მისი სხეულიდან, და ეს მხოლოდ მისი, მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასის მიერ შექმნილი „ვიტალური ჰაერით გამნიავებელი აპარატის“ მეშვეობით იყო შესაძლებელი. ასეთი აპარატი მას მონპელიეში, თავისი სასახლის სხვენზე უდგას და თუ გრენუი დათანხმდება საკუთარი თავი სადემონსტრაციო ობიექტად ჩათვალოს, მარკიზი არამარტო დაიხსნის მას მიწის გაზით უიმედო მოწამვლისაგან, არამედ გვარიანი თანხითაც დააჯილდოვებს...

ორიოდ საათის შემდეგ, უკვე ეტლში ისხდნენ. ყოვლად აუტანელი გზების მიუხედავად, მონპელიემდე სამოცდაოთხი მილი სულ რაღაც ორ დღეში განვლეს, რადგან მარკიზი, ხანდაზმულობის მიუხედავად, შემთხვევას არ უშ-ვებდა არ გაეშოლტა ცხენები და ჟამი-ჟამ მეეტლეც მიეყოლებინა ზედ, ხოლო ხელნებისა და რესორების მრავალგზის დამტვრევის შემთხვევებში, პირადად მონაწილეობდა მათ შეკეთებაში – იმდენად იყო აღტაცებული თავის მონაპოვარით, ისე სწყუროდა, რაც შეიძლება მალე წარედგინა იგი განსწავ-ლული საზოგადოებისათვის. სამაგიეროდ, კოფოდან ჩამოსვლის უფლება გრენუის ერთხელაც არ მისცეს: უნდა მჯდარიყო მეეტლის გვერდით თავის ძონძებში, თავით ფეხამდე სველი თიხითა და მიწით გათხვრილ ჩულოში გა-მოხვეული და მოგზაურობის მთელი ხნის განმავლობაში მხოლოდ ძირხვე-ნებს აჭმევდნენ — მარკიზს იმედი ჰქონდა, მიწის ფლუიდით მოწამვლის ამ იდეალურ შემთხვევას ცოტა ხნით ასე მაინც დააკონსერვებდა.

მონპელიეში ჩასვლისთანავე, ბრძანება გასცა გრენუი სასწრაფოდ ჩაემწყ-ვდიათ სასახლის სარდაფში და მოსაწვევები დაუგზავნა სამედიცინო ფა-კულტეტის, ბოტანიკური საზოგადოების, სასოფლო-სამეურნეო სკოლის, მა-სონთა ლოჟისა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებებს, რომელთა რიცხვი ქალაქში თორმეტზე არანაკლები იქნებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი – ზუსტად ერთი კვირის თავზე იმ დროიდან, რაც მან თავისი თავშესაფარი მია-

ტოვა მთებში – გრენუი მონპელიეს უნივერსიტეტის საქტო დარბაზში, მრავალრიცხოვან მსმენელ-მაყურებელთა წინაშე წარსდგა. მოხსენებაში მარკიზ ტაიად-ესპინასმა იგი დაახასიათა, როგორც მიწის ლეტალურ ფლუიდთა თეორიის ჭეშმარიტების ცოცხალი დასაბუთება. ახსნა-განმარტებასთან ერთად, მარკიზი ნაჭერ-ნაჭერ აგლეჯდა გრენუის ძონძებს: აი, ბატონებო, რა შემაძრწუნებელ ეფექტს ახდენს გამხრწნელი გაზის ზემოქმედება სადემონსტრაციო ობიექტის სხეულზე; მიაქციეთ ყურადღება წყლულებსა და ნაწიბურებს; აი, აქ კი, მკერდზე, უზარმაზარი სისხლისფერ-წითელი კარცინომაა, იმავე გაზისაგან გამოწვეული; მთელი კანი დახეთქილია; სახეზეა აგრეთვე ხერხემლის ფლუიდალური გამრუდება კუზის სახით და ფეხის შეხორცებული თითები. შიდა ორგანოები: ელენთა, ღვიძლი, ფილტვები, ნაღვლის ბუშტი და საჭმლის მომნელებელი ტრაქტი – მძიმედაა დაზიანებული და ამას დამაჯერებლად ადასტურებს განავლის სინჯი. თვით სინჯი თასშია მოგროვებული და ობიექტის გვერდით ძევს ფიცარნაგზე. ნებისმიერ მსურველს შეუძლია თავად განსაჯოს. ყოველივე ზემოთქმულიდან ის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვიტალური ძალების დამბლა, გამოწვეული fluidum letale taillade-ის შვიდწლიანი ზემოქმედებით, უკვე იმდენად პროგრესირებადია, რომ სუბიექტი – ვისი გარეგანი იერსახეც გადაგვარების მკაფიო ნიშნებს ატარებს – უნდა განისაზღვროს როგორც არსება, რომელიც უკვე, ფაქტიურად, სიკვდილთანაა წილნაყარი. ამისდა მიუხედავად, მომხსენებელი ეცდება ვენტილაციური თერაპიის მეშვეობითა და ვიტალური დიეტის გამოყენებით, რვა დღეში მიაღწიოს სრული გამოჯანმრთელების მკაფიო ნიშნებს. ყველა აქ დამსწრეს მოგიწოდებთ, კვირაძალს შეიკრიბოთ, რათა პროგნოზის უტყუარობასა და მიწის ფლუიდის ჩვენეული თეორიის ურყეობაში პირადად დარწმუნდეთ!..

მოხსენებას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. განსწავლულმა საზოგადოებამ მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მეცნიერი, ხოლო შემდეგ იმ ფიცარნაგის გასწვრივ გამწკრივდნენ, გრენუი რომ იდგა. მისი ყოვლად ანტისანიტარიული მდგომარეობა, ჩირქოვანი იარები და მოტეხილობების ნაკვალევები იმდენად შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ყველამ საბოლოოდ განწირულად ჩათვალა, თუმცა თავად კი გრძნობდა, რომ ჯანმრთელიც იყო და ჯანმოსულიც. სწავლულ ბატონთაგან ზოგიერთი საქმის ცოდნით უკაკუნებდა მკერდზე თითს, ზოგი ზომავდა და ზოგიც პირში ჩახედავდა ხოლმე, ან ქუთუთოებს უქაჩავდა ზევით; სხვები ესაუბრებოდნენ, ქვაბულზე ეკითხებოდნენ, ან იმაზე, თუ როგორ გრძნობდა თავს ამჟამად. გრენუი, მარკიზის დარიგებებისდა კვალად, მხოლოდ მოგუდული ხრიალით პასუხობდა და ორივე ხელით fluidum letale taillade-თი დაზიანებულ ხახაზე უთითებდა...

დემონსტრაცია რომ დამთავრდა, მარკიზმა ისევ შეფუთა ჩვენი გმირი და უკან გააგზავნა, თავისი სასახლის სარდაფში. იქ, სამედიცინო ფაკულტეტიდან მოწვეული რამდენიმე რჩეული ექიმის თანდასწრებით, ვიტალური ჰაერის გასანიავებელ აპარატში მოათავსა – ანუ ერთმანეთთან მჭიდროდ მორგებული ფიჭვის ფიცრებისაგან გაკეთებულ საკუჭნაოში. საკუჭნაო შემომწოვი მილისაგან შემოსული, ლეტალური გაზისაგან თავისუფალი ჰაერით ნიავდე-

ბოდა, ხოლო უკვე გამოყენებული აირი კი იატაკში დატანებული ტყავის საქშენით გადიოდა. ეს საკმაოდ რთული დანადგარი მსახურების მთელ რაზმს მოჰყავდა მოქმედებაში და დღიან-ღამიანად ზრუნავდნენ, მილში ჩაყოლებულ სანიავებლებს მუდმივად ეტრიალათ. ასე და ამგვარად, გრენუი განმწმენდი ჰაერის ნაკადით იყო გარემოცული, ხოლო კედელში ჩატანებული პატარა, ორფრთიანი კარიდან ყოველ საათში ერთხელ აწვდიდნენ მიწიდან დაცილებულ საკვებს: მტრედის ბულიონს, ტოროლის პაშტეტს, გარეული იხვის შეჭამანდს, მურაბას – აუცილებლად ხის კენწეროდან ჩამოკრეფილი ხილისაგან; განსაკუთრებული, მაღალი ჯიშის ხორბლიდან გამომცხვარ პურს, პირინეულ ღვინოს, არჩვის რძეს და სასახლის სხვენზე გამოზრდილი ქათმების კვერცხებისაგან ათქვეფილ ბეზეს...

მთელი ხუთი დღე გრძელდებოდა დეზინფექციითა და რევიტალიზაციით მკურნალობის კურსი. ამის შემდეგ მარკიზმა საქშენები გააჩერებინა და პაციენტი ახლა სააბაზანო ოთახში გადაიყვანა, სადაც რამდენიმე საათით ჩაალბეს შემთბარ წვიმის წყალში და ბოლოს მაღალმთიან ქალაქ პოტოსიდან ჩამოტანილ ნიგვზის ზეთზე დაყენებული საპნით განბანეს. ხელებზე და ფეხებზე ფრჩხილები დააჭრეს, დოლომიტის კირის წმინდა ფხვნილით გაუხეხეს კბილები, გაკრიჭეს, გაპარსეს, თმები დაუკულულეს და პუდრიც მოაყარეს. მოიყვანეს თერძი, მეწაღე და გრენუომ ცხოვრებაში პირველად იგემა საკუთარ თარგზე შეკერილი, გახამებულსახელოებიანი, თეთრჟაბოიანი პერანგი, აბრეშუმის წინდები, მაუდის შარვალი და ცისფერი ხავერდის ჟილეტი, რომ არაფერი ვთქვათ შავი ესპანური ტყავის ლამაზ, ბალთებიან ფეხსაცმელებზე, რომელთაგან მარცხენა, განსაკუთრებულად ნაკერი, მშვენივრად ფარავდა მის დამახინჯებულ ფეხის ტერფს. მარკიზმა საკუთარი ხელით გადაუსვა ფერუმარილი გრენუის დაკენკილ სახეს, ოდნავ წასცხო ჭიაფერი ტუჩებსა და ღაწვებზე, ხოლო გამომწვარი ცაცხვის ფანქრით მის წარბებს ჭეშმარიტად კეთილშობილური მოხრილობა მისცა. შემდეგ მარტივი, სადა, იასამნის სუნამო მოასხურა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიწია და კარგა დიდხანს ეძებდა სიტყვებს საკუთარი აღტაცების გამოსახატად.

– ყმაწვილო, – წამოიწყო როგორც იქნა, – პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ საკუთარი თავითა და შეძრწუნებული – საკუთარი გენიალობით! თქმა არ უნდა, არასოდეს შემპარვია ეჭვი ჩემი ფლუიდალური თეორიის სისწორეში – არამც და არამც – ოღონდ თუ ასრერიგად დადასტურდებოდა პრაქტიკულ თერაპიაში, მეც არ მეგონა! ლამის ცხოველი იყავით და თქვენგან ადამიანი შევქმენი – ღვთიური შესაქმეა, ღმერთმანი! ბარემ ეს სიამეც მომანიჭეთ – მიდით ერთი იმ სარკესთან და საკუთარ ანარეკლს შეავლეთ თვალი... პირველად შეიგრძნობთ, რომ ადამიანი ხართ – ვერ ვიტყვი, განსაკუთრებული ან რაიმეთი გამორჩეული, ან რითიმე აღმტაცებელი, მაგრამ მაინც, სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი! სარკესთან მიბრძანდით, სარკესთან! იხილეთ და გაოცდით იმ ჯადო-მისნობით, რაიც თქვენს მიმართ მოვიმოქმედე!

გრენუის აქამდე სარკეში არასოდეს ჩაეხედა და რა ჰკიდა თვალი მოხდენილ სამოსში, თეთრ ხალათსა და აბრეშუმის წინდებში გამოკვართულ ყმაწვილს, ჩვეულებისამებრ მოიხარა წელში, როგორც ყოველთვის იხრებოდა ამგვარად გამოწყობილი ბატონების წინაშე. მისდა გასაკვირად, ის გა-

მოწყობილი ბატონიც მოიხარა, ხოლო როდესაც გრენუი ისევ გასწორდა წელში, ბატონმაც იგივე გააკეთა და მერე ასე გაშტერებულნი იდგნენ და ერთხანობა ჯიქურ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ყველაზე მეტად გრენუი სწორედ იმ ფაქტმა გააოცა, რომ მარკიზის თქმისა არ იყოს, მართლა ჩვეულებრივად გამოიყურებოდა: მასში ნამდვილად არაფერი იყო განსაკუთრებული – არც ხიბლიანი ჩანდა, მაგრამ არც ძალიან მახინჯი; საკმაოდ დაბალი, ოდნავ გვერდმოქცეული, უღიმღამო სახით... მოკლედ, ისე გამოიყურებოდა, როგორც ათასობით სხვა – ქუჩაში რომ გაევლო, არა კაცი არ მობრუნდებოდა თვალის გამოსაყოლებლად. აკი თვითონაც არ მიაქცევდა ყურადღებას ვინმე ასეთს, როგორც ახლაა, გზაში რომ შეხვედროდა თუნდაც პირისპირ. ალბათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიყნოსავდა, რომ ამ შემხვედრს მხოლოდ და მხოლოდ იის სურნელი ასდის, როგორც იმ ბატონს სარკეში, და როგორც ახლა თავად, სარკის წინ მდგომს...

არადა სულ ათი დღის წინ მისი დამნახავი გლეხები კივილით გარბოდნენ აქეთ-იქით. არც მაშინ გრძნობდა თავს სხვაგვარად ვიდრე ახლა, და ახლაც, თვალებს რომ დახუჭავს, სულაც არა გრძნობს თავს მაშინდელისაგან განსხვავებულად. გარსშემორტყმული ჰაერი შეიყნოსა და ყოვლად უვარგისი სუნამოს, და მაუდის, და თავისი ფეხსაცმლის ახალგამოყვანილი ტყავის სუნი შეიგრძნო, შეიყნოსა აბრეშუმის, პუდრის, პომადის სუნი, პოტოსური ზეთის მინავლებული სურნელი და უცებ მიხვდა, რომ მტრედის ბულიონი და რაღაც ვენტილაცია კი არ იყო საჭირო მისგან ნორმალური ადამიანის შესაქმნელად, არამედ სწორედ ეს მოდური ჭინჭები, ვარცხნილობა და სულ მცირედი კოსმეტიკური ხრიკები!

თვალი მოჭუტა და მოეჩვენა, სარკეში მყოფმა ბატონმაც თითქოს თვალი ჩაუკრა და მისი ჭიაფერით შეღებილი ტუჩების კუთხეში ღიმილი გაკრთა — თითქოს უნდოდა ენიშნებინა, არც ისე საზარელი შესახედი ხარო. თავის მხრივ გრენუიმაც მიიჩნია, რომ ეს სარკეში მყოფი, ადამიანური სუნის არმქონე ფიგურა საკმაოდ სასიამოდ გამოიყურებოდა; ყოველი შემთხვევისთვის, ანარეკლს თავი დაუკრა და შეამჩნია, საპასუხო თავის დაკვრის დროს ისიც მალულად ბერავდა ნესტოებს...

31.

მეორე დღეს – მარკიზი იმ დროს სავალდებულო პოზების დაჭერას, ჟესტებსა და საცეკვაო სვლებს ასწავლიდა – გრენუიმ თავბრუსხვევის პატარა შეტევა გაითამაშა და სულის ხუთვისაგან ვითომდა მთლად ძალაგამოცლილი, დივანზე გაიშხლართა.

მარკიზი, ლამის იყო, ჭკუიდან გადავიდა. ჯერ მსახურებს დაუწყო ყვირილი, ითხოვა, სასწრაფოდ მოეტანათ დიდი მარაო, სანიავებლები და

როგორც კი მსახურები ბრძანების შესასრულებლად გასხლტდნენ, მუხლებზე დაეცა გრენუის გვერდით, თავისივე ცხვირსახოცით უნიავებდა, იის მძაფრი სურნელი რომ ასდიოდა, და აფიცებდა, მეტიც – ევედრებოდა, როგორმე ფეხზე წამომდგარიყო, მაინცა და მაინც ახლა არ მიებარებინა უფლისთვის სული, ან შესაძლებლობის ფარგლებში, ზეგამდე მაინც მოეთმინა, საფრთხეში არ ჩაეგდო ლეტალური ფლუიდური თეორიის ნათელი მომავალი!..

გრენუი იკრუნჩხებოდა და იგრიხებოდა, ახველებდა, ხროტინებდა, ორივე ხელით იცილებდა ცხვირსახოცს და საბოლოოდ, ფრიად დრამატულად გადმოესვენა დივანიდან, პარკეტზე გახოხდა და ოთახის შორეულ კუთხეში მოყუჩდა.

– ოღონდ ეგ სუნამო მომაშორეთ! – ისე წამოიხავლა, თითქოსდა უკანასკნელ ძალებს კარგავდა. — ეგაა რომ მკლავს!..

და მხოლოდ მაშინ, როდესაც ტაიად-ესპინასმა ცხვირსახოციც გადააგდო ფანჯრიდან და რატომღაც, კამზოლიც ზედ მიაყოლა, გრენუიმ ეს მძაფრი შეტევა მოთოკა და მიმტკნარებული ხმით აუწყა რომ მას, მენელსაცხებლის შეგირდს, მისი პროფესიის ადამიანებისათვის დამახასიათებელი ფაქიზი ყნოსვა აქვს და ზოგიერთ არომატებზე მისი ორგანიზმი განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებს... ის ვითარება, რომ სწორედ იის სუნი – ია ხომ საამური ყვავილია – ასეთი აუტანელია მისთვის, მხოლოდ იმით შეუძლია ახსნას, რომ მარკიზის სუნამო გადამეტებით დიდი რაოდენობით შეიცავს იის ფესვს, ეს უკანასკნელი კი, თავისი მიწისქვეშა წარმოშობის გამო, ცუდ ზემოქმედებას ახდენს ლეტალური ფლუიდით ასეგვარად ჯანმორყეულ პიროვნებაზე... ჯერ კიდევ გუშინ, სუნამოს პირველად ხმარებისას იგძნო თავბრუსხვევა, ხოლო დღეს, განმეორებით რომ შეიყნოსა ნაყენი, თითქოს ისევ იქ აღმოჩნდა, იმ საზარელ დახუთულ ეხში, სადაც შვიდი წელი გატარა... ახლა კი, მას შემდეგ რაც მარკიზის ხელოვნებამ სიცოცხლე აჩუქა ფლუიდებისაგან განწმენდილ ჰაერში, ურჩევნია ადგილზე მოკვდეს, ვიდრე კიდევ ერთხელ განიცადოს ამ საზიზღარი ფლუიდის ზემოქმედება! ახლაც კი გული ეკუმშება ფესვებისაგან დამზადებული სუნამოს გახსენებაზე... სრულიად დარწმუნებულია – ძალები მაშინვე დაუბრუნდება, თუ მარკიზი ნებას მისცემს იის სუნის სრულიად გასაძევებლად თავადვე დაამზადოს საკუთარი სუნამო; წარმოიდგინეთ მიწისაგან დაცილებული ინგრედიენტების ძალზე მსუბუქი, ჰაეროვანი, ფიჭვის წიწვების ესენცია და ტანმაღალი კვიპაროსის ზეთი! სულ რამდენიმე შხეფი ტანისამოსზე, რამდენიმე წვეთი ყელზე და ღაწვებზე — და ის სრულიად დაზღვეული იქნება იმგვარი გამტანჯავი შეტევებისაგან, ახლახანს რომ გადაიტანა...

ის რაც ჩვენ ახლა, საქმის გასაიოლებლად, მოკლედ გადმოგეცით, სინამდვილეში კარგა ნახევარსაათიანი ენაღვარჭნილობის ნიმუში იყო — ხრიალით, სლუკუნითა და სულის ხუთვის შეტევებით ბევრგზის განაწყვეტი — კრუნჩხვებით, ხელების ქნევითა და თვალების თეატრალურად ამოტრიალების თანხლებით. მარკიზი გაშრა – ტანჯვის სიმპტომებზე მეტად, მასზე გრენუის დამაჯერებელმა არგუმენტაციამ გაჭრა. რაღა თქმა უნდა, იის სუნამოს ბრალია ყველაფერი! მიწასთან ამაზრზენად ახლოს მყოფი, მეტიც –

ფაქტიურად, შიგ მიწაში მზარდი პროდუქტი! უდავოა, უკვე თავადაც ექნება ეგ სენი შეყრილი და ვერც კი ხვდება, რომ ეს სურნელი მეთოდურად უახლოვებს სიკვდილის დღეს! ის ნიკრისის ქარი რომ სჭირს, კეფა რომ უქვავდება, ასო რომ ჰკიდია ჩვარივით, და ბუასილი რომ აწუხებს, და ხმაური ყურებში, და დამპალი კბილები – ყველაფერი უთუოდ იის მყრალი ფესვებით მოწამვლის შედეგია! და ეს – ეს საცოდავი კაცუნა, ეს არარაობა, ოთახის კუთხეში რომ მიყუჟულა – მას ჭეშმარიტებას აუწყებს! გული აუჩუყდა მარკიზს. სურდა ახლოს მისულიყო, აეყენებინა და გულში ჩაეკრა, მაგრამ დროულად გაახსენდა – ჯერაც მძაფრად მდის იის სუნიო, მსახურებს უხმო და უბრძანა გაექროთ ამ სუნამოთი სავსე ყველა ფლაკონი, გაენიავებინათ სასახლე, ვიტალური ჰაერის აპარატში დეზინფექცია ჩაეტარებინათ მთელი გარდერობისთვის, ხოლო გრენუი საკაცით მიეყვანათ ქალაქის პირველ პარფიუმერთან... სწორედ ამის მისაღწევად გაითამაშა გრენუიმ ზემოხსენებული შეტევები.

ნელსაცხებლების დამზადებას მონპელიეში ძველი ტრადიციები ჰქონდა და იმის მიუხედავად, რომ ბოლო ხანებში, ქალაქ-კონკურენტ გრასთან შედარებით წარმოება ოდნავ დაკნინდა, ქალაქში მაინც დარჩა ორი-სამი კარგი პარფიუმერი და მეხელთათმანე. ყველაზე პატივცემულმა მათ შორის, ვინმე რუნელმა, გაითვალისწინა თავისი ფრიად სარფიანი საქმიანი ურთიერთობები მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასის ოჯახთან, რომელსაც საპონს, საცხებს და ნელსურნელებებს აწვიდა და ამ სრულიად განსაკუთრებულ ნაბიჯს დასთანხმდა – ერთი საათით დაეთმო საკუთარი ატელიე უცნაური პარიზელი შეგირდისათვის, საკაცით რომ მოაყენეს კარს. ამ უკანასკნელს არავითარი ახსნა-განმარტებებისათვის არ მიუგდია ყური, არც ის უკითხავს, სად რა ეწყო და პირდაპირ განაცხადა – თავად გავარკვევ ყველაფერსო; ჩაიკეტა სახელოსნოში, სრული ერთი საათი გაატარა იქ, ხოლო რუნელმა და მარკიზის მოურავმა სამიკიტნოს მიაშურეს, სადაც, სულ რამდენიმე ჭიქა ღვინის ფასად, რუნელი იძულებული გახდა ესმინა, თუ რატომ და რა მიზეზით არა აქვს მის იის წყალს დე ლა ტაიად-ესპინასის საჯალაბოში არსებობის უფლება.

რუნელის ატელიე და სახელოსნო ვერ იყო მთლად ისე ბრწყინვალედ მოწყობილი, როგორც ბალდინის სურნელოვან ნაწარმთა მაღაზია პარიზში: რამდენიმე სახეობის ყვავილის ზეთი, ნაყენი თუ ნაზავი, რიგით მენელსაცხებლეს არავითარ გასაქანს არ მისცემდა, ოღონდაც გრენუისათვის კი ეს მასალაც სრულიად საკმარისი იყო. არავითარი დიდებული სურნელების შექმნას ის არ აპირებდა. არც ცდილა, განეზავებინა, როგორც თავის დროზე ბალდინისთან, რაღაც განსაკუთრებული, ბრწყინვალე სუნამო, რომელიც ათასი სხვა სურნელისაგან გამორჩეული იქნებოდა და საზოგადოებას გადაიყვანდა ჭკუიდან. ევკალიპტისა და კვიპაროსის ფოთლის ესენციებს მხოლოდ უნდა შეენიღბათ მთავარი არომა, რომლის დამზადებაც მან განიზრახა — ადამიანის, უბრალოდ — ადამიანის სუნი!.. უნდოდა მიეთვისებინა, დასაწყისისთვის თუნდაც უხარისხო სუროგატის სახით, ის სუნი, რომელიც თავად მას არ გააჩნდა. რა თქმა უნდა, ზოგადად ადამიანის სუნი არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ზოგადად სახე – ყველა ადამიანს თავისებური სუნი

სდის და არც არავინ უწყოდა ეს გრენუიზე კარგად, ვინაც ათასობით სუნს სცნობდა, დაბადებიდანვე სუნით განარჩევდა ადამიანებს. და მაინც, პარფიუმერის თვალთახედვიდან გამომდინარე, იყო რაღაცა საერთო გამა მასში და საკმაოდ მარტივიც: ოფლისა და ქონის, ყველისა და სიმჟავის... მოკლედ, საკმაოდ მძაღე. ასე თუ ისე, იგი ყველა ადამიანისათვის იყო დამახასიათებელი და სწორედ ეს უნდა დასდებოდა საფუძვლად ინდივიდუალური არომის ძირითად თემას.

ოღონდაც ეს თემა, ეს ნაკადი, პირადი სუნის ეს განუმეორებელი კოდი ადამიანთა უმეტესობისათვის შეუცნობელია. მათ არც არაფერი იციან იმისა, რომ მსგავსი რამ გააჩნიათ და ამას გარდა, ყოველთვის ცდილობენ ან ახალი ტანსაცმლით, ან ახალი, მოდური სუნამოთი შენიღბონ. კარგად ცნობენ მხოლოდ იმ მთავარ სუნს, იმ – უპირველეს და პრიმიტიულ – სხეულის ანაორთქლს, რომელშიც ცოცხლობენ და ყველანი, ვინც ამ სიმყრალეს გამოსცემს, თავისიანად აღიქმებიან...

ამ დღეს გრენუიმ ფრიად უცნაური სუნამო მოამზადა. ამაზე უცნაური ქვეყნად ჯერ არცერთი არ დამზადებულა: მიითვისა არა უბრალოდ სუნი, არამედ სუნი იმ ზოგადად ადამიანისა, სუნი რომ ასდის. ყველა, ვინც კი მას შეისუნთქავდა თუნდაც უკუნში, მაშინვე გაიფიქრებდა რომ აქ, სადღაც, კიდევ ვიღაც არის; თუ მას იპკურებდა ადამიანი, რომელსაც თავად ასდის ადამიანური სუნი, მოგეჩვენებოდათ, რომ აქ ორი ადამიანია, ან კიდევ უარესი, ჯადოქრული ორმაგი არსება, როგორც ხატება, რომელიც აღარ შეიძლება ერთმაგად დააფიქსირო, რადგან მისი გარშემოხაზულობა არამკაფიოა, გადღაბნილი, როგორც წყლის ლივლივით დამახინჯებული ანარეკლი ტბის ზედაპირზე.

ამ სუნის ასლის გადასაღებად – რაც მისი აღქმისთვის უხარისხო, მაგრამ სხვათა მოსატყუებლად მაინც საკმაო იქნებოდა – გრენუიმ რუნელის სახელოსნოში სხვებისთვის სრულიად გამოუსადეგარი, მოულოდნელი, შეიძლება ითქვას, არატრადიციული ინგრედიენტები გამოძებნა.

კატის ჯერ კიდევ ნედლი განავალი, კარის ზღურბლთან რომ იპოვა – აიღო ნახევარი კოვზი და ჩასდო შესარევში მცირეოდენ ძმარსა და დანაყილ მარილთან ერთად; მაგიდაზე ყველის ნაფჩხვენი აღმოაჩინა, რუნელს რომ მორჩენოდა ნავახშმევს და საკმარისად მძაფრ სუნს რომ გამოსცემდა; სავაჭროს უკან, კასრის სახურავიდან ჩამოფხიკა რაღაც, რასაც თევზის ნაწლავების სუნი უდიოდა, გადაურია ეს ყველაფერი ლაყე კვერცხს, სასაქმებელ ზეთს, ნიშადურს, მუსკატის დანაყილ კაკალს, დამწვარ რქას და ღორის ხიწიწს, დაუმატა დიდი რაოდენობით ციბეტინი, მერე ეს ნარევი სპირტით გააზავა და დალექვის საშუალება მისცა. შემდეგ გაფილტრა და ახლა სხვა ჭურჭელში გადაასხა. სუნი შემზარავი იყო – გახრწნის, კლოაკის, სიდამპლის შმორი სდიოდა, მაგრამ როდესაც მარაოს ერთი აქნევა ამ ანაორთქლს სუფთა ჰაერსაც შეურევდა, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდათ, თითქოს პარიზში, ოპერისა და ლანჟერის ქუჩების გადაკვეთაზე იდექით ზაფხულის ცხელ დღეს – იქ, სადაც თევზის რიგების, *უმანკოთა სასაფლაოსა* და გადაჭედილი სახლების სუნი ტრიალებს...

სწორედ ამ საზიზღრობას, რომელსაც გვამის სუნი უფრო სდიოდა, ვინემ ცოცხალი ადამიანის, არომატული ეთერული ზეთების მხოლოდ თხელი ფენა დაადო: წიწაკის, ლიმონისა და ევკალიპტისა და ყოველივე ეს შეარბილა, ოდნავ მიჩქმალა კიდეც ყვავილების ნატიფი ზეთების თაიგულით: ნემსიწვერა, ვარდი, ფორთოხლის ყვავილი და ჟასმინი. სპირტით ხელმეორედ გაზავებითა და ცოტაოდენი ძმრის დამატებით ის უგვანი ფუძე, რაზედაც მთელი ეს ნარევი წარმოიქმნა, ყნოსვისათვის სრულიად მიუწვდომელი გახდა. ახალმა ინგრედიენტებმა შეუმჩნეველი გახადა ფარული სიმყრალე, ყვავილების სურნელმა შენიღბა არსი; მეტიც – საინტერესოც კი გახადა. ახლა შეუძლებელი იყო გახრწნისა და სიდამპლის სუნის შეგრძნება, ის სრულიად გამქრალიყო და პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება იქნებოდა, რომ ეს სუნამო რარაც მაცოხლებელ, ფრთებისშემსხმელ სურნელს აფრქვევდა!

გრენუიმ ორ ფლაკონში გადაასხა ნაზავი, საცობები მჭიდროდ მოარგო და ჯიბეებში შეინახა. შემდეგ საფუძვლიანად გარეცხა შემრევები, ფილები, ძაბრები და კოვზები, მწარე ნუშის ზეთით გაწმინდა, რათა სუნის ყოველგვარი კვალი მოესპო და ახლა სხვა შემრევს დასწვდა. სწრაფად შეაზავა მეორე სუნამო, პირველის ასლის მსგავსი, რომელიც ასევე ეთერული ზეთებისა და ყვავილთა ნაყენებისაგან შედგებოდა, ოღონდ საფუძვლად ის ჯადოსნური ნარევი აღარ ჰქონდა და სრულიად ჩვეულებრივ ინგრედიენტებს შეიცავდა — მუშკს, მურს, ცოტაოდენ ციბეტინსა და კვიპაროსის ზეთს. ამ ახალ სუნამოს სულ სხვაგვარი არომა ჰქონდა პირველთან შედარებით – არც იმდენად აგრესიული, უფრო მიამიტი, ნაკლებად იდუმალი, – ვინაიდან სწორედ ის საფუძველი არ ჰყოფნიდა, ადამიანის სუნს რომ იმეორებს...

ამ სუნამოთიც გაავსო ფლაკონი, გაიხადა და დედიშობილა დარჩა. მერე აიღო ის, პირველი სუნამო, ტანსაცმელს მოაპკურა და თავადაც მიისხურა იღლიებში, ფეხის თითებს შორის, ლაჯებში და ყურებს უკან; გადაისვა თმებზე და კისერზე, მერე ისევ შეიმოსა და უჩუმრად გავიდა სახელოსნოდან.

32.

ქუჩაში რომ გამოვიდა, უეცრად შიში დაეუფლა – იცოდა, თავის არსებობის მანძილზე პირველად ასდიოდა ადამიანის სუნი. თუმცა, მისთვის რომ გეკითხათ – უბრალოდ ყარდა, ყარდა საზიზღრად. წარმოდგენაც კი არ შეეძლო, თუ სხვები სულაც არ აღიქვამდნენ მის სუნს, როგორც სიმყრალეს და ვერ შებედა სამიკიტნოში, სადაც რუმელი და მარკიზის მოურავი ელოდნენ. ახალი სურნელის უჩუმრად გამოცდა ამჯობინა — ადგა და ყველაზე ვიწრო, ჩაბნელებული ჩიხებით დაეშვა მდინარისაკენ; იქით, სადაც დაბაღებსა და მღებავებს თავიანთი სახელოსნოები ჰქონდათ გამართული და თავიანთ მყრალ საქმიანობას ეწეოდნენ. ვინმე შემხვედრის დანახვაზე, ან რომელიმე წინკართან, სადაც ბავშვები თამაშობდნენ და დედაბრები ჩამომსხდარიყვნენ, თავს აიძულებდა, ნაბიჯი შეენელებინა.

აკი ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული, რომ გვერდზე ჩავლილი ადამიანები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ; არა ზიზღის გამო – როგორც ადრე ეგონა, – არამედ საერთოდ ვერ ამჩნევდნენ მის არსებობას. მხოლოდ მაშინ, როდესაც პირისპირ შეეჩეხებოდა ვინმეს, ბრბოში ან მოულოდნელად, ქუჩის კუთხეში, წარმოიქმნებოდა ხოლმე აღქმის ველში მეყვსეული ჩართვა და ჩვეულებრივ, შემხვედრი შერძრწუნებით გადაქანდებოდა ხოლმე უკან, რამდენიმე წამი უყურებდა მას, გრენუის, ისე როგორც არსებას, რომელსაც არსებობის არავითარი უფლება არ გააჩნია; არსებას, რომელიც უეჭველად იყო მის წინ და თან, როგორღაც, არც არსებობდა – სწრაფად შეტრიალდებოდა, გაშორდებოდა და იქვე მიივიწყებდა...

ოღონდ ახლა, მონპელიეს ჩიხებში, გრენუი ხედავდა და გრძნობდა – და ამჯერად სიამაყის მწვავე გრნობაც დაეუფლა – რომ ის რაღაცნაირ ზემოქმედებას ახდენს სხვებზე: ჭის კიბეზე გადახრილ ვიღაც ქალს ჩაუარა და შეამჩნია, სასწრაფოდ წამოსწია ქალმა თავი, შეათვალიერა და შემდეგ, აშკარად დამშვიდებული, ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა. ვიღაც მამაკაცი, რომელიც მისკენ ზურგით იდგა, შემობრუნდა და კარგა ხანს ცნობისმყვარედ ადევნებდა თვალს. ბავშვები, რომლებსაც ხვდებოდა, გზას უთმობდნენ – არა შიშით, არამედ პატივისცემით; და მაშინაც კი, როდესაც სახლის კარებიდან გამოვარდნილები უნებურად შეეჩეხებოდნენ, ყოველგვარი შეკრთომის გარეშე გასლხტებოდნენ ხოლმე გვერდზე.

რამდენიმე ასეთი შეხვედრის გამოისობით ზუსტად შეიგრძნო თავისი ახალი აურას ძალა და უფრო თვითდარწმუნებული და თავხედიც კი გახდა. სწრაფად უახლოვდებოდა ადამიანებს, უნდოდა, რაც შეიძლება ახლოს ჩაევლო მათთან, მარცხენა ხელს იქნევდა და თითქოს შემთხვევით შეეხებოდა ხოლმე სხვის მკლავს. ერთხელ ისევ, ვითომდა შემთხვევით, ხელიც კი ჰკრა კაცს, როცა მის გადასწრებას ცდილობდა; გაჩერდა, ბოდიში მოუხადა და მან, ვინც ჯერ კიდევ გუშინ მის მოულოდნელ გამოჩენაზე მეხდაცემულივით გაშეშდებოდა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც არაფერი მომხდარა, მობოდიშება მიიღო, გაუღიმა კიდევაც და მხარზე ხელიც მოუტყაპუნა.

გრენუიმ თავი დააღწია ჩიხებს და წმ. პეტრეს ტაძრის წინ მდებარე მოედანზე გამოვიდა. ტაძარში ჯვრისწერის ცერემონია დასასრულს უახლოვდებოდა; ზარები რეკდნენ და თაღოვანი კარიბჭის ორივე მხარეს ხალხი იდგა. ყველას პატარძლის დანახვა სურდა. გრენუიც იქით გაიქცა, ბრბოს შეერია. იბიძგებოდა, ტრიალებდა ამ მასაში, ადამიანების დურდოში — დაე, იდგნენ მჭიდროდ მის გარშემო, გრენუის სუნით გაიჟღინთონ! და ხელს კრავდა მოწოლილ სიმჭიდროვეს, ფართოდ შლიდა ფეხებს, ხალათის საყელოც მოიფლითა, რათა სუნი თავისუფლად წამოსულიყო სხეულიდან და უსაზღვრო იყო მისი სიხარული, როცა ნახა, რომ სხვები ვერაფერს ამჩნევდნენ, სრულიად ვერაფერს; რომ მთელი ეს ბრბო, კაცი თუ ქალი, და ბავშვები, რომლებიც ასე მჭიდროდ დგანან მის გარშემო, სრულიად იოლად აძლევენ თავის მოტყუების უფლებას და ისუნთქავენ მის სიმყრალეს – სწორედ იმას, კატის განავლის, ყველისა და ძმრისაგან რომ შეთითხნა, და მიირქმევენ როგორც თავისი მსგავსის სუნს, ხოლო მას, ნაბუშარსა და მაგიდის ქვეშ გაგდებულ გრენუის, ისე იღებენ თავიანთ წრეში, როგორც სწორნი სწორს...

უცებ იგრძნო, მუხლებთან ბავშვი ედგა, პატარა გოგონა, უფროსებს შორის ჩაჭედილი. ლიქნიანი მზრუნველობით აიყვანა ხელში, რათა ბავშვს უკეთ დაენახა ყველაფერი. დედამისმა მადლობაც კი გადაუხადა, ბავშვი კიდევ, სიხარულით ჭყლოპინებდა.

და იდგა ასე, ბრბოს შუაგულში, დაახლოებით მეოთხედი საათი, ყალბი წმინდანობის აღტკინებით იკრავდა გულში უცხო ბავშვს და ვიდრე ჩაივლიდა ზარების გამაყრუებელი ჟღერითა და მოზეიმე ხალხით თანხლებული პროცესია, რომლის თავზეც წვრილი ხურდა ფულის წვიმა მოდიოდა, გრენუიში სულ სხვაგვარი ზეიმი ბობოქრობდა, შავი ზეიმი, მრუმე ზეობის გრძნობა, ავხორცობასავით თრთოლვას რომ იწვევდა მასში, და თავს ძლივს იკავებდა, შხამ-ნაღველასავით არ გადმოენთხია მთელ ამ ბრბოზე და პირში არ მიეხალა მათთვის – კი არ მეშინის თქვენი, თითქმის არც მძულხართ, ოღონდ მეზიზღებით კია თქვენი მყრალი სიბრიყვისათვის, ამგვარი მოტყუებისა და გასულელების ნებას რომ მაძლევთ! და თითქოს მეტი დაცინვის მიზნით, უფრო მიიკრა ბავშვი მკერდზე, ფილტვები ჰაერით გაივსო და ამ ხალხთან ერთად დასძახა: „პატარძალს გაუმარჯოს, პატარძალს! ნეფედედოფალს გაუმარჯოს!“

როდესაც საქორწილო პროცესია გაეცალათ და ბრბომ დაშლა იწყო, ბავშვი დედას გადასცა, მერე კი ეკლესიას მიაშურა, აღგზნებისაგან ცოტა მაინც დასაცლელად. ჰაერი ტაძარში საკმევლის სუნით გაჟღენთილი დახვდა, საკურთხევლის ორსავე მხარეს ბოლქვებად რომ ამოდიოდა ორი სასაკმევლიდან და მქისე ზეწარივით ეფინებოდა სულ ახლახანს აქ მსხდომი ადამიანების უკვე მინავლებულ სუნს. გრენუი ქორედის ქვეშ ჩამოჯდა.

ანაზდად სრული კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა: არა ისეთი ზარხოშული, როგორსაც ადრე, კლდის საშოში მარტოსული ორგიების დროს განიცდიდა – არა, პირიქით – ცივი, ფხიზელი კმაყოფილების, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძლიერების შეგრძნება რომ ბადებს.. უკვე უწყოდა თავისი ნამდვილი მიზანი – საკუთარი გენიალურობის წყალობით, ყოვლად უგვანო საშუალებებისაგან შექმნა ადამიანის სუნი და შექმნა ისეთი სიზუსტით, ბავშვმაც კი მოატყუებინა თავი. ახლა გრძნობდა, მეტის მიღწევაც შეეძლო: შეეძლო გაეუმჯობესებინა ეს სურნელი, შეეძლო არა უბრალოდ ადამიანის, არამედ ზეკაცის სუნის შექმნა; ანუ რაღაც ღვთაებრივი არომის, გამოუთქმელად მიმზიდველისა და ცხოველმყოფელის, რომლის შემყნოსავი, უბრალოდ, იძულებული იქნება, შეიყვაროს იგი, გრენუი – თავად ამ ჯადოსურნელის მატარებელი ზეკაცი!..

დიახ, სწორედაც აიძულებს რომ შეიყვარონ! როგორც კი მისი არომის გარემოში მოხვდებიან, იძულებულნი შეიქნებიან არამარტო აღიქვან, როგორც თანასწორი, არამედ შეიყვარონ კიდეც – სიშლეგემდე, თავდავიწყებით; აიძულებს, ითრთოლონ, იქვითინონ ნეტარებისაგან – შეიყნოსავენ თუ არა მის სუნს, უმალ მუხლთ მოიყრიან, როგორც უფლის საკმევლის წინაშე! და სურდა, ნელსურნელებათა ყოვლისშემძლე ღმერთი გამხდარიყო — ისეთი, როგორიც ოცნებებში ეხატებოდა, ოღონდ ამჯერად – ყოფიერ სამყაროში და რეალურ ადამიანებსა ზედა... და იცოდა, შეძლებდა კიდეც, ვინაიდან ადა-

მიანებს უნარი აქვთ, დახუჭონ თვალი და არა დაინახონ სიდიადე, საშინელება, სილამაზე, ამოივსონ ყურები და არა უსმინონ არცა კაცსა და არცა სიტყვას მისას; ოღონდაც სურნელს კი ვერ აღწევენ თავს, ვინაიდან იგია სუნთქვის ღვიძლი ძმა – მასთან ერთად შეაღწევს იგი ადამიანებში და მათ თავის დაცვის საშუალებაც კი არ ექნებათ, თუ სიცოცხლე სურთ... სურნელი ყველაზე ღრმად აღწევს, შიგანამდე უწევს და იქ გამოაქვს დასკვნა ლმობასა თუ არად ჩაგდებაზე, ზიზღსა თუ სიამეზე, სიყვარულსა თუ სიძულვილზე. ადამიანის სულს ფლობს ის, ვინც მის სურნელს ფლობს...

წყნარად, მშვიდად იჯდა გრენუი ეკლესიის მერხზე და თავისთვის ჩუმად ხითხითებდა. ხალხის დამორჩილება რომ გადაწყვიტა, არც აღტკინების მაგვარი არაფერი განუცდია და არც თვალებში უღვიოდა შლეგის ცეცხლი და არც შეშლილივით მანჭავდა სახეს. ოდნავადაც არ ბორგავდა. იმდენად ნათელ და მხიარულ განწყობაზე იყო, თავსაც კი ეკითხებოდა: მაინც და რისთვის მჭირდებაო ყველაფერი ეს? და აკი პასუხიც თავადვე გასცა: სჭირდება იმიტომ, რომ ბოროტებითაა გაჟღენთილი... და ამ დროს დიდის კმაყოფილებით ჩაიცინა კიდეც. სრულიად უმანკო გამომეტყველება კი ჰქონდა – როგორც ნებისმიერს იმ ადამიანთაგან, ვინც, უბრალოდ, ბედნიერია.

რამოდენიმე ხანს იჯდა ასე, გასუსული, და ღრმად ისუნთქავდა საკმეველით გაჯერებულ ჰაერს, მერე ისევ თავდაჯერებულმა ღიმილმა გადაუარა სახეზე. ისე, კაცმა რომ თქვას, ძაან უბადრუკი სურნელებით კი კმაყოფილდება ეს ჩვენი ღმერთი! სასაცილოც კია – რაც ამ საკმევლებიდან ბოლავს, ნამდვილი საკმეველიც კი არაა – უფრო რაღაც ნარევ-ნაზიზნი, რომელშიც ცაცხვის ნახშირი, დარიჩინი და გვარჯილაა შერეული. დიახ, დიახ – ღმერთი, უბრალოდ, ყარდა! ღმერთი ერთი პაწია, საბრალო მყრალა იყო; მას ატყუებდნენ, ამ ღმერთს, ან თავადვე იყო მატყუარა, ზუსტად ისეთივე, როგორც გრენუი – ოღონდ გაცილებით უგერგილოდ კი იტყუებოდა!

33.

მარკიზი დე ლა ტაიად-ესპინასი პირდაპირ აღფრთოვანებული დარჩა ახალი სუნამოთი. მისთვისაც კი, ლეტალური ფლუიდის აღმომჩენისათვის, გასაოცარი იყო იმაზე დაკვირვება, თუ რარიგ მოქმედებდა ინდივიდის საერთო მდგომარეობაზე იმგვარი მეორეხარისხოვანი და აქროლადი სუბსტანცია, ვითარცა სუნამოა: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ახლოა მიწასთან ან რამდენადაა დაცილებული მიწას ზემოხსენებული სუბსტანციის ინგრედიენტები. სულ რამდენიმე საათის წინ, გადაფითრებული, გულისწასვლამდე მისული გრენუი ახლა ისევე საღად და ჯან-ღონით სავსედ გამოიყურებოდა, როგორც მისი ასაკის ნებისმიერი სხვა ჯანმრთელი ადამიანი; მეტიც, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ – მისი წრის ხალხისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თანდაყოლილი ნაკლულოვნებისა და სრული

გაუნათლებლობის მიუხედავად – რაღაც პირადი ინდივიდუალობის მსგავსიც კი შეიძინა. ყოველ შემთხვევაში, იგი, ტაიად-ესპინასი, თავის უკვე გამოსაცემად მომზადებულ ტრაქტატში **ლეტალური ფლუიდის თეორიის საკითხისათვის** (ქვეთავი: *დიეტეთიკა*) აუცილებლად აღწერს ამ შემთხვევას. ოღონდაც, ჯერ თავად მოიხმარს ამ სუნამოს – ასე ვთქვათ, მისი პრაქტიკული დანიშნულებისამებრ.

გრენუიმ ორივე ფლაკონი გადასცა მარკიზს, მარკიზმაც იპკურა და ეფექტით სავსებით კმაყოფილი დარჩა: ახლა მეჩვენება, – აღიარა კიდეც, – რომ ეს ამაზრზენი იის სუნი წლების მანძილზე ტყვიასავით მაწვებოდა მხრებზე, ახლა კი თითქოსდა ფრთები გამომესხა და იმ მარცხენა მუხლის ტკივილმაც მიკლო, და ხმაურმაც ყურებში და საერთოდ, მხნედ და ათი წლით გაახალგაზრდავებულად ვგრძნობ თავსო. მივიდა გრენუისთან, გადაეხვია და „ფლუიდალური ძმა“ უწოდა, იმ გაგებით, რომ მხედველობაში აქვს არა სოციალური, არამედ გონებაჭვრეტითი ურთიერთობა in conspectu universalitatis fluidi letalis, რის წინაშეც – და მხოლოდ მის წინაშე – ყველა ადამიანი თანაბარია; ამას გარდა, მას დაგეგმილი აქვს – და ამას ეუბნებოდა ძალიან მეგობრულად, ყოველგვარი ზიზღის გარეშე, თითქმის ისე, როგორც თანასწორს – უახლოეს ხანში დააწესოს უმაღლესი წოდების ლოჟა იმ მიზნით, რომ სრულად გადალახონ fluidum *letale*, რათა სასწრაფოდ fluidum *vitale* გაამეფონ ირგვლივ, და უკვე ახლავე აღუთქვამს გრენუის, რომ ის ამ ლოჟის პირველი მოქცეული წევრი იქნება. შემდეგ სუნამოს რეცეპტი დააწერინა, ფურცელი შეინახა და ორმოცდაათი ლუიდორიც უბოძა.

პირველი მოხსენებიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასმა მეორედ წარუდგინა გრენუი სწავლულ საზოგადოებას. უამრავი ხალხი მოზღვავდა: მოვიდა არა მარტო სამეცნიერო, არამედ მაღალი და უმაღლესი საზოგადოების ნაღებიც, და მათ შორის ბევრი მანდილოსანი, რომლებსაც უკვე საარაკოდ გამხდარი „ქვაბულის კაცის“ ნახვა სურდათ. იმის მიუხედავად, რომ ტაიად-ესპინასის მოწინააღმდეგეებმა – უმთავრესად, „უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღის მეგობართა წრის“ და „აგროკულტურის წამახალისებელი გაერთიანების“ წევრებმა – თავის მომხრეების სრული მობილიზაცია მოახდინეს, ღონისძიებას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. რათა ყველასათვის შეეხსენებინა, როგორ გამოიყურებოდა გრენუი სულ რაღაც ერთი კვირის წინ, მისმა ბრწყინვალებამ ჯერ ის ნახატები დაარიგა დარბაზში, სადაც ქვაბულის კაცი მთელი მისი გაუბედურებლობით იყო გამოსახული, შემდეგ კი ბრძანება გასცა, შემოეყვანათ ახალი გრენუი – ლურჯი მაუდის სერთუკსა და აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი, ლოყებშევარდისფერებული, დავარცხნილი, კულულებდაპუდრული; და უკვე ის, თუ როგორ მოდიოდა, წელში გამართული, გამოზომილი ნაბიჯებით, თეძოების მოხდენილი რხევით, დინჯად, საკუთარი ღირსების გრძნობით რომ ავიდა ფიცარნაგზე, და იმანაც ღიმილით რომ დაუკრა საზოგადოებას თავი იქით და აქეთ – ყველა ურწმუნო და კრიტიკანი აიძულა, ენა ჩაეგდოთ მუცელში. *უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღის მეგობრებიც* კი გასუსულნი ისხდნენ. ცვლილება მეტისმეტად თვალშისაცემი იყო, მეტისმეტად, და განსაცვიფრებელი იყო სასწაული, რომელიც უეჭველად

მოხდა: თუ სულ რაღაც ერთი კვირის წინ, გაველურებულ, ოთხზე მდგომ ცხოველს შეჰყურებდნენ, ახლა მის ადგილას სრულიად ცივილიზებული, ყოვლად ჩვეული აგებულების ადამიანი იდგა. დარბაზში თითქოს რაღაც მოკრძალებისდაგვარი განწყობა გავრცელდა, და როცა თავად მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასი ავიდა კათედრაზე მოხსენების წასაკითხად, დარბაზში ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით. მისმა ბრწყინვალებამ ერთხელ კიდევ შეახსენა მიწის ლეტალური ფლუიდის მისეული, უკვე საკმაოდ ცნობილი თეორიის არსი; შემდეგ ახსნა, თუ როგორი მექანიკური და დიეტური ხერხებით გააძევა ფლუიდი სადემონსტრაციო ობიექტის სხეულიდან, როგორ ჩაუნაცვლა იგი *ვიტალური* ფლუიდით და დასასრულს, ყველა დამსწრეს მოუწოდა – როგორც მეგობრებს, ისე მოწინააღმდეგეებს, მასთან – მარკიზ ტაიად-ესპინასთან ერთად – შერკინებოდნენ უარყოფით ლეტალურ ფლუიდს და ელიარებინათ დადებით ვიტალური ფლუიდი. ამასთან ხელები გან-გან გაშალა და მზერა ზეცისკენ აღაპყრო, და მრავალმა სწავლულმა გვამმა გაიმეორა ეს ჟესტი, ხოლო ქალები ცრემლოობდნენ...

ოღონდაც, პოდიუმზე მდგომი გრენუი მომხსენებელს ყურს არ უგდებდა – უდიდესი სიამოვნებით აკვირდებოდა სულ სხვა, გაცილებით რეალური ფლუიდის ზემოქმედებას: გაითვალისწინა რა სააქტო დარბაზის ზომები, საჭიროზე მეტი სუნამოც კი იპკურა და აქ ამოსვლისთანავე მისი სუნის აურამ ტალღებად იწყო გავრცელება დახურულ სივრცეში. იგი ხედავდა – დიახ, ხედავდა კიდეც – როგორ მოედო ის ჯერ წინა რიგებს, მერე უფრო შორს, დარბაზის ცენტრისკენ გადაიწია, ბოლოს უკანა რიგებსაც მიაღწია და ფოიეშიც გაიშალა; ყველა, ვისაც კი მოედო, თვალდათვალ იცვლებოდა. მისი არომის ზოლში მიხვედრილი ადამიანები თავისდაშეუმჩნევლად იცვლიდნენ გამომეტყველებას, იცვლიდნენ გრძნობებს, ქცევას... ის, ვინც დასაწყისში თავშეკავებული გაოცებით უმზერდა, ახლა გრძნობამორეული შეჰყურებდა; ვინც მანამდე სარგადაყლაპულივით იჯდა, შუბლს იჭვნეულად იჭმუხნიდა და ტუჩებსაც მრავალმნიშვნელოვნად ღრეცდა, ახლა წინ გადახრილიყო და სახეზე ბავშვურად მიმნდობი გამომეტყველება აღბეჭდოდა; ყველაზე მფრთხალების, შეშინებულების, მგრძნობიარეების სახეებზეც კი – მათი, ვინც მანამდე ჯერ შეძრწუნების და მერე შესაფერისი ეჭვის გარეშე ვერ უყურებდა – მეგობრული, აშკარა თანალმობის გამომხატველი გამომეტყველება გაჩნდა, როგორც კი გრენუის სუნი მისწვდათ.

მოხსენების დამთავრებისთანავე მთელი ეს აღფრთოვანებული საკრებულო ფეხზე წამოდგა. „დიდება ტაიად-ესპინასს! ვივატ – ვიტალური ფლუიდის თეორიას! ძირს ორთოდოქსული მედიცინა!“ – გაჰყვიროდა სამხრეთ საფრანგეთის უმნიშვნელოვანესი საუნივერსიტეტო ქალაქის, მონპელიეს სწავლული საზოგადოება და მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასიც თავის ცხოვრების მწვერვალს ადგამდა ფეხს...

ხოლო გრენუიმ, რომელიც მშვიდად დაეშვა ფიცარნაგიდან და სრულიად შეუმჩნევლად შეერია ხალხს, ანაზდად გაიაზრა: ეს ოვაციები, კაცმა რომ თქვას, მას ეკუთვნოდა – მხოლოდ მას, ჟან-ბატისტ გრენუის – იმისდა

მიუხედავად, რომ დარბაზში მოზეიმეთაგან ეს ეჭვადაც არავის გაუვლია გულში.

34.

მონპელიეში კიდევ რამოდენიმე კვირა დარჩა. ახლა უკვე ცნობილ პიროვნებას, სალონებშიც კი პატიჟებდნენ, სადაც ერთთავად ქვაბულში ცხოვრებასა და მარკიზის შემწეობით განკურნებაზე ესაუბრეოდნენ. ისევ და ისევ უხდებოდა მის გამტაცებელ ყაჩაღებზე, კალათსა და გასაშლელ კიბეზე შეთხზული ისტორიის გამეორება; სულ უფრო დ უფრო შელამაზებულად აღწერდა ყველაფერს და ახალ-ახალ წვრილმანებსაც უმატებდა. თანდათანობით ისევ დაეჩვია ლაპარაკს – მართალია, არც ისე გამართულად, რადგან ენა ადრეც არ უჭრიდა – და, რაც მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, სიცრუის თქმასაც შეეთვისა. ღმერთმანი, – ფიქრობდა გრენუი, – ახლა ყველაფერი შეუძლია უთხრას ადამიანებს, ყველაფერი – რაც კი ენაზე მოადგება!.. თუ ერთხელ გენდნენ – მის მიმართ კი ნდობა პირველი შეყნოსვიდან უჩნდებოდათ – მერე ყველაფრისა სჯერათ... მოგვიანებით გარკვეული თავდაჭერაც გამოიმუშავა მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობაში. გარეგნულადაც შეიცვალა: თითქოს გამაღლდაო, კუზიც თითქოსდა სადღაც გაქრა – წელში უკვე გამართულად იდგა. როდესაც ვინმე მიმართავდა, ოთხად აღარ იხრებოდა და მისკენ მიმართულ მზერას იოლად უსწორებდა თვალს. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში არც სალონების მუდმივი სტუმარი გამხდარა და არც მაღალი საზოგადოების წევრი, ოღონდაც პირქუში მოუხეშავობა ჩამოეცალა და ისე იქცეოდა, რაც შეიძლებოდა გაეგოთ როგორც ბუნებრივი თავმდაბლობა ან თანდაყოლილი მოკრძალება და რაც გულისამაჩუყებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ზოგიერთ ბატონსა თუ ქალბატონზე – იმ ეპოქაში უმაღლესი საზოგადოება ხომ განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა „ბუნებრიობისადმი“ – ანუ, ასე ვთქვათ, გაურანდავი მომხიბლაობისადმი.

მარტის დასაწყისში გრენუიმ მოხიკა თავისი ნივთები და წავიდა – ჩუმად, ადრიანი დილით, როგორც კი ქალაქის ჭიშკარი გაიღო. არც ისე თვალში საცემი, ყავისფერი ქურთუკი ეცვა— წინა დღეს შეიძინა მეძველმანესთან და გაცვეთილი ქუდი ეხურა, სახეს სანახევროდ რომ უფარავდა. არავის უცვნია, არავის დაუნახავს, არ შეუმჩნევია, ვინაიდან ამ დღეს საგანგებოდ უარი თქვა თავის სუნამოზე და როდესაც ნაშუადღევს მარკიზმა მისი მოძებნა ბრძანა, დარაჯები იფიცებოდნენ და პირჯვარს იწერდნენ რომ, მართალია, ბევრი ხალხი გავიდა ქალაქიდან, მაგრამ მათ შორის ნამდვილად არ ყოფილა ის ყველასათვის ცნობილი ქვაბულის ადამიანი, რომელსაც უცილობლად შეიცნობდნენ, სადმე რომ გაევლო. მაშინ მარკიზმა ხმა დააგდო, თითქოს გრენუი მისი თანხმობით წასულიყო პარიზს, ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად; არადა, დიდად განაწყენებული კი გახლდათ, რადგან განზრახული ჰქონდა, მთელ სამეფოში მოეწყო ტურნე გრენუისთან ერთად – რაღა თქმა უნდა, ისევ და ისევ თავისი ფლუიდური თეორიის მომხრეების შემოსაკრებად.

ისიც ითქვას, მარკიზმა მალევე დაიმშვიდა თავი, რადგან მისი სახელი და დიდება ყოველგვარი ტურნესა და მისი მხრივ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშეც გავრცელდა: მალე „ჟოღნალ დე სავან“ და ასე განსაჯეთ, „კუღიეღ დე ლ'ერონ“ ლამის ერთდროულად, გრძელ-გრძელი წერილებით გამოეხმაურა ამ მოვლენას და ქვეყნის ყველა კუთხიდან იწყეს დენა *ფლუიდუმ ლეტალე ტაილად*-ით გაწამებულმა პაციენტებმა, მასთან სრული და საბოლოო განკურნების იმედით. 1764 წლის გაზაფხულზე მარკიზმა პირველი „ვიტალური ფლუიდის ლოჟა“ დაარსა, რომელსაც მონპელიეში 12 წევრი ჰყავდა და ფილიალებიც გახსნა მარსელსა და ლიონში. შემდეგ დედაქალაქს გადაწყვიტა სწვეოდა, რათა თავისი თეორიით ახლა იქიდან დაეპყრო მთელი დანარჩენი ცივილიზებული სამყარო, ოღონდ მანამდე, ამ ძლევამოსილი ლაშქრობის პროპაგანდისათვის ერთგვარი ფლუიდალური გმირობის ჩადენა ენება, რომელიც ქვაბულის ადამიანის გამოჯანმრთელებას თუ სხვა მსგავს ექსპერიმენტებსაც გადაჩრდილავდა – კერძოდ, დეკემბრის დასაწყისში კანიგუს პიკზე აეყვანა მამაც მიმდევართა მთელი ჯგუფი. მწვერვალი ესე პარიზის განედზე იყო წამომართული და იმ ხანებში პირენეების უმაღლეს მწვერვალად ითვლებოდა. და აი, ამ წიგნიერმა მოღვაწემ, უკვე სიბერის კარიბჭესთან მდგომმა, ბრძანა 2800 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე აეყვანათ და იქ სამი კვირის განმავლობაში ყველაზე ნამდვილი, ყველაზე სუფთა ვიტალური ჰაერის ზემოქმედებისათვის მიენდოთ, რადგან, როგორც თავად განაცხადა საყოველთაოდ, ამ სამი კვირის თავზე, ზედ შობა დღეს, 20 წლის ჯანმაგარ ჭაბუკად აპირებდა დაბრუნებას...

მისმა მიმდევრებმა უკვე ვერნესთან, მთის ძირში მდებარე უკანასკნელ დასახლებასთან დაყარეს ფარხმალი, მარკიზის შეჩერება კი აღარაფერს შეეძლო. გამყინავ სიცივეში სამოსი შემოიძარცვა, საზეიმო ყიჟინა დასცა და მარტოკამ განაგრძო სვლა: მასზე უკანასკნელ მოგონებად – ცისკენ ხელებაპყრობილი, თოვლის ქარბუქში სიმღერით გამქრალი სილუეტი დარჩა.

ტყუილად ელოდნენ შობის ღამეს მოწაფეები მის დაბრუნებას. არ გარდამოსულა იგი არც მოხუცად და არცა ახალგაზრდად. შემდეგი წლის გაზაფხულზე, როდესაც ყველაზე გამბედავები მის მოსაძებნად გაემგზავრნენ და კანიგუს პიკის ჯერ კიდევ თოვლიან მწვერვალზე ავიდნენ, ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს – ვერც ტანსაცმლის ნაფლეთს, ვერც ხორცის ნაგლეჯს, ვერცა ძვლებს.

თქმა არ უნდა, ამას მისი სწავლებისათვის არავითარი ზიანი არ მოუტანია – პირიქით, მალე გავრცელდა ლეგენდა, რომ მთის უმაღლეს წერტილზე ის მუდმივ ვიტალურ ფლუიდს შეუნივთდა, მასში განაზავა საკუთარი სხეული და მას შემდეგ მარადჟამ ახალგაზრდა, ოღონდაც უხილავი, პირენეების მწვერვალებზე დასრიალებს; ხოლო ის, ვინც იქ ააღწევს, თანაეზიარება მას და ერთი წლის განმავლობაში განთავისუფლდება როგორც ყოველგვარი ავადობის, ასევე თვით დაბერების პროცესისაგანაც კი. რამდენიმე სამედიცინო კათედრა თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე იცავდა ტაიადის ფლუიდალურ თეორიას, ხოლო ბევრი ოკულტური საზოგადოება მას თერაპიული მიზნე-

ბისათვის იყენებდა. ჩვენს დღეებშიც კი არსებობს საიდუმლო ტაიადური ლოჟები პირენეების ორსავე მხარეს, კერძოდ, პერპინიანსა და ფიგერასში – მათი წევრები წელიწდეულად იკრიბებიან კანიგუს პიკზე ასასვლელად.

იქ ისინი უზარმაზარ კოცონს ანთებენ, ვითომდა — მზის ბუნიობის აღსანიშნად, ანდა წმინდა იოანეს საპატივცემულოდ, სინამდვილეში კი — რათა ღვთაებრივი პატივი მიაგონ დიდ მაგისტროსს, მარკიზ დე ლა ტაიადესპინასს, მის პირმშოს – ფლუიდს, და თავადაც მარადისობას ეზიარონ...

კარი III

35.

თუ საფრანგეთში მოგზაურობის პირველი ეტაპისთვის გრენუის შვიდი წელიწადი დასჭირდა, მეორე ეტაპი სულ შვიდ დღეში მოითავა. არავითარ შემოვლებს აღარ აკეთებდა, გზას არ იმრუდებდა, აღარც ხალხმრავალ ქალაქებს გაურბოდა. მას საკუთარი სუნი ასდიოდა, ფული ჰქონდა, თავდაჯერებული იყო და თანაც, ეჩქარებოდა.

იმავე დღის მიმწუხრს, როცა მონპელიე დატოვა, პატარა საპორტო ქალაქ გრო-დიუ-რუას ჩააღწია და კარჭაპით მარსელისკენ გაცურა. მარსელის ნავსადგურში კი მაშინვე გამოძებნა გემი, რომელიც უფრო შორს, სანაპიროს გაყოლებით მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ. ორი დღის შემდგომ უკვე ტულონში იყო, კიდევ სამი დღის შემდეგ – კანში. დანარჩენი გზა ფეხით გაიარა. ქვეყნის სიღრმეში მიდიოდა, ჩრდილოეთისაკენ, მთიან ზეგანზე.

სრული ერთი კვირის თავზე გრენუის წინაშე და გარშემო, მრავალ მილზე, მდინარის აუზი იყო გადაშლილი, რაღაც უზარმაზარი ჯამივით, რომლის კიდეებს მომრგვალებულთავიანი გორაკებისა და ციცაბო კლდეების მთელი ჯაჭვი ქმნიდა, ხოლო შესართავთან ახლადგახნული მინდვრები, დამუშავებული ბაღები და ზეთისხილის კორომები გადაჭიმულიყო. სრულიად თავისებური, ლამის ინტიმური ატმოსფერო სუფევდა აქ: ზღვა, იმის მიუხედავად რომ საკმაოდ ახლოს იყო და კარგ ამინდში ბორცვების წვეროებიდანაც კი შეიძლებოდა მისი დანახვა, მაინცა და მაინც დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა ჩვენს გმირზე. არავითარი უსაზღვროება – მხოლოდ და მხოლოდ ცის კიდურთან მიერთებული, მკრთალ-ცისფერი ზოლი... ჩრდილოეთით — მაღალი მთები, რომლებზედაც ჯერ კიდევ იდო და ალბათ, კიდევ დიდხანს იდებოდა თოვლი; არავითარი ველურობა ან სიმწირე, არავითარი სუსხი არ იგრძნობოდა – გაზაფხულ აქ უფრო მოძალებულიყო, ვიდრე მონპელიეში.

მსუბუქი ნისლი ეფინებოდა მინდვრებს, ყვავილებს გადაეპენტათ ჭერმისა და ნუშის ხეები, თბილი ჰაერიც ნარგიზის სურნელს გაეჯერებინა.

ამ უზარმაზარი თასის გაღმა მხარეს, ორი-სამი მილის დაშორებით, კლდის ფერდობს ქალაქი აკვროდა. დიდად პომპეზურად სულაც არ ჩანდა: ყველა საცხოვრებელზე მაღლა წამომართული ტაძრის, ან პატარა ეკლესიის წვეტის მაგივრად ჭიპივით ამოზიდული სამრეკლო; არც არავითარი ძირძველი გალავანშემორტყმული სიმაგრე და არც რითიმე გამორჩეული შენობა. არც მისი კედლები ჩანდა მიუდგომელი და სახლებიც რაღაც თავიანთ ნებაზე განლაგებულიყვნენ შუკების გასწვრივ, რითაც თვალისთვის საამო ხედს ოდნავ აწეწილ იერს მატებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თითქოს ეს ქალაქი ბევრჯერ დაეპყროთ და ამჟამად, კიდევ ერთხელ განთავისუფლებული, უარს აცხადებს წინააღმდეგობაზე მომავალი დამპყრობლების წინაშე – არა სისუსტის, არამედ გულგრილობის, ანდა სულაც, საკუთარი ძლიერების შეგრძნების გამო – აქაოდა, პატივმოყვარეობა არა მკლავსო; ჩემთვის ისიც კმარა, ამ მშვენიერ დაბლობს რომ გადავყურებ და ამითიც სრულიად თვითმკმარი გახლავართო.

ეს შეუხედავი და, იმავდროულად, თვითდარწმუნებული ქალაქი გრასად იწოდებოდა. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სწორედ ის ითვლებოდა სურნელოვანი ნივთიერებების, საპარფიუმერიო საქონლის, ზეთების წარმოებისა და გაყიდვის უეჭველ თავქალაქად. ჯუზეპე ბალდინი ყოველთვის აღტაცებითა და ოცნებით წარმოთქვამდა მის სახელს – *გრრასსსი!* – და ამტკიცებდა, რომ ეს ქალაქი ნელსურნელებათა რომია, აღთქმული ქვეყანა მენელსაცხებელთათვის, ხოლო იმას, ვისაც აქაური სკოლა არ გაუვლია, უფლებაც არ გააჩნია ასეთად იწოდებოდესო.

ოღონდაც, გრენუი სრულიად ფხიზელი თვალით გაჰყურებდა ქალაქს – არც აღთქმულ ქვეყანას ეძებდა და არც გული ასძგერებია ამ მაღალ კლდეებს აკრული მერცხლის ბუდის დანახვაზე. იმის გამო მოვიდა აქ, რომ იცოდა – ამ ქალაქში გაცილებით უკეთ, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას, შესაძლო იყო შეგესწავლათ სურნელთ გამოხდის ათასგვარი იდუმალი საშუალებები; სწორედ ეს სურდა და ყველაფერი ეს საკუთარი მიზნებისთვის სჭირდებოდა. ჯიბიდან თავისი სუნამო ამოიღო, ზომაზე იპკურა და გზას დაადგა. საათნახევრის შემდეგ, ნაშუადღევს, უკვე გრასის კარიბჭეს მიადგა.

ჯერ ქალაქის ზედა ნაწილში, ოზერის მოედანზე ერთ ფუნდუკში ისადილა. მოედანს მთელ სიგრძეზე ნაკადული კვეთდა, რომელშიც დაბაღები ტყავებს რეცხავდნენ, და შემდეგ ჭიმავდნენ გასაშრობად. ისეთი მომაკვდინებელი სიმყრალე იდგა, ზოგიერთ იქაურ მაცხოვრებელს ჭამის მადაც ეკარგებოდა. ოღონდ გრენუი ამას არ დაგიდევდათ — კარგად ცნობდა ამ სუნს, და ყველა ქალაქში, პირველ რიგში დაბაღების უბანს მოძებნიდა ხოლმე. მერე უკვე, ამ სიმყრალიდან გამოსული, როდესაც ქალაქის სხვა უბნებს გაიკითხავდა, თავს აღარავის წინაშე გრძნობდა უცხოდ.

თითქმის მთელი დღე, შუადღიდან საღამომდე ქალაქში დასუნსულებდა. ერთი ისიც ვთქვათ, საოცრად ბინძური ქალაქი გახლდათ, იმის მიუხედავად, ან, იქნებ, სულაც იმის გამო, რომ აქ ბევრი წყალი იყო, მეტისმეტად ბევრი, ათობით წყაროდან და შადრევნიდან მოჩხრიალებდა მოუვლელ რუებსა და ჩასადენ არხებში და ქუჩების ჩიხებს შლამით ავსებდა. ზოგიერთ უბანში სახლები ისე მჭიდროდ იდგა, კიბეებისა და გასასვლელებისთვის ერთი ადლის სიგანე ადგილიღა რჩებოდა, და ჩაბინძურებულ ქუჩებში მიმავალი გამვლელები, გვერდის ასავლელად, ერთმანეთს ეკვროდნენ; მოედნებსა თუ მცირეოდენ განიერ ქუჩებზეც კი ცხენშებმული ეტლები ძლივს შორიშორდებოდნენ და მთელი ამ სიბინძურის, და მთელი ამ შექუჩებისა და სიმჭიდროვის მიუხედავად, ქალაქი სწორედ ხელოსნების ფხიანობისაგან დუღდა: საბოლოოდ გრენუიმ შვიდი საპნის სახარში, თორმეტამდე საპარფიუმერიო და სახელთათმანე ატელიე, დისტილატების, პომადებისა თუ სხვა რამ სანელებლების დამამზადებელი უამრავი პატარა სახელოსნო და სურნელოვანი ნივთიერებების შვიდამდე დიდი სავაჭრო გადაითვალა.

აქ ისეთებიც იყვნენ, მართლა დიდ კანტორებს რომ ფლობდნენ არომატული ნივთიერებებით სავაჭროდ, ოღონდ მათი სახლების შემხედვარე, ამას ნამდვილად ვერ იტყოდა კაცი. ამ სახლებს სწორედაც ბურჟუაზიული თავმდაბლობით გამორჩეული ფასადები ჰქონდათ, ხოლო რაც ფასადების მიღმა იყო – საწყობებში, საკუჭნაოებსა და სარდაფებში – ზეთით სავსე კასრები, სურნელოვანი საპნის თაკარები, ყვავილის ესენციანი ბოცები, ღვინოები, ნაყენები, სურნელოვანი ტყავის ხვეულები, ტომრები, სკივრები... – სქელი კედლების მიუხედავად, გრენუი სრულად აღიქვამდა მათ სუნს და ყველაფერი ეს ისეთ სიმდიდრეს წარმოადგენდა, თავადებსაც რომ არ გააჩნდათ: ქუჩაში გამომავალი, უბრალო სავაჭრო თუ საწყობ-ნაგებობების მიღმა, ერთი შეხედვით, უბრალო სახლების შიდა მხარეს, საუცხოო აპარტამენტები გახლდათ განლაგებული. პაწია, მომხიბლავი ბაღების ირგვლივ, სადაც ოლეანდრები და პალმები ხარობდნენ და სადაც ყვავილნარით გარშემორტყმულ შადრევნებში წყლის ჭავლი ჟღურტულებდა, სამხრეთისკენ პირმოქცეული საცხოვრებელი სათავსოები გაეწყოთ: მზით სავსე, აბრეშუმის შპალერით გამოკრული საძინებლები სახლის ზედა სართულზე, ხის უცხო ჯიშების პანელებაკრული სასტუმრო ოთახები და ბაღში გამავალი სასადილო ოთახები; აქ მართლაც რომ, როგორც ბალდინი ყვებოდა, ფაიფურის თეფშებიდან მიირთმევდნენ საჭმელს და ოქროს ჩანგლებს, ვერცხლის დანებსა და მომინანქრებულ კოვზებს ხმარობდნენ. ბატონებს, რომლებიც ამ მორიდებული კულისების მიღმა ცხოვრობდნენ, ოქროსა და ძალაუფლების სუნი სდიოდათ, მყარი, საიმედო სიმდიდრის, და ეს სუნი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა, რაც კი გრენუის პროვინციაში მოგზაურობისას შეუყნოსია.

ერთ-ერთი ასეთი შენიღბული სასახლის წინ შეყოვნდა. სახლი დრუატის ქუჩის დასაწყისში იდგა – მთავარი ქუჩის, რომელიც მთელ ქალაქს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ კვეთდა. გარეგნულად ამ სახლში არაფერი იყო განსაკუთრებული, იქნებ, ოდნავ უფრო ფართო და მკვიდრად ნაგები ჩანდა გვერდზე მდგომ სხვა სახლებთან შედარებით, მაგრამ მაინც – არაფერი განსაკუთრებული. ჭიშკართან კასრებით სავსე საზიდარი გაეჩერებინათ: ამ საზი-

დარს ცლიდნენ და კასრებს ზედ მიდგმული ფართო ფიცრის საშუალებით აგორებდნენ დაბლა. ორიც თავის რიგს ელოდებოდა. იღლიაში ქაღალდე-ბამოჩრილი ვიღაც კაცი კანტორაში შევიდა, იქიდან კიდევ სხვა ვიღაცასთან ერთად გამობრუნდა და ჭიშკარში გაუჩინარდა. გრენუი ქუჩის გამოღმიდან შეჰყურებდა ამ ფორიაქს — სიმართლე ითქვას, მისთვის საინტერესო იქ არაფერი ხდებოდა და მაინც რაღაც აკავებდა, ფეხს არ აცვლევინებდა ადგილიდან.

თვალები დახუჭა და გამორჩეულად ის სუნები შეიყნოსა, შენობიდან რომ აღწევდა: ძმრიანი და ღვინიანი კასრების სუნი, საწყობის ასობით მძიმე სუნი, შემდეგ სიმდიდრის სუნი, ოქროს ოფლის ანაორთქლად რომ აღწევდა კედლე-ბიდან, და ბოლოს ბაღის სუნი, რომელიც, როგორც ჩანს, სახლის მეორე მხარეს იყო გაშენებული. ძნელი იყო ბაღის ნაზი სურნელების შეგრძნობა, რადგან სუნი რაღაც თხელი ზოლების სახით გადმოდიოდა სახლის სახურა-ვიდან დაბლა, ქუჩაზე. გრენუიმ შეიყნოსა მაგნოლია, სუმბული, აბრეშუმი და დეკა... მაგრამ თითქოსდა იქ კიდევ იყო რაღაც, გულში ჩამწვდომად მშვენი-ერი. არასდროს ცხოვრებაში – თუმცა არა, ერთხელ, მხოლოდ ერთხელ აღიქვა მისმა ყნოსვამ ამგვარი ნატიფი სუნი...

ჯერ გაიფიქრა – იქნება და პირდაპირ ჭიშკრის გავლით შევაღწიო კარ-მიდამოშიო, მაგრამ იქ იმდენი ვინმე ირეოდა, კასრების ჩამოღებითა და გას-ინჯვით გართული, აუცილებლად მიიპყრობდა ვიღაცის ყურადღებას. გადაწყვიტა, ქუჩის აყოლებაზე ისეთი ჩიხი ან გასასვლელი მოენახა, სახლს უკანა მხრიდან რომ მიუდგებოდა. მერე მარცხნივ შეუხვია, კედელს გასდია და მალევე ისევ შეიყნოსა ბაღის სუნი, ჯერ სუსტი, მინდვრების ჰაერთან შერეული, ხოლო ფეხის ყოველ გადადგმაზე – სულ უფრო და უფრო ძლიერი. და მაშინ მიხვდა, რომ ბაღი, რომელიც ქალაქის კედელს ეკვროდა, სულ ახლოს იყო, პირდაპირ მის წინ. ახლა კედლის მიღმა მდგარი ხეების წვეროებსაც კი ხედავდა.

ისევ დახუჭა თვალები და ამ ბაღის სურნელი ახლა ზვავივით დაატყდა თავს, ცისარტყელას ფერადი ზოლებივით ნათლად და მკაფიოდ შემოხაზული. და ის უძვირფასესიც — ის, ასე რომ იზიდავდა – მათ შორის იყო. ნეტარების ალმური მოედო გრენუის, სისხლი ისე აუვარდა თავში, როგორც ხელმრუდო-ბაში გამოჭერილ თაღლითს, შემდეგ სხეულის შუაგულში ჩაეწრიტა და ისევ აუვარდა, და ისევ, და ვერც ვერაფერი მოუხერხა ამას! მეტისმეტად მოუ-ლოდნელი იყო სუნის ეს შემოტევა. ერთი წამით – ერთი ჩასუნთქვის მან-ძილზე თუ მთელი მარადისობით – მოეჩვენა, რომ დრო გაორდა, ან სულაც გაქრა, ველარ იაზრებდა, იყო თუ არა ახლა — ახლა, ან აქ – აქ, თუ ახლა იყო მაშინ, ხოლო აქ – იქ, ესე იგი მარეს ქუჩაზე, პარიზში, 1753 წლის შე-მოდგომაზე: სურნელი, რომელიც ბაღიდან მოედინებოდა, სწორედ იმ ჟღალთ-მიანი გოგონასი იყო, მაშინ რომ მოაკვდინა; ესე იგი, ეს სურნელება სადღაც კიდევ არსებობდა ქვეყნად, კვლავაც იპოვა, და ამ შეგრძნებამ თვალები ნეტარი ბედნიერების ცრემლით აუვსო – იმ ალბათობის გააზრებამ კი, ვინ-ძლო და ეს არც მომხდარიყო, ლამის დაზაფრა.

თავბრუ ეხვეოდა, ოდნავ ბარბაცებდა კიდეც, ბოლოს იძულებულიც გახდა, კედელს მიყრდნობოდა და მერე ნელ-ნელა ჩაცურდა იქვე, თხრილში. იქღა მოიკრიბა ძალა, თავი მოთოკა და საბედისწერო სურნელების მოკლე, ნაკლებ სახიფათო შესუნთქვებით შეეყნოსვა იწყო. სწორედ მაშინ აღმოაჩინა, რომ კედლის იქიდან მომდინარე, თუმც კი ძალიან გავდა ჟღალთმიანი გოგონას სურნელს, მაგრამ მთლად იგივე მაინც არ იყო. უდავოდ, ეს სუნიც ჟღალთმიან გოგონას ასდიოდა – ყნოსვითი წარმოსახვით გრენუი სურათზე დახატულივით ხედავდა მას: იგი არ იდგა ერთ ადგილზე, აქეთ-იქით დახტუნაობდა და ხან სცხელოდა, ხან ისევ დაგრილავდა, თითქოს რაღაც ისეთს თამაშობდა, რომლის დროსაც ან ძალიან სწრაფად უნდა იმოძრაო, ან ერთ ადგილზე გაშეშდე – თან ვიღაც მეორე ადამიანს ეთამაშებოდა, ვის სუნსაც, სიმართლე ითქვას, არც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა; თეთრზე უთეთრესი კანი, მწვანე თვალები და ჭორფლი ეყარა სახეზე, ყელზე, მკერდზე... არადა – გრენუი წამით შეიხუთა, მერე ენერგიულად შეიყნოსა და მარეს ქუჩელი გოგონას სუნზე მოგონებების თავიდან მოცილებას შეეცადა – უფრო სწორად ამ გოგონას ჯერ არცა აქვს მკერდი, ამ სიტყვის სწორი გაგებით! მას ჯერ მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი ამონაბორცვები აქვს, უსასრულოდ ნაზი, ოდნავ სურნელოვანი, ჭორფლით დაფარული, შესაძლოა, რამდენიმე დღის, ანდა სულაც რამდენიმე საათის წინ რომ დაუწყეს ძუძუს კერტებმა დაბერვა: ერთი სიტყვით, ეს გოგონა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მაგრამ— როგორი ბავშვი!!!

გრენუის ოფლმა დაასხა; იცოდა, პატარებს არ ასდით მკვეთრი სურნელი – როგორც მწვანე, ჯერ გაუშლელ ყვავილის კვირტებს, ოღონდ ეს ყვავილი, ეს ჯერ კიდევ შეკრული კვირტი კედლის გადაღმა, ეს-ესაა უშვებს პირველ სურნელოვან ფურცლებს და უკვე ისეთ ღვთაებრივ სურნელს ავრცელებს, რომ თმა ყალყზე გიდგება. ახლაც კი უკეთესი სუნი ასდის — გაიფიქრა გრენუიმ — ვიდრე იმას, მარეს ქუჩიდან: არა ისეთი ძლიერი და ნაჯერი, ოღონდაც უფრო ნატიფი და გაცილებით ბუნებრივი. ორი, სამი წლის შემდეგ ეს სუნი მომწიფდება და ვერა ადამიანი – ვერც მამაკაცი, ვერცა ქალი – მის მომნუსხავ ძალას ვერ დაუდგება წინ! და ადამიანები – დამორჩილებულნი, განიარაღებულნი, უმწეონი შეიქნებიან მისი ჯადოსნობის წინაშე, და რადგანაც ბრიყვები არიან და საკუთარი ცხვირის გამოყენება მხოლოდ დასაცემინებლად შეუძლიათ, და ფიქრობენ, რომ ყველაფრის და ყოველივეს შეცნობა თვალებითაც შეიძლება, იტყვიან, რომ მისი სილამაზით, სინარნარითა და მომხიბვლელობით არიან დატყვევებულნი; თავიანთი გონებაშეზღუდულობის გამო მხოლოდ ამ გოგონას გარეგნულ მხარეს შეასხამენ ხოტბას – აშოლტილ ტანს, სახის უნაკლო ნაკვთებს, იტყვიან, რომ მას ზურმუხტივით თვალები და მარგალიტივით კბილები აქვს, ხოლო კანი – სპილოს ძვალივით გლუვი: იდიოტური შედარებების კორიანტელი. და ისინი მას ნარგიზთა დედოფლად აღიარებენ და რომელიმე ტუტუცი მხატვარი მის პორტრეტსაც დახატავს, და ყველა აღიარებს, რომ ის ულამაზესი ქალია მთელს საფრანგეთში. ყმაწვილები ღამეებს თეთრად გაათენებენ მისი ფანჯრების ქვეშ, მანდოლინის ჟღრიალის თანხლებით. მდიდარი სქელუა ბიძიები მუხლებზე ხოხვით გამოსთხოვენ მის ხელს მამამისს... ნებისმიერი ასაკის ქალები მის დანახვაზე მწარედ ამოიოხრებენ და ძილში იოცნებებენ, თუნდაც ერთი დღით

მისცეთ ღმერთმა ამგვარი მაცდური გარეგნობა!.. და ვერც ერთი მათგანი ვერც კი იეჭვებს, რომ არა მისი გარეგნობით, არა მისი თითქოსდა უზადო სილამაზით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ამ შეუდარებელი, მეფური სურნელით იხიბლებიან! მარტო მას ეცოდინება ეს, მხოლოდ მას – გრენუის. აკი უკვე ახლავე იცოდა ეს... არადა, რა მწვავედ უნდოდა დაუფლებოდა ამ სურნელებას! დაუფლებოდა არა ისე უაზროდ, როგორც იქ, მარეს ქუჩაზე – იმ გოგონას სუნი მან უბრალოდ გადაყლაპა, ჩაუშვა საკუთარ სხეულში და ამით მოსპო, გაანადგურა... არა, ამ გოგონას სუნი სამუდამოდ უნდა მიეთ-ვისებინა: უნდა გაეძრო იგი ტყავივით და საკუთრებად გაეხადა. ჯერ არ იცოდა, როგორ უნდა ექნა, ოღონდ არც უნდა ყოფილიყო იმაზე ძნელი, ვიდრე რომელიმე იშვიათი ყვავილის გაძარცვა და მისთვის სურნელების წართმევა იქნებოდა.

თითქმის მოწიწებით წამოდგა, თითქოს წმინდანს ან მძინარეს ტოვებსო და წელში მოხრილი წამოვიდა, ფრთხილად, რათა არავის გაეგონა, არავის დაენახა, არავის მიექცია ყურადღება მისი უძვირფასესი ნაპოვნისათვის. ასე გაირბინა ქალაქის კედლის გაყოლებით ქალაქის მეორე ბოლომდე, სანამ გოგონას სურნელება საბოლოოდ არ განიავდა ჰაერში. მერე ფენეანის სა-გუშაგოთი შებრუნდა ქალაქში და სახლების ჩრდილში შეჩერდა. ჩიხების მყრალმა ბუღმა თავდაჯერება დაუბრუნა და დაეხმარა, ვნება ჩაეცხრო. ნახევარი საათის შემდეგ სრულიად დამშვიდდა. პირველ რიგში, ფიქრობდა გენური, იმ ბაღს აღარ უნდა მივუახლოვდე, რაკი ასეთ აღგზნებას იწვევს ჩემში. ყვავილი მის გარეშეც აყვავდება იქ, და როცა აყვავდება, ისედაც მშვენივრად გაიგებს. იგი უფლებას არ მისცემს თავს, დროზე ადრე დათვრეს ამ არომით. ჯერ უნდა გაიღრმავოს თავისი ცოდნა, თავაუღებლივ იმუშაოს და საბოლოოდ დაიხვეწოს ოსტატობა, სრულად დახელოვნებული დახვდეს სამკალის მოწევის ჟამს... მას ხომ კიდევ ორი წელი აქვს თადარიგში.

36.

ფენეანის საგუშაგოდან არც ისე შორს, დე-ლა-ლუვის ქუჩაზე, გრენუიმ პატარა საპარფიუმერიო საწარმო აღმოაჩინა და სამუშაო გაიკითხა.

აღმოჩნდა, რომ მეპატრონე, ოსტატი-მენელსაცხებლე ონორე არნულფი, წინა ზამთარს გარდაცვლილიყო და მის ქვრივს, ოცდაათიოდე წლის შავთვალწარბა, მარჯვე ქალს, თავად მიჰყავდა საქმე ერთადერთი შეგირდის დახმარებით.

კარგა ხანს იწუწუნა მადამ არნულფიმ ვაგლახ დროებასა და საკუთარი ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, მაგრამ ბოლოს მაინც აღიარა რომ კიდევ ერთი შეგირდი სჭირდება, რადგან ძლიერ ბევრი სამუშაო დააწვა მხრებზე; ერთი ეგაა — ვერ დაუშვებს, უცხო ვინმე შეიფაროს თავის ჭერქვეშ, თუმცა, მეორეს მხრივ, ფრანცისკანელთა ეკლესიის მიღმა, ზეთისხ-

ილის ბაღში – სულ რაღაც ათი წუთის სავალზე აქედან – ქოხი უდგას, სადაც მორიდებული, ახალგაზრდა კაცი, გაჭირვების შემთხვევაში, ღამის გათევას შეძლებს; თქმა არ უნდა, — განაგრძობდა ქალბატონი არნულფი, — იგი პატიოსანი მეპატრონეა და მზადაა, პასუხისმგებლობა იკისროს თავისი შეგირდების ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ოღონდ იმის შესაძლებლობა სადა აქვს, ცხელი კერძი მიართვას დღეში ორჯერ! მოკლედ, მადამ არნულფი (და გრენუიმ ეს მაშინვე *იგნოსა*) ფრიად უზრუნველყოფილი, საღად მოაზროვნე და საქმიანი ქალი გახლდათ. ვინაიდან თავად მას ფული სულ არ აინტერესებდა, კვირაში ორი ფრანკითა და სხვა მწირი პირობებითაც კმაყოფილი დარჩა და იქვე დაჰკრეს ხელი ხელს. მერე დაუძახეს პირველ შეგირდს, ერთ მოდღლეზილ ყმაწვილს, სახელად დრუიოს, რომელთანაც მადამ არნულფი ჩვეული იყო სარეცლის გაზიარებას და მის გარეშე არც არავითარ საქმიან გადაწყვეტილებას არ იღებდა. იგი გრენუის ბირდაბირ დადგა, ფეხები განგან გააწყო, გარშემო სპერმის სუნის აურა გაავრცელა და ისეთი ჩაციებული მზერით ახედ-დახედა, თითქოს მასში რაღაც ქვენა ზრახვების, ანდა შესაძლო მოწინააღმდეგის აღმოჩენას ცდილობსო; მაგრამ მასთან შედარებით სასაცილოდ ტანმორჩილი გრენუის შემხედვარემ, მოწყალედ ჩაიცინა და თავის დაქნევით გამოხატა თანხმობა.

ასე რომ, ყველაფერი კეთილად მოგვარდა: გრენუიმ ხელის ჩამორთმევა, ცივი ვახშამი და ქოხის გასაღები მიიღო – კაცმა რომ თქვას, ერთი უფანჯრებო ფარდული, სადაც ცხვრის გამომშრალი კურკლისა და თივის არცთუ უსიამო სუნი იდგა და სადაც, ასე თუ ისე, თავშესაფარი ჰქონდა. დილაადრიანად კი უკვე შეუდგა მადამ არნულფისთან მუშაობას.

ახლა ნარგიზების მოწევნის დრო დამდგარიყო. მადამ არნულფის ყვავილების მცირე წილი თავის პატარა ნაკვეთებზე მოჰყავდა ქალაქის ფარგლებში, ნაწილს კი გლეხებისაგან ყიდულობდა და ყოველ კალათზე სულის ამოხდომამდე ევაჭრებოდა. ყვავილები უთენია მოჰქონდათ მასთან, ათეულ ათასობით გადმოყრიდნენ კალათებიდან და მოზრდილ, ბუმბულივით მსუბუქ, სურნელოვან გროვებად ახვავებდნენ საწარმოს ეზოში. ამ დროისათვის დრუიო საქონლისა და ღორის ქონს აცხელებდა უზარმაზარ ქვაბში; არაჟანივით სქელ სითხეში, რომელიც გრენუის განუწყვეტლივ უნდა ერია გრძელტარიანი ციცხვით, ნიჩაბმომარჯვებული დრუიო ახალდაკრეფილ ყვავილებს ყრიდა; ყვავილები, სასიკვდილოდ შეშინებულის თვალებივით, სულ ერთი წამით ყოვნდებოდნენ ზედაპირზე და, როგორც კი ციცხვი მოხვეტავდა და ცხელ ქონში ჩაძირავდა, წამიერადვე კარგავდნენ ფერს; თან ლბებოდნენ, ჭკნებოდნენ და ჩანს, მათი სიკვდილის ჟამი იმდენად სწრაფად დგებოდა, არავითარი არჩევანი აღარ ჰქონდათ იმის გარდა, უკანასკნელი სურნელოვანი ამონასუნთქი ზუსტად იმ გარემოსათვის გადაელოცათ, რომელშიც იძირებოდნენ, ვინაიდან – საკუთარ თავს ემსჯელებოდა გრენუი – რაც მეტი ყვავილი იძირებოდა ქვაბში, მით უფრო ძლიერი სურნელება ასდიოდა ქონს; არა, მკვდარი ყვავილები აღარაფერ შუაში იყო, ეს უკვე თავად ქონი ავრცელებდა სუნს — ქონი, რომელსაც ახლა ყვავილების სურნელი მიეთვისებინა.

ამასობაში სითხე კიდევ უფრო სქელდებოდა და მას სასწრაფოდ დიდ ცხაურში ატარებდნენ, რათა სველი გვამებისაგან განეწმინდათ და ახალი ყვავილების მისაღებად განეზავებინათ. მთელი დღე შეუსვენებლივ ყრიდნენ, ურევდნენ, წურავდნენ, რადგან პროცესი დაყოვნების უფლებას არ იძლეოდა. საღამოსთვის ყვავილების ყველა გროვა გაივლიდა ქონიან ქვაბს; ნარჩენებს, რათა არაფერი დაკარგულიყო, მდუღარე წყალს ასხამდნენ და ესეც პრესში იწურებოდა, რაც ახლა სურნელოვან, ყვავილის ზეთს იძლეოდა. და მაინც, სურნელის საფუძველი, ზღვა ყვავილების სული, ქვაბშივე რჩებოდა, გამოკეტილი და საიმედოდ დაცული შეუხედავ, მონაცრისფრო-მოთეთრო ქონში, რომელიც ნელინელ იწყებდა გაცივებას.

მაცერაცია – ასე ეწოდებოდა პროცესს – მეორე დღესვე გრძელდებოდა. ქონს აცხელებდნენ და ადნობდნენ, რათა შიგ ახალი ყვავილები ჩაეყარათ და ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში. არცთუ ადვილი სამუშაო იყო – საღამოსკენ გრენუის ხელები ტყვიასავით უმძიმდებოდა, ხელისგულებზე ბებერები უჩნდებოდა, ზურგიც სტკიოდა, დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა და ერთი სული ჰქონდა, თავის ქოხამდე მიფრატუნებულიყო. დრუიო, რომელსაც მასზე, ალბათ, სამჯერ მეტი ძალა მაინც ჰქონდა, ქონის მორევაში არასოდეს მიხმარებია, მხოლოდ ღინღლივით მსუბუქ ყვავილებს ყრიდა ქვაბში, ცეცხლს მიხედავდა ხოლმე ხანდახან და, როგორც კი დროს იხელთებდა, აქაო და ცხელაო, ყელის გასასველებლად მიიპარებოდა. მაინც არ ჩიოდა გრენუი, დილიდან საღამომდე უდრტვინველად ურევდა ყვავილებს ქონში და თავად ამ დროს არავითარ დაღლილობას არ გრძნობდა, რადგან ისევ და ისევ ტკბებოდა პროცესით, რომელიც მის თვალწინ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მის ცხვირწინ ხდებოდა: ყვავილების უეცარი ჭკნობითა და მათი სურნელების შთანთქმით.

განსაზღვრული დროის შემდეგ, თუ დრუიო მიიჩნევდა, რომ ქონი უკვე გაჯერებულია და მეტ სურნელს უკვე ვეღარც შეიწოვს, ისინი კოცონს აქრობდნენ, კიდევ ერთხელ წურავდნენ ცხაურში მსუყე ნახარშს და მას ქვის ჭურჭლებში ათავსებდნენ. ეს ახალი ქონი ახლა სურნელოვან პომადად ცივდებოდა.

მერე უკვე მადამ არნულფის დროც დგებოდა – ამოწმებდა, ნომრავდა და ზუსტად ინიშნავდა ნაწარმის რაოდენობასა და ხარისხს. თავისი ხელით ხურავდა ჭურჭელს, ტვიფარს ადებდა და სარდაფის გრილ სიღრმეებში გადაჰქონდა. შემდეგ, ქვრივის კაბასა და ხილაბანდში გამოწყობილი, ქალაქის ვაჭრებსა და საპარფიუმერიო ფირმებს შემოივლიდა, აუწერდა ამ ბატონებს მარტოხელა ქალის მდგომარეობას, მოუწოდებდა თანაგრძნობისკენ, ისმენდა მათ წინადადებებს, ადარებდა ფასებს, ოხრავდა და საბოლოოდ ყიდდა, ან არ ყიდდა თავის საქონელს. საპარფიუმერიო პომადა დიდხანს ინახება სიცივეში და, თუ ამჟამად ფასები არცთუ ხელსაყრელია, ვინ უწყის, შესაძლოა ზამთარში, ან შემდგომ გაზაფხულზე მაინც იმატოს ფასმა!.. ისიც საფიქრებელია, მიჰყიდოს საქონელი ამ წუწურაქებს თუ სხვა წვრილი მწარმოებლების მსგავსად, პომადა გენუაში გააგზავნოს გემით, ან სულაც ბოკერეს საშემოდგომო ბაზრობაში მიიღოს მონაწილეობა – სახლა-

ფორთო ამბავია, თქმა არ უნდა, მაგრამ წარმატების შემთხვევაში – დიდად სარფიანიც. მადამ არნულფი ყურადღებით აწონ-დაწონიდა ხოლმე ამ შესაძლებლობებს, ერთმანეთს უნაცვლებდა მათ, ადარებდა, ხან კი სულაც ყველას ერთად იყენებდა: თავისი საუნჯის ერთ ნაწილს ყიდდა, მეორეს ინახავდა, მესამეთი – გაცვლა-გამოცვლას ეწეოდა. და თუ ისეთი შთა-ბეჭდილება შეექმნებოდა, რომ ბაზარი პომადებით იყო გადატვირთული და ახლო მომავალში მის საქონელზე მოთხოვნილების გაზრდას სასიკეთო პირი არ უჩნდა, ხილაბანდის ფრიალით მოვარდებოდა და ახლა მთელი პროდუ-ქციის გადამუშავებას ბრძანებდა. მაშინ პომადა ისევ გამოჰქონდათ სარდაფი-დან, ფრთხილად აცხელებდნენ დახურულ ქოთნებში, სუფთა სპირტს უმატებდნენ, თან საფუძვლიანად ურევდნენ და თქვეფდნენ. ეს ნარევი, სარ-დაფში დაბრუნებისთანავე, ძალიან სწრაფად ციდებოდა; გაცივებულ ქონს სპირტი გამოეყოფოდა და შესაძლებელი ხდებოდა მისი ბოთლებში ჩამოსხმა. ეს უკვე რაღაც სუნამოს მსგავსი რამ იყო, ოღონდ მეტისმეტად ნაჯერი, ხოლო დარჩენილი გაცივებული პომადა სრულიად უვარგისი ხდებოდა. ასე და ამგვარად, გადადიოდა ყვავილების სურნელი კიდევ ერთ ახალ მდგო-მარეობაში. ოღონდ ამით ეს პროცედურა არ მთავრდებოდა: დოლბანდში სა-ფუძვლიანად გაწურულ სითხეს დრუიო პატარა გამოსახდელ კუბში ასხამდა და ძალიან დაბალ ცეცხლზე, ნელ-ნელა ხდიდა. სპირტის აორთქლების შემ-დეგ, ჭურჭელში უმცირესი რაოდენობის, ოდნავ შეღებილი სითხე რჩებოდა, ძალზე ნაცნობი გრენუისათვის; თუმცაღა ასეთი კრიალა, ასეთი ხარისხიანი მას არც ბალდინისთან და არც, ვთქვათ, ბრუნელისთან არ შეუყნოსავს: ეს იყო ერთიანი, უსუფთავესი, უშესანიშნავესი ყვავილოვანი ზეთის შიშველი სურნელი, ათასმაგად ნაჯერი — ე. წ. Essence Absolue. ამ ესენციას უკვე აღარ სდიოდა საამო სუნი: ავადმყოფურად მძაფრი სუნი ასდიოდა, ბასრი და მჭახე. და მაინც, საკმარისი იყო თუნდაც ერთი მისი წვეთი გაგეხსნათ ერთ ლიტრ სპირტში და ყვავილების მთელი მდელოს სურნელებას აღადგენდით!

რა თქმა უნდა, საბოლოო ნაწარმი მცირე იყო – მთელი სითხე სამ მომ-ცრო ფლაკონს თუ გაავსებდა, ოღონდ ეს მთელ ქონებად ფასობდა აქაც კი, გრასში; და რამდენად ძვირდებოდა, როცა მას ლიონს, გრენობლს, გენუასა თუ მარსელს გზავნიდნენ! ამ პაწია ფლაკონების დანახვაზე მადამ არნულფის თვალები მომხიბვლელად ებნიდებოდა, მზერით ეალერსებოდა მათ და როდე-საც ბროლის თავსახურებს არგებდა, სუნთქვას შეიკავებდა ხოლმე, რათა ამ ძვირფასი შემცველობის არაფერი დაკარგულიყო, არ აორთქლებულიყო თუნ-დაც ერთი წვეთიც კი. სახურავებს ფიჭით ბეჭდავდა და ფლაკონის ყელზე მჭიდროდ მოკრულ თევზის ბუშტს აფარებდა. შემდეგ ფლაკონებს ბამბადატა-ნებულებს აწყობდა ყუთში, სარდაფში მიჰქონდა და ცხრა კლიტეს ადებდა მუხის კარს.

37.

აპრილში შოთხვის მაცერაციას ახდენდნენ და ფორთოხლის ყვავილისა, მაისში – ზღვა ვარდების, რომლის სურნელმა მთელი თვით უხილავ ტკბილ ბურუსში ჩაძირა ქალაქი. გრენუი თავაუღებლივ მუშაობდა. მოკრძალებით, თითქმის მონური მზადყოფნით ასრულებდა ყველა დამხმარე ოპერაციას, რომელსაც კი დრუიო დაავალებდა; მაგრამ ვიდრე, ერთი შეხედვით, ჩლუნგივით ურევდა და ხვეტავდა ყვავილებს, რეცხავდა ბოთლებს, სახელოსნოს გვიდა თუ შეშას დაათრევდა, მის ყურადღებას საქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე, სუნთა არც ერთი მეტამორფოზა არ გამოჰპარვია. უკეთესად, ვიდრე ამას ოდესმე გააკეთებდა დრუიო, გრენუი, თავისი ცხვირის წყალობით, მიაცილებდა და იცავდა სურნელთა გადაადგილებას ყვავილის ფურცლებიდან — ქონისა და სპირტის გავლით — ძვირფას პატარა ფლაკონებში. იგი დრუიოზე გაცილებით ადრე გრძნობდა, როდესაც ცხიმი მეტისმეტად ცხელდებოდა, გრძნობდა, როდის უშვებდა ყვავილების მასა უკანასკნელ სურნელს, როდის გაჯერდებოდა ქონი, რა ხდებოდა შემრევების შიგნით და ზუსტად როდის იყო საჭირო გამოხდის პროცესის შეწყვეტა. თანაც ყოველთვის, თითქოსდა შემთხვევით, პირმოთნეობის ნიღბის მოუხსნელად ატყობინებდა ამას უფროს შეგირდს. "მე მგონი, – იტყოდა ხოლმე, – ახლა ქონი მეტისმეტად გაცხელდა; თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ დროა ნაყენი ცხაურზე დაისხას; მეჩვენება, თითქოს სპირტი გამოსახდელ კუბში აორთქლებას იწყებს..." დრუიო ვერაფერი ჭკუის კოლოფი გახლდათ, მაგრამ სრული ყეყეჩიც არ იყო და გარკვეული დროის შემდეგ იაზრა, რომ საუკეთესო გადაწყვეტილებებს სწორედ მაშინ იღებდა, როდესაც აკეთებდა, ან თავად უბრძანებდა გაეკეთებინა ისე, როგორც ეს „ეჩვენებოდა" გრენუის, რომელსაც „ისეთი გრძნობა ჰქონდა..." და რადგან გრენუი არც ამაყობდა და არც იბღინძებოდა ამის გამო, და არასოდეს – მით უმეტეს, მადამ არნულფის თანდასწრებით – ნართაულადაც კი არ აყენებდა ჩრდილს დრუიოს ავტორიტეტსა და უფროსობას, ისიც მიზეზს ვერ ხედავდა, რატომ არ უნდა ესარგებლა მისი რჩევებით. უფრო მეტიც: მალე საერთოდ გადააბარა გადაწყვეტილებების მიღების პრივილეგია.

სულ უფრო ხშირად ხდებოდა ისე, რომ გრენუი არა მარტო ურევდა ქვაბს, არამედ ყვავილებსაც თვითონ ყრიდა შიგ, ცეცხლსაც თვითონ აჩაღებდა და პომადასაც თავადვე წურავდა, ხოლო დრუიო ჭიქა ღვინის გადასაკრავად „ოთხ უფლისწულს" მიაშურებდა ხოლმე, ან სულაც ზემოთ, მადამ არნულფისას ავიდოდა მისახედ-მოსახედად. დარწმუნებული იყო, გრენუი ყველაფერს თავად გაართმევდა თავს. ხოლო გრენუი, თუმც კი ახლა ორი კაცის სამუშაო უწევდა, მარტოობით ტკბებოდა, ხელოსნობაში ოსტატდებოდა და, როცა კი დროს იხელთებდა, არც ცდების ჩატარებას ერიდებოდა. ბოლოს გაიხარა კიდეც, რაკიღა დაასკვნა — ჩემებურად მომზადებული პომადა გაცილებით ნატიფია, ხოლო Essence Absolue – გაცილებით სუფთა, ვიდრე დრუიოს გამოსდის ხელიდანო!.. ივლისის დასასრულს ჟასმინების დრო დადგა, ხოლო აგვისტოში – გიაცინტების. ორივე ეს მცენარე იმდენად ფაქიზსა და მყიფე სურნელს შეიცავდა, რომ მათი არა მარტო მზის ამოსვლამდე მოკრეფა, არამედ განსაკუთრებული, სათუთი გადამუშავებაც

იყო საჭირო. სითბო მათ სუნის სიმძაფრეს აკარგვინებდა და ცხელ ქონში უცაბედად ჩაძირვას შეეძლო სრულიად დაეშალა იგი. ეს უკეთილშობილესი ყვავილები სულს ასე უბრალოდ არ თმობდნენ და საჭირო ხდებოდა ეშმაკობით გამოეტყუებინათ: სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ სათავსებში, ქონით დაფარულ ფიცრებზე ყრიდნენ, ანდა დაუტკეპნავად ახვევდნენ ზეთით გაჟღენთილ ტილოებში, სადაც ნელ-ნელა აძინებდნენ სიკვდილამდე. მხოლოდ სამი-ოთხი დღის მერე იწყებდნენ ისინი ჭკნობას და თავიანთ უკანასკნელ ამოსუნთქვას მეზობლად მყოფ ზეთს ან ქონს გადასცემდნენ... შემდეგ ფრთხილად ამოკრეფდნენ ხოლმე მათ და ახლა ახალ ყვავილებს ყრიდნენ. იმ დროისათვის, როდესაც პომადა იმდენად იჟღინთებოდა, რომ უკვე შესაძლებელი იყო მისგან სურნელოვანი ნივთიერების გამოწურვა, სექტემბერიც დგებოდა. ამ შემთხვევაში საბოლოო შედეგი რაოდენობრივად კიდევ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მაცერაციის დროს; თუმცაღა, ცივი ანფლერაჟის საშუალებით მიღებული ჟასმინის პასტა, ან ძველებური მეთოდით დამზადებული ტუბეროზის საპონი გაცილებით ახლოს იდგა პირველწყაროსთან, ვიდრე საპარფიუმერიო ხელოვნების ნებისმიერი სხვა ნაწარმი. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ქონის ფილები სარკესავით ირეკლავდა ჟასმინის მოტკბო არომას და სრულიად ბუნებრივად აღიქმებოდა, ოღონდაც – Cum grano salis,* რა თქმა უნდა; რადგან გრენუის ყნოსვა, ბუნებრივია, ჯერ კიდევ ამჩნევდა განსხვავებას ყვავილის სუნსა და მის კონსვერვირებულ არომას შორის: თხელი საფენივით იწვა მასზე თავად (რაგინდარა უსუფთავესი) ქონის სუნი, რომელიც დედნის სურნელის მონახაზს არბილებდა, უფრო ზომიერს ხდიდა მის სიმძაფრეს და შესაძლოა, უფრო ასატანსაც – უცები ადამიანისთვის... ყოველ შემთხვევაში, ცივი ანფლერაჟი მაინც ყველაზე დახვეწილი და ქმედითი საშუალება იყო ნაზი სურნელების მისაღებად. ყოველ შემთხვევაში, უკეთესი არ არსებობდა. და თუმც კი მასაც არ შეეძლო გრენუის ცხვირის შეცდენა, იცოდა – ამ ჭეშმარიტად ყნოსვამოკლებულთა სამყაროში ეს მეთოდი სავსებით საკმარისი იქნებოდა ათას სხვათა გასაბრიყვებლად.

როგორც მაცერაციაში, ისე სუნთა ამგვარ ცივად გაჯერებაშიც ძალზე მალე მოიტოვა უკან თავისი მასწავლებელი – დრუიო და პირფერობის ნიღაბაფარებულმა, ეს გარკვეულწილად აგრძნობინა კიდეც. დრუიოც სიამოვნებით ავალებდა ქალაქში გასვლას, სასაკლაოზე ყველაზე შესაფერისი სახეობის ქონის ყიდვას, მის გაწმენდას, გადნობას, გაფილტვრასა და შენარევების პროპორციების განსაზღვრას. თავად დრუიო ყოველთვის ჭირივით უფრთხოდა ამ საქმეს და დიდის დაძაბულობითაც იქმოდა, ვინაიდან ქონს, რომელიც მთლად სუფთა არ იყო, ან მოიმწარებდა, ან ზედმეტად ასდიოდა ღორის, საქონლის თუ ცხვრის სუნი, შეეძლო საერთოდ გაეფუჭებინა ძვირფასი პომადა. ასევე გადაულოცა მან გრენუის არომატიზაციისათვის განკუთვნილ ოთახში ფირფიტებს შორის მანძილის განსაზღვრა, ყვავილების შეცვლის დრო, დაჟღენთვის ხარისხი... საჩქაროდ გადააბარა ყველა სარისკო გადაწყვეტილება, რომლებსაც ის, დრუიო, ისევე, როგორც ოდესღაც ბალდ-

* "შწიკვი მარილით"; აქ: *არცთუ უნაკლოდ* (ლათ.)

ინი, განუსჯელად, დაზუთხული წესების მიხედვით აკეთებდა, ხოლო გრენუი – გუმანით, ანუ საკუთარი ცხვირის წყალობით, რასაც დრუიო, რა თქმა უნდა, არც კი ეჭვობდა.

„მსუბუქი ხელი აქვს, – ამბობდა, – შიგანით გრძნობს, რა და როგორ“. ხანდახან კი გაიფიქრებდა ხოლმე: „ვირიშვილი, ჩეზმე ნიჭიერია, მაგისგან ასჯერ უკეთესი პარფიუმერი გამოვა...“. თუმც ამავე დროს, მოთავებულ ბრიყვადაც თვლიდა, რადგან გრენუი, მისი აზრით, მცირე შემოსავალსაც ვერ მიითვლიდა თავისი ნიჭისათვის, მან კი, დრუიომ, უფრო მცირე შესაძლებლობებით უკვე ოსტატობასაც მიაღწია. გრენუიც ყველანაირად უმტკიცებდა ამ აზრს, გულმოდგინედ იბრიყვებდა თავს, პატივმოყვარეობის ნიშანსაც არ ამჟღავნებდა, ისეთ სახეს იღებდა, თითქოს საკუთარი უნარისა არაფერი ესმის და მხოლოდ მრავალნაცადი დრუიოს მითითებებს ასრულებს, ვის გარეშეც იგი, გრენუი, უბრალოდ, არც არაფრის მაქნისია.

მერე შემოდგომა დადგა და ზამთარიც მოვიდა. სახელოსნოში შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. ფლაკონებში და ქოთნებში გამომწყვდეული ყვავილების ნელსურნელებანი სარდაფში ელაგა. დროდადრო მადამ არნულფი ბრძანებას გასცემდა, შეემოწმებინათ ესა თუ ის პომადა, ან გამხმარი ბალახის რომელიმე ტომრისათვის მოეხსნათ თავი, გასანიავებლად. მაგრამ საქმე ცოტა იყო. ჯერ კიდევ შემოდიოდა ზეთისხილი, კვირიდან კვირამდე, სავსე კალათებით (მათგან ზეთს წურავდნენ, ხოლო ნარჩენებს კარაქის საღღვებს აბარებდნენ) და ღვინო, რომლის ნაწილსაც გრენუი სუფთა სპირტად ხდიდა.

დრუიო სულ უფრო იშვიათად შემოდიოდა სახელოსნოში. თავის მოვალეობას ქ-ნ არნულფის საწოლში იხდიდა და თუ გამოჩნდებოდა, ოფლითა და სპერმით აქოთებული, მხოლოდ იმისათვის, ახლა ქულბაქ „ოთხ უფლისწულში“ გადაენაცვლებინა. თავად ქალბატონიც, ძირითადად, თავის ავლადიდების საკითხებს აგვარებდა და გარდერობს აახლებდა იმ დროისათვის, გლოვის წელიწადი რომ გავიდოდა. ხშირად გრენუი მთელი დღეების განმავლობაში ვერავის ხედავდა, ერთი მოსამსახურე ქალის გარდა, რომელსაც სადილად შეჭამანდი მოჰქონდა და ვახშმად – პური და ზეთისხილი. ქალაქში იშვიათად გადიოდა. ამქრულ ცხოვრებასა თუ საზეიმო მსვლელობებში შეგირდი ზუსტად იმდენად მონაწილეობდა, მისი ყოფნა-არყოფნა არავის სცემოდა თვალში. მეგობრები და ნაცნობები არ ჰყავდა, მაგრამ ბეჯითად ცდილობდა, თავკერძად ან განდგომილად არ ჩაეთვალათ. საკუთარი თავის გაუთლელ ტეტიად მოჩვენების დიდოსტატი იყო, ოღონდ არც იმდენად ცდილობდა, რომ მასზე ღვარძლიანად ეცინათ, ან უხეში ხელოსნური ხუმრობების მსხვერპლი გამხდარიყო. საბოლოოდ, იმდენი მოახერხა, ყველამ ანება თავი. მას კი მეტიც არაფერი უნდოდა.

38.

მთელ დროს სახელოსნოში ატარებდა. დრუიოს უთხრა, ოდეკოლონის ახალი რეცეპტი მინდა შევქმნაო, სინამდვილეში კი სულ სხვა რამ ჰქონდა უზურში. სუნამო, მონპელიეში რომ დაამზადა, მომჭირნეობისდა მიუხედავად, უკვე გაუთავდა. მანაც აიღო და ახალი დაამზადა, ოღონდ ამჯერად ნაუცბათევად კი არ შეთითხნა ადამიანის სუნის იმიტაცია – პირველსავე ხელთ მოხვედრილი მასალისაგან, არამედ მთელი თავისი პატივმოყვარეობა ჩააქსოვა პიროვნული, მეტიც – მრავალპიროვნული სურნელის შექმნაში...

დასაწყისისათვის შეუმჩნევლობის სუნი დაიმზადა, რაღაც თაგვისფერი, ყოველდღიური სამოსელივით, რომელშიც ადამიანის დამახასიათებელი მომჟავო სუნი კი არსებობდა, მაგრამ სულ ოდნავ შესამჩნევად – თითქოს ბებერ, გამომშრალ კანზე შემოკრული სქელი შალის ტანსაცმელში გამოაღწიაო. ასეთი სუნით მოსახერხებელი იყო ხალხში გათქვეფა: საკმაოდ ძლიერი, რათა ყნოსვით დაგედასტურებინათ ზოგადად პიროვნების არსებობა, და ამავე დროს იმდენად მოუხელთებელი, რომ მის არსებობას ვერავინ ამჩნევდა. მისი დახმარებით გრენუი თითქოსდა არც იმყოფებოდა და მაინც, მოკრძალებულად კიდეც ამართლებდა თავის არსებობას – ეს კი მისთვის ზედგამოჭრილი იყო — როგორც მადამ არნულფისას, ისე ქალაქში გასასვლელად.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში სადა სურნელი ხელისშემშლელიც აღმოჩნდა. როდესაც დრუიოს დავალებით, საყიდლებზე მიდიოდა, ან როდესაც რომელიმე მოვაჭრისაგან ცოტაოდენი ციტებიტინი, ან რამდენიმე მარცვალი მუშკი სურდა შეეძინა, ისეც ხდებოდა რომ მისი შეუხედავი გარეგნობის გამო ან სრულიად ვერ ამჩნევდნენ და არ ემსახურებოდნენ, ან კი ამჩნევდნენ, მაგრამ სულ სხვა რამეს აძლევდნენ და ხან საერთოდაც ავიწყდებოდათ მისი მომსახურება. ასეთი შემთხვევებისათვის უფრო ღირსეული, ოღონდ ოფლის სუნიანი სუნამო დაამზადა, ზოგიერთი იმგვარი ყნოსვითი მოხაზულობითა თუ კუთხით, რომელიც უფრო უხეშ შესახედაობას აძლევდა და აიძულებდა ადამიანებს ეფიქრათ, რომ მას გადაუდებულ საქმეებზე მიეჩქარება; ამას გარდა, დრუიოსათვის დამახასიათებელი aura seminalisis იმიტაციით – რომლის შექმნას გაქონილი ტილოს ნაჭრის, იხვის კვერცხებისა და მოხალული ხორბლის ფქვილის არომატიზაციის გზით მიაღწია და რაც მშვენიერ შედეგს იძლეოდა, თუკი მავანის ყურადღების მიპყრობა სურდა.

შემდეგი მისი არსენალიდან თანაგრძნობის გამომწვევი სუნი იყო, რაც შეუფერხებლად მოქმედებდა საშუალო ასაკისა და ხნიერ ქალებზე – წყალწყალა რძისა და გარანდული, რბილი ხის სუნი. მასში გრენუი – მაშინაც კი, როდესაც პირგაუპარსავი, დამჟავებული სახით შედიოდა სადმე და საწვიმარსაც კი არ იხდიდა – ერთი ღარიბი, სისხლნაკლული ჭაბუკის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელსაც ყველა პატიოსანმა კაცმა უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი. როგორც კი ბაზარში მის სუნს შეიყნოსავდნენ ვაჭრები, ისეთი მშიერი და უმწეო ეჩვენებოდათ, უმალ ნიგოზსა და მსხლის ჩირს აჩეჩებდნენ ხელში; ყასაბის ცოლმა კიდევ, რომელიც განთქმული გახლდათ ავისი უკარებლობითა და სიძუნწით, ნება მისცა, თავად ამოერჩია და უფასოდ წაეღო სუნ-

დაკარული ხორცის ნარჩენები და ძვლები, ვინაიდან მისმა უმანკოების არომატმა დედობრივი გრძნობები გაუღვიძა და გულიც აუჩუყა. სწორედ ამ ნარჩენებისგან, ალკოჰოლით პირდაპირი დაჟღენთვის გზით, მიიღო იმ სუნის მთავარი შემადგენელი, რომელსაც მაშინ ხმარობდა, თუკი მარტო მოესურვებოდა დარჩენა. ეს სუნი მის გარშემო წყნარი ზიზღის ატმოსფეროს ქმნიდა, სიდამპლის მოყნოსვის შეგრძნებას, დილდილაობით რომ გცემს ბებერი, მოუვლელი პირიდან. ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, არცთუ მაინცა და მაინც აზიზი დრუიოც კი უნებლიედ პირს იბრუნებდა ხოლმე. მისი რამდენიმე წვეთიც საკმარისი იქნებოდა კარიბჭეზე მისასხმელად, რათა ნებისმიერ დაუპატიჟებელ სტუმარს, ადამიანი იქნებოდა თუ ცხოველი, ფეხიც აღარ შემოედგა ეზოში.

ახლა უკვე სხვადასხვა სურნელთა დაცვის ქვეშ იმყოფებოდა, რომლებსაც ტანსაცმელივით იცვლიდა და რაც საშუალებას აძლევდა ადამიანების გარემოცვაში არ გამორჩეულიყო. ახლა გრენუი თავის ვნებას აჰყვა – სუნებზე ნამდვილ ნადირობას მიჰყო ხელი, და ვინაიდან წინ დიადი მიზანი ჰქონდა, ხოლო დრო – წელიწადზე მეტი, არა ცხროიანი თავგამოდებით, არამედ უჩვეულო გეგმიურობითა და სისტემატურობით იწყო თავისი იარაღის ალესვა, ახალ-ახალი ხერხების გამომუშავება, მეთოდების ჯიუტად მიყვანა სრულყოფილებამდე... ჯერ იმით დაიწყო, რაზედაც ბალდინისთან გაჩერდა – ქვისგან, ლითონისაგან, ხისგან, მარილისაგან, წყლისაგან, ჰაერისაგან – ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, უსულო საგნებისაგან არომების მიღებით.

იმას, რაც მაშინ დისტილაციის უხეში მეთოდის გამო უბადრუკი წარუმატებლობით დაუმთავრდა, ახლა ქონის აბსორბციის ძალის დახმარებით მიაღწია: ერთხელ, კარის თითბერის საკეტის ცივი, დაობებული სუნი იკრა და რამდენიმე დღით საქონლის ქონი გადაუსვა – ახლა წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როდესაც ქონი ჩამოფხიკა და მას, მართალია ოდნავ, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად თითბერის სუნი სდიოდა! სპირტით გამორეცხვის შემდეგაც კი დარჩა ეს სუნი; რა თქმა უნდა, სუსტი, შორეული, ღვინის სპირტის ანაორთქლით დაბინდული და იქნებ, მთელ სამყაროში მხოლოდ გრენუის ცხვირისათვის მისაწვდომი, და მაინც ის არსებობდა, ანუ პრინციპში მაინც, ის უკვე მის ხელთ იყო!.. გრენუის რომ ათი ათასი ცალი საკეტი ჰქონოდა, და ათასი დღე ზედიზედ ეფარა ისინი ქონით, ნამდვილად შესძლებდა პატარა წვეთი *ესენს აბსოლუ* მიეღო, და მაშინ ყოველს და ნებისმიერს გაუჩენდა ილუზიას – ცხვირწინ თითბერის საკეტი მიდევსო...

ზუსტად იგივე გამოუვიდა ფოროვანი კირქვის სუნთან, რომლის ნატეხიც ბაღში, თავისი ქოხის წინ იპოვნა. ნატეხის მაცერაცია ჩაატარა და პომადის პატარა ბურთულა მიიღო, რომლის სუნი აუწერელ აღფრთოვანებას ანიჭებდა; მერე იმავე ქოხის მიდამოებში მოგროვებულ სულ სხვადასხვა ნივთებისაგან მიღებულ სუნებს შეურია და ფრანცისკანული მონასტრის უკან მდებარე ზეთისხილის პლანტაციის სუნთაგან მისი მინიატურული ასლი შექმნა; პაწია ფლაკონში გამომწყვდეული, ის ახლა შეეძლო თან ეტარებინა და საჭიროების შემთხვევაში, მეყვსეულად აღედგინა. რა თქმა უნდა, მთელი ეს ჯადოქრობები თუ შესანიშნავი ოინები, რომლებსაც ის სუნებს უწყობდა,

მხოლოდ მას, პირადად გრენუის ანიჭებდა სიამოვნებას და მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი, მაგრამ ეს უაზრო ვირტუოზობაც დიდ სიამეს ანიჭებდა და არასოდეს, არც მანამ და არც შემდგომში არ უგრძვნია თავი ისე ბედნიერად, როგორც ამ აზარტული თამაშების დროს – სურნელოვანი ხედების ნატურმორტებისა და ცალკეული საგნების პორტრეტების შექმნის დროს რომ განიცდიდა.

შემდგომ უკვე ცოცხალ ობიექტებზეც გადავიდა: ჯერ ზამთრის ბუზების, მატლების, ვირთხების, კნუტების დაჭერა და მათი ცხელ ქონში ჩაფლვა იწყო. ღამღამობით ბოსლებსა და ფარდულებში შეიპარებოდა ძროხებთან, თხებთან და გოჭებთან, რათა რამდენიმე საათით დაეფარა ისინი ქონიანი ტილოებით, ან ზეთით გაჟღენთილი დოლბანდები დაეხვია მათზე. ფარეხებში მიძვრებოდა, რომ ბატკნები გაეკრიჭა და მათი სურნელოვანი მატყლი ღვინის სპირტში გამოერეცხა. დასაწყისისათვის შედეგები არც ისე საიმედო იყო: ისეთი დამთმენი ნივთებისაგან განსხვავებით, როგორიც თითბერის საკეტი ანთუ ქვაა, ცხოველებს სულაც არ ეპიტნავებოდათ საკუთარი სუნის გაცემა; ღორები ბაგას ეხახუნებოდნენ, რათა დოლბანდები მოეცილებინათ როგორმე, ცხვრები ბღაოდნენ, როდესაც დანით ხელში უახლოვდებოდა მათ; ძროხები ჯიუტად იბერტყავდნენ ჯიქნებიდან ქონიან ნაჭრებს. ზოგიერთი ხოჭო, როდესაც მათ გადამუშავებას ცდილობდა, ყროლად სეკრეციებს გამოყოფდნენ, ხოლო ვირთხები, ეტყობა შიშისაგან, პირდაპირ საპომადე სითხეში იცლიდნენ კუჭს. ცხოველები, ყვავილებისაგან განსხვავებით, რომლებიც უჩუმარი ამოსუნთქვით ნებდებოდნენ, მაცერაციის დროს თავიანთ სუნებს ასე უდრტვინველად ვერ ელეოდნენ, არ იძლეოდნენ მოშთობის უფლებას, წიხლებს ისროდნენ, იბრძოდნენ და შიშით გამოწვეული ოფლის შეუდარებლად დიდ რაოდენობას გამოყოფდნენ; ასე რომ, მჟავებით გადატვირთული ცხელი ქონი სრულიად უვარგისი ხდებოდა დასამუშავებლად. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა დაფიქრებით და აწონდაწონვით ეკეთებინა საქმე. ახლა ობიექტები უნდა დაემშვიდებინა და თან ისე მოულოდნელად, ვერც შეშინება და ვერც წინააღმდეგობის გაწევა ვერ უნდა მოესწროთ... მოკლედ, მათი წინასწარ დახოცვა მოუხდა.

დასაწყისისათვის ეს რომელიღაც ლეკვზე სცადა. სასაკლაოს წინ, ხუხულადან ხორცის ნაჭრით გამოიტყუა და სახელოსნოში მიიყვანა. როდესაც ცხოველი მხიარული და აღგზნებული წკმუტუნით მის გარშემო მოჰყვა ხტუნვას და მარცხენა ხელის თითებიდან ხორცის წაგლეჯას ლამობდა, გრენუიმ მარჯვენაში მომარჯვებული შეშის ნაპობი ჩასცხო კეფაში. ლეკვი ისე სწრაფად მოკვდა, თვალებში კიდევ შერჩა ბედნიერი გამომეტყველება — ვიდრე გრენუი ცხაურზე აწვენდა ქონიან ფილებს შორის, სადაც ლეკვი თავის სუფთა, სიკვდილით შეურყვნელ არომას გაუშვებდა. მაგრამ მაინც, თქმა არ უნდა, მუდამ ფხიზლად უნდა ყოფილიყო გრენუი! გვამები, ისევე როგორც ველზე დაკრეფილი ყვავილები, სწრაფად ფუჭდებიან. სწორედ ამიტომ დარაჯობდა თავის მსხვერპლს დაახლოებით თორმეტი საათი, ვიდრე არ მოყნოსა, რომ ძაღლის სხეულიდან, მართალია არცთუ უსიამო, მაგრამ აქ სრულიად უადგილო კვდომის სუნის ნაკადებმა გამოაღწია. მაშინვე შეწყვიტა ანფლერაჟი, ლეში იქაურობას მოაშორა, არომატიზირებული ქონის ნაჭერი

ქვაბში ჩაუშვა და საფუძვლიანად გამორეცხა. შემდეგ გამოხადა სპირტი, ერთ ციდამდე დაიყვანა და სინჯარაში ჩაასხა. სუნამოს აშკარად ასდიოდა ძაღლის ნედლი, ცინცხალი მბზინვარე ტყავის სუნი; როდესაც გრენუიმ იგი სასაკლაოს ბებერ ძუკნას აყნოსვინა, ძაღლმა ერთი ყეფა-ყმუილი მორთო და დრუნჩს სინჯარას არ აცილებდა, მაგრამ გრენუიმ მჭიდროდ დაახურა საცობი, ჯიბეში ჩაიდო და კიდევ დიდხანს დაატარებდა თან, როგორც მოგონებას მისთვის იმ ტრიუმფალურ დღეზე, როდესაც პირველად შესძლო ცოცხალი არსებისათვის მისი სურნელოვანი სული წაერთმია.

შემდეგ, ფრიადი თანდათანობითა და უდიდესი სიფრთხილით, გრენუი ადამიანებს მისდგა. საღამოობით, შეუმჩნევლობის საკუთარი მსუბუქი სუნის საფარქვეშ, „ოთხი უფლისწულის“ ხშირ სტუმრებს შორის ტრიალებდა და მაგიდების, და სკამების ქვეშ, და მყუდრო კუნჭულებში ქონით ან ზეთით გაჟღენთილ ნაკუწებს კიდებდა. რამდენიმე დღის შემდეგ აგროვებდა მათ და ჭეშმარიტად, სამზარეულოს გამონაბოლქვის, თამბაქოს კვამლისა და ღვინის ყველა შესაძლებელ სუნთან ერთად, ქონს ადამიანის ოდნავი სუნიც დაჰკრავდა! მაგრამ მეტისმეტად არამკაფიო და ბუნდოვანი იყო – უფრო მეტად საერთო წარმოდგენა სიმყრალეზე, ვიდრე თავად პიროვნული სუნი. ზუსტად ასეთივე აურა — აუარება ხალხისა, ოღონდ უფრო სუფთა, ამაღლებულ-დაოფლილ ხარისხში, ეკლესიაშიც შეეძლო მიეღო, სადაც გრენუიმ 24 დეკემბერს გამოკიდა მერხების ქვეშ თავისი საცდელი ბაირაღები და მხოლოდ 26 დეკემბერს წამოიღო იქიდან — მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ თავზე სულ ცოტა შვიდჯერ იჯდა წირვაზე ხალხი. ტაძრის ატმოსფეროს შემსრუტავ ნაჭრის ამ ნაკუწებზე მომწარო ოფლის, მენსტრუალური სისხლის, მუხლებს ქვემოთა ნოტიო ღრმულების, კრუნჩხვით მოგრეხილი ხელების სუნთა შემზარავი ნარევი ახლა ათასობით მომღერალი და ლოცვით მოჩურჩულე ადამიანის ნასუთქ, გადამუშავებულ ჰაერთან და საკმევლის მძიმე, წებოვან ანაორთქლს იყო შეზავებული – უფორმო, გულისამრევად შედედებული, მაგრამ მაინც – უკვე საცნაურად ადამიანური. პირველი კუთრი სუნი კი გრენუიმ დავრდომილთა თავშესაფარში მოიძია: ერთი ვინმე მეტყავის დასაწვავად გადადებული თეთრეული მოიპარა – ახალი მკვდარი იყო ჭლექისაგან და მანამდე ამ ზეწრებში ორი თვე გახვეული. ტილო ის, გაჟღენთილიყო მეტყავის სუნით, ანფლერაჟის პასტასავით შეიწოვა მისი ანაორთქლი. შედეგი შემაძრწუნებელი გახლდათ: გრენუის ცხვირწინ, ღვინის სპირტის ხსნარიდან, მეტყავე მკვდრეთით აღსდგა და მისი ყნოსვითი პორტრეტი, თუნდაც სქემატური, რეპროდუქციის სპეციფიური მეთოდითა და ავადობის მრავალრიცხოვანი მიაზმებით დამახინჯებული და მაინც სრულიად საცნობი, შიგ სახელოსნოს ჰაერში აღმოცენდა: ტანმორჩილი, ოცდაათიოდე წლის ქერა კაცი, ბუშტა ცხვირით, მოკლე ხელ-ფეხით, დანესტილი ბრტყელი ტერფებით, გასიებული ფალოსითა და საძაგელი სუნით ყრონტიდან; მოკლედ, ვერაფერი ხიბლი ჰქონდა, არც მისი შენახვა ღირდა იმ პატარა ლეკვის სუნივით და მაინც, გრენუიმ ნება მისცა ამ მოჩვენებას მთელი ღამე ეფრიალა მის ქოხში; დროდადრო ყნოსვით იჭერდა მას, ბედნიერი და ღრმად კმაყოფილი იმ ძალაუფლების გრძნობით, სხვა ადამიანის არომაზე რომ მოიპოვა. მეორე დღეს კი მაინც გაატანა ქარს.

39.

იანვრის თვეში, არნულფის ქვრივი კანონიერი ქორწინებით შეუუღლდა თავის უფროს შეგირდს — დომინიკ დრუიოს, რომელიც ამა იურიდიული აქტის შედეგად თათმანისა და პარფიუმერიის ოსტატ მეტრ დრუიოდ იქცა. გილდიის ოსტატებისთვის დიდი სადილი გამართეს, შეგირდებისათვის —უფრო მოკრძალებული. ქალბატონმა ახალი ლეიბი შეიძინა საწოლისათვის, რომელსაც დრუიოსთან ახლა უკვე ოფიციალურად იყოფდა და კარადიდან თავისი ჭრელი კაბები გამოალაგა. ყველაფერი დანარჩენი ძველებურად დარჩა: შეინარჩუნა თავისი ძველი, შეუბღალავი სახელი — მადამ არნულფი, გაუყოფავი ქონება, საქმის ფინანსური ბერკეტები და სარდაფის გასაღები; დრუიო ყოველდღიურად ასრულებდა მამრის მოვალეობებს და მერე ღვინით გრილდებოდა, ხოლო გრენუი — იმის მიუხედავად, რომ პირველი და ერთადერთი შეგირდი გახდა — იგივე საზღაურის, მწირი კვებისა და უბადრუკი ღამისსათევის ფასად ასრულებდა მოზღვავებული სამუშაოს მეტ წილს.

წელიწადი ყვითელი კასიების წარღვნით დაიწყო, გიაცინტებით, იებითა და ნარგიზებით. ერთხელ კი, მარტის კვირა დილით — გრასში მისი ჩამოსვლიდან დაახლოებით ერთი წელი იქნებოდა გასული — გრენუი ქალაქის მეორე ბოლოში გაემართა იმის შესატყობად, როგორ მიდიოდა საქმეები ბაღში, კედლის მიღმა. ამჯერად მზად იყო იმ სურნელისათვის და ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი, რაც ელოდა... და მაინც, როდესაც სუნი შეიყნოსა — ეს კი ახალ ხიდზე მოხდა, ნახევარ გზობაზე იმ ბაღამდე — იგრძნო როგორ აუბაგუნდა გული, სისხლი როგორ აუდუღდა სიხარულისაგან! ის ჯერ კიდევ იქ იყო, მშვენიერი ყვავილი, რომელმაც უვნებლად გამოიზამთრა, წვენით აივსო, მოიზარდა, წელში გასწორდა და დიდებული ყლორტები მოიყარა. სურნელი, როგორც მოელოდა კიდეც, სინატიფის დაუკარგავად გასძლიერებოდა; ის სურნელება, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის წინ წვეთებად, შხეფებად მოდიოდა, ახლა ნარნარი, მდორე ნაკადივით მოედინებოდა და ათასობით ფერით ლივლივებდა; და ეს ნაკადი — ნეტარებით აღნიშნა თავისთვის გრენუიმ — სულ უფრო ძლიერი წყაროდან იკვებებოდა... კიდევ ერთი წელი, მხოლოდ ერთი, სულ რაღაც თორმეტი თვე, მერე წყარო ამოხეთქავს და მას შეეძლება მოვიდეს, მიითვისოს და მოათვინიეროს კიდეც სურნელების ეს ველური ამოფრქვევა!.

ნაცნობ კედელთან მიირბინა, რომლის იქითაც მდებარეობდა ბაღი. გოგონა სახლში იყო — ოთახში, დახურულ დარაბებს იქით, მაგრამ მისი სურნელი თანაბარ, რბილ ტალღებად გამოდიოდა. გრენუი უჩუმრად იდგა, არც გაბრუებულა და არც დამთვრალა, როგორც მაშინ; იმ მიჯნურის ბედნიერი შეგრძნებით აღივსო, შორიდან რომ უთვალთვალებს ღვთაებრივ სატრფოს და იცის, ერთი წლის შემდეგ უკვე თავისთან ნახავს... და მართლაც, გრენუი — ეს მარტოხელა ტკიპა, ეს ურჩხული, ეს ბაიყუში გრენუი, რომელსაც არც ჰყვრებია ვინმე და არც ის შეეძლო, ვინმეში სიყვარულის გრძნობა გაეღვივებინა, იდგა მარტის იმ დღეს ქალაქ გრასის კედელთან და უყვარდა, და უძიროდ ბედნიერი იყო ამ სიყვარულით!.

მართალია, მას ადამიანი კი არ უყვარდა, არა ის გოგონა სახლში, კედელს იქით, არამედ მხოლოდ მისი სურნელი, მხოლოდ სურნელი და არაფერი სხვა, და უყვარდა, როგორც სამომავლო საკუთრება. მოვა ერთი წლის შემდეგ და დაისაკუთრებს. საკუთარი სიცოცხლე დაიფიცა. და რაკი დადო ეს თავისებური აღთქმა — ან, გნებავთ, დანიშვნის ხელშეკრულება, რაკიღა თავს ფიცი მისცა რომ უერთგულებდა ამ თავის მომავალ საკუთრებას, მხიარული განწყობით დატოვა იქაურობა და დიუკურის კარიბჭის გავლით, ქალაქში დაბრუნდა.

ღამით, თავის ქოხში მწოლიარემ, გოგონას სუნი კიდევ ერთხელ მოატივტივა მოგონებიდან — თავადაც ეფერებოდა და მასაც აძლევდა ალერსის ნებას, იმდენად ახლო შეიგრძნობდა, როგორც ეს სიზმარშია ხოლმე, თითქოსდა უკვე დაეუფლა მას, თავის საკუთრებად ქცეულ სურნელს, და ვიდრე ეს დამათრობლად საოცარი წამი გრძელდებოდა, საკუთარი თავიც მხოლოდ ამავე სურნელების წყალობით უყვარდა. და ის-ის იყო, სიყვარულით გათანგულს უნდა დაეძინა, ზუსტად იმ დროს, როდესაც თვალები მიებლიტა და ერთი ღრმა ჩასუნთქვაღა აკლდა სიზმარეულ ზმანებებში გადასასვლელად, სურნელმა მიატოვა იგი, მოულოდნელად გაქრა და მისი ადგილი ახლა თხების ბაგის ცივმა სუნმა დაიჭირა.

შეძრწუნდა გრენუი: "და თუკი, — გაიფიქრა, — და თუკი მისი ეს სურნელიც ამოიწურა? ეს ხომ ისე არაა, როგორაც მოგონებებში, სადაც ყველა სურნელი მუდმივია! ცხადში იგი აქროლებადია, გარე სამყაროსთან შეხებისას ნავლდება, და თუკი საბოლოოდ დაშრება ანუ — დაშრა წყარო, საიდანაც ნელსურნელებათა გამოსახდელ ნექტარს ვღებულობ, ისეთივე შიშველი ვრჩები და მომიწევს ისევ ჩემივე სუროგატებით ვუშველო თავს... არა, ადრინდელზე უარესად იქნება ყველაფერი, რადგან ვეღარც შევძლებ მის დავიწყებას, ვინაიდან არანაირი სუნი არ მავიწყდება... ასე გამოდის, მთელი ცხოვრება უნდა ვიტანჯო ამ მოგონებით, როგორც უკვე ახლავე ვიტანჯები მის მოლოდინში! მაშ, რა ჯანდაბად მინდა? რად ვიმწარებ თავს?!."

ამის გაფიქრებაც კი დამზაფრავი იყო. მაინც, რამდენ ხანს შესძლებს მის დანარჩუნებას? რამდენიმე დღე? რამდენიმე კვირა? იქნებ მთელი თვეც, თუ მომჭირნედ იხმარს? კი მაგრამ, მერე? უკვე ხედავდა, როგორ ბერტყავს ფლაკონიდან უკანასკნელ წვეთს, როგორ ავლებს შიგ ღვინის სპირტს, რათა მისხალიც არ დაიკარგოს, და ხედავს — არა, ყნოსავს — სამუდამოდ და დაუბრუნებლად როგორ ორთქლდება მისი სურნელი... ნელი-ნელ კვდომა იქნება ეს, თითქოსდა საკუთარ თავს ამოაორთქლებს გარეთ — ამ საზიზღარ, შემზარავ სამყაროში.

აჟრჟოლებდა. საკუთარ გეგმებზე ხელის აღების სურვილმა შეიპყრო, სურვილმა — გასულიყო ღამეში და გაეწია, საითაც გული გაუწევდა; თოვლიანი მთების გადალახვა, ოვერნამდე ასი მილის მუხლჩაუხრელად გავლა, თავის ძველ ქვაბულში შეძრომა, მიძინება და ძილში სიკვდილი მოუნდა. და მაინც არ გააკეთა ეს — ადგილზე დარჩა, არ აჰყვა ცდუნებას; არ აჰყვა, ვინაიდან ყველაფერი ეს უკვე გამოცდილი ჰქონდა, ხოლო რაც არ გამოე-

ცადა — ადამიანის სუნის ფლობა იყო, ოღონდ ისეთივე მწველი სურნელის, კედლის იქით მყოფ გოგონას რომ გააჩნდა; და იმ წინათგრძნობის მიუხედავად, რა საზარელი ფასიც უნდა გაეღო, მაინც ეს თუნდაც მეყვსეული ფლობა და დაკარგვა უფრო სასურველად მიაჩნდა, ვიდრე იმთავივე ყველაფერზე უარის თქმა, ვინაიდან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ყველაფერზე უარს ამბობდა, არც ჰქონია არასოდეს რაიმე, და არც არაფერი დაუკარგავს...

იჭვნეულობამ უკან დაიხია და მასთან ერთად ჟრჟოლაც შეუწყდა. იგრძნო, როგორ გამოაცოცხლა ცხელმა სისხლმა და ისევ დაეუფლა ჩაფიქრებულის აღსრულების ჟინი: არჩევანის წინაშე მდგარმა — ჩამხმარიყო საკუთარ თავში, თუ ჩამოვარდნის ნება მიეცა თავისთვის, ტკიპა გრენუიმ მეორე ირჩია, იმ სრული შეგნებით, რომ ეს მისი ბოლო ვარდნა იქნებოდა. ისევ გაწვა ტახტზე, ჩაეფლო თივაში, საბანი გადაიფარა და უმალ გმირად იგრძნო თავი. ოღონდაც, საქმე ისაა რომ ზოგი სურნელება ათწლეულობით სძლებს — ვთქვათ, მუშკით გაჯერებული ტყავის ნაჭერი, ამბრის გორგალი, კედარის ხის ზარდახშა — ყველაფერი ეს, ყნოსვითი თვალსაზრისით, ლამის უკვდავია; სხვები კიდევ — ლიმეტინის ზეთი, ბერგამოთი, ნარგიზისა და ტუბეროზის ექსტრატები — ჰაერზე სუფთა სახით გამოტანის შემთხვევაში, მალევე კარგავენ სურნელს. პარფიუმერიის ხელოვნებაც სწორედ ამ საბედისწერო ვითარებას ებრძვის, იოლაქროლად არომებს სიმტკიცეს მატებს — თითქოსდა ხუნდებს ადებსო, თავისუფლებისაკენ სწრაფვას უთრგუნავს — და მთელი ხელოვნებაც იმაშია, ეს ხუნდები მეტისმეტად მჭიდრო არ იყოს, რათა მოჩვენებითი თავისუფლებაც მიანიჭოს მათ და სიახლოვეშიც იყოლიოს, რომ სურნელს გაქცევის საშუალება აღარ მიეცეს. გრენუის ეს ორჯერ ზედიზედ გამოუვიდა ტუბეროზის ზეთთან მუშაობის დროს, რომლის ეფემერული არომაც მცირეოდენი ციბეტინის, ვანილისა და ლანდანუმის მეშვეობით შებოჭა და სწორედ ამით გამოავლინა სრულად მისი მომხიბლაობა. განა არ შეიძლება იმ გოგონას სურნელსაც რაიმე მსგავსი უქნას? განა რა აუცილებელია სუფთა სახით გამოიყენო უძვირფასესი სურნელება და ასე უყაირათოდ ხარჯო? რა უაზრობაა, რა უნიათობა! განა ალმასებს დაუწახნაგებლად ტოვებენ? განა ოქროს თვითნაბადებს იკიდებენ ყელზე? განა გრენუი სურნელთა უბრალო ქურდია, დრუიოსა და სხვა მაცერატორების, დისტილატორებისა თუ ყვავილთა გამომწურავების მსგავსად? ნურას უკაცრავად — ის ქვეყნად უდიდესი პარფიუმერია — დიახაც!.

შუბლზე იტკიცა ხელი, ადრევე რომ ვერ იაზრა ეს მეთოდი. რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელია ამ თავისებურად ერთადერთი არომის სუფთა სახით გამოყენება — ძვირფასი ქვისა არ იყოს, მას ჩარჩო სჭირდება, ის კი ნელსურნელებათა მთელ დიადემას გამოსჭედავს და ხელოვნების ყველა წესის დაცვით დამზადებულ ამ სუნამოს გულისგული სწორედ იმ კედლისმიღმელი გოგონას სურნელი იქნება! ოღონდაც გასაწყობად — ასე ვთქვათ, არანჟირებისათვის — საყრდენ და გადამწყვეტ ნოტად, ხმოვანების გამახვილებისა და განმტკიცებისათვის, ახლა არც მუშკი გამოდგებოდა, არც ციბეტინი, არც ვარდის ზეთი — ეს იმთავითვე ცხადი იყო. ამნაირი სუნამოს, ადამიანის

ასეთი ხელოვნური კეთილსურნელების შესაქმნელად მას სულ სხვაგვარი შემადგენლები სჭირდებოდა...

40.

იმავე წლის მაისში, ვარდების მინდორზე, სადღაც შუა გზაზე გრასსა და მის აღმოსავლეთით მდებარე დაბა ოპიოს შორის, თხუთმეტი წლის გოგონას გაშიშვლებულ გვამს წააწყდნენ. გოგონა კეფაში კეტის ჩარტყმით მოეკლათ. გლეხი, რომელმაც გვამი აღმოაჩინა, ისე იყო შეძრწუნებული, კინაღამ ეჭვი დაიტეხა თავზე, როცა ათრთოლებული ხმით მოახსენა ბოქაულს არასოდეს მსგავსი მშვენიერება არ მინახავსო – თუმცა, არსებითად, იმის თქმა სურდა, რომ მსგავსი საშინელება არასოდეს ენახა.

გოგონა მართლაც რომ დახვეწილი სილამაზით გამოირჩეოდა და ალბათ, იმ ქალების რიგს განეკუთვნებოდა, ტკბილ, განსაკუთრებით მწებარე თაფლს რომ მოგვაგონებენ; ერთი ნარნარი მოძრაობით, თავის ერთი შემობრუნებით, ერთადერთი, შოლტის რკალივით უწყინარი გამოხედვით რომ იპყრობენ გარემოს, თვითონ კი მშვიდად დგანან ვნებათა მორევის შუაგულში, თითქოს და ვერც შეიგრძნობენო მიზიდულობის იმ ძალას, რომლითაც თავისკენ ეწევიან გარემომყოფთა ვნებებსა თუ სულებს; და ჯერ სრულიად ნორჩი იყო, მომწიფების ხანაში, ამნაირი ქალებისათვის დამახასიათებელ მომხიბვლელობას სრულყოფისათვის ჯერ არც მიეღწია. აღნაგობა ჯერ კიდევ მყიფე ჰქონდა, მკერდი მკვრივი, ხოლო სახე – სქელი, ყორნისფერი თმით შემოფარგლული — ჯერ კიდევ ბავშვურ კონტურებსა და ნაკვთების იდუმალ დაუმთავრებლობას ინარჩუნებდა. თუმცა თავად თმების სიგრძე გაურკვეველი იყო, რაკიღა მკვლელს შეეკრიჭა და თან გაეყოლა, ისევე როგორც მთელი სამოსი.

თავდაპირველად ბოშებზე მიიტანეს ეჭვი. ბოშებისაგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი – ეგენი, მოგეხსენებათ, ძველი კაბებისაგან ხალიჩებს ქსოვენ, და ბალიშებს ადამიანის თმით ტენიან, და ჩამოხრჩობილთა კბილებისა და კანისაგან პატარა თოჯინებს აკეთებენ... ასეთი დანაშაული სწორედ ბოშებისათვის შეიძლებოდა მიგეწერა კაცს, მაგრამ ბოშები არსად ჩანდნენ, არ ჩანდნენ არსად მთელს ოლქში – უკანასკნელად მათ დეკემბერში ჩამოევლოთ ამ მხარეს.

ბოშების არყოფნის გამო, ეჭვი ახლა იტალიელ მედროვე მუშებზე მიიტანეს. თუმცა, ჯერ არც იტალიელები ჩანდნენ — ასე ადრე არც არასოდეს ჩამოსულან, ისინი მხოლოდ ივნისში გამოჩნდებოდნენ ხოლმე ჟასმინის მოსავლის ასაღებად. ასე რომ, იტალიელების დადანაშაულებაც შეუძლებელი გახდა. შემდეგ დალაქების რიგი დადგა, რომლებიც გაჩხრიკეს კიდეც, რათა მოკლული გოგონას თმისთვის მიეკვლიათ. უშედეგოდ. შემდეგ ებრაელებზე მიიტანეს ეჭვი, შემდეგ ბენედიქტელთა მონასტრის ვითომდა ავხორც ბერებზე – თუმცა, თითეული მათგანი სამოცდაათ წელს კარგა ხნის გადაცილებული

იყო, შემდეგ ცისტერციანელებზე, შემდეგ ფრანკმასონებზე, შემდეგ შეშლილებზე დავრდომილთა თავშესაფრიდან, შემდეგ მენახშირეებზე, შემდეგ ბოგანოებზე და უზნეო არისტოკრატებზეც კი, განსაკუთრებით მარკიზ დე კაბრზე, ვინაიდან მას უკვე მესამეჯერ მოეყვანა ცოლი და, როგორც ამბობდნენ, ორგიასტულ მესებს აწყობდა თავისი სასახლის სარდაფებში, ხოლო მამაკაცური პოტენციის ასამაღლებლად ქალწულების სისხლს სვამდა... მაინც ვერ შესძლეს ვერაფრის დამტკიცება. მოწმეები არ ჰყავდათ, ვერც მიცვალებულის ნივთმტკიცებანი – სამოსელი და თმა ვერავის უპოვეს. ორი კვირის შემდეგ პოლიციის კომისარმა ძიება შეწყვიტა.

იტალიელი მოჯამაგირეები, ბევრ ოჯახთან ერთად, შუა ივნისში ჩამოვიდნენ ჟასმინის საკრეფად. გლეხები კი ქირაობდნენ მათ, მაგრამ თავიანთ ცოლებსა და ქალიშვილებს მათთან ურთიერთობა მაინც აუკრძალეს: ვინც ფრთხილობს, იმას ღმერთიც უფრთხილდებაო. მართალია, ეს მუშები სულაც არ იყვნენ პასუხისმგებელნი მომხდარ დანაშაულზე, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ?! ამიტომაც, უმჯობესია, ნავსს მოერიდო...

და მაინც, ძალიან მალე, ორი სხვა მკვლელობა მოხდა. მსხვერპლნი ისევ გოგონები იყვნენ – შავდალალა, კალმით ნახატი ლამაზმანების იმავე ტიპისა, გაშიშვლებულ-გაკრეჭილები რომ იპოვეს ასევე ყვავილების მინდორზე, კეფაზე ბლაგვი ჭრილობით. და ისევ – არავითარი კვალი! ახალი ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა და ის-ის იყო ჩაქოლვის საფრთხის ღრუბელი ჩამოწვა გადამთიელთა თავზე, რომ ცნობილი გახდა – ორივენი იტალიელები ყოფილან, ვინმე გენუელი მოჯამაგირის ქალიშვილები.

ამან თავზარი დასცა ყველას: უკვე აღარ იცოდნენ, ვისკენ მიემართათ თავიანთი ყოვლად უძლური მრისხანება. მართალია, ზოგზოგები ჯერ კიდევ ეჭვობდნენ გიჟებსა თუ ეშმაკეულ მარკიზზე, მაგრამ ეს ეჭვი არც ისე დასაჯერებელი ჩანდა, რადგან გიჟებს დღისითა და ღამით მეთვალყურეები ჰყავდათ მიჩენილი, ბატონი მარკიზი კი, კარგა ხანია, პარიზს გამგზავრებულიყო. და ადამიანებმა ახლა მხარი მისცეს ერთმანეთს: გლეხებმა თავიანთი ფარდულების კარები გაუღეს მოჯამაგირეებს, რომლებიც მანამდე ღია მინდორში ათევდნენ ღამეს; მოქალაქეებმა ყოველ უბანში შექმნეს მოდარაჯე ჯგუფები და ბოქაულმაც საგუშაგო რაზმები გააძლიერა ქალაქის ჭიშკრებთან. და მაინც, ყოველნაირი სიფრთხილე ფუჭი აღმოჩნდა. ორმაგი მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კიდევ აღმოაჩინეს გაშიშვლებული და გაკრეჭილი გოგონას გვამი. ამჯერად საქმე ეხებოდა სარდინიელს – ეპისკოპოსის სასახლის მრეცხავს, რომელიც ფონტენ-დე-ლა-ტუს შორიახლო, ესე იგი, ლამის ზედ ქალაქის ჭიშკართან მოეკლათ. და თუმცა აღზგნებული მოქალაქეების ზეწოლით ქალაქის საკრებულომ შემდგომი მკაცრი ზომები მიიღო – საფუძვლიანი შემოწმება ჭიშკრებთან, დარაჯთა რაოდენობის გაზრდა, სიბნელის დადგომის შემდეგ ქუჩაში გამოსვლის აკრძალვა მდედრობითი სქესის ყველა ადამიანისათვის – იმ ზაფხულს კვირა არ გასულა, სადმე ნორჩი ქალიშვილის გვამი არ აღმოეჩინათ. და ყველანი იმ ასაკისანი იყვნენ, როცა გოგონას მხოლოდ დაწყებული აქვს ქალად გარდაქცევა, და ყველანი შავგვრემანებს, ულამაზეს — ასე ვთქვათ, თვალ-

შისაცემ ქალების ამქარს განეკუთვნებოდნენ. თუმცა, მკვლელმა ადგილობრივ მაცხოვრებლებში ფართოდ გავრცელებული – ქერა, ოდნავ ჩასუქებული გოგონების ტიპაჟიც მალე გახადა თავისი ყურადღების ღირსად. იგი მათ ყველგან სწვდებოდა, არა მარტო გრასის მიდამოებში, არამედ შიგ ქალაქში და სახლებშიაც კი. ერთ-ერთი დურგლის ქალიშვილი მთლად მეხუთე სართულზე, საკუთარ ოთახში აღმოაჩინეს მოკლული, და არავის მთელს სახლში არავითარი ხმაური არ გაუგონია, არც ერთს ძაღლთაგან, რომლებიც ჩვეულებრივ შორიდან ამჩნევდნენ და მთელი ხმით უყეფდნენ უცხოს, არც კი დაუწკმეტუნებია. მოუხელთებელ, უხორცო ავსულს წაგავდა მკვლელი...

აღშფოთებული ადამიანები ხელისუფლებას ლანძღავდნენ. უმცირესი ჭორიც კი მთელ შეხლაშემოხლას იწვევდა. ერთი მოხეტიალე ვაჭარი, სიყვარულის სასმელითა და სხვა თაღლითური წამლებით რომ ვაჭრობდა, ბრბომ კინაღამ ჩაქოლა იმის გამო, მის ფხვნილებში ვითომდა ქალიშვილის დანაყული თმა იყო გარეული. ვიღაცა დავრდომილთა თავშესაფრისა და მარკიზ დე კაბრის სასახლის გადაწვას შეეცადა. მემაუდე მინარმა საკუთარ შეგირდს დანა ჩასცა ზურგში, რადგან ის საცოდავი ღამით ბრუნდებოდა შინ და პატრონმა გოგონების სახელგანთქმულ მკვლელად მიიჩნია. ყველა, ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, თავის ქალიშვილებს ნათესავებთან, ან პანსიონებში აგზავნიდა ნიცაში, ექსსა თუ მარსელში. პოლიციის თავი, ქალაქის საბჭოს მოთხოვნით, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მისმა შემცვლელმა ექიმების კოლეგია მოიწვია, რათა გაკრეჭილი ლამაზმანების გვამები გამოეკვლიათ მათი ვირგინალური მდგომარეობის დასადგენად. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ ისინი სრულიად შეუბღალავნი იყვნენ!..

საოცარია, მაგრამ ამ ცნობამ კი არ მიანავლა, პირიქით, ცეცხლი შეუნთო მოსახლეობის ზაფრას, ვინაიდან გულის სიღრმეში თითოეული თვლიდა, რომ გოგონები გააუპატიურეს; ყოველ შემთხვევაში, დანაშაულის მოტივი მაინც იქნებოდა ცხადი, ახლა კი არავის აღარაფერი ესმოდა, ახლა ყველანი სრულიად გაოგნებულნი იყვნენ. ის, ვისაც ღმერთი სწამდა, ლოცვაში პოულობდა შვებას — იმ იმედით, ეშმაკეული ცდუნება მის სახლეულს მაინც ასცდებოდა. ქალაქის საბჭომ, გრასის ოცდაათმა უმდიდრესმა და უპატივცემულესმა ბურჟუამ და აზნაურმა, რომელთა უმეტესობა განათლებული, ე. ი. ანტიკლერიკალურად განწყობილი ბატონები გახლდნენ, მანამდე არავითარ ანგარიშს რომ არ უწევდნენ ეპისკოფოსს და სიამოვნებით გადააქცევდნენ მონასტრებსა თუ სააბატოებს ფაბრიკებად და საწყობებად — ეს ამაყი და გავლენიანი ბატონები იმდენად იყვნენ დათრგუნულნი, მონსენიორს თავმდაბლად არზა აახლეს — ეაჯებოდნენ, გოგონების მკვლელი ეკლესიიდან მოეკვეთა და ანათემას გადაეცა, ისევე როგორც ეს მისმა უნეტარესმა წინამორბედმა მოიმოქმედა 1708 წელს, როდესაც ქალაქს საშინელი უბედურება — კალიების შემოსევა დაატყდა თავს. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და გრასელი გოგონების მკვლელი, რომელმაც ოცდაოთხი ულამაზესი ასული შეიწირა, მათი სოციალური ფენისადმი მიკუთვნებულობის განურჩევლად, საჯაროდ გადაეცა ანათემას და მოიკვეთა დედა-ეკლესიისაგან. განჩინების ტექსტი ყველა დიდ-პატარა ეკლესიისა თუ სალოცავის კარს მიაკრეს და

ყოველი ამბიონიდან გამოაცხადეს, მათ შორის ნორტ-დამ-დიუ-პიუს ამბიონიდანაც კი, საიდანაც იგი თავად ეპისკოფოსმა წარსთქვა საზეიმოდ.

შედეგი პირდაპირ განსაცვიფრებელი აღმოჩნდა: მკვლელობები იმავე კვირიდან შეწყდა. ოქტომბერმა და ნოემბერმა ისე ჩაიარა, უბედურება არაფერი მომხდარა. დეკემბრის დასაწყისში კი გრენობლიდან ამბავმა ჩამოაღწია, რომ იქ ბოლო ხანებში გოგნების მკვლელი გამოჩნდა, რომელიც გუდავს მსხვერპლს, ტანზე კაბებს ახევს და თმას დალალ-დალალ აგლეჯს თავიდანო; და თუმც კი ეს ულაზათო დანაშაულობები არაფრით ჰგავდა გრასში ჩადენილ, ფაქიზად შესრულებულ მკვლელობებს, ყველამ მაშინვე ირწმუნა — ერთსა და იმავე ბოროტმოქმედზე იყო ლაპარაკი. გრასის მაცხოვრებლებმა სამგზის შვებით გადაიწერეს პირჯვარი: ახლა ხომ ეს გადაგვარებული გრენობლის სანახებში მხეცობდა და არა მათთან, იქამდე კი მთელი შვიდი დღის სავალია! ეპისკოფოსის პატივსაცემად ჩირაღდნებიანი მსვლელობა მოაწყვეს, ხოლო 24 დეკემბერს დიდი სამადლობელო წირვაც გადაიხადეს. 1766 წლის 1 იანვრიდან თოფოსანთა გაძლიერებული საპატრულო რაზმები საერთოდ მოიხსნა და ქალებსაც საღამოობით შინიდან გასვლის ნება დაერთოთ. საზოგადოებრივი თუ კერძო ურთიერთობები სასწაული სისწრაფით დაუბრუნდა ჩვეულ კალაპოტს. შიში თითქოსდა ქარმა წაიღო, სიტყვას აღარავინ ძრავდა იმ თავზარზე, სულ რამდენიმე თვის წინ რომ მეფობდა ქალაქსა და მის შემოგარენში. დაღუპულთა ოჯახებშიც ამაზე ტაბუ ჰქონდათ დადებული. ეპისკოფოსის გამოცხადებულმა ანათემამ არა მარტო მკვლელი, მასზე ყოველგვარი მოგონებაც კი გააზევა თითქოს. ხალხსაც სწორედ ეს სჭირდებოდა.

და მხოლოდ ის, ვისაც მომხიბლავი სიყმაწვილის ასაკში შემავალი ქალიშვილი ჰყავდა, ცდილობდა უყურადღებოდ არ დაეტოვებინა გოგონა, შიში იპყრობდა ბინდის დადგომისას, და ბედნიერი იყო დილაობით, როდესაც მას ცოცხალსა და ჯანმრთელს ხედავდა – ოღონდაც, რა თქმა უნდა, საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა, თუ რის გამო.

41.

თუმცა ერთი კაცი მაინც იყო გრასში, ვინაც ამგვარად დამყარებულ მშვიდობას არ ენდობოდა. ანტუან რიში ერქვა, მეორე კონსულის თანამდებობა ეკავა და ქალაქში საკუთარი სახლკარი ჰქონდა, დრუატის ქუჩის ზედ თავში.

რიში ორმოცს მიტანებული ქვრივი გახლდათ, და თუმც შესაშური ჯანმრთელობით ვერ დაიკვეხნიდა, ხელახლა დაქორწინებას მაინც არ ჩქარობდა. ჯერ ქალიშვილის — ლაურას გათხოვება სურდა; და არა პირველ შემხვედრზე, რაღა თქმა უნდა, არამედ მარტოოდენ ღირსეული წარმოშობის პირზე. ჰყავდა კიდევაც დაგულებული ვინმე ბარონი დე ბოიონი, რომელიც, ვაჟიშვილთან ერთად, ადგილ-მამულს ფლობდა ვანსის შორიახლო; თავად ბარონი, მართალია, მშვენიერი რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ ქონე-

ბრივი მდგომარეობა შერყეული ჰქონდა და რიშის უკვე დასტურიც მიეღო მათი შვილების შეუღლების თაობაზე. აი, როდესაც ლაურა საიმედოდ იქნება მოწყობილი, მაშინ ანტუან რიშიც გაშლის თავის სასასიძოე საცეცებს რომელიმე ღირსეულ ოჯახში – დ'ორეს საგვარეულო იქნება ეს, მობერთა თუ ფონმიშელთა ჩამომავლების – არა იმიტომ, თითქოსდა მეტისმეტად პატივმოყვარე იყოს და მაინცა და მაინც არისტოკრატი მეუღლე სურს საწოლში, არამედ იმისა გამო, დინასტია დაამკვიდროს და თავისი შთამომავლობა იმ გზით წარმართოს, მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პოლიტიკური გავლენის ბჭესთან რომ მიიყვანს მათ. ამისათვის კი სულ ცოტა, ორი ვაჟიშვილი მაინც სჭირდებოდა, რომელთაგან ერთი საკუთრივ მას ჩაუდგებოდა კვალში, მეორე — იურიდიულ სარბიელზე მოიპოვებდა წარმატებას, ექსის პარლამენტში დაიმკვიდრებდა სკამს და ამ გზით გააღწევდა მაღალ თავადაზნაურულ წოდებაში. ოღონდაც მსგავს ამბიციებს მხოლოდ იმ პირობით ექნებოდა გასავალი, თუ თავის პიროვნებასა და თავის გვარს ახლავე მჭიდროდ გადააწნავდა პროვანსელ დიდებულთა წრეს...

ყველა ეს შორს გამიზნული გეგმები იმით იყო გამართლებული, რომ ბ-ნი რიში, შეიძლება ითქვას, ზღაპრულად მდიდარი გახლდათ, ოლქის ნებისმიერ სხვა ბურჟუაზე გაცილებით მდიდარი: მას არა მარტო გრასის გარშემო ჰქონდა მამულები, სადაც ფორთოხალი, მზესუმზირა, ხორბალი და შვრია მოჰყავდა, არამედ ვანსთანაც და ანტიბოსთან, სადაც იჯარით იღებდა მიწებს; თავისი წილი შემოსავალი შემოსდიოდა გემებიდან, ინდოეთს რომ დაცურავდნენ, ფლობდა სახლებს ექსში, მუდმივი კანტორას გენუაში და არომატული ნივთიერებების, სანელებლების, ზეთებისა და ტყავეულის ყველაზე მსხვილ საწყობს მთელს საფრანგეთში.

და მაინც, ბ-ნი რიშის ჭეშმარიტ ფასეულობას მისი ერთადერთი ქალიშვილი წარმოადგენდა, მისი ერთადერთი შვილი, ზუსტად თექვსმეტი წლისა, ჟღალთმიანი, მწვანეთვალება... სახე იმდენად წარმტაცი ჰქონდა, ნებისმიერი სქესისა და ასაკის მნახველი ადგილზე შეშდებოდა და თვალს ვეღარ წყვეტდა ხოლმე. ხალხი ისე ელამუნებოდნენ მზერით, როგორც ბავშვები ლოკავენ ნაყინს, და სახეზე შესაბამისი ქმედებისათვის სანიშნო, ბრიყვულყურადღებიანი გამომეტყველება უჩნდებოდათ. თავად რიშიც კი, საკუთარი გოგონას შემყურე, რამოდენიმე ხნით – მეოთხედი საათით, შესაძლოა ნახევარი საათითაც კი – ივიწყებდა ყველა საქვეყნო საქმეს, რაც მას ისე აროდეს, ძილშიაც კი არ მოსდიოდა; სრულად ეფლობოდა ღვთაებრივი ქალიშვილის თვალიერებაში და გამოფხიზლებული, ვერც კი გეტყოდათ, თუ რითი იყო, კაცმა რომ თქვას, ასე დაკავებული. ეს ერთი ხანია – რიში სინანულით უტყდებოდა თავს – როდესაც დასაძინებლად აწვენდა, ან დილაობით, მის გასაღვიძებლად რომ შედიოდა, ხოლო გოგონა მძინარე იწვა, თითქოს უფალმა ნანინა უმღერაო, და ღამის სამოსის ნაკეცებში მისი თეძოებისა და მკერდის ხაზები ილანდებოდა, და ღამის პერანგის ამონაჭრებიდან – კისერთან, იღლიის რკალიდან, იდაყვების ღრმულებიდან, გლუვი ხელის მტევნიდან, რომელზეც მისი სახე ესვენა, მისი წყნარი და თბილი სუნთქვა მოედინებოდა – რაღაც საბრალოდ ეკუმშებოდა მკერდში, ყელში უჭერდა და ნერწყვის გადაყლაპვას აიძულებდა, და – ღმერთო სახიერო – თავს იწყევლიდა, რომ ამ ქალს მამად ეკუთვნის,

რომ ის არ არის ვინმე უცხო, გარეშე მამაკაცი, რომლის წინაშეც ქალი ისე იწვებოდა, როგორც ახლა წევს მის წინ, და შეეძლებოდა მასთან დაწოლა, მასზე და მასში, ფლობის წყურვილით... და ცივი ოფლი ასხამდა, და მთელი სხეულით თრთოდა, ახშობდა თავში ამ შემზარავ აზრს და მისკენ იხრებოდა, რათა სათუთი მამობრივი ამბორით გაეღვიძებინა.

ჯერ კიდევ გასულ წელს, მკვლელობების ხანაში, სრულიადაც არ განიცდიდა მსგავს უკუღმართ დუღილს. ჯადოსნური ძალაუფლება, რომელიც იმ დროს მის ქალიშვილს გააჩნდა მასზე – ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდა – ჯერ კიდევ მის ბავშვურობის ჯადო იყო, და ამიტომაც არასოდეს გასჩენია შიში, რომ ლაურაც შეიძლებოდა მსხვერპლი გამხდარიყო – ის ხომ არც ბავშვებსა და არც ქალებს თავს არ ესხმოდა, მხოლოდღა წამოზრდილ, ოღონდაც ქალწულობადაუკარგავ ქალიშვილებს... და მაინც, ბატონმა რიშიმ გააძლიერა სახლის დაცვა, ბრძანება გასცა, ზედა ფანჯრებზე ახალი გისოსები დაეყენებინათ და მოახლეს დაავალა, ლაურას ოთახში ეთია ღამე. ის აზრი კიდე, რომ ლაურა ქალაქიდან გაემგზავრებინა, როგორც თავისი ქალიშვილები და მთელი ოჯახებიც კი გახიზნეს მისი წოდების ხალხმა, ყოვლად მიუღებლად ეჩვენებოდა. სამარცხვინოდ მიაჩნდა მსგავსი ქმედება ქალაქის საბჭოს წევრისა და მეორე კონსულისაგან, ვინც, მისი აზრით, ვალდებული იყო თავშეკავების, ვაჟკაცობისა და უდრეკობის მაგალითი მიეცა თანამოქალაქეებისათვის. გარდა ამისა, ვერც ვერავინ გაუბედავს თავისი გადაწყვეტილება მოახვიოს თავს – ვერც დაზაფრული ბრბო და ვერც ვიღაც ნაძირალა მკვლელი! და მთელი ამ დროის განმავლობაში, ერთ-ერთი იყო იმ მცირეთაგან, ვინც არ მიეცა შიშის ციებ-ცხელებას და ნათელი გონებაც შეინარჩუნა. ახლა კი ყველაფერი უცნაურად შემოტრიალდა: იმ დროს, როდესაც ქუჩებში – თითქოს მკვლელი უკვე ჩამოახრჩვესო – ხალხი ზეიმობდა და თითქმის დაივიწყეს კიდეც ის უკეთური დრო — ანტუან რიშის გულში, როგორც რამ საზიზღარი სამსალა, შიში შეიპარა. დასაწყისისათვის, არაფრით არ უნდოდა დაეშვა აზრი, რომ სწორედ შიშმა აიძულა გადაედო დიდი ხნის წინ განზრახული საქმიანი მივლინებები, იშვიათად გასულიყო ქალაქში, შეემოკლებინა ვიზიტები და თათბირები, რათა სწრაფად დაბრუნებულიყო შინ. დიდი ხნის განმავლობაში იმართლებდა თავს უდროობისა და გადაღლის მომიზეზებით, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ რამდენადმე შეფიქრიანებულია, როგორც იქნებოდა მის ადგილას ყველა მამა, ვისაც გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავს – ასეთი მზრუნველობა და წუხილი ხომ ცხოვრებისეული ყოველდღიურობაა მათთვის... განა მთელ დუნიას არ მოედო მისი ასულის საარაკო მშვენიერების ამბავი? განა არ იგრძელებენ კისრებს, კვირაობით მასთან ერთად ეკლესიაში რომ შეაბიჯებს ხოლმე? განა რამდენიმე ღირსპატივისცემმა გვამმა ქალაქის საბჭოდან, არ გადაუკრა უკვე სიტყვა თავის, ან თავისი ვაჟიშვილის შესაძლებელი დაწინდვის თაობაზე?..

42.

მაგრამ ერთხელაც რიში სასტუმრო ოთახში იჯდა და შეჰყურებდა, როგორ გავიდა ლაურა ბაღში. ლურჯი კაბა ეცვა, და ამ ლურჯ ფონზე ჩამოშლილი ჟღალი თმა უბზინავდა. არასოდეს ენახა ის ამდენად ლამაზი. გოგონა ბუჩქის ცოცხალ თეჯირს მიეფარა და იქიდან ორი გულისცემით უფრო გვიან გამოჩნდა, ვიდრე მოელოდა და ზაფრამ შეიპყრო, რადგან გულის ამ ორი ფეთქვის განმავლობაშიც მოასწრო იმის გაფიქრება, ვაითუ სამუდამოდ დაკარგა შვილი.

იმავე ღამით მძიმე სიზმარმა გამოაღვიძა; შინაარსი კი ვერ გაიხსენა, ახსოვდა მხოლოდ, რომ ლაურას თავს რაღაც ხდებოდა და შლეგივით გავარდა მისი ოთახისაკენ, დარწმუნებული, რომ მკვდარს ნახავდა საწოლში, მოკლულს, შეურაცხყოფილსა და გაკრეჭილს, მაგრამ, მადლობა უფალს, უვნებელი დახვდა.

ოფლში გაწურული, აღგზნებისაგან კანკალატანილი დაბრუნდა თავის ოთახში. არა, არა აღგზნებისაგან, არამედ შიშისაგან აკანკალებული, მხოლოდ ახლა გამოუტყდა ამაში თავს და ამიტომაც დამშვიდდა და თითქოს გონება გაუნათდა. სიმართლე ითქვას, ეპისკოფოსის ანათემის ზემოქმედებისა მას თავიდანვე არა სჯეროდა; არ სჯეროდა იმისაც, რომ მკვლელი ახლა გრენობლში მოქმედებდა; და არც იმის, რომ მან საერთოდ დატოვა ქალაქი. არა, ის ჯერ კიდევ აქ იყო, გრასის მაცხოვრებელთა შორის, და როდისმე ისევ გამოიღებდა ხელს... რიშიმ რამდენიმე მოკლული ნახა აგვისტოსა და სექტემბერში. ნანახმა შეაძრწუნა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რაღაცნაირად აღაფრთოვანა კიდეც, რადგან ყველა მათგანი და თითოეული თავისებურად, უაღრესად დახვეწილი სილამაზით გამოირჩეოდა. თავად ვერასოდეს იფიქრებდა, რომ გრასში ამდენი შეუფასებელი სილამაზეა და, სწორედ მკვლელმა აუხილა ამაზე თვალი. საუცხოო გემოვნებით გამოირჩეოდა, ღმერთმანი, და რაღაც სისტემით მოქმედებდა: გარდა იმისა, რომ ყველა მკვლელობა ერთნაირად უზადოდ იყო შესრულებული, თავად ზვარაკის შერჩევაც ლამის მათემატიკურ გაანგარიშებაზე მეტყველებდა. მართალია, რიშიმ არ უწყოდა, რას ითხოვდა მკვლელი თავის მსხვერპლთაგან, რადგან მთავარი სიმდიდრე – სილამაზე და სიყმაწვილის მომხიბვლელობა – მათ ხომ ვერ მოსტაცა... თუ მოსტაცა? ყოველ შემთხვევაში, რამდენად უაზროდაც უნდა ჟღერდეს ეს, ამ მკვლელობების მიზანი ყაირათიანი კოლექციონირებაა და არა განადგურება. “თუ, დავუშვათ, – მსჯელობდა რიში – წარმოვიდგენთ ყველა მსხვერპლს არა როგორც ცალკეულ ინდივიდს, არამედ როგორც ნაწილს ზოგადი ამაღლებული პრინციპისა, და ერთიან მთლიანობად გავიაზრებთ მათ მკვეთრად განსხვავებულ თვისებებს, მაშინ მსგავსი მოზაიკისაგან შექმნილი სურათი ზოგადად სილამაზის ხატი გახდება და მისგან მომდინარე ჯადოქრობა არა ადამიანური, არამედ ღვთიური ძალაუფლების ნიშნით იქნება დაღდასმული!” (როგორც ხედავთ, ბ-ნი რიში ფრიად განსწავლული და მოაზროვნე ადამიანი გახლდათ, არც მკრეხელურ აზრებს უფრთხოდა და მიუხედავად იმისა, რომ არა ყნოსვითი, არამედ ოპტიკური კატეგორიებით სჯიდა, მაინც ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან).

“დავუშვათ და, – თავისას განაგრძობდა იგი, – მკვლელი სწორედ ასეთი სილამაზის კოლექციონერია და სრულყოფის პორტრეტს ქმნის, თუნდაც ეს მისი ავადმყოფი ტვინის ფანტაზია იყოს; დავუშვათ შემდგომ, რომ ნატიფი გემოვნებისა და წვრილმანებამდე მეთოდური ადამიანია – მაშინ შეუძლებელია ვიფიქროთ, თითქოს ის უარს იტყოდეს უძვირფასეს დეტალზე ამ პორტრეტისათვის, ანუ ლაურას სილამაზეზე... მკვლელობების მთელი ეს პირამიდაც არაფრად ელირება მის გარეშე. სწორედ ისაა ის ქვა, შენობა რომ უნდა დააგვირგვინოს!..”

ეს შემაძრწუნებელი დასკვნა რიშიმ, საწოლზე მჯდომარემ, თავზე ჩაჩწამოკოსებულმა გამოიტანა და თავადვე განცვიფრებული დარჩა საკუთარი გონების სიმშვიდითა და აუმღვრევლობით. აღარც შეციებისაგან აკანკალებულა. ის გაურკვეველი შიში, რამდენიმე კვირა რომ აწვალებდა, გაქრა და კონკრეტული საფრთხის შეგრძნებას დაუთმო ადგილი. მკვლელის ჩანაფიქრი, აშკარა გახდა, თავიდანვე ლაურასაკენ იყო მიმართული, ხოლო ყველა დანარჩენი მკვლელობა მხოლოდდა ფონი იყო ამ ბოლო, დამაგვირგვინებელი pointe-სათვის. მართალია, გამოცანად რჩებოდა — რა მატერიალური გამორჩენა ახლდა თან ამ მკვლელობებს და, საერთოდ, თუ ჰქონდათ რაიმე მიზანი, მაგრამ მთავარი რომ მკვლელის სისტემური მეთოდი და მისი იდეალისაკენ მისწრაფება იყო, რიშიმ მაინც სწორად ამოიცნო. რაც უფრო დიდხანს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო იხიბლებოდა ერთითაც და მეორეთიც, და მით უფრო მეტ პატივისცემას გრძნობდა მკვლელისადმი – თუმცა, ასეთი პატივისცემა სარკესავით ირეკლავდა მის საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებას: სხვებისაგან განსხვავებით, მან, რიშიმ, თავისი მახვილი გონების საშუალებით მოახერხა მკვლელის ჩანაფიქრში გარკვევა!

თავად რომ ყოფილიყო იმავე პარანოიკული იდეებით შეპყრობილი, ისიც ასევე, ბოლო ბანქოზე დადებდა ყოველივეს, რათა თავისი ეს უგუნური, შემაძრწუნებელი წამოწყება სწორედ ასე, ლაურას მკვლელობით დაეგვირგვინებინა...

ეს ბოლო აზრი რიშის განსაკუთრებით მოეწონა. რაკიღა მოახერხა, თავისი ქალიშვილის შესაძლო მკვლელის ადგილას დაეყენებინა თავი, ეს უკვე არსებით უპირატესობას ანიჭებდა მასთან შედარებით: მკვლელი ხომ, მთელი თავისი საზრიანობის მიუხედავად, რაღა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა საკუთარი თავის რიშის ადგილზე დაყენებას – თუნდაც იმიტომ, რომ ვერ ივარაუდებდა რიშის მიერ მის ადგილზე – მკვლელის ადგილზე თავის დაყენებას... ფაქტიურად, აქაც ყველაფერი ისევე იყო, როგორც საქმოსნობაში – mutatis mutandis*. რაკი კონკურენტის ჩანაფიქრი გამოიცანი, უპირატესობა უკვე შენს მხარეზეა; მით უმეტეს, თუ ანტუან რიში გქვია და კონკურენტებთან დათმობას ჩვეული არა ხარ. სწორედ მას, ანტუან რიშის ეკუთვნის ნელსაცხებლებით უმსხვილესი ვაჭრობა საფრანგეთში, და არც სიმდიდრე, არც

* შესაბამისი სახესხვაობით (ლათ.)

მეორე კონსულის თანამდებობა ზეციდან არ დასცემია – ყოველივე თავისი სიბეჯითითა და მოხერხებით მოიპოვა. დროზე გრძნობდა ყოველგვარ ხიფათს, ზუსტად ხვდებოდა კონკურენტების გეგმებს და გზაკვალს უბნევდა მოწინააღმდეგეებს... და თავის სამომავლო მიზნებს – ძალაუფლებასა და აზნაურის ტიტულს შთამომავლობისათვის – ზუსტად ასევე მიაღწევს; და ზუსტად ასევე გადახაზავს ამ თავისი ახალი კონკურენტის – მკვლელის გეგმებს ლაურას ფლობისათვის ბრძოლაში, თუნდაც იმიტომ, რომ ლაურა მისი – რიშის გეგმების გვირგვინია. თქმა არ უნდა, მას უყვარს ლაურა, მაგრამ სჭირდება კიდეც... ხოლო იმას, რაც მას სჭირდებოდა საკუთარი პატივმოყვარეობის განსახორციელებლად, რიში არასოდეს არავის უთმობდა, კბილებით ებღაუჭებოდა მუდამ!..

გულზე მოეშვა. ახლა, რაკიღა დემონთან ბრძოლის შესახებ თავისი ღამეული ზმანებები უბრალო საქმიანი კონფლიქტის დონეზე დაიყვანა, იგრძნო — ნელ-ნელა აზარტმა შეიპყრო. აორთქლდა შიშის უკანასკნელი ნარჩენები, გაქრა შემბორკავი მზრუნველობისა და უგუნებობის შეგრძნება, გაიფანტა პირქუში წინათგრძნობების ნისლი, რომელშიც რამდენიმე კვირის განმავლობაში ხელის ცეცებით ეძებდა ბილიკს. ახლა რიში ნაცნობ ტერიტორიაზე იყო და მზად გახლდათ ნებისმიერი გამოწვევა მიეღო.

43.

როგორც კი ესეგვარი შვება იგრძნო, რიში საწოლიდან ჩამოხტა, ზარის ზონარს რამდენჯერმე ჩამოქაჩა და ნამძინარევ მსახურს, ფეხზე რომ ძლივს იდგა, სამოსელისა და საგზლის ჩალაგება უბრძანა — ვინაიდან, თავისი ქალიშვილის თანხლებით, გრენობოლს გამგზავრება გადაეწყვიტა. თავადაც ჩაიცვა და შინამოსამსახურეებიც საწოლებიდან წამოყარა.

მალე სამზარეულოში კერიები აბრიალდა, აღგზნებული მოახლეები გასასვლელებში მიმორბოდნენ, ზემოთ-ქვემოთ დაქროდა ბატონის პირისფარეში, სარდაფებში მეკუჭნავის გასაღებები ჩხარუნობდა, ეზოში ჩირაღდნები დაინთო, მეჯინიბეებს ცხენები გამოჰყავდათ თავლებიდან, სხვები ჯორებს ექაჩებოდნენ საჯინიბოებიდან, ლაგამს არგებდნენ, კაზმავდნენ, ტვირთავდნენ, – ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქალაქს – როგორც 1746 წელს – ავსტრო-სარდინიელთა გაერთიანებული ურდო უტევს და სახლის პატრონი გასაქცევად ემზადებაო. თუმცა, თავად პატრონი, საფრანგეთის მარშალივით – მშვიდად და ამაყად – საწერ მაგიდას მისჯდომოდა თავის კანტორაში, რძიან ყავას მიირთმევდა და ბრძანებებს ურიგებდა თავის ქანცგაწყვეტილ მსახურთ. იმავდროულად, წერილებს სწერდა მერსა და პირველ კონსულს, თავის ნოტარიუსს, თავის ადვოკატს, თავის ბანკირს მარსელში, ბარონ დე ბოიონსა და თავის ათას სხვა საქმიან პარტნიორს.

დილის ექვსი საათისათვის კორესპონდენცია დააგზავნა, მისი გეგმებისათვის აუცილებელი ყველა განკარგულებაც გასცა, წელში გაირჭო ორი დამბაჩა, ფულით გაძეძგილ ქამარზე ბალთა შემოიჭირა და საწერი მაგიდის საიდუმლო უჯრა ორგზის გადარაზა... მერეღა გაემართა ქალიშვილის გასაღვიძებლად.

დილის რვა საათზე პატარა ქარავანი უკვე გზას ადგა. წინ ამხედრებული რიში მიუძღოდათ, ოქროს სირმებით გაწყობილ, ღვინომუქ კამზოლში გამოკვართული, ინგლისური ყაიდის შავ ლაბადა და ბუმბულით კადნიერად შემკული, ასევე შავი, ფართოფარფლიან ქუდი მხარიღლივ მოეგდო დარდიმანდულად. მას ქალიშვილი მოჰყვებოდა, შედარებით მოკრძალებულად ჩაცმულ-დახურული, მაგრამ ისეთი დამაბრმავებლად ლამაზი, რომ ხალხი, ქუჩაში მდგომი თუ ფანჯრებს მომდგარი, თვალს ვერ სწყვეტდა; ბრბოში ერთთავად *აჰ!* და *ოჰ!* გაისმოდა და მამაკაცები ქუდებს იშვლეპდნენ, ვითომდა მეორე კონსულის, სინამდვილეში კი ამ დედოფალივით წარმოსაჩენი გოგონას წინაშე. ლაურას მიჰყვებოდა მოახლე, შემდეგ რიშის მსახური, ორი დატვირთული ცხენით – გრენობლის შარაგზის ცუდი მდგომარეობის გამო, ეტლის გამოყენება გამორიცხული იყო, – და ქარავანს აბოლოვებდა ორი მხლებლის მეთვალყურეობით მომავალი, ყოველგვარი საქონელით დატვირთული ათიოდე ჯორი. დიუკურის კარიბჭესთან გუშაგებმა მხოლოდ მაშინ დაუშვეს თოფები და განაგრძეს მეთვალყურეობა, როდესაც უკანასკნელი ჯორი გავიდა ქალაქიდან. ბავშვები კიდევ საკმაო ხანს მისდევდნენ პროცესიას და ხელს უქნევდნენ ქარავანს, ნელ-ნელა რომ მიიკლაკნებოდა ციცაბო, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე.

ანტუან რიშისა და მისი შვილის გამგზავრებამ ხალხზე ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეჩვენებოდათ, თითქოსდა მსხვერპლშეწირვის რომელიღაც ძირძველ ცერემონიას ესწრებოდნენ. გარშემო მხოლოდ იმაზე იყო ლაპარაკი, რიში გრენობლს მიემგზავრება, სადაც უკანასკნელ ხანს გოგონების მკვლელი მონსტრი საქმიანობსო. არავინ იცოდა, რა ეფიქრათ, რითი აეხსნათ რიშის საქციელი – როგორც საძრახისი ფუქსავატობა, თუ როგორც აღფრთოვანების ღირსი ვაჟკაცობა... ან იქნებ, ღმერთებისათვის გულის მოლბობის მცდელობა? მხოლოდ ეგ იყო, რაღაც ბუნდოვანი წინათგრძნობა კი ჰქონდათ, ამ ჟღალთმიან უმშვენიერეს გოგონას უკანასკნელად ხედავდნენ, თითქოს წინასწარ გრძნობდნენ ლაურა რიშის აღსასრულს...

და ეს წინათგრძნობა ახდა კიდეც, იმის მიუხედავად, რომ სრულიად ყალბ წინამძღვრებს ესაძირკვლებოდა. საქმე ისაა, რიში სულაც არ გამგზავრებულა გრენობლს. მთელი ეს პომპეზური მსვლელობა სხვა არა იყო რა, თუ არა ეშმაკური ფანდი. ერთნახევარ მილზე, გრასიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფელ სენ-ვალეს შორიახლოს შეჩერება ბრძანა, თავისი მსახური უფლებამოსილებითა და შესაბამისი წერილით აღჭურვა და ჯორების ქარავანი გრენობლს გაუყენა, თანმხლები პირებითურთ.

თავად კონსულმა, ლაურასთან და მის მოახლესთან ერთად, კაბრისკენ გადაუხვია, სადაც სადილისათვის პატარა შესვენება მოაწყო და შემდეგ —

ტანერონის მთიანი უღელტეხილის გავლით — სამხრეთისაკენ გაემართა. ეს გზა მეტისმეტად მძიმე იყო, მაგრამ საშუალებას იძლეოდა გრასისა და მთელი დაბლობისათვის ფართო ნახევარწრით შემოევლოთ დასავლეთის მხრით, საღამოს პირზე კი სანაპიროსათვის მიეღწიათ. რიშის დაგეგმილი ჰქონდა, მომდევნო დღესვე გადასულიყო ლერენის კუნძულებზე, სადაც სენ-ონორეს კარგად გამაგრებული მონასტერი ეგულებოდა. მონასტრის მეურნეობას ერთი მუჭა ბერები უძღვებოდნენ, რომლებსაც, ჭარმაგი ასაკის მიუხედავად, ძალიანაც კარგად შეეძლოთ საკუთარი თავისა და მონასტრის დაცვაც. რიში იცნობდა მათ, ვინაიდან დიდი ხნის განმავლობაში ყიდულობდა და ასაღებდა მონასტრის მთელ ხელნაწარმსა თუ მოსავალს: ევკალიპტის ლიქიორს, პინიის თესლსა და კვიპაროსის ზეთს. სწორედ იქ, სენ-ონორეს მონასტერში, რომელიც იფის ციხე-სიმაგრესა და სენ-მარგერიტის კუნძულზე მდებარე სახელმწიფო ციხესთან ერთად, პროვანსის ყველაზე საიმედო ადგილად ითვლებოდა, აპირებდა რიში თავისი ქალიშვილის შეფარებას. თავად კი დაუყოვნებლივ დაბრუნდება სანაპიროზე, ამჯერად აღმოსავლეთიდან შემოუვლის გრასს ანტიბისა და კანის გავლით, რათა იქიდან ვანსში გადავიდეს. უკვე დაიბარა კიდეც იქ თავისი ნოტარიუსი, რათა ბარონ დე ბოიონთან მათი შვილების – ლაურასა და ალფონსის ქორწინებაზე შეთანხმებას მოაწერონ ხელი. სურდა ისეთი წინადადება მიეცა ბოიონისათვის, რაზედაც ეს უკანასკნელი უარს ვერ იტყოდა: ბარონის ვალების გადახდა – 40 000 ლივრი, ამავე თანხის მზითვი, მიწის რამდენიმე ნაკვეთი და კარაქის სადღვები საწარმო მაგანოსთან, ყოველწლიური რენტა 3.000 ლივრის ოდენობით — ახალგაზრდა წყვილისათვის... რიშის ერთადერთი წინაპირობა ის გახლდათ, რომ კონტრაქტი ათი დღის შემდეგ შესულიყო ძალაში და ახალგაზრდები ქორწინებისთანავე ვანსში გადასახლებულიყვნენ.

რიშის მშვენივრად ესმოდა, რომ ასეთი აჩქარება არათანშეზომილად გაზრდიდა მისი ოჯახის დამოყვრების საფასურს ამ ბოიონებთან. დაყოვნების დრო რომ ჰქონოდა, გაცილებით ნაკლებს გადაიხდიდა – მაშინ თავად ბარონს მოუწევდა გამოეთხოვა თანხმობა მდიდარი ვაჭრისაგან: ლაურას მშვენიერების ქება ისევე სწრაფად ვრცელდებოდა, როგორც იზრდებოდა რიშის სიმდიდრე, ხოლო ამასობაში ბოიონები, შესაძლოა, სრულიად გაღატაკებულიყვნენ კიდეც... მაგრამ იყოს ასე – მისი მოწინააღმდეგე მაინც ის უცნობი მკვლელია და არა ბარონი! აი, ვისთვის უნდა ჩაეშალა გეგმები. გათხოვილი, ქალწულობადაკარგული და შესაძლოა, ორსული ქალი, უკვე ვერაფრით მოთავსდებოდა მის გალერეაში; შეუვსებელი დარჩება მოზაიკის უკანასკნელი უჯრები, ლაურა ყოველგვარ ფასს დაკარგავს მკვლელის თვალში და მისი წამოწყებაც საპნიც ბუშტივით გასკდება! და მან უცილობლად უნდა იგრძნოს დამარცხების მთელი სიმწარე – რიშის გრასში სურდა ქორწილის გადახდა, სრული ზეიმურობითა და მთელი პატიოსანი საზოგადოების თანდასწრებით. დაე, ნურც იცნობს და ვერც ვერასოდეს გაიცნობს თავის მოწინააღმდეგეს, მაინც მეტად საამო იქნება იმის შეგრძნება, რომ იგი ესწრება ზარ-ზეიმს და საკუთარი თვალით უმზერს, თუ ცხვირწინ როგორ აცლიან სასურველ ნადავლს!..

გეგმა წვრილად იყო გათვლილი. ჩვენ ისევ და ისევ გაკვირვებას უნდა ვიყოთ ბატონ რიშის ალღოს გამოისობით – ლაურა რიშის ქორწინება ბარონ დე ბოიონის ვაჟიშვილზე, ჭეშმარიტად ნიშნავდა გრასელი გოგონების მკვლელის სრულ მარცხს. ოღონდაც გეგმა ჯერ არ იყო სისრულეში მოყვანილი – რიშის ჯერ არ გადაემალა ლაურა, ჯერ არ შეეფარებინა სენ-ონორეს მონასტრის საიმედო თავშესაფარში. სამი მხედარი ჯერ კიდევ მიიკვლევს გზას ტენერონის არასტუმართმოყვარე უღელტეხილზე; ხანდახან გზა ისეთი საძნელო ხდება, მხედრები იძულებულნი არიან ჩამოქვეითდნენ. სულ უფრო ნელა მიიწევს წინ. იმედი კი აქვთ, რომ საღამოსათვის ლა-ნაპულის მიაღწევენ, ერთ პატარა სოფელს კანის შორიახლოს, სანაპიროსთან.

44.

იმ წუთებში, როდესაც ლაურა რიში მამასთან ერთად გრასს ტოვებდა, გრენუი ქალაქის მეორე ბოლოში, არნულფის სახელოსნოსათვის ნარგიზის ყვავილის მაცერაციით გახლდათ დაკავებული. მარტო იყო და მშვენიერ ხასიათზეც: გრასში ყოფნის მისი ვადა იწურებოდა. წინ ტრიუმფის დღე ელოდა – ყუთებში ჩაწყობილი, ბამბით შეფუთული ოცდაოთხი მინიატურული ფლაკონი იდო მის ქოხში, ოცდაათი უმანკო ქალიშვილის მიერ გადმოღვრილი სურნელის იმ წვეთებით, რომლებიც გრენუიმ წინა წელს მიიღო სხეულების ცივი ანფლერაჟის, თმისა და სამოსის დიგერირების, ლავაჟისა და გამოხდის გზით. ხოლო ოცდამეხუთეს – უსაუცხოეს, უმნიშვნელოვანეს ესენციას – დღეს მოიპოვებს. უკვე ქვაბიც მზადა აქვს, მრავალჯერად განწმენდილი ქონით, უთხელესი ტილოს ზეწარიცა და უსუფთავესი სპირტიც ამ, ბოლო კი არა, უკანასკნელი ნადავლისათვის. ადგილიც დაზვერილი ჰქონდა. სავსე მთავრობაც დამდგარიყო...

გრენუიმ იცოდა, რა თქმა უნდა, რომ დიუატის ქუჩაზე მდებარე სახლი კარგად იყო დაცული და უბრალოდ ფანჯრიდან შიგ შეღწევა შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომაც შებინდებისას სურდა შეეღწია შიგ, ჭიშკრის ჩარაზვამდე და საკუთარი სუნის უქონლობის საფარქვეშ, რაც შეუმჩნეველს ხდიდა როგორც ადამიანების, ისე ცხოველებისათვის, სახლის რომელიმე კუთხეში მიმალულიყო. გვიან ღამით, ყველანი რომ დაიძინებენ, ყნოსვა-ყნოსვით ავა მაღლა, თავის განძთან, შეახვევს მას ქონით გაჟღენთილ ზეწარში და იქვე, ადგილზევე დაამუშავებს. მხოლოდ თმასა და სამოსელს გამოყოლებს თან, ვინაიდან ეს ნაწილები პირდაპირ ღვინის სპირტში უნდა გაივლოს, ამის გაკეთება კი სახელოსნოში უფრო უპრიანია და მოსახერხებელიც. პომადის საბოლოო დამუშავებისათვის და მის კონცენტრატად გამოსახდელად კიდევ ერთი ღამე დასჭირდება. თუ ყველაფერი კარგად იქნა – მას კი ეჭვიც არა აქვს, რომ ყველაფერი წარმატებით გასრულდება – მაშინ ზეგისთვის ის ყველა იმ ესენციის მფლობელი გახდება, რომლებიც აუცილებელია მსოფლიოში უმჯობესი სუნამოს დასამზადებლად და მაშინ ქალაქ გრასს დასტოვებს ადამიანი, ვისაც საუკეთესო სუნი ასდის დედამიწაზე!..

ნარგიზებს სადილობამდე მოუთავა ხელი. ცეცხლი ჩააქრო, ქონიან ქვაბს თავი დაახურა და სახელოსნოდან გარეთ გამოვიდა გასაგრილებლად. დასავლეთიდან უბერავდა ქარი...

პირველივე ჩასუნთქვაზე დაიძაბა გრენუი. ჰაერში რაღაც ისე არ იყო, რაღაც ვერ იყო წესრიგში. ქალაქის სუნს, მის სამოსელს, მრავალი ათასი ძაფისაგან მოქსოვილ უჩინარ სივრცეს – ოქროს ერთი ძაფი აკლდა. ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ეს კეთილსურნელოვანი ძაფი იმდენად მტკიცე გახდა, გრენუი მას თავის ქოხშიაც მკაფიოდ გრძნობდა. ახლა კი ძაფი გაქრა, დაიკარგა, მის კვალსაც ვერ ამჩნევდა ყნოსვით... ელდანაკრავივით გაშეშდა ადგილზე.

„მკვდარია", – გაიფიქრა ჯერ. შემდეგ უარესი: „სხვამ დამასწრო. სხვამ მოწყვიტა ჩემი ყვავილი და მისი სურნელიც მიითვისა!" — არ უყვირია, ძალზე ძლიერი იყო ზაფრა, ოღონდ თვალის კიდეებში ცრემლი მოაწვა და წვრილ ნაკადად გადმოეშვა უპეებიდან.

ამ დროს „ოთხ დოფინში" დრონატარები დრუიო გამოეცხადა და სხვათა შორის ამცნო, სწორედ იმ დილას, მეორე კონსული თავის ქალიშვილთან და თორმეტ ჯორკიდებულთან ერთად გრენობლს გაემგზავრაო. გრენუიმ ცრემლი გადაყლაპა და მთელი ქალაქი დიუკურის კარიბჭემდე სირბილით გადაჭრა. იქ მოედანზე შეჩერდა და ჰაერი შეიყნოსა. სუფთა, ქალაქის სუნშეურეველ ჰაერში მართლაც აღმოაჩინა თავის ოქროს ძაფი – მართალია თხელი და სუსტი, მაგრამ ყველა სხვა სურნელთან შეუდარი. ოღონდ ეგაა, ის არა ჩრდილო-დასავლეთით, გრენობლის მხრით, არამედ უფრო სამხრეთ-დასავლეთის, კაბრის მიმართულებით მოიწელებოდა.

გრენუი დარაჯებს დაეკითხა, რომელი გზით წავიდა მეორე კონსული. ერთ-ერთმა ჩრდილოეთისაკენ მიუთითა. "ნამდვილად, არა კაბრის გზით? იქნებ სამხრეთით გაემგზავრა, ორიბოს, ან ლა-ნაპულისკენ?" – *არა, რა თქმა უნდა,* – უპასუხა დარაჯმა, – *საკუთარი თვალით ვნახე...*

გრენუი მთელი ქალაქის გავლით უკანვე გამოქანდა, თავისი ქოხისაკენ. პატარა ზურგჩანთაში ჩატენა ტილოს ნაჭერი, საპომადე ქოთანი, ფითხი, მაკრატელი, ზეთისხილის ხის მოკლე, თლილი კეტი და დაუყოვნებლივ გაემართა – არა გრენობლის შარაგზით, არა – იმ გზით, რომელიც ყნოსვამ უკარნახა: სამხრეთისაკენ. ეს პირდაპირი გზა ლა-ნაპულიზე, ტანერონის განშტოებებს მიუყვებოდა და ფრეიერისა და სიანის მდინარეების კალაპოტებს ჭრიდა. სავალადაც ადვილი იყო, გრენუი სწრაფად მიიწევდა წინ, ხოლო როდესაც თითქოსდა მთების კალთებზე მოკიდებული ორიბოს პეიზაჟი გამოჩნდა, იყნოსა კიდეც, რომ თითქმის წამოეწია ლტოლვილებს. სულ ცოტა ხანში ის უკვე შეიგრძნობდა თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე, მათ ცხენებსაც კი არჩევდა სუნით. დიდი-დიდი, ერთი მილით თუ იყვნენ მოშორებულნი მისგან, სადღაც ტანერონის ტყეებში. გეზი მასსავით სამხრეთისკენ, ზღვისაკენ ეჭირათ.

ნაშუადღევის დაახლოებით ხუთ საათზე გრენუიმ ლა-ნაპულის ჩააღწია. მოძებნა ფუნდუკი, ისადილა და იაფი ღამის გასათევი გაიკითხა — ვითომდა ერთი ვინმე ბადაღის შეგირდი ნიციდან მარსელს მიემართებოდა. საჯინიბოში შეგიძლია გაათიო ღამეო – უპასუხეს. კუთხეში მოეწყო და წაუძინა. სამი მხედრის მოახლოება მან შორიდანვე იყნოსა და ახლა მხოლოდ მოთმინება იყო საჭირო.

ორი საათის შემდეგ – თითქმის მწუხრისას – ისინიც მოვიდნენ. სამივეს ტანზე გამოეცვალა, რათა თვალში არავის სცემოდა მათი მდიდრული სამოსი. ორივე ქალი შავ კაბებში გამოწყობილიყო, სახეზე პირბადეები ეფარათ. რიშის – შავი ფერისვე კამზოლი ემოსა. კასტელანელ აზნაურად ასაღებდა თავს – ხვალვე ლერინის კუნძულებზე უნდა გადასვლა, დაე, მეფუნდუკემ განთიადისათვის მოუმზადოს საუზმე. სხვა ვინმე მდგმურებიც არიან სახლში? არა, — უპასუხა სახლის პატრონმა, — მხოლოდ ერთი დაბაღის შეგირდია ნიციდან, მაგრამ ის საჯინიბოში ათევს ღამეს...

რიშიმ ქალები თავთავიანთ ოთახებში დააგზავნა, თვითონ კი საჯინიბოში შეიარა: როგორც თავად განაცხადა, ზოგი რამ ნივთის ასაღებად ბარგიდან... თავიდან ვერსად მოიძია ის შეგირდი და იძულებული გახდა ფარანი გამოერთმია მეჯინიბისათვის. მხოლოდ ფარნის შუქზე შეამჩნია, კუთხეში მიყუჟული: „დაბაღის შეგირდი“ თივასა და ძველ ჩულოზე იწვა, თავქვეშ ზურგჩანთა ამოედო და მკვდარივით ეძინა. ისე შეუხედავად და შესაბრალისად გამოიყურებოდა, რიშის წამით მოეჩვენა კიდეც, თითქოს ის საერთოდ არ მყოფობდა იქ, რომ იგი ქიმერაა, ფარანში გარხეული სანთლის ალისაგან ათამაშებული უცნაური ჩრდილი... ყოველ შემთხვევაში, მისთვის მაშინვე საცნაური გახდა, რომ ამ საცოდავ, უწყინარი არსებისაგან არავითარი საფრთხე არ მოდიოდა, უჩუმრად გაეცალა და სახლში შებრუნდა.

მერე თავის ოთახში ივახშმა ქალიშვილთან ერთად. გამომგზავრების წინ გოგონასათვის არ აუხსნია მათი მოგზაურობის მიზანი და არც ახლა გააკეთა ეს, ლაურას თხოვნის მიუხედავად. ხვალვე გაარკვევს ყველაფერში, ოღონდ ლაურას ეჭვიც არ შეეპაროს: ყველაფერი, რასაც მამამისი გეგმავს და აკეთებს, მის საკეთილდღეოდაა მიმართული და სულ ახლო მომავალში ბედნიერს გახდის!.. ვახშმის შემდეგ ლომბერის რამოდენიმე პარტია ითამაშეს და მან ყველა ხელი წააგო, ვინაიდან საკუთარ ქაღალდში ყურების მაგიერ, ლაურას სახის ცქერით ტკბებოდა. დაახლოებით ცხრა საათისათვის გააცილა გოგონა საწოლ ოთახში, რიშის ოთახის ბირდაბირ რომ მდებარეობდა და კარები გარედან გადაკეტა. მალე თავადაც დაწვა დასაძინებლად.

მეორე კონსულმა უეცრად სრულიად არაქათგამოცლილად იგრძნო თავი – მძიმე დღისა და წარსული ღამის დაძაბულობამ თავისი ქნა, მაგრამ ამავე დროს საკუთარი ქმედებითა და არსებული მდგომარეობით ფრიად კმაყოფილი გახლდათ. ყოველგვარი წუხილის, ყოველგვარი იმ ავი წინათგრძნობის გარეშე, ადრე ყოველღამ რომ უფრთოხობდა ძილს, რიშიმ ახლა უშფოთველად

ჩაიძინა და არც სიზმრებს ხედავდა, არც კვნესოდა, არც კრთოდა და არც შამფურივით არ უტრიალია სარეცელზე. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პირველად ამოუშვა მშვიდი, თანაბარი ფშვინვა.

ამ დროისათვის, გრენუიც სრულიად კმაყოფილი გახლდათ საკუთარი თავისა და ასევე, არსებული ვითარებით, თუმც კი თავად ერთი წამითაც არ მოუტყუებია თვალი — როდესაც რიში გამოეცხადა საჯინიბოში, მან უბრალოდ თავი მოიმძინარა, რათა კიდევ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა მისი მოთენთილი სხეულის „უსაფრთხო“ სურნელს და არც გამოჰპარვია ის შვება, რაც რიშიმ განიცადა მის დანახვაზე.

ასე და ამგვარად, იმ წამიერი თანხვედრის ჟამს, ორივე მათგანი ერთმანეთის უვნებლობის რწმენით აღივსო და გრენუის აზრით, ეს ძალიანაც კარგი ამბავი გახლდათ, ვინაიდან ეს იყო მისი ცრუ და რიშის ჭეშმარიტი უვნებლობის დასტური.

45.

გრენუი პროფესიონალური წინდახედულებით შეუდგა საქმიანობას: ჯერ ტომარა გახსნა და იქიდან ტილოს ნაჭერი, პომადა და ფითხი ამოიღო; ტილო იმ ჩულოზე გაშალა, რომელზეც ღამით იწვა და მასზე ქონიანი პასტის წასმა დაიწყო. ამ საქმიანობას გვარიანი დრო სჭირდებოდა, ვინაიდან ქონი სულ სხვადასხვაგვარად უნდა დაედო – სად უფრო თხლად, სად უფრო სქლად – იმის მიხედვით, თუ სხეულის რომელ ნაწილზე მოუწევდა ზეწრის ესა თუ ის ადგილი. პირი, იღლიები, მკერდი, გენიტალიები, ტერფები გაცილებით მეტ სურნელს გამოსცემენ ვიდრე, ვთქვათ, მუხლისთავები, ზურგი ან იდაყვები; წარბები — მეტს ვიდრე წამწამები და ა. შ. ასე რომ, გრენუი დასამუშავებლად გამიზნული სხეულის არომული დიაგრამის მოდელირებას ახდენდა ტილოზე და სამუშაოს ეს ნაწილი უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა, ვინაიდან აქ ლაპარაკია ზოგადად არტისტულ ტექნიკაზე, რომელშიც თანაბრად ჩართულია ფანტაზია და ხელის გაწაფულობა და ამას გარდა, შემოქმედს საშუალება ეძლევა წინასწარ დატკბეს სავარაუდო შედეგით...

მთელი ქოთანი პომადა რომ დაცალა, გრენუიმ რამდენიმე საბოლოო შტრიხი გაავლო – სადღაც ქონის შრე გაასქელა, სხვაგან ზედმეტი ააცილა და კიდევ ერთხელ შეამოწმა ქონით მოდელირებული ლანდშაფტი – თუმცა, ამისთვის ცხვირს იყენებდა და არა თვალებს, ვინაიდან ყველაფერი ეს უკუნ სიბნელეში ხდებოდა, რაც, შესაძლოა, მისი გაწონასწორებული და ხალისიანი განწყობის კიდევ ერთი საბაბიც იყო. ახალმთვარობის სამყაროში არაფერი არსებობდა სურნელისა და ტალღების ხმაურის გარდა, ზღვის ნაპირიდან რომ აღწევდა. ახლა ის თავის სტიქიაში იყო... შემდეგ ტილო ისე დაკეცა, რომ ქონწასმული ზედაპირი ერთმანეთს მორგებოდა. ეს უკვე არც მთლად სახალისო საქმიანობა გახლდათ, ვინაიდან მშვენივრად იცოდა,

სიფრთხილის მიუხედავად, მოდელირებული კონტურების ნაწილი ამის გამო მაინც გაიდღაბნებოდა და ადგილსაც შეიცვლიდა; ოღონდ ტილოს გადატანის სხვა საშუალება ახლა არც ჰქონდა, მაინც იღლიაში უნდა ამოედო. მერე მაკრატელი და ფითხი ჯიბეში ჩაიწყო, ზეთისხილის ხელკეტს წაეტანა და ეზოში გასხლტა.

ცა ღრუბლებს დაეფარა, სახლი ბნელში იყო ჩაფლული. ერთადერთი ნა-პერწკალი ამ უკუნ სიბნელეში აღმოსავლეთით ციალებდა: ლა-ნაპულიდან ერთ მილზე, სენ-მარგერიტის კონცხზე განლაგებული ფორტის შუქურა ყვავის ფრთასავით შავ ნოხზე მოციალე ქინძისთავს მოგაგონებდათ. ყურედან მსუბუქი ნიავი უბერავდა, თან თევზის სუნი მოჰქონდა. ძაღლებს ეძინათ. გრენუი რაღაც ფარდულის კედელზე მიყუდებულ კიბეს მიუახლოვდა, თავისუფალი მარჯვენა ხელით სამ საფეხურს მოებღაუჭა, ასწია, მხარი შეუდგა და ასე შვეულად გადაიტანა ეზოს გადაღმა, ლაურას ფანჯრამდე. ფანჯარა გამოღებული იყო. როდესაც ხარიხებზე აბიჯებდა და მაღლა-მაღლა მიიწევდა, თავს მიულოცა რომ შესაძლებლობა მიეცა აქ, ლა-ნაპულიში შეე-გროვებინა გოგონას სურნელის მოსავალი. გრასში, სადაც რა ხანია, უგისოსო ფანჯარას ვეღარ ნახავდი, ხოლო სახლს ბეჯითად დარაჯობდნენ, საქმე გაცილებით გართულდებოდა. აქ კი ლაურა მარტო იყო ოთახში და გრენუის მოახლის მოშორებაზეც კი არ დასჭირდებოდა ფიქრი...

საგდული ამოაგდო, რაფაზე გადაძვრა და დაკეცილი ზეწარი ფრთხილად დადო იატაკზე. საწოლისაკენ შეტრიალდა; ოთახში თმის სუნი ბატონობდა, ლაურა პირაღმა იწვა და მოხრილი მკლავით შემოსაზღვრული სახე ბალიშში ჩაერგო. კეფა საუკეთესოდ უჩნდა ხელკეტის ჩასარტყმელად.

დარტყმა ყრუდ გაისმა ოთახის ჩაკეტილ სივრცეში. გრენუის სძულდა ეს ხმა, სძულდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს მაინც ხმაური იყო, ხმაური მის ჩუმ საქმეში. კრიჭა შეიკრა და დაელოდა, სანამ ეს ხმაც მიინავლებოდა, მერე კიდევ კარგა ხანს იდგა გაშეშებული, ციებაშეყრილივით უჭერდა ხელს კეტს, თითქოს ელოდა, რომ ეს ხმა ექოსავით დაუბრუნდებოდა საიდანმე. ოთახში კი სიჩუმე იდგა, მანამდელზე უფრო ღრმა სიჩუმე, რაკიღა იქ გოგონას სუნთქვაც აღარ ისმოდა. მაშინღა იცვალა გრენუიმ დგომი და სხეული მოემ-ჩვარა. მერე თავი მოთოკა, ხელკეტი გვერდზე გადადო და მთელი მონდომე-ბით შეუდგა საქმიანობას. ჯერ თან მოტანილი ზეწარი გაშალა, მშრალი მხრიდან გადააფარა მაგიდასა და სკამებს, თან ფრთხილობდა, უნებლიედ გაქონილ პირს არ შეხებოდა. გოგონას ღვთაებრივმა სურნელმა ამჯერად ვეღარ აუჩუყა გული – ეს არომა უკვე ნაცნობი იყო მისთვის, ხოლო მისით ტკბობა მომავლისათვის გადადო... ახლა საჭირო იყო, რაც შეიძლება ბევრი შეეგროვებინა და რაც შეიძლება ნაკლები დასხტომოდა ხელიდან, ახლა მის-გან მხოლოდ გულისყური და მოხერხებულობა იყო საჭირო.

მაკრატლის ერთი მარჯვე მოძრაობით გაჭრა ღამის პერანგი, შემოაცალა, ხელი სტაცა ზეწარს და გაშიშვლებულ სხეულს გადააფინა. მერე აწია სხეული, ტილოს ჩამოშვებული ნაწილი მის ქვეშ შეაცურა და გადაახვია – როგორც მეფუნთუშე ახვევს ნიგვზიან რულეტს – ბოლოები გადმოკეცა და

გოგონა მუმიასავით გაახვია თავიდან ფეხებამდე. მხოლოდ თმები დარჩა; ეს თმებიც შეაჭრა, შეძლებისდაგვარად ახლოს კანთან, ღამის პერანგში გაახვია და მჭიდროდ შეკვანძა. გაკრეჭილ თავის ქალას ტილოს თავისუფალი ნაწილი გადააფარა და ნაჭერი თითების ფაქიზი შეხებეით გაასწორა. ბოლოს მთელი ეს უცნაური ფუთა გულდასმით შეამოწმა – არ დარჩენილიყო არც ერთი ხვრელი, საიდანაც არომატის გაჟონვას შეძლებდა, არც ერთი გაუსწორებელი ნაოჭი, სადაც არომა ვერ შეაღწევდა. მართლაც რომ, საუკეთესოდ გახლდათ შეფუთული... ახლა საქმე მეტი აღარაფერი ჰქონდა, მხოლოდ ლოდინიღა იყო საჭირო, ექვსაათიანი ლოდინი – განთიადამდე.

გრენუიმ საწოლთან ახლო მოაჩოჩა სავარძელი, რომელზეც ლაურას კაბა გადაეფინა და ზედ დაეშვა. განიერი შავი სამოსი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა გოგონას სურნელს, რომელიც მის მიერ გამგზავრების წინ ჯიბეში ჩატენილი ანისულის კვერების სუნს უერთდებოდა. დაღდილობა მოეძალა, მაგრამ მუშაობის დროს ძილი ეკრძალებოდა, მაშინაც კი, როდესაც სამუშაოს საბოლოო ნაწილი მხოლოდ ლოდინისაგან შედგებოდა. ჯერ ის ღამეები გაიხსენა, ბალდინის სახელოსნოში მაცერაციით რომ იყო დაკავებული; ჭვარტლით დაფარული სახდელი ქვაბი, აალებული ცეცხლი, ნაჟური წვეთების მსუბუქი, გამჭირვალე ხმა, როცა ფლორენციული მათარის ფსკერს ეცემოდა; დრო და დრო ცეცხლს მიხედვა რომ სჭირდებოდა, წყალს დამატება, ახალი მათარის შეშველება, გამოფიტული გამოსახდელი მასის ცვლა... და ყოველთვის, ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ არამც და არამც არ შეიძლებოდა დაძინება – არა იმიტომ, რომ რაიმე მორიგი ოპერაცია იყო შესასრულებელი, არამედ იმიტომ, რომ სიფხიზლეს საკუთარი საზრისი გააჩნია – აქაც კი, ამ ფუნდუკში, სადაც ანფლერაჟის პროცესი თავისთავად მიმდინარეობს, უფრო მეტიც – სადაც უადგილო შემოწმება, სურნელოვანი ფუთის გადაბრუნება ან მის გარშემო ფუსფუსი მხოლოდ ხელის შემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს; აქაც კი, როგორც გრენუის ეჩვენებოდა, მისი სიფხიზლე ფრიად მნიშვნელოვანი რამ გახლდათ – ძილს შეიძლებოდა წარმატების სული დაეფრთხო!.

თუმცა კი, დაღლილობის მიუხედავად, ლოდინი ძნელი არ იყო. უყვარდა კიდეც ეს – ყველა იმ ოცდაოთხ შემთხვევაშიც სიამოვნებდა ეს გარინდება – არა დამაჩლუნგებელი სევდა წარსულზე და არც ვნებიანი მოუთმენლობა – არამედ გააზრებული, მზრუნველი და განსაზღვრულ ხარისხში მოქმედი მოლოდინი. ასეთი ლოდინის დროს ყოველთვის რაღაც ხდებოდა, ხდებოდა უაღრესად არსებითი რამ და, თუმცა ამას თავად არ ახდენდა, ეს „რამ“ მაინც მისი წყალობით ხდებოდა. ახლაც ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული; მთელი თავისი ხელოვნება ჩააქსოვა, არ დაუშვია არც ერთი შეცდომა, მისი მოქმედება ერთადერთი სწორი ქმედება გახლდათ და ახლა მხოლოდ რამდენიმე საათის მოლოდინიღაა სჭირო... არასოდეს უგრძვნია თავი ასე კარგად, ასე მშვიდად, ასე გაწონასწორებულად; არასოდეს უგრძვნია ასეთი ერთიანობა საკუთარ თავთან – მაშინაც კი, მთის იმ ახოში – როგორც საკუთარი ხელობის მიერ მოთხოვნილ ამ შესვენების საათებში, როდესაც თავის მსხვერპლს უჯდა და თვალმოუხუჭავად იცდიდა. მის შავბნელ ტვინში მხოლოდ ასეთ წუთებში ჩნდებოდა თითქმის რომ მხიარული აზრები.

საოცარია, მაგრამ ეს აზრები სულაც არ იყო მომავლისაკენ მიმართული. ფიქრობდა არა იმ სურნელზე, რომელსაც რამდენიმე საათის შემდეგ მოიპოვებდა, არა ოცდახუთი ქალწულის არომით შექმნილ სუნამოზე, არა მომავლის გეგმებზე, არა ბედნიერებასა თუ წარმატებაზე – არა, იგი წარსულს იხსენებდა. ხსოვნაში იწვევდა იმ ნიშანსვეტებს, ცხოვრების გზაზე რომ ჰქონია – მადამ გაიარის სახლისა და სახლთან დაყრილი ნესტიანი, მზით გამთბარი მორებიდან დაწყებული, თავის დღევანდელ მოგზაურობამდე — ამ პატარა, თევზის სუნით გაჟღენთილ დასახლება ლა-ნაპულიში. იხსენებდა დაბაღ გრიმალს, ჯუზეპე ბალდინის, მარკიზ დე ლა ტაიად-ესპინასს; იხსენებდა ქალაქ პარიზს და მის, ათასი ელფერით მოლივლივე მყრალ ანაორთქლს, მარესქუჩელ ჟღალთმიან გოგონას, მიწის თავისუფალ სივრცეებს, სუსტ ნიავს, ტყეებს... იმ მთასაც იხსენებდა ოვერნიში – თავის გამოქვაბულს, ჰაერს ადამიანის სუნის გარეშე... თავის სიზმრებსაც იხსენებდა, იხსენებდა უდიდესი სიამოვნებით. დიახ, როდესაც წარსულში იმზირებოდა, მიაჩნდა, რომ ბედი განსაკუთრებით მოწყალე იყო მის მიმართ, რომ ბედისწერას, მართალია დახლართული, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც უტყუარი გზით მიჰყავდა, სხვა შემთხვევაში განა შეძლებდა აქ, ამ ბნელ ოთახში, თავისი ლტოლვის ბოლო მიზანთან აღმოჩენილიყო?! თუ კარგად დავუფიქრდებით, ჭეშმარიტად ღვთის ხელი ერია ამ საქმეში!.

გრენუის გული აუჩუყდა ბედისადმი მადლიერების შემოტევისაგან. „მადლობელი ვარ შენი, – ჩუმად ჩაილაპარაკა, – მადლობელი, რომ მე, ჟან-ბატისტ გრენუი, ვარ ისეთი, როგორიც ვარ!“ – დიახაც, ამდენად აღფრთოვანებული გახლდათ საკუთარი თავით.

ერთხანს თვალებიც კი დახუჭა, რათა ბოლომდე მისცემოდა ამ წმინდა ღამის ნეტარებას. მშვიდობა მოეფინა მის სულს და ეჩვენებოდა, გარეშემოც იგივე მშვიდობას დაედო ბინა... შეიყნოსა მოახლის მშვიდობიანი ძილი მეზობელ ოთახში, ანტუან რიშის ღრმა, დამშვიდებული ძილი მოპირდაპირე ოთახში, შეიყნოსა მშვიდი თვლემა მასპინძლისა, მსახურებისა, ძაღლების, ცხოველებისა ბაგაში, დასახლებისა და ზღვისა. ქარი ჩადგა. მშვიდობა, სიწყნარე სუფევდა ირგვლივ.

მხოლოდ ერთხელ ასწია ხელი და ლაურას ფეხს შეახო რბილად. უფრო სწორად არა ფეხს, არამედ ტილოს, ქონის თხელი ფენა რომ ფარავდა, გოგონას არომატს რომ იწოვდა, ლაურას – არა, უკვე მისი, გრენუის! – მეფურ არომას...

ჩიტები რომ აჭიჭკიჭდნენ – ესე იგი განთიადამდე კარგა ხნით ადრე – გრენუი წამოდგა და სამუშაო მოამთავრა. გარდახსნა ტილო და სალბუნივით ააცალა მიცვალებულის სხეულს. ქონი კარგად შორდებოდა კანს, მხოლოდ ჩაღრმავებულ ადგილებში რჩებოდა პატარა შენადედები, რომელთა მოგროვებაც ფითხით მოუხდა. ნარჩენი ლაურას ქვედა საცვლით აამშრალა და იმავე საცვლით მთელი სხეული გაწმინდა თხემით ტერფამდე, ისეთი მონდომებით, რომ ფორებიდანაც კი ამოაშრო სურნელის უკანასკნელი ძაფები... ახლა ლაურა ნამდვილად მკვდარი იყო მისთვის – დამჭკნარი, უფერული და მომჩვარული – გამოხდილი ყვავილების ნარჩენი.

საცვალიც, ღამის პერანგიცა და ლაურას თმებიც პატარა მჭიდრო ფუთად გამოკრა; თავი არ შეუწუხებია გვამისათვის რამე გადაეფარებინა. ღამის სიშავე დილის სილურჯეში გადაიზარდილიყო და ოთახში ნივთების კონტურებიც გამოიხაზა, მაგრამ გრენუის საერთოდ აღარ გაუხედავს საწოლისაკენ. ლაურას სხეული მას არ აინტერესებდა. იგი აღარც არსებობდა მისთვის როგორც სხეული — ეგ სურნელგამოცლილი მასალა იყო მხოლოდ.

გრენუი უხმაუროდ შეხტა ფანჯრის რაფაზე და კიბით დაეშვა დაბლა. გარეთ ისევ ქარი ამოვარდა, ცა გადაიწმინდა და მიწაზე მუქ-ლურჯი, ცივი სინათლე გადმოიღვარა. ნახევარი საათის შემდეგ ფარეშმა უკვე ცეცხლიც გააჩაღა სამზარეულოს კერაზე. მერე ეზოში გამოვიდა შეშისათვის, კი შეამჩნია აყუდებული კიბე, მაგრამ არაფერი უეჭვია, ვინაიდან ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო რიგიანად. მზეც მალე ამოვიდა. უზარმაზარი, ხალასი ოქროსფერი დისკო ამოცურდა ზღვიდან, ლერინის კუნძულებს შორის. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ იყო. გაზაფხულის მშვენიერი დღე დგებოდა. რიშიმ, ვისი ოთახიც დასავლეთისაკენ გადიოდა, შვიდზე გაიღვიძა. პირველად მრავალი თვის მანძილზე, მშვენივრად გამოეძინა და ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მეოთხედ საათს კიდევ ნებივრობდა ლოგინში. ბოლოს ნეტარებით გაიზმორა და სასიამოვნო ფაციფუცს მიაყურადა, სამზარეულოდან რომ გამოდიოდა. წამოდგა, ფართოდ გამოაღო ფანჯარა და დაინახა, რომ ქვეყნად მშვენიერი დარია, ქორფა, დილის ჰაერი ჩაისუნთქა, გაიგონა ტალღების ხმაური, ტუჩები მოამრგვალა და რაღაც მხიარული ჰანგის სტვენას მოჰყვა.

მორთვა-მოკაზმვის დროსაც არ შეუწყვეტია და ჯერ კიდევ სტვენდა, როცა ოთახიდან გამოვიდა, როცა სწრაფი ნაბიჯით გადასერა დერეფანი და როდესაც თავისი ქალიშვილის კარებს მიადგა. დააკაკუნა. და კიდევ დააკაკუნა, ძალიან ჩუმად, რათა გოგონა არ დაეფრთხო. არავითარი პასუხი. რიშიმ გაიღიმა: ტკბილი ძილი ახალგაზრდობის ხვედრიაო, ფიქრად გაუელვა სადღაც გაგონილმა ფრაზამ.

მერე ძალზე ფრთხილად შეყო გასაღების პირი ჭრილში და სახელური გადაატრიალა, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად; იმ სურვილით, რომ მძინარეს შესწრებოდა, კოცნით გაეღვიძებინა, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, მანამდე, ვიდრე მოუწევს სხვა მამაკაცს გადააბაროს საკუთარი ქალიშვილი...

კარი გაიღო, რიში შევიდა და მზის სხივი სახეში მოხვდა. ოთახი თითქოს გამლღვალი ოქროთი გამოევსოთ, ყველაფერი ბრწყინავდა და წამიერად თვალი დახუჭა.

ისევ რომ გაახილა თვალი, მაშინღა დაინახა საწოლზე გადასვენებული ლაურა – შიშველი და მკვდარი, თმის ძირებამდე შეკრეჭილი და მარმარილოსავით თეთრი. ყველაფერი ისევე იყო, როგორც იმ კოშმარულ სიზმარში, გამომგზავრების წინა ღამეს რომ იხილა – ოღონდაც დავიწყნოდა კია უკვე, და ახლა ის კოშმარი კვლავ ამოეფრქვა მახსოვრობაში. ყველაფერი ზუსტად ისევე იყო, როგორც იმ სიზმარში, ოღონდ — გაცილებით უფრო მკაფიო.

47.

ლაურა რიშის მკვლელობის ამბავი ისე სწრაფად გავრცელდა გრასის შემოგარენში, თითქოს ვიღაცას გამოეცხადებინოს: „მეფე მოკვდა!“ ან „ომი დაიწყო!“ ანდა „ნაპირზე მეკობრეები გადმოსხდნენ!“ – და ისეთივე, შესაძლოა, მეტი ძრწოლაც კი გამოიწვია. თვალის დახამხამებაში დაბრუნდა მთელი მონდომებით დავიწყებული შიში, ისეთივე გადამდები, როგორც გასულ შემოდგომას, ყველა თანამდევი გამოვლინებებით: ზაფრით, აღშფოთებით, მრისხანებით, ისტერიული ეჭვიანობით, უილაჯობით... ღამღამობით ხალხი სახლებში იჯდა, ოთახებში კეტავდნენ ქალიშვილებს, ბარიკადებს აგებდნენ კარებთან, არ ენდობოდნენ ერთმანეთს და უძილობა სტანჯავდათ. თითოეული ფიქრობდა, რომ ამჯერადაც ყველაფერი ისე განმეორდებოდა, როგორც ადრე: ყოველ კვირას თითო მკვლელობა! დრომ თითქოს ნახევარი წლით გადაიწია უკან.

ოღონდ შიში ახლა უფრო მეტად დამბლადამცემი იყო, ვიდრე ნახევარი წლის წინ, ვინაიდან საშიშროების მოულოდნელმა დაბრუნებამ, დიდი ხნის გადალახულად რომ თვლიდნენ, ხალხში უიმედობის გრძნობა დათესა: რაკიღა თავად ეპისკოფოსის შერისხვამაც არ უშველა საქმეს, თუკი ანტუან რიში, ყოვლისშემძლე ანტუან რიში — ქალაქის უმდიდრესი მცხოვრები, მეორე კონსული, გავლენიანი, წინდახედული ადამიანი, რომელსაც ხელთ ჰქონდა თავდაცვის ყველა საშუალება და მაინც უძლური აღმოჩნდა, თუკი მკვლელს ხელი არ აუკანკალდა ლაურას ღვთაებრივი სილამაზის წინაშე, – რისი იმედიღა შეიძლება გქონდეს კაცს? ეს მკვლელი უფრო თავდარდამცემი იყო, ვიდრე შავი ჭირი, ვინაიდან შავ ჭირს გაექცევი, ხოლო ამ მკვლელს – ვერა, როგორც ეს რიშის შემთხვევამ დაამტკიცა. ამ მკვლელს, ეტყობა, ზეადამიანური თვისებები გააჩნია!.. სატანასთან თუა წილნაყარი! თუ თავადვეა სატანა?! და ბევრს, განსაკუთრებით უბირთ, არც თუ ისე ჭკვიან ხალხს, ერთი გზაღა დარჩათ – ეკლესიაში შესვლა და ლოცვა; ყოველი ამქარი თავის ბატონს უყრიდა მუხლს: ხარატები – წმინდა ალოიზიუსს, მქსოველები – წმინდა კრისპინეს, მებაღეები – წმინდა ანტონიოს, მენელსაცხებლები – წმინდა იოსებს... და თან მიჰყავდათ თავიანთი ცოლები და ქალიშვილები, მათთან ერთად ლოცულობდნენ, ჭამდნენ და ეძინათ ეკლესიაში, დღისითაც არ გამოდიოდნენ გარეთ, დარწმუნებულნი, რომ ურჩხულისაგან თავდაცვა

მხოლოდ *მოუკლებლად ლოცვის* მეშვეობით, ღვთისმშობლის ხატების წინაშე იყო შესაძლებელი...

სხვები, უფრო აზრიანი თავები – ვინაიდან ეკლესია ერთხელ უკვე უძლური აღმოჩნდა – ოკულტურ ჯგუფებში ერთიანდებოდნენ, მნიშვნელოვანი თანხის ფასად ქირაობდნენ უკვე სახელგანთქმულ კუდიანებს გურდონიდან, შეფოფხდებოდნენ გრასის მიწისქვეშეთის მრავალრიცხოვანი მღვიმეებიდან ერთ-ერთში და შავ მესებს ასრულებდნენ, რათა უწმინდურისათვის ეჩვენებინათ, რომ მისადმი თაყვანისცემად არიან მზად. პატივცემული ბურჟუებისა და კეთილშობილი ბატონების მცირე ნაწილი მეცნიერულ მეთოდებზე დებდა თავს – ამაგნიტებდნენ საკუთარ სახლებს, ჰიპნოზს უკეთებდნენ თავიანთ ქალიშვილებს, საიდუმლო ფლუიდურ წრეებს ქმნიდნენ თავიანთ სალონებში და ცდილობდნენ, ტელეპატიურად განედევნათ მკვლელის სული – დირექტივების ერთობლივად გადაცემის მეშვეობით.

ეკლესიის მსახურნი მომნანიებელ პროცესიებს აწყობდნენ გრასიდან ლანაპულიმდე და – უკან. ქალაქის ხუთივე მონასტრის ბერებმა ოცდაოთხსაათიანი ღვთისმსახურება მოაწყვეს ფსალმუნების მღერით, ასე რომ, ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე ბოლოში უწყვეტი გალობა გაისმოდა, დღისით თუ ღამით. მუშაობით აღარავინ მუშაობდა.

გრასის მთელი მოსახლეობა ასე და ამგვარად ცხოვრობდა ციებცხელებიან უსაქმურობაში. ლამის მოუთმენლად მოელოდნენ შემდგომ მკვლელობას. ის რომ მოხდებოდა, არავის ეპარებოდა ეჭვი; გულის-გულში თითოეულ მათგანს სურდა რაც შეიძლება მალე გაეგო საზარელი ახალი ამბავი – იმ იმედით, იგი ვისმე სხვას და არა თავად მის ჯალაბობას შეეხებოდა.

მაგრამ ხელისუფლება – ქალაქისა, ოლქისა თუ პროვინციისა, ამჯერად ხალხის ისტერიული განწყობილებით არ დაავადებულა; პირველად იმ დღიდან, რაც გოგონების მკვლელმა თავისი პირველი განაცხადი გააკეთა, გრასის, დრაგინიანისა და ტულონის გეგმიური და ფართოდ გაშლილი თანამშრომლობა დაიწყო მაგისტრატების, პოლიციის, პარლამენტისა თუ საზღვაო ფლოტის დონეზეც კი.

ამა ქვეყნის ძლიერთა ამგვარი სოლიდარობის მიზეზი, ერთის მხრივ, საერთო სახალხო ჯანყის შიში გახლდათ და მეორეს მხრივ, ის ფაქტი, რომ ლაურა რიშის მკვლელობის შემდგომ გამოჩნდა ის საწყისი წერტილი, რომელიც საშუალებას იძლეოდა მკვლელის სისტემური დევნა დაეწყოთ – უნდა დაეწყოთ დაბაღის მეტად საეჭვო შეგირდიდან, რომელსაც იმ საბედისწერო ღამეს ლა-ნაპულში, ფუნდუკის საჯინიბოში ეძინა, ხოლო დილაუთენია უკვალოდ გაქრა. მეფუნდუკე, მეჯინიბე და რიში ერთხმად ადასტურებდნენ, რომ ეს იყო შეუხედავი, ჩია ტანის კაცი, მოყავისფრო ქურთუკი ემოსა და უხეში ტილოს ზურგჩანთას დაატარებდა. თუმცა დანარჩენში ამ სამი მოწმის ჩვენებები უცნაურობამდე მერყევი და არაზუსტი იყო. მაგალითად, მათ არ შეეძლოთ აღეწერათ მისი სახის ნაკვთები, თმის ფერი ანდა მეტყველება; მეფუნდუკემ ის მაინც გაიხსენა, რომ უცნობის მოძრაობასა და სიარულში

ყურადღებას იქცევდა ოდნავი მოულოდნელი მოუქნელობა — თითქოს ოდესღაც კანჭი ჰქონოდა მოტეხილი, ან ტერფი დამახინჯებული.

იმავე დღეს, როდესაც მკვლელობა მოხდა, ამ მწირი ამოსაცნობი ნიშნებით დაიმედებული სანაპირო დაცვის ორი ცხენოსანი რაზმი მარსელის მიმართულებით შეუდგა დევნას. ერთი სანაპირო ზოლს გაუყვა, მეორე – პროვინციის სიღრმეში მიმავალ გზას. ლა-ნაპულის უახლოესი შემოგარენის გაჩხრეკის ბრძანება მოხალისეებს მიეცათ. გრასის სასამართლოს ორი წარმომადგენელი ნიცას გაემგზავრა, რათა იქ მოეძიათ რაიმე ცნობა დაბაღის შეგირდზე. ფრეჟიუში, კანსა თუ ანტიბში ბეჯითად ამოწმებდნენ ზღვაში გამავალ ყველა ხომალდს; სავოიისკენ მიმავალი ყველა გზა დაკეტილი იყო, მოგზაურებს პირადობის დამადასტურებელ საბუთებს სთხოვდნენ. ყველას, ვისაც კითხვა შეეძლო, დამნაშავის აღწერილობიან ფურცლებს ურიგებდნენ გრასის, ვანსის, გურდონის ყოველ მისასვლელთან, სოფლების ეკლესიების ბჭეებთან. დღეში სამჯერ გამყინავი ხმით კითხულობდნენ მოედნებზე მაუწყებლები. თუმცაღა კოჭლობის მოხსენიება იმ ეჭვს აღვივებდა, რომ დამნაშავე თავად ეშმა იყო და სარწმუნო ცნობების მოგროვებაში დახმარების მაგივრად პანიკას უფრო თესდა. მხოლოდ მაშინ დააპატიმრეს დასმენის კვალად რამდენიმე დაბაღის შეგირდი, როცა გრასის სასამართლოს თავმჯდომარემ, რიშის სახელით, მკვლელზე ცნობების მომწოდებელს ჯილდო აღუთქვა, არანაკლებ ორასი ლივრისა. ერთ-ერთი მათგანი, თავისდა საუბედუროდ, კოჭლი აღმოჩნდა და სწორედ მაშინ, როცა ალიბის მიუხედავად, რომელსაც მრავალი მოწმე ადასტურებდა, მისი საწამებლად გადაცემა დააპირეს, მკვლელობის დილიდან მეათე დღეს მერიაში კაცი გამოცხადდა ქალაქის დაცვიდან და მსაჯულებს შემდეგი განუცხადა: იმ დღის სამხრობისას, როდესაც იგი, დაცვის კაპიტანი გაბრიელ ტალიასკო, როგორც ყოველთვის სადარაჯოზე იმყოფებოდა, მას მავანმა პირმა მიმართა, რომელიც, როგორც მას ახლა მიაჩნია, სრულად შეესატყვისება სამძებრო ფურცელში აღწერილ პიროვნებას. ეს სუბიექტი რამდენჯერმე დაჟინებით ჩაეძია, თუ რომელი გზით გაემგზავრა მეორე კონსული თავის ქარავანთან ერთად. არც მაშინ და არც მოგვიანებით კაპიტანს ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია და, ალბათ, ვერაფრით გაიხსენებდა მის გარეგნობას – იმდენად შეუხედავი ვინმე იყო – შემთხვევით რომ არ შეხვედროდა მას და თანაც აქ, გრასში, დე-ლა-ლუვის ქუჩაზე, მეტრ დრუიოს და მადამ არნულფის სახელოსნოს წინ; და ამჯერადაც თვალში ეცა, რომ ეს ადამიანი, შესამჩნევად კოჭლობდა...

გრენუი დააპატიმრეს. ლა-ნაპულის ფუნდუკის პატრონმა და მისმა მეჯინიბემ, რომლებიც ადრევე იყვნენ გამოძახებულნი გრასში სხვა ეჭვმიტანილთაგან მკვლელის ამოსაცნობად, წამსვე შეიცნეს მათთან ღამის გამთევი დაბაღის შეგირდი: დიახ, შეცდომა გამორიცხულია, ის არის, განაცხადეს მათ – ძებნილი მკვლელი!

გაჩხრიკეს სახელოსნო, გაჩხრიკეს ფრანციისკანელთა მონასტრის უკან, ზეთისხილის კორომში ჩადგმული ქოხი. კუთხეში, თითქმის თვალმისაწვდენად, ლაურა რაშის ღამის პერანგი, ქვედა საცვალი და თმა იდო. ხოლო როდესაც მიწის იატაკი ათხარეს, ერთიმეორის მიყოლებით აღმოაჩინეს დან-

არჩენი ოცდაოთხი მსხვერპლის თმა და სამოსი. იპოვეს ხელკეტი – მკვლელობის იარაღი და უხეში ტილოს ზურგჩანთა. ნივთმტკიცებებმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. გაიცა ზარების ჩამორეკვის ბრძანება. სასამართლოს თავმჯდომარემ განკარგულება გასცა განცხადებები გამოეკრათ და მაუწყებლობის ყველა საშუალებით ეცნობებინათ ხალხისათვის, რომ გოგონების სახელგანთქმული მკვლელი, რომელსაც თითქმის, მთელი წელია დასდევენ, ბოლოს და ბოლოს დაპატიმრებულია და ციხეშია გამომწყვდეული, ზემკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

48.

თავიდან ამ განცხადებისა არავის სჯეროდა – ეს რაღაც ფანდია, რითაც ხელისუფლებას თავისი უსუსურობის დაფარვა სურს, რათა აღელვებული ხალხი დააყნაროსო: ყველას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა ის დრო, როდესაც ამბობდნენ, მკვლელი გრენობლში გადაიხვეწაო. ამჯერად შიში მეტისმეტად ჩაბუდებულიყო ადამიანების სულებში.

მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც ტაძრის მოედანზე, სასამართლოს შენობის წინ გამოფინეს ყველაფერი – შემზარავი საყურებელი იყო ეს ოცდახუთი სამოსი და ოცდახუთი თმის ბულული, საფრთხობელებივით შუბებზე გამოკიდებული ერთ რიგში — მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა ე.წ. საზოგადოებრივი აზრი.

მრავალმა ასეულმა ადამიანმა ნელ-ნელა ჩაიარა ამ საზარელი გამოფენის წინაშე. მსხვერპლთა ახლობლები, როდესაც სამოსს ამოიცნობდნენ, წივილ-კივილით მიწაზე ეცემოდნენ გულწასულები. ბრბოს დანარჩენი ნაწილი, სენსაციების სიყვარულის გამოისობით თუ ბოლო ეჭვის გასადევნად, მკვლელის ჩვენებას მოითხოვდა. ეს წამოძახილები მალე ისეთი ხმამაღალი გახდა, ხოლო მღელვარება ამ პატარა, ხალხით გადაჭედილ მოედანზე – ისეთი სახიფათო, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ გადაწყვეტილება მიიღო: განკარგულება გასცა, საკნიდან გამოეყვანათ გრენუი და მეორე სართულის ფანჯრიდან ეჩვენებინათ ხალხისათვის.

გრენუი რომ ფანჯარასთან მივიდა, უეცრად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორი სიჩუმეც შუადღის ხვატში დგება ხოლმე. როდესაც ყველა ან სამუშაოდაა მინდორში გასული, ან სახლების ჩრდილებსაა შეფარებული. არც ფეხების ფრატუნი ისმოდა, არც ტანსაცმლის შრიალი, არც სუნთქვა. ბრბო მთელი წუთი თვალდაჭყეტილი და პირდაღებული იდგა. ვერავინ იაზრებდა, რომ ამ ჩია, წელში მოხრილ ადამიანს, ამ ჭიაყელას, ამ ფუნის ხოჭოს, ამ არარაობას ამდენი მკვლელობა ჩაედინა. სრულიადაც არ ჰგავდა მკვლელს. მართალია, ვერც ერთი მათგანი ვერ გეტყოდათ, თუ როგორ ჰყავდა წარმოდგენილი მკვლელი – ეს დემონიური არსება – მაგრამ ერთსულოვანნი კი იყვნენ: არა ასეთად! და მაინც, იმის მიუხედავად, რომ მკვლელი

სრულიად არ შეეფარდებოდა ხალხის წარმოდგენას მასზე დაშესაბამისად, მისი საჯაროდ ჩვენებაც, თითქოსდა არც თუ ისე დამარწმუნებელი უნდა ყოფილიყო – უკვე ამ ადამიანის ფანჯარაში გამოჩენამ და იმ გარემოებამ, რომ სწორედ იგი, და არა ვინმე სხვა აჩვენეს ხალხს როგორც მკვლელი, სრულიად უცნაური შედეგი გამოიღო – ერთი პირობა, მის გამოჩენისთანავე ყველამ გაიფიქრა: შეუძლებელია! *შეუძლებელია*, ეს იყოს მკვლელი! და იმავე წამს მიხვდნენ, რომ ეს სიმართლე იყო…

გასაგებია, როგორც კი დარაჯებმა ოთახის სიბნელეში შეათრიეს დამნაშავე, როგორც კი მან ხილულად ყოფნა შეწყვიტა — თუმცა მცირე ხნით ის მაინც კიდევ აგრძელებდა არსებობას ადამიანთა აღქმაში როგორც მოგონება, თუნდაც როგორც საზიზარი მკვლელის სიმბოლო – ბრბოს განცვიფრება მალევე უკუიქცა და ადგილი დაუთმო შემთხვევის შესაფერის რეაქციას: ხალხი აყბედდა, ათასობით თვალი ისევ გამოცოცხლდა, ყველა ხმა შენივთდა და მრისხანებისა და შურისძიების გრგვინვად გადაიარა: „ჯვარს აცუ ეგე!“ — და ისინი სასამართლოს შენობის იერიშზე გადავიდნენ, რათა საკუთარი ხელებით მოეშთოთ, ნაკუწ-ნაკუწ დაეგლიჯათ და დაეფლითათ მსჯავრდებული. ჩაფრებს გვარიანი ჯაფა დაადგათ, რათა კარი გაემაგრებინათ და უკან დაეწიათ გამძვინვარებული ხალხი. გრენუი სასწრაფოდ სარდაფში გადაიყვანეს. თავმჯდომარე ფანჯარასთან მივიდა და სახალხოდ დაიფიცა, რომ პირუთვნელი და უუმკაცრესი სასამართლო დღე-დღეზე გაიმართებოდა. და მაინც, რამდენიმე საათი დასჭირდა ბრბოს დასაშლელად, და რამდენიმე დღე, რათა ქალაქი ოდნავ მაინც დაწყნარებულიყო.

მართლაც, პროცესი გრენუის წინააღმდეგ საოცრად სწრაფად მიიწევდა წინ, რადგან საქმეში უამრავი სარწმუნო სამხილი იყო და დაკითხვებზეც დამნაშავე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ადასტურებდა, რომ ყველა მკვლელობა, რომელიც კი ბრალად ედებოდა, სწორედ მისი ჩადენილია.

მან მხოლოდ იმ კითხვაზე ვერ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი, თუ რატომ სჩადიოდა ამას. მხოლოდ იმეორებდა, რომ გოგონები მას საქმისათვის სჭირდებოდა და ამიტომაც ხოცავდა. რა საქმე იყო და საერთოდ, რას ნიშნავდა რომ გოგონები „სჭირდებოდა“, ამის თაობაზე ვერაფერი ათქმევინეს.

მაშინ წამება დაუწყეს, რამოდენიმე საათით ჩამოკიდეს ძელზე, შვიდი ლიტრი წყალი ჩაასხეს, ესპანური წაღებიც ჩამოაცვეს – უშედეგოდ. ეს ადამიანი უგრძნობელი აღმოჩნდა ფიზიკური ტკივილის მიმართ, არც კი დაუკვნესია და ყოველ განმეორებად კითხვაზე მუდამ ერთნაირად პასუხობდა: „*მჭირდებოდნენ…*“. მსაჯულებმა, ბოლოს და ბოლოს, ჭკუასუსტად ჩათვალეს, წამება შეწყვიტეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად, შემდგომი დაკითხვების გარეშე მოემთავრებინათ გამოძიება.

ერთადერთი მცირე გადავადება გამოიწვია იურიდიულმა კამათმა დრაგინიანის მერიასთან, ვის მმართველობაშიც იმყოფებოდა სოფელი ლა-ნაპული და ექსის პარლამენტთან, ვინაიდან დრაგინიანსაც და ექსსაც ამ პროცესის მითვისება სურდათ. მაგრამ გრასის მოსამართლეებმა ამ საქმის წარმოების

უფლება არავის დაუთმეს. აკი სწორედ მათ შეიპყრეს დამნაშავე, მათი იურისდიქციის სფეროში იყო ჩადენილი მკვლელობათა უმეტესი წილი, და ხალხის მრისხანებაც მათ დაატყდებოდათ თავს, თუკი საქმეს სხვა სასამართლოს გადასცემდნენ. გრენუის სისხლი გრასში უნდა დაღვრილიყო...

1766 წლის 15 აპრილს გამოტანილი განაჩენი იმავე საღამოს, მისსავე საკანში წაუკითხეს დამნაშავეს. „მენელსაცხებლის შეგირდი ჟან-ბატისტ გრენუი, – იუწყებოდა განაჩენი, – ორმოცდარვა საათის განმავლობაში უნდა იქნას გაყვანილი დიუკურის საგუშაგოზე, იქ გულაღმა იქნას გაკრული ხის ჯვარს, და მას სხეულზე მიეყენოს თორმეტი დარტყმა რკინის კეტით, რომელი დარტყმებიც გადაუმსხვრევენ მას ხელების, ფეხების, თეძოებისა და მხრების სახსრებს, რის შემდეგაც ჯვარზე მიკრული დარჩება სიკვდილამდე“. ამჯერად ჯალათს აკრძალული ჰქონდა დამნაშავისათვის აღმოეჩინა ჩვეული მოწყალება – ბაწრით მოეხრჩო სახსრების დამსხვრევის შემდეგ, მაშინაც კი, თუ მისი სიკვდილისწინა წამება რამდენიმე დღე გასტანდა. საბოლოოდ, გვამი სასაკლაოზე უნდა დაეფლათ ადგილის აღუნიშნავად.

ასე ჩანდა, გრენუიზე განაჩენს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. სასამართლოს მოსამსახურე შეეკითხა, ხომ არა ჰქონდა რაიმე უკანასკნელი სურვილი. *არა*, – უპასუხა გრენუიმ. — *რაც მჭირდება, ყველაფერი მაქვს.*

საკანში მღვდელი შევიდა, რათა გრენუისათვის აღსარება ეთქმევინებინა, მაგრამ მალე თავისი მისიის შეუსრულებლად გამოვიდა უკანვე. მსჯავრდებულმა ღვთის სახელით ხსენებაზე ისეთი განდგომილი მზერით შეხედა, თითქოსდა მხოლოდ ახლა, პირველად გაიგოო ეს სიტყვა, მერე კი ტახტზე გაიჭიმა და ძილს მისცა თავი. შეგონებებს აზრი აღარ ჰქონდაო, — თქვა მოძღვარმა.

უამრავი ხალხი მოდიოდა შემდგომი ორი დღის განმავლობაში, სახელგავარდნილი მკვლელის საკუთარი თვალით სანახავად. დარაჯები უფლებას იძლეოდნენ სათვალთვალო ჭრილიდან შეეხედათ საკანში და ამისათვის ექვს სოლდოს ართმევდნენ. ერთი ვიღაც სპილენძზე პორტრეტების ამომჭრელი იძულებული გახდა, ექვსი ფრანკი გადაეხადა — პროფილის მონახაზის გასაკეთებლად. შედეგი უვარგისი გამოვიდა: მაჯებსა და კოჭებზე ჯაჭვგამობმულ პატიმარს უმეტესწილად ტახტზე გაწოლილს ეძინა, სახით კედლისაკენ და არც ბრახუნსა და არც ძახილს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მომსვლელებს კი საკანში შესვლა სასტიკად ეკრძალებოდათ და დარაჯები, მაცდუნებელი წინადადებების მიუხედავად, ამ აკრძალვის დარღვევას ვერ ბედავდნენ – შიშობდნენ, პატიმარი ნაადრევად არ მოეკლა რომელიმე მსხვერპლის ახლობელს. ამავე მიზეზით არ გადასცემდნენ ხოლმე მნახველების მოტანილ საჭმელს – ვაითუ მოწამლული ყოფილიყო.

გრენუი საპატიმროში ეპისკოფოსის სამზარეულოდან იღებდა საკვებს და მთავარი ზედამხედველი ვალდებული იყო ყოველი კერძი თავად გაესინჯა წინდაწინ. თუმცაღა, ბოლო ორი დღე გრენუი საერთოდ არ გაკარებია საჭმელს. იწვა და ეძინა. დრო და დრო მისი ჯაჭვები აჟღარუნდებოდა და და-

რაჯი, რომელიც მაშინვე კარის საჭვრეტს მივარდებოდა ხოლმე, თვალსღა თუ შეავლებდა, როგორ მოსვამდა გრენული წყალს მათარიდან, ისევ ტახტზე წამოწვებოდა და კვლავ იძინებდა. იფიქრებდით, ეს ადამიანი იმდენად მოექანცა ცხოვრებას, უკანასკნელი საათებიც კი არ სურს სიფხიზლეში გაატაროსო...

ამასობაში დიუკურის კარიბჭესთან ადგილი მოამზადეს განაჩენის აღსასრულებლად. ხუროებმა ორი მეტრის სიმაღლის ეშაფოტი შეკრეს, მოაჯირებითა და მტკიცე კიბით – ასეთი დიდებული რამ გრასში მანამდე არც ენახათ. ამას გარდა, საპატიო სტუმრებისათვის ხის ტრიბუნა წამოჭიმეს და ღობე, უბირი ხალხის შესაკავებლად. იმ სახლების ფანჯრები მარჯვნივ და მარცხნივ, რომლებიც დიუკურის ჭიშკარსა და ქალაქის დაცვის შენობას შორის იყო განლაგებული, კარგა ხნის გაქირავებული გახლდათ ზღაპრულ ფასებში. თავშესაფარშიც, რომელიც ოდნავ გვერდულად იდგა, ჯალათის თანაშემწემ ოთახებიდან გამოიყვანა ავადმყოფები და ეს ფანჯრებიც დიდი მოგებით მიაქირავა ცნობისმოყვარეებს. ლიმონათის დამტარებლები ძირტკბილას იმარაგებდნენ, ტვიფრების მჭრელს მკვლელის ციხეში ჩახატული და თავისი ფანტაზიით შელამაზებული პორტრეტის რამდენიმე ასეული ეგზემპლარი ამოტვიფრა, ათეულობით მოხეტიალე ვაჭარი შემოეხეტა ქალაქში, მეფურნეები სამახსოვრო კვერებს აცხობდნენ...

ჯალათმა, მუსიე პაპენმა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე არა ჰყოლია ისეთი მსჯავრდებული, ვისთვისაც სახსრები უნდა გადაემსხვრია, მჭედელს ოთხუთხა, რკინის კეტი შეუკვეთა და იმ კეტით სასაკლაოზე დადიოდა, რათა ცხოველების ლეშზე ევარჯიშა. წესად ჰქონდა, მხოლოდ თორმეტი დარტყმით უეჭველად გადაემსხვრია თორმეტივე სახსარი და, ამავე დროს, სხეულის სხვა მნიშვნელოვანი ნაწილები არ დაეზიანებინა — ვთქვათ, მკერდი ან თავი – მეტად მძიმე ამოცანაა, რაიც თითების უაღრეს მგრძნობიარობას საჭიროებს.

ქალაქის მაცხოვრებლები, როგორც დიდის რამ დღესასწაულის მოლოდინში, ისე ემზადებოდნენ ამ მოვლენისათვის. რა გასაკვირია, ეს დღე რომ უქმედ გამოცხადდა — ქალები საკვირაო მორთულობას დასტრიალებდნენ, კაცები მტვერს აცლიდნენ ქურთუკებს, სერთუკებს და წაღებს იპრიალებდნენ; ვისაც სამხედრო წოდება ჰქონდა, ანდა რაიმე თანამდებობა – საამქროების ოსტატი იყო, ვექილი, ნოტარიუსი, საძმოს თავი ანდა რაიმე მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა მუნიციპალიტეტში — მუნდირს ან მოსახამს ან თოვლივით თეთრ, დაპუდრულ პარიკს ისწორებდა მხრებსა თუ თავზე. მორწმუნეები post factum* ეკლესიაში შეკრებას ვარაუდობდნენ წირვა-ლოცვისათვის. სატანის თაყვანისმცემლები – მდიდრული სამადლობელი მესის მოწყობას ლუციფერისათვის, განათლებული მაღალი საზოგადოება – მაგნიტურ სეანსებზე გამგზავრებას კაბრის, ვილნევის და ფონ-მიშელის სას-

* მომხდარის მერე (ლათ.)

ტუმროებში. სამზარეულოებში მთელი გაქანებით აცხობდნენ და წვავდნენ, სარდაფებიდან ღვინოები მოჰქონდათ, ბაზრებიდან – ყვავილები მაგიდების მოსართავად, ტაძარში ორღანისტი და მომღერალთა გუნდი რეპეტიციებს ვერ აუდიოდნენ...

მხოლოდ დრუატის ქუჩაზე, რიშის სახლში სუფევდა სიწყნარე. სახლის პატრონმა საკუთარ თავს ამ, როგორც ხალხში ეძახდნენ, *განთავისუფლების დღისადმი* ყოველგვარი სამზადისი აუკრძალა. ყველაფერი ეზიზღებოდა — ეზიზღებოდა ხალხში მოულოდნელად აღმდგარი თავზარი, ეზიზღებოდა დასჯის ეს ცხროიანი წინასწარტკბობაც და თავად ისინი, თანამოქალაქეები, ყველა ერთად ეზიზღებოდა. რიში არც დამნაშავისა და მის მსხვერპლთა წარდგენაში მონაწილეობდა ტაძრის მოედანზე, არც კვლევა-ძიების მსვლელობაში, და არც უსაქმურთა თავყრილობებში მკვლელის საკნის კართან. თავისი ქალიშვილის თმებისა და სამოსის ამოსაცნობად სახლში მოიწვია სასამართლოს ბოქაულები, მოკლედ და თავშეკავებულად მისცა ჩვენება და ითხოვა, რომ ეს ნივთები, როგორც სამახსოვრო, მისთვის დაეტოვებინათ, რაც შეუსრულეს კიდეც. რიშიმ ლაურას ოთახში წაიღო ისინი, ღამის პერანგი და საცვალი საწოლზე გადააფინა, ბალიშზე გაშალა ლაურას ჟღალი თმები, საწოლის წინ დაჯდა და მეტად აღარც მოსცილებია იქაურობას, თითქოსდა ამ მუდმივ გუშაგობას შეეძლო შეევსო ის, რაც მან იმ ღამეს არ გააკეთა ლა-ნაპულიში. იმდენად იყო სავსე ზიზღით, ზიზღით მთელი ქვეყნისა და საკუთარი თავის მიმართ, ეული ცრემლიც ვეღარ გადმოიდინა თვალიდან.

რიშის მკვლელიც ეზიზღებოდა. არ სურდა, მასში ადამიანი დაენახა – მხოლოდ შესაწირავი, ზვარაკი, სამსხვერპლო ხორცი. მას მხოლოდ დასჯის წუთებში იხილავს, როდესაც გრენუი ჯვარს იქნება გაკრული და თორმეტი დარტყმა დაატყდება სხეულზე. აი, როდის დაინახავს მას, დაინახავს სრულიად ახლოს, მან ხომ წინა რიგში შეუკვეთა თავისთვის ადგილი. და როდესაც ხალხი დაიშლება, რამდენიმე საათის შემდეგ, ავა მასთან სისხლიან ეშაფოტზე, გვერდით დაუჯდება, უდარაჯებს დღისით თუ ღამით, როგორც გამოვა, თვალებში ჩააჩერდება მას – მისი ქალიშვილის მკვლელს და მანამ, წვეთწვეთობით ჩაუღვრის თვალებში მთელ თავის ზიზღს, თავის სამსალას, ვიდრე ის საზიზღარი არ ჩაძაღლდება!.

და მერე? მერე რას იზამს? ეს კი აღარ იცოდა რიშიმ. შესაძლოა, თავის ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდეს, შესაძლოა, ცოლი მოიყვანოს, შესაძლოა, ბიჭიც გაუჩნდეს, შესაძლოა არც არაფერი გააკეთოს, იქნებ მოკვდეს კიდეც. ყოველივე ეს უკვე სულერთი იყო მისთვის. ამაზე ფიქრი ისეთივე უაზრობად მიაჩნდა, როგორც იმაზე, თუ რა უნდა აკეთო სიკვდილის შემდეგ: რა თქმა უნდა, აღარაფერი — ეს უკვე ახლავე იცოდა...

49.

სიკვდილით დასჯა ნაშუადღევის ხუთ საათზე იყო დანიშნული. სანახაობების მოყვარულნი უკვე დილიდანვე შეგროვდნენ და ადგილები დაიკავეს. თან მოიტანეს სკამები, ფეხმოსართხმელი ბალიშები, სურსათი, ღვინო და ბავშვებიც მოიყოლეს. შუადღისათვის, როდესაც ქალაქში ყოველი მხრიდან სოფლის მაცხოვრებლებმა იწყეს დენა, დიუკურის კარიბჭესთან უკვე ისეთი სიმჭიდროვე იყო, ახალმოსულებს გრენბოლისკენ მიმავალი გზის გაყოლებაზე და გარშემო პლატოზე ტერასებად განლაგებულ ბაღებში მოუხდათ ადგილის ძებნა. მოხეტიალე ვაჭრებმა ხელი დაიცალეს, ხალხი ჭამდა და სვამდა, გარშემო ისეთი ყაყანი და სიმყრალე იდგა, ბაზრობაზე რომ იცის ხოლმე. მალე ათიათას კაცამდე შეიკრიბა, გაცილებით მეტი, ვიდრე „დედოფალ ჟასმინის“ დღესასწაულზე, მეტი, ვიდრე ყველაზე დიდი ჯვრით სვლაზე, მეტი, ვიდრე ოდესმე შეკრებილან გრასში. ფერდობები ხალხით იყო მოფენილი, ხეებზე მიძვრებოდნენ, სახლების კედლებზე და სახურავებზე მიფოფხავდნენ, თავისუფალი ადგილი მხოლოდ მოედნის შუაგულში, მოაჯირებით გამოყოფილ მონაკვეთზე რჩებოდა – თითქოსდა ხალხით მოზელილი ცომიდან დანით ამოჭრილი ეს ადგილი ტრიბუნასა და ეშაფოტისათვის, უეცრად თოჯინების თეატრის სცენასავით დაპატარავდა. და კიდევ ერთი, ვიწრო გასასვლელი დარჩა დიუკურის საგუშაგოსა და დრუატის ქუჩამდე.

დაახლოებით სამი საათისთვის მუსიე პაპენი და მისი თანაშემწეებიც გამოჩნდნენ. ხალხი მათ კმაყოფილების გუგუნით შეეგება. ეშაფოტთან ხის ძელებისაგან შეკრული ჯვარი მიიტანეს და ოთხ ხარიხაზე დაამაგრეს. ჯალათისა და დურგლის თანაშემწეების ყოველ მოქმედებას ბრბო ხმამღალლი შეძახილებით მიესალმებოდა; ხოლო ამის შემდეგ, როდესაც ეშაფოტს პაპენი მიუახლოვდა თავისი კეტით, ჯვარს ყოველი მხრიდან შემოუარა, გადათვალა გასაკეთებელი ნაბიჯები და ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან, სავარჯიშოდ, ჰაერში კეტის ქნევას მოჰყვა, ხალხმა ტაში დასცხო.

ოთხი საათისთვის ტრიბუნამ შევსება დაიწყო. ბევრი კეთილშობილი გვამი გამოცხადდა — ასე რომ, დახვეწილი მანერები, ლამაზი ქალები, ათასნაირი ქუდები, ბრწყინვალე ტუალეტები – მოკლედ, ბევრი რამ იყო მზერის დასატკბობი. ქალაქისა და პროვინციის მთელი დიდკაცობა შეიკრიბა: მჭიდრო რიგად შეკრული ქალაქის საბჭოს წევრები, ორივე კონსულის წინამძღოლობით, თავიანთ ადგილებს იკავებდნენ. რიში ერთთავად შავებში იყო ჩაცმული – შავი წინდები, შავი ქუდი... საბჭოს შემდგომ მაგისტრატი განლაგდა სასამართლოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. სულ ბოლოს ეპისკოფოსი გამოჩნდა, ღია ჯალამბარში მჯდომი, იისფერი სამოსის ბრწყინვითა და ხასხასა მწვანე ხავრდის კუნკულით. მათ, ვისაც ქუდი ჯერ არ მოეხადა, იჩქარეს ახლა მაინც მოეშვლიპათ. სადღესასწაულო წუთები ახლოვდებოდა.

ბატონებმა თავისი ადგილები დაიკავეს, ხალხი გაირინდა, ყველანი ელოდნენ. პაპენი და მისი თანაშემწეები ჩარჭობილებივით იდგნენ ეშაფოტის ფიცარნაგზე. თბილი ქარი უბერავდა გრასის დაბლობიდან და აყვავებული ფორ-

თოხლის ხეების სურნელი მოჰქონდა. ბოლოს, როდესაც უკვე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, დაძაბულობამ ზღვარს მიაღწია და ათასხმოვანი კივილი საცაა სიჩუმეს გაფლითავს, ბრბოში კიდე ჩხუბი, ჯგლეთა, ზედახორა და ერთი ყალილა ატყდებაო, ფლოქვების თქარუნი და ბორბლების ჭრიალი გაისმა.

დრუატის ქუჩაზე ორცხენშებმული ეტლი გამოჩნდა, ქალაქის ჭიშკარი გამოიარა და უკვე ყველას დასანახად შემოუხვია იმ ვიწრობში, ეშაფოტისკენ რომ მიდიოდა. განსასჯელის ადგილზე მიყვანის ეს ხერხი პოლიციის ლიეტენანტმა დაიჟინა, ვინაიდან ეჭვობდა, სხვანაირად თუ შეძლებდა დამნაშავის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. საერთოდ კი, ციხე სულ ხუთი წუთის სავალზე იყო დასჯის ადგილიდან და თუ სიკვდილმისჯილს რაიმე მიზეზის გამო არ შეეძლო ამ მანძილის ფეხით გავლა, იგი ვირშებმული ღია საზიდარით გადმოჰყავდათ ხოლმე; მაგრამ ვინმე რომ თავის საკუთარ სამსჯავროზე მდიდრული ეკიპაჟით, მეეტლითა და ცხენოსანი ესკორტით მოეყვანათ – ასეთი რამ ჯერ არასოდეს მომხდარა გრასში!

მაგრამ ბრბოში არც შეშფოთება და არც რაიმე უკმაყოფილება არ იგრძნობოდა: პირიქით, ეკიპაჟი ისე აღიქვეს, როგორც წარმატებული რამ იდეა, დაახლოებით ისე, როგორც თეატრში ხვდებიან კეთილგანწყობით რომელიმე ცნობილი პიესის მოულოდნელ, ახალ გადაწყვეტას. ბევრმა მართებულადაც კი მიიჩნია მთავარი გმირის ამგვარი გამოსვლა – ამგვარ განსაკუთრებულ დამნაშავეს, მოპყრობაც განსაკუთრებული შეეფერებაო; ხომ არ შეიძლება, ისიც ჩვულებრივი ყაჩაღივით გაბაწრული გადააღოღო მოედანზე და კეტები ურტყა... სულ სხვა საქმეა მდიდრული კარეტის სავარძლიდან რომ წამოაყენებ და ჯვართან მიიყვან – ამაში გაცილებით მეტი, გააზრებული სისასტიკეა!

ეტლი ეშაფოტსა და ტრიბუნას შორის გაჩერდა. ბოქაულები ეცნენ, კარი გამოაღეს და პატარა, გასაშლელი კიბე ჩამოუშვეს. ჯერ პოლიციის ლეიტენანტი გადმოვიდა, შემდეგ დაცვის ოფიცერი და ბოლოს გრენუი – ცისფერ ქურთუკში, თეთრ ხალათში, თეთრ აბრეშუმის წინდებსა და ბალთებიან შავ ფეხსაცმელში გახლდათ გამოწყობილი. არც ხუნდები ედო, არც ხელით იჭერდა ვინმე. ისე გადმოვიდა, როგორც თავისუფალი ადამიანი.

და სწორედ მაშინ მოხდა სასწაული. ყოველ შემთხვევაში, სასწაულის მსგავსი რამ — ისეთი შეუცნობელი, გაუგონარი და დაუჯერებელი, რომ მისი ყველა მოწმე სასწაულს დაუძახებდა, თუკი ოდესმე გაბედავდა ამ თემაზე ლაპარაკს! მათ კი ამაზე სიტყვაც არასოდეს დაუძრავთ ოდესმე, ვინაიდან თითოეულ მათგანს რცხვენოდა იმის აღიარება, რომ საერთოდ მონაწილეობდა ამ ამბავში...

საქმე ის იყო, რომ ათი ათასი ადამიანი – მოედანზე, ჭიშკართან თუ გარშემორტყმულ ფერდობებზე – მოულოდნელად, წამიერად გაიჟღინთა ურყევი რწმენით, რომ ცისფერ ქურთუკში გამოწყობილი ეს პატარა ადამიანი, ახლახანს რომ გადმოვიდა ეტლიდან, არანაირად არ შეიძლებოდა,

მკვლელი ყოფილიყო! არა იმიტომ, თითქოს მის ერთპიროვნულობაში შეეპარათ ეჭვი – მათ წინ სწორედ ის ადამიანი იდგა, რომელიც რამოდენიმე დღის წინ ენახათ სასამართლოს შენობის ფანჯარაში და რომელსაც ისინი შეშლილი სიძულვილით იქვე ჩაქოლავდნენ, ხელში რომ ჩავარდნოდათ — რომელსაც ორი დღის წინ, სრულიად კანონიერად, უცილო სამხილებისა და საკუთარი აღიარების საფუძველზე მიესაჯა სიკვდილი, სწორედ ის, ვის მოკვდინებასაც მთელი ჟინით ელოდნენ სულ ამ ერთი წუთის წინ... ის იყო, უეჭველად!

და მაინც არა, არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა მკვლელი ყოფილიყო – ეს ადამიანი, რომელიც ახლა დასჯის ადგილას იდგა, უბიწოების განსახიერება გახლდათ. იმ წამებში ეს ყველამ გაიაზრა – ეპისკოფოსიდან მეთუალუხჩემდე, მარკიზიდან მრეცხავამდე, სასამართლოს თავმჯდომარიდან — ქუჩის ბიჭამდე...

და პაპენმაც იცოდა ეს: ფუთიანი მუშტები აუკანკალდა, დაკუნთული მკლავები მოემჩვარა, მუხლები ლამის მოეკვეთა და გულიც ისე შეუფრთხიალდა, უმწეო ბავშვს რომ შეეფერება; ვერ შეძლებდა პაპენი ამ რკინის კეტის აწევას, სიცოცხლეში არ ეყოფოდა ძალა, ხელი აღემართა ამ პატარა, უდანაშაულო ადამიანზე! პაპენი აქვითინდა და თავის მომაკვდინებელ იარაღს დაეყრდნო, რათა მუხლებზე არ დაცემულიყო – ეს კლდეკაცი პაპენი!

და გარშემო მყოფი ათასობით სხვაც იმავეს განიცდიდა: ტალღასავით დაატყდათ სინაზის, უაზრო ბავშვური სიყვარულის უსაზღვრო გრძნობა – დიახ, ხედავს ღმერთი – სიყვარულის გრძნობა ავაზაკის მიმართ და არ შეეძლოთ, არც სურდათ, ამ გრნობას აღდგომოდნენ წინ! ეს გოდებასავით იყო, რომლისგანაც საშველი არ არის, რომელიც სიღრმიდან, გულ-ჯიგრიდან ამოდის და გთენთავს და გაბრუებს, შემოგაცლის ყველაფერს, რაც კი მას ეწინააღმდეგება. ხალხი თითქოსდა დადნა, გაიხსნა, ამორფულ, თხევად სტიქიად იქცა და მხოლოდ გულის პატარა გუნდასღა გრძნობდნენ, სადღაც სიღრმეში გააფთრებით რომ ფეთქავდა და მათ, თითოეულმა მათგანმა სამარადჟამოდ ჩაუდო ეს გული ცისფერქურთუკიან პატარა კაცუნას ხელისგულში: მათ იგი *უყვარდათ!*

გრენუი უკვე რამდენიმე წუთის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა ეტლის გამოღებულ კართან. მის გვერდზე ვიღაც ლაქია ჯერ მუხლებზე დაეშვა და ბოლოს კი ის განრთხმული პოზა მიიღო, რომელსაც აღმოსავლეთში სულთანის ან ფადიშაჰის წინაშე იღებენ; და ამ მდგომარეობაშიც კიდევ კანკალებდა და ცდილობდა, უფრო დაბლა წასულიყო, მთლად მიწის ქვეშ განრთხმულიყო, მიწის მეორე კიდემდე განწვალულიყო — წმინდა ერთგულებისა გამო... დაცვის ოფიცერმა და პოლიციის ლეიტენანტმა, ორმა ჯანიანმა მამაკაცმა, ვის მოვალოებაშიც მსჯავრდებულის ეშაფოტამდე მიყვანა და ჯალათისათვის მისი გადაბარება შედიოდა, ატირდნენ და ქუდები მოიხადეს, შემდეგ ისევ დაიხურეს, მოიხადეს და მიწაზე დაყარეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ, დაშორდნენ, ხელების უაზროდ ქნევა იწყეს ჰაერში, გულამომ-

ჯდარნი იცრემლებოდნენ, იკრუნჩხებოდნენ და იმანჭებოდნენ, როგორც რომ წმინდა ვიტის როკვით შეპყრობილნი.

მოშორებით მყოფი პატივცემული მოქალაქეებიც სრულად მიენდვნენ ამ ყოვლისმომცველ გრძნობას – იყვნენ ქალბატონები, რომლებმაც გრენუის დანახვაზე მომუჭული მუშტები მუხლებს შორის ჩაიტენეს და ნეტარებისაგან კვნესოდნენ; სხვები კიდევ, ამ ღვთაებრივი ყმაწვილისადმი – ვინაიდან, სწორედ ასეთად ეჩვენებოდათ – ვნებიანი ჟინით გატაცებულნი, ხმის ამოუღებლად ძირს ეცემოდნენ გულწასულები. სხვანი, კეთილშობილი ბატონები, უეცრად წამოიჭრნენ თავიანთი სკამებიდან და ისევ დაეხეთქნენ და ისევ წამოხტნენ, საყელოები შემოიგლიჯეს, ქშინავდნენ და დაშნების სახელურებს უჭერდნენ ხელს, ამოსწევდნენ მათ ქარქაშიდან და უკანვე ტენიდნენ ქარქაშში; სხვებიც იყვნენ, უჩუმრად რომ ააპყრეს თვალები ზეცას, დაკრუკნჩხული თითები ერთურთს გადააწნეს და სალოცავად მიიკრეს გულზე; და მონსინიორ ეპისკოფოსი, თითქოს უეცრად შეუძლოდ გახდაო, მთელი ტანით გადაიხარა წინ, სახე მუხლებში ჩარგო და მწვანე კუნკული უკუღმა გადმოეფარა თავზე; ამ დროს შეუძლოდ სულაც არ იყო – პირიქით, პირველად თავის სიცოცხლეში, სარწმუნოებრივმა აღტკინებამ წამოუარა, ვინაიდან ყველას თვალწინ სასწაული მოხდა: უფალმა ღმერთმა პირადადა შეაკავა ჯალათის ხელი, გამოამჟღავნა ანგელოზური არსი ადამიანისა, ვისაც ქვეყანა მკვლელად მიიჩნევდა – ჭეშმარიტად, დიდ არს უფალი! ხოლო შენ მუმლი ხარ და არარაობა, ვინაიდან ანგელოზი გადაეცი ანათემას, თავადაც ურწმუნომ, მხოლოდ ხალხის დასამშვიდებლად! ჰოი, რაგვარი კადნიერებაა, რაოდენი მცირედმორწმუნეობა! და აი, სასწაული მოავლინა უფალმა! ბრწყინვალე დამცირებაა, რაოდენ ტკბილი დამცრობა – წყალობა ღვთისაგან ბოძებული – ცუდმედიდობის დასათრგუნავად!

ამ დროს ხალხი, თეჯირების გარშემო რომ იდგა, იმ გრძნობათა სიმთვრალეს მიეცა, რომელმაც გრენუის გამოჩენისთანავე მოიცვა ყველა: ის, ვინაც პირველი დანახვისას მხოლოდ თანალმობა და გულის აჩუყება შეიგრძნო, ამჯერად გულისთქმით აღივსო; ის, ვინც სასოება განიცადა, თავდავიწყებას მიეცა. ცისფექურთუკიანი კაცუნა ისე წარდგა ყველას წინაშე, როგორც ულამაზესი, უმშვენიერესი, ყოვლად სრულქმნილი არსება, ვისი წარმოდგენაც კი მათ შეეძლოთ: მონაზვნებს ხორცშესხმულ მაცხოვრად ესახებოდათ, სატანის თაყვანისმცემლებს – ქვესკნელის პირქუშ რაინდად, უგზოუკვლოდ ნაკითხ მწიგნობართ – მავან ზეკაცად, ქალიშვილებს – ზღაპრულ მეფისწულად, მამაკაცებს – საკუთარ შორეულ სახებად... ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს მათი ყველაზე მგრძნობიარე ადგილისათვის მიეგნო სხეულში, და თითებით მოესინჯა იგი, ეროგენულ ცენტრში დაეკოდა ყოველი მათგანი; ამ ადამიანს ათასობით უხილავი ხელი ჰქონდა თითქოს, და თითოეულ მათგანისათვის დაედო ხელი ესე მათსა სარცხვინელსა ზედა – ეფერებოდა, ეალერსებოდა ისე, როგორც მხოლოდ უიდუმალეს ზმანებებში თუ მოლანდებიათ...

ასე და ამგვარად, თავისი დროის უსაზიზღრესი დამნაშავის დასჯა ისეთ ბაქხანალიად იქცა, როგორსაც ქრისტეშობიდან მეორე საუკუნის შემდგომ

კაცობრიობა აღარ შესწრებია: ზნეკეთილი ქალები ხალათებს იგლეჯდნენ ტანზე, ისტერიული კივილით იშიშვლებდნენ მკერდს, წამოხდილი ქვედაკაბებით ებერტყებოდნენ მიწას... შეშლილთვალებიანი მამაკაცები გადაშხლართული სხეულებით მოფენილ მინდორზე დაბორიალობდნენ, აკანკალებული თითებით იღებდნენ შარვლებიდან თითქოსდა გაქვავებულ ადრეკილებს და სადაც მოუხდებოდათ, იქ ეცემოდნენ ხრიალით, წყვილდებოდნენ წარმოუდგენელ მდგომარეობებსა და შეთავსებებში: ბერიკაცი – უმანკო ასულთან, დღიური მუშა – წარმატებული ვექილის ცოლთან, შეგირდი ბიჭი – მონაზონთან, იეზუიტი – ვინმე ფრანკმასონ ბანოვანთან, არეულ-დარეულად, ვისაც ვისთან მოუწევდა. ჰაერი დამძიმდა ავხორცული ოფლის მძიმე, მოტკბო-მომწარო სუნით და აივსო კივილით, ღრუტუნითა და კვნესით. ნამდვილი ჯოჯოხეთი იდგა.

გრენუი კი იღიმებოდა. მეტიც, ყველას, ვინც კი შეხედავდა, ეჩვენებოდა რომ იგი უუმანკოესი, უალერსიანესი, უმომხიბლავესი და, საერთოდ, ამქვეყნად უთვალისმომჭრელესი ღიმილით იღიმებოდა. ოღონდაც, სინამდვილეში გესლიანი ღიმილი ეკლაკნებოდა ტუჩებზე გველივით და მთელ მის ზიზღსა და სიძულვილს ირეკლავდა. იგი, ჟან-ბატისტ გრენუი, ქვეყნად უმყრალეს ალაგას ნაშობი, ნარჩენებიდან, ჭუჭყიდან და სიდამპლიდან გამოსული, უსიყვარულოდ გაზრდილი, ადამიანურ სითბოს მოკლებულმა რომ გამოათრია წუთისოფელი თავისი სიჯიუტისა და სიძულვილის წყალობით, პატარა, კუზიანი, კოჭლი, მახინჯი, უკუგდებული, ხორციელად და სულიერად ხეიბარი – იმას ეწია, რომ ქვეყანას მოსწონდა! ესეც ცოტაა – იგი უყვართ! ეთაყვანებიან! აღმერთებენ! პრომეთეს მსგავსია მისი გმირობა: ის, რაც აკვნიდანვე დაჰყვება ადამიანს არც არაფრის გამო, და რასაც იგი, ერთადერთი მსოფლიოში, არა ფლობდა, დაუსრულებელი, გაწაფული შეუპოვრობით მოიპოვა — მეტიც, თავადვე ამოკვეთა საკუთარ თავში!. პრომეთეზე დიადია, უეჭველად. იმგვარი აურა შექმნა საკუთარი თავისთვის, როგორც მანამდე არც არავის ჰქონია! და არც არავის უნდა უმადლოდეს ამას – არავითარ მამას, დედასა თუ, მით უმეტეს, ვიღაც გულმოწყალე ღმერთს – იგი თავადაა საკუთარი თავის ღმერთი და გაცილებით დიდებული, ვიდრე ის, საკმევლის სუნით ამყრალებული უფალი, ეკლესიებს რომ აფარებს თავს... ცოცხალი ეპისკოფოსი ეგდო მის წინ მუხლებზე და სიამოვნებისაგან წკმუტუნებდა. მდიდარ, ძალაუფლების მქონე, ამაყ ბატონებსა და ქალბატონებს აღტაცებისაგან გული მისდიოდათ, ხოლო ფართო წრედ გარშემორტყმული ხალხი, მათ შორის მის მიერ მოკვდინებული გოგონების დედები, მამები, დები და ძმები მის საპატივცემულოდ ორგიას მართავდნენ! საკმარისია თითი დაუქნიოს, ზურგს შეაქცევენ ღმერთს და მის სახელზე, დიდებული გრენუის სახელზე ილოცებენ...

დიახ, დიდ არს გრენუი! სწორედ ახლა გაცხადდა ეს — ისეთივე დიადი, როგორც თავის ფანტაზიებში იყო, ოღონდაც ახლა ყველაფერი ეს სინამდვილეში ხდება! იმ წამს იგი თავისი სიცოცხლის უდიდეს ტრიუმფს ეწია.

და შეძრწუნდა გრენუი.

შეძრწუნდა, რაკი ვერანაირი სიტკბო ვერ შეიგრძნო. იმ წუთებში, როდესაც თავისი საკნიდან მზით გაჩახჩახებულ მოედანზე გამოვიდა, როდესაც ნაპკურები ჰქონდა ის სუნამო, ადამიანებს რომ სიყვარულს უნერგავს, სუნამო, რომლის შექმნაზეც ორი წელი იმუშავა, სუნამო – მთელი ცხოვრება რომ სურდა და სწყუროდა... ამ წუთებში, როდესაც ხედავდა და იყნოსავდა რომ არა კაცს არ ძალედვა წინააღმდეგობა გაეწია და რომ სურნელი ქამანდის ყულფივით ექაჩებოდა მისკენ ყველას განურჩევლად – ამ წუთებში ისევ გაუღვივდა მთელი მისი სიძულვილი ადამიანების მიმართ და ისე მოუწამლა ეს ზეიმი, არა თუ სიხარული, ერთი ბეწო კმაყოფილებაც კი არ უგრძვნია. ის, რაც მუდამ ასე ჟინიანად სწყუროდა – სხვა ადამიანებსაც ჰყვარებოდათ – ამ წარმატების წუთებში აუტანელი გაუხდა, ვინაიდან თავად კი არ უყვარდა, სძულდა!.. მოულოდნელად მიხვდა, რომ ვერასოდეს ჰპოვებს სიყვარულისაგან მოწევნად კმაყოფილებას, არამედ მხოლოდ სიძულვილს ადამიანები მიმართ, და ადამიანების სიძულვილს – მისადმი.

მაგრამ სიძულვილი მისი უპასუხოდ რჩებოდა: რაც უფრო მეტად სძულდა ისინი, მით მეტად აღმერთებდა ბრბო, ვინაიდან ვერაფერს აღიქვამდა მასში – მითვისებული აურის, არომის ნიღბის, მოპარული კეთილსურნელოვნების გარდა — ეს კი მართლაც რომ თაყვანისცემას ითხოვდა მხოლოდ...

ახლა მზად იყო პირისაგან მიწისა მოესრა ყველა ეს ჩლუნგი, ამყრალებული, აღტყინებული კაცუნა ისევე, როგორც ადრე თავის ყორნისფრთასავით შავი სულის ქვეყანაში უნდოდა ყოველი უცხო სურნელის წაშლა. და გულით სურდა შეემჩნიათ, როგორ სძულს ისინი და საპასუხო სიძულვილით ეპასუხათ ამ ერთადერთ ნაღდ გრძნობაზე, რომელიც კი ცხოვრებაში განუცდია, და თავის მხრიდანაც მოხარულნი ყოფილიყვნენ მისი მოშთობისა, რასაც თავდაპირველად უპირებდნენ. ცხოვრებაში ერთადერთხელ მოუნდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც სხვა ადამიანები არიან და გარეთ გადმოენთხია საკუთარი შინაგანი სამყარო: როგორც ისინი ამჟღავნებდნენ თავის სიყვარულსა და თავის ბრიყვულ თაყვანისცემას, ისევე გამოემჟღავნებინა თავისი სიძულვილი; სურდა ერთხელ, ერთადერთხელ მაინც აღექვათ მისი ჭეშმარიტი არსი და ადამიანებისაგან თავის ამ ერთადერთ ჭეშმარიტ გრძნობაზე მაინც მიეღო გამოძახილი!.

ოღონდ არაფერი მსგავსი არ მომხდარა. და არც შეიძლებოდა რაიმე ასეთი მომხდარიყო, რადგან ამქვეყნად საუკეთესო სურნელით იყო შენიღბული, ხოლო ამ ნიღბის ქვეშ სახე არ ჰქონდა, არ ჰქონდა არაფერი, სუნის სრული უქონლობის გარდა. და უეცრად შეუძლოდ გახდა – როგორც მაშინ, გამოქვაბულში, ახლაც მასში რაღაც ნისლი წამოიგრაგნა, მისი საკუთარი სუნის შემზარავი არილი, რომლის ყნოსვით აღქმა შეუძლებელი გახლდათ, ვინაიდან ის სულ სხვა ბუნებისა იყო. და როგორც მაშინ, დაუსაბამო, შემზარავი ძრწოლა და ზაფრა იგრძნო და გაიფიქრა, სადაცაა გავიგუდებიო...

ოღონდ ამჯერად ეს არც ზმანება იყო და არც სიზმარი, არამედ შიშველი სინამდვილე — მარტო კი არ იწვა გამოქვაბულში, არამედ მოედანზე იდგა ათი ათასი ადამიანის თვალწინ და ახლა ვერა კივილი ვერ უშველიდა, რომ

გაეღვიძებინა და გაენთავისულებინა ამ კოშმარისაგან, და არც გზა ჩანდა კეთილ, თბილ, გადამრჩენელ სამყაროში დასაბრუნებლად, ვინაიდან ეს უკვე *აქ* და *ახლა* სამყაროში იყო, და ეს *აქ* და *ახლა* იყო მისი ხორცშესხმული ზმანება.

და აკი თავად ისურვა ასე.

საზარელი, ყროლიანი ნისლი მოიწევდა მისი სულის უძირო საუფლოდან, ვიდრე მის გარშემო თავაშვებული, ავხორცული ჟრუანტელით ქანცგაწყვეტილი ხალხი კვნესოდა. უცებ მისკენ ვიღაც კაცი გამოქანდა, ისე სწრაფად გადმოიჭრა საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილი ტრიბუნის წინა რიგებიდან, რომ შავი ქუდი ჩამოუვარდა და კალთებმოფრიალე შავი სერთუკით, როგორც ყორანმა, თუ როგორც შურისძიების ანგელოზმა გადმოიარა ეშაფოტზე. ეს რიში იყო.

“მომკლავს, – გაუელვა გრენუის. — ისაა ალბათ ერთადერთი, ვიზეც ჩემი ჯადო არ გაჭრის – მისი ქალიშვილის არომაა ახლა ჩემზე და ეს ისეთივე უცილო სამხილია, როგორც სისხლი. რიშიმ უნდა მიცნოს და მომკლას. ესაა იქნება ჩემი ბოლო...”

გრენუიმ ხელები გაიშვირა წინ, რათა მისკენ მომავალ შავ ანგელოზს გადახვეოდა. აი, თითქოს, გრძნობს კიდეც ტანზე ხანჯლის დარტყმას, იმ სანუკვარ დარტყმას მკერდში, გრძნობს როგორ კვეთს მახვილი სურნელის ჯავშანსა და აყროლებულ ნისლებს და მის ცივ შიგანს აღწევს – როგორც იქნა, როგორც იქნა მასში არის რაღაც, რაღაც სხვა და არა მხოლოდ თვითონ. და, თითქოს უკვე იგრძნო კიდეც ხსნა!..

გაგიგონიათ?!. რიში მის მკერდს ეკვროდა – არა შურისძიების ანგელოზი, არამედ აღელვებული, საწყალობლად ასლუკუნებული ბერიკაცი და ხელებით ებღაუჭებოდა — თითქოსდა, სიყვარულის ამ ზღვაში სხვა ნავსაყუდარი ვერ უპოვიაო. არავითარი შურისმგებელი დახანჯვლა, არავითარი ჩხვლეტა გულში, არც არავითარი წყევლა, ან თუნდაც სიძულვილის ამონაკივლი – ცრემლნასველები ლოყით გრენუის ლოყას მიეკრა, აკანკალებული ტუჩებით წკმუტუნებდა: „მაპატიე, შვილო ჩემო... მე მაპატიე!“

და აქ ყველაფერი ერთიანად გადაუთეთრდა თვალში, და ნისლი, რომელმაც გამოსავალი ვეღარ იპოვა, აჩუხჩუხებულ სითხედ იქცა, ქაფის ქვემოდან ამომავალ ადუღებულ რძესავით; მერე ტალღასავით გადაუარა, აუტანელი ძალით დააწვა მისი სხეულის შიდა გარსს, მაგრამ მაინც ვერსაით გაჟონა. გრენუის გაქცევა სურდა, ღვთის გულისათვის – გაქცევა, მაგრამ საით... მაშინ განსკდომა მოუნდა, აფეთქება, რათა საკუთარ თავში არ ჩახრჩობილიყო. მერე დაეცა და ცნობა დაკარგა.

50.

გონს რომ მოეგო, აღმოაჩინა — ლაურა რიშის საწოლზე წევს. ის რელიქვიები – ტანსაცმელი და თმები – აელაგებინათ. ოღონდაც სასთუმალთან სანთელი ისევ ისე ენთო. მოზეიმე ხალხის შორეული ხმაური ისმოდა შეღებული ფანჯრიდან. ანტუან რიში პატარა, დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა, ხელში გრენუის ხელი ეჭირა და ფხიზლობდა.

ვიდრე თვალებს გაახელდა, გრენუიმ ჯერ გარშემო მოყნოსა. მის შინაგან არეში სიწყნარე სუფევდა – აღარაფერი ჩუხჩუხებდა და არ ითხოვდა გადმონთხევას. მის სულში ისევ ის ღამე გამეფებულიყო, რომელიც ასე სჭირდებოდა რათა ცნობიერება ყინულივით ცივი და ნათელი გაეხადა და ახლა გარე სამყაროსაკენ მიემართა იგი: იქ მან თავისი სუნამოს სუნი შეიყნოსა. სურნელი ოდნავ შეცვლილიყო: აქცენტები ოდნავ მოგლუვდნენ, ხოლო არომის გულისგული – ლაურა რიშის სურნელი – უფრო მეტად გამოიკვეთა, ეული სანთელივით ციალებდა სევდიანი, მოციმციმე ალით. და გრენუიმ თვალი გაახილა.

რიშის მზერაში უსაზღვრო სიკეთე, სინაზე, თანაგრძნობა და შეყვარებულის უგუნური, ფუტურო სიღრმე იგრძნობოდა. გაიღიმა, თითები მოუჭირა გრენუის ხელს და წაიდუდუნა: „ახლა ყველაფერი კარგად იქნება. მაგისტრატმა გააუქმა თავისი განაჩენი. ყველა მოწმემ უარი თქვა საკუთარ ჩვენებაზე. თავისუფალი ხარ – რაც გინდა, ის შეგიძლია აკეთო. ოღონდ იქნებ ჩემთან დარჩენილიყავი... ქალიშვილი დავკარგე, ახლა შენ გიშვილებ. საოცრად გავხარ... ისეთივე მშვენიერი თმები, ტუჩები, ხელი... ზუსტად ისეთივე თლილი თითები. შენს მზერას რომ ვაწყდები, სულ მეჩვენება, ის შემომყურებს თითქოს... მინდა ჩემი შვილი გახდე, ჩემი სიხარული, ჩემი სიამაყე, ჩემი მემკვიდრე. მშობლები გყავს?“

გრენუიმ თავი გააქნია და რიშის სახე წამოუჭარხლდა მოძალებული გრძნობებისაგან. „მაშ, თანახმა ხარ, ჩემი შვილი გახდე?“ – და წამოხტა თავისი პატარა სკამიდან, საწოლის კიდეზე გადმოუჯდა, – „თანახმა ხარ? მართლა თანახმა ხარ? არაფერი თქვა, მხოლოდ თავი დამიქნიე!“

გრენუიმ ოდნავ დაუქნია თავი და რიშის კანის ფორებიდან მაშინვე წითელი ოფლივით გამოჟონა ბედნიერებამ, გრენუისაკენ გადაიხარა და შუბლზე ეამბორა.

„ახლა კი მოისვენე, ჩემო, – და წელში გასწორდა. – მე გიდარაჯებ, ვიდრე დაიძინებდე...“ – და კიდევ დიდხანს დაჰყურებდა ჩუმი თაყვანისცემით. გრენუიმ ოდნავ გაჭიმა ტუჩები, თითქოს გაღიმებას ცდილობსო. მერე ისევ დახუჭა თვალი. ერთხანს იცდიდა, იწყნარებდა და იღრმავებდა სუნთქვას, ძილით თავწართმეულის მიბაძვით. სახეზე რიშის სიყვარულით აღსავსე მზერას გრძნობდა. ისიც იგრძნო, როდის დაიხარა მისკენ, თითქოს კიდევ ერთხელ უპირებდა კოცნას, მაგრამ გაღვიძების შიშით ვეღარ გაბედა. ბოლოს სანთელი ჩააქრო და თითის წვერებზე გასხლტა ოთახიდან.

გრენუი იწვა, ვიდრე სახლში და ქალაქში ხმაური არ მიწყნარდა. როდესაც წამოდგა, უკვე თენდებოდა. ჩაიცვა, ფრთხილად გაიარა დერეფანი, ფრთხილად ჩაიარა კიბეებზე და სასტუმრო ოთახით ტერასაზე გავიდა.

აქედან შეიძლებოდა ქალაქის კედლის მიღმა გადახედვა და გრასის დაბლობის მოხილვა, მოწმენდილ ამინდში კი ზღვაც მოჩანდა. ახლა მინდვრებზე მსუბუქი ნისლი თუ ბურუსი იდგა და ქვემოდან ბალახის, კურდღლისცოცხასა და ვარდების სურნელი აღწევდა. გრენუომ ბაღი გადაიარა და გალავანზე გადაძვრა.

დიუკურის საგუშაგოსთან არაერთხელ მოუწია ადამიანების ანაორთქლებში გაღწევა, ვიდრე სამშვიდობოს გავიდოდა. მთელი მოედანი და ბორცვების ფერდობები გახრწნილ-გასავათებული ჯარის ერთ დიდ ბანაკს მოგაგონებდათ. ათასობით ეყარნენ გამომთვრალი, ღამის ორგიის ზედმეტობისაგან ქანცგაწყვეტილი სხეულები. ზოგიერთი შიშველი იყო, ზოგი — ნახევრად შიშველი ან სანახევროდ დაფარული თავისივე ტანსაცმლით, რომლის ქვეშაც ისე შემძვრალიყვნენ, საბნის ქვეშ რომ ძვრებიან ხოლმე. გარშემო მჟავე ღვინის, არყის, ოფლისა და შარდის, ფაღარათატეხილი ბავშვისა და მიმწვარი ხორცის სიმყრალე იდგა. აქა-იქ ჯერ კიდევ ბოლავდა მინავლული კოცონები. ალაგ-ალაგ, სმენაწამღებ ხვრინვაში, მოულოდნელად გამოაღწევდა ხოლმე ვისიმე ბუტბუტი ან ხარხარი. ეტყობოდა, ზოგიერთი ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში იყო და ცნობიერების ბოლო გაელვებას იხშობდა. გრენუი ამ გაშხლართულ სხეულებზე გადადიოდა ფრთხილად და სწრაფად, თითქოს ჭაობზე გადადისო, და ვერც ვერავინ შეამჩნია, და რომც შეემჩნიათ, მაინც ვერავინ იცნობდა: სუნი მას აღარ ასდიოდა. სასწაულმა უკვე ჩაიარა.

როდესაც მოედნის ბოლომდე მივიდა, არც გრენობლის, არც კაბრის მხარეს არ გადაუხვევია, არამედ პირდაპირ დაადგა გზას დასავლეთის მიმართულებით, ისე რომ ერთხელ არ მოუხედავს უკან. მზე რომ ამოიწვერა – სქელი და ყვითელი და ცხელზე ცხელი, მისი კვალიც კი გამქრალიყო.

გრასის მცხოვრებლებმა საზიზღარი შეგრძნებით გაიღვიძეს ნაბახუსევზე. ისიც კი, ვისაც წვეთი არ დაელია, თავში ტყვიის სიმძიმეს, მუცლის ჭრას, გულისრევასა და სისუსტეს გრძნობდა. მოედანზე, მთელი პატიოსანი თავყრილობს თანდასწრებით, გლეხები ორგიის დროს შემოძარცულ ტანსაცმელს ეძებდნენ, ზნეკეთილი ქალბატონები — თავიანთ ქმრებსა და შვილებს. თავზარდაცემულნი ცალკევდებოდნენ ერთმანეთს ჩახვეულნი, ერთმანეთისათვის სრულიად უცხო ადამიანები; ნაცნობები, მეზობლები, მეუღლეები მოულოდნელად და სახალხოდ, ყოვლად აუტანელი სიშიშვლით წარდგნენ ერთმანეთის წინაშე...

ბევრს ეს შემთხვევა იმდენად საზარელი, იმდენად აუხსნელი და საკუთარ ზნეობრივ წარმოდგენებთან იმდენად შეუთავსებელი ეჩვენა, რომ იმავ წამს სამუდამოდ ამოიშალა მეხსიერებიდან და მოგვიანებით ალალად უჭირდა ამ ამბის დაჯერება; სხვები, რომლებიც ამდენად დამოუკიდებელ აღქმის უნარს მოკლებულნი იყვნენ, ცდილობდნენ არ დაენახათ, არ გაეგონათ, მეხსიერე-

ბაში არ აერეკლათ არაფერი. მათ, ვინც თავისი საკუთრება და ახლობლები მოძებნეს, სასწრაფოდ დატოვეს შემთხვევის ადგილი. ნაშუადღევისთვის მოედანი ისე დაცარიელდა, თითქოს ვიღაცამ ცოცხით მოგავაო.

ქალაქელები მხოლოდ საღამოს — და ისიც არა ყველა — გამოვიდნენ სახლებიდან გადაუდებელი საქმეებისათვის. შეხვედრისას, სალამს მოგუდულად ეუბნებოდნენ ერთმანეთს და ლაპარაკითაც მხოლოდ ორიოდ სიტყვას თუ დააგდებდნენ. გადაკვრითაც კი არ იხსენიებდნენ წუხანდელ ამბებს. თუ წინა დღით უშუალო და საღად მოაზროვნე ადამიანებად მიაჩნდათ თავი, ახლა სირცხვილის გრძნობას გაეთანგა ყველა, ოღონდ ისე ჩანდა, გრასის მაცხოვრებელთა შორის არასოდეს ყოფილა უკეთესი ურთიერთგაგება. ქალაქში უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა.

თუმცა, მავანნი მაინც იძულებულნი გახდნენ სამსახურებრივი მოვალეობის გამო უფრო უშუალოდ დაინტერესებულიყვნენ იმით, რაც მოხდა. საზოგადო ცხოვრების ტრადიცია თუ მართლწესრიგის შეურყევლობა მათგან ენერგიული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ითხოვდა. ქალაქის საბჭო საღამომდე შეიკრიბა. ბატონები, მათ შორის მეორე კონსულიც, ჩუმად გადაეხვივნენ ერთმანეთს, თითქოს ეს ჟესტი საპატიო საკრებულოს ხელახლად დასაფუძნებლად ყოფილიყო გამიზნული. შემდეგ იმ ავბედითი მოვლენებისა და საერთოდ, გრენუის სახელის ხსენების გარეშე ერთხმად დაადგინეს: "დაუყოვნებლივ აიღონ დიუკურის მოედანზე მდებარე ტრიბუნა და ეშაფოტი და თავდაპირველი, საყოველთაოდ მისაღები იერი დაუბრუნონ როგორც მოედანს, ისე მის გარეშემო მიმდებარე მინდორ-ველს. ზემოხსენებულ ღონისძიებაზე დამატებით ასსამოცი ლივრი გამოიყოს ქალაქის ხაზინიდან".

ამავე დროს გაიმართა სასამართლოს სხდომაც. მაგისტრატი ყოველგვარი განხილვის გარეშე დათანხმდა, ამოწურულად ჩაეთვალა ე.წ. "ინციდენტი **8.**" — საქმე დაეხურათ, რეგისტრირების გარეშე მიებარებინათ არქივს და ახლა ახალი გამოძიება წამოეწყოთ გრასის ოლქში ოცდახუთი გოგონას უცნობი მკვლელის წინააღმდეგ. პოლიციის შეფს ებრძანა, დაუყოვნებლივ მიეყო ხელი ძიებისთვის.

თავის მხრივ, პოლიციამაც თავი გამოიდო და მეტად საეჭვო სამხილების საფუძველზე დააპატიმრა დომინიკ დრუიო — მენელსაცხებლე დე-ლა-ლუვის ქუჩიდან — ბოლოს და ბოლოს, ქოხი, რომელშიც თმები და ტანსაცმელი იქნა ნაპოვნი, ხომ მისი საკუთრება იყო! ეჭვმიტანილი იმთავითვე უარყოფდა დანაშაულს, მაგრამ მოსამართლეებიც მაგრად დაუდგნენ და მათი შეცდომაში შეყვანის საშუალება არ მისცეს: თოთხმეტსაათიანი წამების შემდეგ დრუიო ყველაფერში გამოტყდა და ისიც კი ითხოვა, სასჯელის აღსრულება დაეჩქარებინათ, რაც იქვე დანიშნეს კიდეც მეორე დღისათვის. დრუიო განთიადისას ჩამოახრჩვეს — ყოველგვარი ზარ-ზეიმის, ეშაფოტისა და ტრიბუნების აღმართვის გარეშე; ესწრებოდნენ მხოლოდ ჯალათი, მაგისტრატის რამდენიმე წევრი, ექიმი და მღვდელი. როგორც კი სიკვდილის ფაქტი დაფიქსირდა, დამტკიცდა და ოქმში იქნა შეტანილი, ბრძანება გაიცა — გვამი სასწრაფოდ დაეფლათ. ასე და ამგვარად მოთავდა ეს საქმე.

ქალაქმა ისედაც უკვე დაივიწყა ყველაფერი — იმდენად, რომ შემდგომ დღეებში აქ მოხვედრილი ადამიანები, შემთხვევით რომ გაიკითხავდნენ რაიმეს სახელგანთქმული მკვლელის შესახებ, ერთ ჭკუადამჯდარ კაცსაც ვერ პოულობდნენ, ვინც რაიმე აზრიანი პასუხის გაცემას შეძლებდა. მხოლოდ უპოვართა თავშესაფრიდან ქალაქს მოწყალების სათხოვნელად საღამომდე გამოშვებული რამდენიმე სალოსი ბოდავდა რაღაც სისულელეს რომელიღაც დიდი დღესასწაულის თაობაზე, რომლის გამოც მათ თავიანთი ოთახების დაცლაც კი მოუხდათ...

მოკლედ, ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგა. გრასის მოსახლეობა ბეჯითად შრომობდა, მშვიდად ეძინა, საქმიანობდა და ზნეკეთილად იქცეოდა. წყალი ძველებურად მოჩხრიალებდა მრავალი წყაროდან თუ ფშანიდან და ქუჩა-შუკებიდან ლამი და ნაგავი გაჰქონდა. ქალაქი ისევ ისე ამაყად აზიდულიყო ნაყოფიერი დაბლობის თავზე. მზე ჩახჩახებდა, მაისიც დადგა და ვარდის მოსავლის აღების დრომაც მოაწია.

ეპილოგი

51.

ქვეითად ვიდოდა გრენუი. ისევე, როგორც მოგზაურობის დასაბამიდან, გვერდს უვლიდა ქალაქებს, შარაგზებს გაურბოდა, განთიადისას დასაძინებლად ეწყობოდა, საღამოობით დგებოდა და გზას აგრძელებდა. ჭამდა იმას, რასაც გზაში იპოვიდა: ბალახებს, სოკოებს, ყვავილებს, მკვდარ ჩიტებს, მატლებს... გადასერა პროვანსი, მოპარული ნავით გადაცურა რონა — ორანჟის სამხრეთით, არდეშის დინების გაყოლებაზე სევენის სიღრმეში შეაღწია და შემდეგ ჩრდილოეთით, ალეესკენ გაემართა.

ოვერნიში უკვე პლონ-დიუ-კანტალს მიუახლოვდა. მწვერვალი მისგან დასავლეთით წამომართულიყო, მთვრის სინათლეზე მოვერცხლისფრონაცრისფერი ედო და გრენუი მისგან მონაბერი ცივი ქარის სუნსაც შეიგრძნობდა; ოღონდ მთა ახლა აღარ იზიდავდა თავისკენ: ქვაბულში მარტოობის მისეული ჟინიანი კაეშანი გამქრალიყო — ეს ცდა სიცოცხლისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა; ზუსტად ისევე, როგორც ის მეორე მცდელობა — ადამიანთა შორის ცხოვრება რომ მოისურვა. ერთნაირად იგუდები — როგორც აქ, ისე იქ. საერთოდ აღარ სურდა ცხოვრება. ახლა გრენუის პარიზში დაბრუნება და იქ სიკვდილი ერჩია.

დროდადრო ჯიბეში იყოფდა ხელს — მინის პაწია ფლაკონს ეთამაშებოდა, რომელშიც მისი სუნამო ესხა. ის ჯერ თითქმის სავსე იყო, გრასში იმ მაქციაობის დროს სულ ერთ წვეთი დაეხარჯა. დანარჩენი სავსებით ეყოფოდა თუნდაც მთელი მსოფლიოს მოსაჯადოებლად. თუ მოესურვებოდა, შეეძლო პარიზში ასეულობთ კი არა, ასეულობით ათასი ადამიანი გაეხადა იძულებული მისთვის თაყვანი ეცათ; ანდა ვერსალისაკენ გაესეირნა, რათა თვით მეფეს დაეკოცნა მუხლები მისთვის; ნოტრ-დამში იმპერატორთა-იმპერატორად ეკურთხებინა თავი; პაპისათვის გაეგზავნა ამ სუნამოთი ნაპკურები უსტარი და კაცობრიობას ახალ მაცხოვრად მოვლინებოდა...

ყველაფერ ამის აღსრულება შეეძლო, თუკი მოისურვილებდა. საამისო ძალაუფლება ხელში ეჭირა — ეს ფულის ძალაუფლებაზე მეტი იყო, ან თუნდაც ტერორის ძალაუფლებაზე, გინდა სიკვდილის ძალუფლებაზეც ძლიერი: იმის უკიდეგანო ძალმოსილება, სიყვარული ჩაუნერგო ხალხს... და მხოლოდ ერთი რამის მოცემა არ შეეძლო ამ ძალას: არ შეეძლო მისთვის მისი საკუთარი სუნი მიეცა. დაე, მთელი მსოფლიოს წინაშე თუნდაც ღმერთად გარდამოვიდეს ამ სუნამოს წყალობით — რაკიღა თავად არ შეუძლია საკუთარი სუნი იკრას და ამიტომაც ვერც ვერასოდეს გაიგებს თუ რას წარმოადგენს თავად, ჯანდაბამდეც გზა ჰქონია ყველაფერს — ამ თავის სუნამოს, საკუთარ თავსა და მთელ სამყაროს!.

თითებს, რომელთაც ახლახანს ფლაკონი ეჭირათ, ძლივს შესამჩნევი სურნელი აჰყოლოდათ და როდესაც ცხვირთან მიჰქონდა და ყნოსავდა, სევდა იპყრობდა ხოლმე; რამდენიმე წამით ჩერდებოდა, და იდგა, და ყნოსავდა... "არავინ უწყის, სინამდვილეში მართლა რამდენად კარგია ეს სუნამო, — ფიქრობდა გრენუი, — ყველანი მხოლოდ ემონებიან მის ზემოქმედებას და არც იციან, რომ ეს სუნამოს გამოა ყველაფერი, მისი ჯადოქრული ხიბლის ბრალი... მე ვარ ერთადერთი, რადგან თავად შევქმენი და ამავე დროს — ერთადერთი, ვისზეც მისი ჯადო არ მოქმედებს, ვის წინაშეც მისი ხიბლიც კი უძლურია!''

და კიდევ ერთხელ (უკვე ბურგუნდიის სანახებში) გრენუიმ გაიფიქრა: იქნებ როდესაც ქვის კედლის წინ ვიდექი ბაღთან, სადაც ის ჟღალთმიანი გოგონა თამაშობდა და ჩემამდე აღწევდა მისი სურნელი... უფრო სწორად, ჯერ არარსებული არომის იმედი — შესაძლოა, რაც მე ვიგრძენი მაშინ, სწორედ ისაა, რასაც ხალხი გრძნობდა გრასის მოედანზე? არა, აქ რაღაც სხვაა — მე იმთავითვე ვიცოდი, რომ სურნელი მსურდა მიმეთვისებინა და არა გოგონა, ის ხალხი კიდე ფიქრობდა, რომ ჩემკენ მოილტვოდნენ, ხოლო რაც სინამდვილეში იზიდავდა მათ, მაინც გამოცანად დაურჩათ...

ამ დასკვნის გამოტანის მერე აღარაფერზე უფიქრია, რადგან მაინცა და მაინც არც უყვარდა ფიქრისათვის თავის მიცემა. მალე კი ორლეანს მიადგა.

ლუარა სიულისთან გადალახა გრენუიმ. ერთი დღის შემდეგ მისმა ცხვირმა უკვე პარიზის სუნი იყნოსა. 1767 წლის 25 ივნისს, დილის ექვს საათზე, გრენუიმ სენ-ჟაკის ქუჩით ქალაქში შეაბიჯა.

საოცრად ცხელი დღე დგებოდა, ასეთი ხვატი საერთოდ არ ყოფილა იმ წელს. ათასობით სუნი და ანაორთქლი ისე მოედინებოდა ქუჩებში, როგორც ჩირქი გამსკდარი მუწუკიდან. ნიავის ძვრა არ იყო; ბაზრების დახლებზე მწვანილი ჯერ კიდევ შუადღემდე დაჭკნა, აყროლდა ხორცი და თევზი. ჩიხებშიც საზიზღარი ოხშივარი ლივლივებდა. თითქოს მდინარეც კი აღარ მიედინებოდა, გუბდებოდა თითქოს და ისიც ჭაობის ყროლს გამოსცემდა.

და ეს ზუსტად ჟან-ბატისტ გრენუის დაბადების დღეს დაემთხვა.

გრენუი ახალი ხიდით გადავიდა მარჯვენა ნაპირზე და ბაზრისა და *უმანკოდ გვემილთა* სასაფლაოს მხარეს გააგრძელა გზა. ო'ფერის ქუჩის გაყოლებაზე, ღვთისმოწყალების სახლების თაღებქვეშ, ქვაზე ჩამოჯდა. მის წინ ახლა სასაფლაო გადაშლილიყო გადათხრილი ბრძოლის ველივით — დაღარული, საფლავებით დასერილი, თავის ქალებითა და ჩონჩხებით მოფენილი; უხეებოდ, უბუჩქებოდ, უბალახოდ — სიკვდილის სანაგვე.

გარეშემო სულიერი არ ჭაჭანებდა: გვამების სიმყრალე იმდენად მძიმე იყო, მესაფლავეებმაც კი დაყარეს ფარ-ხმალი. ისინი მხოლოდ მზის ჩასვლის მერე მოდიოდნენ, რათა შუაღამემდე, ჩირაღდნების შუქზე ეთხარათ საფლავები. მხოლოდ შუაღამის შემდეგ — მესაფლავეები უკვე წასულიყვნენ — იწყო შეკრება ყოველნაირმა ნაყარ-ნუყარმა: ქურდებმა, მკვლელებმა, შარაგზის ყაჩაღებმა, კახპებმა, მამათმავლებმა, დეზერტირებმა, მცირეწლოვანმა დამნაშავეებმა... პატარა კოცონი დაანთეს, რომ სალაფავი მოეხარშათ და სიმყრალეც იქნებ ოდნავ გაექარვებინათ.

თავიდან ყურადღება არავის მიუქცევია გრენუისთვის, რომელიც თაღებქვეშიდან გამოვიდა და ამ ჯგროს შეუერთდა. ისე დაუბრკოლებლად შეძლო კოცონთან მისვლა, თითქოს ერთ-ერთი მათგანიაო. მოგვიანებით ამან განამტკიცა კიდეც მოსაზრება, რომ საქმე ავსულთან, ან ანგელოზთან ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, სხვა დროს ისინი მუდამ მტრულად ხვდებოდნენ ხოლმე უცხოს.

ახლა კი ეს ცისფერქურთუკიანი ქონდრისკაცი ისე მოულოდნელად აღმოჩნდა მათ შორის, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო პაწია ფლაკონით ხელში; მერე საცობი ამოაძრო, მთელი შიგთავსი ზედ გადაისხა და ვითარცა სხივმფინარი ალისაგან, ისე გაბრწყინდა არაამქვეყნიური მშვენიერებით!.

ამ წამებში ყველამ უკან დაიწია — მოწიწებისა და უკიდეგანო გაოცებისაგან; თუმც კი იმგვარი შეგრძნება ჰქონდათ, რომ პირიქით — თითქოსდა ხროვად ეცნენ, მოწიწება მითვისების სურვილად ექცათ, გაოცება — აღტ-

კინებად. ეს ადამიანი-ანგელოზი ბასილისკოს თვალივით აქვავებდა მათ, მისგან იმგვარი მომნუსხავი ნელსურნელება მოედინებოდა, რომელსაც ვერა ადამიანიშვილი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას, მით უმეტეს, რომ წინააღდგომა არც არავის მოსურვებია...

მერე ალყაში მოაქციეს გრენუი — ოცნი, ოცდაათნი მაინც იქნებოდნენ და სულ უფრო ამჭიდროვებდნენ წრეს, სულ უფრო მჭიდროდ და მჭიდროდ ეკვროდნენ; მალე წრე უკვე ვეღარ იტევდა ყველას და მათაც ერთმანეთის გამოხშირვა იწყეს, ერთურთის გამოგდება, თითოეულს სურდა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო შუაგულთან.

და ბოლოს, ყველა შემაკავებელი რეფლექსი გაეთიშათ თითქოს და წრეც დაიშალა: ყველანი ერთად მიესივნენ ანგელოზს, დაეხვივნენ და წამოაქციეს — ყველას სურდა შეხებოდა მას, მისგან რაიმე მოეგლიჯა, ფრთის ბუმბული მოეფლითა ან ჯადოსნური ალის ნაპერწკალი მაინც რგებოდა მისგან. ჯერ ტანსაცმელი შემოახიეს, მერე თმები და კანი ააძვრეს, დაბდღვნეს და დაგლიჯეს, აფთრებივით დასეულებმა, ბრჭყალები და ღოჯები ჩაასვეს მის ხორცს...

ოღონდ ღვთისშვილის სხეული სიცოცხლეში მაინც მტკიცეა და, როდესაც სიკვდილმისჯლს ოთხად გლეჯენ, ცხენებსაც კი მთელი ძალ-ღონით სჭირდებათ თოკების ქაჩვა; და აპრიალდნენ დანები — კუნთების დასასერად; და ნაჯახები ეშვებოდნენ სახსრებზე და ხრაშუნით ამსხვრევდნენ ძვლებს... სულ მცირე დროში ანგელოზი ოცდაათ წილად განყვეს და ამ ველური ჯოგის თითოეულმა წევრმა დაითრია თავისი, ავხორცული სიხარბით შეპყრობილი გვერდზე მიდგა და უმალ შეთქვლიფა. ნახევარი საათის შემდეგ, ჟან-ბატისტ გრენუი უკანასკნელ ფხამდე მოისრა პირისაგან მიწისა.

ტრაპეზს რომ მორჩნენ, ეს კანიბალებად ქცეულები ისევ თავიანთ კოცონს მიუცუცქდნენ, არც ერთ მათგანს სიტყვაც არ დაუძრავს. რომელიღაცამ მადიანად ამოაბოყინა მხოლოდ, ვიღაცამ ძვლის ნატეხი გადმოაფურთხა, ენა გააწკლაპუნა და ფეხით ცისფერი ქურთუკის მონახევი შეაგდო ცეცხლში. ერთი ეგ იყო, ყველა მათგანი რაღაცანაირ უხერხულობას გრძნობდა და თვალს ვერ უსწორებდა გვერდით მჯდომს. მკვლელობა, ან რაიმე სხვა სულმდაბალი დანაშაული თითოეულ მათგანს ჰქონდა ჩადენილი, კაცსა თუ ქალს, მაგრამ ადამიანის შეჭმა — ასეთ საზარელს საქმეზე არასოდეს წავიდოდნენ, ასე ეგონათ, და ახლა თავადაც უკვირდათ, რა ადვილად მოახერხეს ეს და იმასაც კვირობდნენ, ამ უხერხულობის მიუხედავად, სინდისის არავითარი ქენჯნა რომ არ უგრძვნიათ — პირიქით! არა, რაღაც სიმძიმისდაგვარი კი აწუხებდათ სტომაქში, მაგრამ გულზე მაინც შვება ეფინათ; მათ შავბნელ სულებში რაღაც იძრა, მათ სახეებსაც გულუბრყვილო ბედნიერების ათინათი დათამაშებდა... იქნებ, თავის წამოწევა და ერთურთისათვის თვალის გასწორებაც სწორედ ამიტომ ერიდებოდათ.

ხოლო როდესაც მოახერხეს ეს — ჯერ შეფარვით, შემდეგ კი ღიად, დაუფარავად — ჩაეცინათ კიდეც: ცხოვრებაში პირველად, რაღაც მაინც ხომ მოიმოქმედეს მოყვასის სიყვარულით...

დასასრული

თარგმანი: *ბესიკ კალანდაძე/გია ჭუმბურიძე*

ამონაჩიოკები



"შერეკილი, მაგრამ — საინტერესოდ..."

ბოლო ორასი წლის განმავლობაში, ინტელექტუალების გავლენა საზოგადოებაზე შეუვალი თანამიმდევრობით იზრდებოდა და სიმართლე ითქვას, არაეკლესიურ მოაზროვნეთა ფაქტორი ჩვენი დღევანდელი მსოფლიოს გარკვეულ ყალიბადაც კი იქცა. ისტორიის გადასახედიდან, ეს სრულიად ახალი ფენომენია: მართალია მღვდელნი, მოგვნი თუ შემლოცავნი — თანამედროვე ინტელექტუალების ეს წინამორბედნი — იმთავითვე საზოგადოების სულიერი წინამძღვრობის უნარს ჩემულობდნენ, მაგრამ გინდაც რთული, გინდაც პრიმიტიული *ჰიერარტიული* კულტურისადმი მიკუთვნებულობა მათ ზნეობრივ და იდეოლოგიურ ინოვაციებს მაინც ტრადიციული მემკვიდრეობის ჩარჩოში აქცევდა: სრულად თავისუფალი აზროვნება — ასე ვთქვათ, გონებრივი თავგადასავლების მაძიებლობა — მათთვისაც უცხო იყო.

XIX საუკუნეში, ეკლესიის გავლენის შემცირებასთან ერთად, სცენაზე უკვე ახალი ტიპის ქადაგი ჩნდება — ეს საერო მოძღვარი შესაძლოა მორწმუნეც იყოს, სკეპტიკოსი ან თუნდაც ათეისტი, მაგრამ არანაკლები სურვილი აქვს მთელს კაცობრიობას დაარიგოს ჭკუა, ვიდრე ნებისმიერ ეკლესიის თავს — თუნდაც საკუთარ სამწყსოს. დასაბამიდან, იგი ადამიანთა მოდგმის ინტერესების დამცველად გვეცხადებოდა და აღთქმისეულ მოვალეობად მიიჩნევდა ღვთისშვილთა სრულყოფას სწავლების მეშვეობით; ამ თვითმიზანს იქნებ მეტად რადიკალურადაც კი უდგებოდა, ვიდრე მისი საეკლესიო წინამორბედნი. რაკი თავად არც ერთი საეკლესიო ინსტიტუტის წინაშე არ მოიაზრებდა რაიმე ვალდებულებას, საკუთარი შეხედულებებისა და საღი აზრის თანახმადღა თუ ირჩევდა ან სრულიად უარყოფდა წარსულის კოლექტიურ გამოცდილებას, წინაპრების დანატოვარ ტრადიციებსა თუ ქცევის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს. პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანმა უფლება მიითვალა დამოუკიდებლად განესაჯა საზოგადოების დაავადებანი, საკუთარი განსჯის მიხედვით დაესვა დიაგნოზი და ეწამლა კიდეც. მეტიც, სრულად ირწმუნა, თითქოს იმგვარი ფორმულის ჩამოყალიბება ძალუძდა, რომ არათუ საზოგადოებრივ წყობას, ადამის ჩამომავალთა ძირეულ მისწრაფებებსაც უკეთესობისაკენ უზამდა პირს. თავის ეკლესიურ წინამორბედთაგან განსხვავებით, იგი ღვთაებათა მსახური და განმსიტყვებელი კი აღარ იყო, არამედ მათი შემცვლელი; ხოლო მისაბაძ გმირად პრომეთე ესახებოდა, ვინაც ღვთაებრივი ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს და ხალხს უსაკუთრა.

ერთი მთავარი, რაც ამ ახალ, ასე ვთქვათ, საერო ტიპის ინტელექტუალებს ახასიათებდათ, მათ მიერ რელიგიისა და ეკლესიის მსახურთა მიმართ კრიტიკული განსჯით მიდგომა იყო: ანუ, რამდენად სასარგებლო თუ პირიქით —

მავნებელი აღმოჩნდა ბრმა რწმენა კაცობრიობისათვის? რამდენად იცავდნენ იგივე ღვთისმსახურნი დადგენილ საეკლესიო წეს-რიგს, მისდევდნენ მცნებებს და ინახავდნენ აღთქმას? დასკვნა მათი, როგორც მთლიანად ეკლესიის, ასევე ზოგადად სასულიერო პირთა მიმართ მეტად სავალალო გახლდათ; ახლა, ეკლესიურობის ორსაუკუნოვანი დაკნინების შემდგომ, როცა საერო ინტელექტუალების გავლენა ჩვენი საკუთარი შეხედულებებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბების მხრივ განუზომელია, ხომ არ დადგა დრო, შესაბამისად, ახლა მათი ნაზრევი და ქმნილებანი განისაჯოს?

განსაკუთრებით, მე სწორედ ის მაინტერესებს, რამდენად შეესაბამებოდა მათი მორალური და ლოგიკური კრიტერიუმები კაცობრიობის განვითარებისათვის ახალი გზების მითითების სურვილს: რამდენად მართლზომიერად წარმართავდნენ ისინი საკუთარ ცხოვრებას, რაგვარი ურთიერთობა ჰქონდათ ოჯახთან, მეგობრებთან, თანამოაზრეებთან, რა პრობლემები უჩნდებოდათ ქალებთან თუ ფულთან მიმართებით? და საერთოდ, რამდენად გაუძლო მათმა ცხოვრებისეულმა თვალთახედვამ დროისა და ცხოვრების გამოცდას...

მოდით, ჟან-ჟაკ რუსოთი დავიწყოთ (1712-78), ვინც პირველი იყო ამ ახალ ინტელექტუალთაგან, მათი არქეტიპი და ბევრის მხრივ, ყველაზე გავლენიანიც მათ შორის. წინა თაობის მოხუცებმა — ვოლტერის მსგავსად — საკურთხევლების ნგრევა და გონების ფარზე ატანა იწყეს, ოღონდ სწორედ რუსო იყო, ვინაც თანამედროვე პრომეთეს ყველა მახასიათებელს ერთად მოუყარა თავი: არსებული წყობის უარყოფა; სრული თვითდაჯერება — ძირეულად გარდაექმნა იგი საკუთარი შეხედულებებისდა მიხედვით; რწმენა იმისა, რომ ყველაფერი ეს პოლიტიკური პროცესით იყო შესაძლებელი და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი — ინსტინქტის, ინტუიციისა და იმპულსურობის განსაკუთრებული როლის აღიარება ადამიანის ქცევის განსაზღვრისათვის. იგი დარწმუნებული გახლდათ, რომ გამორჩეული სიყვარული ამოძრავებდა კაცობრიობის მიმართ და აქამომდე არნახული ნიჭიც ებოძა მისი უკეთესი მერმისისაკენ წარსამართავად... შესაბამისად, როგორც თავის დროს, ასევე შემდგომშიც, ხალხის გამაოგნებელი რაოდენობა სწორედ ამგვარად აღიქვამდა კიდეც მას — ანუ, რუსოს გავლენა მის სიცოცხლეშივე და კარგა ხნის მერეც განუზომელი იყო, უშუალოდ მისი შემდგომი თაობისათვის კი მისი სახელი ლამის მითიური საბურველით შეიმოსა!

რუსო საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამდე მთელი ათწლეულით ადრე გარდაიცვალა, მაგრამ ბევრი თანამედროვე სწორედ მას მიიჩნევდა ამ კატაკლიზმის პირველმიზეზად და მასვე მიაწერდა ზოგადად ძველი წყობის დაცემას მთელს ევროპაში. ამგვარ მოსაზრებას იზიარებდნენ როგორც ნაპოლეონი, ასევე ლუი XVI. ედმუნდ ბერკი წერდა: "*დიდი დავა-კამათია რევოლუციონერთა თავკაცობაში, თუ ვინ უფრო იმსახურებს 'მეორე რუსოს' ეპითეტს... მათთვის ის ლამის სრულყოფილების განსახიერებაა*". თავად რობესპიერს აქვს ნათქვამი: "*რუსოა ის პიროვნება, ვინაც საკუთარი სულიერი სიდიადისა და პიროვნული ღირსებების გამოისობით, კაცობრიობის მასწავლებლის სახელი დაიმკვიდრა*". რევოლუციის დღეებში ეროვნულმა კონვენტმა მისი ნეშტის პანთეონში

გადატანას დაუჭირა მხარი და ამ აქციისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე კონვენტის თავმჯდომარემ საჯაროდ განაცხადა: "*რუსოს უნდა ვუმადლოდეთ, ჩვენი ზნეობა, კანონები, ჩვეები და მისწრაფებანიც უკეთესობისაკენ რომ შეიცვალა*".

უფრო ღრმად თუ ჩავუკვირდებით და ამ განვლილ ორ საუკუნესაც გადავავლებთ თვალს, აღმოჩნდება რომ სწორედ რუსოს იდეებმა გადაასხვაფერა ცივილიზებულად წოდებული ადამიანის ზოგიერთი ძირეული წარმოდგენა და გონებაც სხვანაირად მოუტრიალა. ზოგადად, მისი გავლენის კვალი ლამის ყველგან და ყველაფერში ჩანს, მაგრამ ძირითადად, მაინც 5 მთავარი სფეროთი შეიძლება შემოიფარგლოს. უპირველესად, განათლების ყველა თანამედროვე იდეა თუ პროექტი, მეტ-ნაკლებად მაინც, რუსოს სწავლებასთანაა წილნაყარი და განსაკუთრებით, მის ვრცელ რომან-ტრაქტატთან *Emile* (1762). მან არა მარტო პოპულარიზაცია გაუწია, გარკვეულწილად თავადვე ჩამოაყალიბა ბუნების კულტი, ბუნების წიაღში გასვლის, სიახლის, სპონტანურობის, გამომაცოცხლებელი ბუნებრიობისაკენ სწრაფვის იდეა. პირველად სწორედ მან განასიტყვა გართულებული ურბანისტული ყოფის კრიტიკა და საერთოდ, ცივილიზაციის განვითარების ხელოვნურობაზეც მიათითა. მანვე შემოიტანა აღზრდის სისტემაში ცივი წყლით განბანვის, ყოველდღიური გონებრივი წვრთნის აუცილებლობა, სპორტის როგორც ხასიათის ჩამომყალიბებლის, კვირაძალზე ქალაქგარეთ გასვლის საჭიროების იდეები.

მეორეც, სწორედ რუსომ შეიტანა ეჭვი მატერიალისტური კულტურის ნელი, მაგრამ თანაბარი წარმატების შედეგად მიღწეული განვითარების სიკეთეში; ამ მხრივ იგი განმანათლებლობასაც უპირისპირდებოდა, თუმცა, გარკვეულწილად, თავად ამავე ეპოქას ეკუთვნოდა და ბევრად უფრო რადიკალური გადაწყვეტის გზებსაც ეძიებდა. იმასაც ამტკიცებდა, ჩვენს გონებას მეტისმეტად ბევრი შეზღუდვები აქვს დაწესებული — მისი საზოგადოების გაუმჯობესების იარაღად გამოყენების თვალსაზრისითო. ამით იმის თქმა კი არ სურდა, თითქოს ადამიანის ტვინი უვარგისი ხელსაწყო ყოფილიყოს აუცილებელი გარდაქმნების გასატარებლად — პირიქით, იმას ამტკიცებდა, რომ მისი შინაგანი, ფარული, პოეტური თვალთახედვა და ინტუიცია უნდა ამოქმედდეს ცივი გონების დიქტატის საწინააღმდეგოდ. სწორედ ამ მოსაზრების დასადასტურებლად დაწერა რუსომ თავისი "აღსარება", რომელიც მართალია, 1770 წელს დაამთავრა, მაგრამ მის სიკვდილამდე არ გამოქვეყნებულა. ეს, უკვე მესამე განხრა, ერთდროულად რომანტიზმის საწყისიც იყო და თანამედროვე ინტროსპექტული ლიტერატურისაც, რადგან მასში რუსომ რენესანსის უპირველესი მონაპოვარი — ინდივიდუუმის აღმოჩენა — განუზომლად წამოსწია წინ, პიროვნულის "ახლოით განჩხრეკისა" და ფენომენის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანის გზით. მკითხველს მოულოდნელად პიროვნების გულისგული გადაუშალეს, თუმცა — და ესეც ნიშანდობლივი იყო თანადროული ლიტერატურული ქმნილებისათვის — ხედვა მაცდური გახლდათ, პერსონაჟის შინაგანი ბუნების სურათი — სახეცვლილი, ერთის შეხედვით ღია და დაუფარავი, მაგრამ სინამდვილეში — მზაკვრობით სავსე...

რუსოს მიერ გაცხადებულმა მეოთხე კონცეფციამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა. მისი მტკიცებით, როდესაც საზოგადოება თავისი

საწყისი, ძირძველი მდგომარეობიდან ურბანისტულ ყოფაში გადადის, ადამიანი სულიერად ირყვნება: მისი ბუნებრივი ეგოიზმი, რასაც რუსო *amour de soi*-ს უწოდებს, ბევრად უარეს, დამღუპველ ინსტინქტად გარდაიქმნება (მისივე ტერმინოლოგიით — *amour-propre*), რაც ამაოებისაკენ სწრაფვისა და თავკერძობის თავისებური ნარევია, როცა კაცი იმით აფასებს საკუთარ თავს, როგორი თვალით უყურებენ მას სხვები და სულ იმის ცდაშია, სიმდიდრით, ძალაუფლებით, გინდაც ჭკუითა თუ ზნეობრივი უპირატესობით შთაბეჭდილება მოახდინოს მათზე. ამგვარ ვითარებაში მისი სრულიად ბუნებრივი, თანდაყოლილი ეგოიზმი ჯიბრში გადადის, პიროვნება უცხოვდება არა მარტო გარშემო მყოფთაგან — ვისაც იგი უკვე მოცილეებად და არა მოკეთეებად აღიქვამს, არამედ თვით საკუთარი თავისაგანაც. ამგვარი გაუცხოება კი ფსიქოლოგიურ თრგუნვას იწვევს, რაც სასურველსა და არსებულს შორის ტრაგიკული შეუსაბამობით ხასიათდება.

კონკურენციის ამგვარად გააზრებულმა ფენომენმა, რომელიც, რუსოს აღქმით, ურთიერთობებისადმი ადამიანის თანდაყოლილ მოთხოვნილებას აკნინებს და მის ყოველგვარ ქვენა სურვილებს, თუნდაც სხვების ექსპლუატირებისაკენ მისწრაფებას ამძაფრებს, იგი კერძო საკუთრების, როგორც ყოველგვარი სოციალური უკუღმართობის პირველწყაროდ მიჩნევამდე მიიყვანა. რუსოს მეხუთე ინოვაცია, ინდუსტრიული რევოლუციის ზედ წინკარზე, კაპიტალიზმის კრიტიკის საფუძვლების შემოტანა იყო — საკუთრებისა და კონკურენციის გაუცხოების მიზეზად შერაცხვა, რაც განასიტყვა კიდეც თავისავე პიესა "ნარცისის" წინათქმასა და ნაშრომში *Discourse sur l'inegalite*. ეს იყო სწორედ ის სამომავლოდ გადმოგდებული დებულება, შემდგომში მარქსმა და მისმა მიმდევრებმა რომ აიტაცეს, ისევე როგორც რუსოსავე მოსაზრება კულტურის ევოლუციის თაობაზე, რომლის მიხედვითაც ცნება "ბუნებრივი" იგივე "პირველადის", ანუ წინარე კულტურულის შესაბამისი გახლდათ; ყველა კულტურა კი საკუთარ პრობლემებს ქმნის, რადგან სწორედ ადამიანთა სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მათში მიძინებულ უკეთურ მიდრეკილებებს აღვიძებს: როგორც ეს თავად უწერია — "*ადამიანის სუნთქვაც კი ბოროტების მომტანია მისი მოძმისთვის*" ("ემილი"). ამგვარად, ის კულტურა, რომელშიც ადამიანი მყოფობს, და რაც თავისთავად უკვე ხელოვნური წარმონაქმნია, კარნახობს მას ქცევის კანონებს; შესაბამისად, მისი ქცევის არათუ გამოკეთება, სრული გარდაქმნაც სავსებით შესაძლებელია — მოცემული კულტურისა და მისი წარმომქმნელი მოქიშპე ძალების გარდაქმნით, ე.ი. სოციალური ინჟინერიის გზით.

ეს იდეები იმდენად ფართო არეალს ფარავს, ლამის თანამედროვე აზროვნების მთელ ენციკლოპედიას გასწვდეს. მართალია, ყველა უკლებლივ იმთავითვე რუსოსი არაა: მისი მწიგნობრივი თვალსაწიერი მოიცავს დეკარტეს, რაბლეს, პასკალს, ლეიბნიცს, ბეილის, ფონტენელს, კორნელს, პეტრარკას... განსაკუთრებით, ლოკსა და მონტენს უკირკიტებდა. ჟერმენ დე სტალმა, რომლის ღრმა რწმენით, იგი "*უნიჭიერესი იყო კაცთაგან*", განაცხადა: "*თავად მას არაფერი აღმოუჩენია*"; თუმც კი იქვე დაამატა: "*ოღონდ გარშემო კი ყველა გზნებით აღანთო*". რუსო თავისი პირდაპირი, მგრძნობიარე წერის მანერით აღწევდა იმას, რომ მისი აზრები ჭეშმარიტების გაცხადების ეფექტს ახდენდა ნებისმიერ მკითხველზე, კაცსა თუ ქალზე.

ბოლოსდაბოლოს, ვინ იყო ამგვარად გამორჩეული ზნეობისა და ინტელექტის მქონე ეს კაცი? ეროვნებით შვეიცარიელი გახლდათ, ჟენევაში დაიბადა და კალვინისტური მრწამსით გაზარდეს. მამამისმა, პროფესიით მესაათემ, სახელი ხელობით კი არა, უფრო ჩხუბისთაობითა და მოჯანყეობით დაიგდო. დედამისი, სიუზან ბერნარი, შეძლებული ოჯახისშვილი, სამშობიარო ციებამ შეიწირა. მოკლედ, რუსოს მშობლები არ შედიოდნენ იმ ოჯახების ვიწრო წრეში, რომლებიც ჟენევის ოლიგარქიას წარმოადგენდნენ და ე.წ. "ორასის საბჭოსა" და "ოცდახუთის დარბაზს" ქმნიდნენ; მაგრამ როგორც სრული საარჩევნო, ასევე სხვა სამოქალაქო პრივილეგიებით სარგებლობდნენ და რუსოც მუდამ თავს იწონებდა საკუთარი წარმომავლობითი სტატუსით. მართალია, არა თავისი აზროვნების წესით, მაგრამ აღზრდისა თუ ცხოვრებისეული ინტერესებისდა კვალად, იგი ბუნებრივია, კონსერვატორად იქცა და მუდამ ამრეზით უყურებდა საარჩევნო უფლებებს მოკლებულ ბრბოს. ისიც ითქვას, ყველაფრისდა მიუხედავად, ოჯახს ხელმოკლეობა არასოდეს განუცდია.

მას დები არ ჰყავდა, მხოლოდ 7 წლით უფროსი ძმა, ოღონდ სწორედ რუსო უფრო დაემგვანა დედას, სახითაც და ხასიათითაც, და ამიტომაც დაქვრივებული მამამისი მის მიმართ წრეგადასულ მზრუნველობას იჩენდა. ისააკ რუსოს აღმზრდელობითი მეთოდები ცრემლნარევ მგრძნობიარობასა და დამთრგუნავ ძალმომრეობას შორის მერყეობდა გაუთავებლად; შემდგომში მისი საყვარელი ჟან-ჟაკი დაუფარავი საყვედურით წერდა: "*მამების ამბიციები, გაუთავებელი პატივისცემა-მორჩილების მოთხოვნა, დაუთმენლობა და უხეშობა ასმაგად მეტი ვნების მომტანია მოზარდისათვის, ვინემ დედების დაუსაზღვრავი სინაზე*" ("ემილი"). უცნაურია, მაგრამ მშობლის აულაგმავი სიმკაცრის მსხვერპლი კი სწორედ მისი უფროსი ძმა შეიქნა. 1718 წელს მამამისმა, "გამოუსწორებელი უზნეოს" ბრალდებით, იგი უწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებას გადააბარა; იქიდან კიდევ, 1723 წელს გაქცეული, მერე ის აღარავის უნახავს. ამგვარად რუსო, ფაქტიურად, მამისერთად იყო ოჯახში, რაც იმდროის ინტელექტუალთა ბიოგრაფიების თავისებურ მახასიათებლად იქცა. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ბავშვობიდან მას ნაკლულობის ძლიერი შეგრძნება გამოჰყვა — რამაც შემდგომში უკვე მკვეთრად გამოხატული თვითშეცოდების ფორმა მიიღო.

15 წლისაც არ გახლდათ, რუსოს მამაცა და დედინაცვალიც სიკვდილმა რომ მიიბარა. რაკიღა მენახჭის ხელობა, რომლისთვისაც მამის დაჟინებული მოთხოვნით წვრთნიდნენ, დიდად არ ეპიტნავებოდა, გულმშვიდად მიატოვა სახლ-კარი და ანესიში მცხოვრებ ვინმე ქალბატონ ფრანსუაზ-ლუიზ დე ვარენსის კალთას შეაფარა თავი. სავარაუდოა ასევე, რომ კათოლიციზმსაც სწორედ ამავე ქალბატონის საამებლად ეზიარა. საზოგადოდ, თავად რუსოს მონათხრობს საკუთარი კარიერის ადრეული ხანის თაობაზე ('*Confessions*'), კაცი ვერ ენდობა; მაგრამ მისი წერილები, ისევე როგორც სხვადასხვა რუსოისტული წყაროები, მრავალ მიჩუმათებულ ამბავს ხდის ფარდას. იგივე ქ-ნი დე ვარენსი სამეფო პენსიაზე ცხოვრობდა და ასე ჩანს, ერთდროულად საფრანგეთის ხელისუფალთა აგენტიც იყო და რომის კათოლიკური ეკლესიისაც…

1728-42 წ.წ. უმეტესი ნაწილი რუსო მასთან და მის ხარჯზე ცხოვრობდა. ერთხანობა მისი საყვარელიც იყო, თუმცა შიგადაშიგ თავის ნებაზეც დაიარებოდა. სანამ მესამე ათეულს არ მიუკაკუნა, რუსო ხელმოცარული და მთლიანად სხვაზე, ძირითადად ქალებზე დამოკიდებული კაცის ცხოვრებას ეწეოდა. ათზე მეტი ხელობის დაუფლება სცადა, მენახჭედაც მუშაობდა, სემინარიაშიც სწავლობდა, მუსიკობდა, სახელმწიფო სამსახურშიც იდგა, ფერმერობდა კიდეც, კერძო მოწაფეებიც აყავდა, ნოტების გადამწერიც ყოფილა და პირადი მდივანიც. 1743წ. გვარიანი თანამდებობა ერგო — საფრანგეთის ელჩის, გრაფ დე მონტეგიუს მდივნობა ვენეციაში. ეს მხოლოდ 11 თვე გაგრძელდა: მერე მოხსნეს და ვენეციის რესპუბლიკის სენატის განკარგულებით დაპატიმრებასაც ძლივს გადაურჩა. თავად მისმა აღმატებულებამ განაცხადა (რომლის ნათქვამს, ამ შემთხვევაში მაინც, თვით რუსოს მონათხრობზე მეტად დაეჯერება), რომ მისი მდივანი სიღატაკისთვისაა განწირული — საკუთარი უნიათობის, შეუვალი სიჯიუტის, შერეკილობისა და წრეგადასული თვითრწმენის გამოისობით.

გარკვეულ ხანს რუსო მწერლობისთვის მოწოდებულადაც თვლიდა თავს. სიტყვა მართლაც მოსდევდა, იოლად აყალიბებდა სათქმელს, თუმც ფაქტობრივ სიზუსტეს მაინცადამაინც არ დაგიდევდათ; მისგან, შესაძლოა, მშვენიერი ვექილი გამოსულიყო. იქნებ ესეც იყო ერთი მიზეზთაგანი, ბ-ნმა მონტეგიუმ, სამხედრო აღზრდამიღებულმა კაცმა, ასე რომ აითვალწუნა საკუთარი მდივანი: ხშირად თურმე, წერილების კარნახისას, რუსო მთქნარებას ვერ იკავებდა, ან ბოლთის ცემას მოჰყვებოდა ხოლმე, როცა მისი შეფი სიმწრის ოფლად იღვრებოდა საკუთარი აზრის წყობისად სათქმელად. 1745წ. რუსომ ვინმე ტერეზა ლევაზიე გაიცნო, მრეცხავი გოგონა, მთელი 10 წლით მასზე უმცროსი, ვინაც სიამოვნებით დათანხმდა უცვლელ საყვარლად დაჯდომოდა მეტად იმედისმომცემ აღალგაზრდა კაცს. ამან ცოტათი დასაზღვრა რუსოს მოუწესრიგებელი ყოფა. იმავე ხანს იგი დაუახლოვდა დენის დიდროს, განმანათლებლობის ხანის თვალსაჩინო ფიგურას, შემდგომში ფრანგული ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს. დიდრო ხასიათის სიკეთით გამოირჩეოდა, ხოლო ნიჭიერი ახალგაზრდების მიმართ მუდამ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. რუსო მართლაც დავალებული იყო მისგან: სხვათა შორის, სწორედ მან გააცნო რუსო სახელმოხვეჭილ გერმანელ ლიტერატურის კრიტიკოსსა და დიპლომატს, ფრიდრიჰ მელქიორ გრიმს, ვინაც რუსო "ფილოსოფიის სახლის გამგებლად" (*le Maitre d'Hotel de la philosophie*) ცნობილ ბარონ ჰოლბახის რადიკალთა სალონს წარუდგინა.

ამ პერიოდში იწყო ფრანგი ინტელექტუალების გავლენამ ზრდა და ეს პროცესი საუკუნის მეორე ნახევარში სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. ოღონდ იმ 1740-50-იან წ.წ. მათი, როგორც საზოგადოების განმსჯელთა პოზიცია ჯერ კიდევ სრულიად არამყარი იყო: სახელმწიფოს, თუკი არსებული რეჟიმის მიმართ რაიმე საფრთხეს იეჭვებდა, სავსებით შეეძლო რეპრესიებისთვის მიემართა. შემდგომში რუსო ხშირად ჩიოდა ხოლმე საკუთრივ მისი პირადი დევნა-შევიწროების წლების თაობაზე, მაგრამ კაცმა რომ თქვას, თანამედროვეთა უმრავლესობისგან მას ყველაზე ნაკლები ჰქონდა საწუწუნო: ვოლტერი მისგან განაწყენებული მავანი არისტოკრატის მსახურებმა დაჟვეპეს სახალხოდ და ამას გარდა, თითქმის წელიწადი გაატარა ბასტილიის ციხეში; აკრძალული

წიგნების გამყიდველს 10 წელი გალერებზე ყოფნა ესჯებოდა; 1749 წლის ივლისში დიდროც დააპატიმრეს და 3 თვით ვინსენის ფორტის დილეგში უკრეს თავი — ათეიზმის დამცველი წიგნის დასტამბვისათვის. რუსო მის მოსანახულებლად გაემგზავრა და სწორედ მაშინ მოკრა თვალი გაზეთში დაბეჭდილ განცხადებას, რომელიც იუწყებოდა, რომ დიჟონის კაზმულსიტყვაობის აკადემია კონკურსს აცხადებდა თემაზე: "რამდენად აღაზევებს მეცნიერებისა და ხელოვნების წინსვლა ზნეობას?"

1750წ. მომხდარმა ამ შემთხვევამ ძირფესვიანად შეცვალა რუსოს ცხოვრება. უეცარი ზეშთაგონებით გაიაზრა, თუ რა უნდა ექნა. ჯილდოს მოსურნენი, ცხადია, მეცნიერებასა და ხელოვნებას განადიდებდნენ, ის კი ბუნების უპირველესობის თეზისს დაიცავდა. მეყვსეულად, როგორც თავად წერს თავის "აღსარებაში", იგი "ჭეშმარიტების, თავისუფლებისა და სათნოებისადმი ლტოლვამ" შეიპყრო. "*ჩემს თავს განვუცხადეო*, — გვიყვება, — *ჭეშმარიტება, სათნოება! მარად და მარად ვიძახებ — სათნოება, ჭეშმარიტება!*" მისივე სიტყვით, პერანგი დაუსველა ცრემლთა ღაპა-ღუპმა, მაგრამ ვერც კი ამჩნევდა ამას... ცრემლების ფრქვევას რაც შეეხება, სავსებით დასაჯერებელია: ეგ საქმე ძალზე ეადვილებოდა. დანამდვილებით კიდევ ის ვიცით, რომ რუსომ იქვე გადაწყვიტა შესაბამისი ესეის შეთხზვა, რომელიც მერე მრწამსის ქვაკუთხედად ექცა, ჯილდოც მოიგო საკითხისადმი უჩვეულო მიდგომის წყალობით და ლამის სულ ორიოდ კვირაში სახელიც გაუვარდა. ეს იყო ცხოვრებაში ხელმოცარული და ცხოვრებაზე გულარძნილი 39 წლის კაცის ამბავი, ვისაც სახელი და დიდება სწყუროდა, და ვინაც ბოლოს შიგ კაკალ გულში გაარტყა მიზანს. თავისთავად ნაშრომი სუსტია და დღევანდელობის გადასახედიდან — წასაკითხად ყოვლად უსარგებლო: როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, როცა ამგვარ ლიტერატურულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, გამაოგნებელი გვეჩვენება, რა მანქანებით გამოიწვია რაღაც ნაცოდვილარმა ამგვარი აღტკინება. ცნობილმა კრიტიკოსმა, ჟიულ ლემეტრმა რუსოს ესეგვარი ნაუცბათევი განდიდება *ადამიანური სიბრიყვის უთვალსაჩინოეს საბუთადაც* კი მიიჩნია.

მის ამ ესეის — *განსჯა* (Discours) ხელოვნებათა და მეცნიერებათა შესახებ, რუსოს ჯიბე არ გაუსქელებია: თუმც ხელიდან ხელში გადადიოდა, თავად ნაბეჭდ ერთეულთა რიცხვი დიდი არ იყო — სულ რაღაც სამასიოდე ცალი, ასეთი ტირაჟიდან მოგებას კი მხოლოდ გადამყიდველები ნახულობდნენ. მეორეს მხრივ, ამან გზა გაუკვალა მდიდარ არისტოკრატთა კარზე, რომელიც, მოგეხსენებათ, მუდამ ღიაა მოდაში შემოსულ ინტელექტუალთათვის. რუსოს კვლავაც შეეძლო ნოტების გადაწერით ერჩინა თავი (მშვენიერი ხელწერა ჰქონდა), მაგრამ უკვე 1950 წლიდან ამა თუ იმ დიდებულის სტუმართმოყვარეობის ხარჯზე ცხოვრება არჩია; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევების გარდა, როცა მასპინძელს თავად მოუწყობდა ხოლმე სკანდალურ შეხლა-შემოხლას. ახლა უკვე სერიოზულად მოკიდა ხელი მწერლობას, კალამიც უჭრიდა და არც იდეების ნაკლებობას უჩიოდა. ეგაა, შედეგი ყოველთვის არ იყო ერთნაირი: "საზოგადოებრივი ხელშეკრულება", რომელიც მან 1752წ. წამოიწყო, 10 წლის მერე გამოსცა და რომელშიც, როგორც ითვლება, სრულადაა დაწურული რუსოს პოლიტიკური

ფილოსოფია, ცოტა ვინმემ თუ წაიკითხა მის სიცოცხლეში, ხელმეორედ კი მხოლოდ 1791წ. დაისტამბა. იმ დროის 500 ბიბლიოთეკიდან, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ერთს გააჩნდა იგი საკუთარ საცავში. რუსოს მკვლევარმა, ჯონ მაკდონალდმა, 1789-91 წწ. გამოცემული 1114 ცალი პამფლეტი გადაქექა და მხოლოდ 12 მათგანში მიაკვლია მის ხსენებას. როგორც თავად ამბობს: "მართლაცდა, უნდა განვასხვავოთ საზოგადოდ რუსოს კულტი და კერძოდ — ის კვალი, რაც მისმა პოლიტიკურმა აზროვნებამ დაამჩნია თანადროულობას". პოპულარობა, რომელიც ჯილდოს მოგებით დაიწყო და ზვავივით მატულობდა, ორად-ორ წიგნზე იყო დამყარებული: პირველი — ეს მისი რომანი გახლდათ, "ახალი ელოიზა", რიჩარდსონის "კლარისას" თარგზე გამოჭრილი — ახალგაზრდა ქალის ცდუნების, მონანიებისა და სასჯელის ამბავი, ოსტატურად გამიზნული მკითხველთა სწორედ ქალთა წრისათვის — განსაკუთრებით კი საშუალო კლასის, ბურჟუათა ფენის ბანოვანთათვის — მორალიზებისაკენ მათი დაუოკებელი სწრაფვის გათვალისწინებით. ტექსტი იმ დროისათვის საკმარისად თამამი იყო, დედააზრი — ზედმიწევნით შესაფერისი. მართალია, პარიზის არქიეპისკოფოსმა ბრალი დასდო ავტორს, თითქოსდა იგი *"მაცდურის განგდების საბურველით, გარყვნილების სამსალას აპარებდა მკითხველს",* მაგრამ ამან მხოლოდ წიგნის გასაღებას შეუწყო ხელი, ისევე როგორც თავად რუსოს ეშმაკურმა წინათქმამ, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ უმანკოესი გოგონაც კი, ვინაც გინდ ერთ გვერდს წაიკითხავდა, სულის სიწმინდეს უნდა გამოთხოვებოდა. თუმცაო, ამატებდა იქვე — "უმანკო სულები ხომ სასიყვარულო რომანებს არ ეტანებიან". ბოლო-ბოლო საქმე იმით დამთავრდა, გასათხოვარი გოგონებიცა და მათი ღირსპატივსაცემი მატრონებიც ცრემლმორეულნი ფურცლავდნენ ამ წიგნს და ფინალის მაღალზნეობრივი შეგონებებითღა იმართლებდნენ თავს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ბესტსელერი სწორედაც რომ დღევანდელი გაგებით, ოღონდ პირების უმრავლესობა ანონიმურად ისტამბებოდა და ვრცელდებოდა.

1762 წელს, "ემილის" ქამოქვეყნებისთანავე, რუსოს პოპულარობა ნამდვილ თაყვანისცემაში გადაიზარდა. ამ რომანში მან ბუნებასა და მის მიმართ ადამიანის დამოკიდებულებაზე საკუთარი იდეების მთელი წყალვარდნილი დაა-ფრქვია; რომანტიზმის ზეობის ხანაში ეს ყველაფერი ტრივიად იქცა, მაგრამ მაშინ კი სრული სიახლე გახლდათ. ეს წიგნიც იმაზე იყო გათვლილი, რაც შეიძლება მეტი მკითხველი მიეზიდა; ოღონდაც ერთ რამეში რუსოს ცოტა ზედმეტი მოუვიდა: წინასწარმეტყველისა და ახალი მოძღვრის ხატის შესაქმნელად მისთვის, უბრალოდ, უცილობელი გახდა გონების შესაძლებლობების საზღვრულობა მოენიშნა და მკითხველთა გულებში სარწმუნოებისთვისაც მიეჩინა ადგილი. "ემილის" ერთ-ერთი კარი მან ასევე დაასათაურა: "რწმენის მირქმა", სადაც იგი განმანათლებლობის აპოლოგეტებს, განსაკუთრებით კი ათეისტებს, გადამეტებულ თვითდაჯერებასა და დოგმატურობაში სდებდა ბრალს: "*ეგენი ვითომ სკეპტიციზმს ქადაგებენ, ამავე დროს კი ყოვლისმცოდნეებად მოაქვთ თავი, აინუნშიაც არ აგდებენ იმ ზიანს, რაც მათ ზნეკეთილ ხალხისთვის მოაქვთ — ფეხქვეშ თელავენ შეჭირვებულთა ბოლო იმედს, რელიგიური გრძნობის დაკნინებით ბოლო ჯებირს უხსნიან მდიდართა და ძალამოსილთა თავაშვებულობას*". თავისთავად, გვარიანი მომგებიანი სვლა იყო, ოღონდ დასაბალანსე-

ბლად რუსო ახლა ეკლესიასაც გადასწვდა და სასწაულების კულტის მეშვეობით ცრურწმენების გავრცელების ხელშეწყობაში დაადანაშაულა. ეს უკვე თავხედობას უტოლდებოდა — თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამჯერად, ფარული ტირაჟირების აღსაკვეთად, წიგნს ავტორის ხელრთვაც დაერთო. რუსო საფრანგეთის საეკლესიო წრეებს ხომ ისედაც ათვალწუნებული ჰყავდათ: სხვას თავი დავანებოთ და, კათოლიციზმში გადასული, შემდგომ ჟენევის მოქალაქეობის აღსადგენად კალვინიზმს დაუბრუნდა, ახლა კი პარიზის საკრებულომ, სადაც იანსენისტები უმრავლესობდნენ, "ემილის" ანტი-კათოლიკური გამოხდომები იწყინა — ჯერ სახალხოდ, იუსტიციის სასახლის წინ დაწვეს წიგნი და ცხელ გულზე ზედ მწერლის დაპატიმრების ბრძანებაც გასცეს. მხოლოდ ვიღაც მაღალი თანამდებობის პირისაგან დროულმა შეტყობინებამ იხსნა რუსო. რამდენიმე წელი იმალებოდა — კათოლიკეები კალვინისტებზე არანაკლებ განაწყენებულნი გახლდნენ "ემილის" გამო და რუსოც წამდაუწუმ იცვლიდა ადგილსამყოფელს. თუმცა, მას არც მფარველები კლებია: ინგლისში 15 თვე ცხოვრობდა გულმშვიდად, 1767 წლიდან კი საფრანგეთის ხელისუფლებამაც შეწყვიტა მისი დევნა. უშუალო მოძულეთ რუსოს ახლა მხოლოდ თანამოძმე ინტელექტუალებიღა მიაჩნდა, განსაკუთრებით — ვოლტერი. სწორედ მათ საპასუხოდ დაწერა თავისი "აღსარებანი". დასტამბვაზე თავი არ გამოუდვია, თუმცა სხვადასხვა სალონებში მოწყობილი წაკითხვების შედეგად ნაშრომი ფართოდ იყო ცნობილი. მისი გარდაცვალების წლისათვის (1778), რუსოს სახელი უკვე ყველას პირზე ეკერა — აღარას ვამბობთ რევოლუციის პერიოდზე.

ასე და ამგვარად, სახელის მოხვეჭა რუსოს სიცოცხლეშივე არ გასჭირვებია. ჩვენი გაგებით, საწუწუნოც ბევრი არაფერი ჰქონდა, ოღონდაც კაზმულსიტყვაობის ისტორიაში ჩივილისა და მოთქმა-გოდების დიდოსტატის წოდება რუსოს მაინც განაღდებული აქვს: თუ დავუჯერებთ, ცხოვრებაში წვალებისა და დევნის მეტი არაფერი რგებია. ამას იმგვარად და იმდენჯერ იმეორებს, ეჭვის შეტანა უხერხულიც გეჩვენება — განსაკუთრებით, ჯანმრთელობის განხრით: "*უბედურ დღეზე გაჩენილი, დღეყოველ ვებრძოდი ტკივილს... 30 წელი არ მიძინია ნებისად... ბუნებამ ერთი ნიჭი დამამადლა მხოლოდ — ტკივილის ატანის უნარი, რათა ძალამოუწურავად შემძლებოდა მისი შეგრძნობა*". ერთი კია — მას მართლა ჰქონდა პრობლემები — საკუთარ პენისთან დაკავშირებით. 1755წ. ექიმ ტრონშენთან მიწერილ წერილში იგი იხსენიებს "იმ ორგანოს ფუნქციურ მოშლას, რომლის მეშვეობითაც თავად ჩავისახე". მისი ბიოგრაფი, ლესტერ კროკერი, ამტკიცებს: "უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რუსო *ჰიპოსპადიაზით* — პენისის დეფორმაციით იყო დაავადებული, რის შედეგადაც ურეტრა ნორმალურად ვეღარ ფუნქციონირებდა." გასაგებია, რომ ზრდასრულ კაცს ეს დიდ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ პრობლემებს უქმნიდა საზოგადოებაში: "ახლაც ტანში მაჟრიალებს, როცა ვიხსენებ როგორ ვიდექი მაღალი წრის ბანოვანთა გარემოცვაში, სიმწრის ოფლი მასხავდა და ველოდი, როდის ჩამოვარდებოდა პაუზა რაღაც ყოვლად უმნიშვნელო, გულისგამაწვრილებელი ქალური ტლიკინის დროს... მერე კიბეზე ჩავრბოდი და ჩემს თარს იღბალზე იქაც ვინმე მაღალჩინოსნის მეუღლეს გადავაწყდებოდი ხოლმე, გარეთ ან ლაქიები მასლაათობდნენ ქალებისა და ბატონების გამოსვლის მოლოდინში, ან მეეტლეები აფუილებდნენ ჩიბუხებს... ერთ ბნელ, ცარიელ კუთხეს ვა-

ნაცვალებდი მთელ ქონებას, მაგრამ რა... ბოლოს, ისევ ვიღაცის გამქირდავი მზერის ქვეშ, აბრეშუმწინდამოსილი ფეხის თანდასწრებით მიწევდა შარდვა."

მთელი შემდგომი აბზაცი ამგვარივე თავის შეცოდების სურვილითაა გაჯერებული, ოღონდ იმის ეჭვიც ჩნდება, რომ მისი დამწერის ჯანმრთელობა არც მთლად ასეთ სავალალო მდგომარეობაში გახლდათ. როცა აწყობს, იმასაც გაიძახის — ფიზიკურად არა მიჭირდა-რაო. პერმანენტული უძილობის ამბავიც მისივე ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს — მრავალი თანამედროვე იხსენებს, გვარიანი ხვრინვა სჩვეოდაო. დეივიდ ჰიუმი, რომელიც მას ინგლისში მოგზაურობისას ახლდა, პირდაპირ წერს: "კაჟივით მაგარი იყო — ერთხელ მთელი ღამე გემბანზე გაატარა, საშინელ ამინდში, მეზღვაურები ლამის სიცივისაგან დაითოშნენ, ეგ კი ვითომც აქ არაფერიო, სურდოც არ დამართნია". ასეა თუ ისე, საკუთარ თავზე ზრუნვა-წუწუნი ბოლოს ჩვევად ექცა, პირადი ცხოვრების ნებისმიერ ეპიზოდზე მოგონებას გადატანილი ტანჯვის საბურველში ახვევდა — განსაკუთრებით, შეძლებულ და კეთილშობილ ბანოვანთა წინაშე. საკუთარ თავს "მოკვდავთა შორის უუბედურესს" უწოდებდა, იხსენიებდა "ავ ბედისწერას, მშიერ ძაღლივით რომ დამსდევს კვალში", სერიოზულად ამტკიცებდა, რომ "ცოტა ვინმეს თუ უღვრია ჩემსავით ცრემლი" და ბოლოს ისიც განაცხადა, "ჩემი სვე-ბედის აღწერას ვერვინ იკისრებს, და რომც სცადოს კიდეც, კაცს ვერ იპოვის, მონათხრობი რომ დაიჯეროს". სინამდვილეში, თავადაც ბევრი წერა და სხვაც ძალზე ბევრი დააჯერა, სანამ ახლოს გაიცნობდნენ... თუმცა, ზოგჯერ რაღაც სიმპათიები მაინც რჩებოდათ ამ "ბედკრული ჟან-ჟაკის" მიმართ. ქ-ნ დ'ეპინეს, მის მფარველს, ვისაც იგი ყოვლად აუტანლად ექცეოდა, ასეთი რამ წამოსცდა, თუმცა კი კარგა ხნის ახელილი ჰქონდა თვალები საკუთარი პროტეჟეს უმსგავსოებებზე: *ჩემთვის ახლაც სევდისმომგვრელია ის მორჩილება და თვინიერება, რითაც იგი მის თავს დატეხილ უბედურებებს ჩამოითვლიდა ხოლმე.* არცაა გასაკვირი, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, თხოვნის ქაღალდების წერაში გაიწაფა ხელი. შემთხვევით, ერთი მათგანი შემოგვრჩა კიდეც: საოიის მმართველს წერდა, *იქნებადა დღიური საარსებო დამინიშნოთ, უკურნებელი სენით ვარ შეპყრობილი და დიდხანს მაინც ხომ ვერ გავატანო.*

ამ თავშეცოდების მიღმა უკვე ეგოცენტრიზმი მოჩანს, იმის რწმენა, რომ ის სრულიად განსხვავდება სხვათაგან, მისი გაჭირვებაც განსაკუთრებულია და ღირსებებიც. თავად წერს: "*თქვენი და ჩემი სატანჯველი ვით შევადარო? ჩემი მდგომარეობა არნახულია, დასაბამითგან არგაგონილი...*" ასევე, "*ჯერ არ გაჩენილა იგი, ვინც ისევე შემიყვარებდა, რაგვარი სიყვარულიც თავად ძალმიძს — ჯერ არავის ბოძებია ამგვარი ნიჭი*". ან, თუნდაც: "*თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, სადმე მაინც გადავყროდი პიროვნებას ჩემზე ზნეკეთილს... მიჩვენეთ გული, მეტად მოწყალე, მეტად მგრძნობიარე, მეტად მიმნდობი... ბოლომდე მხოლოდ შთამომავლობა თუ დამფასებს... ჩემი ნუგეში დღესდღეობით მხოლოდ ისღაა, თავად როგორ ვაფასებ საკუთარ თავს... განმანათლებლობას ერთი ხელისუფლება მაინც რომ ეშვა, აქამდე ჩემი ბიუსტებით იქნებოდა მოფენილი მთელი ქვეყანა...*" რაღა გასაკვირია, ედმუნდ ბერკს რომ ეთქვა: *ამპარტავნობის ხელოვნება ისეთ დონეზე აიყვანა, სიგიჟეს არც აღარაფერი უკლდაო.*

მართლაცდა, იმდენად ამპარტავანი იყო, ადამიანური გრძნობებისათვის შეუ-ვალი ეგონა თავი: "*სიძულვილი ჩემთვის უცხოა — იმდენ პატივს ვცემ საკუთარ თავს, სიძულვილისათვის ადგილიც აღარ მრჩება... არც ეჭვიანი ვყოფილვარ ოდესმე, არც შურისძიების სურვილს დავუჭამივარ... ხანდახან სიბრაზე თუ წა-მომივლის ხოლმე, ისიც მცირე ხნით...*" სინამდვილეში ყველაფერი პირუკუ იყო და ბევრს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. რუსომ, პირველმა ახალ ინტელექტუ-ალთა შორის, მთელი კაცობრიობის მეგობრად კი გამოაცხადა თავი, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, კონკრეტულ ადამიანებს სამკვდროდ გადა-კიდებოდა. ერთი მათგანი, მისივე ყოფილი მოკეთე, ჟენეველი ექიმი ტრონშენი მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა: "რანაირად ხდება, კაცობრიობის მეგობარი პირად მეგობრებს ველარ ეგუებოდეს?" ამაზე რუსოს თავისი არგუმენტები ჰქონდა: "*მე კაცობრიობას ვამბობ, თორემ ადამიანები ყველგან სხვადასხვანაირები არიან. ჩემსავით ჭეშმარიტების მიმდევარი უკეთურ ხალხს ყველგან გადააწყდება — ამისათვის შორს წასვლა არაა საჭირო.*" სრული ეგოისტი, რუსო მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ჭეშმარიტებისა და სათნოების უარყოფასთან აიგივებდა; ამგვარად, გადაჭარბებად არაფერი მიაჩნდა საკუთარი მტრებისთვის — მისი აზრით, თავად მათი არსებობაც კი სამარადისო სასჯელის დებულებას განამტკიცებდა: "*ბუნებით გულბოროტი არა ვარ,* — უთხრა ერთხელ ქალბატონ დ'ეპინეს, — *მაგრამ როცა ვხედავ, ამქვეყნიური სამართალი ბრმაა ამ ურჩხულების მიმართ, მათთვის განხვნილ ჯოჯოხეთის კარზე ფიქრიც შვებას მანიჭებს.*"

მაგრამ თუკი მართალია, რომ რუსო ამპარტავანიც იყო, ეგოისტიც და ჭინჭყლი ხასიათითაც გამოირჩეოდა, რაღა ყველა მის დასახმარებლად იწვდიდა ხელს? ამის პასუხი ისევ მის ხასიათსა და იმდროინდელ ისტორიულ ვითარებაში უნდა ვეძებოთ. შემთხვევით, ქვეცნობიერად თუ გამიზნულად (ან, შესაძლოა, სამივე ერთად) რუსო პირველი აღმოჩნდა, ვინაც მეთოდურად და სისტემატურად ხეი-რობდა პრივილეგირებულთა ბრალეულობის სინდრომით. მეტიც, იგი ამას სრულიად განსაკუთრებული მიდგომით სჩადიოდა — უხეშობის მეშვეობით. კაცმა რომ თქვას, რუსო თანამედროვეობის *გაბრაზებული ახალგაზრდა თაობის* ნაღდ პროტოტიპად მოჩანს. ბუნებით ანტი-სოციალური სულაც არ გახლდათ — პირიქით, ყრმობიდანვე საზოგადოებაში თავის გამოჩენისაკენ ისწრაფვოდა, გან-საკუთრებით კი სწორედ საზოგადოებაში გამოსულ ქალთა ღიმილი ხიბლავდა. ერთგან წერს კიდეც: "*ვიღაც ყვავილების გამყიდველი გოგონები, მრეცხავ-მკერავები, მომვლელ-ძიძები და სხვანი და სხვანი არ მაინტერესებდნენ. უფრო ახალგაზრდა ქალბატონებისაკენ მიმიწევდა გული.*" ეგაა, პროვინციალს შორი-დანვე ცნობდნენ; 1740-იან წლებში მისი მცდელობა, საზოგადოებისათვის კოჭის გაგორებანა გაეთამაშა, სრული მარცხით დამთავრდა და მისმა პირველმა პიესა-მაც, მაღალი წრის ბანოვანთა გულის მოსაგებად გამიზნულმა, ფიასკო განი-ცადა.

ოღონდაც, კონკურსზე ჯილდოს მიღებამ კარგი კარტი გაუხსნა ხელში — ბუნე-ბრიობის თეზისი მართლაც ოქროს საბადოდ იქცა მისთვის და რუსომაც ნირი

იცვალა: გაუთლელობის დამალვას მისი დაუფარავად წარმოჩენა ამჯობინა და მდაბიორობას ახლა უკვე სათნოების წყაროდ ასაღებდა. უცნაურია, მაგრამ სწორედ ამ ტაქტიკამ გაუმართლა: საფრანგეთის არისტოკრატიის შედარებით განათლებულ ახალგაზრდობას მოდად ექცა კლასობრივი პრივილეგიების არსებული სისტემის გამო ჭმუნვა, და მწერლებს განტევების სიგელ-გუჯარის როლი მიაკუთვნეს. იმდროინდელი მიმომხილველი, ვინმე დუკლო წერდა: "დიდებულთაგან ისინიც კი, ვისაც ინტელექტუალები გულზე სულაც არ ეხატებათ, ცდილობენ მათ მიმართ ყურადღება მაინც გამოიჩინონ — ახლა მოდაა ასეთი." ნაფერებ კალმოსანთა უმრავლესობა, რაღა თქმა უნდა, საკმეველს უკმევდა თავის მწყალობლებს, რუსომ კი საწინააღმდეგო მოიმოქმედა და ამით კიდევ უფრო "მოდურ", '"საინტერესო", ყველა სალონსა თუ ბუდუარში სასურველ სტუმრად იქცა — გაუთლელ, დაუხვეწავი მანერების მქონე "ბუნების შვილად", ანუ "დათვად", როგორც მას სიყვარულით იხსენიებდნენ. საყოველთაოდ დაკანონებულ ქცევის ნორმებს იგი "გრძნობების ფეთქვას" უპირისპირებდა, კეთილგონიერებასა და თავდაჭერას — "გულისთქმისათვის ყურისგდებას": *ჩემი გრძნობები იმგვარია, თქვენებური ზრდილობის წესებს ვერ ურიგდება... ბუნებითა ვარ უხეში, უსიამო, ტეტია — და პრინციპულად ასეთივე ვრჩები... თქვენს გაწვრთნილ ფინიებს ვერასოდეს დავემსგავსები — დაბადებით ბარბაროსი ვარ... ჩემს გულისგულში იმდენი რამ ძევს, მწერლობისათვის ველარც ვიცლი...*

ამგვარი ქცევა ზედმიწევნით მიესადაგა მის პროზას, რომელიც სტილისტურად ბევრად ჩამოუვარდებოდა თანამედროვეთა დახვეწილ-დაკრიალებულ პერიოდებს. თანაც, მისი პირდაპირობა სქესის საკითხებში ლამის საარაკოდ იქცა: "ახალ ელოიზაში" მან ქალის ტუალეტის ისეთი დეტალიც კი მოიხსენია, როგორიც იყო *კორსეტი* (!). საზოგადოებაში მიღებული ნორმების უგულებელყოფას რუსო სამოსის გამორჩეული სისადავითა და თავისუფლებითაც უსვამდა ხაზს, რაც მერე ახალგაზრდა რომანტიკოსთა საყოველთაო მახასიათებლად იქცა. შემდგომში წერდა კიდეც: "გარდაქმნა ტანსაცმლიდან დავიწყე. შევეშვი ოქროს ძეწკვებს, თეთრ წინდებს, წელზე დაშნის შემორტყმას... საათიც კი გავყიდე." ამას გრძელი თმები მოჰყვა და საერთოდ, რუსო ერთადერთი თმაწვერმოშვებული ბრძენკაცი იყო იმ ხანებში. თერძის მეშვეობით იგი წლიდან წლამდე ხვეწდა და ამრავალფეროვნებდა საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ხერხებს. ალან რემზიმ ნევშატელის ტბის პირას მდგომი რუსო რაღაც გაუგებარი წარმომავლობის აღმოსავლურ ხიფთანში გამოსახა, ოღონდ ეს მხატვრის ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა — რუსო ეკლესიაშიც კი ამ სამოსით დაიარებოდა. მრევლი ჯერ აღშფოთებამ მოიცვა, მაგრამ მალევე შეეჩვია ამ ახირებას. ინგლისში რომ მიიწვიეს, დრური ლეინის თეატრშიც ასე გამოწყობილი გამოცხადდა და ბრბოს აღტაცებული შეძახილების საპასუხოდ, ლოჟის მოაჯირზე გადაყუდებული, ქ-ნი გარიკის სწორედ ამ ხიფთანის კალთაზე ჩამოკონწიალებამ გადაარჩინა გადმოვარდნას.

გააზრებით აკეთებდა ამას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რუსო აღმატებული თვით-რეკლამისტი, ან, დღევანდელნი რომ იტყვიან, *პრომოუტერი* გახლდათ:

მისი ექსცენტრომანია, ეპატაჟი, ყოვლად სოფისტური მსჯელობანი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა და ასე განსაჯეთ, სასურველიც კი იყო ზემდგომ მფარველთა, თაყვანისმცემელთა და უბრალოდ, გარეშე მკითხველთათვის. თუ დავუკვირდებით, პიროვნების ურთიერთობა საზოგადოებასთან, თუნდაც ჩაცმულობისა და იერსახის გათვალისწინებით, იმ დროიდან მრავალი ინტელექტუალისათვის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა წარმატების მისაღწევად. ამ მხრივაც რუსო გზის გამკვლევის როლში გვევლინება. ისე, კაცმა რომ თქვას, განა სწორადაც არ იქცეოდა? ხალხის უმრავლესობა ძნელად ეგუება ახალ იდეებს, ოღონდ პიროვნული ქცევით იოლად იხიბლებიან. ექსტრავაგანტურობა საუკეთესო საშუალებაა მიქსტურის დასატკბობად, როცა საქმე უჩვეულო, ერთის შეხედვით, მიუღებელ იდეებს ეხება.

ყურადღების მიპყრობის კიდევ ერთ საშუალებად რუსომ, რომელიც გვარიანი ფსიქოლოგი გამოდგა, ახლა უმადურობის გამოვლენაც სათნოების ნიშნად გამოაცხადა: რაკი თავად ანგარიშიანი კაცი გახლდათ, ხოლო თავი კი დაირწმუნა — პირდაპირი მნიშვნელობით — ყოველთა შორის გამორჩეულად ზნეობრივი პიროვნება ვარო — ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ სხვები ბევრად უფრო ანგარიშიანნი უნდა ყოფილიყვნენ, თანაც, მისგან განსხვავებით, მხოლოდ ქვენა მიზნების მისაღწევად შემართულნი. ამგვარი ლოგიკით, ვინც კი მასთან საქმეს დაიჭერდა, ყველა მის გაცურებას ეცდებოდა და იგი, უბრალოდ, ვალდებული ხდებოდა საკუთარი გამჭრიახობითა და შორსმჭვრეტელობით დაეთრგუნა ისინი. ამგვარად, ერთადერთი, რა ნიადაგზეც შეიძლებოდა მისი სხვებთან ურთიერთობა დამყარებულიყო, უმარტივესი პრინციპით გამოიხატებოდა: *ისინი გასცემენ, მე ვიღებ.* ყოველივე ამას რუსო დამატებით გამართლებასაც უძებნიდა: მისივე უნიკალურობის გამოისობით, ვინც კი მის მიმართ სჩადიოდა სიკეთეს, ფაქტიურად, საკუთარ თავს სცემდა პატივს. სწორედ ამას უმტკიცებდა დიჟონის აკადემიის კომიტეტის წევრებს მისთვის ჯილდოს მინიჭებასთან დაკავშირებით გაგზავნილ საპასუხო წერილში: "*ჩემი ესეი არცთუ ყველასათვის სასიამო სიმართლეს თესავს და ეს თქვენი გაბედული ნაბიჯიც თქვენვე უფრო გდებთ პატივს... ბატონებო, მარადმწვანე დაფნის გვირგვინი, რითაც შემამკეთ, თქვენივე დიდბუნებოვნების ნიშნად იქცევა სამარადჟამოდ".* რუსო იმავე სტილში მოქმედებდა, როცა სახელმა და დიდებამ ბევრს მის მიმართ სტუმართმოყვარეობის ჟინი გაუჩინა: "*საჰყარად ვიქეც და კაცობრიობაც მოვალეა ჩემნაირ შეჭირვებულთ გაუწოდოს საშველად ხელი*"... სხვაგან იმასაც ჩივის, რომ "*დამთრგუნველია, გინდაც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, უცნობთაგან წყალობის მირქმა: როცა ათასგზის განმეორებულ თხოვნას ვთანხმდები, ამას გამორჩენის მიზნით როდი ჩავდივარ — უბრალოდ, მინდა გარეშემო სიმშვიდემ და სიწყნარემ დაისადგუროს... საბოლოოდ, ჩემდამი გამოჩენილი სიკეთე რაც არ უნდა ძვირი ეღირის, მბოძველი მაინც ვალში მრჩება — მე ხომ ეს უფრო ძვირად მიჯდება*". თურმე ნუ იტყვით, მას *იძულებულს* ხდიდნენ საკუთარი პირობები დაეყენებინა ქალაქგარეთ, აგარაკზე საცხოვრებლად მიწვევის შემთხვევაში: "*ბედნიერებაზე ჩემი წარმოდგენა იმას მოიცავს, აროდეს მოვიმოქმედო ის, რისი მცირედი სურვილიც არ გამაჩნია. ამიტომაც ვითხოვ, სრულად განმიტევოთ ნებისმიერ ვალდებულებათაგან. ოდნავადაც თუ შემაწუხეთ, მეტი ველარასოდეს მიხილავთ თქვენსას*". სამადლობელო წერილებიც კი (თუკი მათ

საერთოდ შეიძლება ასე ვუწოდოთ) განაწყენებულ-შეურაცხყოფილი კაცის მიერ ბოდიშის მოხდის მოთხოვნას უფრო წააგავს: "*დიდად გმადლობთ* — წერს იგი მავანს — *რომ დამითანხმეთ სტუმრად გწვეოდით. ოღონდაც ჩემი ეს მადლობა ოდნავ უფრო თბილი გრძნობით იქნებოდა ნაკარნახევი, მანდ ყოფნა ასე საძნელო რომ არ გაგეხადათ ჩემთვის.*"

როგორც ერთი ბიოგრაფთაგანი აღნიშნავს, რუსო ერთთავად რაღაც მახეებს უგებდა ხოლმე ხალხს: ჯერ თავის ხელმოკლეობასა და გაჭირვებაზე მოჰყვებოდა წუწუნს და მერე, თუკი დახმარებას შესთავაზებდნენ, აღშფოთებასა და გულისწყრომას გაითამაშებდა — *როგორ არ გესმით, რაოდენ ზიანს აყენებთ საკუთარ თავს, როცა მეგობარი მოვალედ გინდათ გაიხადოთ...* და იქვე დაამატებდა: *თუმცა უარზე არა ვარ თქვენი წინადადებაც მოვისმინო, თუკი შევთანხმდით, რომ ფულზე არ ვხურდავდებიო.* ამგვარად კვანტგამოდებული კეთილმოსურნე, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იძულებული ხდებოდა რუსოს მოთხოვნებისათვის აქეთ გაეწია ანგარიში. რუსოს განსაკუთრებით კარგად სოციალურ საფეხურზე მასზე უფრო მაღლა მდგომ ხალხთან ჰქონდა ერთი ფანდი დამუშავებული: სულ იოლად არწმუნებდა ასეთებს, რომ მადლობების ფრქვევა და საერთოდ, ყალბი მადლიერების გამოხატვა მის პიროვნულობასთან შეუთავსებელი იყო; ლუქსემბურგის დუკას, მარშალ დე მონმორანსის ამგვარად შეთხზული ბარათი გაუგზავნა: "არც ხოტბას გასხავთ და ვერც მადლობის სიტყვას გეტყვით, თქვენს სახლში კი ვცხოვრობ. ყველას თავისი ენა აქვს — ჩემსაზე უკვე ყველაფერი გითხარით". ხრიკმა გაჭრა — დუკას მეუღლე პასუხად აქეთ უხდიდა ბოდიშს: "თქვენის მხრივ რაიმე მადლობის გამოხატვა სრულიად ზედმეტია — ეს ჩვენ, მარშალი და მე უნდა ვგრძნობდეთ თავს თქვენგან დავალებულად."

ოღონდაც რუსო სულ არ გახლდათ წყნარი, დალხინებული ყოფის მოსურნე კაცი. მის ანგარიშიან ხასიათს პარანოიკული ბუნებაც გვერდი-გვერდ უთავსდებოდა, და ეს უკანასკნელი არანაირად არ აძლევდა მშვიდი, საკუთარ პიროვნებაზე კონცენტრირებული, პარაზიტული ცხოვრების საშუალებას. გაუთავებელი უთანხმოებანი, დავა და აყალმაყალი ჰქონდა თითქმის ყველასთან თავის გარშემო, მეგობრებთან კი — განსაკუთრებით. ასეთი ქცევა გვაფიქრებინებს, ფსიქიკურადაც ვერ უნდა ყოფილიყო მთლად ჯანმრთელი. თვითმყოფად, ფართო გაქანების გონებაში ეს ავადობა მეტად სახიფათო, ფეთქებად ნიადაგს ქმნიდა როგორც თავად რუსოს, ასევე მის გარეშემო მყოფთათვის. საკუთარი უმცდარობის ამგვარი რწმენა, გარკვეულად, უკვე დაავადების პირველად ნიშნებზე მიუთითებს, და რუსო რომ ერთი უბირი ვინმე ყოფილიყო, ან თავისთავად განიკურნებოდა — გარემოებათა ზეგავლენით — ანდა ეს ავადობა მცირე პიროვნულ ტრაგედიად გარდაისახებოდა; მაგრამ მწერლობის ნიჭმა მას სახელი და დიდება მოუტანა, და სწორედ ეს განუმტკიცებდა რწმენას, რომ საკუთარი თავის მისმიერი შეფასება კერძო აზრი კი არ იყო, არამედ vox populi — *ხმა ერისა* — მოშურნეთა გამოკლებით, რაღა თქმა უნდა...

ეს მოშურნენი კი ვინღა იქნებოდა, თუ არა მისივე ყოფილი მეგობრები, რომლებიც (ეს მათთან განხეთქილების მერეღა მოსდიოდა თავში), მოკეთეობის ნიღაბს ამოფარებულნი, დასაბამიდან იმის ცდაში იყვნენ, როგორმე საკუთარი ქვენა მიზნებისათვის გამოეყენებინათ იგი. გამორჩენის სურვილის გარეშე მეგობრობა გაუგებარი ცნება იყო მისთვის; და რაკიღა თავად საუკეთესო იყო ადამიანთა შორის, ჟან-ჟაკ რუსოსათვის გაუთავისებელი რამ *a fortiori* ვეღარც სხვისთვის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ამგვარი ლოგიკიდან გამომდინარე, რუსო ეჭვიანად უთვალყურებდა საკუთარ "მეგობრებს", და პირველსავე საბაბზე ყალილას ტეხდა: დიდროს ეჩხუბა, ვისგანაც ყველაზე მეტად იყო დავალებული; ეჩხუბა გრიმს; მთელი სცენა მოუწყო და მეტად მძიმედ დაცილდა ქალბატონ დ'ეპინეს, მის უგულმხურვალეს თაყვანისმცემელს; ეჩხუბა ვოლტერს — თუმცა ეს არც ისე საძნელო იყო, სიმართლე ითქვას; დეივიდ ჰიუმს, ვინც მართლა მოწამედ მიიჩნევდა რუსოს, ვინაც ინგლისში წაიყვანა, გმირად შერაცხა და ყველაფერი იღონა, რათა ვიზიტი წარმატებული ყოფილიყო, თავად რუსო კი — ბედნიერი. სხვა უამრავიც იყო, კარის შედარებით ნაკლებხმაურიანი გაჯახუნებით... მაგალითად — თავის ჟენეველ მეგობარ, ექიმ ტრონშენთან. უმრავლეს შემთხვევაში რუსო მრავალფურცლიან, საყვედურებითა და ბრალდებებით სავსე წერილებს აცხობდა ხოლმე, დედუქციური მოკვლევის ნამდვილ შედევრებს, სადაც ყოველი სამხილი ოსტატურად იყალბებოდა, ამბავი გადასხვაფერდებოდა, ინციდენტთა თანამიმდევრობა ირღვეოდა სწორედ იმგვარად, ადრესატი როგორმე "ნამდვილ ურჩხულად" გამოეყვანა. დეივიდ ჰიუმს რომ წერილი მისწერა, 1766წ. 10 ივლისით დათარიღებული, დღევანდელ 25 ნაბეჭდ გვერდს მოითვლის. ჰიუმის ბიოგრაფის მოსწრებული დახასიათებით, "ესე უსტარი უბრწყინვალესია სტილით და ყოვლად მომაჯადოებელი თავისი ლოგიკით, რაც კი ოდესმე აღრეული გონების მიერ შექმნილა."

თანდათანობით რუსომ ისიც ირწმუნა, რომ მოკეთეობის ცალკეული შემთხვევები, რითაც მისი მტრები ინიღბებოდნენ, შემთხვევითი კი არ იყო, არამედ შეთქმულების ერთიან ჯაჭვს წარმოადგენდა, ხოლო ეს ყველაფერი პირადად მისი და ზოგადად მისი მოღვაწეობის დასათრგუნად იმიზნებოდა. გამოწვლილვით განსჯის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, შეთქმულების საწყისი ვერსელის კომტესას სახლშია საძიებელიო (16 წლის რუსო იქ ერთხანობა ლაქიად იდგა): "*ვგრძნობ, სწორედ იმ დროიდან დამიწყეს დევნა-თვალთვალი, საკუთარი ფარული ზრახვების აღსასრულებლად, და რაღა გასაკვირია, თუ მეც იმ სახელმწიფო წყობას ვადანაშაულებ, რომელიც ყოველივე ამ უმსგავსობას ხელს აფარებდა*". ოღონდაც, საღი თვალით თუ გადავხედავთ ფაქტებს, სხვა თანამემამულეებთან შედარებით, რუსო ბევრად მეტ პატივში იყო საფრანგეთის ხელისუფალთაგან: სულ ერთადერთხელ დაუპირეს დაპატიმრება, ხოლო მთავარი ცენზორი, ვინმე მალშერბე, ყოველნაირად ხელს უწყობდა მისი ნაწერების გამოქვეყნებას. მაგრამ წლიდან წლამდე რუსო უფრო და უფრო აჯერებდა თავს, რომ საერთაშორისო შეთქმულების მსხვერპლი ხდებოდა — ეს აზრი განსაკუთრებით ინგლისში ყოფნის შემდეგ აეკვიატა. მთავარ კონსპირატორად კი დეივიდ ჰიუმი დასახა — რაღა თქმა უნდა, ათეულობით ხელქვეითით გარშემორტყმული. იქამდე მივიდა, უზენაეს სასამართლოს თავკაცსა და ლორდთა პალატის თავმჯდომარეს, ლორდ კემდენს მისწერა, შეიარაღებულ დაცვას მოვითხოვ ქვეყნის ფარგლების დასატოვებლადო. დუვრის ნავსადგურში,

გამგზავრების წინ, გემბანზე ავარდა დაფეთებული და კაიუტაში ჩაიკეტა, მერე ანძაზე აძვრა და მოსეირე ბრბოს მიმართა მგზნებარე სიტყვით — ეს თავისუფალი კაცი ძალით სურთ ინგლისში დამაკავონო.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, სახლის კარზე განცხადებების გამოკვრას მიჰყო ხელი, რომლებშიც წვრილად აღნუსხავდა ყველა იმ წყენა-საჩივარს, საზოგადოების სხვადასხვა წრეების მიმართ რომ დაგროვებოდა; არავინ გამორჩენია, ყველას თავისი მიაგო — მღვდლებს, სწავლულებს, რიგით ნაცნობებს, ქალებს და, ასე განსაჯეთ, შვეიცარიასაც კი გადასწვდა. განსაკუთრებით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ადანაშაულებდა — საერთაშორისო ანტირუსოისტული შეთქმულების მოთავეობის ესტაფეტა ახლა მას გადაულოცა: რუსომ კორსიკისათვის კონსტიტუცია დაწერა და — აჰა შედეგი! საფრანგეთი კორსიკას იერთებს; იმავე საგარეო საქმეთა მინისტრის პირადი თხოვნით მსგავსსავე დოკუმენტს დამოუკიდებელი პოლონეთისათვის ქმნის და — კვლავ ღალატი — მის ჯინაზე, ახლა მინისტრი გადადგა! "*ჭეშმარიტებისა და სამართლის განსახიერების გარდა, ვერა ბრალს ვერ ვდებ თავს ჩემსას, რისთვისაც კი შეიძლება ასე მდევნიდნენ და მაწამებდნენ... მაგათი ნება რომ იყოს, ცოცხლად ჩამასვენებდნენ კუბოში... სადაც არ უნდა მივდიოდე, ყოველ ჩემს შესაძლო სვლას წინასწარ თვლიან და კვალში მდევენ... ყველა მაგათი მოსყიდულია — შემთხვევითი თანამგზავრები, მეეტლეები, სასტუმროების მეპატრონენი... გზაზე ისეთ ხმებს მიყრიან, ყოველ ნაბიჯზე გული კბილებით მიჭირავს.*" მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი — "დიალოგები საკუთარ თავთან" (წამოიწყო 1772წ.) პირდაპირ ავლენს მის ამ დევნის მანიას. დამთავრებისთანავე იმ დასკვნამდე მივიდა, "ისინი" ამას ასე არ დატოვებენო და 1776წ. 24 თებერვალს ნოტრ დამის ტაძარს მიადგა — ხელნაწერის საკურთხეველზე დასვენება უნდა ეთხოვა, მხოლოდ ასე თუ გადავარჩენთო. კარიბჭე ჩარაზული აღმოჩნდა. აქაც შეთქმულება! მაინც არ ჩაიქნია ხელი, 6 ასლი გადააწერინა და წინდახედულად, სხვადასხვა ხალხს დაურიგა, მათ შორის დრ. ჯონსონის უგანათლებულეს მეგობარ ქალს, ლინჩფილდელ ქ-ნ ბრუკ ბუთბის, რომელმაც გამოაქვეყნა კიდეც ზემოხსენებული ოპუსი 1780წ. ამ დროისათვის რუსო უკვე საფლავს იყო მიბარებული და ალბათ, იმქვეყნადაც ჭმუნავდა ადამიანთა გულარძნილობის გამო...

მანიაკალური სინდრომი სავსებით რეალურ შეგრძნებებს უვლენს შეპყრობილს, და რა გულქვა უნდა იყო კაცი, ხანდახან მართლა არ შეიცოდო ამ დღეში ჩავარდნილი. მაგრამ ასე იოლად რუსოს ფენომენს გვერდს ვერ აუვლი: ის კაცობრიობის მეგობრად, ჭეშმარიტებისა და სათნოების აპოლოგეტად აცხადებდა თავს, ასეთად სცნობდნენ კიდეც და ასევე იხსენიებენ ხოლმე დღესდღეობით. ამიტომაც უპრიანია, ბოლომდე ჩავეძიოთ, რამდენად ღაღადებდა იგი შეუვალ ჭეშმარიტებებს და რამდენად სათნო პიროვნება იყო თავად. აქ სიმართლე-ჭეშმარიტების საკითხი უმთავრესია, რადგან გარდაცვალების შემდგომ, რუსო სწორედ მისი "აღსარებით" იქნა ცნობილი. ეს იყო თვითმცდელობა, სრული შინაგანი სიმართლე ეთქვა ერთი ადამიანის ცხოვრებაზე, რაც მანამდე არავის უცდია. თავისთავად, ეს ერთგვარი ზე-სანდო ავტობიოგრაფიაა, ისევე როგორც

10 წლის მერე (1791) ჯეიმზ ბოზუელის მიერ გამოქვეყნებული დრ. ჯონსონის შრომა მიიჩნევა ზესანდო ბიოგრაფიად.

რუსო სწორედ ამგვარად უდგებოდა თავის ჩანაწერებს. 1770-71 წლების მიჯნაზე, გადაჭედილ სალონებში, 15-17 საათის განმავლობაში კითხულობდა მათ, ხემსისათვის პატარ-პატარა შესვენებებით. მისი ბრალდებები ნაცნობ-უცნობთა მიმართ იმდენად დამზაფრავი იყო, ქ-ნმა დ'ეპინემ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი მიმართა თხოვნით, აღეკვეთათ ეს უმსგავსობა. რუსო დასთანხმდა, ოღონდ ბოლო ჯერზე ასეთი მიმართვით დაამთავრა საჯარო გამოსვლა: "*მე მხოლოდ სიმართლე ვთქვი. თუ ვინმემ იცის რაიმე ფაქტი, რაიც ჩემს ნათქვამს ეწინააღმდეგება, ათასგვარი მტკიცებაც რომ წარმოადგინოს, მაინც ჩემსაზე ვიდგები. ვინც კი მიცნობს და მაინც უნდობლობას მიცხადებს, გაწკეპვლის ღირსია. ადგეს და მეჩვენოს!*" ამას მეტად შთამბეჭდავი სიჩუმე მოჰყვა.

რუსო თავის სიმართლისმთქმელობის უნარს შესანიშნავი მეხსიერებით ასაბუთებდა; მეტიც, მკითხველს უმტკიცებდა, რომ პირველი იყო, ვინაც არ დაერიდა საკუთარი სექსუალური ცხოვრების წარმოჩენას — ოღონდ არა ტრაბახისა და თავმოწონების, არამედ სირცხვილის განცდითა და მონანიების მიზნით: "*ჩემი ამგვარი თავგადასავლების ბნელსა და ბილწ ლაბირინთების მოხილვას ის კი არ მიძნელებს, რაც დანაშაულებრივია, არამედ ის, რაც ახლა მხოლოდ სირცხვილისა და მონანიების გრძნობას მიჩენს".* ოღონდ, რამდენად გულწრფელია რუსო? ტურინში, ჯერ სრულიად ახალგაზრდა, ქალაქის ბნელ შუკებში დაბოდიალობდა და ქალს თუ შეეჩეხებოდა სადმე, უცილობლად შარვალჩახდილი უთმობდა გზას: "*აუწერელია ის სიამოვნება, რასაც ამგვარი გამოხდომები მანიჭებდა!*" უცნაური კომენტარია, ღმერთმანი. რუსო ყველა გაგებით ეგზიბიციონისტი იყო, და ეს მის თხრობასაც აშკარად ეტყობა — ერთგვარი კმაყოფილებითაც კი აღწერს თავის მაზოხისტურ მიდრეკილებებს: ძალად როგორ გამოყავდა მოთმინებიდან პატერის მკაცრი და — მადემუაზელ ლამბერსიე, რადგან დასჯა შიშველ უკანალზე შიშველივე ხელისგულით გატყეპვაში მდგომარეობდა; იგივეზე უბიძგებდა მეორე ქალბატონს, ვინმე მადემუაზელ გროტონსაც: "*ერთი ნეტარება იყო ეს სასჯელი, მათი ბრძანებების უსიტყვოდ აღსრულება...*" იმასაც ყვება, ბიჭობაში, ხელმრუშობას რომ დაეჩვია, რაც სავსებით ბუნებრივად, საჭიროდ და სასარგებლოდაც კი მიაჩნია: "*ამ ცოდვას, რომლისკენაც სიმორცხვე და გულჩათხრობილობა გვიბიძგებს, ბევრი დადებითიც სდევს თან, წარმოსახვის განსავითარებლად; იგი საშუალებას იძლევა ნებისმიერი ქალი ჩვენს სურვილებს დავუმორჩილოთ და მშვენიერება ვიმსახუროთ — თუმც სინამდვილეში ჩვენ ის არ დაგვებედოს... გარდა ამისა, ახალგაზრდებს ხომ ვენერიულ დაავადებებისაგანაც იცავს.*" ამასთან, წვრილად მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდა ვიღაც მამათმავალი მის ცდუნებას იმავე ტურინის ერთ ქარვასლაში. იმასაც აღიარებს, ქ-ნ დე ვარენსის წყალობას მის მებაღესაც ვუზიარებდიო. არც იმის მოხსენება ავიწყდება, მავან ქალწულთან მხოლოდ იმიტომ მომეცარა ხელი, კერტები განუვითარებელი ჰქონდა, იმან კი მირჩია, ქალებს თავი ანებე და ისევ შენს მათემატიკას მიხედეო. იქნებ ამი-

ტომაც, მოწიფულობის ხანაში მასტურბაციას მივუბრუნდი, რაც უფრო მოსახერხებელი მგონია, ვიდრე ქარაფშუტა ქალების დევნაო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, და იქნებ გამიზნულადაც, რომ ავტორის დამოკიდებულება სექსის მიმართ ბოლომდე რაღაც ინფანტილური დარჩა — აკი ქ-ნ ვარენსაც ის ყველგან მხოლოდ "*დედიკოდ*" იხსენიებს: *"Maman"...*

ამგვარი მიდგომა — და ასევე, სხვა ეპიზოდების გახსენება, რაც ქურდობას, ცრუმოწმეობას, სიმხდალესა და სხვათა და სხვათა მრავალთა ცოდვათ მოითვლიდა — თავისებურად განამტკიცებდა კიდეც შეულამაზებელი სიმართლის თქმისადმი რუსოს მიდრეკილების ლეგენდას. მაგრამ სწორედ აქ იყო ძაღლის თავი დამარხული: ამგვარი ბრალდებები საკუთარი თავის მიმართ უკვე სხვების მიმართ რაგინდარა აბსურდულ ბრალდებებსაც დამაჯერებელს ხდიდა. დიდროს თქმით: "*თავზე ფერფლს იყრის, რომ სხვების თავზე ლაფის დასხმა გაამართლოს"* მეტიც, რუსოს სიმართლე უმეტესად მხოლოდ ნახევარ-სიმართლეა და ეს, ასე ვთქვათ, არჩევითი პატიოსნება სწორედაც რომ უპატიოსნობის დამღად ადევს როგორც მის "აღსარებას", ასევე წერილებს. მის მიერ მოხმობილი "ფაქტები" თანამედროვე მკვლევართა გადასახედიდან ხშირად ზერელე, დამახინჯებული, ან სულაც არარსებული აღმოჩნდება ხოლმე. ზოგჯერ კი ამას თავად ტექსტში არსებული წინააღმდეგობები ავლენს: ვთქვათ, ჰომოსექსუალიზმზე სულ სხვადასხვას ამბობს *ემილია* და *აღსარებაში.* მისი უნაკლო მეხსიერებაც, უბრალოდ, მითია: მამამისის გარდაცვალების თარიღიც ეშლება და ასაკსაც არასწორად უთითებს — *სამოციოდე წლისა იყო;* მაშინ როდესაც დანამდვილებითაა ცნობილი, 75 წლისა მიიცვალა.

ტურინში საკუთარი თავგადასავლების ლამის ყველა ამბავი ურთიერთწინააღმდეგობრივი დეტალებითაა სავსე. ასე ჩანს, "აღსარების" არც ერთი ეპიზოდი არაა სანდო, თუკი გარეშე მტკიცებებით არაა გამაგრებული. ძნელია არ დაეთანხმო რუსოს ცნობილ თანამედროვე მკვლევარს, იოჰან ჰაიზინგას, რომლის თქმით: "*აღსარებაში* მრავალგზის განმეორებული განცხადებები ჭეშმარიტებისა და პატიოსნების ზედმიწევნით მიდევნის თაობაზე, მასში გამოვლენილ ტყუილებსა და ნაყალბევს კიდევ უფრო სამარცხვინოს ხდის." ხოლო რაც მის უპატიოსნობას უკვე სწორედაც რომ სახიფათოს ხდიდა, და რასაც ასე უფრთხოდნენ კიდეც მისი ყოფილი მეგობრები — ეს მისი შეთითხნილი ბრალდებების უზადო სტილითა და მახვილგონიერებით გადმოცემა იყო. რუსოს ერთი პირუთვნელ ბიოგრაფთაგანი, პროფ. კროკერი აღნიშნავს: "ვენეციაში მომხდარი ეპიზოდის აღწერა (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მსგავსი შეხლა-შემოხლისა) იმდენად დამაჯერებელია ფსიქოლოგიურად, იმდენად ცოცხლადაა მოთხრობილი, იმგვარი გულწრფელობის აურა ახლავს, შოკისმომგვრელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე."

მაშ ასე, ესეც რუსოს მართალკაცობის შესახებ; სათნოების თაობაზე რაღა ვთქვათ? ჩვენ თავად, განა ყველა და ყოველთვის მივისწრაფით მისკენ? ერთის შეხედვით, უხერხულიც კია ათასი ჯურის მკვლევარ-კრიტიკოსთა მიერ განჩხრეკილი, შიშველ ფაქტებამდე დაყვანილი თუ გამოწვლილვით განხ-

ილული რუსოს ცხოვრება თანამედროვეთა რაღაც ზნეობრივ სამსჯავროზე გამოვიტანოთ; მაგრამ აკი თავად მოითხოვდა ამას, და თუ იმ უზარმაზარ გავლენასაც გავითვალისწინებთ, რაც მისმა შეხედულებებმა მოახდინა ეთიკური ნორმებისა თუ ქცევის ნორმების ცვლაზე, სხვა გზა არცა გვაქვს. იგი სიყვარულისთვის გაჩენილად აცხადებდა თავს, და უკვე მცნებად ნაქცევ ამ გრძნობას ლამის მეტი გზნებით ქადაგებდა, ვიდრე მახარებელთაგან უმეტესნი. მერედა, რამდენად ავლენდა რუსო სიყვარულს სწორედ მათ მიმართ, ვისაც განგებამ მის გვერდით დააბედა ყოფნა? მართალია, დედის სიკვდილმა ნორმალური ოჯახური გარემო დააკარგვინა, და ვერც რაიმე განსაკუთრებული გრძნობა შერჩებოდა მისდამი, რაკიღა არანაირად არ შეიძლება ხსომებოდა; ოღონდაც მას არც სხვა ვინმე ახლობლის მიმართ გამოუჩენია ოდესმე თანაგრძნობა, და საკუთარი მამის სიკვდილიც მისთვის მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების ამბავი იყო. დაკარგული ძმა მაშინღა გაახსენდა, მისი მკვდრად გამოცხადება რომ დასჭირდა, მემკვიდრეობის დარჩენილი ნაწილის დასასაკუთრებლად. საერთოდ, ოჯახთან მისი ურთიერთობა მარტოოდენ ფულით განისაზღვრებოდა. *აღსარებაში* თავად აღნიშნავს: "ჩემში მუდამ ორი ურთიერთგამომრიცხავი საწყისი ებრძოდა ერთურთს — ანგარიშიანობა და ზიზღი *ხელის ჭუჭყის* მიმართ." ოღონდაც ამ "ზიზღის" კვალი მისი ცხოვრების გზაზე არსადა ჩანს. საპირისპიროს კი თავად გვიყვება: "*ქონების საკითხი ჩემს სასარგებლოდ რომ გადაწყდა, წერილი საღამოს მივიღე და მეც მეორე დღემდე ვიხანგრძლივებდი სიამოვნებას... მერე თავს ძალას ვატანდი, აუჩქარებლად ამეხსნა ბეჭედი. თამასუქის დანახვაზე ჟრუანტელმა დამიარა, ოღონდ მაინც ვერაფერი შეედრებოდა იმ კმაყოფილებას, საკუთარი თავის მოთოკვა რომ მოვახერხე.*"

თუკი ამგვარ დამოკიდებულებას იჩენდა ოჯახის წევრთა მიმართ, გარეშეს როგორღა მოეპყრობოდა? როგორ და — გოთვერნულად. ქ-ნმა ვარენსიმ ოთხჯერ მაინც იხსნა ქუჩაში ხელგაწვდილი მათხოვრობისაგან, მაგრამ როცა თავად გაზულუქდა, მის კეთილისმყოფელს კი მძიმე დღეები დაუდგა, რუსოს თავი დიდად არ გამოუდვია. ოჯახის ქონება რომ დაისაკუთრა, რაღაც კი "უწყალობა" სამადლოდ, ოღონდ ისიც დაამატა, *მეტი რომ გამოგიგზავნოთ, გარშემო იმდენი გაიძვერა გახვევიათ, მაინც არაფერს შეგარჩენენო.* ხელების დაბანაც ამას ჰქვია, ნამდვილად. შემდგომში, უკვე თხოვნაზე პასუხის გაცემასაც კი ზედმეტ ტვირთად მიიჩნევდა. სიკვდილამდე დარჩენილი ორი წელი ქ-ნმა ვარენსიმ ლოგინად ჩავარდნილმა გაატარა, და როგორც ამბობენ, მიზეზი, უბრალოდ, საკვების უკმარობა იყოო. არადა, *აღსარებაში* რუსომ ქებათა-ქება აღუვლინა, "ქალთა და დედათა შორის უკეთილშობილესად" იხსენიებდა; ისიც არ დაავიწყდა ეთქვა, *მხოლოდ იმიტომ არ ვწერდი წერილს, აღარ მინდოდა მისი შეჭირვება საკუთარ უბედურებათა ჩამონათვალით გამემძაფრებინაო.* ბოლოს კი ასე ამთავრებს: "წარვედ, საკუთარ გულმოწყალებათა იგემე ნაყოფი და შენს ბედკრულ მოწაფესაც ჩვეული წინდახედულობით განუმზადე ადგილი მარჯვნით! განიხარე გადატანილ უბედურებათა გამო, რაკიღა ბედმა მათი ჯაჭვი უკვე გაწყვიტა..." სათნოება იქით იყოს და, დააკვირდით, სხვის გარდაცვალებასაც რუსო მხოლოდ საკუთარ ეგოცენტრიკულ კონტექსტში თუ განიხილავს!

საერთოდ, შეეძლო კი მას ქალის სიყვარული რაიმე სხვა, წინასწარგათვლილი სარგებლიანობის გარეშე? მასვე თუ დავუჯერებთ, ასეთი ვინმე კომტესსა დ'უდეტო გახლდათ, მისი მწყალობელის, ქ-ნ დ'ეპინეს რძალი. იქნება და უყვარდა კიდეც, თავისებურად, მაგრამ საინტერესოა, რომ თავადვე შენიშნავს: *წინასწარ ყველა ღონე ვიხმარე, მისდამი წერილები ისე შემედგინა, მათი გამოქვეყნების შემთხვევაში კარგი დღე არ დასდგომოდაო.* ტერეზა ლევაზიეს რაც შეეხება, სწორედ იმ მრეცხავ ქალიშვილს, 1745წ. რომ გაიხადა საყვარლად და ვინც 33 წელი, რუსოს გარდაცვალებამდე, გვერდიდან არ მოცილებია, ასე და ამგვარად იხსენიებს: "*არასოდეს არავითარი გრძნობა არ გამჩენია მის მიმართ... მხოლოდ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება მაკავშირებდა და არავითარ შემთხვევაში — რაიმე სულიერი. ერთხელ ვუთხარი კიდეც — არც მიგატოვებ ოდესმე, და ვერც ცოლად დაგისვამ".* მეოთხედი საუკუნის მერე მაინც გატეხა სიტყვა, რაღაც ჯვრისწერის მსგავსი მოაწყო მეგობრებისათვის თვალის ასახვევად და იქაც არ გაუშვა შემთხვევა, სიტყვით არ გამოსულიყო და განეცხადებინა: *შთამომავლობა ძეგლს დამიდგამს, და მაშინ ჟან-ჟაკ რუსოს გვერდით დგომა არც ისე უბრალო ამბად გამოჩნდებაო.*

მეორეს მხრივ, თურმე "საკუთარი თავი ეჯავრებოდა" ამ გომბიო, უწიგნურ გოგოსთან თანაცხოვრების გამო; მის ძმას დააბრალა, 42 ცალი ბატისტის პერანგი მომპარაო (ადვილად დასამტკიცებელი და, შესაბამისად, ძნელად დასაჯერებელი ამბავია); სულ იმას გაიძახოდა, ტერეზამ არათუ წერა-კითხვა არ იცის, დროს ვერ გეტყვის და თვის რიცხვს ვერ დაგისახელებსო. არსად გამოჩნდებოდა მასთან ერთად, და თუ სახლში ჰყავდა სტუმრები, ტერეზას ნება არ ჰქონდა, სუფრას მიჯდომოდა. ცხელ კერძს თუ შემოიტანდა ხოლმე და ეგ იყო; *დაცინვა-გამასხარავების საბაბს არ მაკლებდაო* — წერს რუსო. მისი უახლოესი წრეც კი ზოგჯერ შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, იმდენად დამამცირებლად ეპყრობოდნენ გოგოს მათი თანდასწრებით. ისიც ითქვას, ბევრი თანამეინახე ათას რამეს უგონებდა იმ საწყალს, რუსოს საქციელის გასამართლებლად, მაგრამ სწორედ რომ უფრო სანდო ხალხი უდგება დამცველად.

სიმართლე არ უნდა დავუკარგოთ და შიგადაშიგ რუსო, თავისსავე საწინააღმდეგოდ, აღმატებული გამოთქმებით ამკობს თავის "გულის ვარდს": *მიწაზე ფეხდადგმული ანგელოზი, ნაზი და განმდობი, საუკეთესო მრჩეველი, უბრალო, ტვინაურეველი არსება, დამყოლი ბუნების ადამიანი, ბოჩოლასავით მორჩილი...* ვგონებ, რუსო საერთოდ არც იცნობდა მას წესიერად — საკუთარ განცდებში ჩაძირულს, ხელზე მოსამსახურე გოგოს შესასწავლად სად ეცალა. ყველაზე სანდო პორტრეტი, ალბათ, ისევ ჯეიმზ ბოზუელმა დაგვიტოვა, რომელიც 1764წ. ხუთჯერ სტუმრობდა რუსოს და ტერეზასთან ერთად, ინგლისში მოგზაურობის დროსაც თან დაყვებოდა: "ტანმორჩილი, ხალისიანი, კოხტა ფრანგი გოგონა", რომელსაც რუსოს მისდამი მიწერილი 2 სასიყვარულო ბარათი აწაპნა (ჩვენამდე კიდევ ერთია მოღწეული). მათში რუსო თაფლად იღვრება და ადრესატისათვის საალერსო სიტყვებს არ იშურებს. ქალს ბოზუელისათვის უთქვამს: *22 წელი გავატარე ბატონ რუსოსთან ერთად და ჩემს ადგილს საფრანგეთის*

დედოფალსაც არ გავუცვლიდიო. ოღონდ როცა ბოზუელმა შეცდენა დაუპირა, მიზნის მიღწევა გასაკვირად იოლი აღმოჩნდა. მის დღიურებში ვკითხულობთ: "გუშინ დილაუთენია შევაღწიე მის საძინებელში და მხოლოდ ერთხელ მოვასწარი. ჯამში 13 გამოდის". სხვათა შორის, ბოზუელის ჩანაწერებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ტერეზა არც იმგვარი ბეჩავი ვინმე იყო, როგორც ბევრს ეგონა. ასე ჩანს, მას მართლა უყვარდა რუსო, მრავალმხრივაც პატივს სცემდა, მაგრამ მისივე მაგალითით ჭკუანასწავლი, ისევე იყენებდა, როგორც თავად რუსო სარგებლობდა ამ სიახლოვით. აი, ცხოველები კი რუსოს მართლა უყვარდა. იგივე ბოზუელი წვრილად მოგვითხრობს, თუ საათობით როგორ ერთობოდა თავის კატასთან და ძაღლებთან (ორი ჰყავდა, ჯერ *თურქი,* მერე *სულთანი*). რაც ადამიანებს ვერ დაახარჯა, იმ გრძნობას სულ თავის ცხოველებს უნაწილებდა, ლონდონშიც თან წაიყვანა და სწორედ ძაღლის საეჭვო წკმუტუნმა, ლამის იყო, დრური-ლეინის თეატრში ბ-ნი გარიკის მისდა საბენეფისოდ მოწყობილ წარმოდგენაზე წასვლა რომ გადააფიქრებინა.

რუსოს სხვა რამეებისათვისაც სჭირდებოდა ტერეზა — კათეტერის ჩადგმაში მიხმარებოდა, მაგალითად. ოღონდ ვერ იტანდა, თუ ვინმე რაიმე ყურადღებას მაინც გამოიჩენდა მის მიმართ. ერთი ყალიბა ატეხა, როცა გამომცემელმა კაბა გამოუგზავნა რუსოს "თანამდგომს", მადლიერების ნიშნად. მისთვის პენსიის დანიშვნის წინადადებაც ძირშივე უარყო, ვაითუ ჩემგან დამოუკიდებლად იგრძნოს თავიო. მაგრამ რუსოს ნამდვილი დანაშაული დედობის აკრძალვა იყო მისთვის. კაცმა რომ თქვას, სახელი რუსოს უმთავრესად ბავშვთა აღზრდის თეორიებით ჰქონდა გაგდებული — განათლება, როგორც მთავარი თეზისი — მაგრამ პირად ცხოვრებაში, ნაწერებისაგან განსხვავებით, ბავშვებისაკენ არც იხედებოდა. იმითაც არ დაინტერესებულა, საკუთარი იდეები მაინც შეემოწმებინა პრაქტიკაში. სიტყვით, როგორ არა, იმასაც კი ამბობდა, ბავშვებთან თამაშს არაფერი მირჩევნიაო, მაგრამ ერთი ანეკდოტური ამბავი ამ განცხადებასაც მეტად საეჭვოს ხდის: დელაკრუა, სახელმოხვეჭილი მხატვარი, იხსენებს: *ნაცნობი მეუბნებოდა, გუშინ რუსო დავინახე ტიუილრის ბაღში, ვიღაც ბავშვს ბურთი აუცდა და დიდ ფილოსოფოსს მოხვდა ფეხზე; იმდენად დაკარგა გონი, საბიჯგელით გამოენთო საცემრადო.* მართლაცდა, რაც ჩვენ ვიცით მისი ხასიათის თაობაზე, ძნელად რომ მისგან კარგი მამა გამოსულიყო; და მაინც, რაც მან თავისი ღვიძლი შვილების მიმართ მოიმოქმედა, პირდაპირ დამზაფრავია:

პირველი ტერეზასაგან ეყოლა, 1746-47 წწ. ზამთარში. ბიჭი იყო თუ გოგო, ამას ვეღარასოდეს გავიგებთ — სახელი არ დაურქმევიათ. რუსოს თუ დავუჯერებთ, "გული ეწურებოდა", მაგრამ "ტერეზასთვისავე სასიკეთოდ" იძულებული შეიქნა, ბავშვზე უარი ეთქვა. ჩვილს ნომერამოტვიფრული მუყაოს ნაჭერი ჩაუჩურთა ჩვრებში და ახალნამშობიარევ ქალს აიძულა, უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის კართან დაეტოვებინა ფუთა. მის ოთხ მომდევნო ნაშიერსაც იგივე ბედი ეწიათ, იმ განსხვავებით, რომ მათი დანომვრით აღარ აუტკივებია თავი. სახელიც არც ერთისთვის არ დაუნათლავთ. საეჭვოა, რომელიმე მათგანს დიდხანს ეცოცხლა: ამ დაწესებულების ანგარიში, 1746 წ. რომ გამოქვეყნდა ჟურნალში *Mercure de France,* ცხადყოფს, რა მოვლა-პატრონობაც ექნებო-

დათ... იქ წელიწადში 3,000 ბავშვზე მეტი აღირიცხებოდა და თავად რუსო აღნიშნავდა, წელს 5082 ბავშვი ჩაუბარებიათო. ამათგან 2/3 პირველსავე წელს იღუპებოდა; არსებული მონაცემებით, 100-დან 14 აღწევდა 7 წლის ასაკს, და 5 — ზრდასრულობას; ესენი კიდევ ან მათხოვრობდნენ, ან ქურდობაზე ისხდნენ ციხეში. რუსო არც არასოდეს დაინტერესებულა შვილების ბედით; მხოლოდ ერთხელ, 1761 წელს, როცა რაღაც ავადობისაგან ტერეზას თითქოს სააქაო პირი აღარ უჩანდა, სცადა ნომრის მიხედვით ეპოვა თავისი პირმშო, მაგრამ მალევე ჩაიქნია ხელი.

რაღა თქმა უნდა, რუსოს ამგვარი ქცევა მთლად შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა; კერძო წერილებში ორჯერ — 1751 და 1761 წწ. მაინც გახდა იძულებული, თავი ემართლებინა. მერე კიდევ, 1764 წელს, მისი ათეიზმის თაობაზე რუსოს გახშირებული თავდასხმებით გაბეზრებულმა ვოლტერმა ანონიმური პამფლეტი გამოაქვეყნა, სახელწოდებით *Le Sentiment des Citoyens,* სადაც ღიად სდებდა ბრალს ხუთი უმანკო ჩვილის დაღუპვის გამო. ოღონდ ცოტა ზედმეტი კი მოუვიდა — და ათაშანგით დაღდასმულ კაციჭამიად მოიხსენია — რითაც რუსოს ყველაფრის უარყოფა გაუადვილა. შემდგომ, 2-ჯერ *აღსარებასა* და სხვა ნაწერებშიც იგი კვლავ და კვლავ დაუბრუნდება ამ "ჩვილთა მოსწყვედნის" ბრალდებას, თუმცა ამით მხოლოდ გაიფუჭებს საქმეს — მისი სისასტიკე და ეგოიზმი აქ უკვე შეუნიღბავ თვალთმაქცობასთანაა წილნაყარი. ჯერ იყო და მის გარშემო შემოკრებილ ბიწიერ ინტელექტუალთა წრეს გადააბრალა ყველაფერი — აბა საკუთარ ბავშვთა თავშესაფარში მიგდების იდეა ჩემდათავად საიდან გამიჩნდებოდაო; მერე იმის გაგებინებას შეეცადა, თუ რამდენად "ხელისშემშლელი" იქნებოდა მისთვის ბავშვების ყოლა: "*როგორღა შევინარჩუნებდი აუძღვრეველ გონებას, განსჯისათვის აუცილებელს, თუკი თავი ოჯახზე ზრუნვითა და სმენა — ბავშვების ჭყიპინით მექნებოდა გამოჭედილი?.. არადა, იმაზეც ვფიქრობ, ვინ გაზრდიდა? განა შემეძლო ტერეზას დედისათვის, ამ ალქაჯისათვის, ან მისი ქურდი ძმისთვის მიმებარებინა?.. ბავშვები რომ მყოლოდა, დედამიწის ზურგზე არ იქნებოდა ჩემისთანა მოსიყვარულე მშობელი... საერთოდ, ნუთუ ჩემი ზნეობის პატრონს, ვინმემ შეიძლება ამისთანა რამ დამაბრალოს?!. შეუძლებელია! არა მჯერა! არა წამს მე, ჟან-ჟაკ რუსო, ამგვარ რამეს ფიქრადაც კი ვერ გავივლებდი...*"

რაკი საკუთარ სათნოებაზე კამათი თავად დაასრულა, რუსომ ახლა ზოგადად თავის იდეების დაცვასაც მოჰყვა; და სწორედ აქ, იქნებ უნებლიედაც კი, იგი საკუთარი პირადი პრობლემებისა და ზოგადად პოლიტიკური ფილოსოფიის ძირისძირ საკითხებს შეეხო. ჩვილების ტრაგიკული ამბავი არა მარტო მისი ხასიათის სიღჯუესა და გულქვაობას ააშკარავებს, არამედ სწორედ იმ საყრდენ წერტილს გვიჩვენებს, საიდანაც აირეკნა რუსოს პოლიტიკის თეორია და, შესაბამისად, სახელმწიფოს როლი მასში. რუსო საკუთარ თავს მიტოვებულ ბავშვად მიიჩნევდა; გარკვეული გაგებით, მთელი ცხოვრება ასეთად დარჩა — ქ-ნ ვარენსის ლამისაა დედის, ხოლო ტერეზას — ძიძის ფუნქციები ჰქონდათ მიკუთვნებული. "აღსარებაში" ამის უამრავ მტკიცებას წააწყდებით და მის გარშემო მყოფთაგან ბევრი სწორედაც რომ დიდი ბავშვივით ეპყრობოდა მას —

იგივე ჰიუმი, მაგალითად; ოღონდ მათ რუსო გულუბრყვილო, უვნებელი არსება ეგონათ, სანამ თავად არ იწვნიეს მისი სიავე. რაკიღა საკუთარ თავს მიიჩნევდა ბავშვად, ცხადია, რუსო ვერც ბავშვების აღრზდის უფლებას დაიჩემებდა. ვიღაცას უნდა ეკისრა ეს მის მაგივრად, და ეს *ვიღაც* სახელმწიფო იყო.

"*თუკი ჩემეულ მსჯელობას გამოყვებით, ირწმუნებთ, სავსებით მართებული ხელშეკრულება დამიდვია. განა პლატონიც ამას არ ამტკიცებს? სულაც არ უნდა მოეპყრათ ბავშვებს ნაზად და ფაქიზად — ეს მათ მხოლოდ ვნებთ. დამიჯერეთ, ასე უფრო ბედნიერნი იქნებიან. ნეტავი კი მეც თავშესაფარში მივებარებინეთ — ჩემთვისვე იქნებოდა უკეთესი*". ამგვარი მსჯელობითა და საკუთარი პასუხისმგებლობის სახელმწიფოზე გადაბარებით, რუსოს შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: "*ვფიქრობ, ამით მოქალაქეობრივი შეგნება გამოვიჩინე და ახლა პლატონისეული რესპუბლიკის წევრად ვრაცხ საკუთარ თავს*".

როგორც თავად ამტკიცებს, სწორედ ბავშვებზე ფიქრმა და საკუთარი ნამოქმედარის პირუთვნელმა შეფასებამ მიიყვანა იგი სწავლების იმ თეორიამდე, რაც *ემილში* აქვს ჩამოყალიბებული. ასევე, მის "საზოგადოებრივ ხელშეკრულებასაც" ატყვია იგივე განსჯის კვალი. ის, რაც თავიდან მხოლოდ საკუთარი უგვანი საქციელის გასამართლებლად წამოიწყო, ნელი-ნელ ჭკუაშიც დაუჯდა, მსჯელობის მწყობრ სილოგიზმებში გადაეზარდა და შედეგად, იმ თეზისად ჩამოუყალიბდა, რომ რაკიღა სწავლა-განათლებაა საზოგადოების სოციალური და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი ბერკეტი, ეს ტვირთი სწორედაც სახელმწიფომ უნდა ზიდოს. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს არა მარტო ბავშვთა გონების ფორმირება (როგორც ეს, სავარაუდოა, რუსოს ბავშვებს უქნა თავშესაფარში), არამედ ყველა ზრდასრული მოქალაქისაც. ასე და ამგვარად, არშემდგარი მამა-აღმზრდელის შერყვნილმა ცნობიერებამ, ლოგიკის უცნაური ჯაჭვის ხლართვით, იგი თავის იდეოლოგიურ პირმშოსთან — მომავალი ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეასთან მიიყვანა.

თეორიული მოსაზრებებიდან მცდარი და ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა რუსოს იმთავითვე ახასიათებდა, რადგან ბევრის მხრივ წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული მწერალი გახლდათ. ერთგვარად, სახელის მოსახვეჭელად ამან კარგი სამსახურიც გაუწია — აკადემიურ მოაზროვნეთ აკი მუდამ ხიბლავდათ "პრობლემების" ირგვლივ მსჯელობა... ასე მაგალითად, ზოგან რუსო კონსერვატორის პოზაში დგება, ყოველგვარი რევოლუციის მოწინააღმდეგედ აცხადებს თავს: "*იმის ფიქრიც კი შზარავს, რა იქნება, ხალხის მასები თუ ამოძრავდა; ხალხი რომ ამბოხს აწყობს, მერე იმათ ბარდება, ვინც მათ ორმაგ ბორკილებს ადებს; არავითარი სურვილი არ მაქვს, რაიმე შეთქმულებას შევუერთდე — ამ გზას მხოლოდ არევ-დარევის, ძალმომრეობისა და სისხლისღვრისაკენ მივყავართ; თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასად მიღწეული, მთელი კაცობრიობის თავისუფლებაც არაფრად მიღირს...*" სხვაგან პირწავარდნილი რადიკალია: "*ეს სწორედ თქვენი ფენაა, მდიდართა ფენა, მაღაროებში ლუკმას რომ ჰპარავს ჩვენს ბავშვებს... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველა*

მქონებელსა და სვებედნიერს, სწორედ ჩემს ხარჯზე მიეღწიოს სიმდიდრისა და წარმატებისთვის... ეგენი დამშეული მგლებივით არიან — ერთხელ თუ იგემეს ადამიანის ხორცი, სხვა საკვებს პირს აღარც დააკარებენ"... საერთოდ, მისი კვეთილი აფორიზმები, რაც ასე იზიდავდა მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, სწორედაც რადიკალური შინაარსით გამოირჩეოდა: "*მიწის ნაყოფი ყველა ჩვენგანს ეკუთვნის — მხოლოდ მიწა არ შეიძლება ეკუთვნოდეს ვინმეს", "ადამიანი თავისუფალი იბადება, ბორკილებს მას მერე ადებენ".* ფრანგული ენციკლოპედიისათვის დაწერილ *პოლიტიკური ეკონომიის* ფორმატში შეჯამებულია მისი შეხედულება მმართველი კლასის დამოკიდებულებაზე სხვათა მიმართ: "*თქვენ ჩვენ გჭირდებით, ვინაიდან ღარიბები ხართ, ჩვენ კი — მდიდრები; შევთანხმდეთ: ნებას მოგცემთ გვემსახუროთ, ოღონდაც ყველაფერი უნდა გადმოგვცეთ, რაც კი რამ გაგაჩნიათ — თქვენზე ბატონობის გასამრჯელოდ".*

ახლა, რაკიღა ჩავხვდით, რა ტიპის სახელმწიფოს აშენება სურდა რუსოს, მისი შეხედულებებიც გასაგები ხდება: საჭირო იყო არსებული საზოგადოების სრულიად სხვა, პრინციპულად ეგალიტარულ ჩარჩოში მოქცევა — ოღონდ ისე, რომ ჯანყსა და რევოლუციას მისი საფუძვლები ძირშივე არ მოერყია. მდიდართა და პრივილეგირებულთა მმართველობა შეიცვლებოდა საყოველთაო ნების გამომხატველი სახელმწიფო წყობით, რომლის მორჩილებაც ასევე საყოველთაო თანხმობით მიიღწეოდა; ამგვარი თანხმობა და მორჩილება კი ნებსითი და თავისთავადი მოთხოვნილებით იქნებოდა განპირობებული, რადგანაც თავად სახელმწიფო, კულტურის წარმართვის სისტემური პროცესის მეშვეობით, ყველა სულდგმულში სათნოებას დაამკვიდრებდა. სახელმწიფო მამა იქნებოდა — patrie, ხოლო მოქალაქეები — მის მეურვეობას თავშეფარებული ბავშვები (სწორედ აქედან მოდის დრ. ჯონსონის თითქოსდა ბუნდოვანი რემარკა, რომ **"გაიძვერას ბოლო თავშესაფარი — პატრიოტიზმია"**. რუსოს საკუთარ ბავშვებისაგან განსხვავებით, ამგვარ მოქალაქე/ბავშვებს მართლაც აწყობთ თავშესაფარ/სახელმწიფოში გაერთიანება — საერთო ნებით, მის კანონიერებას აღიარებენ და შედეგად, ხმაც აღარ ამოეღებათ: რაკიღა კანონები მოითხოვეს, მორჩილებაც მართებთ.

მართალია, რუსო ამ *საყოველთაო ნებას* თავისუფლების გამოხატვად აცხადებს, სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, თუ არა ავტორიტარიზმის იარაღი, ლენინისეული "დემოკრატიული ცენტრალიზმის" პროტოტიპი. ჯერ ის რად ღირს, რომ ამ საყოველთაო ნებით მიღებული კანონები, უცილობლობის წესით, ზნეობრივადაც შეუვალად ცხადდება: "*ხალხი, თუ საკუთარი თავისთვის ქმნის კანონს, შეუმცდარია"; "საყოველთაო ნება არ შეიძლება უსამართლო იყოს"* და ა.შ. მეტიც, რაკიღა "სახელმწიფო მუდამ *საყოველთაო ნების* ებგურია, მისი გააზრება-გადააზრებაც სავსებით შეგვიძლია ხალხის რჩეულთ გადავაბაროთ, რადგან ცხადია, *საყოველთაო ნება* ყოველთვის იმ გადაწყვეტილებისაკენ უბიძგებთ მათ, რაიც, სამომავლოდ, ყველასათვის სასიკეთო აღმოჩნდება". აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ინდივიდი, ვინც *საყოველთაო ნებას* არ ეთანხმება, ძირისძირშივე მცდარ გზას ადგას: "*თუკი მე უმცირესობაში ვარ, ეს პირდაპირ მიმანიშნებს, რომ ვცდებოდი — ჩემი ნება საყოველთაო არ ყოფილა*". აქ

უკვე ართურ კესტლერის "ბნელეთი" ან ჯორჯ ორუელის "ენაახლი" გაგახსენდება კაცს...

რუსოს ნასურვები სახელმწიფო უბრალოდ ავტორიტარული კი არაა — იგი უკვე ტოტალიტარულის ნიშნებს შეიცავს, რადგანაც ადამიანის აქტივობის ყველა ასპექტს განაგებს, მათ შორის — აზროვნებასაც. საზოგადოებრივი ხელშეკრულების თანახმად, ინდივიდი ვალდებულია "ყველა უფლება და საკუთარი თავიც ერთიან საზოგადოებას (ე.ი. სახელმწიფოს) გადასცეს. რუსო იმაზე წუხდა, რომ ძირეულ უთანხმოებას ხედავდა ადამიანის *ბუნებრივ ეგოიზმსა* და მის საზოგადოებრივ მოვალეობებს შორის, რაც, მისი აზრით, კერძო ადამიანს ზოგადად მოქალაქისაგან განასხვავებდა. სწორედ ამისათვის, ანუ ადამიანის "გასამთლიანებლად" იყო მოწოდებული სახელმწიფო: "*პიროვნება ერთიანი უნდა იყოს, და მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილად ბედნიერი; ან თავ-ფეხიანად სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს, ან მისსავე თავს შეატოვო, მაგრამ თუ სურვილებს განუცალკევებ — ორად გახლეჩილი გულიღა შეგრჩება ხელში. მაშასადამე, ნებისმიერ მოქალაქეს, როგორც ბავშვს, ისე უნდა მოეკიდო: გამოზარდო, აკონტროლო მისი ფიქრები, საზოგადოების კანონები გულის ფიცარზე ამოუჭრა; მაშინ გახდება ადამიანი "საზოგადოებრივი ცხოველი" თავისი ბუნებით და მოქალაქე — საკუთარი სურვილის თანახმად. ის ერთი მთლიანი იქნება, ზნეკეთილი, ბედნიერი და ამ ბედნიერებას სახელიც ექნება — **რესპუბლიკა**."*

დიადი მიზანი ტოტალურ მორჩილებას მოითხოვდა. რუსოს მიერ მომზადებული კორსიკის კონსტიტუციის პროექტში, საზოგადოებრივი ხელშეკრულების ფიცი ასე ჟღერს: "მე, ჩემი სხეულით, გულითა და სულით, ქონებითა და შესაძლებლობით, ყველა სიკეთით რაც კი გამაჩნია, ვუერთდები კორსიკელ ერს, მის მფლობელობაში გადავცემ ჩემს თავს და ყველას, ვინც კი ჩემზეა დამოკიდებული." ამგვარად, სახელმწიფო სრულად აკონტროლებს ეკონომიკასა და საზოგადოებას, ცხოვრება ხდება სპარტანული და ანტი-ურბანისტული, ხალხს მხოლოდ სპეციალური ნებართვით ექნება ქალაქში შესვლის უფლება — ამგვარი იყო რუსოს მიერ დასახული კორსიკის მომავალი... მოკლედ, კამბოჯაში პოლ პოტის რეჟიმის წინამორბედობას ბევრი არც აღარაფერი უკლდა! ახლა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, პარიზში სწავლა-განათლებამიღებული "ხალხის რჩეულნი" უკლებლივ რომ იზიარებდნენ რუსოს იდეებს... თავად რუსოსაც გულუბრყვილოდ სჯეროდა, თითქოს ამგვარი სახელმწიფო "კეთილად ეთნეოდა ყველას, რაკიღა ხალხი ნაწრთობი იქნებოდა სწორედ მის მიმართ სასიყვარულოდ". იგი არ წერს — *ტვინგამორეცხილიო,* ეს ტერმინი ჯერ არც არსებობდა, მაგრამ აზრი ზუსტად იგივეა: "*ის, ვინც ხალხის აზრს წარმართავს, მის ქცევასაც გააკონტროლებს*". ეს კი მოქალაქეებისადმი, როგორც სახელმწიფოს კუთვნილი ბავშვებისადმი მოპყრობით მიიღწეოდა, მათთვის "*სახელმწიფოს სხეულისადმი სრული თანშეწყობა უნდა შთაენერგათ ჩვილობიდანვე: ისინი არაფერს უნდა წარმოადგენდნენ მის გარეშე, და მაშინ მხოლოდ მისთვის იარსებებენ. ის იქნება მათი ყველაფერი და ისინიც ყველაფერს გაიღებენ მისთვის*" — ეს უკვე მუსოლინის მთავარ დებულებას ეხმიანება: "ყველანი სახელმწიფოს ფარგლებში, არაფერი სახელმწიფოს გარეშე, არაფერი სახელმ-

წიფოს საწინააღმდეგოდ". ამისათვის ისევ მოქალაქეების, როგორც ბავშვების, აღზრდის საკითხი დგება და ეს გახლდათ სწორედ საზოგადოების აზროვნებაში რუსოს მიერ რევოლუციური გადატრიალების გამომწვევი იდეა — პოლიტიკური პროცესი მან ადამიანური ყოფის ქვაკუთხედად აქცია და საყოველთაო კანონმდებელს, იგივე აღმზრდელს, მესიის როლი მიაკუთვნა — დილემა *ახალი ადამიანის* შექმნის გზით უნდა გადაჭრილიყო. "*ყველაფერი პოლიტიკაზეა* დამოკიდებული," — წერდა რუსო, — "*სათნოება კარგი ხელისუფლების ნაყოფია მხოლოდ; ბიწიერება ზოგადად ადამიანებს კი არა, ცუდად მართულ მოქალაქეებს ახასიათებთ".* მასასადამე, პოლიტიკური პროცესი და ეს ახალი სახელმწიფო პირდაპირ მისწრება იქნებოდა კაცობრიობის ყოველგვარი მანკიერების სამკურნალოდ. შეიძლება ითქვას, სწორედ რუსომ მოუმზადა ნიადაგი აზროვნების იმ გზათა სიმრუდეს და ტვინთა ღრძობას, რამაც მერე XX საუკუნეში იჩინა თავი.

რუსოს ცხოვრებაშივე კერპად ქცევის, ასევე, სიკვდილის შემდეგ მისი იდეების ზეგავლენა საზოგადოებაზე დამთრგუნავ შეკითხვებს გვიჩენს ადამიანის უნარის თაობაზე, იოლად უარჰყოს ის, რისი დანახვაც არ სურს. რუსოს პოპულარობა ბევრად იყო დამოკიდებული მისმიერ მტკიცებაზე, რომ იგი არა უბრალოდ სათნო და უდრეკი ბუნების ადამიანია, არამედ უსათნოესია და სწორუპოვარი თანამედროვეთა შორის. როგორღა გაძლო ამ ხელთქმნილმა კერპმა, როცა მისი ხასიათის სისუსტეებიცა და ზნეობის ბიწიერებაც საყოველთაო განსჯის საგანი გახდა? ბოლო-ბოლო, ვინც მას ამხელდა, არც მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ და არც ვიღაც შემთხვევითი ხალხი — ყველა მათგანი მისი ყოფილი მეგობარი, შემწე და საზოგადოებისათვის ჩენილი პიროვნება გახლდათ. არც მათი ბრალდებები იყო რიგითი და საერთო დასკვნაც — უმკაცრესი. იგივე დეივიდ ჰიუმი, ვინაც რუსო, ახლოს გაცნობამდე, ზრდილ, თავმდაბალ, მოსიყვარულე და ზემგრძნობიარე პიროვნებად მიიჩნია, საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ "ეგ თვითონაა ნამდვილი ურჩხული, საკუთარ თავს ერთადერთ მნიშვნელოვან მოვლენად რომ სახავს სამყაროში"; არც დიდრო იშურებს უარყოფით ეპითეტებს: “მატყუარა, ამაოებით სავსე, უმადური, გულღრძო, გაქნილი და გულბოროტი...” გრიმს ის მხოლოდ "საძაგელ და მიუღებელ" პიროვნებად უჩნდა; ვოლტერს — "ამაოების განმსახიერებელ გველეშაპად". ყველაზე სევდისმომგვრელი კი ქ-ნ დ'ეპინეს, იმ გულკეთილი ქალის ნათქვამია, ვინც იმთავითვე უანგაროდ გვერდში ედგა ახალგაზრდობაში: "აღარაფერი დამრჩენია თქვენთვის, სიბრალულის გარდა". და ეს მძიმე ბრალდებებიც ფილოსოფოსის აზრებს კი არა, მხოლოდ მის ქცევას ეხება; ბოლო ორასი წლის განმავლობაში სწავლულთა მიერ განჩხრეკილი მასალებიც იგივე ჩამონათვალს გვთავაზობს — *მაზოხისტი, ეგზიბიციონისტი, ნევრასთენიკი, ჰიპოხონდრიით შეპყრობილი, ონანისტი, მამათმავლობისადმი მიდრეკილი, პარანოიკული იდეების მქონე, ნარცისიზმამდე მისული ინტროვერტი, კლეპტომანიაკი, ინფანტილური, ყოვლად გამაღიზიანებელი ხასიათის მქონე, მედიდური და საცოდავი პიროვნება.* ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი სიაა...

მაგრამ ყველაფერი ეს არაფერს ნიშნავდა და ახლაც არაფერს ნიშნავს რუსოს იდეათა შთაბეჭდილების ქვეშ მოქცეული ხალხისთვის. ცხოვრებაში, რამდენ

მეგობარ-ახლობელს არ უნდა გადამტერებოდა, მალევე პოულობდა შემცვლელს — თაყვანისმცემლებს, მოწაფეებს თუ უბრალოდ, მოდას აყოლილ დიდგვაროვანთ, ვინც ღამისსათევს, საჭმელ-სასმელსა და, რაც მთავარია, გუნდრუკის კმევას შესთავაზებდა. მისი საფლავიც უმალ მიმლოცველთა მოსახილავ ადგილად იქცა — ევროპის კიდით-კიდედან მოედინებოდა ხალხი, როგორც შუასაუკუნეების ხანის ვინმე წმინდანის სამლოცველოსთან. ამ თავგადაკლულთა მოგონებები, ერთის მხრივ, მართლა შთამბეჭდავი კია: "*მუხლებზე დავეცი... კვარცხლბეკის ცივ ქვას დავეკონე ტუჩებით... კარგა ხანს ვიყავ ასე, გარინდული".* მისი ნივთები — სათუთუნე და ქოთანი "წმინდა ალაგს" (სწორედ ასე იხსენიებდნენ) ინახებოდა სასოებით. როგორ არ გაგახსენდეს ერაზმ როტერდამელი და ჯონ კოლეტი, წმ. ტომას ბეკეტის საფლავი რომ მოინახულეს კენტერბერიში 1512წ., და მომლოცველთა წრეგადასულმა თაყვანისცემამ ორივე რომ აღაშფოთა. ყურებს თუ დაუჯერებდნენ, "წმ. რუსოს" სახელდება რომ გაეგონათ (სწორედაც ასე იხსენიებდა მას ჟორჟ სანდი) და ისიც რეფორმაციის 300 წლის თავზე? რაღა თქმა უნდა, მისი ნეშტის პანთეონში გადასვენება კიდევ ნავთზე ცეცხლის გადასხმას უდრიდა. თვით კანტისთვის იგი, თურმე, "მგრძნობიარე სულის განუმეორებელი სრულყოფილების" განსახიერება ყოფილა; შელისათვის — "გენიის მწვერვალი"; შილერისათვის — ქრისტესმიერი პიროვნება, "ვისთვისაც მხოლოდ ზეციურ ანგელოსთა შორის იყო ადგილი"; ამათ, მაინცადამაინც, არც ჯონ სტიუარტ მილი, ჯორჯ ელიოტი, ვიქტორ ჰიუგო თუ ფლობერი ჩამორჩნენ. ტოლსტოიმ განაცხადა, *მხოლოდ რუსომ და სახარებამ იქონიეს ჩემს ცხოვრებაზე სასიკეთო გავლენაო.* ჩვენი დროის ერთი უგავლენიანეს ინტელექტუალთაგანი, კლოდ ლევი-სტროსი თავის ნაშრომში Tristes Tropiques, ამგვარ რამეს გვამცნობს: "*ის ჩვენი მასწავლებელი და სამარადჟამო მეგობარია... ამ წიგნის ყოველი გვერდი შეიძლებოდა მისთვის მიმეძღვნა, მისი დიადი ხსოვნის ღირსად რომ მიმაჩნდეს..."*

გამაოგნებელია, რაღა თქმა უნდა; ისღა დაგვრჩენია ვაღიაროთ, ინტელექტუალიც ისეთივე ალოგიკური, დაუჯერებელი, ცრურწმენებით აღსავსე არსებაა, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი. რუსოც, ჩანს, მწერლობის უაღრესი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ოღონდ როგორც პირადი ცხოვრება, ასევე მსოფლმხედველობაც გვარიანად მოუწესრიგებელი ჰქონდა. ასე მგონია, ყველაზე უკეთ ბოლოს იგი ერთმა ქალბატონმა, სოფი დ' უდეტომ დაახასიათა (სწორედ მასზე უთქვამს რუსოს, *ჩემი ერთადერთი სიყვარულიო*) — ღრმა მოხუცებულობაში, სიკვდილის წინ მას შემდეგი დასკვნა გამოუტანია: "ისეთი უგვანი ვინმე გახლდათ, სიყვარულიც ვერ აკეთილშობილებდა; თან ძალზე მგრძნობიარეც... მუდამ ვცდილობდი, ფრთხილად და ნაზად მოვპყრობოდი. ნამდვილი შერეკილი, მაგრამ საინტერესო ვინმე კი იყო...".

ნოვეული

მოთხრობები



მეზღვაური ამსტერდამიდან

ინდონეზიიდან მომავალი, სანელებლებით დატვირთული ჰოლანდიური ბრიგი "ალკმაარი" სისხამ დილით მოადგა საუთჰემპტონის ნავსადგურს. ინგლისში გემი დიდხანს დგომას არ აპირებდა — ტვირთს მოუთმენლად ელოდნენ როტერდამელი კომერსანტები; მაგრამ კაპიტანმა გადაწყვიტა, მომქანცველი რეისის შემდეგ ბიჭებს დასვენება არ აწყენთო.

როგორც კი ჩასვლის ნებართვა მიიღეს, "ალკმაარის" ეკიპაჟი გუნდგუნდად დაიძრა ტრაპისკენ. მათ შორის ერთი ჟღალწვერა გოლიათი გამოირჩეოდა, სახელად ჰენდრიკ ვესტიგი: მარჯვენა მხარზე პატარა მაიმუნი ეჯდა, მარცხენაზე — მწვანე *არრა*,* ზურგზე კი ინდური დიბა-ატლასით დატენილი აბგა მოეგდო.

ადრეული გაზაფხულის საღამო იდგა. ჰენდრიკ ვესტიგი არხეინად მიაბიჯებდა ქვაფენილზე, თუმცა გაზის ლამპიონების ბჟუტავი შუქი ძლივასღა ატანდა ქუჩებში ჩამოწოლილ ბურუსში. მიდიოდა მეზღვაური, აგონდებოდა მშობლიური ამსტერდამი, სახლი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, აგონდებოდა ერთი ქერათმიანი ქალიშვილი — მისი საცოლე, მესამე წელია რომ ელოდა ჰენდრიკის დაბრუნებას...

ებავ-ბარ-როუდზე ვიღაც კარგად ჩაცმულმა მამაკაცმა გააჩერა:

— თუთიყუშს ყიდით?

მეზღვაური შეყოყმანდა. უნდოდა ერთად დაეცალა ხელიდან მთელი ეს უცხო საქონელი. სწორედ ამ მიზნით გავიდა ქალაქში, წინასწარ დაიანგარიშა კიდეც, რამდენი ფუნტის მოგება შეეძლო. . .

გამოჩენილი ფრანგი პოეტის ამ პაწია მოთხრობას, რომელიც შავი ნოველის ცნობილ ანთოლოგიაშია შეტანილი, ედგარ პოს "დამზაფრავი ამბების" აშკარა გავლენის დაღი ატყვია და თან პაროდიული ჟღერადობაც ალალად დაჰკრავს...

---

* მოლაპარაკე თუთიყუშის ჯიშია ერთგვარი (მთარგ. შენ.)

— თვალში მომივიდა ეგ თქვენი თუთიყუში, — განაგრძობდა უცნობი, — სწორედ ისეთია, მე რომ მჭირდება. მარტო ვცხოვრობ და ხმის გამცემი არავინა მყავს... მომყიდით?

როგორც ყველა ჰოლანდიელი მეზღვაური, ჰენდრიკ ვესტიგიც რიგიანად ლაპარაკობდა ინგლისურს:

— ბატონი ბრძანდებით, — უთხრა, — გააჩნია, რამდენს გადამიხდით.

თანხაზე არ უვაჭრიათ — უცნობი ჯენტლმენი შემოთავაზებულ საფასურს მაშინვე დაყაბულდა.

— ოღონდ ჩემსას წავიდეთ, ბარემ ქსოვილებსაც ვნახავდი, იქნებ მომეწონოს კიდეც რამე.

იღბლიანი დასაწყისით გახარებული ჰენდრიკ ვესტიგი დაუფიქრებლად მიჰყვა უცნობს. გზად მაიმუნს ყოველმხრივ უქებდა ხასიათს და ამტკიცებდა, ეს ჯიში სხვებთან შედარებით ინგლისის ჰავას უკეთ იტანს და იშვიათი ერთგულიცაა პატრონისო. მაგრამ ქება მალე შეწყვიტა — დარბაისელი ჯენლტმენი აინუნშიაც არ აგდებდა მეზღვაურის ლაქლაქს, თითქოს ხმაც კი არ ესმოდა მისი.

მთელი საათი იარეს ასე უბრად. მხოლოდ ნოტიო ნისლით შეწუხებული მაიმუნი წრიპინებდა დროდადრო, ან თუთიყუში თუ ააფრთხიალებდა ფრთებს. უსაშველოდ გაჭიანურებული დუმილისგან მეზღვაურმა, ცოტა არ იყოს, უხერხულადაც კი იგრძნო თავი.

— საცაა მივალთ.

მეგზურის ასე მოულოდნელად დაგდებულმა სიტყვამ შეაკრთო კიდეც ჰენდრიკი. ისინი უკვე ქალაქის შემოგარენში იყვნენ და გზას ორთავე მხრიდან რკინის მესერით შეღობილი სკვერი ჩასდევდა. ბურუსით მოცულ ხეებს შორის აქა-იქ მწვანეში ჩადგმული კოტეჯების საბუხრე მილები ილანდებოდა, ხოლო უკან დარჩენილი ნავსადგურიდან ხანგამოშვებით აღწევდა ზღვაში გამავალი გემების გამყივანი საყვირის ხმები.

ერთ-ერთ ჭიშკართან უცნობი შეჩერდა. ჯიბიდან გასაღები ამოიღო, კარი გააღო და მეზღვაური თავაზიანი ჟესტით გაატარა წინ. მერე ისევ საგულდაგულოდ ჩარაზა კლიტე. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა. ეზოს სიღრმეში პატარა, მოხდენილი სახლი იდგა, მჭიდროდ დახურული დარაბებიდან ოდნავი სინათლეც არ გამოკრთოდა.

უცნობი ჯენლტმენი, მისი სიტყვაძვირობა, უკაცრიელი სახლი — ყოველივე ამას იდუმალების ელფერი დაჰკრავდა. ჰენდრიკ ვესტიგი, ცოტა არ იყოს, შეჩქვიფდა კიდეც, მაგრამ მყისვე გაახსენდა უცნობის ნათქვამი — მარტო ვცხოვრობო და გული დაიმშვიდა — რომელი ნაბობი მე ვარ, გაძარც-

ვის მეშინოდესო. “ერთი ვიღაც ახირებული მილიონერია ეტყობა.” — დაასკვნა ბოლოს და აწკმუტუნებულ მაიმუნს დაუცაცხანა.

* * *

მეზღვაური საბოლოოდ დამშვიდდა, როცა მასპინძელს ჰოლში შეჰყვა და სანათის შუქზე გემოვნებით მორთული ოთახს ჰკიდა თვალი — ასეთი მყიდველის ხელში გაუსაღებელი საქონელი მართლა არ უნდა დარჩენოდა.

უცნობი მცირე ხნით გავიდა ოთახიდან და მოოქროვილი გალიით ხელში დაბრუნდა.

— თქვენი ხელით ჩასვით, — თქვა და გალია მაგიდაზე შემოდგა. — არ მინდა მივეკარო, სანამ არ მომეჩვევა. მერე კი ლამფა აიღეთ და გამომყევით, მეზობელ ოთახში დიდი მაგიდაა, ქსოვილებს იქ გავსინჯავ.

ჰენდრიკიც უსიტყვოდ დაჰყვა მასპინძლის ნებას, მაგრამ გადააბიჯა თუ არა ზღურბლს, ზურგსუკან გასაღების ჩხაკუნი გაისმა. მოიხედა — ოთახში მის გარდა არავინ იყო. შეცბუნებული გაჩერდა; მიხვდა, საგანგებოდ შემოიტყუეს აქ, მაგრამ რა მიზნით, ეგ კი ვეღარ ამოეცნო.

მოულოდნელად, ოთახის მოპირდაპირე მხრიდან დაგუდული კვნესა შემოესმა. ჰენდრიკმა მაგიდას შემოუარა, კედლის გასწვრივ გაბმული ფარდის კუთხე ფრთხილად გადასწია. ლამფის შუქმა ჩაბნელებული სივრცე გაკვეთა და მეზღვაურის წინაშე დამზაფრავი სურათი გადაიშალა...

უზარმაზარ, მთლიანი აბანოზის ხისგან გამოთლილი ჯვარცმის ქვეშ, თურანულ ტახტზე დედიშობილა დაეკრათ ნაცემ-ნაბეგვი ახალგაზრდა ქალი. უეცრად ჯვარცმამ დაიჭრიალა, ხე შუაზე გაიპო და გაოგნებული ჰენდრიკ ვესტიგის თვალწინ, კედელში დატანებული სარკმლიდან დამბაჩიანი ხელი გამოჩნდა. ლულა მეზღვაურის ზედ შუბლს იყო გასწორებული.

— ახლა ყურადღებით მისმინეთ და რასაც გეტყვით, სიტყვაშეუბრუნებლად შეასრულეთ — ოდნავი შეყოვნება და ადგილზე გაგათავებთ!

ჰენდრიკმა თავისი იდუმალი მასპინძლის მჭახე ხმა შეიცნო.

— სასთუმალთან ორლულიანი დამბაჩა დევს, ოღონდ ერთადერთი ტყვიაა შიგ... თუ სამსახურს გამიწევთ, არ დაგეკარგებათ, ან სხვა რა გზა გაქვთ? ჯერ კი ქალს პირი აუხსენით.

მეზღვაურმა სასთუმალისკენ გაიწია, დამბაჩის ცივ ტარს ჰკიდა ხელი და ერთი კი გაივლო გულში, იქნებ გასროლა დავასწროო, მაგრამ ეს ფიქრი იყო და იარაღის ტუჩი ზედ საფეთქელზე მიებჯინა.

— ნუ სულელობთ! თუ დამიჯერებთ, თქვენთვისვე იქნება უკეთესი.

ჰენდრიკს ცივმა ოფლმა დაასხა. სასწრაფოდ შეხსნა ქალს პირზე აკრული ხილაბანდი და ქანდაკივით გაირინდა.

— არა, მორის, ჩემი ბრალი არ არის. . . არაფერი დამიშავებია! ხომ მეუბნებოდი, დავივიწყოთ რაც მოხდა და თავიდან დავიწყოთ ყველაფერიო! ნუთუ მატყუებდი, მორის?! — ქალის სასოწარკვეთილი სახე მხეცსაც კი მოულბობდა გულს.

— თქვენი არაფერი მჯერა, — ცივად გაეპასუხა ხმა კედლის მიღმა.

— ჩემი ბრალი არ არის, მორის!.

— ეს თქვენი უკანასკნელი სიტყვები იქნება... ჩემს გარდა მათ ვეღარავინ გაიგონებს, ვეღარასოდეს!.

— ჩემი ბრალი არ არის მორის, — საწყალობლად გაიმეორა ქალმა. თმაგაშლილი, ნატანჯი, მაინც მომაჯადოებლად მშვენიერი იყო.

— მაგას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, გადაწყვეტილია ყველაფერი — ჩემი ხელით მოგკლავდი, მაგრამ... არ შემიძლია, ჯერ ისევ მიყვარხარ!

ოთახში ავბედითი სიჩუმე ჩამოვარდა. ჰენდრიკს რაღაც მძიმე წინათგრძნობამ გული მოუკუმშა.

— ახლა შენი ჯერია, მეზღვაურო! — გაისმა ისევ, — სამამდე ვითვლი: თუ მესამე თვლაზე, მაგ დედაკაცს შუბლში ტყვიას არ დააჭედებ, ძაღლივით მოგკლავ! ერთი... ორი...

ცხოველური შიშით ატანილმა ჰენდრიკმა აკანკალებული ხელით გამოჰკრა ჩახმახს. იმწამსვე სარკმლიდანაც იჭექა დამბაჩამ და საფეთქელგახვრეტილი მეზღვაური საკუთარ მსხვერპლს გადაემხო. სამარისებულ სიჩუმეში მხოლოდ პატრონის სვიტრის ქვეშ შემალული მაიმუნის წკმუტუნიღა ისმოდა.

* * *

მეორე დღეს, საუთჰემპტონის არისტოკრატულ გარეუბანში, შემთხვევით გამვლელებს ერთ-ერთი კოტეჯიდან უცნაური ხმები შემოესმათ და მაშინვე კონსტებლს უხმეს. ცარიელ სახლში ახალგაზრდა, მომხიბვლელი ქალისა და ვიღაც მამაკაცის შიშველი გვამები აღმოაჩინეს. ჩაკეტილ ოთახში შიშისგან თავზარდაცემული პატარა მაიმუნი კედლებს აწყდებოდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მამაკაცმა ჯერ ქალი მოკლა, ხოლო შემდეგ თავიც მოიკლა. დაღუპულთა ვინაობა მალე გაარკვიეს, მაგრამ ამ უცნაური დრამის ზოგიერთი მხარე მაინც საიდუმლოებით მოცული დარჩა. გაუგებარი იყო, როგორ აღმოჩნდა ინგლისის პერის მეუღლე — ლედი ფინგალი მიტოვებულ კოტეჯში, ერთი დღის ჩამოსულ ვინმე ჰოლანდიელ მეზღვაურთან ერთად...

კოტეჯის მეპატრონის ჩვენებამაც ვერაფერი შემატა ძიებას. მისი თქმით, აქაურობა უბედურ შემთხვევამდე ათი დღით ადრე იქირავა ვინმე კოლინზმა მანჩესტერიდან, რომლის კვალსაც ვერ მიაგნეს. მეპატრონემ კოლინზი დაახასიათა როგორც ზრდილი, სიტყვაძვირი პიროვნება, ერთობ თვალშისაცემი ხუჭუჭა წვერით, თუმცა წვერი შეიძლება ყალბიც ყოფილიყო.

ლორდი ფინგალი შეტყობინებისთანავე ჩამოვიდა ლონდონიდან. უსაზღვრო იყო მისი მწუხარება — საბრალო პირდაპირ აღმერთებდა თავის ცოლს. ამ ტრაგედიის მერე იგი საერთოდ განერიდა საზოგადოებას, ხელი აიღო ბრწყინვალე კარიერაზე და განდეგილივით განმარტოვდა კენსინგტონის საგვარეულო ციხე-კოშკში, სადაც ახლა მხოლოდ მოხუცი, სმენანაკლული კამერდინერი ემსახურება. არავინ იზიარებს მის სიმარტოვეს — ჟამი-ჟამ მხოლოდ მწვანე თუთიყუში ეხმიანება ინგლისის გულჩათხრობილ პერს: “ჩემი ბრრალი არ არ-რი, მორრის. . . ჩემი ბრრალი არ არ-რი, მორრის”...


ФАЙ

ართურ კონან დოილი

კარამაზოვების საქმე

წლების მანძილზე ბ-ნ შერლოკ ჰოლმსთან ახლო ნაცნობობა და, გავბედავ ვთქვა, უჩვეულო მეგობრობა მაკავშირებდა. ჩვენმა ხანგძლივმა ურთიერთობამ ერთი პირობა დღიურების წერაც კი მაფიქრებონა და ამას წინებზე, ძველ ჩანაწერებს რომ ვათვალიერებდი, რამდენიმე გახუნებულ ფურცელს გადავაწყდი. ფერგადასულმა სტრიქონებმა ნოემბრის ერთი შორეული, წვიმიანი დღე გამახსენა, როცა მე და ჰოლმსი აგიზგიზებულ ბუხარს ვუსხედით, ჩვენი კეთილი დიასახლისი, მისის ჰადსონი სამზარეულოში დაფუსფუსებდა, ხოლო გარეთ, ბეიკერ-სტრიტზე, გაზის ლამპიონების ისედაც მქრქალი შუქი ლონდონის ნოტიო ნისლში ძლივსღა ბჟუტავდა.

ის დღე ფათერაკებით სავსე ჩვენი ცხოვრების რიგით დღეებს რაღაც არ ჰგავდა: ჰოლმსი უსაქმოდ იყო, თავის ცნობილ დედუქციურ მეთოდს ვერაფერში იყენებდა და უკვე იმასაც ვეჭვობდი, როდის გახსნიდა ნესესერს, როგორც ეს ადრეც ბევრჯერ მოუმოქმედია და ყალიონს ჰაშიშით გააწყობდა. დროდადრო მალულად გავხედავდი ხოლმე, მაგრამ ამჯერად ამ მანკიერი ჩვევის დაყოლას, ეტყობა, არ აპირებდა — მშვიდად იჯდა სავარძელში, ნიკაპქვეშ თავისი საყვარელი, დი მაჯიოს ნახელავი ვიოლინო ამოედო და თვალებმინაბული, სიმებს აწრიპინებდა. ბოლოს სრულიად თავდაჯერებულმა გადავწყვიტე, ჩემმა ადრინდელმა შეგონებებმა გაჭრა-მეთქი და გულდამშვიდებული, კვლავ იმ წიგნს მივუბრუნდი, მთელი ეს ბოლო კვირა რომ დიდის ინტერესით ვკითხულობდი. როგორც იქნა, უკანასკნელი გვერდიც გადავფურცლე და წიგნი დავხურე, თუმც ერთხანს კიდევ დავყურებდი მის მოვარაყებულ გარეკანს. რახანია ლიტერატურულ ნაწარმოებს ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე: ავტორის პირქუშმა ნიჭმა შემძრა, გრძნობამორეული წამოვდექი და ფანჯარაში გავიხედე. უსიამოდ ცრიდა. ქუჩაში კანტი-კუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე გამვლელი. კარგა ხანს ვიდექი ასე, მდუმარედ.

ეს მოთხრობა (დედანში — "რუსი მემამულის სიკვდილი") ჟურნალ *სტრენდ მეგეზინში* გამოქვეყნდა 1905 წელს და თავდაპირველად ავტორის მიერ "შერლოკ ჰოლმსის კრებულში" შესატანად იყო გამიზნული; მაგრამ როგორც ამბობენ, განაწყენებულ (?!) მკითხველთა წერილებისა და გამანადგურებელი რეცენზიების გამო, შემდგომ აღარასოდეს დაუბეჭდავს...

— საოცარი ნაწარმოებია... — წამომცდა ჩემდაუნებურად.

— მე თუ მკითხავთ, დიდი არაფერი, — გაისმა უცემ ჰოლმსის მშვიდი ხმა.

— რა ბრძანეთ?! ახლა არ მითხრათ, "ძმები კარამაზოვები" წაკითხული მაქვსო!. — ვინც შერლოკ ჰოლმსზე ჩემს ადრეულ ჩანაწერებს იცნობს, კარგად მოეხსენება, რომ ეს ყველასგან გამორჩეული კაცი ლიტერატურასა თუ ფილოსოფიას არად დაგიდევდათ, თუმცა მრავალ სხვა, საბუნებისმეტყველო დარგებში უბადლო ცოდნა ჰქონდა დაგროვილი.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეგრეა, — გაეღიმა ჰოლმსს, — ოღონდ განა საზრისი შევიცვალე: ახლაც ძევლებურად ვთვლი, რომ სისულელეა თავი ათასგვარი ფანტაზიებით გამოიტენო, მითუმეტეს, თუ უშუალოდ საქმეში არაფრად გარგია...

— მერე, ამხელა რომანის კითხვა ვინ დაგაძალათ? — ცოტა არ იყოს, ნიშნისმოგებით ჩავეკითხე და ისევ სავარძელში ჩავეშვი.

— ორმა გარემოებამ მაიძულა, უოთსონ, ორმა გარემოებამ: ერთი ის, რომ ყველა ინგლისელის მსგავსად, არც მე ვარ სენტიმენტებს მოკლებული — ბავშვობის მოგონებები ჩემში ჯერ კიდევ ცოცხლობს... არ ვიცი, მითქვამს თუ არა თქვენთვის, მამაჩემს ფრიად მოწინავე შეხედულებების კაცად მოჰქონდა თავი და იქნებ ამიტომაც მეგობრობდა ერთ რუს რევოლუციონერთან და მწერალთან, ვინმე გერცენთან; ხშირად დაიარებოდა მასთან სტუმრად, ზოგჯერ კი მე და ჩემს უფროს ძმას, მაიკროფტსაც თან წაგვიყვანდა ხოლმე. სწორედ ამ სტუმართმოყვარე ოჯახში ვიზიტის დროს შევხვდი დოსტოევსკის, "კარამაზოვების" მომავალ ავტორს.*

— გასაგებია... მეორე მიზეზი?

— ეს უკვე უმარტივესია, უოთსონ! ბოლოს და ბოლოს, წიგნი კრიმინალურ დანაშაულს ეხება... თანაც ეჭვი მაქვს, რომანს რეალურად მომხდარი ამბავი უნდა ედოს საფუძვლად.**

— ეგ საიდანღა მოიტანეთ?! სიუჟეტი ხომ გამოგონილია! — ვეღარ მოვითმინე.

ჰოლმსმა ვიოლინო გვერდზე გადადო, ჩიბუხი დატენა, გააბოლა, თამბაქოს კვამლში გაეხვია და მერეღა თქვა:

---

* 1862 წლის ზაფხულში დოსტოევსკი ლონდონს გაემგზავრა, სადაც ნამდვილად ინახულა გერცენი მის ბინაზე.

** "მკვდარი სახლის ჩანაწერებში" დოსტოევსკი იხსენებს ომსკის სატუსაღოში გაცნობილ ვინმე ილინსკის, რომელიც საკუთარი მამის მკვლელობის ბრალდებით იყო მსჯავრდებული; მხოლოდ წლების მერეღა გამოირკვა, რომ მკვლელი მისი უმცროსი ძმა ყოფილა. რიგ მკვლევართა აზრით, ხწორედ ეს ილისნსკია დმიტრი კარამაზოვის პროტოტიპი.

— ასე მთელი მხატვრული ლიტერატურა გამოგონილია, უოთსონ! მაგრამ საქმეც ეგაა, სწორედ სიუჟეტში ვხედავ ამ ნაწარმოების ნაკლს.

— იქნებ თქვენი მოსაზრებებიც გვიბოძოთ?. — ირონიანარევი სკეპტიციზმი გამიკრთა ხმაში.

— აუცილებლად, უოთსონ, აუცილებლად! — ჩაეცინა ჰოლმსს. — ჯერ ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენის ღრმა რწმენით, ვინ მოკლა ბებერი კარამაზოვი?

— რაღა თქმა უნდა, ლაქიამ! ე-ე, რა ჰქვია იმას... ჰო, *სმერდიაკოვმა*. ღმერთმანი, ამ რუსულ გვარ-სახელებზე ენას მოიტეხ კაცი.

— მაგაში გეთანხმებით, ოღონდ რაც შეეხება ლაქიას, თქვენს ადგილას ამგვარი ნაჩქარევი დასკვნებისგან თავს შევიკავებდი...

— რატომ ვითომ?

— მოდით, ლოგიკურად ვიმსჯელოთ, უოთსონ: რის საფუძველზე ასკვნით, რომ მოხუცი მაინცადამაინც ლაქიამ მოკლა?

— თავად არ უამბო ყველაფერი ივან კარამაზოვს?!.

— უამბო, კი — აბა, ისე საიდან გაიგებდით... უფრო სწორედ, ავტორი მისი სიტყვებით აღწერს მკვლელობის სცენას — ეს გასაგებია, მაგრამ თქვენ, ექიმ კაცს, ასეთი გულუბრყვილობა არ გეპატიებათ. ერთხელ მაინც როგორ არ დაეჭვდით, ლაქიას ასე უცებ როგორ დაუჯერეთ?

აი ახლა კი მართლა ამერია დავთრები და გაოგნებულმა, სიტყვაც ვერ დავძარი; აშკარად კმაყოფილმა ჰოლმსმა ბოლი ბოლქვებად გამოუშვა პირიდან და განაგრძო:

— კარგად დაფიქრდით, უოთსონ: სმერდიაკოვი ხომ ფსიქიკამოშლილი, ავადმყოფი ადამიანია. ბოლოს და ბოლოს, გონებასუსტ ლიზავეტა სმერდიაკოვასა და ფიოდორ კარამაზოვის შთამომავალი მთლად დალაგებული ჭკუისა ვერც იქნებოდა: გახსოვთ ალბათ, როგორი ფიცხი და თავშეუკავებელი, ლამის ისტერიული ტიპია მამამისი, თვით სმერდიაკოვი კი ნამდვილი ბნედიანია — მუდმივი შეტევებისაგან დაძაბუნებუნი სხეული, გატანჯული ტვინი — ეგაა თქვენი სმერდიაკოვი! დავუშვათ, სულაც არ ჩავარდნილა იმ სარდაფში, დავუშვათ, ის შეტევაც უბრალო თვალთმაქცობა იყო — ეგ ხომ არაფერს ცვლის და არც მისი სიტყვების დასტურად გამოდგება! აკი მეორე დილას ისე წამოუარა, საავადმყოფოში ორი დღე-ღამე უგონოდ ეგდო... როგორ ფიქრობთ, ყოველივე ამის შემდეგ მაგ კაცის სიტყვას დაეჯერება?

ჰოლმსის მახვილ თვალს ჩემი დაბნეულობა არც ამჯერად გამოპარვია:

— ვიცი, ვიცი, ნამდვილი შეტევა დილით დაემართა, ანუ მკვლელობის შემდეგ, ესე იგი მკვლელობამდე სრულ ჭკუაზე იყო, ამიტომაც მის სიტყვებში

საეჭვო არაფერიაო, იტყვით! მაგრამ ჩემგან არ გესწავლებათ, უოთსონ — არაიშვიათია, როცა საკუთრივ შეტევამდე ორი, სამი ან ზოგჯერ ოთხი საათით ადრეც კი ეპილეფსიით დაავადებულებს გონება ებინდებათ ხოლმე.

— თქვენ რომ გისმინოთ კაცმა, გამოდის, სმერდიაკოვმა საკუთარ თავს დასწამა ცილი...

— ნურას უკაცრავად! მან სრული სიმართლე თქვა, ოღონდ ის სიმართლე, რომელშიც თავად იყო დარწმუნებული! ჭიშკართან ივან კარამაზოვის ნათქვამმა ისე იმოქმედა მასზე, თავს შთააგონა, თითქოს თვითონ იყო მკვლელი. აკი სმერდიაკოვს მართლაც სურდა ფიოდორ პავლოვიჩის მოკვლა, დიდხანს ემზადებოდა კიდეც ამისთვის და საკუთარ წარმოსახვაში იმდენჯერ ჩაიდინა ეს უმძიმესი დანაშაული, რომ როცა გარემოებათა გამო, მისსავე შექმნილი სქემიდან ამოვარდნილი აღმოჩნდა, ბნედიანის აღგზნებული გონება მოვლენებს უკვე რეალურად ვეღარც აღიქვამდა.

ჰოლმსის რბილი ხმა და მშვიდი, დამაჯერებელი ლაპარაკი მომნუსხავად მოქმედებდა ჩემზე.

— სავარაუდოდ, ყველაფერი შემდეგი თანმიმდევრობით განვითარდა, — აუჩქარებლად განაგრძობდა ჩემი მეგობარი, — სმერდიაკოვმა ჯერ მოხუცი კარამაზოვის ხმა გაიგონა, მერე გრიგორის ღრიალი. წუთიერი ყოყმანის შემდეგ ბაღში გადის, სახლის მოფიათებულ კარს ხედავს და შიგ შედის. იქ კი რა ხდება? იატაკზე უფროსი კარამაზოვის სისხლიანი გვამი გდია. სმერდიაკოვი მიდის კანკელთან, კონვერტიდან სამი ათასი მანეთს იღებს, ცარიელ კონვერტს ძირს აგდებს, ვითომ ეჭვს დმიტრიზე გადასატანად და ოთახიდან გადის. მისი ყოველი ნაბიჯი ზუსტად ემთხვევა ათასჯერ წარმოსახული მკვლელობის სურათს და გონებაამღვრეულ ლაქიას მართლაც სჯერა, რომ თავად მოკლა მოხუცი.

მცირე ხნით ორივენი ვდუმდით, ბოლოს ისევ მე ვეღარ შევიკავე თავი:

— ჰოლმს, ეს ჰიპოთეზა ნებისმიერი ნევროპათოლოგის ნაშრომს დაამშვენებდა... ოღონდ, აქამდე მუდამ უტყუარ ფაქტებს ეყრდნობოდით ხოლმე, ამჯერად კი ამდაგვარი არაფერი გაგაჩნიათ!

ჰოლმსი ჩემკენ გადმოიხარა და მოულოდნელად ერთი უცნაური შეკითხვა დამისვა:

— აბა თუ მეტყვით, რითი მოკლეს კარამაზოვი?

— რითი და ქვასანაყით, — ვუპასუხე გაკვირვებულმა.

— ვითომ?..

ის იყო წიგნს წავეტანე, რომ ჰოლმსმა შემაჩერა.

— ნუ შეწუხდებით. შეგახსენებთ, რასაც ამბობს სმერდიაკოვი: "*იმ თუჯის პრესპაპიეს დავწვდი, მაგიდაზე რომ ედოთ, სამ გირვანქას მაინც იწონიდა მოგეხსენებათ, მოვუქნიე და ზედ კეფაში ვთხლიშე, წვეტით...*" — ხომ გესმით, უოთსონ, წვეტითო! სასამართლოზე კი ქვასანაყი ფიგურირებდა! და იცით რატომ? იმიტომ, რომ სწორედ ქვასანაყი ჩაარტყეს და არა პრესპაპიე. ამჯერად, თქვენდა უნებურად, სწორი აღმოჩნდით — ქვასანაყი! ეს ერთი ფაქტი. თუნდაც გამომძიებელს დაეშვა მიუტევებელი შეცდომა და გვამის დათვალიერებისას ამგვარი მნიშვნელოვანი დეტალი გამოპარვოდა — მოგრძო მრგვალი საგნით მიყენებული ჭრილობის ხასიათი — ნაფიც მსაჯულთა* ყურადღებას უთუოდ მიიპყრობდა ამგვარი შეუსაბამობა... აქედან ვასკვნი, რომ თუ ფიოდორ კარამაზოვი ქვასანაყით მოკლეს და არა პრესპაპიეთი, მკვლელი სმერდიაკოვი ვერ იქნებოდა. სხვათა შორის, ლაქიამ ისიც თქვა, პრესპაპიე გავწმინდე და თავის ადგილზე დავდეო. თქვენ მაინც ხომ კარგად მოგეხსენებათ, უოთსონ, სისხლის კვალის მოშორება არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთებს გონიათ. გამადიდებელი შუშა და მახვილი თვალი საკმარისია... მიმიხვდით? მოკლედ, უბრალო ამბავია, ძვირფასო უოთსონ, უმარტივესი!

დაბნეული და დათრგუნულიც კი ვუსმენდი ჰოლმსს, რომელიც მეთოდურად მახვევდა თავისი არგუმენტების ქსელში.

— ახლა სმერდიაკოვისა და ივან კარამაზოვის ბოლო შეხვედრაც გაიხსენეთ: ლაქია უკიდურესად აღგზნებულია, შეიძლება ითქვას, სიგიჟის ზღვარზეა მისული; განა ლოგიკური არ იქნება იმის დაშვება, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცის ტვინის ერთი უჯრედი მაინც აუცილებლად შეეწინააღმდეგებოდა ავადმყოფურად აკვიატებულ მტკიცებას — "*მე მოვკალი!*" მაგრამ საქმეც ისაა, სმერდიაკოვის თვითმკვლელობა არც მონანიების შედეგია, არც იმედგაცრუების: ეს ერთ ადამიანში ორი საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი *მე*-ს შეუთავსებლობის ნაყოფს უფრო გავს: "მე — მკვლელი" და "მე — უცოდველი". ამგვარ გაორებას ვერ უძლებს ლაქიას გატანჯული ცნობიერება და თვითმკვლელობით იგი სასამართლოს ხელიდან აცლის არა დამნაშავეს, არამედ მოწმეს, რადგან ვიღაცა მაინც შესძლებდა მისი აბდაუბდა მონათხრობიდან საქმის ვითარების სწორად დადგენას. თუმცა საკითხავია, გაითვალისწინებდა კია სასამართლო სმერდიაკოვის ჩვენებას? ალბათ არა. ფსიქიურად დაავადებული ადამიანი მოწმედაც ვერ გამოდგება.

ვუსმენდი და ენაზე ერთი კითხვა მიტრიალებდა. ბოლოს მაინც ვეღარ მოვითმინე:

— მაშ, თქვენის აზრით, მკვლელი ვინღაა?!

---

* არავითარი უზუსტობა: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი რუსეთში 1864 წლის სასამართლო რეფორმის შედეგად შემოიღეს, დოსტოევსკის რომანის მოქმედება კი 1866 წ. ზაფხულსა და შემოდგომაზე ხდება.

— ძველი რომაელები იტყოდნენ: qui prodest, qui bono?* მოდით, ჩვენც ამ გზას დავადგეთ. რომანის მიხედვით აშკარაა, რომ მკვლელობის მოტივი ფულია და აქ ორი თანხა ფიგურირებს: სამი ათასი მანეთი, რომელსაც მოხუცი გრუშენკას აძლევს და კიდევ მემკვიდრეობა — ასოცი ათასი მანეთი, ამ თანხას ძმები მამის სიკვდილის შემდეგ მიიღებენ. ვის დააინტერესებდა პირველი თანხა, როგორ ფიქრობთ? სმერდიაკოვს! ეს სამი ათასი მანეთი და ის ფული, ივან კარამაზოვი რომ შეჰპირდა, ლაქიას პარიზში გასამგზავრებლადაც ეყოფა, ე.ი. დიდი ხნის ოცნებას აისრულებს... ოღონდ ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ მკვლელობა მას არ ჩაუდენია...

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, მაგრამ ჰოლმსი უკვე იმდენად იყო საკუთარი მსჯელობით გართული, ამისათვის ყურადღებას არ მიუქცევია:

— კიდევ ვის შეიძლებოდა ამ მკვლელობით ხელი მოეთბო? — იკითხა და თავად გასცა პასუხი, — ვის და დმიტრის, შუათანა ძმას: სწორედ დმიტრის სჭირდება ეს თანხა, ამით გაისტუმრებდა კატერინა ივანოვნას ვალის ნაწილს და შელახულ თავმოყვარეობას ცოტათი მაინც აღიდგენდა; მაგრამ მიტიას იმღამინდელ მოქმედებას თავად ავტორი აღწერს — მოდი და ნუ დაუჯერებ... ასე რომ, მამა არც დმიტრის მოუკლავს. აქედან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, მკვლელობის მიზეზი ის სამი ათასი მანეთი არ ყოფილა.

— მემკვიდრეობა?.. — ვთქვი ჩურჩულით.

— დიახაც! — საზეიმო იერით წარსთქვა ჰოლმსმა. — დამეთანხმებით, ასოცი ათასი გვარიანი თანხაა... მერედა, ვინაა მემკვიდრე? ძმები კარამაზოვები! დმიტრი, ივანი და ალიოშა... დმიტრი ამ საქმეში უბრალოა, ეს უკვე გავარკვიეთ. რჩებიან ორნი — რომელი მათგანია მკვლელი?

ჰოლმსმა ბუხარში მოცეკვავე ცეცხლის ენებიდან მზერა ჩემზე გადმოიტანა.

— რომელია? — გაიმეორა მან და მცირე ხნის დუმილის მერე თავად განაგრძო, — კეთილი, მოდით მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორივე პიროვნების მოქმედება ცალ-ცალკე განვიხილოთ. როგორ ფიქრობთ, უოთსონ, შეეძლო ივანს მამის მოკვლა? რაღა თქმა უნდა, შეეძლო. მართალია, სმერდიაკოვს უთხრა, *ჩერმაშნიაში* მივდივარო, წავიდა, მაგრამ ვინ იცის, იქ რამდენ ხანს დარჩა? არავინ, იმიტომ რომ რომანში, მისი საკუთარი სიტყვიერი მტკიცების გარდა, ამის თაობაზე არანაირი დასტური არ მოიძებნება. იქნება და ღამით მამისეულ ბაღში იმალება, რომ საკუთარი თვალით ნახოს, აღასრულებს თუ არა მის ჩანაფიქრს სმერდიაკოვი? სავსებით ანგარიშგასაწევი ვარაუდია და აი, როგორ განვითარდებოდა ამ შემთხვევაში მოვლენები: ივანი ხედავს უფროს ძმას; დაინახავს, როგორ დააგდებს ბილიკზე ქვასანაყს და მერე გარბის; ოთახში გაცეცხლებული ფიოდორ კარამაზოვი კედლებს აწყ-

* ვის აწყობს, ვინ იხეირებს? *(ლათ.)*

დება. სმერდიაკოვი არა ჩანს. ივანს დაწყობილი გეგმები ეფუშება და გადაწყვეტს თავად გამოიღოს ხელი: უჩუმრად იპარება სახლში და კლავს მამამისს, მერე ისევ ბაღში იმალება. ამ დროს გამოჩნდება კიდეც გონებაამღვრეული სმერდიაკოვი, ივანი ფართოდ გაღებული ფანჯრიდან უთვალთვალებს მას და ხვდება, დანაშაული ან დიმიტრის უნდა გადააბრალოს, ან სმერდიაკოვს. ერთი კია — მსჯავრდებულის სკამზე ძმის დასმა უფრო აწყობს: ნასამართლევი დმიტრი კარგავს თავის წილს და ივან კარამაზოვი დამატებით ოცი ათას მანეთს მიიღებს. ამიტომაც არ სურს დაეთანხმოს სმერდიაკოვს — *მე მოვკალიო,* რომ ირწმუნება. როგორია ოცი ათასის დათმობა?!

— მაშასადამე, სწორედ ივანია მკვლელი! — წამოვიძახე.

— ჩქარობთ ჩემო მეგობარო, მიუტევებლად ჩქარობთ! — კვლავ ნირშეუცვლელად მომიგო ჰოლმსმა. — რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, ჩემ მიერ დახატული სურათი თითქოს სავსებით ლოგიკურია და ვერც ვერაფერში შემომედავება კაცი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით! ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ მკვლელობაზე მსჯელობის დროს ივან კარამაზოვი საკუთრივ მკვლელობის უფლების იდეას იხილავდა, ანუ მკვლელობის, როგორც ბოროტების წინააღდგომის ზნეობრივად მისაღებ საშუალებას! ამ შემთხვევაში კი ბოროტება მამამისია — ფიოდორ კარამაზოვი... მეტად საგულისხმოა ივანისა და სმერდიაკოვის საუბარი ჭიშკართან, როდესაც იგი ლაქიას უფროსი კარამაზოვის მოკვლის აზრს შთაუნერგავს, თუმცა *მიდი, მოკალიო,* — ერთხელაც არ დასცდენია; ოღონდ მისი სიტყვების ქვეტექსტში ხომ სწორედ ეს თხოვნა გაისმის! აქედან გამომდინარე, თუ დავუშვებთ, რომ მკვლელობა სმერდიაკოვმა ჩაიდინა, მთავარ დამნაშავედ მაინც ივანი უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ აკი უკვე დავადგინეთ — ლაქიას აღნიშნული ბოროტმოქმედება არ ჩაუდენია. იბადება კითხვა: თავად ივანი თუ მოკლავდა მამას? სიტყვიდან საქმეზე გადასვლას თუ შესძლებდა? ზოგადად ამ კითხვას უკვე გავეცი დადებითი პასუხი, ვიგულისხმე რა დრო და ადგილი — კერძოდ, მისი გამგზავრება ჩერმაშნიაში, მაგრამ ფსიქოლოგიურ ასპექტს ჯერ არ შევხებივარ. ნუ გავიწყდებათ, უფროსი ძმა შედარებით გაწონასწორებული, საღად მოაზროვნე პიროვნებაა და ის სულიერი ფორიაქი, რომელსაც ბოლოს სიგიჟემდე მიჰყავს, მხოლოდ მამამისის სიკვდილის შემდგომ ეუფლება. ერთი მითხარით, უოთსონ, განა შეეძლო ასეთ კაცს დმიტრის მიერ დაგდებული ქვასანაყი აეღო და ღვიძლი მამისთვის გულგრილად გაეჩეჩქვა თავი? ივანმა ხომ მშვენივრად იცოდა, საკმარისი იყო ჩვენების მიცემის დროს ერთი უზუსტობა და ოცწლიან კატორღას ვეღარ აიცილებდა... როგორ ფიქრობთ, ასეთი ადამიანი მკვლელობას ჩაიდენდა? არამც და არამც, უოთსონ! კარგად მოგეხსენებათ, რამხელა უფსკრულია სიტყვასა და საქმეს შორის; ხოლო ჩემი ხანგრძლივი დაკვირვებით, ნამდვილი მკვლელი წინასწარ არასოდეს გაიძახის, კაცი უნდა მოვკლაო; პირიქით, ხმას არ იღებს, რომ შემდეგ მასზე არ მიიტანონ ეჭვი — ასე არაა? სხვათა შორის, კარამაზოვის საქმის გამომძიებელ პერხოტინისათვის მთავარი ეჭვმიტანილი დმიტრია, ანუ ის, ვინც მუდამ თავშეკავებული იყო მამასთან ურთიერთობაში; მაგრამ დმიტრის მუქარები და ივანის თეორიული მსჯელობები მიჩანს სწორედ ორივეს უდანაშაულობის საბუთად... და კიდევ: აბა გაიხსენეთ, უოთსონ, ივანის მოქმედება *სკოტო-პრი*

-გო-ნევ-სკ... ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! — თავი ვეღარ შეიკავა ჰოლმსმა, — გვარებზე იოლი გამოსათქვამი არც მათი ქალაქების სახელწოდებებია... მოკლედ, დაბრუნების შემდეგ: გაიხსენეთ ივანის მოქმედება — ხაზს ვუსვამ, *მოქმედება* და არა *სიტყვები* — სიტყვებს, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება არც ენდო კაცი, მაგრამ მან ჯერ კატერინა ივანოვნა მოინახულა, მერე ორჯერ სმერდიაკოვი, მოკლე საუბარი ჰქონდა ალიოშასთანაც — ეს ყველაფერი კი იმას მოწმობს, რომ არათუ მას არ მოუკლავს, დარწმუნებულია, მკვლელობა დმიტრიმ ჩაიდინა და სხვათა შორის, ავტორიც იგივეს გვიდასტურებს... აქედან დასკვნა: სმერდიაკოვისა არ იყოს, ივან კარამაზოვიც მხოლოდ თავის წარმოსახვაში კლავს, თანაც არაერთგზის; მაგრამ ლაქიასთან საუბრის მერე იცნობიერებს დანაშაულს მამის, უფრო კი ტყუილუბრალოდ დაპატიმრებული დმიტრის წინაშე და ამ კაცის რკინისებური ნებისყოფაც კი იბზარეება — მის გონებას სიგიჟის მორევი ითრევს. *"მშვიდობით, ოდესღაც გაბედულო ადამიანო!"* — სწორედ ეს იყო სმერდიაკოვის მიერ ივან კარამაზოვისათვის ნათქვამი ბოლო სიტყვა...

ჰოლმსი დადუმდა. მე ჯერ ტანში გამცრა, მერე ენის ბორძიკით წავილუღლურე:

— გამოდის, რომ... არა შეუძლებელია!..

— რატომ ვითომ?! — ჰოლმსმა წამით შემავლო თვალი და ისევ განზე გაიხედა. — რატომ ხართ ალიოშას უდანაშაულობაში ასე დარწმუნებული?

— აქამდე ასე ვფიქრობდი, ალიოშა კარამაზოვი ყველა ადამიანური სიკეთის განსახიერებაა-მეთქი! — იმდენად აღმაშფოთა ჰოლმსის ამ ყოვლად კოშმარულმა ვარაუდმა, საკუთარი პოზიციის შენიღბვა აღარც ჩავთვალე საჭიღოდ და პირდაპირ მივახალე:

— თქვენი არ იყოს, მეც ანგლიკანურ ეკლესიას ვეკუთვნი და ჩემთვის უცხოა ეს რაღაც *ჰუმანური მართლმადიდებლობის* დოქტრინა, თავის მხრივ კიდევ ოფიციალურ მართმადიდებლობას რომ უპირისპირდება, მაგრამ თავად ამ მოძღვრების მიმდევარს, უმცროს კარამაზოვს მაინც თანავუგრძნობ; მეტიც, ბევრ რამეში ვეთანხმები კიდეც. გახსოვთ ეპილოგში ის სცენა ქვასთან? რაოდენი რწმენა, სიკეთე და თვინიერება გამოსჭვივის პატარა ბიჭებით გარშემორტყმული ალიოშას სიტყვებში! განა...

— და ამავე სიკეთითა და თვინიერებით წარმოთქმული: *"დასახვრეტია!"* — სიტყვა გამაწყვეტინა ჰოლმსმა.

გაოგნებული მივაჩერდი და ვიგრძენი, ლამის სისხლი გამყინვოდა ძარღვებში.

— ესეც ხომ მისი სულის ამოძახილია. გახსოვთ ალბათ, ივანმა უამბო, ვიღაცამ ბავშვს რომ ძაღლები მიუქსია და მანაც უმალ დაივიწყა თავისი მრწამსი — უჭოჭმანოდ გამოიტანა სიკვდილის განაჩენი...

— ჩემის აზრით, ყველა ნორმალურ ადამიანს იგივე რეაქცია ექნებოდა, — განვაცხადე მტკიცედ.

— არა მგონია, ყველას არა.

— ეგ უკვე ცინიზმია, ჰოლმს!

— უბრალოდ, რეალისტი ვარ, უოთსონ. ალიოშას რაღაც განყენებულ, იდეალურ ადამიანად სახავთ და შექმნილი ხატის დამსხვრევას ვერ ეგუებით. არც მის სიტყვებში და არც მის ქცევაში მცირედი ხინჯის დანახვაც აღარ გინდათ. მე კი ვხედავ და იმასაც ვუშვებ, რომ იმ განაჩენის გამოტანით ალიოშამ წამით თავისი ნამდვილი სახე გვიჩვენა, ღვთისმოსაობით შენიღბული. გეთანხმებით, ალიოშას განაჩენი სამართლიანია, ის ვიღაც მემამულე მართლაც იმსახურებდა ყველანაირ სასჯელს, მაგრამ იცით რა არის მთავარი? ის რომ ალიოშას შეეძლო — გესმით, უოთსონ — *შეეძლო!* — სიკვდილი მიესაჯა ადამიანისთვის... თუმცა იმ კაცს მხეცი უფრო ეთქმოდა, გეთანხმებით, მაგრამ რა მერე? ძვირფასო უოთსონ, მე თუ მკითხავთ, ნებისმიერ ადამიანში სიკეთე და ბოროტება ერთნაირადაა დაბუდებული და მუდმივ ჭიდილში არიან ერთურთთან. ამ მხრივ არც ალიოშაა გამონაკლისი: სანამ მამა ზოსიმა ედგა გვერდში, ალიოშას სულში სიკეთე ზეიმობდა, მერე კი გამოჩნდა ივანი, იმ თავისი დამანგრეველი თეორიებით — მოსასპობია ყველა ბოროტი და ზნედაცემული ადამიანი, რადგან მათი არსებობა წამლავს და აკნინებს ირგვლივ ყველაფერსო... რატომ არ გინდათ დაუშვათ, რომ უფროსი ძმის შეგონებას სმერდიაკოვსა და ალიოშაზე ერთნაირად ემოქმედა? იქნება და სწორედ ალიოშას გადაალახინა ის საბედისწერო ზღვარი, ჩანაფიქრსა და განხორციელებას შორის რომ ძევს... თავად ივანმა ხომ ვერ გადადგა ეგ ნაბიჯი! შეგახსენებთ, რას წერს დოსტოევსკი ალიოშას განცდებზე მამა ზოსიმას სიკვდილის ღამეს:

"ცხადად გრძნობდა რომ რაღაც, ცის კაბადონივით ურყევი და გამჭვირვალე ეფინებოდა მის სულს, თითქოს რაღაც განყენებული იდეა ისადგურებდა მის გონებაში, ისადგურებდა სამარადჟამოდ..." — ვინ იცის, ეგებ სწორედ იმ ბერის კუბოსთან, ვინაც მისთვის სიკეთესა და ზეგარდმო ნათელს განასახიერებდა, მიიღო კიდეც ალიოშამ გადაწყვეტილება, სამაგიერო მიეზღო მშობელი მამისთვის — სხვებისთვის მრავალგზის ჩადენილი ბოროტების წილ...

ხმელი ხელი ვიოლინოზე დაეშვა, მისი ჩამოქნილი, ნატიფი თითები სიმებს შეეხო.

— მამის სიკვდილის შემთხვევაში ალიოშა დიდძალი თანხის მემკვიდრე ხდება, — მცირე ხნით დუმილის მერე განაგრძო ისევ. — ალბათ იკითხავთ, ფული რაში სჭირდებოდაო, მაგრამ მაშინ ხომ მამა ზოსიმასეული მცნებების განხორციელებასაც შესძლებს! აი, თუნდაც ილუშენკას აღზრდა-განათლება, რასაც ვერასოდეს მოაბამენ თავს მისი ღატაკი მშობლები, ან, ვთქვათ, იგივე კოლია კრასოტკინის, სმუროვისა და სხვა ბიჭების მომავალი ადარდებს —

აკი ისინი, უმცროსი კარამაზოვისა და თავად დოსტოევსკის აზრით, რუსეთის მომავალია! ასე რომ, ჩემო უოთსონ, უკეთილშობილესი ბუნების მიუხედავად, შესაძლოა ალიოშასაც დაეჩქარებინა მამის აღსასრული... და ახლა ისიც ვიკითხოთ, სად იყო ალიოშა იმ საბედისწერო ღამეს? არ ვიცით. ვაითუ ბაღში? ალიოშამაც ხომ იცოდა, როგორ ემუქრებოდა დმიტრი მამას. როგორ ფიქრობთ, შეუშლიდა ხელს? ალბათ არა. უმცროს კარამაზოვს მამის მკვლელობა უკვე მართალი სამართლის ქმნად ეჩვენება — ასე ვთქვათ, ავი მოხუცი თავის დათესილს იმკის... დავუშვათ, ალიოშა მკვლელობის ღამეს ბაღში იპარება და განაჩენის აღსრულებას უცდის. ხედავს ფანჯრის ქვეშ მდგარ დმიტრის, რომელსაც ქვასანაყი უჭირავს ხელში; გამოჩნდება გრიგორიც, დმიტრი მას თავში ქვასანაყს ჩასცხებს და უკანმოუხედავად გარბის. გრიგორი ეცემა, ქვასანაყი იქვე გდია. ალიოშა დაბნეულია — მამის მოკვლა განზრახული არა ჰქონია, ეგონა, ღვთის ნებას შუათანა ძმის ხელი აღასრულებდა, ახლა კი არჩევანის წინაშე დგება: თავად იქცეს უზენაესის იარაღად, თუ ბოროტება კვლავაც დაუსჯელი დარჩეს? იგი პირველ გზას ირჩევს, მით უფრო, რომ საშიში არაფერია — გრიგორი გადარჩა და ახლა დმიტრის უყოყმანოდ დაადებს ხელს. მოხუცი კარამაზოვი მხოლოდ სმერდიაკოვსა და თავის უმცროს ვაჟს ენდობა, ამიტომაც თამამად უღებს კარს; ალიოშა კლავს მამას, მერე გასისხლიანებულ ფილთაქვას ბილიკზე მოისვრის და წყვდიადში მიიმალება... ასე და ამგვარად, მკვლელობა ჩადენილია. ეჭვი, როგორც ალიოშა ვარაუდობდა, დმიტრიზე მიაქვთ; შედეგი კი ის აგხლავთ, ჩემო კარგო, რომ ალიოშა უცებ გამდიდრდება: მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებული დმიტრი, ბუნებრივია, თავის წილ მემკვიდრეობას კარგავს; შეშლილი ივან კარამაზოვის კუთვნილ თანხასაც ალიოშა იღებს — მოგეხსენებათ, ფსიქიურად დაავადებულთ მემკვიდრეობის უფლება ერთმევათ — ასე რომ, უმცროს კარამაზოვს ერთბაშად ასოცი ათასი მანეთი ერგება! როგორ ფიქრობთ, შესტკივა გული ძმებზე? არა მგონია. ალბათ მათაც *"ზედმეტ, მავნე"* ხალხის კატეგორიას აკუთვნებს... უცნობ მემამულეს თუ დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, ვითომ საკუთარი ძმების მიმართ რატომღა იქნებოდა ნაკლებ პრინციპული? მერე რა, რომ იმ გარეწარზე ცოტათი მაინც უკეთესები არიან — მისთვის ორივე ძმა ყოვლად უმაქნისი, ფუჭი, ურწმუნო და უსაზმნო ადამიანია — რიღასთვის შეიცოდოს? მკვლელობის შემდეგ კი ალიოშას ქცევა მართლმსაჯულებისათვის თვალის ახვევის ცდას უფრო ჰგავს — გაიხსენეთ ავტორის ტექსტი: *"...ალიოშამ ანაფორა გაიხადა. უნაკლოდ შეკერილი სერთუკი, მოკლედ შეკრეჭილი თმა, თავზე კი მრგვალი, რბილი ქუდი მეტად შვენოდა და კოხტა იერსაც სძენდა. პირისახეზე ერთგვარი სილაღე დაჰფენოდა, მშვიდი, უდრტვინველი სილაღე"*. შესაშური ამბავია, არა უოთსონ? მერე კი საქმე ისე შეტრიალდა, აღარც სიცრუის თქმის ცოდვა დაიდო და აღარც სინდისი აწუხებდა — სავსებით გულწრფელად ირწმუნებოდა, დმიტრი უდანაშაულოაო...

ჰოლმსი მინავლებული ჩიბუხის გაჩაღებას შეუდგა.

მეც ჩემსას დავწევდი, მაგრამ შესანიშნავმა ჰოლანდიურმა თუთუნმაც ვერაფერი შემწია, ისე ვიყავი ჰოლმსის ვარაუდებით, განსჯითა და ეჭვებით ნაქსოვ ბადეში გახლართული.

— თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, უოთსონ, რომანში ბევრი რამაა, ამ უკანასკნელ ვერსიას რომ გამორიცხავს, — ჰოლმსის ხმა ჩემს არეულ ფიქრებს შეერია, — გნებავთ, ახლავე ჩამოგითვლით ალიოშას უდანაშაულობის დამამტკიცებელ უამრავ საბუთს, მაგრამ იქნებ მაინც სიტყვაზე მენდოთ?

დაბნეულმა გავხედე:

— თქვენი ვეღარაფერი გამიგია, ჰოლმს!

— ვინ იცის, იქნება ქ-ნი ხოხლაკოვა მართალიც იყო და და მოხუცი სწორედ გრიგორიმ მოკლა...

— იმას რაღა ძალა ადგა?!

— მსახური ერთი "პატარა კაცია", ღირსებაშელახული, დაჩაგრული ადამიანი... იქნებ ამიტომაც ჰქონდა განსაკუთრებული ზიზღი ხეპრე და უხეშ ფიოდორ პავლოვიჩის მიმართ; ან იქნებ არც ეს იყო მიზეზი, და მხოლოდ დმიტრის მიერ მიყენებულმა ტრავმამ დაუბინდა გონება — მთელი თავისი შიშები, ზიზღი, ტკივილი უბრალოდ, უფროს კარამაზოვზე დაანთხია? იქნებ — იურისტთა ჩიქორთული ენით რომ ვთქვათ — მკვლელობა არამოტივირებული იყო და აფექტის მდგომარეობაში ყოფნისას იქნა ჩადენილი...

კრიჭა შემეკრა.

— ესე იგი, წარმოდგენა არა გაქვთ, ვინაა მკვლელი?

— როგორც ხედავთ, არა. — ჰოლმსმა ეშმაკურად მოჭუტა თვალები და დასძინა — სამაგიეროდ, თქვენ იცით, უოთსონ.

— მე?!

— რა, საკუთარი რიხიანი პასუხი დაგავიწყდათ, *სმერდიაკოვმაო,* რომ მითხარით? ჯერ-ჯერობით, ამ ვერსიის შეცვლის ვერავითარ აუცილებლობას ვერ ვხედავ.

— კი მაგრამ ჰოლმს, ახლა არ იყო რომ მიტკიცებდით...

— ჩემო კარგო, განა ვინმეს ბრალეულობის დამტკიცებას ვჩემულობდი? მხოლოდ ის ვცადე მეჩვენებინა, რომ დოსტოევსკის ამ რომანს, გარკვეულწილად, სრულყოფა აკლია — მთელ რიგ შემთხვევებში მიზეზ-შედეგობრივი კავშირებია დარღვეული — ეს არის და ეს! ახლა ვატყობ, სულ ტყუილად გავრჯილვარ და უნებურად, ასე ვთქვათ, თავად ნაწარმოების ღირსება დავაყენე ეჭვქვეშ... მერწმუნეთ, ამგვარი რამ ფიქრადაც არ გამოვლია. მოკლედ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ — ვეცდები მალე დავივიწყო ეს ყოველმხრივ შესანიშნავი წიგნი: როგორც ჩანს, ლიტერატურული ნამოღვაწარის ჩხრეკა მართლაც არაა ჩემი საქმე და წიგნის გმირებიც მათი ავტორებისათვის მიმინდვია — მომავალში მხოლოდ ცოცხალი ადამიანების

ნამოქმედარის კვლევას ვიკისრებ! იმასაც ვხვდები, მთლად რიგიანი მასპინძელი რომ ვერ გამოვდექი, უოთსონ — ლაქლაქით თავი მოგაბეზრეთ და მინდა ეს შეცოდებაც გამოვისყიდო: დარწმუნებული ვარ, ცოტაოდენი მუსიკის მოსმენაზე ახლა ნამდვილად არ იტყოდით უარს...

ჰოლმსმა ნიკაპქვეშ ვიოლინო მოირგო, ხემი მოიმარჯვა და ბეიკერ-სტრიტის 221ბ სახლში მდებარე ჩვენს მყუდრო ბინას პაგანინის *კაპრისების* მომაჯადოებელი ჰანგები მოედო.



ბოლი

ანსელმ ჰოლენდი ჯეფერსონში კარგა ხნის წინ დაემკვიდრა. მართალია, არც იმის სადაურობა იცოდა ვინმემ და არც ავანჩავანი, მაგრამ მაშინ ჯერ ახალგაზრდა და თან, ეტყობა, რაღაცით გამორჩეული კაცი იყო — ყოველ შემთხვევაში, თვალ-ტანად ნამდვილად არ დაიწუნებოდა და სამიოდე წელიწადში ჩვენს მხარეში ორი ათასი აკრი საუკეთესო მიწის პატრონის ერთადერთი ქალიშვილი შეირთო ცოლად, სიმამრს ჩაესიძა, იმის სახლში გადაბარგდა, ორი წლის თავზე ცოლმა ტყუპი ბიჭიც გაუჩინა და მალე, სიმამრის სიკვდილის შემდეგ, ცოლის სახელზე ჩაწერილი მთელი ფერმის ბატონ-პატრონადაც იქცა. თუმცა, ჯერ სიმამრის სიცოცხლეშიც არაერთხელ გვსმენია ჯეფერსონელებს მისი ნათქვამი — რაღაც ძალიან ხმამაღლა კი გაიძახოდა ხოლმე – ჩემი მიწა და ჩემი მამულიო; ამიტომაც ყველანი, ვისი მამა-პაპაც ამ მიწაზე დაბადებულიყო, ცოტა არ იყოს ალმაცერად უყურებდნენ, სინდისგარეცხილ და დაუნდობელ კაცად თვლიდნენ (თავისი თეთრკანიანი თუ ზანგი მოიჯარეებიც ასე ახასიათებდნენ — ყველა, ვისთანაც კი რამე საქმე აკავშირებდა), მაგრამ ცოლის სიბრალულით და სიმამრის პატივისცემით, ცხვირს მაინც არ ვუბზუებდით, სალამს არ ვამადლიდით, თუმცა გულზე ნამდვილად არავის გვეხატებოდა. ბოლოს, როცა ცოლიც მოუკვდა და დაქვრივებულს ორი თითისტოლა ბიჭი დარჩა გასაზრდელი, ერთხმად დავასკვენით – ყველაფერში ისევ და ისევ თვითონ მოუძღვის ბრალი, ამ უთვისტომო გადამთიელის სისასტიკემ და უხიაგობამ მოუწამლა ქალს სიცოცხლეო. მერე, ბიჭები რომ წამოიზარდნენ და (რიგრიგობით, ჯერ ერთი, მერე მეორე) უკანმოუხედავად გაიქცნენ შინიდან, ოდნავადაც არ გაგვკვირვებია. და აი, როცა ექვსი თვის წინ ჰოლენდი მოულოდნელად მკვდარი იპოვეს, ცხენის უზანგში ფეხგახლართული და ერთიანად დალილავებული — ეტყობა, ცხენს რკინის მესერის გასწვრივ ეთრია (ისე, ცხოველსაც სულ დაიარებულ-დასისხლიანებული ჰქონდა ფერდები და გავა, გაშმაგებულ ბერიკაცს დაუნდობლად ეცემა ჯოხით), არავის შეგვცოდებია — არ შეგვცოდებია, რადგან

მას შემდეგ რაც ფოლკნერის 'ნახევრადდეტექტიურმა' რომანმა — *გვამის შემვინებელმა* — თვით ავტორისათვისაც კი მოულოდნელი წარმატება მოიპოვა, მწერალს მოესურვა შეექმნა მეტ-ნაკლებად დეტექტიური მოთხრობების მთელი წყება, რომლის მთავარი გმირიც ვექილი გეივინ სტივენსი უნდა ყოფილიყო. ეს მოთხრობა სწორედ ამ კრებულიდანაა აღებული ('მხედრის გამბიტი').

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც ყველას, ვინც იმჟამად ჩვენს მხარეში სახლობდა და ჭკუა-გონებაც ჩვენნაირად ჰქონდა მოწყობილი, ჯერ არგაგონილ, წარმოუდგენელ დანაშაულად მოეჩვენა. სწორედ იმისი სიკვდილის დღეს შევიტყვეთ, რომ საგვარეულო სასაფლაოზე, სადაც მისი ცოლის წინაპრები იყვნენ დაკრძალულნი, თურმე საფლავები გაეთხარა და ის სამარეც არ დაენდო, რომელშიაც, აგერ უკვე ოცდაათი წელიწადია, მისი ცოლი განისვენებდა. მერე ეს შეშლილი ბერიკაციც შერყვნილ და წაბილწულ საფლავებს შორის დამარხეს, დანიშნულ დროს კი მისი ანდერძი გახსნეს და დასამტკიცებლად წარადგინეს. არც ამ ანდერძის შინაარსს გავუკვირვებივართ: არ გაგვკვირვებია, საფლავიდანაც რომ მოეხერხებინა აბუჩად აეგდო საკუთარი ღვიძლი შვილები, უკანასკნელად მოეგო ნიშნი იმათთვის, ვისი შეურაცხყოფაც და წყენინებაც ჯერ კიდევ შეეძლო.

მამა რომ გარდაეცვალათ, ტყუპებს სწორედ იმ წელიწადს შეუსრულდათ ორმოცი წელი. როგორც ხალხი ამტკიცებდა, ანსელმი, უმცროსი ძმა, დედის ნებიერა იყო — ალბათ იმიტომ, ძმაზე მეტად რომ ჰგავდა მამას. დედის გარდაცვალების შემდეგ, როცა ბიჭები ჯერ მთლად ბავშვები იყვნენ, ბევრჯერ გაგვიგონია, თურმე როგორ დაერეოდნენ ხოლმე ერთმანეთს დიდი ანსი და პატარა ანსი; ვირჯინიუსი კი, ანსის ტყუპისცალი, ერთთავად იმათ შერიგებას ცდილობდა, რისთვისაც მამაცა და ძმაც უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ და აგინებდნენ. ოღონდ იმას, იმ ჩვენ ვირჯინიუსს, სხვანაირად მაინც არ შეეძლო. ანსელმი, ვირჯინიუსის ტყუპისცალი, პირიქით, კერკეტი კაკალი გამოდგა: თექვსმეტი წლისა გაიქცა შინიდან და ათი წელი არამც თუ აღარ გამოჩენილა, ამბავიც არ შემოუთვლია. როცა დაბრუნდა, უკვე სრულწლოვანი იყო და მამასაც ოფიციალურად მოსთხოვა მიწის გაყოფა. უკვე გაეგო, მოხუცი ანსი მამულის მხოლოდ მეურვედ რომ ითვლებოდა და ახლა თავისი წილის მიღებას ცდილობდა. გაშმაგებული ბერიკაცი უარზე დადგა. ეტყობა, შვილიც არაფერს უთმობდა — შორი-შორს არ წაუვიდოდნენ ერთმანეთს. მერე ისიც შევიტყვეთ, სრულიად მოულოდნელად და ჩვენდა გასაოცრად, თურმე ვირჯინიუსსაც მამის მხარე დაეჭირა. ასე ამტკიცებდნენ და მართლაც, მიწისთვის არავის უხლია ხელი, იმასაც ამბობდნენ, მათთვისაც უჩვეულო, გააფთრებული ჩხუბის მერე — ისეთი ამბავი ატეხილა, ზანგ მსახურებს ძლივს გამოუსწრიათ შინიდან და მთელი ღამე სათოფეზე აღარ გაჰკარებიან სახლს — ზოგი სად დამალულა და ზოგი სად. ახალგაზრდა ანსმა მოჰკიდა ხელი თავის წყვილ ჯორს და სადღც გადაიკარგა... იმ დრიდან მოყოლებული მამის სიკვდილამდე, მას შემდეგაც კი, როცა უკვე ვირჯინიუსიც იძულებული გახდა მამას გაყროდა, აღარასოდეს გაუცია ხმა არც მამისთვის და არც ძმისთვის, თუმცა ამჯერად უწინდელივით არ გადახვეწილა. იქვე, მახლობლად, მთაში დასახლდა (*იქიდან უკეთესად უთვალთვალებს მამასაც და ძმასაც* — თქვა ვიღაცამ) და თხუთმეტი წელი პატარა, ოროთახიან მიწურში გაატარა, მარტოდმარტომ, განდეგილივით, საჭმელსაც თავისი ხელით იმზადებდა და ქალაქშიც წელიწადში ასე, ოთხჯერ თუღა გამოჩნდებოდა ხოლმე წყვილჯორშებმული ფორნით. რამდენიმე წლის წინ დაატიმრეს კიდეც, ვისკის უკანონოდ გამოხდისთვის გაასამართლეს. არც დამცველი იქირავა, არც არაფერი აღიარა: კანონის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის ჯარიმის გადახდა დააკისრეს და როცა ვირ-

ჯინიუსმა შესთავაზა, მე გადავიხდი მაგ ჯარიმასო, ისეთმა სიშმაგემ დარია ხელი, მამამისი მონაგონი იყო. იქვე, სასამართლოშივე გაიწია ძმის საცემ-რად, თვითონვე მოითხოვა, ციხეში წამიყვანეთო და რვა თვის მერეღა გა-თავისუფლდა სამაგალოთო ქცევისათვის. მერე ისევ თავის მიწურს დაუ-ბრუნდა: პირქუში, დაბღვერილი, სიტყვაძუნწი, არწივისცხვირიანი კაცი, ვინც მეზობლებსაც და შემთხვევით გამვლელებსაც ერთნაირად სცემდა ზა-ფრას.

მეორე ტყუპისცალი, ვირჯინიუსი, შინ დარჩა — მამულს უძღვებოდა, მიწას ამუშავებდა, რადგან მამამისს ფერმის საქმე მუდამ ფეხებზე ეკიდა (ამბობდა კიდეც ხალხი მოხუც ანსზე: ვინაა და სადაური არ ვიცით, ოღონდ ფერმერისა კი ნამდვილად არაფერი სცხიაო; მამა-შვილის წაკიდების მიზეზსაც ჩვენებურად ვხსნიდით: გულმა ვეღარ მოუთმინა ახალგაზრდა ანსს, როცა ნახა როგორ უვერანებდათ ბერიკაცი დედის დანატოვარ მიწასო). მა-გრამ ვირჯინიუსი მაინც მამასთან დარჩა. რა თქმა უნდა, არც იმას ულხინდა, მერე ხშირად გვითქვამს, უნდა მიმხვდარიყო, ასეთ ცხოვრებას დიდი დღე არ ეწერაო. ხოლო როცა მოსახდენი მოხდა, იმასაც ვფიქრობდით, შეიძლება სხვაზე უკეთ ხვდებოდა კიდევაცო. რა ვქნა, ასეთი კაცი იყო. ვერავინ იტყოდა რას ფიქრობდა, რა ედო გულში. მოხუც ანსსა და ახალგაზრდა ანსს მოხარშულებს ვიცნობდით. იქნება, რაღაცა ჩვენც გვეშლებოდა, ოღონდ იმათი გულისნადების ამოცნობას მაინც არ სჭირდებოდა ბევრი ტვინის ჭყლეტა. აი, ვირჯინიუსი კი გულში არავის ჩაახედებდა. მოგვიანებითღა აეხადა ყველაფერს ფარდა. ისიც ვერავინ გავიგეთ, ძმის წასვლისა და მამას-თან ერთ ჭერქვეშ ათი წლის ცხოვრების მერე, ბოლოს და ბოლოს, იმანაც რად აიკრა გუდანაბადი. თვითონ არავისთვის არაფერი უამბია, ალბათ გრენბი დოჯთანაც არ დასცდენია სიტყვა. თუმცა, ჩვენ მოხუც ანსსაც ვიც-ნობდით და ვირჯინიუსსაც და იმათი განხეთქილების ამბავიც ჩვენებურად გვქონდა წარმოდგენილი.

ყველა ვხედავდით, მოხუცი ანსი მთელი წელი გიჟსა ჰგავდა, მას მერე, რაც ახალგაზრდა ანსმა ჯორები წაიყვანა და მთაში გაიხიზნა. ბოლოს ეტყობა, მთლად აევსო მოთმინების ფიალა და ვირჯინიუსს რაღაც ამდაგვარს ეტყოდა, ნაღდად:

“გგონია, რახან შენი ძმა წაეთრა, ახლა მანამდე გაპარპაშებ აქ, ვიდრე მთელი მამული შენ დაგრჩებოდესო?”

“არა მჭირდება მთელი მამულიო — ასე მიუგებდა ვირჯინიუსი — ოღონდ კი ჩემ წილ მიწას ვეღირსებოდეო”.

“ჰოოო, — ეტყოდა, ალბათ, მოხუცი ანსი — მაშ, შენც მიწის გაყოფა გდომებია? მაშ, შენც იმის ჭკუისა ბრძანებულხარ? თქვენი აზრით, როგორც კი სრულწლოვანები გახდით, მაშინვე უნდა დაგვექუცმაცებინა მიწაო?”

“მე ბევრს არა გთხოვ, ცოტაოდენი მინდა, რიგიანად რომ დავამუშავო და გულხელდაკრეფილმა არ ვუცქირო, ტყუილად როგორ პარტახდებაო,” —

უპასუხებდა ვირჯინიუსი, როგორც ყოველთვის ჭკვიანურად, როგორც ყოველთვის მორჩილად: არავის ახსოვს, ვირჯინიუსს წონასწორობა დაეკარგოს, ან თუნდაც აღელვება შესტყობოდეს, მაშინაც კი მშვიდად იდგა, სასამართლოში, როცა ანსელმა გალახვა დაუპირა იმ ჯარიმის გამო.

“მაშ ეგრეო! – იტყოდა მოხუცი ანსი — “კარგი, მაგრამ მთელი ეს წლები მე რომ წელებზე ფეხს ვიდგამდი, მიწას ვამუშავებდი, გადასახადს ვიხდიდი, შენ და შენ ძმას კი ფულის მოქუჩების მეტი სხვა დარდი და საფიქრალი არა გქონდათ, შენი აზრით, ამ საქმეს როგორღა მოევლებაო?”

“ჩემზე უკეთ მოგეხსენება, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ანსელმს ცენტიც არ გადაუნახავსო,” — მიუგებდა ვირჯინიუსი — “რაც გინდა დასწამე, ოღონდ თაღლითობას მაინც ნუ დააბრალებო”.

“ღმერთსა ვფიცავ, არც ვაბრალებ – იმას იმდენი გამბედაობა მაინც ეყო, რაც თავისად მიაჩნდა, დაუფარავად მოეთხოვა და პირშიჩალაგამოვლებული, კუდამოძუებული წათრეულიყო... აი, შენ კი სხვა ხარ. შენ ისეთი დაწყევლილი ხარ, მანამდე იყურყუტებ აქ, მანამდე მოიცდი, ვიდრე სული ამომხდება! თუმცა, კაცმა რომ გისმინოს, ენა კი დათაფლული გაქვს... მოკლედ, დამიბრუნე რაც დედაშენის სიკვდილის მერე შენი მიწის გადასახადი გადამიხდია და გაყოფაზეც მერე მელაპარაკეო!”

“არაო,” — უპასუხებდა ალბათ, ვირჯინიუსი — არ დაგიბრუნებო”.

“მაშ არ დამიბრუნებო?” — ჰკითხავდა მოხუცი ანსი — “არ დამიბრუნებ, არა? მართალიც იქნები, ნახევარს რატომ უნდა დაახარჯო ფული, როცა ერთ მშვენიერ დღეს მუქთად, არამად დაეპატრონები ყველაფერსო”. ამ დროს, ალბათ, მოხუცი ანსი ფეხზე წამოდგებოდა (ჩვენი ვარაუდით, მაამდე მაგიდას უსხდნენ, მშვიდად საუბრობდნენ, როგორც წესიერ ხალხს და მამა-შვილს შეეფერება), წამოიმართებოდა გაბურძგნული, კოპებშეკრული და – წაეთრიე ჩემი სახლიდანო – უყვირებდა ვირჯინიუსს. მაგრამ ვირჯინიუსი წარბსაც არ შეიხრიდა, ფეხსაც არ მოიცვლიდა, არც კი შეირხეოდა და მშვიდად მიაჩერდებოდა მამას. მაშინ მოხუცი ანსიც უკვე ხელაწეული დაიძვრებოდა მისკენ:

“წადი, წაეთრიე აქედან, თორემო...“ — დაემუქრებოდა შვილს.

ჰოდა, ვირჯინიუსიც წავიდა. ოღონდ არ გარბოდა, არ ფაციფუცობდა, ბარგი ჩაალაგა (იმას მეტი ბარგი ჰქონდა, ახალგაზრდა ანსისგან განსხვავებით, რაღაც-რაღაცების შეკოწიწება მოესწრო და მოეხერხებინა) და სამოოთხი მილის მოშორებით, ერთ ნათესავთან გადასახლდა – დედამისის ვიღაც მოკეთის ვაჟიშვილთან. ნათესავი მარტო ცხოვრობდა, რიგიანი ფერმა ჰქონდა, ოღონდ არაერთხელ დაგირავებულ-გამოხსნილი, რადგან ფერმერობას მაინცდამაინც ვერ უდებდა გულს, ცხენ-ჯორის გადამყიდველობა და მქადაგებლობა უფრო იზიდავდა — საშუალო ტანის, წითური, უსახური კაცი იყო, ამისთანას შეხვდები სადმე და წუთის მერე ველარაფრით გაიხსენებ — ისე, კაცმა რომ თქვას, ალბათ მიწის დამუშავებაზე უკეთესად არც ვაჭრობა

და ქადაგება ეხერხებოდა. ძმისგან განსხვავებით, ვირჯინიუსი წყნარად, უჩხუბრად და უდავიდარაბოდ გაეყარა მამას; ჩვენში დარჩეს და, რაც არ უნდა უცნაური იყოს, არასოდეს არავის საყვედური არ დაგვცდენია ანსთან, რატომ ჩხუბობ, რატომ ვერ მორიგებიხარ მამაშენსო. პირიქით, ანსს კი არა, საცა სიმართლეა, ჩვენ მუდამ ვირჯინიუსს ვუცქერდით ხოლმე ცერად: ვერ შეატყობდი რა სწყინდა, რა უხაროდა, როდის რა ედო გულში. ეშმაკ კაცს ვეძახდით და აღარც გაგვკვირვებია, როცა მთელი თავისი დანაზოგი ნათესავის ფერმის გამოხსნას დაახარჯა... არც იმ ამბავს გავუოცებივართ, როცა ერთი წლის თავზე მოხუცმა ანსმა უცებ ფერმის გადასახადის გადახდაზე თქვა უარი და ზუსტად ორი დღით ადრე კი, სანამ გაკოტრებულად გამოაცხადებდნენ, შერიფმა ფოსტით მიიღო ვიღაც უცნობისაგან მთელი თანხა — ჰოლენდების ფერმის მთელი ვალი.

“ვირჯინიუსი იქნება, აბა სხვა ვინაო” – ვამბობდით, რადგან, მართალია, ქაღალდი ხელმოუწერელი იყო, მაგრამ ჩვენის აზრით, გამომგზავნის ვინაობის დადგენა ბავშვსაც არ უნდა გასჭირვებოდა. ოღონდ ეს მერე იყო, მანამდე კი შერიფი მოხუც ანსს მიადგა გასაფრთხილებლად.

“საჯარო ვაჭრობის დღე დანიშნეთ და ჯანდაბამდის გზაც გქონიათო” — არც აცალა სიტყვის დამთავრება ანსმა. “იმ ჩემ ბედოვლათებს თუ ჰგონიათ, გულხელდაკრეფილი ჯდომა და ლოდინი დააყრით ხეირს...”

შერიფმა ახალგაზრდა ანსსაც მიაწვდინა ხმა.

“ეგ მიწა ჩემი არ არისო” — შემოთვალა იმან.

ბოლოს, ვირჯინიუსსაც შეატყობინა. ვირჯინიუსი ქალაქში ჩამოვიდა და თავისი თვალით ნახა დავთრები.

“ასე გამოდის, დიდი მეურნეობა უნდა ჩავიბარო” — თქვა — “რა თქმა უნდა, მამაჩემი თუ ფერმას დაკარგავს, იქნებდა გამოვისყიდო კიდეც…. ასეთ კარგ ფერმას არც მუშტარი მოაკლდება და კაი ფასადაც გაიყიდებაო”.

ეს იყო და ეს. არც აღშფოთება შესტყობია, არც გაოცება და არც სინანული. იცოდა, ალბათ, თავისი საქმე კაცმა. ამიტომ ოდნავადაც აღარ გაგვკვირვებია, როცა შერიფმა ფული და ხელმოუწერელი ბარათი მიიღო ფოსტით: ანსელმ ჰოლენდის ფერმის გადასახადი – ხელწერილი გადაეცეს ანსელმ ჰოლენდ-უფროსსო.

“ვირჯინიუსი იქნება, აბა სხვა ვინაო”, ვიმეორებდით ჩვენც ერთსა და იგივეს. მერე, მთელი ის წელიწადი სულ ვირჯინიუსი გვედგა თვალწინ: სხვის ჭერქვეშ შეხიზნული, სხვის მიწაზე ღვრიდა ოფლს და თან იმასაც ხედავდა, როგორ ეღუპებოდა საკუთარი კარ-მიდამო – პაპისეული სახლიცა და კანონიერი მამულიც. ბერიკაცმა ფერმას წირვა გამოუყვანა: ვრცელ, ნაყოფიერ მინდვრებს წლიდან წლამდე სარეველა ჭამდა და უწყალოდ პარტახდებოდა იქაურობა, არადა, ყოველი წლის იანვარში შერიფი ისევ ფოს-

ტით იღებდა ფულსაც და მუდამ ხელმოუწერელ ქვითარს, ერთსაც და მეორესაც შინ უგზავნიდა მოხუც ანსს, რადგან ის უკვე საერთოდ აღარ ჩამოდიოდა ქალაქში, სახლიც თავზე ემხობოდა და მომკითხავიც აღარავინ ჰყავდა ვირჯინიუსის მეტი. ვირჯინიუსი კი ცხენდაცხენ მიადგებოდა ხოლმე პარმაღს, წელიწადში ასე ხუთ-ექვსჯერ, ბერიკაციც გამოუვარდებოდა და უშვერი სიტყვებით თათხავდა. ვირჯინიუსი მშვიდად შესცქეროდა, დარწმუნდებოდა, ცოცხალია და არაფერი უჭირსო, ფერმაში დარჩენილ ზანგებს გამოელაპარაკებოდა და ისევ თავისი გზით მიდიოდა. სხვა მნახველი მოხუც ანსს არც არავინ ჰყავდა, თუმცა ბევრნი კი უთვალთვალებდნენ შორიდან, როგორ მოივლიდა ხოლმე გაველურებულ მინდვრებს სწორედ იმ ბებერი, თეთრი ცხენით, რომელმაც ბოლოს იმსხვერპლა კიდეც.

ერთ ზაფხულს კი გავიგეთ, თურმე კედრის ჭალაში, იქ, სადაც მისი ცოლის ნათესაობის ხუთი თაობა განისვენებდა, საფლავების თხრისთვის მიეყო ხელი.

ვიღაც ზანგმა მოიტანა ეს ამბავი და ქალაქის სანიტარულმა ინსპექტორმაც მაშინვე სასაფლაოს მიაშურა. ჯერ ჭალაში დაბმული თეთრი ცხენი დაინახა, მერე კი თვითონ თოფიანი ბერიკაციც დაადგა თავზე. ინსპექტორი წამოვიდა, გამოეცალა, ორი დღის შემდეგ კი უკვე შერიფი გაემგზავრა სასაფლაოსკენ, ბერიკაცი მიწაზე იპოვა, ცხენის გვერდით, უზანგში ფეხგახლართული, ცხენს კი გავაზე და ფერდებზე ნაიარევები აჩნდა — მათრახით კი არა, ჯოხით იყო ნაცემი — ისეთი ღრმა ნაიარევები, ეტყობა გაშმაგებულ პატრონს კარგა ხანს გამეტებით ერტყა.

და აი, ეს შეშლილი ბერიკაციც იმ საფლავების გვერდით დამარხეს, რომლებიც თავადვე შეერყვნა და წაებილწა. ვირჯინიუსი თავის ნათესავთან ერთად დაესწრო დაკრძალვას. სიმართლე ითქვას, მთელი სამგლოვიარო პროცესიის თავსა და ბოლოსაც მარტო ისინი შეადგენდნენ, რადგან უმცროსი ანსი საერთოდ არ გამოჩენილა, შინაც არ მისულა, თუმცა ვირჯინიუსი კარგა ხანს დარჩა იქ, ყველაფერი დააბინავა, გამოკეტა, ზანგებს ანგარიში გაუსწორა და მერე ისევ ნათესავთან გაემგზავრა. დანიშნულ დროს კი მოსამართლე დიუკინფილდს მოხუცი ანსის ანდერძი წარუდგინეს დასამტკიცებლად. არავისთვის ყოფილა საიდუმლო, რა ეწერებოდა იმ ანდერძში: წინასწარ ვიცოდით ყველამ. წესისა და რიგის მიხედვით იყო შედგენილი და ისიც არ გაგვკვირვებია, სათქმელი ნათლად და გასაგებად რომ იყო ნათქვამი: "...მომდევნო ორ მუხლში ჩამოთვლილის გარდა, მთელ ჩემ ქონებას ჩემს უფროს ვაჟს, ვირჯინიუსს ვუანდერძებ... თუკი დამტკიცდება და სასამართლოს თავმჯდომარეც აღიარებს, სწორედ ზემოხსენებული ვირჯინიუსი რომ იხდიდა ჩემი ფერმის გადასახადს, ოღონდ იმ ერთადერთი პირობით, თუ ამ საქმის გარკვევასა და განსჯას პირადად სასამართლოს თავმჯდომარე იკისრებს".

მომდევნო ორი მუხლი ახლა ამას გვამცნობდა:

“ჩემს უმცროს ვაჟს, ანსელმს, ვუანდერძებ... ორ ხელ ჯორის სრულ აღკაზმულობას, რათა ზემოხსენებული ანსელმი ერთხელ მაინც ჩამოვიდეს ჩემი საფლავის მოსანახულებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს აღკაზმულობაც ჩემი ქონების განუყოფელ ნაწილად დარჩეს.

ჩემს მოკეთეს, გრენბი დოჯს, ვუანდერძებ ერთ დოლარ ნაღდ ფულს დავითნის შესაძენად, მადლიერების ნიშნად, რაკიღა სწორედ იგი აჭმევდა და ასმევდა ჩემს ვაჟს, ვირჯინიუსს, ღღიდან მისი შინიდან წასვლისა”.

აი, ეს ეწერა ანსელმ ჰოლენდის ანდერძში. ჩვენც თვალებად და ყურებად ქცეულნი ველოდებოდით, რას იტყოდა ან რას მოიმოქმედებდა ახალგაზრდა ანსი. მაგრამ ვერც ვერაფერი დავინახეთ და არც არაფერი გაგვიგონია. სხვათა შორის, ვერც ვირჯინიუსს შევატყვეთ რამე. უბრალოდ, შეიძლება ჩვენ ვერ ვხვდებოდით მის გულისნადებს, ვერ ამოგვეცნო მისი ნაფიქრალი. რას იზამ, ასეთი კაცი იყო. თუმცა, ჩვენში დარჩეს, გასაკეთებელიც არაფერი დარჩენილიყო. ვირჯინიუსს მხოლოდ მოთმინებით უნდა ეცადა, როდის დაამტკიცებდა მოსამართლე დიუკინფილდი ანდერძს და მერე შეეძლო ანსისთვისაც მიეცა კუთვნილი ნახევარი – თუკი, რა თქმა უნდა, საერთოდ აპირებდა რამის მიცემას. “იმას და ანსს ჩხუბი არასოდეს მოსვლიათო”, ამბობდნენ ერთნი. “მასე თუა, ვირჯინიუსს ჩხუბი თავის ღღეში არავისთან მოსვლია და ფერმაც მთელი შტატისთვის დაუნაწილებია და ეგაო”, ეჭვს გამოთქვამდნენ სხვები. “კი მაგრამ, ანსის ჯარიმის გადახდაზე განა ვირჯინიუსმა არ გამოიდო თავიო”, არ ცხრებოდნენ პირველები. “კარგი ბატონო, მაგრამ ანსმა როცა მიწის გაყოფა მოინდომა, ვირჯინიუსმა ვის დაუჭირა მხარიო?” – პასუხობდნენ მეორენი.

მოკლედ, ყველა რაღაცას ელოდებოდა. ველოდებოდით რას იტყოდა მოსამართლე დიუკინფილდი: უცებ გამოირკვა, მის ხელთ აღმოჩნდა თურმე ყველაფერი – განგების ცოცხალ განსახიერებად იქცა და იმას უნდა განესაჯა დაუცხრომელი ბერიკაცი, რომელიც სამარიდანაც კი დასცინოდა ყველას და ყველაფერს; უნდა განესაჯა შეურიგებელი ძმებიც, თხუტმეტი წლის წინ რომ დამდურებულიყვნენ, თითქოს თხუთმეტი წლის წინ რომ დახოცილიყვნენ ერთიმეორისთვის. თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, მოხუცი ანსის უკანასკნელი დარტყმა მაინც ასცდენოდა მიზანს, რისხვით დაბრმავებულს შეცდომა მოსვლოდა, როცა ანდერძის აღმსრულებლად მოსამართლე დიუკინფილდი დაენიშნა. ჩვენ მაინც ხომ ვიცოდით, მოსამართლე დიუკინფილდს ახლოსაც რომ ვერავინ დავუდგებოდით ვერც სიბრძნით, ვერც პატიოსნებითა და ვერც მიუდგომლობით — კანონთა გულმოდგინე შესწავლასაც კი ვერ შეერყია და ვერ დაეჩლუნგებინა მისი პატიოსნება და მიუდგომლობა.

ასეთი უბრალო საბუთის დამტკიცების უჩვეულოდ გაჭიანურებაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებდა, რომ მოსამართლე დიუკინფილდი იმ ხალხის რიცხვს განეკუთვნებოდა, ვისთვისაც მართლმსაჯულება სანახევროდ კანონთა ცოდნისგან, სანახევროდ კი – თავშეკავებისა და ღვთისა თუ საკუთარი თავის რწმენისაგან შედგება.

ანდერძის დამტკიცების დათქმული ვადა დასასრულს უახლოვდებოდა, ჩვენც სულ უფრო დადარაჯებულნი ვუთვალთვალებდით მოსამართლე დიუკინფილდს, ვხედავდით ხოლმე, როგორ გამოდიოდა შინიდან, როგორ გადაივლიდა მოედანს და როგორ მიაშურებდა სასამართლოს. აუჩქარებლად, მშვიდად მიაბიჯებდა — წარმოსადეგი, თმაშევერცხლილი, წელგამართული, ღირსებით აღსავსე, სამოცს გადასცილდებოდა უკვე და კარგა ხნის წინ დაქვრივებულიყო, — "აშოლტილი" – როგორც ზანგები ამბობდნენ მასზე. სასამართლოს თავჯდომარედ ჩვიდმეტი წლის წინ ავირჩიეთ; იურიდიული ცოდნის დიდი მარაგით არ გამოირჩეოდა, ოღონდ საღი აზრი კი ნამდვილად არასოდეს ღალატობდა და აი უკვე ზედიზედ ცამეტი წელიწადი, არჩევნებზე მეტოქე არ გამოსჩენია, ისინიც კი აძლევდნენ ხმას, ვისაც ცოტა არ იყოსდა აღიზიანებდა კიდეც მისი ლმობიერება და თავაზიანი შემწყნარებლობა, ყველანი ბავშვური ნდობითა და იმედით შესცქეროდნენ. ჰოდა, სულგანაბულნი ვადევნებდით თვალს, წინდაწინ დარწმუნებულნი მისი საბოლოო გადაწყვეტილების სამართლიანობაში, არა მარტო იმიტომ, თვითონ რომ არ იკადრებდა უსამართლობას, არამედ იმიტომაც, არც სხვას რომ დართავდა უსამართლობის ჩადენის ნებას. ყოველ დილით ვხედავდით როგორ გადაჭრიდა ხოლმე მოედანს ზუსტად ცხრის ათ წუთზე და როგორ გაემართებოდა სასამართლოსაკენ, სადაც უკვე ათი წუთია ზანგი კარისკაცი ელოდებოდა, რათა მატარებლის მოსვლის მაუწყებელი სემაფორის სიზუსტით, კარი გაეღო მისთვის. მოსამართლე კაბინეტში შედიოდა, ზანგი კი ძველ, დამტვრეულ, მავთულით დამაგრებულ სავარძელში იკავებდა თავის ადგილს, კაბინეტსა და სხდომათა დარბაზს შორის მოქცეულ პატარა, ქვის იატაკიან დერეფანში და მთელი დღე ამ სავარძელში თვლემდა, თვლემდა ზედიზედ ჩვიდმეტი წელიწადი. ნაშუადღევის ხუთ საათზეღა გამოერკვეოდა ხოლმე თვლემიდან, კაბინეტში შევიდოდა და, ალბათ, მოსამართლესაც აღვიძებდა, რომელსაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთი ჭეშმარიტება ურყევად ერწმუნა: ნებისმიერი საქმის გადაწყვეტას, ჩვეულებრივ, საფიქრალის და საზრუნავისგან თავისუფალი, მოფილოსოფოსო ჭკუისკოლოფების ნაჩქარევი დასკვნები აფერხებენ და ართულებენო. მერე ვხედავდით, ორი მოხუცი ხელახლა როგორ გადმოსერავდა მოედანს, ერთმანეთს თხუთმეტი ფუტით დაშორებულნი, როგორ აუყვებოდა ხოლმე შინისაკენ მიმავალ ქუჩას, ორივე წინ იცქირებოდა, ისეთი წელგამართულები, ისეთი გაჯგიმულები მოაბიჯებდნენ, მოსამართლის ტანზე შეკერილი, ფიცარივით გახევებული იმათი სერთუკები ერთ ნაოჭს ან ნაკეცს არ გაიკეთებდა.

და აი ერთხელაც, დაახლოებით ნაშუადღევის ხუთ საათზე,. მოედანზე ჩოჩქოლი შეიქმნა, ვიღაცეები სასამართლოსკენ გარბოდნენ, მერე იმათ სხვებიც მიჰყვნენ, ქვაფენილზე ფეხების ბრაგაბრუგი ატყდა: "რა მოხდა?", "რა ამბავია?", "მოსამართლე, მოსამართლე დიუკინფილდიო... " ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები და ხალხი თავპირისმტვრევით მიიკვლევდა გზას საბარგო მანქანებსა და ფორნებს შორის – სადაც, სხვის გამონაცვალ სერთუკში გამოწყობილი, შეძრწუნებული ზანგი ზეცისკენ ხელებაპყრობილი გაქვავებულიყო. ბრბომ ზანგს ჩაუქროლა და კაბინეტში შევარდა. მოსამართლე დიუკინფილდი მაგიდასთან იჯდა, სავარძელში გადასვენებული. თვალები ღია დარჩენოდა, ტყვია ზედ ცხვირის ძგიდეში მოხვედროდა და თითქოს სამი

თვალით შემოგვცქეროდა. ყველა ხედავდა ნატყვიარს, არადა, არც მოედანზე მყოფთ, არც მთელი დღე დერეფანში მჯდომ ზანგს, სროლის ხმა არ გაუგონიათ.

* * *

იმ დღეს გევინ სტივენსს დიდი ჯაფა დაადგა – სტივენსსაც და ბრინჯაოს ზარდახშასაც. თავიდან ნაფიცმა მსაჯულებმა ვერა დ ავერ აუღეს მის ნათქვამს ალღო, ვერავინ მიხვდა რისი თქმა უნდოდა: ვერც მოსამართლე, ვერც ტყუპი ძმები, ვერც იმათი ნათესავი და ვერც ბებერი ზანგი — ყველა დაიბნა. ბოლოს, მსაჯულთა მამასახლისმა პირდაპირ ჰკითხა: "გევინ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ მოხუცი ჰოლენდის ანდერძსა და მოსამართლე დიუკინფილდის მკვლელობას შორის რაიმე კავშირი არსებობს?"

"დიახ, მიმაჩნია", უპასუხა სტივენსმა, "და მე მარტო ამის დამტკიცებას არ ვკისრულობ".

ყველა სტივენსს მიაჩერდა – მსაჯულებიც, ორივე ძმაც. მხოლოდ ბებერ ზანგსა და ძმების ნათესავს არ შეუხედავთ მისთვის. ბოლო ერთ კვირაში ზანგი, თვალსა და ხელს შუა, ორმოცდაათიოდე წლით დაბერებულიყო. როცა მისი ბატონი მოსამართლედ აირჩიეს, იმანაც სასამართლოში დაიწყო მუშაობა, რადგან, რაც თავი გვახსოვდა, მუდამ დიუკინფილდების ოჯახს ემსახურებოდა. მოსამართლეზე ბევრად უფროსი იყო, თუმცა ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინათ, იმ საბედისწერო დღემდე, გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა — ხმელ-ხმელი, თავფეხიანად სურთუკში ჩამალული, ყოველ დილით მოსამართლეზე ათი წუთით ადრე მიდიოდა ხოლმე სასამართლოში, კაბინეტის კარს გააღებდა, იქაურობას გამოგვიდა, მაგიდაზე მტვერს გადაწმენდდა, სხვას არაფერს მოჰკიდებდა ხელს – ჩვიდმეტწლიანი გამოცდილებით შეძენილი, ოსტატური დაუდევრობით მოითავებდა საქმეს და მერე თავის მავთულით ფეხებგადაბმულ, მოყანყალებულ სავარძელს მიაშურებდა, რათა მთელი დღე თვლემაში გაეტარებინა — უფრო სწორად, მხოლოდ ერთი შეხედვით ჰგავდა მთვლემარეს (კაბინეტში მოხვედრა სასამართლოს დარბაზიდან მომავალი ვიწრო გვერდითა კიბითაც შეიძლებოდა: ამ კიბით, ჩვეულებრივ, მხოლოდ სასამართლოს თავჯდომარე სარგებლობდა ხოლმე სესიების დროს, მაგრამ ამ გზით მოსულ კაცსაც მაინც მოხუცი ზანგისგან შვიდ-რვა ნაბიჯში უნდა გაევლო, თუკი, რა თქმა უნდა, დერეფნიდან პატარა ჩიხში არ შეუხვევდა – კაბინეტის ფანჯრის ქვეშ – და ფანჯრიდან არ გადაძვრებოდა) რადგან არავის ახსოვდა, როდისმე ისე ჩაევლო სავარძლის შორიახლოს, ზანგს მაშინვე არ გაეხილა დანაოჭებული ქუთუთოები და ყავისფერი, ლიბრიანი, ბებრული თვალები არ მიეშტერებინა მისთვის. ხანდახან მოხუცს ლაპარაკსაც გავუბამდით ხოლმე და სასაცილო მოსასმენი იყო, ერთბაშად დადარბაისლებული, როგორ ამახინჯებდა მედიდურ და გაუგებარ

იურიდიულ ცნებებს, ავადმყოფობასავით შეუმჩნევლად რომ გასჯდომოდნენ ძვალ-რბილში. ისეთი ენაწყლიანი პათოსით წარმოთქვამდა მათ, რომ მერე, ჩვენდა უნებურად, უკვე თვითონ მოსამართლე დიუკინფილდსაც უბოროტო ღიმილით ვუგდებდით ხოლმე ყურს. მოხუცი ზანგი ნელ-ნელა, თვალსა და ხელსშუა მოტყდა, ჩვენი სახელები ავიწყდებოდა, წლები ერეოდა და ჩვენც ვეშლებოდით ერთმანეთში: რინდიდან გამორკვეული, ზოგჯერ ისეთი კაცის მისვლას აუწყებდა მოსამართლეს, ვისაც კარგა ხნის წინ წაელო იმქვეყანას წერილი. ოღონდ შეუმჩნევლად მის გვერდით გავლა კი ჯერ მაინც ვერავის მოეხერხებინა.

დანარჩენი ყველა სტივენსს მიშტერებოდა – მსაჯულებიცა და გრძელი სკამის თავსა და ბოლოში ჩამომჯდარი ორივე ძმაც: ორივე ერთნაირად გამხდარი, ცხვირკეხიანი, მზემოკიდებული, ერთნაირად გულხელდაკრეფილი.

“მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ მოსამართლე დიუკინფილდის მკვლელი აქ, ამ ოთახში იმყოფება?” – ერთხელ კიდევ ჩაეკითხა მსაჯულთა მამასახლისი.

ცოტა ხანს ოლქის პროკურორიც თვალებადქცეულ ხალხს მიაჩერდა.

“დიახ,” — თქვა მერე. – “და მხოლოდ ამის დამტკიცებას არ ვკისრულობ”.

“დამტკიცებას?” – ჰკითხა ანსელმმა, უმცროსმა ტყუპისცალმა. ის მარტოდმარტო იჯდა გრძელი სკამის ერთ ბოლოში და ბრაზიანი, სუსხიანი თვალები მიეშტერებინა სტივენსისთვის; ცარიელი სკამის მეორე ბოლოში კი ვირჯინიუსი იჯდა, მისი ძმა, ვისთვისაც თხუთმეტი წელიწადია ხმა არ გაეცა.

“დიახ,” — გაიმეორა სტივენსმა. მაგიდასთან იდგა და სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ერთხელ კიდევ მოავლო ოთახს თვალი, მერე კი მშვიდად, ხუმრობანარევი ხმით დაიწყო ყველასათვის კარგა ხნის ნაცნობი ამბის მოყოლა — ხანდახან, ნათქვამის დასამოწმებლად, ვირჯინიუსს მიუბრუნდებოდა ხოლმე. უმცროსი ანსისა და მამამისის ამბავს გვიამბობდა. აუღელვებლად, ძალდაუტანებლად. ერთი შეხედვით, თითქოს მემკვიდრეთა დამცველობას კისრულობდა: ყვებოდა, როგორ წასულიყო უმცროსი ანსი შინიდან, როგორ წაჩხუბებოდა მამას — თანაც, სავსებით სამართლიანადაც წაჩხუბებოდა — რადგან იმას ცოლის დანატოვარი უაზროდ და დაუნანებლად დაენიავებინა და გაეპარტახებინა (იმ დროისათვის, დედისეული მიწის ნახევარი უკვე კანონითაც უმცროს ვაჟს ეკუთვნოდა). სტივენსი ძალიან დამაჯერებლად ლაპარაკობდა, გულწრფელად და ალალად, ოღონდ, იქნებ ცოტა ზედმეტადაც ქომაგობდა ახალგაზრდა ანსს. ყველაფრის თავი და თავიც სწორედ ეს გახლდათ. სწორედ ეს მოჩვენებითი კეთილგანწყობა, ეს მოჩვენებითი თანაგრძნობა ახდენდა რაღაც არასასურველ შთაბეჭდილებას, თითქოს ანსი რაღაცაში დამნაშავე იყო, ოღონდ რაში, ეს არავინ უწყოდა — დამნაშავე სწორედ სამართლიანობისკენ მისწრაფების, გარდაცვლილი დედის სიყვარულის გამო, იმის გამოც, ეს გრძნობები ხასიათის სიავესა და იმ კაცისგან

მიღებულ მემკვიდრეობას რომ დაემახინჯებინა და წაერყვნა, ვისი პატიება და შენდობაც ახალგაზრდა ანსს დღემდე ვერაფრით მოეხერხებინა. ძმები დროჟამით გადაპრიალებულ-გადასლიპინებული გრძელი სკამის თავსა და ბოლოში ისხდნენ, უმცროსი ბრაზისგან აცახცახებული შესცქეროდა სტივენსს, ძლივს იკავებდა თავს, უფროსიც დაჟინებით მისჩერებოდა, თუმცა სახეზე არაფერი დატყობია. სტივენსმა გვიამბო, როგორ წავიდა შინიდან გაბრაზებული ანსი, ერთი წლის შემდეგ კი ვირჯინიუსიც, ძმაზე გაცილებით უფრო წყნარი, გაცილებით უფრო გულჩათხრობილი კაცი, ლამის მთელი ცხოვრება მამისა და ძმის გაშველება-შერიგებაში რომ გაეტარებინა, იძულებული გახდა მის კვალს გაჰყოლოდა. სტივენსმა ისევ მართალი, ისევ უტყუარი სურათი დაგვიხატა: ძმები მამას კი არ გაეთიშა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში, არამედ მისგან შეძენილი ხასიათის თვისებებს, და სწორედაც ამ თვისებების გამო წაჰკიდებოდნენ ერთმანეთს, ამის გამო დამდურებულიყვნენ, არადა, სინამდვილეში ორივეს თანაბრად, ორივეს ერთნაირად ძლიერად უყვარდა დედის დანატოვარი მიწა – არა მარტო მათი კანონიერი სამფლობელო, არამედ მისი საუკუნო განსასვენებელიც.

“...აი ასე ცხოვრობდნენ და შორიდან ადევნებდნენ თვალს, როგორ იღუპებოდა საუკეთესო მიწა, როგორ იშლებოდა ნაწილ-ნაწილ პაპისეული სახლი, სადაც თვალი აეხილათ და სადაც მათი დედა დაბადებულიყო; ასე ენება შეშლილ ბერიკაცს, შვილების შინიდან გაყრის მერე ეტყობა მიმხვდარიყო, გულს ვეღარაფრით მოვუკლავო და ახლა იმასღა ცდილობდა სამუდამოდ მშრალზეც დაეტოვებინა — გადასახადს აღარ იხდიდა და მთელი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას აპირებდა. მაგრამ აქ ვიღაცამ ჭკუაში აჯობა ბერიკაცს, ვიღაც ძალიან შორსმჭვრეტელმა და წინდახედულმა, თავისი ვინაობის დამალვაც მოახერხა, თუმცა, ფული იყოს გადახდილი, თორემ გადამხდელის ვინაობა ვის რაში ენაღვლება. მოკლედ, ძმებს ისღა დარჩენოდათ, მოთმინებით დალოდებოდნენ ბერიკაცის აღსასრულს. მით უმეტეს, უკვე კაი ხნისაც მოყრილიყო და, ეგეც რომ არა, უფრო ახალგაზრდაც რომ ყოფილიყო, აუღელვებელ და თავშეკავებულ კაცს ლოდინი მაინც არ გაუჭირდებოდა, გინდაც ანდერძის შინაარსი არა სცოდნოდა. რა თქმა უნდა, ფიცხი და ფხუკიანი უფრო ძნელად შეიკავებდა თავს, მით უმეტეს, ნაწყენად და შეურაცხყოფილადაც თუ თვლიდა თავს, ბოღმაც თუ ედო გულში იმ კაცის, ვინც ჯერ იყო და ცხოვრების საუკეთესო წლები დაეკარგვინა, მერე კი ცარიელ-ტარიელიც დატოვა და კეთილი სახელიც შეუბღალა. ასეთ კაცს ძნელად რომ ლოდინის დრო და სურვილი გამოსჩენოდა”.

თვალმოუშორებლად შესცქეროდა ორივე ძმა. ანსელმის თვალები რომ არა, კაცს ქვის ქანდაკებები ეგონებოდა. სტივენსი ხმადაბლა ლაპარაკობდა, მზერას არავიზე აჩერებდა. პროკურორობის ლამის იმდენხნიანი გამოცდილება ჰქონდა, რამდენი წელიწადიც მოსამართლე დიუკინფილდი იჯდა თავის სავარძელში. ჰარვარდის უნივერსიტეტი დაემთავრებინა. მაღალმაღალი, აწოწილი, ჭაღარაფაფრიანი კაცი იყო, უნივერსიტეტელ მეცნიერებთან აინშტაინის თეორიაზე კამათიც უყვარდა და სოფლის დუქნის ჩრდილში ჩაცუცქული ჯდომაც, სოფლელებთან მასლაათი იმათებურ კილოზე. თვითონ ამას “ენის ფხანას” ეძახდა.

“...ბოლოს და ბოლოს, შორსმჭვრეტელთა ვარაუდიც გამართლდა, მოხუცმა უფალს მიაბარა სული. მერე ანდერძიც გახსნეს და ამ ამბავმა მთებშიც მიაღწია, იქაც გაიგეს, ახლა მაინც რომ ჩაუვარდებოდა ხელში მიწა კანონიერ მფლობელს. უფრო სწორად, მფლობელებს, რადგან ანს ჰოლენდმა ჩვენზე უკეთესად იცოდა, გინდაც ასი ანდერძი დაეწერა, ვირჯინიუსი მხოლოდ თავის კუთვნილ ნახევარს დაეპატრონებოდა. აკი მაშინაც ნახევარს ითხოვდა, როცა მამა მთელ მიწას იმას სთავაზობდა. ეს არც უმცროს ანსს ეეჭვებოდა, თვითონაც ასე მოიქცეოდა და იმიტომ. ვირჯინიუსის ადგილას რომ აღმოჩენილიყო, ისიც დაუფიქრებლად გაუყოფდა ძმას მამულს. მართლაც, მარტო ანსელმ ჰოლენდის ვაჟები ხომ არ იყვნენ, ძარღვებში კორნელია მარდისის სისხლიც დაუდიოდათ. გინდაც დარწმუნებული არ ყოფილიყო, იმდენს მაინც ხვდებოდა, რომ დედისეული მიწა, მიწა, სადაც განისვენებდა კიდეც დედამისი, ბოლოს და ბოლოს რიგიან პატრონს ეღირსებოდა. იცოდა და, შეიძლება ბავშვობის მერე, იმ დღეების მერე, როცა ჯერ დედა ცოცხალი ჰყავდა, როცა დასაძინებლად დაწოლილს დედა ერთხელ კიდევ ააკითხავდა ხოლმე ოთახში და ერთხელ კიდევ დახედავდა — სძინავს თუ არაო — პირველად დაიძინა მშვიდად. უკვე ყველაფერი წარსულს ჩაბარებოდა: წყენაც, უსამართლობაც, კეთილი სახელის დაკარგვაც, პატიმრობის სირცხვილიც – ყველაფერი სიზმარივით გამქრალიყო. უკვე ყველაფრის დავიწყება შეიძლებოდა, ყველაფერი შეიცვლებოდა, კალაპოტში ჩადგებოდა. ამ დროისათვის მარტოდმარტო, განდეგილივით ცხოვრებასაც ისე შეჩვეოდა, ყოფის გამოცვლა გაუჭირდებოდა კიდეც. მარტო დარჩენა ერჩია, მიყრუებულ მთებში. მთავარი იმის ცოდნა იყო, ყოველივე ცუდი სიზმარივით რომ დასრულებულიყო და დედისეული მიწაცა და მისი განსასვენებელიც იმ ერთადერთი სანდო და საიმედო კაცის ხელში მოხვედრილიყო, ვისაც თხუთმეტი წელიწადია არ დალაპარაკებოდა. ხომ გესმით, რისი თქმაც მინდა?”

ყველა სტივენსს მივჩერებოდით, სწორედ იმ მაგიდას ვუსხედით, რომელზედაც ყველაფერი ხელუხლებლად დარჩენილიყო მოსამართლე დიუკინფილდის სიკვდილის დღიდან. იგივე ნივთები ეწყო, რაც მაშინ, როცა მოსამართლემ დამიზნებული დამბაჩის ლულა დაინახა — კარგა ხნის ნაცნობი ნივთები: საქაღალდეები, ობმოკიდებული სამელნე, პატრონის საყვარელი, დაბლაგვებული კალმისტარი და პატარა, ბრინჯაოს პაწია ზარდახშა, სხვა ვერაფერში რომ ვერ გამოეყენებინა მოსამართლეს და პრესპაპიედ ხმარობდა. ხის გრძელი სკამის თავსა და ბოლოში კი უმძრახად ისხდნენ ტყუპი ძმები და სტივენსს დაჟინებით მიშტერებოდნენ.

“ვერაფერიც ვერ გავიგეთ,” — თქვა მსაჯულთა მამასახლისმა — “ამით რისი თქმა გინდათ? რა კავშირია ყოველივე ამასა და მოსამართლე დიუკინფილდის მკვლელობას შორის?”

“მოგახსენებთ.” — თქვა სტივენსმა — “მოსამართლე დიუკინფილდს ანდერძი უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ არ დასცალდა, მანამდე მოკლეს. გეთანხმებით, ცოტა უცნაური ანდერძია, ოღონდ მისტერ ჰოლენდისგან არც ეგ უნდა გაგვკვირებოდა. მით უმეტეს, წესითა და რიგითაა შედგენილი და მემკვიდრეებიც კმაყოფილნი დარჩნენ: ყველამ მშვენივრად ვიცოდით,

როგორც კი მოითხოვდა, მიწის ნახევარი მაშინვე ანსის ხელში გადავიდოდა. მაშასადამე, ანდერძი სამართლიანია და მისი დამტკიცებაც – უბრალო ფორმალობა. არადა, მოსამართლე დიუკინფილდმა ქაღალდი თითქმის სამი კვირა დაიტოვა, მერე კი უცებ დაიღუპა. მაშასადამე, ის კაცი, ვისაც ეგონა რომ მხოლოდ ლოდინი...“

“ვინ კაცი?” – გააწყვეტინა სიტყვა მსაჯულთა მამასახლისმა.

“მოითმინეთ,” — თქვა სტივენსმა — “ამ კაცს მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვებოდა — ლოდინი. და ეს არც აწუხებდა — თხუთმეტ წელიწადში ლოდინს კარგად შესჩვეოდა. ეგ არ იყო საქმე. მთავარი სხვა გახლდათ, და ეს მთავარი მაშინ შეიტყო (ანდა, მაშინ გაახსენდა), როცა მიხვდა, უკვე გვიანაა და რა თქმა უნდა, ჯობდა არაფერი დამვიწყებოდაო. ისე, ეშმაკობა, მოთმინება და შორსმჭვრეტელობა ნამდვილად არ აკლდა, იმდენად მომთმენი აღმოჩნდა – თხუთმეტი წელი იცადა მშვიდად, იმდენად შორსმჭვრეტელი – ყველაფრის გათვალისწინება მოახერხა ერთის გარდა – საკუთარი მახსოვრობისა. ხოლო როცა უკვე ძალიან გვიან იყო, მაშინღა გაახსენდა უეცრად, კიდევ არსებობს ერთი კაცი, ვისაც უთუოდ ემახსოვრება რაც მე დამავიწყდაო. მოსამართლე დიუკინფილდი იყო ის კაცი. მოსამართლემ ყველაფერი იცოდა, იცოდა, ის თეთრი ცხენი მისტერ ჰოლენდს ვერასდიდებით რომ ვერ მოკლავდა”.

სტივენსი გაჩუმდა, ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა. მსაჯულები ენაჩვარდნილნი უსხდნენ მაგიდას და სტივენსს მიშტერებოდნენ. ანსელმმა ჯერ ძმას გახედა, ძმისკენ მიაბრუნა ბრაზიანი, ნაოჭებით დასერილი სახე, მერე კი, ოდნავ წინგადახრილი, ისევ სტივენსს მიაჩერდა. ვირჯინიუსი უძრავად იჯდა, ერთხელაც არ შესცვლია მშვიდი, ყურადღებიანი გამომეტყველება. გვერდით, კედლისკენ ახლოს, გრენბი დოჯი იჯდა, ნათესავი — ხელები მუხლებზე დაეკრიფა და თავი ჩაექინდრა, თითქოს ეკლესიაშიაო. გრენბისა მხოლოდ ის ვიცოდით, მოხეტიალე ქადაგი რომ იყო, ისეთი უხერხემლო, ისეთი გაუბედავი და მორცხვი, ადამიანებთან ნებისმიერი ურთიერთობა წამებად გადაექცეოდა ხოლმე და ჩვენც იმგვარი ზიზღნარევი სიბრალულით გვებრალებოდა, რა სიბრალულითაც გაჭყლეტილ ჭიაყელას დასცქერის ხოლმე კაცი, და კიდეც ვერიდებოდით იმასთან გამოლაპარაკებას — ვხედავდით, როგორ ცოდვილობდა, როგორი ტანჯვით ამოღერღავდა ხოლმე პასუხს. მაგრამ ბევრჯერ იმის მომსწრენიც გავმხდარვართ, კვირაობით სოფლის ეკლესიის ამბიონზე როგორ გარდაიქმნებოდა ერთბაშად, სულ სხვა კაცი ხდებოდა: ხმაც უმტკიცდებოდა, სიტყვაც მოსდევდა და მრევლსაც მისი გარეგნობისა და ხასიათის კაცისათვის სრულიად უჩვეულო, შეუფერებელი გულითადობით მიმართავდა.

“ახლა წარმოიდგინეთ, როგორ ელოდა ის კაცი თავის დროს,” — სიტყვა გააგრძელა სტივენსმა — “იცდიდა, აბა ერთი, რა გამოვაო, ბოლოს კი მიხვდა რატომაც არ გამოვიდა არაფერი, რად ჩაუვარდა ანდერძი ხელში მოსამართლე დიუკინფილდს, მერე კი უკვალოდ გაქრა — მიხვდა, საკუთარი მახსოვრობა რომ იყო ყველაფრის თავი და თავი, ის დაივიწყა, რისი დავიწყე-

ბაც არამც და არამც არ იქნებოდა: დაივიწყა, მოსამართლე დიუკინფილდმაც რომ იცოდა, მისტერ ჰოლენდი თავის დღეში ჯოხით არ სცემდა თეთრ ცხენს. ისიც იცოდა, სწორედ იმ კაცს რომ მოეკლა ანსელმ ჰოლენდი, ვისაც ცხენი დაეიარებინა, ჯერ მოეკლა, მერე კი ფეხი უზანგში გაეყრევინებინა და ცხენიც გამეტებით ეცემა – უნდოდა როგორმე გაეჭენებინა. მაგრამ ცხენი ცოცხალი თავით არ იცვლიდა ფეხს. მკვლელმაც იცოდა, ასე მოხდებაო, დიდი ხანია იცოდა, მაგრამ ბოლო წუთს დაავიწყდა. დაავიწყდა, სანამ ჯერაც კვიცი იყო, ის თეთრი ცხენი ვიღაცამ რომ მიასიკვდილა ცემით და მერე, ჯოხის დანახვაზეც კი, მაშინვე მიწაზე წვებოდა... ეს ამბავი მისტერ ჰოლენდისთვისაც კარგად იყო ცნობილი და საერთოდ ყველასთვის, ვინც მეტ-ნაკლებად დაახლოვებოდა იმის ოჯახს. იმ დღესაც იმიტომ დაეცა ზედ მისტერ ჰოლენდის ცხედარს. მაგრამ ეგეც არაფერი, ეს ჯერ კიდევ ნახევარი უბედურება გახლდათ. ასე ფიქრობდა ის კაცი ღამღამობით, ძილის წინ, და ახლაც, როგორც ბოლო თხუთმეტი წელიწადია, რაღაცას ელოდებოდა — მაშინაც კი, როცა საქმეს აღარაფერი ეშველებოდა, როცა საკუთარ შეცდომას მიხვდა, უცებ მაშინაც ვერ გაიხსენა ის, რისი დავიწყებაც არ შეიძლებოდა. მერედა მოეგო გონს, როცა უკვე ვეღარაფერს გამოასწორებდა, როცა მოკლულიც იპოვეს და ცხენის დაიარებული ზურგიც ყველამ ნახა, ყველას სალაპარაკო გაუხდა. იმ დროისათვის, როცა გაახსენდა, ნაიარევები ალბათ შეხორცდებოდა კიდეც, თუმცა შეხორცებით კი შეხორცდებოდა, მაგრამ ხალხს მაინც ძნელად თუ დაავიწყდებოდა. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდა მაშინ, რა შიში შეიპყრობდა, როგორ შეზარავდა გამოუსწორებელი, დამღუპველი შეცდომის შეგნება, რა სასოწარკვეთილი სურვილი დაეუფლებოდა თუნდაც წამით უკან დაებრუნებინა დრო, რათა გამოესწორებინა, გადაეკეთებინა ის, რისი გამოსწორებაც და გადაკეთებაც არასდიდებით აღარ მოხერხდებოდა. ყველაფერი კი იმიტომ აეწყო ასე, ძალიან გვიან გაიხსენა, მისტერ ჰოლენდმა ის ცხენი მოსამართლე დიუკინფილდისგან რომ იყიდა, სწორედ იმ მოსამართლისგან, ვინც ამ მაგიდასთან მჯდომი ამოწმებდა ანდერძის სისწორეს, ამ მაგიდასთან მჯდომი წყვეტდა, ვის უნდა რგებოდა მთელ შტატში საუკეთესო ორი ათასი აკრი მიწა. ის კაცი უცდიდა რა მოხდებოდა, . მაგრამ არაფერიც არ მოხდა, რადგან ხალხისთვის ცხენის ნაიარევების დავიწყება მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლებოდა. დიახ, არაფერიც არ მოხდა და იმან ამის მიზეზიც კარგად იცოდა. მაინც იცდიდა სანამ ღონე ეყო, სანამ არ მიხვდა, უფრო მეტი რომ იდო სასწორზე, ვიდრე რაღაც მიწის ბედ-იღბალი. სხვა რა გზა ჰქონდა? რაც ჩაიდინა, იმის მეტი რაღა დარჩენოდა?"

სტივენსმა დადუმება ვერ მოასწრო, უცებ ანსელმის მჭახე ხმა რომ გაისმა ოთახში.

"გეშლებათ!" – თქვა ანსელმმა.

ყველა იმას მივაჩერდით, იმის ჭუჭყიან ჩექმებს, ძველ ტანსაცმელს, ანსელმს კი სტივენსისათვის მიეშტერებინა თვალი. ვირჯინიუსიც კი შეტრიალდა ძმისკენ. მარტო ნათესავი და ბებერი ზანგი არ შერხეულან. თითქოს არც არაფერი ეყურებოდათ.

“რა მეშლება?” — ჰკითხა სტივენსმა.

ანსელმა არ უპასუხა, თვალებით ჭამდა სტივენსს.

“მიწას მაინც ვირჯინიუსი დაეპატრონება? მამა რომ.. გინდაც...“

“გინდაც რა?” — ისევ ჰკითხა სტივენსმა.

“გინდაც ის... გინდაც...“

“იმ შემთხვევაშიც, თუ თავის სიკვდილით კი არ მოკვდა – მოკლეს, არა?”

“დიახ,” — ამოღერღა ანსელმმა.

“რა თქმა უნდა. იმის მიუხედავად, ანდერძი დამტკიცდება თუ არა, თქვენ და ვირჯინიუსი მიწას მაინც მიიღებთ — რასაკვირველია, ვირჯინიუსი თუ მოისურვებს გაყოფას. მაგრამ მამათქვენის მკვლელი ამაში დარწმუნებული არ იყო, კითხვა კი ვერ გაბედა. არ უნდოდა მიწა ორივეს დაგრჩენოდათ. ერჩივნა, მთელი მიწა ვირჯინიუსს ჩაეგდო ხელში. ანდერძის დამტკიცებაც ამიტომ სურდა”.

“სცდებით,” — თქვა ანსელმმა. უხეში ხმა ჰქონდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა სიტყვებს. “მამა მე მოვკალი. ოღონდ იმ წყეული ფერმის გულისთვის არ მომიკლავს. მიდით, შერიფს დაუძახეთ!”

მაგრამ სტივენსმა, რომელიც დაჟინებით მისჩერებოდა ანსელმის ბრაზით დამახინჯებულ სახეს, მშვიდად განაცხადა:

“მე კი გეუბნებით, გეშლებათ-მეთქი, ანს!”

დამბლადაცემულებივით შევცქეროდით, დამბლადაცემულებივით ვუსმენდით იმათ ლაპარაკს — თითქოს გვეძინა, თითქოს სიზმარს ვხედავდით, წინასწარ ვიცოდით რაც მოხდებოდა და თან იმასაც ვხვდებოდით, უაზრობაა ყველაფერი, სისულელე, რადგან სულერთია, წამის შემდეგ გაგვეღვიძებაო. თითქოს დროის გარეთ აღმოვჩნდით და მომხდარს გვერდიდან ვადევნებდით თვალს; კი, დროის მიღმა ვიყავით და გვერდიდან შევცქეროდით იმ წუთიდან, როცა ანსელმს შევხედეთ და თითქოს პირველად დავინახეთ. უცებ რაღაც ხმა გაისმა, ეტყობა ვიღაცამ ნელ-ნელა, ჩუმად, ლამის შვებით ამოისუნთქა. გავიფიქრეთ კიდეც, მორჩა, დასრულდა ანსის თვითგვემაო; ფიქრით იქნებ წარსულშიაც გადავსახლდით, იმ დროში, როცა პატარა ბიჭი იყო, თავის ბავშვურ საწოლში იწვა და ელოდებოდა როდის დახედავდა დედა, ვისაც ანსი ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა, ვისი დანატოვარიც ანსისთვის არ შეერგოთ, ვისი მრავალტანჯული ნეშტი საფლავშიაც კი არ დაეყენებინათ. შორეულ წარსულში ხდებოდა ეს ყველაფერი, გზა იქედან იღებდა სათავეს და თუმცა გზა პირდაპირ წარსულიდან იწყებოდა, ის ლოგინში გატრუნული პატარა ბიჭი ამ გზას კარგა ხანია ასცდენოდა, დიდი ხანია გამქრალიყო, როგორც საერთოდ გავქრით, ვქრებით ანდა უნდა გავქრეთ ყველანი. ის ბიჭი

მოკვდა, თავისი სისხლით და ხორცით ნათესავების მსგავსად, იმათ მსგავსად, ვისი სიმშვიდეც იქ, კედრის ჭალაში დაირღვა და ახლა ჩვენს წინ სხვა კაცი იდგა. პირდაფჩენილი უფსკრული გვყოფდა მასგან და შეიძლება, სიბრალულით კი გავცქეროდით გაღმა ნაპირზე დარჩენილს, მაგრამ დანდობას არ ვუპირებდით. ამიტომაც ვერ მოაღწია თავიდან სტივენსის სიტყვებმა ჩვენამდე, თავიდან ანსმაც ვერ გაუგო, რადგან სტივენსმა ერთხელ კიდევ გაუმეორა:

"გეუბნებით, გეშლებათ-მეთქი, ანს".

"რაო?" – წამოიძახა ანსმა. არ წამომდგარა, ოღონდ, თითქოს მთელი ტანით წინ გადაიხარა სტივენსისაკენ — "რას ბოდავთ?".

"არა, თქვენ არ მოგიკლავთ მამათქვენი. მამათქვენიც იმან მოკლა, ვინც წინასწარი განზრახვით აქ, ამ მაგიდასთან მჯდომ მოხუცს მოუღო ბოლო, იმას, ვისაც ზანგი ბერიკაცი მოაკითხავდა ხოლმე, გამოაღვიძებდა და – შინ წასვლის დროაო, ეტყოდა. ის კაცი მოკლა, ვისაც ცხოვრების მანძილზე არავისთვის, არც ქალისთვის, არც კაცისთვის და არც ბავშვისთვის, სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია, ვისაც სჯეროდა, რომ მუდამ საკუთარი სინდისისა და ღვთის კარნახით იქცეოდა. არა, თქვენ მამათქვენის სიკვდილში ბრალი არ გიდევთ. თქვენ ის მოითხოვეთ, რაც კანონის ძალითაც თქვენად მიგაჩნდათ, ხოლო როცა უარით გიპასუხეს, წახვედით, სამუდამოდ მოიკვეთეთ მამა, მას მერე აღარც დალაპარაკებიხართ. ხმები მოგდიოდათ, რა უაზროდ და უგულოდ აჩანაგებდა მიწას, მაგრამ დუმდით, რადგან თქვენთვის მშობლიური სახლი "იმ წყეულ ფერმად" ქცეულიყო უკვე. დუმდით, ვიდრე არ შეიტყვეთ, თურმე შეშლილი მოხუცი საფლავებსაც რომ ბილწავდა, დედათქვენისა და საკუთარი წინაპრების საფლავებს. მაშინ – მხოლოდ მაშინღა მიხვედით მამასთან, გინდოდათ როგორმე დაგენამუსებინათ. ოღონდ თქვენ ის კაცი არა ხართ, ვისაც სხვისი დანამუსება ეხერხება და არც მამათქვენი გახლდათ მომსმენი. მერე სასაფლაოზე ჩაუსაფრდით, კედრის ჭალაში, დაინახეთ, როგორ მოდიოდა თოფით შეიარაღებული. თუმცა მეეჭვება თოფი საერთოდ შეგემჩნიოთ. თოფი ალბათ გაუაზრებლად, უნებლიედ გამოსტაცეთ, გალახეთ და იქ მიატოვეთ თავის ცხენიანად. შეიძლება, მკვდარიც გეგონათ. მაგრამ თქვენს მერე სხვაც მივიდა იქ, სხვამაც ნახა მიწაზე დაგდებული მოხუცი. ან, იქნებ, ის მეორე განუწყვეტლივ გითვალთვალებდათ კიდეც, იმას ხომ მოხუცის სიკვდილი სწყუროდა, ოღონდ წყენა ან რისხვა კი არ ამოძრავებდა, უბრალო ანგარება. ვინ იცის, იქნებ ანდერძის იმედიც ჰქონდა. სწორედ ის წაადგა თავზე მოხუცს თქვენს მერე, იმან მოუღო ბოლო, მერე კი უზანგში გააყოფინა ფეხი და ცხენს ჯოხით ცემა დაუწყო, უნდოდა ცხენი გაჭენებულიყო, მაშინ მართლაც კეთილად მოეწყობოდა ყველაფერი, მაგრამ სიჩქარეში სწორედ ის დაავიწყდა, რისი დავიწყებაც არ იქნებოდა... თქვენ არაფერ შუაში ხართ, ანს — თქვენ შინ დაბრუნდით და როცა მოხუცის სიკვდილის ამბავი შეიტყვეთ, არაფერი გაამხილეთ. არ გაამხილეთ, რადგან უეცრად ისეთმა ფიქრმა გაგიელვათ, ხმამაღლა საკუთარ თავსაც რომ ვერ გამოუტყდებოდით. მერე როცა ანდერძის შესახებაც გაიგეთ, გადაწყვიტეთ, მორჩა, უკვე გაირკვა ყველაფერიო. გადაწყვიტეთ და გაგიხარდათ. გაგიხარ-

დათ, რადგან მიეჩვიეთ სიმარტოვეს, რადგან დასრულდა ახალგაზრდობა, გაქრა სიცოცხლის წყურვილი. ერთიღა გსურდათ – წუთისოფელი მშვიდად გაგელიათ და დედათქვენის ნეშტსაც მშვიდად განესვენა სამარეში. მართლაც, რა არის მიწა და საზოგადოებრივი მდგომარეობა სახელგატეხილი კაცისთვის?"

სულგანაბულნი ვუსმენდით, ვიდრე სტივენსის ხმა საბოლოოდ არ მიწყდა პატარა ოთახის თაღებქვეშ, სადაც ჰაერი მუდამ გუბდებოდა და ორპირი ქარის ოდნავი ნასახიც კი არ იყო, რადგან მაღალ, ყრუ კედელს მიბჯენილი შენობის სწორედ კუთხეში მდებარეობდა.

"არა, თქვენ არ მოგიკლავთ მამათქვენი, არც მოსამართლე დიუკინფილდი მოგიკლავთ, ანს. მამათქვენის მკვლელს დროზე რომ გახსენებოდა, ის ცხენი ადრე მოსამართლე დიუკინფილდისა იყოო, მოსამართლე დღესაც ცოცხალი იქნებოდა".

ხმაგაკმენდილნი, სუნთქვაშეკრულნი ვუსხედით მაგიდას, სწორედ იმ მაგიდას, რომელთანაც ჩვიდმეტი წელი გაეტარებინა მოსამართლე დიუკინფილდს, იმ დღემდე, როცა დამიზნებული დამბაჩის ლულას დაინახავდა. მაგიდაზე ისევ ხელუხლებლად ეწყო ყველაფერი: ქაღალდები, კალმები, სამელნე და პატარა, ლამაზად მოვარაყებული ბრინჯაოს ზარდახშა. ეს ზარდახშა მოსამართლისთვის ქალიშვილს ჩამოეტანა საჩუქრად ევროპიდან, თორმეტი წლის წინ, ოღონდ არცერთმა არ იცოდა რა დანიშნულება ჰქონდა, რაში უნდა გამოეყენებინა კაცს. ასეთ ზარდახშებში, ჩვეულებრივ, თამბაქოს ან ბურნუთს ინახავენ ხოლმე, მოსამართლე კი ვერც ერთს ეგუებოდა და ვერც მეორეს, მაგრამ შვილის საჩუქარს მაინც ვერ ელეოდა და ბოლოს პრესპაპიეს მაგივრად ხმარობდა, თუმცა, სიო რაა, ოთახში სიოც კი არასოდეს უბერავდა. ზარდახშა მუდამ მაგიდაზე ედო, ყველა ჩვენთაგანს კარგა ხანია შეგვეჩვია მისთვის თვალი: რამდენჯერ გვინახავს, ლაპარაკისას როგორ ათამაშებდა ხოლმე ხელში, მერე სახსრიან თავსახურს ახდიდა და, თითის ოდნავი მიკარებისთანავე, ზარდახშაც ბრაზიანი ხმაურით თავისთავად იკეტებოდა.

ახლა, როცა ამ ამბებს ვიხსენებ, მეჩვენება, გაცილებით ადრე უნდა გარკვეულიყო-მეთქი ყველაფერი. ასე მგონია, თითქოს მაშინ მიმხვდარიც ვიყავით ყველაფერს; ჯერ კიდევა ვგრძნობ იმ სიბრალულგარეულ, დაუძლეველ სიძულვილს, რასაც ნემსკავზე დაკლაკნილი მსუქანი ჭიაყელას დანახვისას განიცდის ხოლმე კაცი, როცა ლამისაა აღებინოს ყელში მოწოლილი ზიზღისგან და ხელში თუ არაფერი მოხვდა, მზადაა შიშველი ხელისგულით მოსრისოს ერთადერთი ფიქრით შეპყრობილმა: *ჩქარა! რაღას უცდი, დროზე გაჭყლიტე ეგ საზიზღრობაო!* მაგრამ, სტივენსს სხვა გეგმა ჰქონდა. გეგმა კი ნამდვილად ჰქონდა, მოგვიანებით გაგვიმხილა (ვიცოდი როგორ გამიჭირდებოდა მკვლელის სააშკარაოზე გამოყვანა და მინდოდა იძულებული გამეხადა, თვითონ გამოემჟღავნებინა თავიო). საწადელს მართლაც მიაღწია, ოღონდ არც მთლად პატიოსანი გზითა და ხერხით. ასე ვფიქრობდით და არც მისთვის დაგვიმალია ("სისულელეაო – გვპასუხობდა,

— განა მართლმსაჯულება მუდამ პატიოსანი გზით დადის? განა სამართალი უსამართლობის, ბედნიერი შემთხვევითობისა და ათასი გაუგებრობისაგან არ შედგება და კაცი ვერ იტყვის, რა არის მასში უფრო მეტი?”).

მაგრამ თავიდან, როცა უწინდელივით ხუმრობანარევი ხმით, მშვიდად და ძალდაუტანებლად ალაპარაკდა და ხელი ბრინჯაოს ზარდახშას დაადო, მაინც ვერ მივხვდით საით უმიზნებდა. ადამიანი ხომ ყველაზე ძნელად ერთხელ ჯიუტად აკვიატებულ აზრს ელევა. ხშირად ჩვენ ფაქტი და სამხილი კი არ გვაოცებს ხოლმე, არამედ სხვისგან იმის გაგება გვზარავს, რასაც წესით, თვითონვე უნდა მივმხვდარიყავით, ჩვენი გონება სხვა ვარაუდით რომ არ ყოფილიყო დაკავებული და ეს ვარაუდიც, ყოველგვარი საფუძველის გარეშე, სიმართლედ არ მიგვეჩნია მარტო იმიტომ, იმ წუთას რომ გვჯეროდა მისი უტყუარობა. სტივენსმა მოულოდნელად თამბაქოს მწეველებზე ჩამოაგდო სიტყვა – კაცი თამბაქოს მანამდე ვერ ჩაატანს გემოს, ვიდრე იმის მავნებლობაში არ დარწმუნდებაო, არამწეველი კიდე ერთ-ერთ უდიდეს სიამოვნებას იკლებს – იმის შეგნებას, ნებაყოფლობით ვიქეცი მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვისვე საზიანო მანკიერების მსხვერპლადო.

“თქვენ თუ ეწევით, ანს?” — დაკითხა უცებ.

“არა.” — უპასუხა ანსმა.

“არც თქვენ, ვირჯ?”

“არა,” — თქვა ვირჯინიუსმა – “არამწეველების ოჯახი ვართ – მამაც, ანსიც და მეც. ეტყობა, ასე მოგვდგამს”.

“ეტყობა, ეგრეა.” — კვერი დაუკრა სტივენსმაც. “დედის მხრიდან როგორღაა საქმე? თქვენს ოჯახში თუ ეწევიან, გრენბი?”

ნათესავმა წამით ჰკიდა სტივენსს თვალი. არ განძრეულა, მაგრამ მოგვეჩვენა, თითქოს მთელი ტანით დაიკლაკნა კოხტა, სუფთა, ოდნავ შელახულ კოსტუმში.

“არა, სერ. თამბაქო არასოდეს მომიწევია”.

“ალბათ იმიტომ, ქადაგი რომ ბრძანდებით, არა?” — ჰკითხა სტივენსმა. ნათესავმა არაფერი უპასუხა, თუმცა ერთხელ კიდევ შეავლო თვინიერი, დაბნეული მზერა.

“აი, მე კი კარგა ხანია ვეწევი.” — თქვა სტივენსმა — “თორმეტი წლიდან, როგორც კი გულისრევას მოვერიე პირველი ნაფაზის მერე. დიდი ხანია ვეწევი და თამბაქოს ავ-კარგშიც გავერკვიე. ისე, მწეველების უმრავლესობა საერთოდ წუნია და აზიზი ხალხია, თუმცა ფსიქოლოგები ამას უარყოფენ და ყველანაირი თამბაქოც, სინამდვილეში, სტანდარტულია. ან იქნებ მხოლოდ სიგარეტია სტანდარტირებული? იქნება განსხვავებას მარტო მოყვარულები ვერ ამჩნევენ და არა თავგადაკლული მწეველები? ბევრჯერ გამიგონია, რა

სისულელეს ლაპარაკობენ ხოლმე არამწეველები თამბაქოზე, სწორედ ისევე, როგორც ჩვენ მივედ-მოვედებით ათასგვარ აბდაუბდას ჩვენთვის სრულიად უცხო და უსარგებლო საგნებსა თუ საკითხებზე – მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ადამიანის ხასითშია... მაგრამ მოდით აბა, თამბაქოთი მოვაჭრეს ჰკითხეთ, გინდაც თვითონ არ ეწეოდეს, ოღონდ ყოველ დღე ხედავდეს როგორ ყიდულობს მუშტარი იმის საქონელს, იქვე, დახლთანვე როგორ ხსნის სიგარეტის კოლოფს და როგორ უკიდებს, ჰკითხეთ – ერთ-ნაირი სუნი აქვს ყველა თამბაქოს? შეუძლია სუნით გაარჩიოს ერთი ხარისხის თამბაქო მეორისაგან? თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ასეთ დროს კოლოფის ფორმასა და ფერსაც ჰქონდეს მნიშვნელობა, ფსიქოლოგებს ხომ დღემდე რიგიანად არ განუმარტავთ ჩვენთვის, სად მთავრდება მხედ-ველობა და სად იწყება ყნოსვა, ანდა, სად მთავრდება სმენა და სად იწყება მხედველობა. ნებისმიერი იურისტიც იგივეს გეტყვით".

ამის თქმა იყო და, მსაჯულთა მამასახლისმა ისევ შეაჩერა. დანარჩენები ჩუმად კი ვუსმენდით, მაგრამ მგონი ყველა ერთსა და იგივეს ვფიქრობდით: "მკვლელის დაბნევა ერთია და ჩვენ, ნაფიც მსაჯულებს რაღას გვერჩისო".

"უმჯობესი იქნებოდა მთელი ეს კვლევა-ძიება მანამდე ჩაგეტარებინათ, ვიდრე აქ მოგვიწვევდით." — უთხრა მამასახლისმა. "გინდაც სამხილი გა-გაჩნდეთ, მოკლულის გვამის დათვალიერების გარეშე რა ფასი ექნება? მკითხაობა და ვარაუდი..."

"კეთილი", გააწყვეტინა სტივენსმა. "ნება მომეცით, ცოტა ხანს კიდევ შეგაწყინოთ თავი ჩემი ვარაუდებით, ხოლო თუ ეს, თქვენი აზრით, არაფერს მოგვცემს, შემაჩერეთ, მაშინ მეც ჩემებურად კი არა, თქვენებურად წავიყვან საქმეს. ვიცი, თავიდან ჩემი ვარაუდებიც დიდ სითამამედ მოგეჩვენებათ, ოღონდ ჩვენ ხომ საკუთარი თვალით ვნახეთ მოკლული მოსამართლე დიუკინ-ფილდი, აქ, ამ მაგიდასთან. ეს ვარაუდი არ გახლავთ. ძია ჯობი კი მთელი დღე დერეფანში იჯდა და ოთახში შემოსულ ნებისმიერ ადამიანსაც (თუკი, რა თქმა უნდა, გვერდითა კიბეს არ ამოჰყვებოდა და ფანჯარაში არ გადმოძვრე-ბოდა), ორ ნაბიჯში უნდა ჩაევლო მისგან. არადა, ყველამ კარგად ვიცით, ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჯობის შეუმჩნევლად დერეფანში ჯერ სულიერს არ გაუჭაჭანია. არც ესაა ვარაუდი".

"მაშ რაღას ეძახით ვარაუდს?"

მაგრამ სტივენსმა არ უპასუხა, ისევ თამბაქოზე და თამბაქოს მწეველებზე გაუბა ლაპარაკი:

"გასულ კვირას უესტის დუქანში შევედი თამბაქოს საყიდლად და უესტ-მაც ვიღაც კაცზე ჩამომიგდო სიტყვა. ის კაცი, თურმე, ჩემზე დიდი წუნია ყო-ფილა თამბაქოს საკითხში. ჩემი შეკვრა მომაწოდა, მერე ხელი გადაიწვდინა და თაროდან სიგარეტის კოლოფი ჩამოიღო. მთლად დამტვერილი,

გახუნებული, დიდი ხნის ნადები — ვიღაც ხელზე მოვაჭრეს მიესაღებინა ორი ცალი. “მოგიწევიათ როდისმე ასეთი სიგარეტიო?” — მკითხა. — “არა, ეგ, ეტყობა, ქალაქური სიგარეტია-მეთქი”. “სწორედ გუშინ გავყიდე მეორე კოლოფიო” — მითხრა. შესვენებაზე ნოქარი სადილად რომ გასულა, უესტი თვითონ დამჯდარა დახლთან, გაზეთი გაეშალა, კითხულობდა, თან შიგადაშიგ კარებისკენაც აპარებდა თვალს, მაგრამ მუშტრის შესვლა არც გაუგონია და არც დაუნახავს; უცებ თავი აუღია – ის კი უკვე დახლთან დგას, ისე ახლოს, უესტი მოულოდნელობისგან შემხტარა კიდეც. ტანმორჩილი კაცი ყოფილა, ქალაქურ ყაიდაზე ჩაცმული, ისეთი სიგარეტი მოითხოვა, უესტს სახელიც არ გაეგონა თავის დღეში. “არა მაქვსო,” — უთქვამს — “ჩვენში ეგეთი არ იშოვებაო”. “რატომ არ იშოვებაო?” – უკითხავს იმას. “არავინ ეწევა და იმიტომო” – უპასუხია უესტს. ის კაცი კარგად ამიწერა: სუფთად გაპარსული სახე ცვილის თოჯინას მიუგავდაო, თვალებზე თითქოს ლიბრი გადაჰკვროდა და ხმაც დაგუდული ჰქონდაო. მერე, კარგად რომ დაჰკვირვებია, თვალი თვალში გაუყრია და იმის ნესტოებიც შეუთვალიერებია, ყველაფერს მიმხვდარა: მუშტარი ერთიანად კოკაინით ყოფილა გაჭყეპილი. “არა მყავს მაგის მუშტარიო,” — ერთხელაც გაუმეორებია უესტს. იმას კი: “როგორ არა გყავს, აბა მე რასა გთხოვ, ბუზის ქაღალდსო?” ბოლოს ერთი კოლოფი ის ძველი სიგარეტი უყიდია და წასულა.

უესტი ამბობს, სიბრაზისგან ოფლმა დამასხაო, საცა იყო, ზიზღისგან გული ამერეოდაო. “გულ-მუცელი ამოტრიალებაზე მქონდა, როცა ბოლო-ბოლო, დუქნიდან გაეთრაო”.

სტივენსმა ცოტა ხნით იყუჩა, შეგვათვალიერა. ჩვენც თვალმოუშორებლად შევცქეროდით.

“მანქანით ჩამოსულიყო საიდანღაც — ძვირფასი მანქანით, ის ქალაქელი კაცი. განსაკუთრებულ სიგარეტს მისჩვეოდა, სიგარეტი კი გასთავებოდა”. სტივენსი ისევ გაჩუმდა, მერე ნელ-ნელა ვირჯინიუს ჰოლენდისკენ მიაბრუნა თავი. მოგვეჩვენა, თითქოს მთელი წუთი თვალებში ჩასცქეროდნენ ერთმანეთს. “ერთმა ზანგმა მითხრა, ის ძვირფასი მანქანა ვირჯინიუს ჰოლენდის გარაჟში იდგა მოსამართლის მკვლელობის წინა ღამესო”. ისევ ჯიუტად, ნიღბადქცეული სახეებით მიშტერებოდნენ ერთიმეორეს. მერე სტივენსი წყნარად, ფიქრიანად, ლამის მეოცნებე ხმით ალაპარაკდა: “ვიღაცამ დაუშალა იმ კაცს ქალაქში მანქანით შემოსვლა, ძვირფასი მანქანით, რომელსაც ნებისმიერი კაცი შეამჩნევდა და დაიმახსოვრებდა კიდეც. შეიძლება ვიღაცამ აუკრძალა აქ, ჩვენთან, მანქანით გამოჩენა, შეიძლება დააშინა კიდეც. თუმცა იმ კაცს, ვისაც ჩვენმა უესტმა სიგარეტი მიჰყიდა, ძნელად თუ შეაშინებდა რამე”.

“და თქვენი აზრით ის *ვიღაცა* მე ვარ?” – ჰკითხა ვირჯინიუსმა. არ განძრეულა, არც სტივენსისთვის მოუცილებია თვალი. აი, ანსელმი კი მაშინვე ძმისკენ შეტრიალდა. ჯიქურ მიაშტერდა, ცოტა ხანს უცქირა და ისევ აარიდა თვალი. ოთახში სიჩუმე იდგა, მაგრამ როცა ნათესავი ალაპარაკდა, თავიდან მისი ხმა მაინც ვერ გავიგონეთ, ვერ გავარჩიეთ იმის ნათქვამი. მას

შემდეგ, რაც მოსამართლის კაბინეტში შევგროვდით და სტივენსმაც კარი ჩაკეტა, მეორედ ამოიღო ხმა. მიკნავებული ლაპარაკობდა და თუმც კი ადგილიდან არ იძვროდა, მაინც მოგვეჩვენა, თითქოს მთელი ტანით იკლაკნებოდა; საწყლად, გაუბედავად ალუღლუღდა, როგორც ყოველთვის, ახლაც უჩინმაჩინად ქცევის მტანჯველი სურვილით შეპყრობილი.

“ის კაცი ჩემთან ჩამოვიდა”, ბუტბუტებდა დოდჯი, “მე შემომიარა. საღამო ხანს მოგვადგა, პატარა ცხენებს ვეძებო — იმისთვის, რა ქვია იმას... თამაშია რაღაც...”

“პოლო?” – ჰკითხა სტივენსმა.

“დიახ, სერ. ვირჯინიუსიც შინ იყო. ცხენებზე ვლაპარაკობდით. დილას კი ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. არ ვიცი, საიდან მოდიოდა, ან ჩვენგან საით გაემგზავრა.” – ლაპარაკისას სულ სადღაც გვერდზე იხედებოდა, თითქოს საკუთარ, მუხლებზე დაწყობილ, აცახცახებულ ხელებს მიმართავდა.

“და ან აქ ვის ნახვას აპირებდა, ან საერთოდ რა უნდოდა, თქვენ მაგისა არაფერი იცით,” — დაურთო სტივენსმა.

დოდჯმა არ უპასუხა. არც არავინ სთხოვდა პასუხს და ისიც კვლავ საკუთარ ფიქრებში ჩაიძირა, ტყის პატარა მხეცივით გაინაბა.

“ახლა ხედავთ, სად მიგვიყვანა ჩემმა ვარაუდებმა?” თქვა სტივენსმა.

აი მაშინ კი, წესით, ყველაფერს უნდა მივმხვდარიყავით. დღესავით ნათელი იყო ყველაფერი. უნდა გვეგრძნო, ოთახში, ჩვენს გვერდით, ვიღაცა რომ იჯდა, სტივენსის სიტყვებით შეძრწუნებული, გაოცებული, სასოწარკვეთილი, იჯდა და ნატრობდა, ნეტავი წამით მაინც დამაბრუნებინა დრო უკანო, ნეტავი შემაძლებინა, ყველაფერი სხვანაირად ვთქვა, სხვანაირად გავაკეთოო. თუმცა, შეიძლება იმ “ვიღაცას” ჯერ არც ეგრძნო საფრთხე, არ ეგრძნო ბიძგი, დარტყმა, როგორც ზოგჯერ, პირველ წამს, ტყვიის მოხვედრას ვერ გრძნობს ხოლმე კაცი; იმიტომ რომ უეცრად ვირჯინიუსი ალაპარაკდა, გაფიცხებული, წონასწორობიდან გამოსული:

“მერე, რით დაამტკიცებთ მაგას?”

“მაინც რას, ვირჯ?” – ჰკითხა სტივენსმა. ისევ თვალებში ჩახედეს ერთმანეთს, მშვიდად, მტკიცედ, ორ მოკრივესავით — სწორედაც რომ მოკრივესავით და არა, ვთქვათ, მოფარიკავეებივით ან დამბაჩებით შეიარაღებული დუელიანტებივით — “როგორ დავამტკიცებ ვინ იქირავა ის მემფისელი მკვლელი, ის პირუტყვი? მე არც არაფერი მაქვს დასამტკიცებელი, ყველაფერი თვითონ აღიარა. აქედან მემფისისკენ მიმავალმა, ბატენბერგის მახლობლად ბავშვს დააჯახა მანქანა (ჯერაც არ გამონელებოდა კოკაინი — ეტყობა, აქაური საქმე მოითავა თუ არა, გული იჯერა ყნოსვით). დაიჭირეს, საკანში დაამწყვდიეს და როცა რინდმა გაუარა, ყველაფერი დაფქვა: სად იყო,

ვისთან სტუმრობდა. მახშობიან დამბაჩას რომ ართმევდნენ, თურმე ერთიანად ცახცახებდა და სიბრაზისგან ყმუოდა".

"ჰოო," — თქვა ვირჯინიუსმა — "ძალიან კარგი. მაშ დასამტკიცებელი ისღა დაგრჩენიათ, მართლა რომ იყო აქ, ამ ოთახში, მკვლელობის დღეს. მაგას როგორღა გამოარკვევთ? ამ ზანგს მისცემთ დოლარს, კარგად რომ გაიხსენოს?"

სტივენსს კი თითქოს არ ესმოდა მისი სიტყვები. მაგიდის კიდესთან იდგა, მოწმეთა და მსაჯულთა შორის. ისევ ბრინჯაოს ზარდახშას დასწვდა, შეატრიალ-შემოატრიალა, შეათვალიერა, მერე უწინდებურად მშვიდად, ფიქრიანად თქვა:

"ყველას კარგად მოგეხსენებათ ამ ოთახის ერთი თავისებურება: თავისით არასოდეს ნიავდება და ვთქვათ, შაბათ საღამოს რომ ვინმემ თამბაქო მოწიოს, ორშაბათ დილასაც, როცა ძია ჯობი კარებს გააღებს, ბოლი ისევ მძინარე ძაღლივით იქნება წირთხლთან გაწოლილი. ყველას გინახავთ".

ანსისა არ იყოს, ახლა ყველანი წინ წავცვივდით, თან სტივენსს არ ვაშორებდით თვალს.

"დიახაც," — თქვა მამასახლისმა. "ეგრეა".

"ჰო," — თქვა სტივენსმა, თითქოს მამასახლისის პასუხი არც გაუგონიაო, თან დაკეტილ ზარდახშას ათამაშებდა ხელში — "თქვენ მკითხეთ, რას ფიქრობო. მოგახსენებთ. იმის გაკეთება, რასაც მე ვვარაუდობ, მხოლოდ უაღრესად გაქნილ კაცს შეეძლო – ისეთს, ვინც დახლთან მჯდომ მედუქნეს შეუმჩნევლად მიახლოვდებოდა. ქალაქელ კაცს, ქალაქურ სიგარეტს მონატრებულს. ის კაცი დუქნიდან გამოვიდა, მოედანი გადაჭრა და სასამართლოში შევიდა, სხვებივით აუყვა კიბეს. ალბათ ათმა კაცმა მაინც დაინახა, უფრო მეტმა კი საერთოდ არ მიაქცია ყურადღება, რადგან ამ ქვეყნად ორი ისეთი ადგილი არსებობს, სადაც სხვას ყურადღებას არ აქცევ – მართლმსაჯულების ტაძარი და საზოგადოებრივი საპირფარეშო. სასამართლოს დარბაზში შევიდა, გვერდითა კიბეს აუყვა, დერეფანში ამოყო თავი და მძინარე ძია ჯობი დაინახა. შეიძლება, გვერდითაც ჩაუარა ჯობს. ხომ გესმით? არც ისე ძნელია მძინარე მოხუცის გვერდით შეუმჩნევლად ჩავლა, როცა დღისითმზისით მედუქნე ვერ გებულობს დუქანში შენს შესვლას. შეიძლება კაბინეტში უესტთან ნაყიდი კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა კიდეც, ვიდრე მოსამართლე დიუკინფილდი შეამჩნევდა. ანდა, შეიძლება მოსამართლეს მაშინაც ეძინა. ის კაცი კი იდგა, ეწეოდა და ხედავდა ნელ-ნელა როგორ ეფინებოდა ბოლი მაგიდას და მერე კედელთან როგორ გროვდებოდა, ალბათ იოლად ნაშოვნ ფულზეც ფიქრობდა, სანამ ჩახმახს გამოკრავდა თითს. გასროლას ასანთის გაკვრაზე მეტი ხმა არც ჰქონია, მართლაც ისე ოსტატურად ახერხებდა ნებისმიერი ხმაურისთვის თავის არიდებას, აღარც სჭირდებოდა ზედმეტი ტვინის ჭყლეტა – გასაკეთებელი უჩუმრად როგორ გავაკეთოო. მერე, როგორც მოვიდა, ისევე წავიდა. ალბათ, ათობით კაცმა მაინც დაინახა

და ვერც დაინახა. ხუთ საათზე კი ძია ჯობი შევიდა მოსამართლის გასაღვიძებლად — შინ წასვლის დროაო — უნდა ეთქვა. მართალს ვამბობ, ძია ჯობი?"

მოხუცმა ზანგმა თავი აიღო.

"როგორც შემეძლო ვპატრონობდი," — თქვა — "აკი ქალბათონსაც დავპირდი. კარგად ვუვლიდი. შემოვდივარ, მგონია ძინავს, ხშირად იძინებდა ხოლმე..."

"მოიცა," — გააწყვეტინა სტივენსმა — " შემოხვედი, მოსამართლე დაინახე და მაგიდის უკან, კედელთან კი ბოლი იდგა? ასე არ მიამბე?"

გატეხილ სავარძელში მობუზული ზანგი უცებ ატირდა. ბებერ მაიმუნს ჰგავდა, უხმოდ ტიროდა და სახეს დაკოჟრილი, სიბერისაგან მოცახცახე ხელით იწმენდდა, ან იქნებ მარტო სიბერის ბრალი არც იყო ეს ხელის ცახცახი.

"კაბინეტში დილაობით შემოვდიოდი, აქაურობას ვალაგებდი. ბოლი ხშირად ჰაერში ეკიდა ხოლმე, მოსამართლე რომ შემოვიდოდა, ჰაერს დაყნოსავდა, თვითონ თამბაქო ცხოვრებაში არ მოეწია, ყნოსვა კი მახვილი ჰქონდა და მეტყოდა: "ჰოო, მოგვიწამლია გუშინ საღამოს ჩვენი სასამართლოს ბიჭბუჭობა და ეგ არისო".

"მოიცა," — ერთხელაც შეაჩერა სტივენსმა. "შენ ის მიამბე, როგორ იდგა ბოლი მაგიდასთან იმ დღეს, როცა მოსამართლის გასაღვიძებლად შემოხვედი, შინ წასაყვანად, როცა შენს გვერდით დერეფანში მისტერ ვირჯინიუს ჰოლენდის მეტს არავის გაუვლია. აგე, იქა ზის. მისტერ ვირჯინიუსი თამბაქოს არ ეწევა, არც მოსამართლე ეწეოდა, აქაურობა კი მაინც ბოლით იყო სავსე. სხვებსაც უამბე რაც მითხარი".

"კი, ნამდვილად — გაბოლილი იყო მთელი ოთახი. მძინარე მეგონა, გასაღვიძებლად მივედი..."

"ზარდახშა კი მაგიდის ნაპირზე იდო, არა? სანამ მისტერ ვირჯინიუსს ელაპარაკებოდა, მოსამართლე ხელში ათამაშებდა, ხოლო როცა შენ გასაღვიძებლად შემოხვედი და ხელი გაიწვდინე..."

"დიახ სერ, ზარდახშა მაგიდიდან გადმოვარდა. მე კი მეგონა, მოსამართლეს სძინავს-მეთქი და..."

"ესე იგი, ზარდახშა ხმაურით დაეცა, შენ გაგიკვირდა, რატომ მოსამართლეს არ გაეღვიძაო, მერე იატაკზე დავარდნილ ზარდახშას დახედე, ბოლში გახვეულს, თავახდილს, და იფიქრე, გატყდაო. ასაღებად დაიხარე – მოსამართლეს ხომ ძალიან უყვარდა, მართალია არაფერში სჭირდებოდა, მაგრამ მისს ემას სახსოვარი იყო... სახურავი დახურე, ზარდახშა ისევ მაგიდაზე დადე და მაშინღა შეამჩნიე, ეძინა კი არა..."

სტივენსი გაჩუმდა. ვცდილობდით არ გვესუნთქა და საკუთარი სუნთქვა კი გვესმოდა. სტივენსი ზარდახშას არ აშორებდა თვალს, ხელში ატრიალებდა. ზანგს მაგიდისკენ ოდნავ ზურგშექცეული ელაპარაკებოდა და ამდენად, უფრო მოწმეთა სკამისკენ იყურებოდა, ვიდრე მსაჯულებისაკენ.

"ძია ჯობი ზარდახშას "მოოქროვილს" ეძახის – ზედგამოჭრილი სახელია. განა სულერთი არ არაა, რა ჰქვია. სიმართლე გითხრათ, ყველა ლითონი ერთნაირია. უბრალოდ, ზოგი მეტად სჭირდება ადამიანს და ზოგი ნაკლებად. მთავარია, ყველა მათგანს ერთი თვისება გააჩნია – ლითონის კოლოფში უფრო დიდხანს ინახება ყველაფერი, ვიდრე ხისაში ან ქაღალდისაში. მაგალითად, შეიძლება აი, ამის მსგავს, ყრუ თავსახურიან ზარდახშაში ბოლი ჩაკეტო და ერთი კვირის მერეღა გამოუშვა. ეს ერთი. მეორეც – სთხოვეთ ნებისმიერ ქიმიკოსს, ნებისმიერ მწეველს, ანდა ჩვენი უესტის მსგავს თამბაქოს სპეციალისტს და ისიც ბოლის მიხედვით იოლად დაადგენს თამბაქოს ჯიშს, მით უმეტეს, თუ იშვიათი ჯიშია, თუ ამგვარ თამბაქოს ჩვენთან, ჯეფერსონში არავინ ეწევა, თუ ამნაირი სიგარეტის გამყიდველს მხოლოდ ორად -ორი კოლოფი აქვს და ერთის მყიდველიც ძალიან კარგად ახსოვს".

ადგილიდან არავინ დაძვრულვართ. გაქვავებულნი ვისხედით და უცებ სწრაფი, ბორძიკ-ბორძიკა ნაბიჯების ხმა გავიგონეთ, დავინახეთ, როგორ მივარდა ვიღაცა სტივენსს და როგორ გააგდებინა ხელიდან ზარდახშა. თუმცა, განათუ მას ვუყურებდით — არა, მასთან ერთად შევცქეროდით, როგორ გაიხსნა ზარდახშის სახურავი, როგორ ამოვარდა იქიდან ბოლის ქულა და ნელ-ნელა როგორ დაიშალა ჰაერში. მერე მაგიდიდან გადავიხარეთ და გრენბი დოჯის უტყვ, მოწითალო კეფას მივაჩერდით, ის კი, დოჯი, მუხლებზე დაცემულიყო და ზარდახშიდან ამოვარდნილ ბოლს გამალებით ფანტავდა ხელებით.

* * *

"მაინც ვერაფერი გამიგია..." თქვა ვირჯინიუსმა. ხუთნი ვიდექით სასამართლოს ეზოში და გაოცებულნი, ბნელი გამოქვაბულიდან გამოსულებივით ვაფახულებდით თვალებს.

"თქვენ თუ დაწერეთ ანდერძი?" — ჰკითხა სტივენსმა. ვირჯინიუსი თოფნაკრავივით შეხტა.

"აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!" ამოღერღა ბოლოს.

"რა თქმა უნდა დაწერდით, ანდერძს კი არა, უფრო ალბათ ვალდებულების ქაღალდს — როგორსაც ჩვეულებრივ, საქმიანი პარტნიორები უცვლიან ხოლმე ერთმანეთს." — თქვა სტივენსმა — "თქვენ და გრენბი გაცვლიდით ასეთ ანდერძებს, რომელთა თანახმადაც ყოველი თქვენთაგანი მეო-

რის მემკვიდრედ და ანდერძის აღმსრულებლად იქცეოდა, საერთო ქონება რომ ხელშეუხებელი დარჩენილიყო. ბუნებრივია. ალბათ გრენბი შემოგთავაზებდათ პირველი, გეტყოდათ, მე უკვე ჩემს მემკვიდრედ დაგსახეო. ასე რომ ახლა გირჩევნიათ დახიოთ, მოსპოთ ეგ ქაღალდი. თუ მაინცდამაინც ანდერძის შედგენა გინდათ, უმჯობესია ანსი აირჩიოთ მემკვიდრედ".

"ანსს ლოდინი რად უნდა," — თქვა ვირჯინიუსმა. "მიწის ნახევარი ისედაც იმისია".

"მთავარია, ფერმას გაუფრთხილდეთ." — უთხრა სტივენსმა. "ანსმა იცის, მიწას კარგად უპატრონებთ. თვითონ კი არაფერი სჭირდება".

"ჰო," — თქვა ვირჯინიუსმა. მერე სტივენსს შეხედა. "მე... მე თქვენი... უფრო სწორად, ჩვენ ორივეს თქვენი დიდი ვალი გვადევს..."

"უფრო დიდი ვიდრე გგონიათ." — თქვა სტივენსმა მშვიდად, საქმიანად — "ჩემი და იმ ცხენისაც. მამათქვენის მოკვლიდან ერთი კვირის თავზე გრენბიმ იმდენი თაგვის წამალი იყიდა, სამ სპილოს მოწამლავდა. ეს ამბავიც უესტმა გამაგებინა. მაგრამ ცხენის ამბავი რომ გაახსენდა, როცა მიხვდა, რაც დავიწყებოდა, თავი შეიკავა, ანდერძის დამტკიცებას დაელოდა. გრენბი ეშმაკი კაცია, ოღონდ თან უმეცარიც – ასეთი კიდე, მოგეხსენებათ, ორმაგად საშიშია. იმდენად უმეცარი გამოდგა, ეგონა კანონი დინამიტს ჰგავსო: ვინც პირველი სტაცებს ხელს, იმას დაუდგება მონადო, თუმცა ამ "მონასაც" შეუძლია აჯანყება. ეშმაკობა კი იმასაც აფიქრებინებდა, თითქოს კაცი მხოლოდ თავისთვის, თავისი პირადი მიზნებისთვის სარგებლობდეს კანონით. ამას მაშინ მივხვდი, როცა შარშან ზაფხულს ერთი ზანგი მომიგზავნა — დაავალა, გამიგე, ანდერძის დამტკიცებაზე თუ იმოქმედებს როგორი სიკვდილით მოკვდება ანდერძის დამწერიო. მივხვდი, ის ზანგი ვისაც მოეგზავნა, თან ისიც ვიცოდი, რა პასუხიც არ უნდა მიმეცა, გამომგზავნი მაინც არ დაიჯერებდა, მაინც არ ირწმუნებდა ჩემს ნათქვამს, რადგან კანონის, იმ "დინამიტის", იმ "მონის" მსახურად მთვლიდა. მოკლედ, მამათქვენს რომ ჩვეულებრივი ცხენი ჰყოლოდა ან გრენბის დროზე გახსენებოდა იმისი ზნე, ახლა საფლავში იწვებოდით. იქნებ გრენბის ვერც ვერაფერი მოეგო, მაგრამ თქვენ კი ნამდვილად თავს წააგებდით".

"ჰო," — თქვა ვირჯინიუსმაც სტივენსივით მშვიდად, სტივენსივით საქმიანად. "მართლა ძალიან დავალებული ვარ..."

"რა თქმა უნდა," — მიუგო სტივენსმა — "დიდი ვალი გადევთ. გრენბის ვალი". ვირჯინიუსმა გაკვირვებულმა შეხედა. "ფერმის გადასახადი, ამ თხუთმეტ წელიწადში დაგროვილი თანხა".

"ჰოოო," — თქვა ვირჯინიუსმა. "მე კი მამა მეგონა... კი, გრენბი ყოველ ნოემბრის თვეში ფულს მესესხებოდა ხოლმე, არც ისე ბევრს, მუდამ სხვადასხვა თანხას. საქონელი უნდა ვიყიდოო. ნაწილ-ნაწილ მიბრუნებდა. თუმცა, ჯერ ბოლომდე არც გაუსწორებია ანგარიში. თუმცა რას ვამბობ,

ახლა ალბათ თვითონა ვარ იმის მოვალე". ვირჯინიუსი დაფიქრებული ლაპარაკობდა, ყოველ სიტყვას სწონიდა: "მე მგონი, კაცი რომ ავ საქმეს მოჰკიდებს ხელს, მთავარი ის კი არაა რას გააკეთებს, არამედ რა შედეგი მოჰყვება მის გაკეთებულს".

"მაგრამ დასჯით მაინც ჩადენილისთვის დასჯიან, თანაც სხვები, გარეშენი, ისინი არა, ვისაც ავი საქმის შედეგი მოუტანს ვნებას. მოკლედ, ჩვენთვის, ყველა დანარჩენისათვის მაინც უმჯობესია, თავისი ბნელი ზრახვებისთვის სწორედ ჩვენს ხელში რომ მოხვდება. საბედნიეროდ, გრენბიც ხომ მე უნდა დავსაჯო და არა თქვენ, თუმცა ნათესავად კი გერგებათ. ხომ გესმით, რისი თქმაც მინდა?"

"მესმის," — თქვა ვირჯინიუსმა. "თუმცა, მე მაინც არ.." — და უცებ პირდაპირ სახეში შეხედა სტივენსს — "მისმინეთ, გევინ!"

"რა იყო?" — ჰკითხა სტივენსმა.

ვირჯინიუსი დაჟინებით ჩასცქეროდა თვალებში.

"წეღან ძალიან ჭკვიანურად მსჯელობდით ბოლზე, თამბაქოზე, ქიმიაზე და რა ვიცი – ათას რაღაცაზე. სიმართლე გითხრათ, ზოგი დავიჯერე და ზოგიც – არა. ახლა რომ მოვყვე, რა დავიჯერე და რაში შემეპარა ეჭვი, ალბათ დამცინებთ." — მეტისმეტად სერიოზული სახე ჰქონდა, სტივენსიც სერიოზულად შესცქეროდა, თუმცა წამით მაინც რაღაც ნაპერწკალმა გაუელვა თვალებში — მოუხელთებელმა, კვიმატმა, ოღონდ – არა დამცინავმა. "ეს ამბავი ერთი კვირის წინათ მოხდა," — გააგრძელა ვირჯინიუსმა — "თუკი თქვენ მაშინ ზარდახშა გახსენით და ნახეთ, არის შიგ ბოლი თუ არაო – ბოლი უთუოდ გაიფანტებოდა. არადა, ზარდახშაში ბოლი რომ არ აღმოჩენილიყო, მაშინ გრენბიც აღარ გაამხელდა თავს. თანაც, ყველაფერი ერთი კვირის წინ მოხდა-მეთქი. რა იცოდით, ზარდახშაში ბოლი ისევ თუ დაგხვდებოდათ?"

"არც ვიცოდი," — თქვა სტივენსმა. მაშინვე უპასუხა, სწრაფად, მხიარულად, ღიმილით, ლამის სიხარულითაც კი. "არაფერიც არ ვიცოდი. სწორედ სხდომის დაწყების წინ, თქვენს შემოსვლამდე გავავსე ზარდახშა ჩემი ჩიბუხის ბოლით და ისევ დავახურე თავი. ცოდნით კი ნამდვილად არაფერი ვიცოდი. იქნებ, გრენბიზე მეტად მეშინოდა. მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი კეთილად დასრულდა – ბოლმა ლამის მთელი საათი გაძლო ზარდახშაში!."

თარგმანი: *ხ. ჭილაძე*

SPRINGBANK
Scotch Whisky
Campbeltown
SINGLE MALT
Aged 10 Years
PRODUCT OF SCOTLAND
SPRINGBANK
SINGLE MALT

ჭიქა ღვინო

...კარგ დღეში კი ჩავვარდი, ღმერთმანი! ახლა რა გინდა რო ქნა?..

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

— ერთი იმ უმთავრეს პრინციპთაგანი, მე რომ სკოტლენდ-იარდში შევითვისე, — გულდინჯად წართქვა პოლიციის უფროსმა ინსპექტორმა, — მეტად მარტივია: დანაშაულის გარეგანი მხარე სავალდებულო არაა ყოველთვის მაცდური იყოს — ანუ, ბოროტმოქმედება შესაძლოა მართლაც ისე მომხდარიყო, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, ხოლო პირდაპირი, თუნდაც რომ მეტისმეტად პირდაპირი სამხილი უცილობელ ინსცენირებად არ უნდა მივიჩნიოთ... მიმიხვდით?.

ღვინო დაისხა და ბოთლი აქეთ გადმომაწოდა.

— რაღაც ეჭვი მაქვს, რომ მთლად კარგად და ბოლომდე ვერა, — მივუგე იმ იმედით, იქნებადა რაიმე ამბის მოსაყოლად წავაქეზო-მეთქი. საქმე ისაა, მე დეტექტიურ მოთხრობებს ვაცხობ ყოველკვირეული ჟურნალებისთვის და თუ ჩემი სახელი არ გეცნაურებათ, ეტყობა ამ სახის ლიტერატურას საერთოდ არ სწყალობთ. ყველა სხვას რომ თავი დავანებოთ, მოვიხსენიებ თუნდაც ჩემს ორ, განსაკუთრებით გახმაურებულ ნაწარმოებს: "მკვლელობა შავბნელ ხიდზე" და "გადამხმარი ასკილის საიდუმლო". სწორედ ამით თუ აიხსნება პოლიციის უფროსი ინსპექტორის, ფრედრიკ მორტიმერის დიდად გულისხმიერი დამოკიდებულება ჩემს მიმართ და ასევე, ჩემი — მისდამი. თანდათან დავუახლოვდით ერთმანეთს და ბოლოს წესად დავდეთ, თვეში ერთი-ორჯერ მაინც გვესადილა ერთად. სიამოვნებით იხსენებდა ხოლმე სხვადასხვა შემთხვევას საკუთარი საგამომძიებლო საქმიანობიდან, ჩემისთანა გულისყურიანი და ამასთანავე, საკითხით დაინტერესებული მოსაუბრე კი ალბათ არც არასოდეს ჰყოლია. ოღონდ იმ დღეს მაინც მეტისმეტი მოგვივიდა...

იქნებდა ქართველმა მკითხველმა არც კი იცოდეს, რომ დეტექტიური მოთხრობების პოპულარული ავტორი, ელიგზანდერ ა. მილნი იგივე ყველა უცხოელი ბავშვისათვის უსაყვარლესი წიგნის — "ვინი პუჰის" შემქნელი, ალან ე. მილნია...

რაღაც მთლად კარგად ვერ გაგიგეთ-მეთქი, გავუმეორე ისევ.

— მე თუ მკითხავთ, ბოროტმოქმედისათვის ხშირად დანაშაულის ჩადენის უმარტივესი გზაა ყველაზე ხელსაყრელი. იმას არ ვამბობ, თითქოსდა ამ შემთხვევაში დამნაშავეს უცილობლად პრიმიტიული აზროვნება უნდა ჰქონდეს: პირიქით, მახვილგონიერი თუ მიხვდება, რომ ამგვარი გადაწყვეტა სწორედ თავისი სიმარტივის გამოა დაუჯერებელი...

მოსაზრება თავისთავად წინააღმდეგობრივი მეჩვენა და ვთხოვე, იქნებ მაგალითი დამისახელოთ-მეთქი.

— აი, ლორდ ჰედინგემს რომ ბოთლი ღვინო მიართვეს დაბადების დღეზე — ეს ამბავი რა, ჯერაც არ მიამბნია თქვენთვის?

— არასოდეს, — მივუგე მე, ღვინო ჩამოვისხი და ბოთლი ინსპექტორს დავუბრუნე; მან კიდე ჭიქა შეივსო, მერე კი წუთით ჩაფიქრდა. — ერთხელაც საღამოხანს დაგვირეკეს და გვაცნობეს, ბრუკ-სტრიტზე, ლორდ ჰედინგემის სახლში მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ბრწყინვალების ლაქია — სავარაუდოდ, მოწამლესო. საქმე ინსპექტორ ტოტმენს მიანდეს, სწორედ მისი ხელქვეითი გახლდით მაშინ, პოლიციის ახალბედა სერჟანტი. ეს ტოტმენი ერთი ენერგიული, მაგრამ ხეპრე ვინმე კი იყო და დიდის თავმოწონებით ატარებდა მოკლედ შეკრეჭილ, წითურა ულვაშს. სიმართლე ითქვას, გამოძიებას სხვებზე ნაკლებ არ უძღვებოდა ხოლმე, თუმცა მეტისმეტად ჯიქურ იცოდა მიდგომა და არათუ სხვის, საკუთარ შეცდომებზეც კი არ სწავლობდა რაიმეს. თანაც ყველაფერს მუდამ ერთი კუთხით აფასებდა: რას გამორჩებოდა ამა თუ იმ საქმიდან ინსპექტორი ტოტმენი საკუთარი კარიერისათვის. რაღა დაგიმალოთ, გულზე სულაც არ მეხატებოდა ეს ჩემი უფროსი, მაგრამ მისი კეთილგანწყობის შენარჩუნებას ყოველთვის ვცდილობდი; არც გამჭირვებია — იმდენად დიდი წარმოდგენისა ბრძანდებოდა საკუთარ თავზე, ფიქრად არ გაივლებდა, თუ მოჯადოებული არ გახლდით მისი პიროვნებით. სამსახურშიც ბევრად იოლად წავიწევდი წინ, მაგრამ ეს მელაძუა ტოტმენი გვერდიდან არ მიცილებდა და ერთთავად იმის ცდაში იყო, ჩემი ჭკუა-გონება თავის სახეიროდ გამოეყენებინა. კარგი, გვეყოფა ამაზე, ან ახლა რა გასახსენებელია... იმას გიყვებოდით, ლაქია იატაკზე დაგვხვდა გართხმული, სამზარეულოში. "ტოკაის" საცობამოცლილმა ბოთლმა და გატეხილ ჭიქაში ჩარჩენილმა სითხემ ყველა სხვა მიზეზის ძებნის საბაბიც კი მოგვისპო — კაცი მოეწამლათ. დავადგინეთ, რომ ღვინო სულ ორი-სამი საათის წინ მიეღოთ, ბოთლს თან მოყვა სერ უილიამ კელსოს სავიზიტო ბარათი, რომლის მეორე მხარეზეც დაახლოებით ასეთი შინაარსის მილოცვა დაებეჭდათ: "მიიღე ჩემი ლოცვა-კურთხევა, ტომი — და მასთან ერთად ეს მცირედი ძღვენიც". ახლა ზუსტად კი აღარ მახსოვს, რაღაც ამდაგვარი. იმას მივაქციე ოღონდ ყურადღება, რომ მილოცვის ტექსტი, საყოველთაოდ მიღებული ჩვეულების საწინააღმდეგოდ, ხელით არ იყო წარწერილი. როგორც გამოირკვა, სწორედ იმ საღამოს უფალი ლორდი თურმე საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნად პატარა ვახშმის მოწყობას ეპირებოდა ახლობლების ვიწრო წრეში; სერ უილიამ კელსო, მისი ძირძველი მეგობარი და იმავდროულად, ჰედინგემთა

საგვარეულოსთან დამოყვრებული პირი (ლორდის მეუღლე სერ უილიამის ღვიძლი და გახლდათ) საფიქრებელია, თავადაც დაესწრებოდა ამ საზეიმო თავყრილობას. შუახნის კაცი იყო, უცოლშვილო; ამბობდნენ, მეტად სათნო ძმა და დიდად მოსიყვარულე ბიძაა თავის დისწულთა მიმართო. მოკლედ, საათის ექვსზე ლაქიას მისი ბრწყინვალებისათვის მიურთმევია სერ უილიამ კელსოს გამოგზავნილი ბოთლი და ბარათი. ლორდ ჰედინგემს ბარათი აუღია და უთქვამს: "აი, გულისხმიერი მეგობარი! ძალიან კარგი, პერკინს — მაგ ღვინოსაც საღამოს გამოიტანთ სუფრაზე". "ბატონი ბრძანდებითო" — უპასუხნია ლაქიას და ბოთლი გაუტანია, სავიზიტო ბარათი კი მაგიდაზე დარჩა. მერე რაც მოხდა, ამის დასადგენად განა რა ტვინის ჭყლეტა იყო საჭირო: პერკინსი, ეტყობა, ჰედინგემთა მონოგრამიან გრაფინში აპირებდა სასმელის გადაღებას, ბოთლიც გაეხსნა, მაგრამ ცდუნებისთვის ვეღარ გაეძლო, ჭიქა ღვინო დააჭაშნიკა და... იქვე მიაბარა სული უფალს.

— იღბალი ჰქონია, მე და ჩემმა ღმერთმა! — წამოვიძახე, — ლორდ ჰედინგემსა და მის ჯალაბს ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა...

— ნამდვილად, — დამეთანხმა მორტიმერი, თან ცარიელ ჭიქას აწვალებდა ხელში. — ლაბორატორიული ანალიზის შედეგად ღვინოში ციანიდის ისეთი დოზა აღმოჩნდა, სტუმარ-მასპინძელს ერთიანად მოუთავებდა ხელს. როგორც წესია, ინსპექტორმა დაკითხა დიდი თუ პატარა, სერ უილიამისა და ლორდ ჰედინგემის ჩათვლით; მე კი რიგით რობერტსთან ერთად (პერსპექტიული ყმაწვილია, უნდა გითხრათ, ერთი სიამოვნებაა მასთან მუშაობა), ახლო-მახლო მდებარე უკლებლივ ყველა აფთიაქი და ღვინის სავაჭრო დავიარე. კვირის თავზე თუ რამ შეგვეძლო უეჭვოდ განგვეცხადებინა, სულ ეს იყო: მკვლელს ხელთ ჰქონდა სერ უილიამ კელსოს სავიზიტო ბარათი — ხოლო არისტოკრატია, მოგეხსენებათ, მათ ასე ჰაიჰარად არავის ურიგებს — და ისიც იცოდა, რომ ჯონ რიჩარდ მარვინ პლანტაგენეტ კარლოუს, მეათე თაობის მარკიზ ჰედინგემს, ახლობლები რატომღაც "ტომის" ეძახდნენ. ამ საბაბით ტოტმენმა დაასკვნა, მკვლელი უეჭველად კელსო-ჰედინგემთა ახლო ნათესავ-მეგობრების წრიდან იქნებაო. მე კი კრიჭაში ვედექი და საწინააღმდეგოს ვამტკიცებდი, კერძოდ: ა) სავიზიტო ბარათებს სწორედ რომ გარეშე პირთ ურიგებენ და არა ახლობლებს, გარდა ოფიციალური მიწვევებისა და მაშინაც ეს ქაღალდები ან სადმე ლარნაკში იდება, ან ლანგარზე ჰოლში, საიდანაც ნებისმიერს შეუძლია მათი აწაპნა-მეთქი; ბ) ის ამბავი, რომ ლორდ ჰედინგემს შინაურები სწორედ "ტომის" უხმობდნენ, ვისთვის რა საიდუმლო იქნებოდა — მაღალი წრის წარმომადგენელთა ცხოვრებისადმი მიძღვნილ ქრონიკებში ჟურნალ-გაზეთები ხელიდან არ უშვებენ ასეთ მინიშნებებს. მაგრამ ყველაზე დამაჯერებელ მტკიცებად მაინც ის მიმაჩნდა, რომ მკვლელი ბაიბურში არ იყო, თუ სერ უილიამ კელსო თავად აპირებდა ვახშამზე დასწრებას: ასეთ დროს წარმოუდგენელია ნაბოძები ბოთლი ღვინო არ ეხსენებინათ — სუფრაზე მაინც; ხოლო როცა ის უარზე დადგებოდა — არავითარი ღვინო მე არ გამომიგზავნიაო, მაშინ ხომ ყველა იეჭვებდა რაღაცას. სხვათა შორის, სერ უილიამიცა და ლორდ ჰედინგემიც ერთხმად გვიდასტურებდნენ, ერთურთის დაბადების დღეებს მუდამ ერთად აღვნიშნავთ ხოლმე და ეს ამბავი ყველა ჩვენს ახლობელს კარგად მოეხსენე-

ბაო. საბოლოოდ, მკვლელობის ასეთი ვერსია წარვადგინეთ: ვიღაცას საკ-მარისად სძულდა ლორდ ჰედინგემი, რომ წინასწარ კარგად მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი მკვლელობა ჩაედინა; ბოროტმოქმედმა იცოდა — სხვა ახლობლების მსგავსად, სერ უილიამიც ლორდს შინაურულად "ტომის" ეძახდა და იმის უფლებასაც მისცემდა საკუთარ თავს, ერთი ბოთლი იშვიათი ღვინო გაეგზავნა მისთვის დაბადების დღის აღსანიშნად. არ იცოდა მხოლოდ, რომ სერ უილიამი თავად ესტუმრებოდა ვახშმად მის ბრწყინვალებას — ესე იგი, მკვლელი ლორდ ჰედინგემის სახლეურებში არ უნდა გვეძია; ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ მას უნდა შესძლებოდა სერ უილიამის სავიზიტო ბარათი მოეგდო ხელში...

ერთი პიროვნება მართლაც სავსებით ესადაგებოდა ყველა ამ მონა-ცემს. დაიცა, რა ერქვა? მერიველი... მენტოუნი... თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჰო, მერტონი ერქვა, მერტონი! ექვსი თვე პირისფარეშად ემუშავა ლორდთან, ხელმრუდობაზე მიეტანათ ეჭვი და ისე დაითხოვეს, დახ-ასიათებაც არ მიუციათ. ბუნებრივია, სწორედ ის ამოვიღეთ მიზანში, ორი კვირა ვეძებდით მის გზა-კვალს და როცა მივაგენით, იმისთანა ალიბი აღ-მოაჩნდა, უკეთესი ნუ გინდა, ქვას გახეთქავდა... — პოლიციის უფროსმა ინ-სპექტორმა ისე ასწია ხელი, ძველ დროში ტრანსპორტს რომ აჩერებდნენ ხოლმე, — მეტყვით ალბათ, რაც მეტად საიმედოა ალიბი, მით უფრო საეჭ-ვოაო, ოღონდ აქ ამგვარი რამ გამორიცხული იყო: მერტონი ბოლო ორი თვის მანძილზე ციხეში მჯდარა სამსჯავროს მოლოდინში და რა გგონიათ, რისთ-ვის ასამართლებდნენ?! განზრახ მკვლელობა ედებოდა ბრალად — კაცი მოე-წამლა...

— რა არ ხდება ქვეყანაზე! — პათეტიკურად წამოვიძახე და დროით ვისარგებლე, მოსაუბრისათვის ჭიქა შემევსო.

— დიახ, ბატონო ჩემო, — გააგრძელა მან მცირე პაუზის მერე, — წარმოიდგინეთ ერთი, გვეგონა ხელში გვყავდა და იმაზე არც დავფიქრებულ-ვართ, საერთოდ თუ ჰქონდა ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შესაძლებლობა! ჯერ იყო და ვამტკიცეთ, მის მეტი ამ საზარელი საქმის ჩამდენი არავინაა-თქო და გამოირკვა, სწორედ მერტონი რომ ვერ იქნებოდა მკვლელი! ვერ იყო კარგი ამბავი — რაღა დაგიმალოთ, მიკვირს, უფროსობამ თავზე რომ არ გადაგვახია ის ჩვენი პატაკი... ტოტმენს ვეუბნები — მოდით, ორი-სამი დღე შევიცადოთ, თითოეულმა ჩვენ-ჩვენთვის ავწონ-დავწონოთ შექმნილი მდგო-მარეობა, თუკი რამ აზრიანი მოგვივა თავში, ერთად განვსაჯოთ და მერე თა-ვიდან დავიწყოთ ძიება-მეთქი. როგორც სჩვეოდა ხოლმე, ეს თავისი ნალო-ლიავები ულვაშები მოიწიწკნა და გულმოწყალედ გაიღიმა: "რაო, ძლივს საქმე გამიხსნია და ახლა გინდა თავიდან დამაწყებინო ყველაფერი?!" საერ-თოდ, ასე იცოდა: თუკი ერთხელ რაიმე მოსაზრებას მომიწონებდა, მერე თავისად ასაღებდა და აღარც იმას დაგიდევდათ, მართალი აღმოვჩნდებოდი თუ გუმანი გამიცუდდებოდა — კაცი ფეხს ვეღარ მოაცვლევინებდა ამოჩემე-ბული გზიდან. "მერტონის ამბავი ჩემთვის გარკვეულია — მაგან ლორდ ჰედინგემის მკვლელობა რომ ჩაიფიქრა, ეტყობა ჯერ იმ ვიღაცასთან ჰქონდა ანგარიში გასასწორებელი, და საწამლავი მასზე გამოსცადა; რომ ეგონა, ხახ-

ვივით შემრჩაო, მოწამლულღვინიანი ბოთლი გაამზადა, მაგრამ ცოდვებმა უწია და ჩაავლეს. ბოთლი კი ცოლმა ან ვინმე სხვამ...”

“...ჰედინგემისას მიიტანა წარწერით: *საწამლავია — მიირთვით შობადღეს...*” — გავაწყვეტინე მე, რადგან ამ ზღვარდაუდებელ თვითკმაყოფილებას უკვე მოთმინებიდან გამოვყავდი. “ერთს გეტყვით, მორტიმერ, — მშვიდად მითხრა ჩემმა უფროსმა, — ნუ ცდილობთ იმაზე ხისთავა გამოჩნდეთ, ვიდრე სინამდვილეში ხართ და თავსაც ნუ იგდებთ, თორემ სამსახურეობრივი უსიამოვნებები არ აგცდებათ”. რაღა დამრჩენოდა, მორჩილებისა და თავმდაბლობის განსახიერებად ვიქეცი, ბოდიშიც მოვუხადე და ისიც შევაპარე, ჩემთვის დიდი სკოლაა თქვენთან მუშაობა-მეთქი. იქვე მოუბრუნდა გული, მხარზე ხელი მომითათუნა და მეუბნება: “წადით სოფელში, სადაც მერტონი ცხოვრობდა და დამიდგინეთ, ვინ გადაუგზავნა ის ოხერი ბოთლი ჰედინგემებს; მერე ერთი კარგი, აზრიანი ანგარიში წარმომიდგინეთ პარასკევ დილას. მე მანამ ლეიზერჰედს გავემგზავრები, ხუთშაბათს ჩემი დაბადების დღეა და გული მიგრძნობს, როგორღაც გამიმართლებს”.

ლეიზერჰედი ის ადგილია, მერტონმა რომ კიდე ვიღაცა მოწამლა; თავის დაბადების დღეს კი ინსპექტორი ტოტმენი უკვე მესამედ მიხსენებდა... ისე ამეშალა ნერვები, ომნიბუსს დავაჯექი და ჰემპსტედში წავედი დასამშვიდებლად. იქაური ტბორეების პირზე დავსეირნობდი და რაც დრო გადიოდა, ტოტმენის საზრისი სულ უფრო სულელური მეჩვენებოდა. ის კი არა და ვრწმუნდებოდი რომ ბოროტმოქმედმა, ასე ვთქვათ, მის მიერვე წინასწარ გაკვალულ ბილიკზე გვიბიძგა და ახლა გვაიძულებდა, ყოვლად მცდარი, სწორედ მისთვის სახეირო მიმართულებით გვევლო. მერე მერხზე ჩამოვჯექი პარკში, ჩიბუხი გავაწყვე და გულში ვფიქრობ: “კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ მკვლელს სურდა ის გვერწმუნა, რაც ჩვენ მართლაც ვირწმუნეთ — გამოდის, ისე მარტივად არ მიჰყავდა თამაში; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი სწორედ ისაა, რაც თავიდანვეა საგულისხმო და არა ის, რისკენაც ბოროტმოქმედი მიგვანიშნებდა. ახლა, ფრედი ჩემო, თავიდან ჩამოყვები და, გივარგა-არგივარგა, მაინც ყველაფერს საკუთარი ჭკუით განსჯი”. მოგეცათ ლხენა — იმწამს ვიაზრე, რომ სწორედაც პერკინსის მოკვლა სურდათ! ისღა მაკვირვებდა, მანამდე როგორ არ მოგვაფიქრდა ასეთი შესაძლებლობა: აბა რომელი ლაქია იტყოდა უარს და ამ გადასხმა-გადმოსხმაში ნაბოძებ ღვინოს არ მოწრუპავდა?! ასე ვთქვათ, მკვლელს შეეძლო იმედიანად ყოფილიყო — ამ ძღვენს პერკინსი ვერ გადაურჩებოდა... ოღონდ ზოგი რამ ჯერ კიდევ დასადგენი მქონდა: ერთიც ვნახოთ, პერკინსი გამონაკლისი ყოფილიყო — ასე ვთქვათ, სულაც არ გახლდათ ბატონისეული ღვინოების დაჭაშნიკების მოყვარული? თუნდ ყოფილიყო კიდეც, ხომ შეიძლება სწორედ იმ საღამოს რაღაც უქეიფოდ ეგრძნო თავი და ის ავბედითი ჭიქა ღვინოც მერმისისთვის შემოენახა? ეგეცაა — ცოტა არ იყოს, ალალბედზე შეგდებული საქმე გამოდიოდა: თუ მხოლოდ პერკინსის მოკვლას აპირებდნენ და ლორდ ჰედინგემის ოჯახს არას ერჩოდნენ, ვინ დადებდა თავს, რომ მაინცა და მაინც სწორედ ლაქია გახდებოდა პირველი მსხვერპლი?! და უცებ თითქოს თავში დამკრა — არაფერი საეჭვო და საორჭოფო აქ არ იქნებოდა, თუკი: ა) მკვლელს დანამდვილებით ეცოდინებოდა, რა ზნეც სჭირდა ცხონებულს; ბ)

თუ ჩანაფიქრი გაუცუდდებოდა და გაუხსნელ ბოთლს შემოიტანდნენ სუ-ფრაზე, უცილობლად თვითონაც შეესწრებოდა ამ ამბავს და თანამეინახეებს საკუთარ თავზე ეჭვის მიუტანლად ააცილებდა საფრთხეს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი ან თავად ოჯახის წევრი, ანდა მის ბრწყინვალებასთან მეტად დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო. სწორედ ასეთი ვინმე გახლდათ სერ უილიამ კელსო. ქვეყანაზე მას ერთადერთს შეეძლო ამდგარიყო და ეთქვა: "არ გაეკაროთ ამ ბოთლს — არავითარი ღვინო მე არ გამომიგზავნია! ეს ან უგერგილო ხუმრობაა, ან იქნებ რაიმე უარესიც..." კაცმა რომ თქვას, რატომ თავიდანვე არ ავიღეთ მასზე ეჭვი? საქმეც ისაა, ცხადზე-ცხადი გვეჩვენე-ბოდა, თითქოს მიზანში ლორდ ჰედინგემი, ან სულაც მთელი მისი ოჯახი ჰყავდათ ამოღებული; ამ შემთხვევაში სერ უილიამი ლამის ოჯახის წევრად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა და მისი რეპუტაცია კეისრის მეუღლეზე მეტად ეჭ-ვმიუტანელი ჩანდა. მაგრამ მთავარი მიზეზი ალბათ მაინც ის იყო, შეუძლებლად მიგვაჩნდა მკვლელს მოწამლული ძღვენისთვის საკუთარი სავიზიტო ბარათიც ზედ დაერთო. როგორღაც მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ საზრიანი კაცის მხრივ სწორედ ყველაზე უფრო დაუჯერებელი ნაბიჯის გადადგმაა მოსალოდნელი ყოველგვარი წინასწარმოფიქრებული ბოროტების ჩასადენად. ახლა ერთიღა დამრჩენოდა — მკვლელობის მოტივის დადგენა. თავს სიამოვნებას როგორ მოვაკლებდი და ლორდ ჰედინგემის სანდომიან მნეს სწორედ ნაშუადღევის ჩაისსმის დროს მივადექი. დამავიწყდა მეთქვა, მე და იმ ქალბატონმა ჯერ კიდევ მაშინ დავადგით ერთმანეთს თვალი, როცა ინსპექტორ ტოტმენთან ერთად პირველად გამოვცხადდი მისი ბრწყინ-ვალების სახლში — ცოდვა გამხელილი ჯობია და ახალგაზრდობაში გვარი-ანი მექალთანე გახლდით... მოკლედ, იმ კეთილ ქალბატონს რომ დავცილდი, ორი რამ ვიცოდი დანამდვილებით: პერკინსის მიმართ მაინცა და მაინც არც ზედა სართულზე, სახლის პატრონები ყოფილან კეთილად განწყობილნი, და არც ქვევით, მსახურები იკლავდნენ მისთვის თავს. "ნეტა საერთოდ როგორ იტანდნენ მაგ მაიმახს! ლედი ჰედინგემი კი, ღმერთმა კეთილად გვიმყოფოს, მთლად გამოიცვალა ამ ბოლო დროს..." მაინც როგორ-მეთქი, ჩავეკითხე. "გამოხალისდა. აი, როგორც ქალიშვილობაში მახსოვს, იმას დაემსგავსა — გესმით ალბათ, რისი თქმაც მსურს, მორტიმერ!.."

მესმოდა, როგორ არ მესმოდა — ეს ამბავი სწორედ რომ ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს. გუმანმა გამიმართლა, სწორ გზას დავდგომივარ: შანტაჟი. მერე და რა? განა რა სარგებელი მქონდა ამ ჩემი "ღრმად ფსიქოლოგიური" დასკვნებიდან? არავითარი. არც ერთი საბუთიანი მტკიცება. აი, სერ უილიამ კელსოს ერთი პირდაპირი სამხილი მაინც რომ დაეტოვებინა ჩემთვის, მაშინ კი ირწმუნებდნენ ნაფიცი მსაჯულები, თორემ ასე მკვლელობის მთელი ეს ვერსია ქვიშაზე ნაგებს გავდა. თუმცა... ერთი სამხილი მაინც მქონდა: სავიზიტო ბარათი; ოღონდ ბედის დაცინვაც ეგ იყო — სწორედ ჩემი ეს ერთადერთი სამხილი იმავე დროს სერ უილიამის სრულ უდანაშაულობაზეც მიანიშნებდა. რაც მე ინსპექტორ ტოტმენს ვიცნობდი, ყველაფერ ამიდან ქვას-ქვაზე არ დამიტოვებდა. გვარიანად ცხვირჩამოშვე-ბული, ახლა რიჯენტ-პარკისკენ მიმავალ ავტობუსს დავაჯექი — იქნებ იქ მომსვლოდა თავში რაიმე სასიკეთო. ჰანოვერ-ტერასს რომ გავუყევი, ვხედავ — საპირისპირო მხრიდან ეს ჩვენი რობერტსი მოსეირნობს სტვენა-სტვენით.

შენ აქ საიდან-მეთქი, ვეკითხები. “მოგესალმებით, ჩემო სერჟანტო!” — აშკარად წრეგადასული სერიოზულობით მეპასუხება, თავი კი ისე უჭირავს, ბრალს ვერაფერში დასდებ — უფროს-უმცროსობის არაფერი ეშლება. — “ეს წუთია ჩემს ბავშვობის მეგობარს — პირადად სერ უილიამ კელსოს კამერ-დინერს ვესაუბრე. ინსპექტორის ღრმა რწმენით, მას მერტონი უნდა სცნო-ბოდა. ასე ვთქვათ, ჩვენში, კამერდინერებში...” ინსპექტორი ტოტმენი თუ ჩამოვიდა-მეთქი, — გავაწყვეტინე ცივად. რობერტსი წამსვე სმენაზე დადგა და მიცხადებს: “არავითარ შემთხვევაში, სერ! ინსპექტორ ტოტმენის გარდა-მოსვლა ლეიზერჰედიდან, სარის საგრაფო, მოსალოდნელია არა უადრეს დღესინდელი დღის მიმწუხრისა!”

“ესეც შენი ახალგაზრდა კადრი, — გავიფიქრე. — არავითარი რიდი და პატივისცემა; ეტყვი რამეს ამისთანას და ზურგსუკან სხვასთან გაგა-მასხრებს...” არადა კარგი ბიჭი იყო, გონებაც უჭრიდა, ყველაფერს ამჩნევდა და თვალმოკრულსაც კი იმახსოვრებდა...

“არ ვიცოდი, სერ უილიამ კელსო სადმე ახლო-მახლოში თუ ცხოვ-რობდა” — ვეუბნები. რობერტსმა გზის იქითა მხარეს, გამორჩეული აგე-ბულების შენობაზე მიმითითა: “იმ სახლს ხედავთ? სულ რაღაც ნახევარი საათის წინ იქ სამზარეულოში შეგეძლოთ გენახეთ, ასე ვთქვათ, მოახლეს ვეკურკურებოდი... მისი ჭკუით, მერტონი ქალაქია სარის საგრაფოში! ისე, რაც ვერჩი, მართალს კი ამბობს და...”

უცებ ერთი ისეთი გეგმა დავაწყვე, ჭკუათმყოფელი კაცი ახლოსაც არ გაიკარებდა. “მაშ ასე, ახლა იქ ერთად მივალთ, — ვეუბნები რობერტსს, — სიტყვა მაქვს სახლის პატრონთან სათქმელი... თან იქნებ შენი სტუმრობაც როგორმე კიდევ აიტანონ სამზარეულოში, თუ უკვე მეტისმეტად არ მოაბეზრე ყველას თავი”. “რას ბრძანებთ, ჩემით უდგათ სული! რომ ვემშვიდობებოდი, ლამის იყო, ერთხმად შემომტირეს — ნუ დაგვივიწყებთ, მოგვხედეთ ხოლ-მეო...”

ჩვენთან, სკოტლენდ-იარდში იტყვიან: ერთხელ მკვლელი სამუდამოდ მკვლელად რჩება და იქნებ ამიტომაც გადავწყვიტე, ახალგაზრდა რობერტსი ხმის მიწვდენაზე მყოლოდა — ჩაის სასმელად ხომ არ მივდიოდი სერ უილიამ კელსოს სახლში, პირში უნდა მიმეხალა კაცისთვის, წინასწარგანზრახულ მკვლელობაში გდებთ ბრალს-მეთქი. თან ეგეცაა, ჩემზე სწორედ იმ კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვისთვისაც ადამისშვილის მოკვლა უფრო ადვილი მოსანელებელია, ვინემ ტყუილის თქმა. ჭიშკარს რომ მივადექი, საფულეში დავიწყე ქექვა, სავიზიტო ბარათს ვჩხრეკდი. ბედზე, ერთი ცალი შე-მომრჩენოდა. ცოტა შელახული კი იყო, მელნის ორი ლაქა აჩნდა ზედ, მაგრამ ახლა მაგას ვინ დაგიდევდათ. ოღონდ რობერტსმა, რომლის თვალსაც არაფ-ერი გამოეპარებოდა, ვითომდა დიდად შეწუხებულმა გადააქნია თავი, აქაოდა არ გეკადრებათო. მოახლე გოგომ, თითქოს გველოდაო, ზარის ჩამოკვრის-თანავე გაგვიღო კარი. ბარათი ხელში მივაჩეჩე და ვუთხარი, სერ უილიამს სთხოვეთ, მიმიღოს-მეთქი. ამ გამოჯეკილმა რობერტსმა კი თვალი უყო და სამზარეულოში ჩამავალ კიბეზე ანიშნა. მოახლემ ჯერ იმას ჩაუღიმილა, მერე

კიდე, უკარება სახით, მისაღებში შემიძღვა. რობერტსი ამ დროს უკვე კიბის თავზე იდგა. ჩემთვისაც ასე ჯობდა, უფრო გულმშვიდად ვიქნებოდი. სერ უილიამ კელსო დაახლოებით ჩემნაირი აგებულებისა იყო, ცოტა უფრო ჩაფსკვნილი, ერთხანს თითებში ატრიალა ჩემი ბარათი და ბოლოს მკითხა: "მაშ, რით შემიძლია გემსახუროთ? დაბრძანდით, დაბრძანდით." — ზრდილად, კეთილგანწყობითაც კი მელაპარაკებოდა, არავითარი ქედმაღლობა.

"ვგონებ, ჯობია მაინც ფეხზე ვიდგე, სერ უილიამ, — ვეუბნები, — ნებას თუ დამრთავთ, ერთი შეკითხვა მაქვს..."

"ბრძანეთ, ბრძანეთ", — მეუბნება, თუმცა დიდი დაინტერესება არ გამოუჩენია.

"როდის გაიგეთ, პერკინსი რომ ლედი ჰედინგემს ფულს ძალავდა?"

შეკრთა, სავიზიტო ბარათიც თითქოს თითებში ჩაეყინა, მაგრამ ხმა არ გაუღია და ნაკვთიც არ გატოკებია სახეზე. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. "ესაა სულ? " — მეკითხება ცოტა ხნის მერე. გასაკვირი მისი ხმა იყო — ისეთივე მშვიდი, დაბალი.

"და ერთიც კიდევ... საბეჭდი მანქანა თუ გაქვთ სახლში?"

ამოიოხრა, ბარათი ნახმარი ქაღალდების კალათში მოისროლა და, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ჩემსკენ ზურგშექცევით ფანჯარასთან აისვეტა. ერთხანს იდგა ასე, ჩაფიქრებული, მერე უცებ მოტრიალდა და ჩემდა გასაოცრად, მეტად გულთბილი ღიმილით სავარძელზე მანიშნა: "მაინც მგონია, დავსხდეთ — ასე აჯობებს". დავუჯერე. "როგორ არა, მაქვს საბეჭდი მანქანა და ხანდახან ვბეჭდავ კიდეც ზედ. დარწმუნებული ვარ, სკოტლენდიარდში არც თქვენ წერთ ყველაფერს ხელით" .

"კი, ასეა." — ვეთანხმები.

"ასევე იქცევა ათასი სხვა და იქნებ ის მკვლელიც, თქვენ რომ დაეძებთ".

"ათასი სხვა, და მათ შორის მკვლელიც." — ისევ ვეთანხმები. წამსვე დაიჭირა განსხვავება და ისევ გაიღიმა. მე არც *იქნებ* მითქვამს და არც *ძებნა* მიხსენებია: დარწმუნებული გახლდით, მკვლელი უკვე ნაპოვნი მყავდა. "საქმეც ისაა, — ვეუბნები, — მისალოცი ტექსტი მანქანაზე იყო დაბეჭდილი".

"მერე, ამას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს?"

"დიდი არაფერი, თუ არ ჩავთვლით რომ ეზოპესეული ენით გახლდათ შედგენილი".

“ჩემო კარგო, ეზოპე აქ რაღა შუაშია? როგორც მახსოვს, სრულიად ჩვეულებრივი, ტრაფარეტული მილოცვა იყო, ყველა ასე დაწერდა”.

“ყველა თქვენი წრის წარმომადგენელი, სერ უილიამ, ვინც კი ორივეს გიცნობდათ — სხვა ვერავინ... აი, ხვალ ინსპექტორ ტოტმენის დაბადების დღეა (ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, — გავივლე გუნებაში, — ტვინი წაიღო ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შეხსენებით) და მე რომ ბოთლი ვისკი გავუგზავნო საჩუქრად, რობერტსი — ეს ჩვენი კონსტებლია, ქვევით მელოდება (ხომ მოხერხებულად შევაპარე, მარტო არა ვარ-მეთქი!) — ეს ჩვენი კონსტებლი რობერტსი სულ იოლად გამოიცნობს მილოცვის ტექტს და ასევე ყველა ჩვენიანი იარდში. აი, თქვენ კი, სერ უილიამ, ვერასგზით ვერ გამოიცნობდით!”

ერთხანს მომჩერებოდა, მერე სადღაც ჩემს მიღმა გაექცა მზერა. ერთი გამაგებინა, რა უდევს გუნებაში-მეთქი, გავიფიქრე და უეცრად მესმის: “თქვენ ალბათ, ასე დაწერდით — *დღეგრძელობასა და ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ, მარად თქვენი ერთგული...*”

არა, მართლა გასაკვირი იყო, ღმერთმანი — თითქოსდა სხვა რამ საზრუნავი არაფერი ჰქონდა — თურმე მართლა ცდილა გამოეცნო, რა შეიძლებოდა მიმეწერა ჩემი შეფისთვის. არადა, შიგ კაკალ გულში არ მოარტყა?! ეს “მარად თქვენი ერთგული” იმას ნიშნავდა, რომ პირველსავე შეხვედრაზე აუღო ალღო ინსპექტორ ტოტმენისა და მისი უნიათო ხელქვეითის ურთიერთობას... ეტყობა, სახეზე მეწერა გაოცება და სერ უილიამ კელსომ ჯერ ღიმილი ვერ შეიკავა, მერე აქეთ გადმოვიდა შეტევაზე: “ხედავთ, არც ისე ძნელი ყოფილა! და ის ამბავი, ვიღაცამ ჩემი სავიზიტო ბარათით რომ ისარგებლა, სწორედ ჩემს უდანაშაულობაზე მეტყველებს, ასე არაა?”

“ნაფიც მსაჯულებისათვის შეიძლება ასეც იყოს, — ვეუბნები, — მაგრამ არა ჩემთვის.”

“რას იზამ, იქნებ სხვა დროს დაგარწმუნოთ როგორმე... ახლა რას აპირებთ?”

“ რა უნდა ვქნა რა — ხვალ ინსპექტორ ტოტმენს წარვუდგენ ამ ჩემს ვერსიას...”

“ სწორედ რომ მოულოდნელი საჩუქარი იქნება დაბადების დღისთვის! როგორ ფიქრობთ, გაუხარდება?”

აი, ამაზე კი არაფერი მქონდა პასუხად...

“ისიც საკითხავია, დაგიჯერებთ ვინმე?”

“ე-ე... იცით, სერ უილიამ, აქ ერთი — როგორ გითხრათ — პატარა გარემოებაა გასათვალისწინებელი”.

“მაინც?..”

“მოწმედ რომ დაგასახელოთ, ფიცის დადება მოგიწევთ სასამართლოში. არც გამიკვირდება, თუ ასეთ დროს ტყუილის თქმასა და ცრუ ჩვენების მიცემას თქვენისთანა კაცი მკვლელობის აღიარებას არჩევს”.

ხმა არ გაუღია.

“საცა სამართალია, ზოგ-ზოგი ცოტა დროზე ადრე რომ გამოეთხოვოს ხოლმე წუთისოფელს, არც ვინაღვლებდი, მაგრამ ეს ისე, ჩვენში ვთქვათ, სერ უილიამ... რა ვქნა, მე ერთი უბირი პოლიციელი ვარ და ჩემს პირად სიმპათია -ანტიპათიებს სათვალავში არავინ ჩააგდებს”.

თავი დამიქნია, ისევ ფანჯრისაკენ შებრუნდა და — “*ნერვული სისტემის სრული გამოფიტვა* — ასეთ დასკვნას გააკეთებენო” — წაიბურტყუნა.

როგორ ვთქვა და, მართლაც არ იყო გასაწირი კაცი — გული დამწყდა, მისი სიკვდილი რომ გავიგე: მეორე დილასვე შუბლში უხლია ტყვია... ფრედ მორტიმერი გაჩუმდა და გამომცდელად შემომაჩერდა. ვერაფერი დასასრულია-მეთქი, ვეუბნები. — “რის დასასრული, მთელი ამბავი ახლა იწყება: პარასკევ დილით, ჯერ კიდევ სანამ სერ უილიამის სიკვდილის ამბავს შევიტყობდით, ინსპექტორ ტოტმენის კაბინეტში გამოვცხადდი მოხსენებით, ვერ ვნახე და კაციშვილმა არ იცოდა, სად იყო. რა მექნა, კონსტებლი სტაბსი გავიყოლიე და სახლში წავედით მასთან. ახლა კი მაგრად დადექით, ემანდ სკამიდან არ გადმოვარდეთ... სახლის პატრონმა, რაკი კაკუნზე არავინ გამოეხმაურა, თავისი გასაღებით გააღო ტოტმენის ბინის კარი და ის საცოდავი სამზარეულოში ვნახეთ იატაკზე გაშხლართული — წინა დღის მკვდარი იყო, მაგიდაზე კი ვისკის ერთი ნაკლული ბოთლი იდგა და ზედ სავიზიტო ბარათი ქონდა შებმული. არა, მაინც ვისი იქნებოდა, როგორ ფიქრობთ? ჩემი, რაღა თქმა უნდა! ზედ კიდე ეს ეწერა: “დღეგრძელობასა და ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ, მარად თქვენი ერთგული...” და ასე შემდეგ, ხელმოწერითურთ. ბედი ჩემი, სერ უილიამ კელსოსთან ვიზიტის დროს ის ახალგაზრდა რობერტსიც რომ თან მახლდა; ბედი ჩემი, იმ ბიჭის თვალს რომ არაფერი გამოეპარება ხოლმე და დამიდასტურა კიდეც, სწორედ ეს დათხაპნილი სავიზიტო ბარათი გაატანა მოახლეს სერჟანტმა მორტიმერმა სერ უილიამისათვის გადასაცემადო; და კიდევ ბედი, რომ საერთოდ ირწმუნეს სერ უილიამ კელსოსთან მისვლის მიზეზთა თაობაზე ჩემი მონათხრობი!

რა თქმა უნდა, უფროსობამ სამსახურეობრივი უფლებების გადაჭარბება დამდო ბრალად, ამის გამო ოფიციალურად მიმითითეს კიდეც, ოღონდ სინამდვილეში ძალიანაც კმაყოფილნი იყვნენ და როგორც გადმომცეს, კერძო საუბარში არც არავინ მალავდა ამას. მართალია, სასამართლოზე არაფრის დამტკიცება არ შეგვეძლო და სერ უილიამ კელსოს თვითმკვლელობაც ნევრასთენიას დააბრალეს, მაგრამ რა მერე — ერთი თვეც არ იყო გასული, ინსპექტორის ასე უდროოდ განთავისუფლებულ თანამდებობაზე თქვენი მონა-

მორჩილი რომ დაამტკიცეს. მორტიმერმა ღვინო ჩამოისხა და ჭიქის ჩაცლაც მოასწრო, ვიდრე მე ამ უცნაურ ამბავს გადავხარშავდი.

— თუ კარგად დავუფიქრდებით, — წამოვიწყე ბოლოს და ჩემი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის შესაძენად, დინჯად შევუდექი სათვალის შუშების წმენდას, — ზოგადად ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ სამსალაგარეული ვისკის გაგზავნა იმდენად ინსპექტორ ტოტმენის თავიდან მოსაცილებლად კი არ იყო გამიზნული, რამდენადაც სწორედ თქვენი პიროვნების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად; აქედან გამომდინარე, მერე ვეღარც პერკინსის მკვლელობის თქვენეულ ვერსიას შეასმენდით ვისმე.

— სავსებით გეთანხმებით.

— მაგრამ მიხვდა, რომ მისი რაფინირებული ფსიქიკა ვეღარ ზიდავდა ასეთ ტვირთს და...

— კი, რაღაც მაგდაგვარი სავსებით შეიძლებოდა მომხდარიყო, ოღონდ ახლა მარჩიელობაა ეგ ყველაფერი...

უცბად, ერთმა აზრმა თითქოს ელვასავით გამიარა გონებაში, წამოვიწიე და გაოგნებული მივაჩერდი ჩემს თანამეინახეს:

— გახსოვთ, რა გითხრათ სერ უილიამმა?! ჩემი სავიზიტო ბარათით რომ ისარგებლეს, ყველაზე უკეთ სწორედ ეგ ფაქტი მეტყველებს ჩემს უბრალოებაზეო. თქვენ ამაზე გიპასუხნიათ — სხვებმა იქნებ ირწმუნონ კიდეც, მაგრამ არა მეო. მერე მან სიტყვა ბანზე აგიგდოთ, ოღონდ აკი წამოცდა — როგორმე დაგარწმუნებთ, იქნებ სხვა დროსო... აი, როგორ და რანაირად! საკუთარი უდანაშაულობის დამამტკიცებელი ერთადერთი საბუთიც სწორედ ის გქონდათ, რომ თქვენი სავიზიტო ბარათი იყო ბოთლის ყელზე შებმული!.

— არა, აქ ცოტა სხვა ამბავია. ჩემი უდანაშაულობა იმან გახადა სარწმუნო, რომ კონსტებლ რობერტსის ჩვენებით, სერ უილიამს სწორედ ის, მელნით ორ ადგილას დათხუპნილი ბარათი გადავეცი, რომელიც მერე ინსპექტორ ტოტმენის ბინაზე აღმოჩნდა. გარდა ამისა, პერკინსის მკვლელობის ჩემი ვერსიაც ბევრისთვის სავსებით დამაჯერებელი ჩანდა — ერთხელ მომწამლავი ვითომ სხვა დროს რატომ დაიხევდა უკან!

— ეგეც მართალია... ისე, თავად მოთხრობას რა უშავს, ოღონდ რაც თავში განაცხადეთ, იმის საილუსტრაციოდ ნაკლებად გამოდგება.

— ვითომ რატომაო?

— პერკინსის მკვლელობის შემთხვევაში უმარტივესმა ვერსიამ გაამართლა, გეთანხმებით, მაგრამ ტოტმენის სიკვდილთან დაკავშირებით კი — რა მოგახსენოთ.

— თქვენი გამკვირვებია! ეგ როგორ?.

— ჩემო კარგო, — დაჯერებული ტონით დავიწყე და რაკი მომეჩვენა, ღვინომ ჩემს მეგობარს აღქმის უნარი ცოტა მოუჩლუნგა-მეთქი, საკუთარი საზრისის ხაზგასასმელად საჩვენებელი თითიც კი მოვიშველიე, — ინ-სპექტორ ტოტმენის მკვლელობის უმარტივესი ახსნა — გთხოვთ კარგად დაუკვირდეთ — ის იქნებოდა, რომ თითქოსდა სწორედ თქვენ გაუგზავნეთ მოწამლული სასმელი!

მორტიმერმა მხრები აიჩეჩა:

— მერე, განა მეც ეგრე არ მოვიქეცი?

ენა ჩამივარდა, საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. სამძებრო პოლიციის უფროსი ინსპექტორი მორტიმერი კი მშვიდად განაგრძობდა თავისას:

— ტოტმენი ისედაც ყელზე მადგა, ბოლო დროს კი მთლად შემაძულა თავი, გასაქანს ხომ არა და არ მაძლევდა; მაგრამ ასეთი რამ მანამდე ფიქრადაც არ გამივლია, ვიდრე ის დალაქავებული სავიზიტო ბარათი ისევ ჩემს ხელში არ აღმოჩნდა: სერ უილიამმა კალათში რომ მოისროლა და ფან-ჯრისაკენ შებრუნდა, მაშინ გავიფიქრე — ეს ბოლო ცალი მქონდა და თუ ამ ვაჟბატონს არაფერში გამოადგება, ეს იმას არ ნიშნავს, მეც აღარ დამ-ჭირდება-მეთქი. დავიხარე, ვითომდა ფეხსაცმლის თასმის შესაკრავად, თან კალათას ჩამოვეფარე — აბა, ვერაფერ მოსაწონ საქმეს რომ ჩავდიოდი, თვი-თონაც კარგად მესმოდა, — ბარათი ამოვქექე და ის იყო, ჯიბეში უნდა მეკრა, თვალი ვკიდე მელნის ლაქებს და ისიც გამახსენდა, როგორ გამკენწლა რობერტსმა ჩემი ფეთხუმობის გამო. იმ წამს ვიაზრე, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ იქნებოდა...

ერთხანს ისევ ცარიელ ჭიქას აწვალებდა ხელში.

— მთავარი ისაა, სერ უილიამისა არ იყოს, დიდად არც მე მეხერხება ტყუილი. აქ კი მისხალის თქმაც არ დამჭირებია — მძივის მარცვლებივით აეწყო ყველაფერი: არც დამიმალავს, საიდან გაიგო სერ უილიამმა ტოტმენის დაბადების დღის ამბავი, ან ზედმიწევნით როგორ გამოიცნო მისალოცი ტექსტი... გეფიცებით, ამ კაცის მიმართ აშკარად კეთილად ვიყავი განწყო-ბილი და სხვა შემთხვევაში ასე ვერც გავწირავდი, მაგრამ აკი თვითონ მიმახ-ვედრა, მოსამართლეებამდე ექიმებს მოუწევთ ჩემი განსჯაო — სწორედ ამ ერთმა ფრაზამ გადამაწყვეტინა ყველაფერი: საღამოხანს, ლეიზერჰედიდან დაბრუნებულ ინსპექტორ ტოტმენს საფოსტო ყუთში შეფუთული ბოთლი და ბარათი დახვდა...

მორტიმერი წამოდგა და ერთი გემრიელად გაიზმორა.

— გათავდა ამბავი, ანკი რამ გამახსენა ამდენი წლის მერე!. მასპინ-ძლობისთვის მადლობა მომიხსენებია, შემდეგ პარასკევს ერთად ვისადილოთ — მე გპატიჟებთ. ბოთლი ბურგუნდიული მაქვს გადანახული თქვენთვის.

ჭიქა ჩაცალა, შეტრიალდა, მძიმე ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან და, გაოგნებული, საკუთარ ეჭვებს შემატოვა.

“...ერთხელ მომწამლავი ვითომ სხვა დროს რატომ დაიხევს უკან!.”

არა, პარასკევს მაინც რა გინდა რო ქნა?!



ƷƢʒʊʒƷƢ

31 ივნისი

საახალწლო ფეერია 10 სურათად და 5 მოქმედებად

(გინდა, პირუკუ)

<u>მოქ. I სურ. I:</u> *"შავმა რაინდმა წარიტყვევნა გული ჩემი..."*

31 ივნისია, მთვარის დღე, და პირადორის ქვეყანაში სწორედ ისეთი ზღაპრული ამინდი დგას, ძველ კარგ დროს რომ შეეფერება. კამელოტის მეუფე ართურის წილხვდომილი ეს პაწია ვასალური სახელმწიფო ნელი-ნელ, მთქნარებ-მთქნარებით იღვიძებს ოქროსფერი დილის ბინდ-ბუნდში. იმხანად პროგრესის ცნება უცხო რამ გაგება გახლდათ და გარეშემო ყველა მშვიდად და წყნარად ეზიდება ცხოვრების ჭაპანს: თავ-ქალაქ *პენდრაგორში* ფართხა-ფურთხით არავინ ღებავს ახალ შენობებს და არ ანგრევს ძველს, კონკურენ-ტუნარიან გარემოში სხვის ცოცხლად შეჭმას არავინ ცდილობს, ტრანს-პორტთან დაკავშირებით ამტყდარი ყალიბლას გამო არავის უჩნდება კუჭის წყლული და არც ბუხრის საკვამურს უქოლავს ვინმე ვინმეს — აქაოდა, კვადრატულ მეტრ ბოლზე დავალიანების გამოისობითო; რაკიღა არც ეკო-ნომიკის საფუძვლებზე აქვთ წარმოდგენა, ექსპორტ-იმპორტს შორის არსე-ბული შეუსაბამობის საკითხითაც თავს არავინ იტკიებს. ისიც ითქვას, დაგეგ-მარების თაობაზე აქ საერთოდ არაფერი სმენიათ — თუკი, რაღა თქმა უნდა, სამეფო სუფრისთვის ყოველდღიური მენიუს შედგენას არ მივიჩნევთ ასეთად.

მეფე-ხელმწიფე *მელიოტის* კუთვნილი ციხე-კოშკის დასავლეთი მხარე მის ერთადერთ ასულსა და შესაბამისად, ერთადერთსავე მემკვიდრეს — *მელისენტას* უკავია, საკუთარი ორი სეფე-ქალითა და რამდენიმე მოახ-ლით. მთავარ სამყოფელში, ე.წ. *ხალიჩებიან დარბაზში* ახლა ერთი ვინმე კარის მუსიკოსი ზის, სახელად *ლემისონი*, და რაღაც გიტარისდაგვარ ინ-სტრუმენტზე აჟღრიალებს სიმებს. ეს ერთი იმ ჭმუნვაშეპყრობილ, გაფუყულ და მარად უკმაყოფილო ახალგაზრდა კაცთაგანია, მხოლოდ საკუთარ თავს რომ სცემენ პატივს, და ისიც სრულიად უმიზეზოდ — სიმართლე ითქვას და, დაკვრაც კი არ იცის ხეირიანად...

შემოდიან მელისენტას სეფექალები — ლედი ნინეტი და კეთილშობილი ელისონი. პირველს ასხლეტილი ტანი, მწვანე თვალები, ჟღალი თმები და წიწმატი ხასიათი აქვს, მეორეს — პუნტულა ლოყები, თაფლისფერი თვალები და ქერისფერი თმა; ხასიათი — შესაბამისი. ადრიანი დილის მიუხედავად, ორივეს უკვე მოწყენილობა სტანჯავს, ამიტომაც ნინეტი გაღიზიანებული გამოიყურება, ელისონი — დაღვრემილი.

ნინეტი: *(დაუყოვნებლივ ეძგერება ლემისონს):*

კარგით რა, ლემისონ-ბატონო! აღარ მოგბეზრდათ ამ ძველმანების პარტყუნი?! ახალი არაფერი იცით?..

ელისონი: *(უფრო რბილად, მაგრამ მაინც საყვედურით):*

ჯერ კიდევ იმ კვირას არ დაგვპირდით, რაიმე ახალს გავარჩევო – აი, რა ქვია იმას — ***'შავმა რაინდმა წარიტყვევნა გული ჩემი...'***

ლემისონი რაღაცას ჩაიბურტყუნებს თავისთვის და ინსტრუმენტის წვალებას შეეშვება, ოღონდ ადგილიდან ფეხს არ იცვლის — მეფის ასულის გამოჩენას ელოდება. გოგოები აინუნშიც აღარ აგდებენ, დგანან თავისთვის და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

ნინეტი: მელისენტა თუ იმ თავის ჯადოსნურ სარკეს გამოიტანს, ვეტყვი მეც ჩამახედოს შიგ!

ელისონი: კარგი ერთი! რა, მართლა გაუბედავ?!.

ნინეტი: რატომ არა ვითომ? მაგისია თუ რა — ისევ იმ ჯადოსანს არ უნდა დაუბრუნოს? მერე, თუ მაგან მართლა მოკრა შიგ ვიღაცას თვალი, იქნება და მეც...

ელისონი: ე-ეჰ, მაგის ბედი ჩვენ ვინ მოგვცა — ისევ ალბათ ხელსაქმეზე დაგვსვამენ და ისევ შაკიკი დამეწყება... ღმერთო, ამ ჩვენს პირადორში რატო არასოდეს არაფერი ხდება? აი, დეიდაშვილი მყავს კამელოტში და სულ იმას იწერება, *არაჩვეულებრივ* დროს ვატარებთო: ეს ჯადოქრებიო, ეს მუშაითებიო, იქით ორი დევკაცი სულ ახლოში, ტყის იქით და ერთიც ვეებერთელა გველეშაპი მდინარის გაღმაო, მთელი ოთხი მოჯადოებული კოშკი და მრგვალი მაგიდის რაინდები ყოველ ფეხის ნაბიჯზეო — სულ იმის ცდაში არიან, ვინმე კეთილშობილი ასული რაიმესაგან გადაარჩინონო... ყოველ საღამოს კიდე წვეულებები, სტუმრიანობა და რა ვიცი! *(ოხრავს).*

ნინეტი: *(ერთი ბრაზიანად ჩაიფხუკუნებს):* არა, ჩემო კარგო! ასე არაფერი გამოვა! თავად უნდა მივაღწიოთ ყველაფერს — მოსახდენი უნდა მოხდეს!

ელისონი: ჩემი სათნო ხასიათისა და სპეტაკი ბუნების გადამკიდე...

ნინეტი: *(მწვანე თვალები უელავს):* არ გავკარი მაგ სისპეტაკეს თუ რა ქვია იმას — არც ერთი მაქ, არც მეორე და ჩემსა გარყვნილებას არ აქვს სამძღვარი! შანსი გამიჩნდეს, თუნდაც ნახევარშანსი და მერე მე ვიცი და ჩემმა ქალობამ: აი ნახავ, პენდრაგორში სულ მოვლენებმა იწყონ ცვენა!

ნარნარი ნაბიჯით შემოდის მელისენტა, თან აბანოურის ხეში ჩასმულ ლი-თონის პაწია სარკეს აპრიალებს ნატის ნაჭრით. მეფის ასულს ოქროსფერი თმა, დიდრონი, ზღვისფერი თვალები აქვს და საერთოდ, თავადაც ჰგავს ზღვას — ოღონდ ამჯერად რაღაც ქუშტად და მოქუფრულად კი გამოიყ-ურება.

მელისენტა: ღმერთმანი, აუტანელი ამბავია! მთელი დილაა ვიხედები შიგ და — არაფერი! ამ დროს კი <u>*სრულიად*</u> დარწმუნებული ვარ — ის ისევ ჩემზე ფიქრობს! იქნებადა ჯადოს მოქმედების ვადა გაუვიდა...

ნინეტი: მე რომ მეცადა?

მელისენტა: არავითარ შემთხვევაში! მაგისტრმა მალგრამმა უმ კაცრესადგამაფრთხილა, სარკე მხოლოდ ერთჯერადი ხმარებისაა... არა — *ერთპიროვნადიო* — უნდა მეთქვა. *(მუსიკოსს მოკრავს თვალს)* მიბრძანდით, ლემისონ! თავისუფალი ხართ... ამ დილით რაღაც უხასიათობა გვჭირს და როგორმე მუსიკის გარეშეც იოლად გავალთ. დღეს რა დღეა?

ელისონი: მთვარის დღე გახლავთ, 31 რიცხვი, და ამინდიც რომ შესაფერისი დაიჭირა! სადმე არ გავიარო-ო-თ?..

მელისენტა: არა-ა-ვითარ შემთხვევაში! მამა-ბატონს სურთ ჩვენთან საუბარი... *(ძალზე მომხიბვლელად იჭმუხნის ცხვირს)* მერე ისევ ხელსაქმე და ისევ ის – რა ქვია იმას — *ყაისნალი* და ჩხირები და საერთოდ, არ გააწყალეს გულები?!

ნინეტი: *(შემპარავად)* იმ თქვენი რაინდის აღკაზმულობაზეც რომ ჯერ არაფერი გითქვამთ...

მელისენტა: ვაიმე, რა ვუყო, რა... იცით, თეთრი ისეთი რაღაც ემოსა, გარე რაღაცის ტყავისა და კიდე საერთოდაც არა ჰგავს არავითარ რაინდს! ***საჭურჭველთმტვირთველსაც*** (*თავისთვის:* ღმერთო, რა უბედური სიტყვაა...) არა ჰგავს! ერთს ვისმე მხატვარ-ქანდაქარს უფრო მაგონებს... თანაც სახელიც ისეთი <u>*არაჩვეულებრივი*</u> აქვს — ***ჯიორჯი!!*** ხო მაგარია? მოფერებით კი ჯანოს ეძახიან.

ნინეტი და **ელისონი:** *(ერთხმად)* მერე?!

მელისენტა: მერე კიდევ და — პირიდან ბოლს უშვებს!

ელისონი: *(გაოგნებულია)* გ-გველეშაპივით?!

მელისენტა: თვითონა ხარ გველეშაპი! ძაან-ძაან ლამაზად და ლაზათიანადაც გამოსდის!

ნინეტი: *(ეჭვიანად)* იქნება და ჯადოსანია?.

მელისენტა: კიდე რა გნებავს! და საერთოდ, ლედი ნინეტ, უნდა მოგახსენოთ რომ რაც დიდედათქვენსას მჩხიბაობაში დასდეს ბრალი და კოცონზე დასწვეს, მის მერე სულ ვიღაც ჯადოქრები, ჯადოსნები თუ კუდიანები გელანდებათ!

კარზე გამაყრუებელი ბრახუნი გაისმის, მერე ფართოდ იღება და ღიობში მელიოტ-მეფის ჰეროლდი ჩნდება – ერთი ზონზროხა, ბუხუნახმიანი ლოთის ვინმე.

ჰეროლდი: თქვენო მშვენიერებავ, პრინცესსა მელისენტა... და თქვენც, სეფე-ასულნო! ნაბოძები უფლებითა და დაკისრებულ მოვალეობათა თანახმად, მაქვს პატივი მოგახსენოთ: მისი უდიდებულესობა მეფე მელიოტი გეახლებათ – მეუფე პირადორისა, პატრონი ბერგამორისა, მარრალორისა და პარლოტისა, მფლობელი ქვემო ლანსინგტონისა, ზემო ტყისა და სამი გზისა — ხიდების ჩათვლით!!!

მელისენტა: წყალსა და მეწყერს წაუღია ეგ თქვენი ხიდები, გზების ჩათვლით! ლამისაა, დავყრუვდეთ!

ჰეროლდი ის იყო, მობოდიშებას ეპირებოდა *(მამისერთა მე-ფისწულია მაინც, რა იცი, რა ხდება),* რომ სადღაც კარსმიღმა დაფ-დაფ-საყვირებმაც დასცხეს. მელიოტ-მეფეზე, ***შემობრძანდაო,*** ენა არ მოგვიტრიალდება – იმგვარი ფართხა-ფურთხით შემოჯლიგინდება შიგ. ის ერთი იმ ასაკოვან, ხანმოთეულ, ძალაუფლებით მხრებ-დამძიმებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, ერთთავად რომ ეროვნულ და საშვილიშვილო საქმეებში ჰგონია თავი ჩარგული, სინამდვილეში კი ყოფით წვრილმანებს ვერ გასცილებია. გვირგვინი კინკრიხოზე მოღრეცია, მოსასხამი დაჭმუჭვნია, კოტიტათითებიან ხელებს ქარის წისქვილივით იქნევს და წუთში აურაცხავ სიტყვების რაოდენობას ისვრის — ასე რომ, ხანდახან საკუთარ აზრებსაც კი უსწრებს ხოლმე წინ...

მელიოტ-მეფე: მშვიდობა დილისა — დილამშვიდობისა მელისენტა-ჩემო და თქვენც, ასულნო პირადორისაო! ხელსაქმეს არ მისხდომიხართ ჯერ? რომ იცოდეთ, რაც ჩვენი მეუღლე, უფალმა აცხონოს, მიწას მივაბარეთ, მას მერე ფარდაგების წარმოება ჩვენს საუფლოში მთელი 75%-ით შეგვიმცირდა — იცოდით ესა?! ეგრე არაფერი გამოვა. დასხედით და გულისხ მაჰყავით საკითხი ესე... ჰო მართლა, ეს-ესაა კამელოტ-ქალაქიდამ მოგვივიდა მიწვევა, რაღაცის კონფირენციაზე გვეპატიჟებიან.

(ქალიშვილებს სახეები გაუნათდათ)

ერთხმად: როდის მივემგზავრებით?

მელიოტი: ვერ მოგართვეს, არსადაც არ *მიემგზავრებით!* მხოლოდ კაცებს გვიხმობენ... ერთობლივი თავდაცვის დოქტრინის ამბავია თუ რაღაც მაგდაგვარი. და საერთოდ, ახლა კამელოტი ის ადგილი არაა, კაიოჯახიშვილი გოგონები რომ დაიარებოდენ! დედოფალი ჯინევრა, თქმა არ უნდა, მომხიბლავის რამეა, მაგრამა... აქედან გამომდინარე და იქიდან შემდინარე, ასე ვთქვათ... *(ენა ებმის, ატყობს, დაუკრეფავში გადავიდა)*

მელისენტა: კარგი რა მამა, მოგცლია ერთი! იტყვი ხოლმე რაღაცა უცნაურს! თორე ვინმე დარჩა, მისი და სერ ლანსელოტის ამბავი რომ...

მელიოტ-მეფე: *(რაც შეუძლია, მრისხანედ)* ც-ი-ი-ც!!. მაგი არაა შენი საქმე! და საერთოდ, ჭორი და მოგონილია ეს!

მელისენტა: მერე, თუ ჭორია და მოგონილი... ჩვენ რაღაზე...

მელიოტ-მეფე: *(არაფრის გაგონება არ სურს)* მორჩა კამათი! და საერთოდ, აქ რისთვისა ვართ? ხო, აი რა – ჩვენი კარის ქონდრისკაცის — გრუმეტის — წაყოლიებას ვეპირებოდით კამელოტს... რა იქნა?

(ქალიშვილებს წამსვე სახეები მოეძმარათ)

ნინეტი: *(ნიშნისგებით)* ვინ, მეფევ-ბატონო — კამელოტი?!

მელიოტი: ახლა გავგიჟდები! კამელოტი კი არა, გრუმეტი-მეთქი!!!

მელისენტა: კარგი რა, მამაჩემო, ეს ერთი გასაერთობი დაგვრჩენია — თანაც რაღაც დახავსებული პროვინციული ლაზღანდარობების იმედით მაგის დედაქალაქში წაყვანა იქნება?

მელიოტი: ერთი ამას დამიხედეთ! აკი წინა ჯერზე სერ პელეასი მასში ორ ჯორკიდებულს მთავაზობდა! მარტო სუფრიდან პაშტეტის გაქრობის ამბავი ერთ რამედ ღირდა – იმ შენმა ქალაქელებმა სიცილისაგან სულები ძლივას მოიბრუნეს... მაშ! არა-ა, გადაწყვეტილი ამბავია — გრუმეტი უცილობლად გვჭირდება! სადაა-მეთქი?!

მელისენტა: *(დიდ შეჭირვებაშია)* იცი რა, მამიკო... ე-ე... მე ის ერთი კაცის საძებნად გავაგზავნე და.....

მელიოტი: ვინაო?! ვინ კაცი, რა კაცი, გრუმეტი მინდა-მეთქი!

მელისენტა: დაიცა მამა, მაგისტრი მალგრამი ხომ გეხსომება — აი ისა, ჯადოქრად რო მოაქ თავი...

მელიოტი: ა-ა, ეგ ახლახან რო გამოჩნდა და სარეკომენდაციო უსტარიც კი მოგვართვა, ჩვენს კარზე სურს მოტმასნება... აბა კი, ვერ მიართვეს ხონჩით, ლანგარზე!. სულაც არ მოგვივიდა თვალში – დიდი ჭიფხია ვინმე ჩანს — აქაოდა ცხვირზე ბუზს არ დავისვამო... რა მერე?

მელისენტა: რა და ის რომ ჯადოსნური სარკე მათხოვა – ჩაიხედავ შიგ და ვინც ახლა, სწორედ ამ წუთში შენზე ფიქრობს, სწორედ იმას დაინახავ...

მელიოტი: ღმერთო შენ მიშველე! ქალები მართლა ყველა ერთნაირი ხართ, სახელები გაქვთ მარტო სხვადასხვა! მაიტა აქ! *(სარკეში ჩაიხედავს ცალი თვალით)* ეგრეა – საკუთარ თავს ვხედავთ! ანდა სხვა რა უნდა დავინახო?

ნინეტი: *(ეუცნაურა, რაღაც დიდხანს ვარ ჩუმადო)* აბა ყურადღებით დააკვირდით, თქვენო უდიდებულესობავ!

მელიოტი: დიაღაც რომ მთელი ჩვენის გულით-ყურით ვაკ-ვირდებით, მაგრამა..... დაიცა, *ე-ეს* ვინღაა?! არ მითხრათ ახლა, თავად სერ რუჯერიაო – კამელოტის სასახლის მოურავი! კი, მართალია, ჩვენზე ფიქრობს! კი, ეგრეა – და ისევ იმ ჩრდილო მხრის აპარტამენტებში თუ გვიპირებს დაბი-ნავებას! ეგონოს! შარშან ამ დროს იქ იმისთანა გამჭოლი ნიავ-ქარები უბერავდა, მტრისას! პირდაპირ სერ ართურთან ვიჩივლებ! შიგ პირში ვეტყვი... დაიცა, ეგ მერე, და გრუმეტი მაინც რა უყავი? ჰა?.

მელისენტა: *(მინაბულ-მეოცნებე გამომეტყველებით)* გუშინ ჩავიხედე შიგ და ვიღაც უცხო მოყმე ვინმე დავინახე, *ჯიორჯი* ჰქვია, ჩემზე ფიქრობდა... ისეთი სანდომიანი გამოხედვა ჰქონდა, ისეთი.....

მელიოტი: არა-ა, ჩვენ ეგეთს არავის ვიცნობთ... და რა მერე?

მელისენტა: მერე მაგისტრ მალგრამს ვთხოვე, ჯადოს დახმარებით მაინც ეპოვა... იმიტო რო... აი, როგორ ვთქვა – ეს ჯიორჯი არც ჩვენის სამეფოს მიწა-წყალზეა და არც სხვაგან...

მელიოტი: აბა, სად ბებიაჩემთანაა?

მელისენტა: მამიკო, ის საერთოდ ამ ჩვენი სამყაროს მიღმაა!

მელიოტი: აჰაა, ეგრე გეთქვა, შე ქალო! *(აღტაცებულია საკუთარი მიხვედრილობით)* თავი სულ ამ ზღაპრების სერიალებით გაქვს გამოტენილი! მერე კიდე ეს მითებიო, ლეგენდებიო, ანდრეზებიო... მოკლედ, ჩვენი ქონდრისკაცი გვინდა, მორჩა და გათავდა!

მელისენტა: რა ვქნა მამიკო, მალგრამმა ის ჯანოს საძებნად გააგზავნა!...

მელიოტი: დაიცა, რა – ორნი არიან?!

მელისენტა: არა, ერთია – ჯიორჯი, მოფერებით კი ჯანოს ეძახიან!

მელიოტი: რითი-რითი?!

ნანეტი: *(ჩუმად, თავისთვის)* მოკლედ, სულ იმ მალგრამის ბრალია ყველაფერი.....

მელიოტი: დაიცა, ჯერ ეს გამირკვიეთ ერთი, რა აზრი ქონდა ჩვენი კუთვნილი, სავსებით არსებული ქონდრისკაცის გაგზავნას იმ კაცის საძებრად, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს?

მელისენტა: ის *ჩვენს* სინამდვილეში არ არსებობს-მეთქი, მინდოდა მეთქვა!

მელიოტი: *(უაღრესად ღრმაზროვანი სახით)* გინდა ჩვენი იყოს და გინდაც თქვენი! თუ ის სინამდვილეში არ არსებობს, ე.ი. არც არსებულა და ეგაა!

(უცბად წამოუვლის და აყვირდება) ხოდა, წარმოსახვითი ქონდრისკაცები აგზავნე მაგ შენი წარმოსახვითი კაცების საძებნელად! ღმერთმა ხელი მოგიმართოს! ჩვენს გრუმეტს კი

შეეშვი! არა, ნამდვილად რომ რაღაცა ჭირს ამ ბავშვს... აბა ერთი, კარის მკურნალს მიხმეთ აქა!!

კარში მალევე ჩნდება ჭაღარათმებმოშვებული, აუტანლად წარბ-შეუხრელი სამეფო მკურნალის წოწოლა ფიგურა.

მელიოტი: აი, უფალო ჯარვი, ამ უგზო-უკვლო განათლებას რა შედეგიც მოაქვს!! ხილვებიო, ვიღაც ჯანოო... რაღაც მთლად ჯანზე ვერ უნდა იყოს, ასეა ეს!!

მელისენტა: მამა, *სრულიად* არაფერი მჭირს.

მელიოტი: შენ გაჩუმდი!

ჯარვისი: *(წარსთქვამს დინჯად, საზეიმო ხმით)* მაქვს პატივი მოგახსენოთ, პრინცესსა ჩემო, რომა მცირედთ თუ ძალუძსთ ამგვარი რამ დარწმუნებით განაცხადონ გამოჯეკილი მკურნალ-ექიმის თან-დასწრებით!. განა არა – თქვენ შესაძლოა *<u>გრძნობდეთ</u>* კიდეც თავს სავსებით ჯანმრთელად, ოღონდ თავს გრძნობდეთ ჯანმრთელად და *<u>იყოთ</u>* ჯანმრთელი – ეს ორი სრულიად სხვასხვა რამეა! ნება მიბოძეთ, მეფისწულო.....

მელიოტი: წყნარად დაუდექი, ნუ ცქმუტავ! შენთვის ვზრუნავთ, შენთვის კარგი რომ გვინდა, იმიტომ!...

(მისი უნასწავლესობა, უფ. ჯარვისი ჯერ მაჯისცემას უსინჯავს, მერე შუბლზე დაადებს ორ თითს, თვალის უპეშიც ჩახედავს, პირში კოვზსაც ჩაუთხრის, *"ა-ა-ა-ა"*-საც ათქმევინებს და თან ერთსა და იმავეს იმეორებს, მჭმუნვარედ: *"ჰმ-ჰმ..."*)

მელიოტი: აბა, ერთი თქვენი მოსაზრებანიც გვიბოძეთ, ჯარვის! მთელი დღე აქ ხო არ ვიდგებით! სადა გვაქვს მაგის დრო!

ჯარვისი: ოთხს პირველად სითხეთა ბუნებისმიერი ჰარმონია მცირეოდ-ნავ დარღვეულია... ნაღვლისბუშტისშიდა ცირკულაციით განწმენდილ მკვრივ, შავ და მჟავე სითხეთა ერთობლიობა კმა-საყოფელად ვერ უზრუნველჰყოფს ტფილი სითხის მიწოდებას, ანუ – როგორცა რომ გალენი გვმოძღვრავს, იგივე ბუნების-

მიერი პნევმა, გულსშიგან ჩენილი, ვეღარ აკავებს პნევმას ცხოვრებისმიერს, რომელიც უკვე ღვიძლსშიგან მოედინება... ამრიგად, ტვინის არეში ზედმეტად სწრაფად გამოთავისუფლებული სულიერი პნევმა სწორედ რიოშ წარმოსახვათა თამაშსა და იმის სრულ ილუზიას იწვევს, რომ.....

მელიოტი: აგაშენა ღმერთმა! მეც მანდ არა ვარ?! გაიხარე...

წარმოსახვაო, ილუზიაო, ფანტაზიაო... სწორედ ეგა სჭირს ჩვენს გოგოს!

ა-რა-ა, მეცნიერების გარეშე მაინც რა გვეშველებოდა – ჰა, ჯარვის ჩემო?! ახლა, რას გვირჩევ?

ჯარვისი: *(ძან-ძან ღრმაზროვნად)* სამსალა-შეჭამანდი უნდა დავამზადოთ, *in vitro* — ანუ შიგან მისაღებად, სამჯერ ღღეში...

(საზეიმო ხმით):

"ჭაობში მბუდავ მცურავის სუკი,
მოხარშული და ჩახრუკული,
ბაყაყის ცერი და ხვლიკის თვალი,
ღამურას ბურტყლი, ჩამონათალი
ძაღლის ენისა — გველის ნეშტარი,
ჯოჯოს ფეხი და ჭოტის ფრთა-მხარი
უნდა ადუღდეს ჯოჯოხეთურად,
რომ გასჭრას ჯადომ უფრო ერთგულად..."

მელისენტა: *(თავისთვის)* არ აგიდგა გვერდები, სანამ მე ეგ არ დავლიო!!!

მელიოტი: მაშ ასე, გაირკვა ყელაფერი – ჩვენი ქალიშვილი სამკურნალოა, მალგრამი – შარლატანი, ის ვიღაც ჯონდო-ბონდო – მითი, ლეგენდა, ზღაპარი, მონაგონი და მისუსტებული ფანტაზიის ნაყოფი! ჩვენი გრუმეტი კი — ერთი ლოთისა და უსაქმურის ვინმე! ვიპოვით სადმე კუნჭულში მიძინებულს, გავაღვიძებთ და ყურებს ავახევთ! დი-ი-ახ!!! თქვენ კიდე, სეფე ასულნო, ნემსი-ძაფი ხელში და — საქმე, საქმე, საქმე!!. *(კარს მოაფიათებს, გარეთ გაიჭრება და იქიდან*

მოისმის მისი ხმა) მორჩით ჩემს ყოველ გასვლა-გამოსვლაზე ამ საყვირების ჭყვიტინს! არ წაიღეს ტვინი!..

ელისონი: *(დაღვრემილი)* ესეც ესე-ე……

ნინეტი: *(მის ხმაში ახლა არავითარი სიმტკიცე თუ მზაკვრობის ნიშან-წყალიც აღარ მოისმის)* არა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა ვიღონოთ!.

მელისენტა: რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?! *'მე აღარაფრის იმედი არ მაქვს და მუხლმოდრეკით ველი უარესს...'*

(აცრემლებული გავარდება დარბაზიდან).

ნინეტი *და* ***ელისონი*** *ერთმანეთს გადაუჩურჩულებენ, თეტრალურად:* "საბრალო მელისენტა!" — *თვალები კი უბრწყინავთ, დაინტრიგებულებს. სადღაც კარი გაიჯახუნებს, მძიმედ.*

<u>სურ.</u> II: **ჯანო და ქონდრისკაცი**

სარეკლამო-დეველოპერული კომპანია *ერმიკო & Co.* პრეზიდენტს, ბ-ნ ერმიკოს *("შინაურულად ძმაო, ჩვენებურად, იკა დამიძახეთ!")*, შესანიშნავი კაბინეტი კი აქვს საკუთარ ოფისში, ევროორეგონტითა და მისთანებით, მარა რად გინდა — *ამ ქვეყნად* პროგრესული წინსვლის პროცესი შეუქცევადი გამხდარა და დიდრონ, თუნდაც მჭიდროდ დაგმანულ ფანჯრებში უახლოესი ნგრევა-აღმშენებლობის ობიექტიდან წამოსული პნევმატური ჩაქუჩების ყურთასმენის წამღები ხმიერება ავსებს იქაურობას. ბ-ნი ერმიკო მასიურ-ფეხებიან მაგიდას უზის, წინ რაღაც ესკიზი უდევს, შავი კოსტუმი, წითელი ჰალსტუხი და თეთრი შარფი მოსავს მის ახოვან ანაგობას, შიგადაშიგ რაღაც ტაბლეტების კოლოფს დააძრობს ხოლმე და ყლა-

პავს ინდაურივით. გვერდით, აქეთ-იქიდან, მისი აღმასრულებელი მენეჯერი — *ლიკა* და სარეკლამო საქმეების უსტაბაში –*ზუკა* უდგანან.

ბ-ნი ერმიკო: არც არაფერი აქედან არ გამოვა – არ მომწონს და მორჩა! და კლიენტსაც არ მოეწონება – ვინ ჭამს ახლა ამას!

(პნევმატური ჩაქუჩების ხმა მთელ მის დანარჩენ მონოლოგს ფარავს).

ლიკა: *(როგორც კი სიჩუმე დაისადგურებს)* სავსებით გეთანხმებით, ერმიკო-ბატონო, ს-ავ-სე-ბით!

ბ-ნი ერმიკო: სხვა?

ზუკა: ***"ჩემი მშვენიერი წინდა"*** – მაგაზე ახლა ჩვენი ჯანო მუშაობს.

ბ-ნი ერმიკო: ჯანოს დამიძახეთ ერთი!

(ისევ ჩაქუჩების რახრახი. ბ-ნი ერმიკო კიდე ერთ ტაბლეტს დაარტყამს და ჭიქიდან წყალს აყოლებს).

ბ-ნი ერმიკო: ერთი მაგარი პროტესტი კიდე აფრინეთ მერიაში! *(თავისთვის)* მეტი არაა ჩემი მტერი, მაგათ შეაგონო რამე...

(შემოდის ჯანო, ორივე ხელით დიდრონი საქაღალდე უჭირავს, კბილებით კიდე — ჩიბუხი).

ჯანო: კაი გამარჯობა თქვენი, თუ გინდათ! მშვენიერი დარია!

ბ-ნი ერმიკო: რაღაც ვერ ვამჩნევ, ამათი გადამკიდე...

ჯანო: მე კიდე ერთი ვიღაც ჯუჯა გადამეკიდა, რაღაც რეკვიზიტის შარვალ-ხალათი აცვია და სულ იღმიჭება... ეგ არაფერი, შენ ისა თქვი, დღეს 31 ივნისი როა.

ბ-ნი ერმიკო: რასაა რო ბოდიალობ?!

ლიკა და **ზუკა** ერთდროულად გახედავენ შიშლიკანაქალებიან კალენდარს, კედელზე.

(მერე ერთხმად): ჯანო, კარგადა ხარ?.

ბ-ნი ერმიკო: *(ავტორიტეტულად)* 31 ივნისი არ არსებობს და არც არასოდეს არსებულა — არც გრეგორიანული და არც მართლმადიდებლური კალენდრით!

ჯანო: ვიცი, მარა დღეს რაღაც ისეთი შეგრძნებით გავიღვიძე, ნაღდად 31 ივნისია-მეთქი...

(ნახატს ამოიღებს და კედელზე კიდებს).

ბ-ნი ერმიკო: არის ამაში რაღაც რენესანსული.

ლიკა და ზუკა: კაკალ გულში მოარტყით, ბ-ნო ერმიკო!

ბ-ნი ერმიკო: და მეორეს მხრივ – არ ვიცი, ა-არ ვიცი...

ზუკა: სწორედაც რომ, ერმიკო ბატონო.

ბ-ნი ერმიკო: შენი აზრი, ლიკა?

ლიკა: ერთი-ერთზე ემთხვევა თქვენსას, ბ-ნო ერმიკო!

ბ-ნი ერმიკო: ჯანო, ეს გოგო ვინაა?

ჯანო: არც არავინ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენებური არაა, წარმოსახვით დავხატე.

ლიკა: მდიდარი წარმოსახვა კი გაქ, აი!

ჯანო: გაიხარე! წარმოსახვის უნარი ჩვენს საქმეში მთავარია... მოკლედ, გუშინ სახატავს ჩავუჯექი და თავში სულ პირმშვენიერნი ასულნი და აბჯაროსანი რაინდნი, გველეშაპები და ციხე-კოშკები, მეფისწულები და სხვა ამდაგვარი სისულელეები მომდის... მერე უცბად, ვხედავ – კედელზე ვიღაც გოგონა ისახება თავისით, რაღაც შუასაუკუნეების დროინდელ სამოსით მორთული და მიღიმის... გეუბნებით, ფერებში ვხედავდი-მეთქი ყველაფერს – ჩანახატის გაკეთებაც კი მოვასწარი, ვიდრე გაქრებოდა! მერე უკვე, ფუნჯზე და საღებავებზე რო გადავედი, კიდე ორჯერ გამოჩნდა – ისეთივე მომხიბვლელი ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე... და სულ მე მიყურებდა, მონა ლიზასავით... ოღონდ, ჩემდათავად, უფრო სექსუალურად კი გამოიყურებოდა.

ბ-ნი ერმიკო: ჰ-ჰმ! არადა, ცარიელა წარმოსახვის ამბავია!

ჯანო: მერე, წარმოსახვა რაღაა? ვერც ერთი ჭკუათმყოფელი მაგას ვერ გეტყვით, თუ, რა თქმა უნდა, თავად არა აქ ატროფირებული... ასეა თუ ისე, დილით იმგვარი შეგრძნებით ავდექი, დღეს ნაღდად 31 ივნისია-მეთქი.

ბ-ნი ერმიკო: *(აწყვეტინებს)* ჯანო, ხო იცი, მე შენი ბოსიცა ვარ და მეგობარიც... მეცი პატივი და ჯარვიშვილს ენახვე. *(ინტერკომში ჩასძახებს):* თაკო, ექიმი ჯარვიშვილი იყო აქ, არ წასულა ჯერ? თხოვე ერთი, ჩემთანაც შემოიხედოს.

ჯანო: ვინ ექიმია... დაიცა, საექიმო რა მჭირს?! და სერთოდ, სარეკლამო კანტორაში რა დაკარგვია მაგ ჩემისას?..

ბ-ნი ერმიკო: აბა შენა ხარ, აი! იმას რა, ჩვენა ვართ ყველა სააქიმო! ისე, რო იცოდე, მაგარი ვინმეა – ***"ჩვენი ოჯახის უ-უდიდესი მეგობარი"*** — ხო იცი, წამლების კომპანია — იქიდანაა...

(ლიკა და ზუკა დელიკატურად გადიან; შემოდის ექიმი ჯარვიშვილი – პერადორელ მაგისტრ ჯარვის ალი-კვალია, ოღონდ მოსასხამის მაგივრად ჟილეტ-კოსტუმშია გამოკვართული)

ბ-ნი ერმიკო: მოგესალმებით, ექიმო! გაიცანით – ჩვენი საუკეთესო მხატვარ-მოდელიერი, გიორგი; ამ ბოლო დროს რაღაცეები დასჩემდა – ვიღაც გოგოები ელანდება, ჯუჯები... და საერთოდ — დღეს 31 ივნისიაო, გვიმტკიცებს.

ჯანო: რა მერე?! ცუდია თუ? ჯანმრთელი ვარ, სავსებით!

ექიმი ჯარვიშვილი: ბატონო ჩემო, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე მოგახსენებთ, ცოტაა ის ხალხი, ვისაც რომ *სრულიად* ჯანმრთელი შეიძლება ვუწოდოთ. თქვენ კიდევ, რამდენადაც ვიცი, ჰიპერ-წარმოსახვის მქონე შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნებით...

ბ-ნი ერმიკო: განეკუთვნება, აბა არა?!

ექიმი ჯარვისი: მაშ ასე, ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ.....

(მაჯისცემას გაუსინჯავს, თვალის უპეშიც ჩახედავს, ენას გამოაყოფინებს, *"ა-ა-ა"*-საც ათქმევინებს და სულ *"ჰმ-ჰმ-ჰმ"*-ს გაიძახის*)*

ექიმი ჯარვიშვილი: ეიდიტიზმი, ეჭვი არაა! სავსებით შესაძლოა,

ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციითა და ზოგადი ნივთიერებათაცვლის არამდგრადობით იყოს გამოწვეული — რაც, თავის მხრივ, იოდისა და კალციუმის დეფიციტს იწვევს... არც თირკმლისზედა ჯირკვალთა ჰიპერფუნქციითა და ფარისებლი ჯირკვლის ასევე ჰიპერფუნქციით გამოწვეული ეიდეტური წარმოსახვითი მეხსიერების წრეგადასული აღგზნებადობაა გამოსარიცხი... მეორეს მხრივ — საპირწონე მდგრადობის მოშლა ჯირკვალთა საერთო პარაფუნქციური აქტივობის ადეკვატურობის ამბავში... ამას კიდე, თავის მხრივ, ეიდეტური წარმოსახვითი ხატების ობიექტივიზაციაც ერთვის, ანუ — ე.წ. *ჰალუცინაციები...*

ბ-ნი ერმიკო: აბა, მე რას ვამბობდი?! ვინ აღმოჩნდა მართალი, მე თუ შენ! ახლა თქვი — *"ა-ა-ა!"* — სულ მაგ ოხერი ვირტუალური თამაშების ბრალია! ჯერ ვირტუალური რეალობა, მერე ჰალუცინაციები... ახლა რას ვშვებით, ექიმო? ეშველება რამე?

ჯარვიშვილი: რაზეა ლაპარაკი! ჩემისთანა ნასწავლ-ნაცადი მკურნალის ხელში კვირისთავზე ყველაფერი გაუვლის. აფთიაქარს ვე-

ტყვი, კალცის გლუკონატი და ***ა, ბ,*** და ***ც*** ვიტამინების... თუმცა არა, ***ც*** არ გვინდა, ***დ*** იყოს... მოკლედ, ვიტამინების კოქტეილს დაგიმზადებთ და დღეში სამჯერ *(იწერს)* ჰმ, დიახ... და კიდევ მიქსტურა აუცილებლად: ურროტროპინი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქინაქინის მჟავა და ბლომად ტეობრომინი 2-ჯერ დღეში – უზმოზე და ვახშმის წინ... არავითარი სასმელი და ნაკლები ნახშირმჟავები!

ბ-ნი ერმიკო: გაიხარე! ა, კაცი! მადლობა დიდი, ექიმო, ჩვენზე იყოს...

ჯარვიშვილი: მუდამ ხალხისა და ელიტის სამსახურში მიგულეთ!

(ვადის, რომ ახლა სადმე ხალხს ემსახუროს).

ბ-ნი ერმიკო: აბა, ჯანო-ბიჭი, კვირისთავზე შუშა კიტრივით იქნები და არავითარი ეს შენი ხილვა-წარმოსახვები!

ჯანო: დამრხევია და ეგ არი!

ბ-ნი ერმიკო: ბიჭო, სად ხვდებიან ის ტიპები, ისეთ რამეებს რო ხედავენ, სხვები რო აზრზე არ არიან?!

ჯანო: ეროვნულ გალერეაში, კედელზე, და სიგნალიზაციასაც უყენებენ...

ბ-ნი ერმიკო: ე-ე, კარგი რა, კაცი რო იჩემებს, 31 ივნისიაო, მერე კიდე ვიღაც ჯუჯები ელანდება...

(თავად ამ დროს ქაღალდებში იქექება, თორემ რომ აიხედოს, დაინახავს კიდეც, გრუმეტი როგორ გამოძვრება ჩაკეტილი კარადიდან, ჭრელა-ჭრულა ხიფთანი და წვერწამახული ქოშები აცვია, თავზე კიდე რაღაც მაზალო ჩაჩი ხურავს)

... საღი აზრი, ჩემო, მაგარი რამეა, — უიმისოდ ჩვენს საქმეში...

(თავს მაღლა სწევს, ჯანოს მზერას გააყოლებს თვალს და უცებ იბღავლებს):

... ღმერთო დიდებულო! რომელი ხარ მანდ?!

(ქონდრისკაცმა ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ჯანოს, მერე სურათს დაავლო ხელი, იღლიაში ამოიჩარა და ისევ კარადაში გაუჩინარდა)

ჯანო: შენ ეი! ნახატი სად მიგაქ?!

ბ-ნი ერმიკო: ჰკა მაგასა!!! ატუ!

(ორივენი კარადას ეცემიან, გამოაღებენ და შიგ, რაღა თქმა უნდა, საქაღალდეებისა და დისკეტების მეტი არაფერია — ჯუჯას ნასახიც კი არაა. ბ-ნი ერმიკო ჯანოს მიაშტერდება):

ბ-ნი ერმიკო: არ-ა-ა, აქედან ვერსად წავიდოდა...

ჯანო: წავიდოდა, კი – ისე წავიდოდა, როგორც დაგიბარებია... სულაც აქედან არ შემოვიდა?

ბ-ნი ერმიკო: ახლა არ გადამრიო, გავგიჟდები, გავგიჟდები, გავ...

(ისტერიულად აჭერს ზარს, შემორბიან ლიკა და ზუკა)

ჯანო: აბა, მეყოლეთ ვარდივით... წავედი მე და დღეს, 31 – *დი-ი-ან,* **31 ივნისს**, ფხიზელს ვეღარავინ მნახავს!

(ვაჯლიგინდება კაბინეტიდან).

ლიკა: *(საყვედურით)* არ უნდა გაგეშვათ, ერმიკო-ბატონო, ჯერ იმ *"შშვენიერი ქალბატონის"* ამბავი არც გადაგვიწყვეტია... სადაა? თან წაიღო?

ბ-ნი ერმიკო: არა, *იმას* არ წაუღია.....

ზუკა: კი მაგრამ, ერმიკო ბატონო, აქ აღარაა, ე.ი. ვიღაცამ წაიღო და არ მითხრათ ახლა, იმ ჯუჯამო... *(იღიმება სარდონიულად)*

ბ-ნ- ერმიკო: კი, ეგრეა. *(ქშინავს, მძიმე-მძიმედ, სახე ნელი-ნელ უჭარხალდება)* წითელ-ყვითელ-ალისფერში იყო გადაწყვეტილი... ხელი დაავლო და აი იმ კარადაში დურთა თავი... გაუჩინარდა...

ლიკა: კარგით ახლა, ერმიკო-ბატონო!..

ბ-ნი ერმიკო: *(იფეთქებს)* გეუბნებით, ჯუჯამ წაიღო ნახატი-მეთქი! უხ, თქვენი...

(პნევმატური ჩაქუჩების ხმა ავსებს იქაურობას; ბ-ნი ერმიკო სავარძელში ეშვება, ლოყებს ბერავს და თითებს მაგიდაზე ათამაშებს — რბილად რომ ვთქვათ, ნერვიულად).

<u>სურ. III</u> **იგივენი და ორიც ჯადოსანი**

მელიოტ-მეფის ციხე-კოშკის ხალიჩებიან დარბაზში მელისენტა და ნინეტი სხედან, ვითომცდა ლემისონის პარტყუნს უსმენენ, თანაც ასევე ვითომდა ხელსაქმით იყვნენ გართულნი. ლემისონი რაღაცას ჩაახუჭუჭებს უგერგილოდ, ბოლოში რამდენიმე ყალბ აკორდსაც დაურთავს და საკუთარი თავით ნაამები, თავმდაბლად მოიხრება წელში.

მელისენტა: *(გულსგარეთ)* კეთილი, ლემისონ ჩემო. ოღონდ ეგაა, დღეს რაღაც ხასიათზე ვერა ვართ, შაკიკმა შეგვაწუხა მცირეოდნავ. შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

ნინეტი: ... და ბოლოსდაბოლოს, იქნებ ის ***"შავმა რაინდმა წარიტყვევნა გული ჩემი"*** მაინც დაისწავლოთ ვინმესგან!...

(ლემისონი გადის, წარბშეკრული, მელისენტა კიდე, ჭირვეული ხმითა და შესაბამისივე გამომეტყველებით წართქვამს):

მელისენტა: არა, მაინც ვის რაში დაკარგვია ეგ შავი რაინდია თუ ვიღაცა? ან გინდაც ნებისმიერი სხვა ფერისა იყოს! თან სულ რაღაცას აჟღრიალებენ, აჟღარუნებენ, არი ერთი ჯახა-ჯუხი და უბედურება! სისულელეა!

ნინეტი: მაგას არ ვამბობ? მე უბედურმა ფრჩხილები მოვიმტვრიე, სანამ სერ მარისს აბჯარს ავხსნიდი ეშტონის ტურნირზე! მერე კიდე მთელი დღე ტვინი გამიბურღა ჰერალდიკაზე ქაქანით, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, ენა არ გაუჩერებია, და სულ ღერბებზე და წარწერა-დევიზებზე და მოკლედ, მე ჯადოსნები მირჩევნია, ალალად. ...

მელისენტა: ოჰ, კარგი ერთი! ეგენი ვის არ მოსწონს...

. . . — ***რა ბრძანეთ, თქვენო უდიდებულესობავ?.***

(ამის მთქმელი, ეტყობა, სიცარიელედან გამოტყვრა – მაღალია და თავისებურად მომხიბვლელიც, ოღონდ რაღაც ავბედით სტილში – ცხვირწაგრძელებული და ყორნისფერი თმა-წვერით პირსახედამშვენებული. მდიდრულ, ოქრომკედით ნაქარგ მოსახამშია გახვეული და იმგვარი გამოკვეთილი დიქციით ლაპარაკობს, უცხოელი გეგონება).

მელისენტა: მაგისტრ მალგრამ! – *(მეფური გულმშვიდობით წარსთქვამს)* – რაღაც არ გვახსოვს, ასე არსაიდან გამოშპობის ნება მოგვეცა თქვენთვის... დი-იახ, ლედი ნინეტ, გაიცანით – მაგისტრი მალგრამი, ჩვენი ახალი ჯადოსანი; მაგისტრ მალგრამ – ლედი ნინეტი.

(მალგრამი მდაბლად ხრის თავს, ნინეტი მომხიბვლელად ულიმის)

ნინეტი: ამას როგორ აკეთებთ, მაგისტრ?

მალგრამი: სულ იოლად, მილედი. უბრალოდ, უჩინარი გახლდით. გავბედავ მოგახსენოთ, ფართოდ გავრცელებული მეთოდა გახლავთ. ჩვენს დროში მხოლოდ ძა-ალზე ძველმოდური ჯადოსან-მჩხიბავნი და მოგვნი თუ მიმართავენ გარდასახვის ხერხებს... აი, ვთქვათ, ბიძაჩემი — ნამეტნავად სურდა თქვენი ხილვა, ოღონდაც ისევ თავისებურად, რუხ ვირთხად სურდა მოგვლინებოდათ... ჰმ, არ ვიცი, არ ვიცი... რამდენად ეს-თეტურია ეს ძველი ესთეტიკა... ასეა თუ ისე, ხომ ჯერაც არა ჩანს? ესეც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩემს საზრისს! სარისკო მეთოდაა, მეტად. გაიჭედებოდა ალბათ სადმე, იატაკქვეშ...

მელისენტა: ახლა არ გვითხრათ, მართლა ვირთხადქცეული გა-მოგეცხადებათო!

მალგრამი: რა გითხრათ, ხანდისხან ეშმა შეუჩნდება ხოლმე... თუმცა რა, ერთი წაიკეკლუცებს და ეგაა. ნუ გაუწყრებით, თქვენო უდიდებულესობავ – მაინც ძველი მერლინური სკო-ლის მოხუცია...

ნინეტი: მოჯადოებული ვარ თქვენის დიდსულოვნებით, მაგ-ისტრ მალგრამ!

მალგრამი: ეგ ჩემი პროფესია გახლავთ, მილედი — მოჯადოებას ვგულისხმობდი, რაღა თქმა უნდა... ახლა კი, პრინცესსა, გთხოვთ ჩემი პაწია სარკე დამიბრუნოთ. და ნუ სწუხართ, ხომ თავადაც დარწმუნდით — გარკვეული დროის შემდეგ, ძალების აღდგენა სჭირდება.....

მელისენტა: ა-ჰა-ა! ესე იგი, ჯანო ისევ ისევე ფიქრობს ჩვენზე – უბრალოდ, ეს ანტიკვარიატი ვერ გვიჩვენებს?! მერე, გრუმეტი სადღაა? გვითხარით რამე, მაგისტრ მალგრამ, ნუ გადაგვაყ-ოლებთ!

მალგრამი: *(მხრებს იწურავს, ხელებს განზე შლის, თითებს ათამაშებს – მოკ-ლედ, ძალზე არაბრიტანული უჭირავს)*

ე-ეჰ, ჩქარობთ, თქვენო უდიდებულესობავ, რა სულსწრაფი ხართ!... ჩემთვის კიდევ, სხვათა შორის, კარის გრძნეულისა და მოგვის საშტატო ერთეული ჯერაც არავის უბოძებია... ყოველ შემთხვევაში – აქ, პენდრაგორში მაინც. ჰმ, დიახ..... იმას ვამბობდი, ჩემის ძალისხმევითა და ჯადოსნობით, ქონდრისკაცი, გრუმეტად წოდებული, უკვე დაბრუნდა მიღმეთიდან და თან განსაცვიფრებელი, პირდაპირ ითქვას, *არაჩვეულებრივი* საბოძვარით გეახლათ!

მელისენტა, ნინეტი: *(ერთხმად)* მერე, სადაა?!.

მალგრამი: აბა რა გითხრათ, მეფის ასულო – რა გამკითხე ვარ მე გრუმეტის? გამიგზავნია, ჩამომიყვანია... ახლა თქვენ იცით.

მელისენტა: *(რაღაცას ხვდება)* კეთილი და პატიოსანი, პირდაპირ ბრძანეთ — რას მოითხოვთ?

მალგრამი: *(აკვანშივე ინტრიგანად ჩაწვენილი, მალგრამი წამში იცვლის იმიჯს –ახლა ერთის ვინმე საქმიან მენეჯერსა ჰგამს)*

წლების წინ, თქვენო უდიდებულესობავ, დიდმა მერლინმა მამათქვენს ოქროს ძეწკვი უსახსოვრა... ჰმ, ცოდვა გამხელილი სჯობს და ჩემი ნება იყოს, მაგ ძეწკვს უბრალოდ, ავწაპნიდი, ოღონდ საქმეც ეგაა – მერლინის რა გნებავთ რა საჩუქრის მოპარვა შეუძლებელია, ფიზიკურად. ან თავად თქვენ უნდა გადმომცეთ, ან მამათქვენმა. *დაიფიცეთ,* რომ ეგ სამშვენისი ჩემი იქნება და გრუმეტსაც იხილავთ, საბოძვარსაც და საერთოდ, ვითანამშრომლოთ, ასე ვთქვათ...

მელისენტა: *(ჭოჭმანობს)* არ ვიცი, ასე, მამიკოს დაუკითხავად...

სად იყო და სად არა, ამ დროს საიდანღაც *(უფრო სწორედ, ისიც არსაიდან)* ერთი ტანმორჩილი, ეშმაკუნა, მუდამ კაი ხასიათზე მყოფი, ჩიტირეკია ბერიკაცი გაიჩითა. მაგისტრი მალრაგრამი თავის წარმოსადეგ დისშვილს, პირდაპირ ითქვას, არაფრით ჩამოგავს — არც ჩაცმულობით, არც იერსახითა და არც ლაპარაკის მანერით. ამას კიდევ მისი მაზალო სიცილ-ხითხითი დაამატეთ და რა გასაკვირია, თუ ბიძა-დისშვილი ერთანეთთან, ასე ვთქვათ, ცოტათი უბრად არიან.

მარლაგრამი: არავითარი ფიცი-მტკიცი მე არ ვიცი! *ჰი-ჰი-ჰი! ჰუ-ჰუ-ჰუ!* ჯერ შეიცადეთ, ჩვენც გვათქმევინეთ ორიოდ სიტყვა!

მალგრამი: *(ცალყბად)* იცნობდეთ, ბიძაჩემი — მაგისტრი მარლაგრამი...

მარლაგრამი: ხმა-კრინტი! ახლა არ მითხრა, დისწულო — ეს მომხიბლავი გოგონები უნდა გაგაცნოო... *ჰი-ჰი-ჰი!* ოღონდ კი მაგას მოვესწრებოდე შენგან... ან რა შენი დახმარება მინდა რა — ისედაც ვიცნობ ორივეს, დაუსწრებლად! *ჰუ-ჰუ-ჰუ!* ე-ეჰ, ახლა ისევ ოთხმოცისა რო ვიყო, რის ჯანო, რა ჯანო — თავად მოგხედავდით, პირადად!

მელისენტა: *(არცთუ ისე განაწყენებული)* დიდი ვირეშმაკა მოხუცი ხართ, გატყობთ!

მარლაგრამი: *(მხიარულად)* აბა არა? *ჰი-ჰი-ჰი!* მაგრამ თქვენთვის, მეფის ასულო, თავს დავდებ — აი, ნახავთ თუ არა! ჰუ-ჰუ-ჰუ! *(უცბად მოისხეპს სიცილს)* აი, ესა კიდე *(ნინეტს დაარჭობს მზერას)* ს-უუ-ლ სხვა ვინმეა, რა თვალები, რა ტან-ფეხი... რა გვეშველება? ისევ ჩემს დისწულს თუ გაგაყოლებ, სხვა შენ ვინ აგიტანს! ან ვინ გაგიტანს ბოლომდე... *ჰი-ჰი-ჰი!*

ლედი ნინეტი: *(გაყინული სახით)* აი, მაგასაც ვნახავთ!..

მარლაგრამი: ვნახავთ, აბა არ ვნახავთ?! *(ღიღინებს)* ***"დავლევთ, აბა რას ვიზამთ?.."*** *ჰუ-ჰუ-ჰუ!* შენს ქორწილში-მეთქი, მინდოდა მეთქვა... მაგრამ ჯერ ჯიორჯი-ბიჭს საქმე უნდა გავუჩარხოთ! *ჰი-ჰი-ჰი!*

მალგრამი: *(ცივად)* თვალებში ნაცრის შეყრა კი ეხერხება, ნამდვილად. მთელს ჩვენს კორპორაციას არცხვენს, რეგიონალური მასშტაბით... რამე რო იყოს, აქამდე სადა ხართ, ბიძაჩემო? გზად კატა შემოგეფეთათ?

მარლაგრამი: ხედავთ, მეფისწულო, საით უბერავს ქარი? *ჰი-ჰი-ჰი!* ჩემი დისკრედიტაცია არ ჩაუდვია გულში ყმაწვილს! *ჰუ-ჰუ-ჰუ!* ეგ ჯერ კიდე ქოთანზე იჯდა, მე რომ დიდ მერლინთან გამოცდას ვაბარებდი! აბა, ახლა სადაა ის ქონდრისკაცი?

მელისენტა: მართლა, მაგისტრ მალრაგრამ, სადაა?!

მალგრამი: ამწამსვე აქ გავაჩენ, როცა კი შემომფიცებთ, რომ...

მარლაგრამი: ვერ მოგართვეს ნიახური! გააჩენ არა... *ჰი-ჰი-ჰი!*

მალგრამი: კარგით რა, ბიძაჩემო, კონვენციის თანახმად...

მარლაგრამი: კონვენცია არა, იხვი! *ჰუ-ჰუ-ჰუ!*

მალგრამი: ჩემზე აპირებ ძალების მოსინჯვას, ბებერო?!

მარლაგრამი: რატომაც არა, რა! *ჰი-ჰი-ჰი!* წმინდად სპორტული ღონისძიება, ნამდვილად — შევერკინოთ ერთმანეთს, მალგრამ! სულ ერთი რაუნდი, მერლინისეული სისტემით... გამარჯვებული ის იქნება, ვინაც მეფის ასულს ჯანოს მიჰგვრის პატარძლად! *ჰუ-ჰუ-ჰუ!*

მალგრამი: *(წელში იმართება, წარბებს ქუშტავს და მზერაც ერთ წერტილში ეყინება)*

... ასე და ამგვარად, ყოველთა ძალთა მოგიხმობთ შველად!!.

(ბოგონები ერთი დაიწიკვინებენ და შეშინებულნი, დარბაზის დედაბოძს ამოეფარებიან; გარშემო ბინდი ჩამოწვება)

მარლაგრამი: მიდი, მიდი, მოუხმე და მოუხმე — აბა ჰე, აბა ჰო!

(მალგრამი სულ უფრო საზარელი შესახედი ხდება და მისი ხმაც კი დამზაფრავია)

მალგრამი: ვარგა გრაკკა, მარლაგრამ, ოუ ტერრარმა ვავა მარვაგისტა დემოგორგონა!

(მთლად ჩამობნელდა, დაიჭექებს, ელვაც გაიკლაკნება სადღაც შორეთში, დარბაზში კი გოგირდის სუნი დგება)

ოღონდ არც მარლაგრამია ჯაბანი და:

"ვარგა გრაკკა, მალგრამ! ოუ ტერრა მარვინა გრუდუმაგისტერრა ბელზებუბ, მაგალითად!"

(ისევ იქუხებს, ისევ გაიკლაკნება ელვა და როცა ჩამოწოლილი ბინდი გადაიყრება, აღარც მალგრამია იქ, მხცოვანი ბიძამისი კი ასკინკილა დახტის და თავისთვის ხითხითებს – ჰი-ჰი-ჰი, ჰუ-ჰუ-ჰუ!)

მარლაგრამი: რა იყო, გოგონებო — რამ დაგაფეთათ?! ფა-ფუ თქვენი მალგრამი — ახია მასზე! არც უფროს-უმცროსი იცის, არც ზრდილობა... მაშ, ახლა მე ვიქნები თქვენი კეთილი ჯადოსანი! ჯანო გინდათ – ჯანო იქნება! თანაც – გთხოვთ ყურად იღოთ — არავითარი წინაპირობა! თქვენ მე მენდობით, მე — თქვენ... სინდის-ნამუსის ამბავია, ბოლო-ბოლო! ე-ეჰ, არადა, ორივე ეს სიტყვა რო სპარსულია — იცოდნენ იქ ამათი მადლი... ან რა ჯადოსნები ჰყავდათ – ეს ფარსმანიო, ის ბიძამისი — ფარსასმანიო... ე-ეჰ, ის დრო სჯობდა! დაიცათ, სად გავედი — ქონდრისკაცს არ ეძებდით თქვენა? გრუ-მეტ! გრუუმე-ეტ! აქ მო!

(გაბადრულსახიანი ქონდრისკაციც წამსვე იქა ჩნდება, ხელში ნახატი უჭირავს)

მელისენტა: გრუმეტ, საყვარელო! ნახე?! როგორი ბიჭია... ეს რაღაა? ნინეტ, ჩემი პორტრეტი! ღმერთო, მართლა *არაჩვეულებრივია!*

ნინეტი: *(თვალს შეავლებს მხოლოდ)* ცხვირი ვერ გამოსვლია...

მელისენტა: ბევრი გესმით სახვითი ხელოვნების, ლედი ნინეტ! სწორედ ცხვირია ზედ ნეოკლასიკურ სტილში გადაწყვეტილი! უბრალოდ, გშურთ ჩემი... ჩვენის აზრით, ნაღდად არაჩვეულებრივია, ჯანოს ვენაცვალე... *(წაიღიღინებს)* "*რაბიჭია და რაბიჭია და რაბიჭია ჯანო!!!*"

მარლაგრამი: კარგით ახლა, გეყოფათ! თუ მისი *ლაივში* ნახვაც გინდათ, უნდა გავემზადოთ... სადღაც აქვე, ორ ნაბიჯში კი არაა... ყოველ შემთხვევაში, "ორი ნაბიჯიო", რომ იტყვიან, მანძილის ამბავია, დროში კიდე... მოკლედ, ერთი საათი თავად მჭირდება. გრუმეტ, შენ აქ დარჩი! *(ვაქრება).*

მელისენტა: ბოდიშს გიხდი, ნინეტ, მაგრამ მარტოდ-მარტო გვსურს საკუთარი პორტრეტით დავტკბეთ... *(ვადის).*

ნინეტი: *(გრუმეტს შეყურებს)* ლაპარაკი მაინც შეგეძლოს, შე უდღეურო!

არა, ის ჯანოა თუ ვიღაცა, მართლა ასე ძნელია მისი პოვნა?

(ქონდრისკაცი ენერგიულად უქნევს თავს)

ჯადოსნობის გარეშე მართლა არაფერი გამომივა?

(გრუმეტმა ლამისაა თავი მოიძროს კისრიდან)

არა, რამე რო იყოს, მე რა — იმაზე მწყდება გული, მაგისტრი მალგრამი ასე იოლად რომ დანებდა...

მალგრამი: *(კარადიდან გამოდის, მოსასხამს იფერთხავს; მცირეოდნავ განაწყენებული გამომეტყველება ადევს სახეზე)*

მომიტევეთ, ლედი ნინეტ, არც მთლად მასეა საქმე! მართალია, ზედ ბეწვის ხიდზე მომიწია გავლა — რას იზამ, ძველი სკოლა აქ გამოვლილი ბიძაჩემს, არც სტაჟი აკლია და არც უნარი... ოღონდ მთავარი ისაა, წინასწარ კარგადაც მოემზადა, მე კიდე რაღაც ჰაიჰარად მოვეკიდე ამ ამბავს... მაგიორში, ახლა ჩემი სვლაა და იმასაც ვნახავთ...

ნინეტი: მე ვერ გამოგადგებით რამეში? მიმსახურეთ.

მალგრამი: *(ახლა უკვე ნაღდი შეთქმულის გამომეტყველებით უახლოვდება, ჩურჩულებს)*

როგორც კი მეფის ასული და მიძაჩემი თავიანთ გზას დაადგებიან, ჯანოს დასახვედრად მოემზადეთ! მე მაგას მათზე ადრე ვიპოვი, აქ ჩამოვაცუნცულებ და მერე შენ იცი და შენმა ქალობამ...

ნინეტი: ჩემი ოცნების მამაკაცი ხართ, მაგისტრ მალგრამ!

მალგრამი: *(ძაან-ძაან სვეტურად)* რაზეა ბაზარი, მილედი! ეგეც თუ ვერ მოგვიხერხებია და... *(ქონდრისკაცს მიუბრუნდება)* გრუმეტ, წავედით!

(მხარზე დაადებს ხელს, უეცრად ქარი ამოვარდება, წამით ისევ ჩამობნელდება და ორივენი გაქრებიან)

ნინეტი: *(აშკარად კმაყოფილია ვითარებით; სურს რაიმე თქვას ისეთი, შესაფერისი, ბრძნული, სამარადჟამო)*

ომი თუ ზავი — საკითხავი აი, ეს არის!

<u>სურ. IV</u> **ყავახანა "თეთრი რაში"**

ტანთხელი, ჯერეთ სრულიად ახალგაზრდა, ჯინსებსა და ტოპიკაში გამოკვართული მიმტანი გოგო ბართან დაყურსულა. მისგან ვერც მახვილ სიტყვას გაიგონებ, ვერც რაიმე ხალხურ სიბრძნეს გამოკრავ ხელს და ხელისუფლების გააზრებული კრიტიკა ხომ საერთოდ... მოკლედ, ტიპიური ქალაქელია, "ისინი ჩამოვიდნენ მთიდან" ხარისხისა.

კარში ჯანო ჩნდება.

ჯანო: ყველას გაგიმარჯოთ, თქვენის დილა მშვიდობისათი!

მიმ. გოგ.: *(პასპორტში **ტანოტატანო** უწერია, შინაურულად **ტანოს** ეძახიან):*

გაუ!..

ჯანო: მთლად გარდასარევი ამინდია პირდაპირ! ლუდი და ყავა, ყავა და ლუდი, დაგენაცვლე! ამისთანა 31 ივნისი ჯერ არ მახსოვს!

(კუთხის მაგიდას მიუჯდება)

ტანო: არც მე...

(ქილა ლუდს გამოიღებს მაცივრიდან, მერე რაღაცა დააეჭვებს თითქოს და **TBC** ბანკის კალენდარს გახედავს კედელზე, თან თითებზე ითვლის; ამ დროს ვიღაც ჯეელი შემოჯლიგინდება, იფიქრებთ, მატარებელზე აგვიანდებაო. მაღალ-მაღალია, ხმელ-ხმელი; გადახარშული ჯინსები და ეგრეთვე ქურთუკი მოსავს, გადაკრულშია, წყალი არ გაუვა)

დილერი გოგიტა: აბა, ჩემი ცუნცულები, ჯინ-ტონიკი, ლიმნით, მაღალ ჭიქაში, სწრაფად და ტემპში! *(ჯანოს):* ძმაკაც, შენთვისაც არ დავუკვეთო რამე?

ჯანო: მადლობელი. ჯერ მაქვს აგერ... *(ლუდის ქილას წევს მისალმების ნიშნად)*

დ.გ.: *(ჯანოს მიუჯდება, დაუკითხავად)* აფრიან ნავებთან თუ გქონია

როდისმე საქმე?

ჯანო: მადლობა ღმერთს, ჯერ არა.

დ.გ.: არც წამოიწყო. ვერაფერი ხეირია. ვიცნობდეთ ერთ-მანეთს — დილერი გოგიტა. *<u>გოგიტა დილერი</u>* კი არა, *<u>დილ-ერი გოგიტა</u>*, არაფერი შეგეშალოს.

ჯანო: რას ბრძანებთ!

დ.გ.: აი ის ფილმი არ გინახავს, ხეზე გასულ ვირზე რო იყო? მე ვიყავი მაგის პროდუსერი. *(მთელ ჰაიბოლს ერთბაშად ყლურწავს)* დღეს რა რიცხვია?

ჯანო: 31 ივნისი, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

დ.გ.: რაზეა ლაპარაკი! წესით, ახლა უკვე ბათუმ-ქალაქში უნდა ვიყო — ანტალიაში ვარ გადასასვლელი — იქ 80 ყუთი ლაყე კვერცხი მელოდება, ერთ ტიპს გავურიგდი... ნაღდში

რო არცერთი არ ვიყავით ფხიზელი... ახლა 80 ყუთ ლაყე კვერცხს რა ვუყო?! ცალობით 16.000 გამოდის...

ჯანო: მერე, რა პრობლემაა — აიღეთ და ლაყე კვერცხების ტაფამწვარს გაუკეთეთ რეკლამა. *(ჩაფიქრებით)* ვთქვათ, ასე: **"თქვენ რა, ჯერ კიდევ <u>*ჩვეულებრივი*</u> კვერცხით იკეთებთ ომ-ლეტს?!"** ან რამე ამდაგვარი. სარეკლამო ბიურო ერმიკო&Co. არ გაგიგიათ? მიგასწავლით.

დ.გ.: აგაშენა ღმერთმა! რა თქვი, რა მქვიაო?

ჯანო: არაფერი მითქვამს. ისე, ჯანოს მეძახიან.

დ.გ.: ა, ასე კეთდება საქმეები, ჯანო ჩემო. კაი გამახსენდა, პანამის საელჩოს ტელეფონი იცის აქ ვინმემ?

ჯანო: ნაღდში არა. აი, შენ კიდე ერთი ვინმე მაზალოდ გა-მოწყობილი ჯუჯა რო გიტრიალებდეს ცხვირწინ და ში-გადაშიგ საკუთარ ნახატებსაც გპარავდეს, რას იტყოდი?

დ.გ.: *(წარბშეუხრელად)* ეგ რომელი, შენ რო დაგეძებდა? რა ვი-ცოდი,

ქურდი თუ იყო, მე მაგისი...

ჯანო: *(პირდაღებული)* გინდა თქვა, მეც ვნახეო?!

დ.გ.: აბა, არა? კარში შემეფეთა — აქეთ-იქით აპარპალებდა თვალებს და შენ რო დაგინახა, ყურებამდე გაეხა პირი... დაიცა, ახლავე მოვალ, ფეხი არსად გაადგა უჩემოდ!

(გავიდა და იქაურობაც დაცარიელდაო თითქოს)

ჯანო: როგორი ამბავია, ჰა?

ტანო: რა ამბავი?

(კარებში ქონდრისკაცი ჩნდება, ჯანოს თვალს ჩაუპაჭუნებს და წამსვე გაქრება)

ჯანო: გაფიცებ ყველაფერს, დაინახე?!

ტანო: რა?

ჯანო: *რა* კი არა, *ვინ* — ჯუჯა, ჭრელ-ჭრულებში...

ტანო: კარი გაიღო, დავინახე, ოღონდ არავინ შემოსულა...

(ამ დროს ჯანოს მაგიდასთან და მის ბირდაბირ, ვინმე იმპოზანტური იერის, ინკ-ლიკანტური ჩაცმულობისა და ფრიად შთამბეჭდავი გარეგნობის მასტი იჩითება. თავის შავ-თეთრში გადაწყვეტილი სამოსის გამოისობით მავან ძველი ყაიდის ფოკუს-ნიკსა ჰგამს, სცენაზე გამოსასვლელად რომ ემზადება)

უცნობი: გამარჯობა შენი, ჯიორჯი!

ჯანო: გაგიმარჯოს, თუ გინდა... ისე, *ჯიორჯი* კი არა, გიორგი მქვია. მოკლედ, ჯანო. თქვენ კიდე, ისა... რაღაც მეცნობითსავით. თეატრალური საზოგადოება... ნინისთან ხო არ გნახეთ, *ფართიზე*? ილუზიონისტი არა ხართ?

უცნობი: მახვილი თვალი გაქ, ჯანო-ბიჭი! ილუზიონისტობა სწორედაც რომ დამშვენდებოდა... მალგრიმს მეძახიან *(ტანოს გასძახებს):* ერთი ის ბოთლი მომაწოდე, კარგო! ეგა, ეგა, მწვანე ფერისა...

ტანო: *(ჭკუაზე არაა)* არ მითხრათ ახლა, *მთელი* ბოთლი პიტნის ლიქიორი უნდა გამოვცალოო!

მალგრამი: რატომაც არა, რო-ო? სწორედაც მისწრებაა ამ სიცხეში. *(თაროდან დიდრონ ტოლჩას ჩამოიღებს და ბოთლს შიგ ჩაცლის; მერე ჯიბიდან ასიგნაციების დასტას დააძრობს და დახლზე აგდებს, დარდიმანდულად)* ამათგან ხელი მალე დაიცალე, კარგო — შუაღამეს ხმელ ფოთლებად გადიქცევიან... ოღონდ სანამ 31 ივნისია, არაფერი უჭირთ.

ჯანო: შენცა, ბრუტოს? და ჯუჯაც ხო არ გინახავთ სადმე ახლოში?

მალგრამი: მინახავს რა თქმაა — სამსახურში მიდგას. გრუმეტს უხმობენ.

ჯანო: მაგ ვირიშვილმა ნახატი ამწაპნა!

მალგრამი: ჰო-ო, ვერ იყო კარგი საქციელი... ვწუხვარ, ნამდვილად. მაგრამ საქმე მოითხოვდა ასე. პრინცესა მელისენტამ საკუთარი თვალით იხილა და უნდა გითხრათ, აღტაცებულია პირდაპირ, აღტაცებული... შენი გაცნობაც კი ისურვა! ამიტომაც გეახელით ამ სამიკიტნოში. *პროზიტ! (კათხას მოიყუდებს და ძირამდე დაიყვანს).*

ტანო: ღმერთო, შენ უშველე ყველა ლოთსა და უბედურს!

მალგრამი: ჰოდა, იმას ვამბობდი — დროისა და სივრცის ფარდობითობის საკითხში როგორა ხარ?

ჯანო: გმადლობთ, კარგად... ე-ე... ეგ პრინცესა მელისენტა ვინაა?

მალგრამი: წარმოიდგინეთ ექვსგანზომილებიანი სამყარო, სადაც, მოგეხსენებათ, პირველი სამი — ესაა სიგრძე, სიგანე და სიმაღლე, ხოლო დანარჩენ სამთაგან პირველი — ეს ყურადღების გაამახვილებისა და ქმედების სფეროა, მეორე — მეხსიერების, ხოლო ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი — წარმოსახვისა. გესმით ჩემი? ხომ ნათლად და გარკვევით ვლაპარაკობ?

ჯანო: ისე, რა... აი, მელისენტა...

მალგრამი: სწორედ მაგ საკითხს მივადექით: ყოველივე წარმოსახვითი სადღაც სამყაროში ხომ რეალურად უნდა არსებობდეს!

ტანო: მაშ, ეგრეა.

მალგრამი: თქვენა გგონიათ, პრინცესა მელისენტა — ეს რაღაც მხოლოდ წარმოსახვითი არსებაა, ფანტაზიის ნაყოფი, ასე ვთქვათ...

ჯანო: *(ფრთხილად)* ე-ე... ერთის მხრივ, რაღა თქმა უნდა... ოღონდ, ე-ე... სხვა მხრივაც თუ შევხედავთ...

მალგრიმი: ... და მართალიც იქნები – ერთიც სწორია და მეორეც. და რაკიღა ის დარწმუნებულია, ჩემი ცხოვრებაა რეალობაო, ცხადია, თქვენ ამ რეალობის მიღმა იმყოფებით და სწორედ რომ ასე და ამგვარად აღვიქვამ ამას მეც!...

ჯანო: დაიცა ე-ე! გინდა თქვა, <u>*ჩვენი*</u> ცხოვრებაა ირეალური?!

მალგრამი: აბა, რას გიჩიჩინებ ამდენ ხანს? ფუჭი იმედების, ზმანებების, ილუზიებისა და ფანტაზიების სამყარო! თუმცა, სწორედ რომ მეორეს მხრივ, ეს სამყაროც არსებობს, რეალურად... და თქვენც მასში!. და თქვენც, ჩემო პატარა ქალბატონო.

ტანო: მადლობელი, დიდად. თორემ უკვე ეჭვი მომერია...

ჯანო: ჩემმა ნახატმა რაღა დააშავა?

მალგრამი: არც არაფერი, გეკადრება?! უბრალოდ, იმას გიხსნი რომ ჩემი, რეალური სამყაროდან ამ *წარმოსახვითში* გადმოვედი და შენ გნახე; და ახლა როცა ამ *რეალური* სამყაროდან იმ წარმოსახვითში გადავალთ, მელისენტასაც შეხვდები! მოკლედ, რომელია აქედან ნამდვილი და რომელი — ილუზორული, ეს უკვე, ასე ვთქვათ, ტექნიკის საკითხია... მე თუ მკითხავთ, ორივე რეალურია და, ორივე — წარმოსახვითი, იმავდროულად.

ჯანო: აი, ის ჯუჯა კიდე რომელს ეკუთვნის?

მალგრამი: ამჟამად — არცერთს: ეს-ესაა შინ გავაგზავნე და ახლა ზედ შუაგზაშია გახიდული.

(კარი მოიფიათეგა და ბრუნდება დილერი გოგიტა*)*

ტანო: აჰა, ჯოჯოხეთს ერთი მაშხალა აკლდაო...

დ.გ.: აბა, ორი შოტლანდიური, ცუნცულ! *(მალგრიმს და ჯანოს):* რას დალევთ?

ჯანო: მადლობელი, ჩვენ უკვე. გაიცანით – დილერი გოგიტა, ბ-ნი მალგრამი, ილუზიონისტი.

დ.გ.: ვიცნობთ, ვიცნობთ, გვსმენია! *(ენერგიულად ართმევს ხელს მალგრამს)* პენ-კლუბში გიხილეთ. მგონია, "თეთრ ყუთშიც" — შავ სტუმრად... გადასარევი ნომერი იყო! *(ტანოს):* აჰა, ცუნცულ, ხურდა შენთვის დაიტოვე. აბა, ვიყოთ წიე, კარგათ! *(ყლურწავს).*

ჯანო: ჯუჯა სად შინ გაგზავნეთ?..

მალგრამი: პირადორის ქვეყანაში, რასაკვირველია.

დ.გ.: ეგეთი არ ვიცი. *იკ! (ასლოკინებს)* ისე, პიდორებით კი გაივსო ქვეყანა...

ჯანო: ეგ სადაა? იქ როგორ მოვხვდებით?

მალგრამი: მესამე სფეროში გარდასახვით, რაღა თქმა უნდა. ანუ, ხომ არსებობს დრო პარალელური, ასევე კონვერგენტული და კვლავ ასევე, დივერგენტულიც და სწორედ ეს დრონი გადაიკვეთებიან, უსასრულობაში.

დ.გ.: მაგარია, წყალი არ გაუვა! ჰო, წყალსა და დროზე გამახსენდა: ერთი კაცს ვიცნობ, აფრიან ნავზე, წყლის სათადარიგო ბალონში 40 ცალი ნაღდი "როლექსები" აქ გადამალული... განბაჟება არ აწყობს... ე-ეჰ! არ დავლიოთ სადმე?

მალგრამი: *(ქუშტად გახედავს)* მე და ჯანოს პირადორში...

დ.გ.: *(აწყვეტინებს)* მერე, მე?! აქ ხო არ დამტოვებთ?..

მალგრამი: ისე დაგტოვებთ, როგორც დაგიბარებია.

დ.გ.: შანსი არაა! *(ჯანოს მხარზე მოხვევს ხელს)* მე და ეს ბიჭი ახლა კვერცხების რეკლამის ბიზნესში ვართ ჩართული და სადაც ის, იქაც მე!

მალგრამი: თქვენი საქმისა თქვენ იცით, ოღონდ არ დამიწყოთ მერე — ესაო, ისაო...

(საიდანღაც ქარი და ბორიო დაბერავს, კედელს გაიტანს და სამი ზრდასრული მამაკაცი უზარმაზარ ხვრელში გაქრება. უკანასკნელი, რაც ცნობამისუსტებული მიმტანი გოგონას გონებაში ჩარჩება, "ილუზიონისტის" შეძახილია: "კეთილი იყოს თქვენი ფეხი პირადორის სამეფოში, ბატონებო!")

ის იყო, ჯერ არც მთლად ჭკუაზე მოსულმა და წმინდად სამკურნალო მიზნებით, ტანომ ერთი კარგა მოზრდილი ყლუპი "კონიაკისებური" ჩამოისხა ჭიქაში, რომ ყავახანაში ლიკა და ზუკა შემოლაგდნენ — მაღლები, ტანთხელნი, ენერგიულები, ჯერ-ჯერობით მომღიმარენი.

ლიკა/ზუკა: დილა მშვიდობისა!

ტანო: *(ცდილობს, სრულ ჭკუაზე მოვიდეს)* კი, ნამდვილად... მაგარი ამინდია, რომ იცოდეთ... დღეს.

ზუკა: აბა, აბა! უკეთესი არ გინდა.

ლიკა: კარგია თქვენთან, სიმშვიდეა.

ზუკა: *(მომხიბლავი ღიმილით, თუმცა სულ ტყუილად — ტანოს თვალები ჯერ ისევ მიბნედილი აქვს)* ე-ე, ჩვენ ერთ ჩვენს მეგობარს ვეძებთ, აქ ვიქნებიო, დაგვიბარა...

ტანო: წერეთელია?..

ლიკა: არა, სიდამონ-ერისთავი. არ შემოსულა? ჯანო ჰქვია.

ტანო: კი, ახლახან იყო აქ.

ზუკა: სადაა მერე?

ტანო: *(გაჭირვებით)* გინდ დაიჯერეთ, გინდ არა... ეგა და კიდე ორი

დარეხვილი მასტი აი, იმ ხვრელში გაქრნენ... რაღაც საჩქარო საქმეზე... პრინცესაო, სფეროებიო... ორი ჯუჯა და შვეიცარიული საათები, ბლომად...

ლიკა: ვერ გავიგე-ე?!

(ორივენი ნაპრალს მიაშტერდებიან კედელში, მერე – ერთმანეთს)

ლიკა: ზუკა, დავგაზეთ ოფისში! ბ-ნ ერმიკოს ნაღდად არ გაუსწორდება...

<u>სურ. V</u> **მშვენიერი დილის მძიმე დასასრული**

სწორედ ამ დროს, ბ-ნი ერმიკო გასწორებულში ნაღდად რომ არ გახლდათ: ტელეფონზე ლაპარაკობდა, უფრო სწორად, *ცდილობდა* ვიღაცისთვის რაღაცა გაეგებინებინა, მაგრამ უშედეგოდ: პნევმატური ჩაქუჩების დაგადუგს მიჰქონდა იქაურობა. ერთი ღრმად რომ დაფიქრებულიყო ვითარების გასაანალიზებლად, იოლად მიხვდებოდა რომ ყურმილში სულაც არაა საჭირო გარე ხმა გადაფარო, მაგრამ ისეთი გავეშებული გაჰყვიროდა რაღაცას, იქითა მხარეს სიტყვა ვერ გაეგოთ მისი.

ბ-ნი ერმიკო: ამ დილას ვნახე თქვენი ესკიზი... გავეცანი, ასე ვთქვათ! <u>*ვინ*</u> კი არა, თქვენი ესკიზი-მეთქი! არაფრად ვარგა! ა-რ-ა-ფ-რ-ა-დ!! რის აფრა, რა იახტა... პაკეტებისათვის არ გამოდგება-მეთქი!. რაკეტები კი არა, <u>*პაკეტები!!*</u> მომხმარებლზე უნდა იყოს გამიზნული... დამიზნული არა, ის... მყიდველი უნდა გვყავდეს მიზანში... არ გადამიყვანოთ ჭკუაზე, ირაღით არ ვვაჭრობ!. ღმერთო, რა შეგცოდე ასეთი... მერე დაგირეკავთ! *გადმოგირეკავ*-მეთქი, გეუბნებით!!.

(ყურმილს მაგიდაზე დაახეთქებს და ახლა კარადას გახედავს. როგორც გითხარით, ჩვეულებრივი კარადაა — საოფისე, ფოლდერებისა და ათასგვარი ქაღალდ-დოკუმენტების შესანახი. ოღონდ ბ-ნ ერმიკოს მაგის ჯავრი ჭამდა მაინც...)

... და სწორედ ამ დროს ვირთხას დაინახავს — დიდრონი, ნაპატიები, რუხი ფერის ცხოველია, მღრნელთა ოჯახიდან. აშკარა იყო, კარადიდან გამოვიდა, ოღონდ როგორ — ეს უკვე სხვა საკითხია, რადგან კარადის არც ერთი კარი ნაღდად რო არ გაღებულა. ვირთხა უკანა თათებზე ჩაჯდა, ბ-ნ ერმიკოს გაუსწორა თვალი და — ***"ჰი-ჰი-ჰი"***-ო, დაიწრიპინა. ეს უკვე მეტისმეტი იყო! ბ-ნმა ერმიკომ კალკულატორს წამოავლო ხელი და აბეზარ სტუმარს თავში გაუქანა, ოღონდ ააცილა, თანაც — გვარიანად.

ბ-ნი ერმიკო: *(ღრიალებს)* *<u>თა-აკო!!!</u>*

(ოთახში რეფერენტი თაკო შემოიჭრება, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების პაკა-პუკით)

... ღმერთმანი თაკო, ოფისში ვირთხები გვყავს!!!

თაკო: კი, ორი. რა მერე?

ბ-ნი ერმიკო: გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები... ქალო, ზუკასა და ლიკაზე კი არ გეუბნები, <u>*ნამდვილი*</u> ვირთხა ვნახე ამწამს, კარადიდან გამოშპა!

თაკო: რას ბრძანებთ, შეუძლებელია!

ბ-ნი ერმიკო: ჰო-მეთქი, მე გეუბნები! იჯდა აქ ჩაცუცქული და შიგ თვალებში მიყურებდა... ერთი სიცოცხლე გავათავე! თან რო დამცინოდა კიდეც!. მერე ისევ კარადაში შეხტა! ამაზე რას იტყვი?!

თაკო: რასა და შინ უნდა წახვიდეთ, ბ-ნო ერმიკო...

ბ-ნი ერმიკო: გადამრევს ეს ხალხი! სახლში რა დამრჩენია?! აქ საქმე მაინცა მაქ, ოხრად...

თაკო: ჯანმრთელობის ფასი არაფერია, ბ-ნო ერმიკო!

ბ-ნი ერმიკო: თქვა ამანაც... მერე, ვირთხა რა შუაშია?.

თაკო: სწორედაც რომ, ბ-ნო ერმიკო... ამდენი მუშაობაც არ შეიძლება, სულ გამოიფიტებით... თქვენს მეუღლეს დავურეკავ და...

ბ-ნი ერმიკო: ახლა შენზეც აეჭვიანე! მე შენ მოგცემ მეუღლეს! რა მოხდა, ბოლო-ბოლო, ქალაქი სავსეა

ვირთხებით — გინდა პირდაპირი, გინდა
გადატანითი...

თაკო: *(ორი კურცხალი გადმოუვარდება თვალებიდან)* ვირთხა რა შუაშია... აკი ჯუჯაც იყოო...

ბ-ნი ერმიკო: იყო, კი... რა მერე?!

თაკო: და ისიც კარადაშიო...

ბ-ნი ერმიკო: *(უცებ იყვანს თავს ხელში, ოფიციალური ხმით)* კარგით, გეყოფათ! თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, ქ-ნო!

(თაკო გატრიალდება, ტოპ-მოდელის ნაბიჯით გადის კაბინეტიდან; ოღონდ კარს მიღმა მისი ხმამაღალი, თეატრალური ჩურჩულით დაგდებული სიტყვა მოისმის: ***უგულო!.)***

ბ-ნი ერმიკო კარადასთან მივიდა და იჭვიანად გამოაღო ცალი კარი. ფოლდერები, ქაღალდები, დისკეტები და არავითარი ვირთხა... დაფიქრებით მოათვალიერა თაროები, მერე... და უცებ ოთახში ისევ რაღაც ფაჩუნი გაისმა. მოტრიალდება დაფეთებული და ხედავს — ძაან ლამაზი კუკლა-გოგო იჩითება მის წინ: უცნაურად აცვია, დგას და უღიმის, ასევე ძაან მომხიბვლელად... ბ-ნ ერმიკოს კვლავ კარადისკენ გაექცევა თვალი, იჭვნეულად, მაგრამ იქვე მოთოკავს თავს.

ბ-ნი ერმიკო: *(არცთუ ძაან ზრდილობიანად)* აბა? გისმენთ!

მელისენტა: ეს მე ვარ. თქვენ ვინა ხართ?

ბ-ნი ერმიკო: ამასაც მოვესწარი... საკუთარ კაბინეტში... ასე თუ იარა აქ ყველამ... სუფთა ბარდაგია...

მელისენტა: რა არის "ბარდაგი?"

ბ-ნი ერმიკო: მინდოდა მეთქვა... კაროჩე, რა გნებავთ?

მელისენტა: ჯანოს ვეძებ.

ბ-ნი ერმიკო: *(ცოტა გულზე მოეშვება)* ა-ა, გასაგებია — ***"ჩემი მშვენიერი წინდა!"*** მართლა *მშვენიერი* ნატურა ხართ, ღმერთმანი! ჯანო მალე მოვა, მის მოსაძებნად უკვე გავაგზავნე ხალხი... მოვა თუ არა, საქმეს შეუდექით, დრო არ ითმენს!

მელისენტა: მე მგონი, შეყვარებული ვარ...

ბ-ნი ერმიკო: თქვა ახალი ამბავი! არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი — ჯანო კიდე სხვებს ჯობია... რა თქვით, რა მქვიაო?

მელისენტა: პრინცესა მელისენტა, თქვენის ნებართვით.

ბ-ნი ერმიკო: ძალიანაც კარგი! შარშან დიდი რუსის მთავრის შვილიშვილი მუშაობდა ჩვენთან მოდელად, მანამდე კიდე — ნუციკო ჩოლოყაშვილისა და ლიზიკო, მგონი ბაგრატიონი... საერთოდ, ყოფილი არისტოკრატებისაგან რატომღაც მშვენიერი მოდელები გამოდიან — გენეტიკის ამბავია, ალბათ...

მელისენტა: *ყოფილი* არისტოკრატი რა უბედურებაა?! *რაინდყოფილებიც* გყავთ?.

ბ-ნი ერმიკო: რამდენიც გინდა... *(აქ პნევმატური ჩაქუჩების ისეთი რახრახი ატყდა, საბრალო მელისენტა შიშით კუთხეში მიიკუნტა)* ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩემო კარგო — ჩვეულებრივი ამბავია, აღმშენებლობის გზას ვადგავართ, მოგეხსენებათ...

მელისენტა: მაპატიეთ, ოღონდ... ჩვენთან, *სინამდვილეში,* ასეთი რაღაცეები...

ბ-ნი ერმიკო: სადა, სადა?

მელისენტა: სინამდვილეში. აქ სადმე მაგისტრი მალრაგრამი არ გინახავთ?

ბ-ნი ერმიკო: აზრზე არა ვარ, ვინაა. საუნივერსიტეტო წრეებს და საერთოდ, *ნაღდ უნივერსიტეტელებს* ახლოში არ ვეკარები! იმედი მაქ, რეფორმების მერე, იქ საერთოდ აღარაფერი დარჩება...

მელისენტა: მეცნიერი კი არა, ჯადოსანია!

ბ-ნი ერმიკო: ჯადო-შელოცვებიღა მაკლდა! ისე, ერთი ძაანძაან უცნაური ვირთხა კი დავინახე, შუა კაბინეტში წამომისკუპდა და ხითხითებდა...

მელისენტა: ეგ იქნებოდა სწორედ! მითხრა კიდეც, ვირთხად გადავიქცევი და ასე უფრო იოლად შევაღწევ იქო...

ბ-ნი ერმიკო: *(წამოჯარხალდება, მძიმე-მძიმედ სუნთქავს)* ერთი წუთით, პრინცესა! ახლა ჩემს მდივანს დავუძახებ და მეცით პატივი, რაც ახლა თქვით, ერთი იმასაც გაუმეორეთ... შიგ პირში უთხარით! *(ინტერკომში)* თა-ა-კო!

თაკო: რაო, ბატონო... უი, ეს ვინაა? ჯანოს ახალი მუზა? მერე, აქ რა გინდა? მაკიაჟი კი სულ გადაგსვლია — მოდი საყვარელო, ჩემთან... *(კუთხეში მიდგებიან, სარკესთან).*

ბ-ნი ერმიკო გაოგნებული მისჩერებია მათ, მერე მაგიდის უჯრას გამოაღებს, ტყავით გაწყობილ ლითონის მათარას დააძრობს და ერთს კარგად მოიყუდებს. სწორედ ამ დროს შემოდიან ლიკა და ზუკა.

ბ-ნი ერმიკო: აბა, რა ქენით, მოძებნეთ ჯანო?

ლიკა: არა, იკა ბატონო, ერთი დარეხვილი მიმტანი გოგოს გარდა არავინ იყო...

ზუკა: იმან კიდე ასე თქვა, კედელში გავიდა და გაქრაო... ვიღაც პრინცესას საძებნელად გაემართა, ძაან მაღალ სფეროებშიო...

ლიკა: სწორედ ეგრე თქვა, იკა ბატონო, არაფერს ვიგონებთ...

ბ-ნი ერმიკო: *(წარბშეუხრელად)* აგერ აქ ჯანოს ნატურა გამოგვეცხადა, ამბობს, პრინცესა მქვიაო...

*(მობილური ი.ს. ბახის **Badinerie**-ს ან, უკეთეს შემთხვევაში, მოცარტის "თურქულ მარშს" რეკს)*

... რაო? მე ვარ... *(ზუკას)* ისევ ტელევიზიიდან! არ წაიღეს ტვინი! დაელაპარაკე ერთი — სარეკლამო აგენტი არა ხარ, ბოლო-ბოლო?

ზუკა: *(ტელეფონს გამოართმევს)* დიახ, დიახ... რაო? კარგით რა — ასეც ხო არ შეიძლება, ცოტა ადრე გაგეფრთხილებინეთ! სანამ წკიპზე არ მიიყვანთ საქმეს... თოქ-შოუ არა, ბლოკ-შოუ... *(უცბად, მელისენტას დაადგამს თვალს და სახე გაუნათდება)* კარგი, კარგი, ერთი გუნდი ვართ, ბოლო-ბოლო... *(მობილურს თიშავს, ახლა ბ-ნ ერმიკოს აბამს, ყელგაწვდილი)* SOS, იკა ბატონო! ეგ გოგო უნდა მათხოვოთ ერთი საათით! კლიენტს

დავკარგავთ... თან რა კლიენტს! *(პასუხს არც ელოდება, მელისენტას ავლებს ხელს)* წამო, ჩემი კარგი გოგო, ისეთი საქმეა, სულ ერთი საათის...

მელისენტა: მერე, ჯანოს ვნახავ იქ?

ზუკა: შანსი არაა, მაგიორში — დიდი შანსია რომ ჯანომ გნახოს...

მელისენტა: *(ბ-ნ ერმიკოს, მხარსიქით)* თუ მარლაგრამ-ჯადოსანი გამოჩნდა, უთხარით სად ვიქნები... და ნუ შიშობთ — რაკი ვირთხის ქურქშია გახვეული, სულაც არ ნიშნავს რომ ადამიანურად ლაპარაკი არ შეუძლია! *(გადიან)*

ლიკა: *(ცოტათი დაბნეული)* ე-ე... რა თქვა, რა მინდაო?

ბ-ნი ერმიკო: *(ძლივს იკავებს თავს)* რაო ვითომ — უბრალო, მარტივი, საღი აზრის გაგებაც აღარ შეგიძლიათ არავის?. აკი ითქვა — თუ ვირთხადქცეულ ჯადოსან მაგისტრ მარლაგრამს ნახავ, ადამიანურად დაელაპარაკეო... და არ დამიწყოთ ახლა!.. მორჩა კინო, გაიასნებულია ამბავი!

ლიკა: კარგი, კარგი... და აქ საიდან გაჩნდა?

ბ-ნი ერმიკო: საიდან, საიდან... კარადიდან! რაა აქ უჩვეულო?! *(მაგიდის საეკლესიო კალენდარს დახედავს და უცებ სახე შეეცვლება)* ე-ეს რაღაა?! *(დაავლებს ხელს და კუთხეში მოისვრის. კალენდარი 31 ივნისზე აღმოჩნდება გადაშლილი...)* როდისმე მოეღება ამას ბოლო?! *(მაგიდაზე თითებს ათამაშებს, ნერვიულად)* არა, ეს ვირთხა მაინც...

ჰი-ჰი-ჰი!..

ბ-ნი ერმიკო: არა, *გაიგონეთ?*

ლიკა: თითქოს ვიღაც...

ბ-ნი ერმიკო: ჩუმად!!!

ჰუ-ჰუ-ჰუ!

(ბ-ნ ერმიკო თავს ხრის, სახე ეღრიცება, ბანდერილიოებით "დამუშავებულ" მიურის ხარს წაგავს)

ბ-ნი ერმიკო: დაიცა, მე შენი!.. *(კარადას ეცემა, კარს გამოაღებს და გაუჩინარდება კიდეც შიგ)*

ლიკა და თაკო: *(ერთხმად)* ვაიმე, იკა ბატონო, არ შეძლება თქვენი ასე გარეთ გასვლა — წნევა, გული... *(ორივენი კარადას ეცემიან და თავადაც გაუჩინარდებიან. ამ დროს შემოდის ექიმი ჯარვიშვილი, დინჯად)*

ექიმი ჯარვიშვილი: *(პროფესიული სიმხნევით)* აბა, ამჯერად რას ვუჩივით?

...ოღონდ იმასღა მოჰკრა თვალი, ქალის ორი წყვილი, ჩამოქნილი ფეხი როგორ გაუჩინარდა კარადაში. შეიცადა, გონება მოიკრიბა და კარადის კარი გამოაღო, ფრთხილად. ოღონდ შიგ თაროებისა და ზედ დაწყობილი საკანცელარიო საჭურველის მეტი ველარაფერი ნახა.

მოქ. II, <u>სურ. VI</u> **სადაც ჩვენს ჯანოს მაგრა ერხევა**

ა-რა-ა, ჩვენი ჯანო სულაც არ გახლდათ კმაყოფილი — გზაში, რატომღაც, თავის დოსტებს აცდა და ახლა მარტოდმარტო მიიკვლევდა გზას ჩაბნელებულ, ნესტიან, დახვეულ და № რაოდენობის საფეხურებიან კიბეზე. არა, ბაზარი არაა, მელისენტას ნახვა როგორ არ უნდოდა, ოღონდ აშკარად რომ გზა-კვალი ჰქონდა აბნეული და ეს უფორიაქებდა სულს. კიბის რომელიღაც, მორიგ ბაქანზე ვიღაცა გიტარას აკვნესებდა და რაკი დაუპატიჟებელ სტუმრად იგრძნო თავი, ჯანომაც თავი ვალდებულად ჩათვალა, ზრდილობისთვის მაინც მოესმინა ბოლომდე.

ჯანო: მადლობელი, დიდად. რამეს კიდე არ დაუკრავდით?

(მუსიკოსი წამოდგა, გაუღიმა, თავი დაუკრა).

ჯანო: ერთი წუთით... ახლა გამახსენდა, ამასწინებზე ერთ ახალ ჰიტს ატრიალებდნენ — დაიცა, რა ერქვა? ჰო — ***"შავმა რაინდმა დაატყვევა გული ჩემი"...*** ეჭვი არაა, გეცოდინებათ...

(მუსიკოსი ერთი კი გაიჭყანა, "მეხი და მედგარიო" — ჩაიბურტყუნა, დაავლო თავის ინსტრუმენტს ხელი და უკანმოუხედავად გაძვრა რაღაც ტალანში).

ჯანო: როგორა?! ეგ გამოთქმა კი წამიკითხავს სადღაც, ოღონდ... დაიცა ძმაკაც, გაწყენინე რამე?.. *(უკან მისდევს, მაგრამ რომელიღაც დარბაზში იმისთანა კუკლას გადააწყდება, კი ღირს ფეხს შეუნელოს)*

ლედი ნინეტი: ვითარ გრძნობს თავს კეთილშობილი რაინდი ჩვენი, მრავალთა დიდ-დიდთა ჭირთათმენათა და საქმეთა საგმირონთა შემდგომ?

ჯანო: *(აშკარად რომ ჭკუაზე ველარ არი)* ჩვენ... ე-ე... მუნ ვმყოფობთ ვითარ ეგების... ე-ე...

ნინეტი: *(ჩვენს წამხდარ დროშიც კი წარმოუდგენელი სიღრმის დეკოლტეს ვითომდა ისწორებს)* ... გმირთა სალმობაგამოვლილთა და უამესთა ჭირ-ვარამთა გარდასახადად თავგადადებულთა, ესე არა არს, მაღალო ბატონო ჩემო?

ჯანო: საქმე ის გახლავთ, ე-ე... კეთილმოსილო ბანოვანო, რომელიცა რომა... ე-ე...

ნინეტი: კარგი ახლა, ჯიორჯი-ბატონო, ემანდ ენა არ მოიტეხო... ლედი ნინეტი გახლავართ, სეფექალი — თქვენ კი, გატყობთ, შიმშილით სული გძვრებათ...

ჯანო: აგაშენათ ღმერთმა! არ მოისხით ჩემი მადლი?! მშია და ეგრე? სადილის დროა უკვე, მე კიდე თამბაქოს ბოლისა და ყავა-ლუდის მეტი დღეს პირში არაფერი ჩამსვლია...

ნინეტი: *(საზეიმო იერით, ფარდას გადასწევს და ნიშაში გაშლილ მაგიდასთან მიიყვანს, ხელკავით)* დიდი კი არაფერი, მაგრამ რაც შემეძლო ასე, თათარიახნად...

ჯანო: ეუფ! ეს სულ ჩემს საპატივცემულოდ, ლედი ნინეტ?!

ნინეტი: აბა, მექორწილე გენერალს ხომ არ დაგისვამთ სუ-ფრაზე? ასე, *a l'amur* არა ჯობია? ცივად მოხარშულ გედის ან ფარშევანგის ხორცს ეცით პატივი, არაა ურიგო... აი, ბატის პაშტეტი კი ნამდვილად რომ საუცხოოა — მეფე-ბატონი მას შინაურებს პირს არც კი აკარებინებს და უცხოებს — მით უმეტეს...

ჯანო: *(ისე ილუკმება, ხმის ამოსაღებად ვერც იცლის)* მაგარია, ნამდვილად.

ნინეტი: აი ეს ღვინო დაისხით, ჯიორჯი — 2-წლიანია!

ჯანო: ნამდვილად. ორმაგად ურტყამს თავში. *(ცოტა ხნის მერე აზრზე მოდის, რაღაცა მაინც უნდა უთხრას მშვენიერ მასპინძელს)* რამე რო იყოს, ლედი ნინეტ, სადა ვართ, რა დროში ვართ?

ნინეტი: *(ცალ წარბს ზევით აზიდავს გაკვირვების ნიშნად)* ანუ?..

ჯანო: მინდოდა მეთქვა, ე-ე... ხელმწიფედ ვინ ზის თქვენთან?

ნინეტი: *(იცინის)* რა უცნაური გამოთქმაა! მეფე ართური, რაღა თქმა უნდა!

ჯანო: აჰა, ე.ი. ლეგენდარული მეფე ართურის ხანა... მრგვალი მაგიდის რაინდები, მერლინი, ფერია მორგანა, გვე-ლეშაპები და გოლიათები...

ნინეტი: მაშ, სრული სტაბილურობა და წესრიგი... თქვენს მითიურ ქვეყანას ვინღა განაგებს, ჯანო? ნებას მომცემთ, ასე დაგიძახოთ, შინაურულად?

ჯანო: რაზეა ბაზარი... მოკლედ, არის მმართველი პარტია და მართავს... როგორც შეუძლია. ან როგორც უნდა — გააჩნია, რა თვალით შეხედავ საკითხს. მერე, ნომინალურად ანუ ვი-თომ — ხალხის არჩეული საკრებულოები, ალაგ-ალაგ — დანიშნული გამგებლები, გუბერნატორები... ოღონდ თავი და თავი პრეზიდენტია — ხომ გაგიგიათ, თევზი... თუმცა არი კიდე ორი ნაზირ-ვეზირი, ეგენიც თავისას აწვებიან. ოღონდ წეს-კანონებს, წესითა და რიგით, პარლამენტი იღებს, ან ვერ იღებს ხოლმე... ე-ე... მართალი გითხრათ, ლედი ნინეტ, ამ საკითხებში მაგრა ვსრიალებ! რამე უფრო სასიამოვნოზე ვილაპარაკოთ ჯობია — აი ვთქვათ, პრინცესა მელისენტას იცნობთ?

ნინეტი: ო-ო-ო, ჯანო-ბიჭი! შიძლება ერთ ქალთან მეორეზე ლაპარაკი? თანაც <u>*უფრო სასიამოვნოო*</u> — ეგ როგორღა გავიგოთ? მე ნაკლებ სასიამოვნოდ გამოვიყურები? *(მწვანე თვალებს დააკვესებს)*

ჯანო: *(მცირეოდნავ შეჩქვიფებულია)* რას ბრძანებთ, ლედი ნინეტ — თქვენისთანა ლამაზმანი ერმიკოს სარეკლამო კანტორაში ერთი არ დაიარება! უბრალოდ, მისი პორტრეტი დავხატე და მოსწონებია, მერე მარლაგრამმა მითხრა, დაგაჯახებო...

ნინეტი: *(ქუშტად)* სნობი ხომ არა ხარ, ჯანო ჩემო?

ჯანო: არავითარ შემთხვევაში!

ნინეტი: აბა, რა გვიშლის ხელს? აი, მაკბეთებს იცნობთ?

ჯანო: როგორ გითხრთ, ე-ე... პარადად – არ...

ნინეტი: შოტლანდიაში დაქალი მყავს ერთი, ოჯახთან ახლოსაა — ის მწერს, ცოტა ხნის წინ მაგათი არავინ არაფერი იცოდაო — ერთი უბრალო, გაღლეტილი აზნაურები იყვნენ — ახლა კი... და სულ იმ ქალის მეცადინეობით! მაგარი გამტანი ვინმეა, გონებაც უჭრის და ხასიათიც მტკიცე აქვს, ჩემსავით...

ჯანო: *(წინასწარმეტყველურად)* "დრო, დრო აღნიშნეთ!.."

ნინეტი: *(თავისას ერეკება, როგორც ყველა იდეა-ფიქსშეპყრობილი მანდილოსანი)*

... ცხადია, შოტლანდიას ვერ დამიგდებთ ფერხთით, ოღონდაც ჭკუიანი და საკმარისად გარყვნილი ქალი აქაც გაახერხებდა რამეს! ერთი ნახეთ, ფერია მორგანა გინდა, ჯინევრა, ორკნეის დედოფალი — საიდან სად გაიქაჩნენ! ასეა ეს — ნაღდი შეთქმულებისათვის მხოლოდ ჭკუადამჯდარი ქალები და ჯადოსნები თუ გამოდგებიან!

ჯანო: *(მხრებს იჩეჩავს)* მაგისთანა ქალებისთვის ჯადოსნები რიღას მაქნისია?..

(გაისმის ჰეროლდის ხმა):

— მისი უდიდებულესობა მეფე მელიოტი – მეუფე პირადორისა, პატრონი ბერგამორისა, მარრალორისა და პარლოტისა, მფლობელი ქვემო ლანსინგტონისა, ზემო ტყისა და სამი გზისა, ხიდების ჩათვლით!!!

დასცხეს საყვირებმა და შემოდის, უფრო სწორად, შემორბის მეფე მელიოტი, ერთის ვინმე გადამღძვალი მრჩევლისა, შავ-თეთრ-ვერცხლისფრად დაზმანულ, ზოდიაქოს ნიშნებით მოსირმულ მოსასხამში გახვეული მალგრამისა და ორიც რიგითი ჯარისკაცის თანხლებით. მეფეს იმგვარი გამომეტყველება აღბეჭდვია სახეზე, ნაშუადღევს კარგად ნაპატიებსა და გვარიანად ღვინოდალელულ კაცს რომ კეთილად წაძინების საშუალებას არ მისცემენ და ახლა ვერც იმას ტვინავს კარგად, რა ხდება მის თავს და ხასიათზე ხომ — ვერ არი და ვერა.

მელიოტი: აქ რა სმა-ჭამა გაგიმართიათ უჩემოდ? *(ჯანოს მიათითებს)* ეს ვინღაა? თუმცა ეგ მერე... ჩვენი ქონდრისკაცი რა იქნა — ეგაა მთავარი!

ნინეტი: აქ გახლავთ, მეფევ-ბატონო — მაგისტრმა მალგრამმა, ჯადოსანმა დააბრუნა უკან.

მელიოტი: ა-ა, იმ ტიპმა, არა?! იმას ვერ ვენდობით! აი ეს ვინღაა?!

მალგრამი: სწორედ მე გახლავართ მალგრამი, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი მონა-მორჩილი.

მელიოტი: ფუი! ისევ ამერ-დამერია ყველაფერი! არა უშავს რა, მალევე დავალაგებ — მოგხედავთ სუყველას... დაიცათ, ა-ა-ის ტიპი ვინღაა?

მრჩეველი: ეგ თქვენს ქვეშევრდომთა რიცხვს არ უნდა განეკუთვნებოდეს, ასე მგონია მე...

მელიოტი: მე კიდე არაფერი არ <u>*მგონია*</u>, ისედაც ვხედავ! ან რა აცვია, ან — როგორ... შევიშლები, ნამდვილად შევიშლები... არც ჩაცმა-დახურვა უვარგა, არც თავი წარგვიდგინა, ზის და ათოხლავებს... *(ძზერა გაეყინება)* ე-ეს რაღაა?! სამეფო სუფრის კუთვნილი პაშტეტი! სულ ნარჩევი ბატების ღვიძლისა!! არა, გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!!! მოდის აქ ვიღაცა, არც რამე სიგელ-გუჯარს გვაჩვენებს, არც ჩაცმულობა უვარგა, ზის აქა და ჩვენის საუკეთესო პაშტეტითა და რჩეული ღვინით... ვინ მიგდია ბოლო-ბოლო, აღარ იტყვით?!

მალგრამი: ფრიად საეჭვო ვინმეა, თქვენო უდიდებულესობავ! მეფის ასულ მელისენტას დაეძებს... ისაა, პრინცესამ რომ იხილა სარკეში. ჯანო-ჯიორჯის უხმობენ.

მელიოტი: დაიცა, აკი წარმოსახვითი, ილუზორული... მოკლედ, მითოლოგიური პერსონაჟიაო!? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გავიგეთ... ეს კიდევ ვინმე სხვა უნდა იყოს. აბა, რა გქვია შენ?

ჯანო: გიორგი. მოფერებით — ჯანო... სწორედ ისა ვარ, ვისზეც მელისენტა გეუბნებოდათ. ოღონდ ნამდვილი ვარ, რეალურად არსებული და მგონი, თქვენი ქალიშვილი მიყვარს... იმასაც, თითქოს...

მელიოტი: ა-ახლა კი ნამდვილად გავგიჟდები! მე შენ მოგცემ *<u>მოფერებით!</u>* არა, რასაა რო ბოდიალობს, ჰა?! ან როგორ აცვია, ან როგორ იქცევა, არც რამ სიგელ-გუჯარი... ახლა შენი მამისერთა და დედისობოლი ქალიშვილიო... არა, გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!.. მელისენტა!! მელისენტა-მეთქი!!!

ნინეტი: ამჟამად აქ არ გახლავთ, მეფევ-ბატონო, სწორედ ჯანოს საძებრად გაემგზავრა...

მელიოტი: ჰოდა, გადაეცით რომ ეს მისი ჯაჯანოა თუ ვიღაცა, სუ-უ-ლ იოლი საპოვნელია-თქო! აგერ მეყოლება დილეგში ჩამწყვდეული! და საძებნელიც აღარავის გაუხდება! *(ჯარისკაცებს)* ეი თქვენ, ყველაზე ღრმა ხაროში უკარით მაგას თავი!

(პაშტეტიან ლანგარს ხელს წამოავლებს და გათრიხინდება გარეთ. ჯანოს გასკვანჩავენ და ყველანი, რაღა თქმა უნდა, კვალში მიჰყვებიან — ნინეტისა და მალგრამის გარდა).

ნინეტი: *(სუპერ-მომხიბლავი ღიმილით)* აბა, მაგისტრ მალგრამ, ახლა თქვენ მომიჯექით გვერდში და ეს მშვენიერი ღვინო დააჭაშნიკეთ! დაბრძანდით, დაბრძანდით, რაა მოსარიდებელი! უნდა გითხრათ, შეთქმული ქალის როლი ჩემთვის ზედგამოჭრილია... თუმცა, ასეთი ნიჭიერი რეჟისორის ხელში...

მალგრამი: *(თავპატიჟი არ გაუდვია)* ა-ხმ, აბა, რა გითხრათ — როგორცა რომ ხუთსართულიანი კოშკის ქონგურიდან თავქვე მომფრინავი ჯეელი იტყოდა — ჯერ-ჯერობით ყველაფერი კარგად მიდის... ერთი სვლით მაინცა ვართ წინ — ჯანო აქაა, დილეგში, მეფისწული — იქ, ღია ეთერში...

ნინეტი: ეგ რაღა ხრიკია, მაგისტრ?

მალგრამი: ტანჯვის ახალი ხერხია — ზოგს მოსწონს კიდეც, სადო-მაზოხისტურ ამბავში... ოღონდ მელისენტას ეგ ისევე მოეწონება, როგორც ჯანოს — მისი ახალი სამყოფელი!.

ნინეტი: *(მოეხვევა)* არა, მაინც რა <u>*არაჩვეულებრივი*</u> ვინმე ხართ, მაგისტრ!

<u>სურ VII.</u> **ვზი ღრმასა, ბნელსა ხაროსა...**

დილეგი მართლა უსიამოს რამე ადგილი აღმოჩნდა: რაღაც ჯირკო — სკამის მაგივრად, ნესტი და უბედურება... ფრიად საეჭვო შრაშა-შრუშა ხმებზე, შორეული ბნელი კუთხეებიდან რომ გამოდიოდა, აღარას ვამბობ! იჯდა ჩვენი საცოდავი ჯანო და *ვეიკურად* ილანძღებოდა. უცბად (აი, ეს *უცბად* რო არ არსებობდეს, ამბის თხრობას რა ეშველებოდა) ზემოდან ხმა მოისმა: "გზა, გზა სამეფო გვარდიის თავს!" რკინით აჭედილი მძიმე კარი გაიღო და კიბეებზე, ჟღარუნითა და ჟღიალით, თავ-ფეხიანად აბჯარმოსილი ფიგურა დაეშვა. ხელში ორი იმისხელა მახვილი ეპყრა. მძიმე-მძიმედ მოიხადა ჩაფხუტი და ხვნეშა-ხვნეშით ჩამოჯდა ჯორკოზე.

ჯანო: გოგიტა დილერო — მართლა შენა ხარ თუ სულ გავრეკე?!

დ.გ.: *დილერი გოგიტა*-მეთქი, გითხარი! კი, მე ვარ — არა ბიჭო და კურდღლებს დავაგლეჯინებდი თავს! ვიღაცა ღლაპი ამ რკინა-კავეულობას წმენდდა — ვეუბნები, აჰა შენ ჩემი საათი — გამდიდრდები-მეთქი... დაავლო ხელი და მის მერე აქ აღარავის უნახავს. მე კიდე ამათი ჩამოფხატება ძლივს მოვასწარი და ადგილობრივი მეფე არ წამომადგა? მეკითხება — კამელოტიდან გამოგგზავნესო? ჰო-მეთქი, მე ვეუბნები. გადაიდო კონფერენცია, ჩემს ჯინაზეო? ეგრეა-მეთქი... საერთოდ, უარის თქმა არავისთვის მიყვარს — გეკითხებიან? — შენც თავი დაუქნიე... მერე მკითხა, მეფე ართური როგორ არისო; აზრზე არ ვიყავი, მაგრამ ერთ წყენას მეორესაც ხო არ მივუმატებდი და — გადასარევად-მეთქი, ვუთხარი; მოკითხვას გითვლით-მეთქი. ამან ისე გაახარა, სადილზე დამპატიჟა. არ ვიცი რა მოელანდა, რატომღაც თავად გადაწყვიტა, გვარდიის თავი ვიქნებოდი. ეტყობა, ამაზე ნაკლები ჩინ-

რანგის მაცნეს არ მაკადრებდნენო, ფიქრობდა... დარდი გაუშვი, დავათრობ და ყველაფერსაც მოვაგვარებ.

ჯანო: ფრთხილად იყავი, აქეთ არ დაგათროს...

დ.გ.: შანსი არაა, მაგარ ფორმაში ვარ! საერთოდ, ვარდების რევოლუციის მერე ჯერ არც კი გამოვფხიზლებულვარ ხეირიანად... ისა, შენი ბოსი ყოფილა, ვინმე ერმიკო — ისიც აქაა. მაგარი უნიათო ვინმე კი ჩანს, ღმერთმანი. ისიც უნდა გავაცნო. რამეს გამოვდნებით ერთად...

ჯანო: მე რაღა?..

დ.გ.: ვირის თავ-ფეხი! შენ ჯერ დაიცა ცოტა ხანს. შენი სახელის გაგონებაც არ უნდა ფხიზელზე. პაშტეტი შემიჭამაო, გაიძახის. გიჟია, ოხერი.

(შორიდან მოისმის მელიოტ-მეფის ყვირილი: "სერ დი-ჯი! სად ჯანდაბაში დაიკარგე? როცა მჭირდებიან, მაშინ ქრება ყველა! დი-ჯი!")

დ.გ.: აბა, წავედი მე და მეყოლე ვარდივით! *(აბრახუნდება კიბეებზე)*

ჯანო ერთ ამოოხვრასაც ვერ მოასწრებს, რომ ჩვენთვის ნაცნობი "ჰი-ჰი-ჰი" გაისმის საკნის კუთხეში.

მარლაგრამი: ჰესეც ჰესეე, ჩემი ჯანო-ბიჭი!

ჯანო: *(გვარიანად გაღიზიანებული)* შენ ვიღას ტიკი-ტომარა ხარ, ბიძაჩემო?

მარლაგრამი: შენი და მელისენტას ერთობლივი ჯადოსანი, თუ გინდა!

ჯანო: არა, არ მინდა! შენისთანა ჯადო-შემლოცავები კონა შაურია ბაზარში... მე დილეგში ჩამაგდეს, მელისენტა კაცმა არ იცის სადაა...

მარლაგრამი: გოგოზე ნუ დარდობ, ცოტას გაერთობა და მანამდე მეც მოვაკვარახჭინებ ყველაფერს! *(მოხერხებულად მოკალათდება ჯორკოზე — აშკარაა, დრო მისთვის შეფარდებითი ცნებაა)* ეს

ჩემი დისწული მალგრამიც კიდე კაი ოხერი ვინმეა — რას იზამ, ჩემი გაწვრთნილი გახლავთ — ხელი ეტყობა... მაინც არაფერი გაუვიდოდა, ოღონდ შოტლანდიაში მომიხდა სასწრაფოდ გამგზავრება — ჩემი ძველი სიყვარულები, სამი კუდიანი დაიკო...

ჯანო: რაო, მაკბეთების საქმეზე?

მარლაგრამი: *(წარბებს შეიყრის)* ვინ ჩამიშვა?

ჯანო: ე-ეჰ, ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს... ისე, კარგია რომ დისშვილისა არ გშურთ და რაკი გაჯობათ, მოკაკვეთ თითი და ამით დავამთავროთ!

მარლაგრამი: *(ლამისაა, წყობიდან გამოვიდეს)* რასაა რო ბოდიალობ, თუ იცი! მერლინი უკვე შეეშვა ჯადოსნობას, მის გარდა კი აქედან და ორკნეის კუნძულებამდე ჩემი დარი არავინაა!

ჯანო: აბა, ახლა განტვირთვის დღე გქონიათ და ეგაა...

მარლაგრამი: მიდი, მიდი — სუ ეგეთები ხართ ეს ახალგაზრდები — არავითარი მოწიწება... კიდე სთქვი რამე და ჩემს დაუხმარებლად მოგიწევს აქედან გაძრომა!

ჯანო: *(ვონს მოდის)* ეს ისე რა, ვიხუმრესავით, ბიძაჩემო...

მარლაგრამი: ზოგიერთს ძვირადაც დაჯდომია მაგისთანა ხუმრობები... აი, მერლინის დროს... თუმცა, გვეყო ლაყაფი, ჩემს გეგმას მივყვეთ!

ჯანო: აგაშენა ღმერთმა! რა გეგმაა?

მარლაგრამი: მაგი არაა შენი საქმე! ყველაფერს კი თანმიმდევრულად უნდა კეთება!. ესე ჩემი დისწული მუშაითობს — ერთ-ორ რამეს გააჩალიჩებს და თავი ქუდში ჰგონია! ცარიელ იმპროვიზაციაზე ზის! მაგარი ბიჭია, მარა რად გინდა...

ჯანო: თქვენ რაღას აპირებთ?

მარლაგრამი: გითხარი, არაა-მეთქი ეგ შენი სადარდებელი!

ჯანო: გადამრევს ეს კაცი! აბა, ვისია?

მარლაგრამი: ჯანო-ბიჭი, ალალად მითხარი — გამოდგები რაინდად და გმირად თუ — არც ისე?

ჯანო: ე-ე... რა ვიცი, აბა... ეგეთი რო ვიყო, ერმიკოსთან რა მინდოდა...
ბ-ნი ერმიკოც რო აქ ყოფილა, იცოდით?

მარლაგრამი: ვიცოდი და ეგრე?! *ჰი-ჰი-ჰი...*

(თქვა და გაქრა. საკნის შორეული, უბნელესი კუთხიდან მხოლოდღა მისი "ჰუ-ჰუ-ჰუ" მოისმა)

<u>ინტერმედია</u> — ისევ ყავახანა "თეთრი რაში"

... მზერა მისი *(ტანოს ვგულისხმობთ)* ისევ ფუყეა და არაფრისმთქმელი. შემოდის *მალგრამი* — ისევ ისე აცვია, როგორც დილით; მაგარი მხნე და ენერგიული უჭირავს.

ტანო: ახლა მიტირეთ რუსულად!

მალგრამი: საღამო მშვიდობისა, ჩემო კარგო! თორმეტი შუშა ბენედიქტინი ცივ რძეში, 50/50, შეაჯანჯღარეთ, ოღონდ არ ადღვიბოთ!

ტანო: თორმეტიო... რძეშიო... fifty-fifty... აი, ახლა ნაღდში გავრეკავ!

მალგრამი: სწორედაც რომ თორმეტი — რა იყო, რა გემცხეთათ? ჯერ ეს, მერე ვნახოთ...

(ტანო ერთს ამოიკვნესებს და დახლის უკან გაუჩინარდება).

მალგრამი: რა სჭირს ამ ბაღანას — რაღაცა ფერზე ვერაა...

(კედელი გაირღვევა და სცენაზე ყურებამდე გაღიმებული მარლაგრამი ჩნდება)

მარლაგრამი: რაო, ჩემი ბიჭი, არ მელოდი?

მალგრამი: კარგი რა, ბიძაჩემო, ეტყობადა მართლა დაბერდი — პატრიოტულ ბანაკებში, რეზერვისტებთან თუ გაგივა ეგეთები... ახლა ხომ ხვდები, მთელი სვლით რომ გისწრებ ყოველთვის?

მარლაგრამი: მართალს ამბობ თუ? ერთი თქვენი მოსაზრებანიც გვიბოძეთ...

მალგრამი: რა, მართლა არ გესმით თუ თავს იკატუნებთ? პირადორში დაბრუნდებით და — მელისენტა ჩემს ხელშია...

მარლაგრამი: აბა კი, სულ მაგ ჭკუაზე ვარ!

მალგრამი: აქ დარჩებით — მე წავალ იქ და მერლინის ძეწკვი, გინდა-არგინდა, მაინც მე დამრჩება!

(ელეგანტური სვლით, კედლის ნაპრალში უჩინარდება).

მარლაგრამი: უყურე შენ! მართლა არ უსწავლია რაღაც-რაღაცეები! ე-ეჰ, ახალგაზრდობას მაინც თავისი გააქვს... ოღონდ, სანამდე? ეს ბრიყვული თავდაჯერებაა სწორედ, რომ ღუპავთ... არცოდნა არცოდვაა, მაგრამ მცირე ცოდნა — დიდი უბედურება! ვნახოთ, ვნახოთ...

(ამ დროს დახლზე ლანგარი ჩნდება, ზედ 12 ჭიქით. მათ უკან ტანოს დაბანტურებულმზერიანი თავი იჩითება)

ტანო: წმიდაო მარიამ... ის შავი კაცი რაღა იქნა? ამას... თქვენ დალევთ?.

მარლაგრამი: *(განაწყენებული სახით)* გადირიე შვილო?! ბავშვობიდან ვერ ვიტან რძეს!

ტანო: აგაშენათ ღმერთმა!.. *(შვებით წაიჩურჩულა და მანაც კედლის ნაპრალში დურთა თავი... ამ დროს კარში მელისენტა და მაგრა ცხვირჩამოშვებული ზუკა ჩნდებიან)*

ზუკა: არა, მაინც რა მიქენით ეს, ა? ერთი-ორი წელი TV-ში აღარ მიმესვლება, არც ერთი არხი ჩვენს რეკლამას...

მელისენტა: მაგისტრ მარლაგრამ! არავის ნახვა ასე არ გამიხარდებოდა, ღმერთმანი!

მარლაგრამი: *ჰი-ჰი-ჰი...* არა, ლამაზი ქალისაგან ტყუილიც კაი მოსასმენია, მერლინის მზემ... აბა, ახლა შინისაკენ — ჰერი, ჰერი! *ჰუ-ჰუ-ჰუ-უ-უ!*

(ყველანი ნაპრალში უჩინარდებიან)

<u>სურ. VIII</u> **მელიოტ-მეფის შუადღისშემდგომი მეინახეობა**

მელიოტ-მეფე, უნდა გითხრათ, გვარიან ხასიათზე ბრძანდებოდა — რა ედარდებოდა რა — კაის ჭამდა და კაის სვამდა — განსაკუთრებით კი აი ამ მეორე ვარიანტს აწვებოდა უკვე ნასადილევს. პირდაპირ სერ დი-ჯი და ბ-ნი ერმიკო უსხდნენ; სამივე ცდილობდა, თავისი წვლილი შეეტანა საერთო მხირულებაში და როგორც ასეთ დროს ხშირად ემართებათ ხოლმე ხანმოთეულ და ღვინომოკიდებულ მამაკაცებს, ხვალინდელი დღის დადგომისა გაფიქრებაც აღარ უნდოდათ.

მელიოტი: აი ჩვენ კიდე ერთი ნაღდი ამბავი ვიცით, ჩაიფსამთ სიცილით! კამელოტ-ქალაქში სამი მოხეტიალე ვაჭარი ხვდება ერთმანეთს — ინგლისელი, ირლანდიელი და მთიელი... *(როხროხებს)* მერე აღარ მაგონდება როგორ იყო იქ საქმე — გამახსენდება და გეტყვით, არ დაგიმალავთ! ჰეი, მერიქიფე! დაგეძინა მანდ?! *(მერე ერმიკოს მიაჩერდება გაკვირვებული, წარბებს ქუშტავს)* უკვე მეორე ამისთანას ვხედავთ

ღღეს — რაღაც უწესოდ აცვია... *იკ!* ის პირველი აკი ღილეგში ჩავაყუდეთ, სერ დი-ჯი — ესეც ხომ არ... ჰა? არა, თქვენი ქალიშვილი ცოლად უნდა გამატანოთო — რავარია?!

დ.გ.: რა გეჩქარებათ, თქვენო უდიდებულესობავ, ჯერ ნაზია ღამე... მე და ერმიკომ ერთი ისეთი კარგი კომბინაცია ჩავიფიქრეთ!

მელიოტი: კომბი... *იკ!* ერმიკო ვიღაა?.

ბ-ნი ერმიკო: მე გახლავართ, მეფე-ბატონო!

მელიოტი: ხოდა, ძაანაც ცუდი! რა გაცვია, კაცი ვერ გაიგებს... მოკლედ, რა მინდაო, სერ დი-ჯი?

დ.გ: იდეა გვაქვს, მელიოტ-ჩემო იმისთანა, თითებს ჩაიკვნეტ! ფარა მოვა — ოხრად...

მელიოტი: ოხრად რად მინდა... სადაა მერე?

დ.გ.: ერმიკოსა აქვს თავში.

მელიოტი: ერმიკოს თავში ფულს რა თავში ვიხლი! მოვიდეს აქ და მომიტანოს... ე-ე... ისა — ამიხსნას!

ბ-ნი ერმიკო: მეც მანდა ვარ, მეფე-ბატონო!

მელიოტი: შენ ვინღა ოხერი ხარ?.

ბ-ნი ერმიკო: ერმიკო მქვია, შეგიძლიათ იკა დამიძახოთ...

მელიოტი: იმასაც რაღაც ორი ეგეთი სახელი ერქვა — ვერ გავიგე, ეს ორი სახელი რა საჭიროა... მოკლედ, ძაან უხეიროდ გაცვია, ღმერთმანი! ასე ჩაცმული ჩვენს კარზე... *იკ!*

დ.გ.: იმას ვამბობდი რომ ჩვენში, მეფევ-ბატონო, ხალხი ერთთავად იმის ცდაშია, ფული დააგროვოს და სადმე წავიდეს, სხვა ქვეყანა ნახოს... ჩვენ კიდე გვგონია, პირადორზე უკეთესს რას ნახავს კაცი!

ბ-ნი ერმიკო: ორგანიზებული ტურიზმი! ციხე-კოშკები, რაინდთა ტურნირები, გველეშაპების კვლა!..

დ.გ.: ოღონდ ტრანსპორტირების ამბავი თქვენზეა — ერთიორი კარგი ჯადოსანი დაჭირდება ამ საქმეს... რეკლამას კი ჩვენ ვკისრულობთ.

მელიოტი: რასა-რასა?

დ.გ.: ჰეროლდებს და გზირებს ოთხივ კუთხით დავაგზავნით -მეთქი, მინდოდა მეთქვა!

ბ-ნი ერმიკო: ჰოდა, ფულიც წამოვა, ჩეჩქივით! სულ ოქროვერცხლი, ჩხრიალ- ჩხრიალით...

მელიოტი: სად, მერე?

ბ-ნი ერმიკო: ქვეყანაში!

მელიოტი: ასეც ვიცოდი... *ოკ!* მერე, მე რა ხეირი?

დ.გ.: გადასახადები...

მელიოტი: კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს!..

ბ-ნი ერმიკო: ჩვენის ანგარიშით, მოგების ნახევარი ერთ წელიწადში მთელს თქვენს ხაზინას გაავსებს, თუ გამტარობაც კარგი იქნა, რაღა თქმა უნდა... ამას კიდე ცალკე სასტუმროების აშენება დასჭირდება, სამიკიტნოების გახსნა, კარგად

აღკაზმული ტურისტული ცხენების მომრავლება... მოკლედ, ინდმეწარმეობაც გვარიანად გაშლის ფრთებს... აი, მაშინ კი გადასახადების ამკრებნიც გაილაღებენ!

დ.გ.: ახლა მებაჟეებისაც თქვი?! მოკლედ, სულ მალე მთელი კამელოტის მაღალი საზოგადოება აქ მოაწყდება და დედაქალაქსაც აქ გადმოვიტანთ, მოსახლეობის მოთხოვნით...

მელიოტი: *(ცოტა არ იყოს, თავბრუდახვეული ამგვარი მომავლის ჭვრეტით)*

დაიცათ, ჰო — ცოტა მეც მოვიფიქრო... ნაღდად რაღაცას მაბოლებთ... ემანდ რწმენა არ შემაცვლევინოთ![1]

(სწორედ ამ დროს შემოდიან ლედი ნინეტი და მალგრამი — რაღა თქმა უნდა, არა შემთხვევით — აკი მალგრიმს თავი ყინჩად ეჭირა, ყველაფერი გეგმისა და გრაფიკის მიხ. მიმდისო)

მალგრიმი: თქვენო უ-უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ ამ აფერისტებს და ავანტიურისტებს[2] თავად მივხედო — ჩვენი ხელობისა და მეცნიერების სასახმილოდ!

მელიოტი: ა-ჰაა, თეთრ თაგვებად გინდა აქციო?.. რას ერჩი, მომწონს იდეა... ფეშქეშ! აი შენ კი სულაც არ მომწონხარ! იმედი ნუ გექნება, ჩვენს კარზე... *(ახლაღა შეამჩნევს ნინეტს)* ლედი, ჩვენი პირმშო სადაა?.

ნინეტი: *(დათაფლული ხმით)* ყველაფერს წვრილად მოგიყვებით, მეფევბატონო — როგორც კი რომ მარტონი დავრჩებით...

[1] მთარგმნელის თვითნებობა აქ არაფერ შუაშია – ძველად ორივე ეს სიტყვა ხმარებაში გახლდათ: მაგ. Faith (რწმენა, სარწმუნოება) სწორედაც რომ "ჭეშმარიტების" მნიშვნელობით მოიხმარებოდა. შდრ. ჩვენებური "სარწმუნოდ იჩანს".

მელიოტი: მომკლა ამ საიდუმლო თათბირებმა... მოკლედ, ახლა გაიკრიფეთ ყველანი — ლედი ნინეტი მომხედავს...

(ყველანი გადიან, ოღონდ არა ყველა თავისი ნებით — ასეთებს სასახლის გვარდიელები აშველებენ ხელს)

მელიოტი: გაგიჟდები კაცი! ჯერ კამელოტში გვიხმობენ, მერე გადაიფიქრებენ და ამ ვიღაც დი-ჯის გვიგზავნიან, ტვინი რომ აგვიმღვრიოს... ჩვენი ქალიშვილიც გვარიანად აფრენს – ვიღაც არარსებულ რაინდს დაეძებს, ის კი თურმე აგერაა, ჩვენთან, დილეგში და უმსგავსოდ აცვია... ეს ჯადოსნები კიდე ხან გაჩნდებიან, ხან გაქრებიან — ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი! არა, აშკარად დავბერდი, რაღაც უნდა ვიღონო! დილაობით სირბილი ხომ არ დამეწყო, ჰა?.

ნინეტი: რა ბრძანებაა — ისედაც შესანიშნავად გამოიყურებით! უბრალოდ, გადაიღალეთ ამდენი ზრუნვა-გარჯით — ყველაფერზე თქვენ ხომ არ უნდა იფიქროთ!

(ნარნარი ნაბიჯით უახლოვდება, ცხვირსახოცით ნაზად უმშრალებს დაცვარულ შუბლს)

მელიოტი: *(ვითომ ვერც ამჩნევდეს და არც ეამოს)* მართალია, ჩემი ასაკისთვის

კიდე ჯანზე ვარ... არა, ეგ ჩემი ქალიშვილი მაინც სად გადაიკარგა?

ნინეტი: გრძელი ამბავია... *(შემელოტებულ თმას უსწორებს)*

მელიოტი: კარგი, სხვა დროს იყოს...

ნინეტი: საქმეც ეგაა, მეფევ-ბატონო, რომ თავკერძაა, თქვენსავით დაუჯერებელი...

[2] ეგენიც ძირძველი ფრანგულ-ნორმანული სიტყვებია, ევროპეიზმის შემოტანის მცდელობად ნუ მიიჩნევთ.

მელიოტი: *(განაწყენებული)* მე რა — სულ დედამისსა ჰგავს, აცხონოს უფალმა!

(ცრემლი მოადგება თვალზე)

ნინეტი: ეგ არაფერი, იმ აუტანელ ბებრუხანას, მალრაგრამს რომ არ ჰქონდეს მასზე ასეთი ცუდი გავლენა!

მელიოტი: ვინ მალრაგრამს... ისა რა, კიდე ცოცხალია?! აუტანელი ქირქილი იცის და ბავშვობაში სულ მისით მაშინებდნენ — ფაფა ჭამეო...

ნინეტი: ... და რა კარგი იქნება, მეფევ-ბატონო, ვთქვათ, სიტყვაზე, თქვენ რომ გადადგეთ და მაგისტრ მალგრამს დაეკისროთ ყოველდღიური სახელმწიფო საზრუნავის საკუთარ თავზე აღება — თქვენც მოისვენებდით და მარლაგრამსაც დავიფრენდით აქედან...

(კედლიდან გამოდის მელისენტა, უკან მარლაგრამი მოკუსკუსებს)

მელისენტა: არ აგიდგა გვერდები, სანამ მამაჩემი არ გადადგეს! ნახე, რა ინდომა!

მელიოტი: ციც! რასაც მინდა, იმას ვიზამ! მეფე ვარ თუ ნაქურჩალი! და საერთოდ, ხვალ თხოვდები! ასეა ეს!

მელისენტა: ვისზე?!

მელიოტი: არ ვიცი მე! ვინც ტურნირზე გაიმარჯვებს, იმას გავატან შენს თავს!

მარლაგრამი: *(ყურებს ცქვიტავს)* რაის ტურნირზე?!

მელიოტი: შენღა მაკლდი ერთი! რაინდთა ტურნირზე-მეთქი — მეც ახლა მომივიდა თავში... და ასე მოვუვლით ბაკინგემს![3]

მელისენტა: *(მალგრამს)* ჩვენი პირობა გახსოვთ? მერლინის ძეწკვიო... აი, მალგრიმს რო უნდოდა...

მარლაგრამი: მაგას რა დამავიწყებს, *ჰი-ჰი-ჰი!*

მელისენტა: დამეხმარეთ, ჯანოს გამაყოლეთ და ძეწკვიც თქვენია!

მარლაგრამი: მოსულა! და ყველას ყურადღებას ვითხოვ — მე ჩემით არაფერი — თავად შემომთავაზა! *ჰუ-ჰუ-ჰუ!*

მელიოტი: მორჩი, ბებერო! ვინ რა ძვირფასეულობას არიგებს აქ ჩვენი ზარდახშიდან?! ვფიცავ, შანსი არაა...

(უეცრად ჩამობნელდება, იქუხებს, იჭექებს, იელვებს და კედელზე მარლაგრამის 10-ჯერ გადიდებული ლანდი ჩნდება)

მარლაგრამი: სდექ, მელიოტ! გატეხილ ფიცს გატეხილი თავი გერჩივნოს!

მელიოტი: ისა... ე-ე... კარგი რა... ეგ მერლინური ოინები აღარ მოგბეზრდა?. ამ ხნის კაცი ხარ... გული გამიხეთქე!

მელიოტი: ჯერ სადა ხარ, მეფეო — სოლომონის ბეჭდით დაღდასმულს, ხილვა მაქვს ერთი — დი-ი-დი განსაცდელი ელის პენდრაგორს! და თანაც ორი: ერთი მეწამული რაინდია — ხვალინდელ შერკინებაში ის ყველას დასცემს, თვინიერ

[3] იდიომატური გამოთქმაა, ქადილს გულისხმობს.

ერთისა... ხოლო მეორე — გავეშებული, პირით ცეცხ-
ლისმფრქვევი გველეშაპია! ოდენ მას, ვინაც მეწამულ
რაინდსა სძლევს, ძალუძს დაამარცხოს იგი და მელისენტას
გულის რჩეულიც მაშინ ის ხდება...

მელიოტი: აგაშენა ღმერთმა! თავიდანვე ეგრე გეთქვა, შე
კაცო... ვინაა უარზე?! სიტყვას გაძლევ... *(მაგრამ დარბაზში
უკვე აღარავინაა)* უფ! მითქვამს, ძველი მერლინური სკოლა
მაინც სულ სხვაა-მეთქი! ცოტა ძველმოდურია — მთელი ეს
ხმაური, ბახა-ბუხი, მეხი და მედგარი, მაგრამ... ბოლო-ბოლო,
ის მაინც იცი, რას ელოდო კაცი...

ნინეტი: და რას უნდა ელოდოთ?.

მელიოტი: *(უდარდელად)* რა იყო, რა ვერ გაიგე? ერთი რაინდი, მეწა-
მული ფერისა და ერთიც გაუმაძღარი გავეშებული გველე-
შაპი... დიდ ამბავი — ეგეთები გვინახავს? ახლა კი წავალ,
ჩემს ხვალინდელ მიმართვას უნდა ჩავუჯდე. ხანდახან მაინც
ხომ უნდა მივაწვდინო ხალხს ხმა...

<u>ინტერმედია:</u> **საიდუმლო სერობა დილეგში**

მარლაგრამი: აბა, ჯანო-ბიჭი, ხომ კარგად მოვაკვარახჭინე
საქმე? აჰა, ესეც შენ ნაღდი ვახშამი — მეფის ღვინო
და სამეფო პაშტეტი – ხელს გამოვაყოლე, ასე
ვთქვათ... სხვა რაღა გინდა?

ჯანო: ...მელისენტა...

მარლაგრამი: აქაა, აქა-მეთქი! მოვა მალე... ასე დამაბარა, არსად
წავიდესო.

ჯანო: სად ბებიაჩემთან უნდა წავიდე! ისე, ნეტა რა ნახა მეფის ასულმა ჩემში...

მელისენტა: *(კიბეებზე ჩამორბის)* არ გეტყვი და ვერც გაიგებ! არცაა საჭირო... საბრალო, ეს რამხელა ხუნდები დაუდვიათ მაგ უღმერთოებს! მაგისტრ მარლაგრამ, რას შვებით, თუ იცით?!

მარლაგრამი: მეთქი, ჯერ ჭამოს — ხასიათზე მოვა...

მელისენტა: ახლავე აყარეთ ეს რკინები!!

მარლაგრამი: ენკი, ბენკი, სიკლისა!.. *(ბორკილები ძირს ჩამოცვივა, ულარუნით)*

ჯანო: აი, საღოლ! მცოდნოდა ერთი, ეგ გათვლა ამისთანა საქმესაც თუ რგებდა... *(მარლაგრამს ხელს ართმევს, მერე მელისენტას გადაეხვევა)*

მარლაგრამი: ხოდა, ისა... დამაცათ, რა მოხდა, რა ცეცხლი გიკიდიათ! ხვალ ტურნირზე გამოხვალ — მეწამულ რაინდს უნდა შეერკინო, მერე — გველეშაპი დგას რიგში...

ჯანო: *(მელისენტას)* რასაა რო ბოდიალობს?

მელისენტა: საყვარელო, მამაჩემმა დაიფიცა, ვინც ტურნირს მოიგებს და გველეშაპს თავს წააცლის, ქალსაც იმას გავატანო... დიდი უჯიათი ვინმეა!

ჯანო: მაგარი ხარ, მარლაგრამ! მერე, როგორ უნდა ჩავაწყოთ ეგ საქმე?

მარლაგრამი: არაფრის "ჩაწყობა" არ დაგჭირდება, ყველაფერი ჩემმა დისწულმა გააჩალიჩა, ოღონდ ჩემს ჭკუაზე, რაღა თქმა უნდა... ახლა ნახავს, როგორია...

ჯანო: დაიცა, რა — ნაღდი იქნება ყველაფერი?!

მარლაგრამი: არა ბიჭო! ნაღდზე-უნაღდესი! თუ გმირი ხარ და რაინდი — დაამტკიცე!

ჯანო: შენა, ცხელება ხო არ შეგყრია?! რომელი წმინდა გიორგი მე მნახე?!

მელისენტა: თუ ფიქრობ, რომ ასეთ თავგანწირვად არა ვღირვარ...

ჯანო: ღირხარ, როგორ არა, ოღონდ თუ მკერდი შემინგრიეს ან თავი წამაჭამეს, მერე რაღაში გინდივარ?.

მარლაგრამი: ნუ წუწუნებ! ახლა კარგად უნდა გამოიძინო, ტურნირი ექვსზე იწყება!

ჯანო: მეყოლეთ ვარდივით...

<u>მოქ. III,</u> **დიადი შეხლა**

ჯანო კარავში ზის, თავჩაქინდრული. გარედან ტურნირის ხმები აღწევს — ყვირილი, გამამხნევებელი შეძახილები, ჯახანის ხმა და ცხენების ჭიხვინი. კარავი მდიდრულადაა მორთული, ოღონდ ჯანოს თვალს ეს არ ახარებს: მის წინ დახვავებულ აბჯარს დასცქერის და არც ეს ზიზილ-პიპილოთი გაწყობილი რკინის გროვა ეჭაშნიკება მაინცადამაინც. ამ დროს ხალხი იხუვლებს და რაღაც ბრაგანის ხმა მოისმის. წუთის მერე ოთხი საჭურველმტვირთველი გონდაკარგულ რაინდს ჩაატარებს საკაცით — მეწამული რაინდის რიგით უკვე მეოთხე მსხვერპლს. ჯანო ერთს კარგად შეუკურთხებს ყველა ჯადოსანსა და მთელს მათს სამყაროს...

კარვის კალთა ჩაიკარაბაკება და ***ტანო*** შემოდის, ლანგრით ხელში.

ტანო: ერთი კათხა "სატურნირო" — მეზობელი მაგიდიდან...

ჯანო: ვა, ეს შენა ხარ?!

ტანო: მგონი, კი...

ჯანო: გაიხარე. *(კათხას ჩაცლის)* კაია, ხო იცი, ცივია... ისე, ბოთლისაა თუ ჩამოსახმელი?

ტანო: მე არაფერი მკითხოთ, აი იმ შავმა კაცმა გამოგიგზავნათ, რაღაც უბედურებებს რო ურახუნებს დილაუთენია...

ჯანო: *(დაფეთებული მიაშტერდება)* ვინა... მალგრამამ?!

ტანო: ეგრეა. რა იყო, ცუდადა ხარ?.

ჯანო: ჯერ არ ვიცი — ცოტა ხანში გამოჩნდება... ისა, აი ის მასტი არ გინახავს სადმე ახლოში, ჯინ-ტონიკს რო ყლურწავდა?

ტანო: ერთი ვიღაც ტიპი კი ვნახე, ჩვენიანი უნდა იყოს... ოღონდ მეწამულ რაინდზე ჩამოდის ფსონს — ერთი/ათზე! მაგისი მომრევი არავინაარ, გაიძახის.

(კარავში ჯანოზე გაწერილი საჭურველთმტვირთველი შემოიხედავს)

სჭ.: შენა ძმაკაც, ამხედრებული გახვალ თუ ქვეითად? ჩემდათავად, ქვეითობას გირჩევდი — რაც ნაკლები სიმაღლიდან დაებერტყები ძირს, მით უკეთესი!

ჯანო: ენის ჭარტალს ის გირჩევნია, ამეების ასხმაში დამეხ-
მარო — რაღაც ხეირი მაინც მექნება შენგან...

(გარედან ჰეროლდის ხმა ისმის: ***სერ ჯანო-ჯიორჯი! თქვენი გამოსვლაა!!)***

ჯანო: *(მიკნავებული ხმით)* ახლავე-ე... მოვდივა-არ!..

ტანო: გული არ გაიტეხო, შენთანა ვარ! გახსოვდეს –
იბერია გაბრწყინდება! აწმყო თუ არა გვწყალობს...

(ჯანო უიმედოდ ხელს ჩაიქნევს და გარეთ გაბლაყუნდება; ხალხი ქოქოლას აყრის. ისმის ერთი ჯახა-ჯუხი, ბრბოს ღრიალი, აბჯრის ზრიალი და მახვილთცემის ხმა, რაიც ახლოვდება და ბოლოს კარავში შემოიჭრებიან მეწამული რაინდი და ჯანო; ამ უკანასკნელს სული კბილებითღა უჭირავს, ძლივს დააბოტებს, მისი მეტოქე კი — ერთი ბეხლეწი, ასე, ორმეტრიანი **მჯპ**,[4] ამოსუნთქის საშუალებას არ აძლევს; ოღონდ შემოვლენ თუ არა, გაჩერდება, ტანოს მიაშტერდება და...)

მეწ. რაინ: ორი კათხა "სატურნირო", ფიცხლად!

ტანო: ახლავე მოგართმევთ, ბატონო!

(გარეთ გავარდება; მაგიორში, ახლა სხვა ვიღაც-ვიღაცეები ცდილობენ კარავში თავის შემოყოფას)

მეწ. რაინ: *(გრგვინავს)* მოუსვით აქედან, თორე აგახევთ ლაყუჩებს!!!

(მივა, კარვის კალთას გაასწორებს, მერე იქვე ჩამოჯდება და მუზარადს თავიანად იძრობს; რკინის საყელოდან ახლა დილერ გოგიტას გაბადრული სახე მოჩანს)

დ.გ.: კაი გამარჯობა შენი... ახლა, ერთი ეს აღკაზმულობა
მომხსენი როგორმე, დავიღჩვი კაცი!

[4] *მურდალი ჯანების პატრონი* (ყავლაგასული სლენგია).

ჯანო: *(ეხმარება, მერე თავადაც მოიხსნის მუზარადს და ძირს დაახვავებენ ყველაფერს)* დაიცა, ეგ როგორ?! საიდან სადაო?.

დ.გ.: აბა მე რავი! სულ იმ მალგრამის ოინებია — არ დამიჯერებ და სანამ ეს თავი არ მოვიხსენი, მართლა ვიღაც რაინდი ვიყავი, გიჟი და გადარეული... ახლა მომეშვა ცოტა.

ჯანო: მარა რო უნდა მოგკლა...

დ.გ.: დარდი გაუშვი, მაგას მე მოვაგვარებ — ეს მოსახსნელი თავიც, ეტყობა, სწორედ მაგისთვის მება! შენ ოღონდ ხმალი აბრახუნე ცოტა ხანს ამ რკინებზე — ემანდ რამე არ იფიქრონ და შესამოწმებლად არავინ შემოიჭყიტოს... მე კიდე ცოტა ყელი თუ არ გავისველე... *(ტანოს)* ჭირიმე შენი... მაიტა აქ! *(კათხას დაადგუდებს)* შენ არ გინდა?

ტანო: ალკოჰოლს არ ვეკარები... მარტო სუფთა ჯინი, წიწაკით... ისიც მუცლის გვრემისათვის...

დ.გ.: არა-ა, მუცლის საუკეთესო წამალია Tequila Camino, რო იცოდე... *(ჯანოს):* ახლა ამყევი პაწაზე, ხალხს ხმა მივაწვდინოთ უნდა! *(ბღავის):* დამნებდი, შე უჯიშო შენა! მაინც ვერსად წამიხვალ! *(ჯანოს):* რაღაცა შენც იყვირე, რა... წამეხმარე მაინც!

ჯანო: *(ყვირის, რაც შეუძლია)* ვერ მოგართვეს! ეგეთები შენკენ მოიკითხე — აქეთ დაგაყრევინებ ნაწლავებს!

დ.გ.: ხო, ეგრე — გამოგდის, ხო იცი... ახლა ეს თავი აიღე და გარეთ გადი, ყველას დაანახე, შენ კიდე *(ტანოს)* წინ გაუძეხი და იძახე ხმამაღლა — სერ ჯანომ მეწამული რაინდი სიცოცხლეს გამოასალმა-თქო! აბა ჰე, მიდით! *(ვადიან, ისმის შეძახილები).*

(იგივენი და მელიოტი მელისენტათურთ)

მელიოტი: კაი მაგარი ბიჭი ყოფილხარ შენ, აბა! ახლა ცოტა დაისვენე და მერე გველეშაპი გელოდება — ტვინი წაიღო, ისე

ხვრინავს. ციხე-კოშკამდე აღწევს მაგისი ხმა... *(ჯანოს მუხლები მოეკეცება; მელიოტი არასწორად გაიგებს მის ბანცალს)* ჰო, და რა თქმა უნდა, რაინდობაც უნდა ვუბოძოთ, დაიმსახურა უკვე! *(ხმალს დაავლებს ხელს და ჯანოს სამჯერ დაჰკრავს ბეჭებზე)* აღსდექ, სერ ჯანო-ჯიორჯი, თუ როგორცაა... ადექი-მეთქი, შენ გეუბნები!

მელისენტა: კარგით ერთი, მამა-ბატონო, აღარ შეეშვებით ამ სისულელეებს?! ვერ ხედავთ, ქანცი აქვს გაცლილი... ვაიმე, იქნება დაჭრილიც კია! აქეთ წამოიყვანეთ! *(თავის კარავში შეაყვანინებს).*

<u>სურ. IX</u> **გველეშაპოგრაფია**

(ჯანო მხართეძოზეა წამოწოლილი, დიდი ტაფა ომლეტი დაათოხლავა და ახლა წყალღვინოთი იკოკლოზინებს ყელს. შემოდიან მელისენტა და მელიოტი; ერთს უზარმაზარი, ხბოს ტყავის ყდაში ჩასმული ფოლიანტი უჭირავს, მეორეს — რაღაც ფუთა)

მელისენტა: როგორ ხარ, ჯანო?.

ჯანო: რა მიშავს, რა...

მელიოტი: მოკლედ, ახლა ასეა საქმეები: მეწამული რაინდის მძლეველის ისევ დილეგში დაბრუნებაზე, ცხადია, ლაპარაკიც არაა... თუ ინებებ, შემიძლია მეფე ართურთან გაგიშვა სარეკომენდაციო წერილით — იარე მერე დუნიაზე და ეძებე შავ ბედში ჩავარდნილი და გადასარჩენად განწირული ვინმე ქალწული, როგორც რომ ეს რაინდთა წესია...

მელისენტა: არავითარი ვიღაც გომბიოების საძებრად ხეტიალი! ვიცნობ მაგათ... ჯანო გველეშაპს დაამარცხებს და მე შემირთავს ცოლად!

ჯანო: უამისოდ არ გამოვა?.

მელიოტი: რა, ქორწილს უარობ?!

ჯანო: არა, გველეშაპზე გეუბნებით...

მელიოტი: აბა ეგ როგორ იფიქრე! მოკლავ გველეშაპს და მელისენტაც შენია, არადა — გზა ხსნილი გაქვს, ასე ვთქვათ, ოთხივ კუთხით...

მელისენტა: მძიმე არჩევანია, ჯანო — მესმის... იქნება და მართლა არ ვღირდე ასე თავის გადადებად...

ჯანო: ეგრე ფიქრობ?

მელისენტა: რა თქმა უნდა არა! ქალი თუ ასეთ რაიმეს გაივლებს გულში, მაგისთანასთვის გველეშაპთან კი არა, ჭრელ მამალთან არ ღირს გაბრძოლება!

ჯანო: გა-ასაგებია... ისე, შორიდან როგორი შესახედია ეგ თქვენი გველეშაპი? იქნება და არც ისე დიდია — ადგილობრივები ყველაფერს აჭარბებენ ხოლმე, მოგეხსენებათ...

მელიოტი: ვერ მოგართვეს! უმაღლესია თავის ფასში! უკეთესს ვერც ინატრებ! მარტო ბოლს უშვებს იმხელაზე...

ჯანო: კარგით, ჰო... მაგარი ხართ, ფსიქოლოგიურ მომზადებაში...

მელიოტი: ოღონდ ეგაა, ხალხი ვერ დაესწრება! გულშემატკივრების დასტას ჰეროლდის სინქრონული რეპორტით მოუწევთ დაკმაყოფილება... ახალი წესია — არც ერთი ქომაგი 5 მილის მანძილზე! თორემ წინა ჯერზე, დღესავით მახსოვს, მხეცს მხარი ეცვალა და 59 დაშავებული გაიტანეს ტრიბუნებიდან...

მელისენტა: მამა!

ჯანო: ესე გამიგია მე, რაინდს ან რამე ჯადოსნური მახვილი უნდა ეპყრას, ან უჩინ-მაჩინის ქუდი მაინც ეხუროსო.....

მელიოტი: აგერ, ა! *(ფუთას გახსნის და ერთ ძველისძველ, ჩრჩილნაჭამ მოსასხამს გაუშლის)* ე-ეჰ, ვერ მოვუარეთ, წამალი უნდა დაგვეყარა იმ ზაფხულს... რაც მეუღლე გარდაგვეცვალა...

ჯანო: არა უშავს, ნაწილობრივ მაინც დამიფარავს.

მელიოტი: ე-ე... ახლა, როგორაა საქმე, თუ იცი... ეს მოსასხამები ორგვარიაო, გამიგია: ერთნი გფარავენ, მეორენი კი პირიქით — რაღაცნაირად, გველეშაპების დამატებით გასაღიზიანებლადაა მოგონილი, მთლად რომ დააკარგვინონ ჭკუა...

ჯანო: გნებავთ მითხრათ, რომ *ამას* ინსტრუქცია არ მოყოლია?.

მელისენტა: ნახე, საყვარელო, სულ დაფხავებულია და იქნებ ძაანაც არ გადარიოს — ისე, საშუალოდ...

ჯანო: არ წავა! სხვა რამე არაფერი გაქვთ?

მელისენტა: აი, ნახე! *(ფოლიანტს გადაუშლის)* ეს კიდე სახელმძღანელოა: **"ვითარ მოვაკვდინოთ გუელვეშაპნი და მოვაშთოთ დრაკონნი ზეცად მფრინავნი"** *(დასხდებიან და წიგნს შუაში დაიდებენ)* მაშ ასე, ვიცით რომ დიდია — შესაბამისად, ზნეც ავი უნდა ჰქონდეს...

ჯანო: მსხვილ სახეობებში ეძებე...

მელისენტა: *(გადაფურცლავს)* აქა სწერია, რომ ***"...თუ მხეცი ესე მახვილკუდაა, ჯერ არს ხელმარცხნივ გვერდზე გასხლტომა დარტყმისა მომაკვდინებლისა აცილებად..."***... დაიმახსოვრებ?

ჯანო: ან-ან... და თუ მახვილკუდა არაა?

მელისენტა: *(კითხულობს)* ***"... და თუ ხმალკუდაა ანთუ ფაშვსა მას ზედა იაგუნდისა ფერი ზოლი გასდევდეს, მაშვინ პირუკუ — ხელმარჯვნივ ეგების თავის განრიდება..."***

ჯანო: და რა ვქნა, გავაღვიძო და ვკითხო, ემანდ მუცელზე იაგუნდისფერი თუ რაღაცა ზოლი ხომ არ გაგდევს-მეთქი?! ვთქვათ და მიპასუხა კიდეც, ზრდილი ვინმე აღმოჩნდა — დაეჯერება?! რო მომატყუოს...

მელისენტა: *(კითხვაშია ჩართული, არაფერი ეყურება)* ***"...ხოლო თუ გუელვეშაპი იგი რქაკუდაა, მარდი სირბილით ხამს გაქაფვა მისი და ძალის მიხდომა..."*** ეს რაღაც მთლად კარგად ვერ გავიგე.

მელიოტი: არცაა საჭირო! მთავარია, ჩვენმა მეიარაღემ იმგვარი მახვილი გასჭედა, კედელს გაიტანს! ორპირაა და ორივ ხელით სახმარი, რაღა თქმა უნდა — სხვა იმის ჯავშანქერცლში ვერც გატანს...

ჯანო: გაიხარე. ისევ ჯობია, სირბილით განცი გავაცალო და იქნებ თავისით ჩაძაღლდეს! ოღონდ მაგის ბედი მე ვინ მომცა.

მელისენტა: ბედს ნუ უჩივი, ჩემო ყველავ, მეწყინება იცოდე!.

ჯანო: თუმცა დაიცა, ნახე აქ კიდე რა წერია: ***"...ნუუკუე მხეცსა მას უცხოსა, დრაკონად ხმობილსა, კუდნი თევზთა მსგავსი აქუნდეთ, უამესია მაღლა-მაღლად ხტომა, დაღა-***

თუმცა ზოგ-ზოგნი მათგანნი ცბიერობენ და ამხტარსა თავიანთი ხანჯალ-კლანჭებით...”

მელისენტა: St. George,[5] შენ გვიშველე და შეგვეწიე!

(მელიოტი უკვე კარში დგას და მოუთმენლობის ნიშნად, დელიკატურად ჩაახველებს რამდენიმეჯერ)

ჯანო: ახლა ერთი კარგი ჯადოსანი თუ მიშველის...

მელისენტა: აბა, გავიქეცი მე! შევეცდები, მაგისტრი მარლაგრამი ვიპოვო სადმე!

(სასწრაფოდ გადიან; შემოდის მეიარაღე, ორი ჯანოსხელა მახვილი აქვს ზურგზე გადებული)

მეიარ.: მაგარი რამის რამეა, ღმერთი ნუ გამიწყრება! ბუმბულს გააპობს შუაზე!

ჯანო: საქათმეთში კი არ მივდივარ... შენ ისა თქვი, გველეშაპის ქერცლს თუ უზამს რამეს?

მეიარ.: აბა რა გითხრათ, ელიას მადლმა, თუ ხსენებული გველეშაპი ხმალკუდაა ან თუნდაც რქაკუდა, კიდე არი შანსი...

ჯანო: კარგი რა, დაახვიე აქედან!

მეიარ.: გარნა თუ წალდკუდაა ანდა გინდაცა ჭახრაკკუდა...

(ჯანო ყურებში თითებს დაიცობს და “თავო ჩემოს” ღიღინს მოჰყვება)

---

[5] წმინდაო გიორგი *(მთარგმნ. შენ.)*

ხასხასა მდელო ტყის პირას; ხავსმოდებულ ქვაზე დილერი გოგიტა ჩამომჯდარა; "შავი პანტერას" კოლოფიდან უკანასკნელ სიგარილიოს დანანებით დააძრობს და ნაღვლიანი სახით გააფუილებს. მოშორებით, ერთი ასწლოვანი მუხის ქვეშ, გველეშაპის თავი მოჩანს. აუტანლად ხვრინავს, ნესტოებიდან წარამარა გამოსდის ცეცხლოვანი გამონაბოლქვი.

ბილიკზე ლიკა და ზუკა გამოჩნდებიან; **დ.გ**. მისაგებებლად წამოხტება და უფრო ლიკას უღიმის, რატომღაც.

დ.გ.: დილა მშვიდობისა! როგორ გეძინათ?

ზუკა: საზიზღრად! გზა აგვერია და ვიღაცის მიტოვებულ ქოხში მოგვიწია ღამის გათევა! რა უბედურებაა...

*(ლიკა ინტერესით აათვალ-ჩაათვალიერებს **დ.გ**.-ს უცნაურ სამოსს — თანამედროვე ზმანებისა და შუასაუკუნეებისდროინდელი Fashion-ის ძაან მაზალო რამ ნაზავია)*

ლიკა: *(კეკლუცად)* ბოდიში, თქვენ ჩვენთაგანი ხართ თუ იმათგანი?

დ.გ.: *(გაბადრული სახით)* დილერი გოგიტა, თქვენის ნებართვით...

ლიკა: უიმე, აკი გიცნობთ! თქვენ ის პროდიუსერი არა ხართ, ხეზე გასულ ვირზე რომ გამოუშვა ფილმი?!

დ.გ.: აჰა! ძლივს არ ვნახე ვიღაც, ეგ რო აქ ნანახი?. თანაც თქვენისთანა მომხიბვლელ მაყურებელს...

ლიკა: არა, მართლა *<u>არაჩვეულებრივი</u>* იყო, ნამდვილად! ოღონდ ბოლოს ვერ გავიგე, ის ვირი მართლა გავიდა იმ ხეზე?!

დ.გ.: ე-ე... როგორ გითხრათ — აი, საავტორო ფილმის კონცეფციიდან გამომდინარე, ტემპლეიტური აზროვნების დურაციისას, შეიძლება ითქვას რომ კი — ანუ, საქსეს-ორიენტირებული არსება ეგზისტენციურად ყოველთვის მიილტვის და აღწევს კიდეც დასახულ მიზანს!

ზუკა: *(მცირეოდნავი გაღიზიანებით)* ბ-ნი ერმიკო თუა აქ?

დ.გ.: იყო, კი! გუშინ თითო თლაშო დავკარით აქვე ერთ მოფარებულ სამიკიტნოში... მერე ეტყობა, რაღაც ჯადო გაუკეთეს და უეცრად, თვალსა და ხელს შუა არ გამიქრა!

ლიკა: არ მითხრათ ახლა, აქ ჯადოქრებიც არიანო!

დ.გ.: რა მოხდა რა — აქ ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია... მიეჩვევით. აი, ამ ხვლიკს მოვუვლი და ბ-ნ ერმიკოსაც მოგიძებნით, არ დაიდარდოთ!

ზუკა: *(ეჭვიანად)* რა ხვლიკს?

დ.გ.: აგერ, ა — იმ დიდრონი მუხის ქვეშ ხვრინავს.

ლიკა: ნუ, რა *<u>არჩვეულებრივია!</u>* მეგონა, დიდი ხნის წინ გადაშენდნენ — "დისკავერიში" ვნახე...

დ.გ.: *(საქმის ცოდნით)* ეგ დინოზავრებზე იქნებოდა, ეს კიდე ნაღდი გველეშაპია და სერ ჯანომ უნდა განგმიროს... აჰა, სიტყვაზე — ჩვენი ჯანოც გამოჩნდა!

(ბილიკზე ჯანო მოდის, ფეხათრევით, ცალ ხელში ფოლიანტი უჭირავს, მეორეთი უზარმაზარ მახვილს მოახოხიალებს)

ზუკა: ასეც ვფიქრობდი! მაგას ჯერ ესკიზიც არ დაუმთავრებია, ეგ კიდე აქ გველეშაპებთან... შვებულება კი აგვისტოში ერგება...

ლიკა: *(თვალების ჟუჟუნით)* გოგიტა ბატონო, რამე რო იყოს, წესიერმა ტურისტმა რა უნდა ნახოს აქ პირველ რიგში? ალბათ, ციხე-კოშკი? გზას ხომ ვერ...

დ.გ.: რაზეა ლაპარაკი! აი ამ ბილიკს დაადექით და მეც მალე დაგეწევით, ყველაფერს განახებთ, აქ მე ჩემი ნაცნობები მყავს... ჯერ ოღონდ ორიოდ სიტყვა მაქ ჯანოსთვის სათქმელი.

ლიკა: დიდად დაგვავალებთ... ხომ იცით, უცხო მხარეში რომ ვინმე ახლობელს ნახავ... *(ზუკას, თეატრალური ჩურჩულით)* ნუ, რა <u>*არაჩვეულებრივი*</u> ვინმეა, არა?.

ზუკა: არ ვიცი, არ ვიცი... *(მიდიან)*

(შემოდის ჯანო)

ჯანო: რას შვება ეგ ჩემის დრაკონისშვილი, აღარ იღვიძებს?

დ.გ.: შენც რა გეჩქარება რა... თანაც წესი ეგეთია, უნდა გააღვიძო და ბრძოლაში გამოიწვიო.

ჯანო: წესები არა... გამომიჩნდა ესეც კუინსბერის მარკიზი! ისე, რომელ სახეობას განეკუთვნება, თუ იცი?

დ.გ.: უხერხემლო გაზისებრთა ოჯახისა არ უნდა იყოს, ასე მგონია... აბა ჰე, არ შეგვარცხვინო! *(ბილიკზე დაგაზავს)*

(ჯანო მახვილის ვადას ორივე ხელით ჩაებღუჯება, ნაბიჯს წინ წარსდგამს და ცდილობს, ხმაშიც ლითონი გაურიოს)

ჯანო: შენ ეი, ისა... დამიგდე ყური! ალაგობრივ უნდა შევერკინოთ!!. თუ როგორცაა... ოღონდ ისა... პირველ სისხლამდე — მოსულა? აბა მართლა თავს ხო არ შევაკლავთ ერთმანეთს! წყლის დალევას შენ არავის უშლი ბოლო-ბოლო და არც გოგოებს ჭამ... მე კიდე, ხელმწიფის სიძე რომ გავხდები, მერე ნახე ჩემგან შენი პატივისცემა! ჰა, რას იტყვი?

(გველეშაპმა თეფშისტოლა ცალი თვალი გაახილა და ამოიქშინა; ჯანოს ცოტა ნირი წაუხდა, წინ წადგმულ იმ ერთ ნაბიჯს ახლა ორი უკან გადადგმული გამოაკლო)

ჯანო: ჰო, რა იყო, რა ვთქვი ისეთი?! ორი-სამი რაუნდი, გასახურებლად... თუმცა ამას კიდე რაღა გახურება ჭირდება... სამაგიეროდ, ძაან ბევრს ეწევი და ცოტა თათების განძრევაც მოგიხდებოდა...

გველეშაპი: მორჩი ახლა, ჯანო-ბიჭი, ჩემი მეყოფა...

ჯანო: *(ყბა ჩამოუვარდა)* რა ბრძანეთ?!.

გველეშაპი: მე ვარ, ერმიკო...

ჯანო: ვინ... მანდ რას აკეთებთ, ერმიკო ბატონო — გველეშაპის ფაშვში?!

ბ-ნი ერმიკო: *(გაღიზიანებული ხმით)* მე კი არა ვარ გველეშაპის მუცელში, თავად ვარ გველეშაპი! და არ დამიწყო ახლა ლაი-ლაი — შენ გგონია, დიდი კაი რამეა ეს გველეშაპობა?! კუჭში მძმარავს, ყელი ჩახეული მაქ ამდენი ბოლისაგან და 104° სიცხე მიწევს, ქრონიკულად.[6]

ჯანო: *(ვონზე ვერ მოდის ბოლომდე)* ეგ როგორ... რანაირად?

[6] იგულისხმება, ფარენჰეიტით – ანუ 40° ცელსიუსით (მთარგ. შენ.)

ბ-ნი ერმიკო: სულ იმ გაიძვერა მალგრამის ოინებია! ჯერ გოგიტას მისდგა და მეწამულ რაინდად აქცია, მერე მე — გველეშაპად... ამაზრზენი ტიპია!

ჯანო: გამოდის, ახლა თქვენ უნდა მოგკლათ?!

ბ-ნი ერმიკო: ე-ე, დაიცა ახლა — ხომ იცი, ყოველთვის გაფასებდი, შვებულების მერე ხელფასების მომატებაც იგეგმებოდა და საერთოდ...

ჯანო: ახლა რა ვქნა?

ბ-ნი ერმიკო: შვილო, რას გადამეკიდე — წადი, სადმე ახლოში ნამდვილი გველეშაპი იქნება და იმას გაუსწორე ანგარიში...

ჯანო: ბ-ნო ერმიკო, სასახლეში სწორედ <u>ამ</u> გველეშაპის თავს ელიან...

ბ-ნი ჯანო: კაცო, თუ ჯადოს ამხსნიან და ისევ იმ ერმიკოდ ვიქცევი, ამის ტყავი და მოჭრილი თავი კიდე აქ დარჩება, ვისთვის რაღა მნიშვნელობა აქვს, თავად გველეშაპს რა მოუვიდა?! ჰოდა წადი ახლა, ის ვირთხა მარლაგრამი იპოვე და მიხედოს საქმეს... უთხარი, თუ უნდა სამომავლო პროექტში ჩავისვამ მოწილედ! ანდა სულაც მმართველ საბჭოში შევიყვან — ჩვენს საქმეში ერთი-ორი კარგი ჯადოსანი კი უნდა გვყავდეს, ნამდვილად... დაიცა, ჩემი მდივანი სადაა? *(ხახას დააფჩენს და დაიბღავლებს, საზარლად) თაკო-ო!*

თაკო: *(თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ორგანაიზერით ხელში)*

გისმენთ, ბატონო ერმიკო!

ერმიკო: სასწრაფოდ ერთი წერილი გვაქვს მისაწერი ყველა ჩვენი ბიზნეს-პარტნიორისათვის, უკლებლივ! ჩინურ ცერემონიებსაც შევეშვათ, პირდაპირ დაიწყე: "ბატონებო! მე აქ, პირადორის მხარეს, ერთი პატარა უსიამოვნება შემემთხვა, ოღონდ..." რა თვალებს აპარპალებ, ჯანო?

ჯანო: ერთი საკუთარი თავისათვის შეგახედათ, გველეშაპი რო საკუთარ მდივან გოგოს წერილს კარნახობს და მაშინ გნახავდით...

ბ-ნი ერმიკო: მიდი, მიდი — დრო ფულია! ის ბებრუხანა მოძებნე და მომიხერხოს რამე. შენც მიეხმარე, დი-ჯი.

დ.გ.: ე-ე... ერმიკო ბატონო, მეცნიერებისა და მომავალი თაობებისათვის... ე-ე... მაინც რომელ ჯიშს განეკუთვნებით?

ბ-ნი ერმიკო: *(ცუდად შენიღბული პატივმოყვარეობით)* გოლიათ ცელაკუდა დაცეცხლისმრქვეველთა გვარისა — ე.წ. Gigantus Rex, მაშ! ჰო, სად გავჩერდით, თაკო?

თაკო: "ოღონდ..."

ბ-ნი ერმიკო: "...ოღონდ თუ საქმე ალჩუზე დამიჯდა, მერე მე ვიცი... უდიდესი პერსპექტივებია და ჩვენი ფირმაც რეორგანიზაციას საჭიროებს, ახალი რეალიების კვალად. ჯადოქარ-ჯადოსნების ნაკლებობა აქ არ იგრძნობა და ზოგიერთი მათგანის საბჭოს სრულუფლებიან წევრად შემოყვანაც არ იქნებოდა ურიგო, აქციების შესაბამისი პაკეტით, რაღა თქმა უნდა..."

თაკო: ჯადოქრებიო, სწორედ ასე მოვიხსენიოთ, ბატონო ერმიკო? ვერ გაგვიგებენ...

ბ-ნი ერმიკო: გავაგებინებთ! ვინც არა და — გზაც დამილოცნია...

(ჯანოს და დ.გ.-ს): რა იყო, ბიჭებო? ვერა ხედავთ...

ჯანო: ერთი დელიკატური საკითხია გასარკვევი, ერმიკო-ბატონო: თუ მართლა მოვკალი გველეშაპი, მახვილის პირზე მისი სისხლი უნდა იყოს, თუნდაც შემხმარი... თან მაგათი სისხლი სხვანაირიაო, გამიგია.

დ.გ.: ეგრეა, წყალი არ გაუვა. პატარა ნაკაწრი და...

(ერმიკო-გველეშაპს იქნებ რაღაცის თქმა უნდოდა, ოღონდ ისეთი ბღავილი აღმოხდა, ციხე-კოშკში უეჭველად იფიქრებდნენ, სულს ღაფავსო)

ჯანო: კარგი ახლა, ერმიკო-ბატონო — საქმე მოითხოვს ასე, თორე მე რა... და ნუ იღრინებით, გაფიცებთ, გოგირდით აყროლდა აქაურობა!

ბ-ნი ერმიკო: რა ჩარაა, სადმე კუდზე გამჩხაპნეთ!

დ.გ.: არაფერი გამოვა — რაღა თქვენი კანი და რაღა "აბრამსის" ჯავშანი! ღრმა ნაჭრილობევია საჭირო...

ბ-ნი ერმიკო: *(დისკუსიით გულგაბეზრებული)* მაიტა აქ! *(უზარმაზარ თათს მახვილს წამოავლებს, პირისაკენ გააქანებს, შუაში გადაკვნეტს და გადმოაფურთხებს)* აჰა თქვენ! ესეც თუ არ ეყოთ საბუთად და აღარ ვიცი... *(კარნახს განაგრძობს):* "...ზოგ სხვას კიდევ ფინანსური ანგარიშგებისა და საგადასახადოსთან ურთიერთობის საკითხებსაც გადავაბარებდი..."

დ.გ.: *(ბილიკს დაადგება)* ა, კაცი! კაჟია ნამდვილი... სხვათა შორის, ეგ ლიკა კიდე რა მასტია?..

<u>სურ.</u> X **სრული არეულობა**

ლიკა: ბატონო გოგიტა, უნდა გამოგიტყდეთ, მთელი ამ ჯადო-გარდასახვებისა ბევრი არაფერი გამეგება და...

დ.გ.: ახლავე ყველაფერს დალაგებით აგიხსნით, ჩემო კარგო! რა პრობლემაა! მალგრამამ რო ნახა, მე და ბ-ნ

ერმიკოს მეფე მელიოტი ჯანოსავით საკანში გვიპირებდა გამომწყვდევას, ჩვენი თავი გამოსთხოვა და ჯადო დაგვადო — თქვენი მონა-მორჩილი მეწამულ რაინდად აქცია, ის კიდე — გველეშაპად. დიდი გამოქექილი ვინმე კია, უნდა ითქვას... ოღონდ არც ბიძამისი — მარლაგრამია ჯაბანი და მის ათიანს ჯვრის ტუზით გადაუჯოკრა...

ლიკა: ოღონდ ტერმინების გარეშე, თუ შეიძლებოდეს — ვერ ვიტან ბრიჯს რომ მიუსხდებიან და...

დ.გ.: ვერც მე! საერთოდ, ბანქო რა კაცის საქმეა, პოკერის გამოკლებით, რაღა თქმა უნდა... კაროჩე, ამ ჩვენმა მოხუცმა იწინასწარმეტყველა: პირადორს ორად-ორი უბედურება ემუქრება — მძვინვარე მეწამული რაინდი და პირსისხლიანი გველეშაპი, და ვინც მათ სძლევს, ქალიც იმას უნდა შევრთოთო. მელიოტ-მეფე, მეტი რა ჩარა იყო, დაეთანხმა და ჯანოც მოახტა თავის ცხენჯოხას, გააჭენ-გამოაჭენა...

ლიკა: ა-ა, ამასაა რომ ზეიმობენ? რას ერჩი, ჯანო ძაან ზმანად კი გამოიყურება...

დ.გ.: აბა, აბა! მელიოტ-მეფეც კი ველარ იტყვის — უხეიროდ აცვიაო...

ლიკა: ვკვდები ისე მაინტერესებს, მელისენტა რას შემოისხამს!

მელიოტი: სადაა ეს გოგო?! ჯერ იყო და თავი წაგვაჭამა, ამ ტიპს უნდა გავყვე ცოლადო, და როცა ჩვენი თანხმობა მიიღო, ახლა სადღაც გაქრა! სუფთა ცხონებული დედამისია!

ვეზირთუხუცესი: *(ძაან ბრძნული სახით)* თქვენო უდიდებულესობავ, მე მუდამ იმ აზრზე გახლდით, რომ ქალები, საზოგადოდ...

მელიოტი: ჩვენც, ჩვენც! ოღონდ ახლა მაგის დრო არაა — ან ქალიშვილი მიპოვე, ან ერთი ჯადოსანი მაინც მომგვარეთ აქ!

რა უბედურებაა — როცა არ გინდა, ფეხებში გედებიან, დაგ-
ჭირდება და — არაა არცერთი...

<u>ინტერმედია</u> **მრგვალ ბაღთან**

(უკვე საღამოვდება; ჯანოს ნაცნობი ხითხითი ჩაესმის და იდუმალი ხმა ეუბ-
ნება, ღვინის სარდაფში ჩადიო... მაშხალას ამოაძრობს კედლის სამაგრიდან,
კიბეებზე ჩადის; ფეხი დაუცდება და... უცებ ხალხმრავალ ქუჩაზე აღ-
მოჩნდება, ქვაფენილზე გართხმული. წამოაყენებენ, ურჩევენ, ნაკლები
დალიეო... მის წინ ტაქსი ჩერდება)

ტაქსისტი: *"მიმაქროლე-ებს ჩემი რაში-ი..."* ჰი-ჰი-ჰი!

ჯანო: მარლაგრამ, თქვენა ხართ?

მელისენტა: კარგი ახლა, საყვარელო — დაჯექი დროზე!

მარლაგრამი: *(როლშია შესული)* საით ინებებთ?

ჯანო: ორი-სამი წრე დაარტყი აქაურობას და მერე პირდაპირ
პირადორში!

*(სწორედ მრგვალი ბაღის გარშემო მესამე წრეზე აჩერებთ
პატრული)*

პატრული: თქვენი საბუთები!

მარლაგრამი: რა პრობლემაა, მეგობარო! რამდენ ცალად? 500 გეყოფათ? *(ჯანოს და მელისენტას):* გუგულებო, ჩვენ კიდე — ჰაიდა პირადორში!

* * *

— მერე კიდე, — უყვებოდა პატრული სერჟანტს, — შოფერმა დასტა ქაღალდები შემომაჩეჩა ხელში და გაქრა... ცარიელი მანქანა, არც ნომრები, არც არაფერი... დედას გეფიცებით, სიმართლეს ვამბობ! ისიც დააყოლა, მახსოვს — ავუდეთ "პირადორშიო"... ოღონდ ეგეთი რესტორანი არ ვიცი...

— მაგიორში, *მე ვიცი* სულ მალე სადაც აუდებ, ეგეთი ბლაყუჩა თუ დამირჩი!..

(მაგრამ, მკითხველო — *რანი ვართ ჩვენ პატრულისთვის,*
ანთუ პატრული — ჩვენთვის? ჩვენ ჩვენს ამბავს მივყვეთ...)

<u>სურ X</u> **ჯადოსნების იდუმალი სერობა**

(მალგრიმისა და მარლაგრამის საგვარეულო სახლი; საუზმის დროა. შემოდის მარლაგრამი.)

მარლაგრამი: ერთი თეფში მანი-ფაფა, დროზე!

(დიდი მათლაფა თვალის დახამხამებაში ჩნდება მის წინ; შემოდის მალგრამი, ისიც სუფრას მიუჯდება)

მალგრამი: შემწვარი იხვი, თავისი საწებლით! და ერთი ბოთლიც ანჟუური ღვინო! *(პაუზა)* შენ რა, არ გეყურება?!

მარლაგრამი: *ჰი-ჰი-ჰი! ჰუ-ჰუ-ჰუ!*

მალგრამი: *(გაცოფებულია)* კარგი რა, ბიძაჩემო! აკი შევთანხმდით, შინაურ საქმეებში...

მარლაგრამი: მერე, პირველმა ვინ დაარღვია ფიცი-მტკიცი? შენა, დისშვილო, შენა! გზა რაზე გადამიჭერი?! ვიღაც მეწამულ რაინდად გადააქციე, ვიღაც — გველეშაპად... რა ეშმაკად გინდოდა?! მერე საბრალო მელისენტა იქითა სამყაროში გადაისროლე მოტყუებით, და ახლა ისევ იქ მომიხდა დაბრუნება და რაღაც უცხენო ფაეტონების მართვა... დავბერდი, ამდენიც კი აღარ შემიძლია!

მალგრამი: მერე, ვინ რას გაძალებთ...

მარლაგრამი: სუ-მეთქი, მოთმინებიდან არ გამომიყვანო! ისე, არ გაინტერესებს, ის შენი გულის მურაზი, ლედი ნინეტი სად გადაიკარგა?

მალგრამი: ბიძაჩემო! არ მითხრათ ახლა...

მარლაგრამი: გეტყვი, რატო არ გეტყვი რა! ციხე-კოშკის წინ, დიდ ტბორზე რო ბატები ბინადრობენ, იმათში ეძებე! *ჰი-ჰი-ჰი!*

მალგრამი: ოხ, შე ბებერო...

მარლაგრამი: სუ! რას მეუზრდელები აქა! ორჯერ ასი ცალი მაინც იქნებიან — წადი და გამოარჩიე! ხვალ დილამდე მოგიწევს ჩალიჩი! ოღონდ თუ წესიერად მოიქცევი, ამ საქმესაც გამაჩარხინებ და ბ-ნ ერმიკო/ გველეშაპსაც...

მალგრამი: ა-ჰა-ა! პრობლემები გაქვთ, ბიძაჩემო?

მარლაგრამი: რაის პრობლემები — შენ რო არ გამომტყვრალიყავი, ყველაფერიც მძივივით მქონდა გაწყობილი![7] ჯვრისწერაც და საერთოდ... ახლა კი მელიოტი ჯა-ჯღანებს — სადაა იმის საბუთი, ჯანო/ჯიორჯიმ თუ მართლა სძლია გველეშაპსო! მოკლედ... აჰა, მალე ჯანო და დი-ჯიც გვესტუმრებიან...

მალგრიმი: რა იცით?

მარლაგრამი: როგორ თუ — რა ვიცი?! ბოლო-ბოლო, ჯადოსანი ვარ თუ რა? აი, შენ კი ჩემამდე ჯერ ბევრი გიკლია... მერე, შვილი რომ გეყოლება, ისიც შენზე კნინი იქნება და ვიქნებით ასე... ჩვენი ხელობა, ბაბა, რეგვენებისთვის კი არაა მოგონილი. ამი-ტომაცაა რომ პროგრესის მაგივრად ახლა რეგრესსა აქვს ალაგი... და რაც უფრო ხანიერია ჯადოსანი, მით უფრო გა-მოირჩევა იგი თავის ამქარში. ასეა ეს.

მალგრამი: მერედა, გესმით ეს რას მოასწავებს? პროცესის არა-დისკრეტულობის შემთხვევაში, სულ რაღაც ასწლეულებია საკმარისი და...

მარლაგრამი: ეგრეა! ჯადოსნები საბრალობელ თვალთმაქცებად გადიქცევიან, ხალხს კი ჩვენი რწმენაც დაეკარგება და რიდიც... მობრძანდით!

(შემოდიან ჯანო და დ.ჯ.)

---

[7] იმხანად გამოთქმა *"საათივით მქონდა აწყობილიო"* – გასაგები მიზეზების გამო, არ არსებობდა (მთარგ. შენ.)

მარლაგრამი: რას ინებებთ?

დ.გ.: ორი ორმაგი მალვაზიის ღვინო, თუ არი შესაძლებლობა...

მარლაგრამი: *(ტაშს შემოკრავს)* ორი თასი მალვაზია, ცქაფად!

(სქელი ლივლივა სითხით სავსე ორი ბარძიმი ციმ-ციმ ჩნდება მაგიდაზე)

დ.გ: აი მესმის, სერვისი-ი! ოღონდ ამათთვის წყვილი სიგარილიოც რომ დაგერთოთ...

მალგრამი: *(დანანებით)* უკვე ვცადე, არაფერი გამოდის... დროითსივრცითი კონტინიუმის მოცემულ მონაკვეთში მატერიალურ ფასეულობათა... მოკლედ, ჯერ რამდენიმე საუკუნე კიდე უნდა გავიდეს, ეგრეა.

დ.გ: ე-ეჰ, *არაა სრულყოფილება დედამიწაზეო* — თქვა მელაკუდამ... თქვენ გაგიმარჯოთ! *(ბარძიმს მოიყუდებს)*

ჯანო: ახლა ისა... როგორ იქნება ჩვენი საქმე? ფაქტია, ბატონ ერმიკოს ჯადო უნდა ავხსნათ როგორმე — მელიოტი არაფრით იჯერებს, მე რომ გველეშაპს ვძლიე. არადა, ბრძოლაში რო ვიწვევდი, რა ვიცოდი თუ ნამდვილი არ იყო? ასე რომ, ისეთი მატყუარაც არ გამოვდივარ, რამე რო იყოს...

დ.გ.: ცხადია, ჩვენი ძმა! ორთქმავლისა და ნიანგის ემაგ ნაჯვარს ბ-ნ ერმიკოს ვინ მიამსგავსებდა! ე.ი. ნამდვილი გმირი ხარ — წყალი არ გაუვა! ის კიდე წევს ახლა იქ და მდივანს წერილებს კარნახობს — გადაირევი კაცი...

მარლაგრამი: მორჩი წუწუნს! მე აქ ფირმა უნდა გავხსნა და იკასთანაც ყველაფერზე მოვილაპარაკეთ უკვე, ასე რომ ის კაცი მე თქვენზე ნაკლებ არა მჭირდება! ოღონდ ეგაა რომ...

მალგრამი: ბატონებო, საქმე ის გახლავთ, ბიძაჩემს ჩემი დახმარების იმედი აქვს... მე კიდე მხოლოდ მაშინ გამოვიღებ ხელს, თუ ამ ახალი კომპანიის საბჭოში შემიყვანენ და... ნინეტსაც დამიბრუნებენ!

(ყველასათვის მოულოდნელად, შუა ოთახში მელისენტა ჩნდება)

მელისენტა: მოგესალმებით, ბატონებო! მართლა შეთქმულებივით არ გამოიყურებით? ერთი მამაჩემს ენახეთ!

მალგრამი/მარლაგრამი: *(ერთ ხმაში)* დაიცათ, აქ საიდან გაჩნდით?

მალრაგრამი: არავის ძალუძს აქ შემოღწევა, თვინიერ ჩვენი ნებართვისა!

მალგრამი: ჯადისნები ვართ, ბოლო-ბოლო — ჩვენი სიტყვა საკუთარ სახლში მაინც ჭრის, ჯერ კიდე!

მელისენტა: *(იღიმება, მომხიბვლელად)* ახლახან ჩემი დეიდაშვილი მესტუმრა, ფერია მორგანას მოწაფეა...

მალგრამ/მალრაგრამი: ესღა გვაკლდა!

მალგრამი: ავალონის ბოლო სრულუფლებიან კონფერენციაზე ეს ტერიტორიები ჩვენს განმგებლობაში გადმოვიდა, ერთიანად...

მალრაგრამი: ქალების ამბავი არ იცი, მაგათთვის სიტყვა და საქმე... *(დამსწრეებს)* ჩვენ ბოდიში, მცირე ხნით... თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ... *(გაქრებიან).*

მელისენტა: უ-უჰ! ესეც ასე! როგორა ხარ, ჯანო? არ მოგენატრე?

ჯანო: მაგარი ხარ, მეტა!

მელისენტა: არავითარი დეიდაშვილი მე არა მყავს და აქაც სულ უპრობლემოდ შემოვედი — მაგათ მცველ სულებს, ეტყობა, წათვლიმათ...

დ.გ.: ფრთხილად იყავ მეგობარო, ფრთხილადა... ნებისმიერი ქალს შეუძლია კუდიანად გადაიქცეს, თუ მოინდომა... ჰო, რას ვამბობდი? მოდი ერთი, ამ უჩინარ ლაქიას დავებაზრები, ეგება მეც გამოვრჩე რამეს... *(მაგიდის კიდეს დააშტერდება, მერე — მბრძანებლურის ხმით):* კიდე ერთი დიდი თასი მალვაზია, ტემპში!

(თქმაა და თავზე მთელი დოქი ღვინო გადაესხმება, საიდანღაც დემონიური ხარხარი ისმის. დი-ჯი თავს ძლივს იკავებს, მელისენტას დანდასწრებით ერთი გემოზე არ შეიკურთხოს)

მელისენტა: კარგით რა, თქვენც რა პატარა ბავშვივით იქცევით — ცოტაც მოგეთმინათ, მასპინძლების დაბრუნებამდე... ჯანო, ძვირფასო — როგორც კი მთელი ეს არეულობა დალაგდება, ქორწილი უნდა დავთქვათ და ჩემი საქორწილო კაბის საკითხიც...

ჯანო: კაბის ამბავი შენ უკეთ იცი, ჩემო...

მელისენტა: რა თქმა უნდა ვიცი, მაგაზე არც იდარდო.

ჯანო: ქორწილი კი შერეული უნდა იყოს, ასე მგონია — ისე შეერია ერთმანეთს ეს ორი სამყარო, ამათი გაყოფა ახლა აღარც გამოვა!

დ.გ.: *(ამასობაში თმების გამშრალება, ჰერანგის გახდა და მალგრამის გარდერობიდან რაღაც მოსასხამის დათრევაც მოუსწრია)*

კარგი აზრია — ახალ კომპანიასაც წაადგება...

(უეცრად ისევ ჩამობნელდება, ჰაერი ერთი შეირყევა და ორი ჯადოსანი წყვილად დაერჭობა შუაგულ ოთახში; მძიმე-მძიმედ კი

სუნთქავენ, ნაჯაფარი ხალხივით, ოღონდ სახეებზე მაინც კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებთ)

მარლაგრამი: სუფთად ვიმუშავეთ, მერლინის მზემ! *ჰი-ჰი-ჰი!* ბ-ნი ერმიკოცახლავე აქ გაჩნდება. გველეშაპის მხოლოდ თავი დავტოვეთ მდელოზე, მელიოტის თვალის გასახარად...

მელისენტა: მე კიდე ბოდიში უნდა მოგიხადოთ, სულელურად ვიხუმრე... აი, ფერია მორგანას... რა იყო, რას მიყურებთ?

მალგრიმი: სულ ერთი დღით შეგეშალათ, მეფის ასულო! მართლა აქეთ მოფრინავს, ხვალისთვის ველით... ახალგაზრდები ახლა, მოგეხსენებათ, ბევრად სწრაფად დაფრინავენ, არაფერს ერიდებიან. ჰო, ისა... ჯანო უნახავს თავის ჯადოსნურ სარკეში და ფრიად დაინტერესებულა! ხომ არ გამაცნობთო, შემოგვითვალა...

მელისენტა: კიდევ რა უნდა?! ვერ მიართვეს! ნახა სარკეში და ეყოფა... აქ კი მე მნახავს, ძაან თუ გამოიდო თავი! წამოდი, ჯანო — მამაჩემს უნდა მოველაპარაკოთ ქორწილის თაობაზე!.

(გადიან. წამსვე შემოდის ბ-ნი ერმიკო, ძაან საქმიანი უჭირავს და პირდაპირ მაგიდის თავში იკავებს ადგილს)

ბ-ნი ერმიკო: აბა, ბატონებო, სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, თითო ხომ არ — ჰა?.

მალგრამი: ბატონი ბრძანდებით!

მარლაგრამი: რატომაც არა!

დ.გ.: ა, კაცი! ოღონდ ყოველგვარი თქვენი ჯადოხრიკების გარეშე, თუ შეიძლებოდეს...

მალგრიმი: ადვილი სამსახურია!

(ცალი ხელისგულით ორჯერ შემოჰკრავს ტაშს და შემოდის ტანო)

დ.გ.: ასე არ ჯობია? თქვენდამი სრული პატივისცემის მიუხედავად, უნდა შევნიშნო რომ ჯადოსნობაშიც ხანდახან ზომიერებაა საჭირო... ცუნცულ, თითო კათხა ორმაგი გინესი ყველას!

მარლაგრამი: ახლა, თავმჯდომარეობას ვინ კისრულობს? არჩევანი მე! *ჰი-ჰი-ჰი!* უფროსი ვარ ყველაზე!

მალგრამი: იყავით ბატონო, ვინ გიშლით... მაშ ასე, ბ-ნო ერმიკო: ჩვენ, ორი ჯადოსანი, მმართველ საბჭოში შევდივართ სრული პაკეტით. კომპანია ოდნავ იცვლის სახელს და იწოდება როგორც ***მალრავრამი, მალგრამი, ერმიკო & Co...***

ბ-ნი ერმიკო: არავითარ შემთხვევაში! სარეკლამო ბიზნესში, შეიძლება ითქვას, ჭიპი მაქვს მოჭრილი, საკმაოდაც მიცნობენ და ვერაფრით მოგცემთ უფლებას, *თქვენი* სახელი ჩემსაზე წინ დააყენოთ! წინადადება შემომაქვს, ვიწოდებოდეთ როგორც ***მარლავრამი, ერმიკო, მალგრამი & Co.***

ყველანი ერთხმად: მიღებულია!

მარლაგრამი: ჩემი წინადადებაა, ბ-ნი გოგიტა ჩვენი ტურისტული სააგენტოს მთავარ რეგიონალურ მენეჯერად დაინიშნოს...

დ.გ.: აქ მტოვებთ — სამარადჟამოდ?! დიდი სიამოვნებით.

მარლაგრამი: და აი კიდევ რა — რასაც პირადორის ქსელი მოგებას მოგვცემს, თანაბრად გაგვიყვია, ოღონდ შოტლანდიიდან 70% ჩემია — მე იქ ჩემი კავშირები მაქვს...

მალგრამი: *(ცქვიტად)* მე კიდე უელსსა და ორკნეის კუნძულებზე მაქ ჩემი პრეტენზიები! თუ 60%-ზე ნაკლები მერგო, ყაბულს არა ვარ!

ბ-ნი ერმიკო: უფ. თავმჯდომარევ! უნდა მოგახსენოთ, ასე ჩემი ტვინი ვერ იმუშავებს — ერთი კარგი გაბოლების გარეშე... ვერაფრით დავიჯერებ, რომ თქვენი დონისა და გაქანების ორ ჯადოსანს, ერთიანი ძალისხმევით...

მარლაგრამი: ეგეც არი რა, ნიუტონის ბინომი! აბა, კოლლეგა, მე შემომიდექ!

(ორივენი თვალებს მილულავენ, რაღაცას ჩაიბურდღუნებენ და მაგიდაზე ორი მომცრო, წვრილი სიგარა თუ სიგარილიო ეცემა)

დ.გ.: აჰა! შეგძლებიათ, თუ მოინდომებთ! *(ღიღინებს)* "თუ-თუ-თუ, თუ-თუ- თუ, მოინდომებს კაცი..."

ბ-ნი ერმიკო: *(ყნოსავს)* ბრაზილიურია... რას ერჩი, უარესებიც მომიწევია. მომიკიდე ერთი!

(სულ მალე ოთახში ლურჯი კვამლი დადგა და საქმეც დაიძრა)

<u>მოქ. V</u> **საქორწინო ლხინი**

სიმართლე ითქვას და, ამ კატეგორიის სირთულის ჯადოსნობის გაწევა ბიძა-დისშვილს აქამდე არც მოსწევიათ — საქმე იქამდე მივიდა, ფერია მორგანასაც კი შეუამხანაგდნენ — აქაოდა, კეთილი საქმისათვისო; თანაც ხუმრობა ამბავია — მთლად მიღმასამყაროელებს ვატანთ ქალს, ემანდ

არ შევრცხვეთო... ჯერ იყო და მაგიდების მისადგმელად ორი სამყაროს გაერთიანება გახდა საჭირო — მეფე მელიოტის ბუხრის დარბაზიდან ვიდრე ბ-ნი ერმიკოს კაბინეტამდე, ჩათვლით. აქეთა მხარეს სუფრა ევროპულად იყო გაწყობილი — მკაცრ სტილში, სტუმრებიცა და მიმტანებიც სულ შავ-თეთრ ფერებში იყვნენ გადაწყვეტილნი, კბილის გასაკრავად კი ბუტერბროდები და ნამცხვრის ციცქნა ნაჭრები ჩამოერიგებინათ, ლამაზად. სამაგიეროდ პირადორის მხარეს მუხის მაგიდებს სულ ჭრიალი გაუდიოდათ: ეს ტახის შებოლილი თავებიო, ეს თხილითა და კომშით ფარშირებული გედები თუ ფარშევანგებიო, ირმის შაშხის 5, ლორის 10 და ძეხვის 12-ნაირი სახეობაო, თაფლში ჩაწყობილი ნუშიო, დაშაქრული ვაშლიო, ათასნაირი ჩირი და ტკბილეულობა... დოქების, კათხების, თასების, ფიალებისა და ყანწების ხომ მთელი გროვა იდგა! სამოსიც ისეთი შეერჩიათ, თვალი აგიჭრელდებოდა კაცს — დიბა-ატლასი, ტყავი და ოქრომკედი, ნაქარგი თუ რიოშ-ნამდვილი მარგალიტებით მოოჭვილი მოსასხამები, თავსაბურავები, გამჭვირვალე პირბადეები თუ თმებზე გვირგვინად დადებული ყვავილწნულები... გულამოღებულ კაბებზე ხომ სიტყვას აღარ ვძრავთ.

დილერმა გოგიტამ — ე-ე, მაპათიეთ, *გოგიტა მენეჯერმა* ადრევე გათვალა, გაისარჯა და ლიკასთან ერთად ახლა სუფრის იქითა მხარეს გახლდათ წამოჭიმული, საპატიო სტუმრის სტატუსით. დედოფალი, გრძელზე-უგრძეს მეწამულშლეიფიან საქორწინო კაბაში, მართლაც რომ ზღაპრულ პრინცესას ჰგავდა და იყო კიდეც, ბოლო-ბოლო! ჯანოს, როგორც რომ ყველა სასიძოს ამქვეყნად *(და ეტყობა, იმქვეყნადაც)* მცირეოდნავ გაკვირვებულ-გამოშტერებული მზერა ჰქონდა, ხოლო უკვე გვარიანად შექეიფიანებული მელიოტ-მეფე გულთბილად უღიმოდა ვიღაც უცნობ და მისთვის *სრულიად* გაუგებრად ჩაცმულ პიროვნებებს...

ბ-ნი ერმიკო: *(ერთხანობაა, ცდილობს ცალკე გვერდებარეული ჩანაწერები მიუსადაგოს ერთმანეთს, ცალკე — პნევმატური ჩაქუჩების ხრიგინი გადაფაროს):*

... და იმას მოგახსენებდით, რომ... ე-ე... რაკი არაფრით მეგონა, თუკი მე მომანდობდით მისალოცი სიტყვის წარმოთქმას... ე-ე... მინდა ჩვენს ახლადშეძენილ პირადორელ მეგობრებს... ასე ვთქვათ... თუკი ოდესმე დაგვდებენ პატივს და გვესტუმრებიან... მთელის გულითა და სულით... ე-ე... ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა მთელი სიგრძე-სიგანით გადავუშალოთ... როგორც იტყვიან, თვალნათლივ დავანახოთ ცივილიზაციის მიღწევები და ასე ვთქვათ, გამოცდილება გავუზიაროთ... ე-ე... და ახლა ნება მიბოძეთ...

(სწორედ ამ დროს ჩაქუჩების ორკესტრი in toto აგუგუნდება და ბ-ნი ერმიკოც თეთრ ხელსაწმენდს დაახეთქებს მაგიდას... მერე მოწყვეტით დაეშვება სკამზე)

მელიოტ-მეფე: *(ფრიად ნაამები სახით)* ძალიან კარგი! ახლა მაგისტრ მარლაგრამს ვაძლევთ სიტყვას!

მარლაგრამი: *(სკამზე შეხტება)* თქვენო უდიდებულესობავ, ბატონებო და ქალბატონებო! ჩვენი ძმა ერმიკოს ნახევარსაათიანი მოხსენების მერე, შეიძლება ითქვას, არც არაფერია დასამატებელი! და თუკი თავად ან ვინმე მისიანს ყელში ამოუვა ეს მისი ნაქები პროგრესი — *ჰი-ჰი-ჰი!* — ხმაურისაგან თავი ატკივდება, სუფთა ჰაერი მოენატრება და რიგიანი საჭმელ-სასმელი, წყნარი საუბარი და ტკბილი ძილი — ვთხოვთ ჩვენსა, პირადორში გადმობრძანდეს... ასე ვთქვათ, კეთილი გულითა და აუმღვრეველი გონებით ვეპატიჟებით, *ჰუ-ჰუ-ჰუ!..*

(ისევ თავის სკამზე მოკალათდება, ყველა ტაშს უკრავს, მხოლოდ მალგრიმი გადახედავს ამრეზით)

მალგრამი: სიტყვას გიწუნებთ, ბიძაჩემო — არც სტილი გივარგათ, არც მხატვრული სახეები... სიტყვადქმნადობის არარსებობაზე აღარას ვამბობ!.

(გვერდზე მჯდომი ნინეტი ექაჩება სახელოზე და აჩუმებს)

მელიოტ-მეფე: სიძე-პატარძლის სადღეგრძელოს სერ მენეჯერი გოგიტა წარსთქვამს, ვიდრე სულ არ ჩაბუჟბუჟებულა... მიმიხედეთ ერთი!

*(**მ.გ.** ლიკას დახმარებით წამოდგება ფეხზე, ჯერ თონეში შემწვარი ტახის ხელუხლებელ თავს მიაშტერედება, მერე დამსწრე საზოგადოებას მოავლებს თვალს)*

მ.გ.: თქვენო ე-ე... აღმატებულებავ, ძვირფასო მელისენტა და ჯანო, ჩემო მეგობარო! და თქვენც ყველა, რა თქმა უნდა...

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, გამიგია, თუმცა ზოგ-ზოგს ამას რას გააგებინებ... აი, ნეფე-დეოფალმა გადაწყვიტეს, ორივე ამ სამყაროში გვინდა ცხოვრებაო... აგაშენათ ღმერთმა! ასე არ ჯობია? და ჩვენც ასევე, ჩვენც ასევე!..

(თვალებს ისე დააბრიალებს მარჯვნივ-მარცხნივ, თითქოსდა ედავებოდეს ვინმე)

კარგად მახსოვს ის დრო, როცა ხალხი ბნელი იყო და უმტკიცებდნენ — სამყარო მხოლოდ ერთიაო, მატერიალურად... ე-ენდე! არა, განსხვავებაც არის, რაღა თქმა უნდა — მაგრამ სულ ერთი დღით! აი ამ სუფრის იმ ბოლოს სამშაბათია, იმ სუფრის ამ ბოლოში კი — ოთხშაბათი... და რა მერე?! დიდი ამბავი! სულაც ორი შობა და ორი ახალი წელი არა გვაქვს?! და საერთოდ, ერთია ეგ — შობა-ახალიწელი ქვია, მორჩა და გათავდა! გაგვიმარჯოს! ე-ე... მინდოდა მეთქვა — ***Prosit!***

(ყველანი ფეხზე წამოდგებიან და გაბედნიერებულებისა სვამენ; ორივემხრივ ისმის ყვირილი — Hurrah! და "მრავალჟამიერ!")

ჯანო: მადლობა ყველას... თქვენზე უკეთ მესმის, რომ მშვენიერი პრინცესას ღირსი მე არა ვარ...

(სუფრა არ ეთანხმება, ისმის ხალხის გუგუნი)

არც ისეთი მამაცი ვარ, არც ისეთი მომხიბვლელი... სამეფო კარის საკადრის უნარ-ჩვევებშიც მოვიკოჭლებ...

(სუფრა დუმს)

უბრალოდ, გამიმართლა და ეს არაჩვეულებრივი დღე რომ გამითენდა, მაშინათვე მივხვდი — ჩვენი ძველი, კეთილი 31 ივნისი დამდგარიყო...

(სუფრა კმაყოფილებას გამოხატავს)

მელიოტ-მეფე: *(მცირეოდნავ იჭვნეულად)* ახლა, თუ ღვთის ნებაც იქნა, ჩვენი კარის სასიქადულო მგოსანი, მეტრ ლემისონი დაგვიმღერებს რომანსს *"შავმა რაინდმა..."*

მორჩა, ამით უნდა დავამთავროთ — როგორც რომ მავანი იტყოდა:

"მეყოლეთ ვარდივით..."

ეს ეჩთი ფა...

სწორედ ამ რუბრიკით შემოგთავაზეთ შარშან თინათინ თოფურიას ერთი ვრცელი მოთხრობა, (მოგეხსენებათ, *მოკლედ* წერა დამწყებისათვის ისევე ძნელია, როგორც ვთქვათ, ზოგადად სონეტის თარგმნაა) ახლა კი იგივეს ვიტყვით — კონკურსის პირობებით გათვალისწინებულ 10 საუკეთესოთა სიაში მოხვედრის შემდეგ — "ეს ერთი და სხვა მრავალი!"

ოღონდაც, კასრ თაფლს ჩვენში რატომღაც ყოველთვის გამოერევა ხოლმე კოვზი კუპრი და ჩვენც ის გვინდა, ათასგვარ კონკურს/პრემიებმა არამი გავლენა არ იქონიოს: მართალია, მათ შორის განსხვავებაც შეინიშნება (კონკურსებს *იგებენ,* პრემიებს — *არიგებენ*) მაგრამ ამასაც აქვს მედლის მეორე მხარე, ანუ — როგორცა ძველი ლათინები იტყოდნენ — quid victor — *ვინ დაჯაბნე?.*

საქმეც ისაა, ამა კონკურსის უსტაბაშებმა ათივე საუკეთესო ერთ კრებულად დასტამბეს გრიფით "წერო", აქ კი ისევ ფელინის იმ ფილმის სახელწოდება გაგახსენდება კაცს — წიგნის ტექსტის $8^{1/2}$ შეშლილებზეა და... ვაითუ მათსავე მიერ შეფასებული! გასაგებია, რომ ერთის სათაური წმინდა წყლის ეპატაჟია და სხვა არაფერი (*à la "მთვარე, მაკოცე ტრაკზე!"*), მეორის შინაარსი — იმის ნაწერია, ვისაც სათქმელი არაფერი აქვს; მესამის გადაკითხვისთანავე ცხადი ხდება, რომ მაგის დამწერს 2 წიგნი არა აქვს ამ საუკუნეში წაკითხული (და ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ე.ი. სიცოცხლეშიც...) თუმცა ასეთი რამ ჩვენში ცოდვად არასოდეს ითვლებოდა — ერთი ასეთი კალმოსანის ანეკდოტად ქცეულ ნათქვამს გაგახსენებთ: *მე ბაბა, მწერალი ვარ, მკითხველი კი არაო!* ოღონდ როცა <u>ახალგაზრდა</u> (ე.ი. 60 წლამდე ასაკისა, მერე კი — ჰოპ-ჰოპ და გინდა-არგინდა, უკვე *ცნობილად* უნდა მოიხსენიო), მომწერლო ელემენტი თხრობას ასე იწყებს — "კაცს თავზე შრამი (sic!) აჩნდა..." — ეს არც ზოგადად ჩვენი მწერლობის უნიათობის ბრალია და არც ამ ახალბედას გამწვრთნელია მოსაკლავი — ვინც "წეროდ" სახელდებული კონკურსის მსაჯულ-განმსჯელები დააფინანსა, ისაა ტყავგასაძრობი!

ისე, 10-იდან ერთმა ხომ მაინც ივარგა, ასე გვგონია და ვბეჭდავთ კიდეც ამ ჩვენი ალმანახის ფურცლებზე, და იქნებ დარჩენილი 9 ცალის იმ ნახევარმაც ივარგოს ოდესმე...

ღმერთმანი, არც მთლად ასეთი გულარძნილი ვინმეები ვართ, მართლა გაგვიხარდება!

წითელი წიგნი

ანუ

the things you let go...

I

წინასწარ რას წარმოიდგენ, რომ ერთ მშვენიერ საღამოს *პეროვის* ჩაბნელებულ ბარში შესული, ვიღაც ქალთან მიყუჟულ მამაშენს გადაეყრები... ნესტოებდაბერილი წაიბურდღუნებს — *მაშო! შენ აქ საიდან..?!* ენა ხახას მიგეკვრება და პირიდან ცხარე ლუკმასავით გადმოაგდებ — *შენ?* ზურგს უკან დაბნეული მეგობრები ნელინელ გასასვლელისკენ დაიძვრებიან, ის ვიღაც ქალი კი, მთლად არეული, თვალს მაგიდას გაუშტერებს — მიემზერყინება:

ორი ჭიქა, ერთი საფერფლე, ორი ნამცხვარი, თეთრი სუფრა, ვანოს ხელი, ხელში სანთებელა, ლურჯი სანთებელა...

— მეგობრებთან ერთად ხარ?.. ჩვენთან ხომ არ ჩამოჯდებოდი... გაიცანი — თამარი, ჩვენი საფინანსო განყოფილების ბურჯი! თამრიკოს გარეშეე...

აქებს კიდეც.

ქალი უხეიროდ იცინის და მერე *კაი ვანო ერთი შენ კიდეო...*

— თამარ, ეს ჩემი გოგოა, რომ გიყვებოდი...

უყვებოდა...

— მაშო არა? — გაიღიმებს ქალი და ახლა თვალებს მაგიდიდან ჩემზე გადმოალაგებს: თმა წაბლისფერი, ტუჩები თხელი, ჯინსები — მუხლებგახეხილი, დგომა ბიჭური, საერთოდაც ბიჭური... ეს მე ვარ — მაშო, მამას საყვარელი გოგონა... გოგო რომ ვარ მხოლოდ მამას ახსოვს... *ჩემი გოგო!* — იტყვის ხოლმე და ნათქვამი თავმოწყვეტილი ქათამივით ჩაიქროლებს ყურებს შორის, სამჯერ წრეს დაარტყამს: "გოგო ვარ, გოგო ვარ, გოგო ვარ..." — და... — *ჩემი მამა!* — ოდნავ სახეშეცვლილი დაუბრუნდება პატრონს.

“მამას” მხოლოდ იმისთვის ვეძახი, ეს ცნება დავიწყებას რომ არ მიეცეს. ჯაბას თვითონ აუკრძალა — ვანო დამიძახეო... ერთად მუშაობდნენ და არასოლიდურად ჟღერდა ეს — *მამა-ა!* ლიზიმ კი ჯაბასგან თუ გადაიღო, არ ვიცი — ვანო, ვანო! — ჩამოეკიდება ხოლმე კისერზე... “მამამ” ოჯახის წითელ წიგნში გადაინაცვლა. მანდვეა სიტყვები — *ძილინებისა, ყოჩაღ, გიცდი, მომენატრე* და ისა კიდევ — “ზუკო”... მოკლედ, ასეა თუ ისე, მგონი სიამოვნებს “მამას” რომ ვეძახი. ორივენი შევიგრძნობთ ხოლმე ჩვენს “არსს” და ვჩუმდებით... მე—გოგო, ის—მამა...

* * *

უხმოდ ჩავსხედით მანქანაში: მე, მამა და ის ქალი...

შუშა დალაქული, რადიო დაბალ ხმაზე, თვალები პარალელურ წრფეებად — მიმართულება წინ და მთავარია ერთმანეთს არ შეეჯახონ, სიჩუმე დაახლოებით ისეთი, ჩვენი “ეკო” კლასის გულჩვილი დამრიგებელი რომ იტყვის ხოლმე: “ვინ იცის იქნებ დღეს შრილანკაში გადაშენების პირას მყოფ pol-pedeitis fastigos ჯიშის *უნიკალურ* ბაყაყებს კიდევ ერთი წარმომადგენელი შემოაკლდათ?!” და მთელი კლასი წუთიერი დუმილით რომ ვეგებებით ამ სამწუხარო ალბათობას... მოკლედ, უხმოდ ვსხედვართ მანქანაში... მამამ სადარბაზომდე მიაცილა და მერე — კარგადო, თუ ხვალამდეო თუ... სახლისაკენ გამოვუყევით. ვზივარ და ცხვირში ტყავის სალონის უსიამო სუნი მცემს. სარკეში — მოციმციმე ვიტრინები, საჭესთან — მამა... ეს ის ადგილია წესით თხრობა რომ უნდა შეწყვიტო, ანუ როცა არაფერი ხდება, მოსაყოლიც არაფერია, უბრალოდ ზიხარ და იქვე უაზრო სურვილი გიზის — ერთი წამით ხელი გადაწიო, მამას თითით შეეხო, შეამოწმო მართლა აქაა თუ არა. ზიხარ და ისე ხარ — აი, ქარი ხელიდან საჭირო ფურცლებს რომ გამოგტაცებს, ან საყვარელ ჯინსებში რომ ვეღარ ეტევი... არადა, მიმოიხადავ, — ყველაფერი ძველებურადაა: მანქანა, ჯაზი, ჩაწეული ფანჯარა... ასე ვბრუნდებით ხოლმე შინ... ასე ვუსმენთ საყვარელ მუსიკას — ბილი ჰოლიდეი, სინატრა, ფრანკლინი... ბარში თუ ვსხედვართ ან რესტორანში... ერთნაირ კერძებს ვუკვეთავთ და სიგარეტსაც კი ერთად ვაბოლებთ... (ო-ო დედამ რომ გაიგოს!!!...) ხანდახან შუა გაკვეთილზე დამირეკავს: — *მაშო, სადმე ხომ არ გავიდეთ, წავიხემსოთ?.* — მეც ინსტინქტურად თმაში ხელს შევიცურებ და მერე კიბეზე ისეთი ჩავრბივარ, თავი მერლინ მონრო მგონია... სულ ასეა, მეფე და მეფეს ჩაფარებულ ფიგურასავით ვართ, ძვრას რომ ვერ უზამ — “ქიში” გაიხსნება... ერთი წყვილი თხილამური ვართ, საათის დიდი და პატარა ისარი, მარჯვენა და მარცხენა ხელი, ან უფრო ახლოს — ცერა თითი და საჩვენებელი... ასე ჩამოვსხდებით ხოლმე სადმე, ერთმანეთს მოჭუტულ თვალებს გავუსწორებთ და ყველაფერზე ირონიით ვსაუბრობთ:

— აბა, რა შევუკვეთოთ? შენი ამბავი რომ ვიცი, მარხვაზე იქნები... — *მენიუს* ჩაულრმავდება მამა.

— ეგრეა, ღმერთს სად გაექცევი... — ირგვლივ თვალს მოვავლებ ცარიელ მაგიდებს, თითქოსდა რაიმეს ვეძებდე — ჩემთვის სამარხო ნამცხვარი შეუკვეთე, სამარხო კრემით და სამარხო შოკოლადით!

— მშვენიერი არჩევანია, — ჩაიღიმილებს მამა — კაცმა ყველაფერი გემოვნებით უნდა აკეთოს.

ესეც ასე — თვალებს მოვჭუტავთ და უკვე წარმოგვიდგენია როგორ დაფრინავს "ღმერთი" ჩვენი უგემრიელესი "სამარხო" ნამცხვრების ირგვლივ. დაფრინავს და ინგრედიენტებს გვიმოწმებს: შემთხვევით რძე ხომ არ გავურიეთ, შემთხვევით კვერცხი ხომ არ გაგვეპარა... აი ამას ქვია — მოცლილი.

— მაშო, ენდრო ხომ არ ვიყიდოთ?

მანქანით დოლიძეზე ავუხვიეთ.

— არაა, უკვე შევღებეთ. დედამ შეღება.

სიბნელეში პირდაღებული ურჩხულებივით ჩაიქროლეს მშენებარე კორპუსებმა.

— კარგია, კარგია... ბევრი?

ახლადანთებულ ლამპიონებთან მწერები აცეკვდნენ.

— როგორც ყოველთვის.

თვალი კალიასავით მიხტის ერთი გამვლელიდან მეორეზე.

— წითელი გამოვიდა? — თავისივე შეკითხვები ბეზრდება მამას.

— რა ვიცი, გამოვიდა რა... — ვპასუხობ.

რაღაცის უკან დაბრუნება არასდროს მოგდომებია? ხელში ჯადოსნური ლამპარი გეჭიროს და — *ძველი დამიბრუნეო!* — სთხოვდე, ან მოსთხოვდე იქიდან ამომძვრალ *ჯინს...*

— *ეგ სამიდან პირველი* — გეტყვის ჯინი — *ახლა მეორე...*

— *მეორე ის, რომ მინდა ლამაზი ვიყო.* (რა დასამალია, მინდა!.) *აი, ლიზი როგორიცაა, უფრო სწორად, როგორიც გაიზრდება...*

— *ეგ მეორე* — ჩაეცინება ჯინს — *ახლა მესამე, ბოლო სურვილი!.*

— უცნაური საღამო გამოგვივიდა — მანქანას სადარბაზოსთან აყენებს მამა და მერე ერთს რომ იტყვი და ცხრას რომ უთქმელს დატოვებ რაღაცნაირად ისე, უხერხულად იყურება... თითქოს მე არ ვიყო და ვიღაც უცხო... თითქოს ჩვენ არ ვიყოთ და ვიღაც სხვა... თითქოს ხელი გაჰკრეს ფიგურას და ქიში გაიხსნა... მანქანიდან უხმოდ გადმოვედი.

— რას ნიშნავს სიტყვა "უცნაური" ერთი ეგ გამაგებინა... ეგეც მესამე სურვილი.

შინ რომ მივედით, ლიზის უკვე ეძინა. ამას მაშინვე ვამჩნევ ხოლმე, დერეფნის ბოლოს შუქი ჩამქრალია და სახლიც თვლემასაა მიცემული — ჯაბა კაი ხანია ჩვენთან აღარ ცხოვრობს და დედამ კი ჩაპისთან საუბარი ჯერ კიდევ ვერ დაამუღამა (რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ქალისგან, რომელიც ზოგადად ყველაფერს ახერხებს). ჩემს ოთახში შევედი და ხის კუნძივით მივეგდე ლოგინზე. მერე სიჩუმე, ფიქრი მსხვერპლს ჩასაფრებული მონადირესავითაა — ოდნავ მოვდუნდები თუ არა, მაშინვე თავს მესხმის... ფიქრი დაახლოებით ასეთი — თუ ერთ ყვავს იტყვის მე ერთ აგურზე გავჩერდები, ან საერთოდაც გავპასავ თუ... ერთი ჯვარი, ერთი აგური, ორი აგური, ორი ყვავი, სამი გული, ოთხი გული — გეიმი და... ჩამეძინა.

II

ჩვენი ქარის წისქვილები, ან "სად იყო და სად არა" გზად შემოყრილი გველეშაპები

ჩემი სიზმრები პეპლებით სავსე გალიაა. ბავშვობაში ბლომად დავიჭირე, ერთად მოვამწყვდიე და ახლა ღამღამობით, როცა ოთხი მილიონი "საინფორმაციო წყარო" მთელი ქვეყნის მასშტაბით, გემრიელ მთქნარებას მოჰყვება და მაგდენივე წყვილი ფეხსაცმელი თვალს გაუსწორებს საკუთარ ფიზიკურ და სულიერ სიცარიელეს, მე რკინის გისოსს ფრთხილად გავაჩოჩებ, ხელს გალიაში შევაპარებ და გინდაც ნალექიანი ყავისათვის კოვზით ამომერიოს — დამფრთხალი პეპლები ჯერ გალიის კედლებს მიაწყდებიან, აკორიანტელდებიან, მერე ეს ფრთები — სულ უფრო ჩქარა და ჩქარა — ელვის სისწრაფით... ფურცლებს სწრაფად რომ გადაფურცლავ, ან კინოკადრებს ერთმანეთს რომ მიაყრი — წამში 24... 24 კადრი და თვალსაც მეტი რა უნდა? მაშინვე გამოცოცხლდება წარსულის რომელიღაც, უკვე კარგად მივიწყებული ფრაგმენტი — სულ ერთი წამი, ან დიდი და ურყევი, ქვეცნობიერში კამეჩივით გაწოლილი მოგონება ერთმანეთზე მიწყობილი დღეების... ეს

წამიერი შეგრძნება ამხელა ტევადობით — ზაფხულის რომელიღაც, ხისკენ-წეროებშეხურებული დღე და...

ბრახ! — გაისმა სამზარეულოს შემოღებული კარიდან. ჯერაც თვალდაუ-ჭყეტელს უკვე თვალწინ დამიდგა სამფეხა სკამზე შემომდგარი ლიზის ქვევი-დან ზევით მაცქერალი, აჭარხლებული სახე — "აკრძალულ" თარომდე მიღ-წევის კიდევ ერთი მცდელობა... პირველი შვიდი — უშედეგო, მერვე — შედეგიანი: ცელოფნის კარგა მოზრდილი შეკვრა ძირს ჩამოვარდა და "ზუკოები" ბზრიალით მოეფინენ იატაკს.

— ლიზი! — შეიფრთხიალა ლოგინში დედამ და სამოქმედო გეგმაც წამში მოხაზა: ლიზი დაისაჯოს, მაშომ ჩაპი გაასეირნოს, ვანომ ყავა დაადგას... მკვირცხლად წამოფრინდა ლოგინიდან:

— ლიზი, ახლავე ჩამოძვერი მაქედან!.

ლიზი... ლიზი....

მგონი უკვე ვახსენე ჩვენი შიდა-ოჯახური "წითელი წიგნის" შესახებ. დრო-დადრო რაღაცეებს რომ ვისვრით ხოლმე ამ წიგნში და მერე მთელი გულით ვივიწყებთ. აგერ ბატონო, ეს ბოლო დრო იყო, მე და ლიზიმ "ზუკოს" სმა რომ დავამუღამეთ. დიდი არაფერი — ფხვნილი და წყალი... არადა არ ვიცი... კაი ხანს ვერ ვიმეტებდით საწითელწიგნოდ. ერთ დღესაც დედამ აითვალწუნა (თუ ნელ-ნელა შეეპარა ჯავრი, ვერ გაიგებ). ზუკოს შეკვრამ ჯერ სერვანტის მეორე თაროზე გადაინაცვლა, მერე მესამეზე, მეოთხეზე და ბოლოს ამ მეოთხე თაროს "აკრძალული" ეწოდა — ამით ყველაფერია ნათქვამი. ასე, თვალსა და ხელს შუა, დედას დი-ი-დი ძალისხმევით "ზუკოს" ადგილი ზოგადსასარგებლო, ალალ-მართალმა სასმელმა (კონსერვანტების გარეშე) — *კომპოტმა* დაიკავა, გემრიელად მოკალათდა მაცივარში და ფესვებიც ღრმად გაიდგა. ეგრეა, დედას ძალისხმევით ბევრი რამე მიიღწევა სახლში... დედა ადვილად დაგარწმუნებს რომ შემწვარ კართოფილს მოხარშული გირჩევნია, რომ დილით ჩაპისთან ერთად სეირნობას არაფერი სჯობს, რომ ოთახში ავეჯის გამოცვლა შენი ბავშვობის ოცნება იყო და ასე...

— რა ფერის ავეჯი დაგიდგათ? აბა მოიფიქრე! — ისეთი გაბრწყინებული სახით მეკითხება, გეგონება მთელი საქმე ამაში იყო, მაწუხებდა და ვერ მივმხვდარიყავი, აჰაა! ავეჯი! აი თურმე რა ყოფილა!

— თუ გინდა მწვანე, თუ გინდა ცისფერი, ნაცრისფერი... — *ამხელა არ-ჩევანი!* — ჩემთან ოფისში რომაა, გინდა ისეთი?

— სულერთია. — ვპასუხობ. დგას და მიყურებს, ბავშვს რომ საყვარელ თოჯინას წაართმევენ, ისე.

— სულერთია... კარგი მაშინ, ჩვენ თვითონ შეგირჩევთ... საერთოდ იცი მაინც რას გიმზადებთ?

რა თქმა უნდა არ ვიცი. მხრებს ვიჩეჩავ.

— პირველ რიგში, კარადას. — *თოჯინაც დამიბრუნე-ეთ!* — უყურე, აი აქედან — კარებამდე; იქვე წარმოიდგინე თანამედროვე სტილში დაბალი მაგიდა და თაროებსაც ახლით შეგიცვლით. — *რა ენთუზიაზმი, რა შემართება!* — რას იტყვი, როგორია? ხომ კარგს ვაპირებთ?

რაღაც უნდა ვუპასუხო (სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია):

— კი.

ეს დედას საყვარელი საქმიანობაა: ერთ-სავარაუდო-პასუხიანი კითხვების დასმა, მრავალმხრივი ნიჭიერების წვრილმანებზე გახარჯვა და საქმეებზე "თ"-ებით ლაპარაკი, როცა თვითონ მხოლოდ იდეის ავტორია, აღმსრულებლები კი აქეთ — ჩვენსკენ მოვიკითხოთ...

შესაბამისად, ძნელი მისახვედრი არაა რას ნიშნავს: — მაშო, საფლავზე აღდგომის კვერცხი არ წავიღო-თ? არ დაგვავიწყდეს რა... ესე, ორი-სამი... ერთი პასკაც გავახვიო-თ და სანთლები... სანთლებს გზად ვიყიდი-თ, ოღონდ მაშო, მოდი ფული დავახურდავო-თ ჯერ და ვანოსაც დავურეკო-თ...

გასაგებია.

მოკლედ, სად ვიყავი... ბრახ! — გაისმა სამზარეულოს შემოღებული კარიდან და "ზუკოები" ბზრიალ-ბზრიალით მოეფინენ იატაკს. საპნის ბუშტივით გასკდა ზაფხულის რომელიღაც, ხის-კენწეროებ-შეხურებული დღე და ბუსავით დავაჭყიტე თვალები... დილა მშვიდობისა, მაშო! გარეთ გაიხედავ — მშვენიერი გაზაფხულის ამინდი... ჩვენი მორიგი ფორიაქიანი დილა... ეს ტრადიციული, ცოტათი თავბრუდამხვევი მაგრამ კარგად ორგანიზებული აყალმაყალი, რომელშიც ყველანი ვიცვამთ, ვსაუზმობთ და ვცდილობთ ლიზის ერთ ჯერზე მეტად მაინც არ შევეჯახოთ. ყველას რომ ვამბობ ეს ისე ჟღერს, თითქოს სახლში ოცი კაცი მაინც ცხოვრობდეს, მაგრამ ჩვენს დილას ეს სიტყვა ზუსტად შეეფერება. დილით ყველას სამ-სამი წყვილი ფეხი გვაბია, ოთახებს შორის ელმავლის სიჩქარით დავქრივართ და ჩვენ-ჩვენს გასაჭირს გმირული შემართებით ვუმკლავდებით... ჩემი მთავარი ამოცანა ისაა, როგორმე ან დედას დავემგზავრო მანქანით, ან მამას. ამის მოხერხება არც ისე ადვილია — ზუსტად რა ვიცი როდის გავლენ და ან დროში ვასწრებ და ველოდები, ან ეგენი მასწრებენ და... კარგად მეყოლე. აი, ლიზისთვის კი სულერთია — იცის, უიმისოდ მანქანა მაინც არ დაიძვრება! ზოზინ-ზოზინით ალაგებს თავის თოჯინა-წიგნებს ჩანთაში და სანამ "ხლოპცები" რძით ბოლომდე არ გაიჟღინთება, საუზმეს პირს არ აკარებს...

ლიზი, ლიზი...

არ მითქვამს, ლიზი ძალიან პატარა, ძალიან სულელი და ძალიან ლამაზი რომაა? უფრო სწორად — საყვარელი... "ლამაზი" ისეთი სიტყვაა — არასაშვიდიწლისასაკო. — *ერთი ამას უყურე!* — იტყვიან ხოლმე გზად შემოყრილი უცხო დეიდები, ოქროსფერ თმაზე ხელს გადაუსვამენ და იმდენს აქებენ, გეგონება ლიზის თავად ეშრომოს და საკუთარი სილამაზე სიმწრით მოეპოვებინოს... ოქროსფერი თმა აქვს — ბუსუსა და ხვეული... წარბები მუქი, სქელი; წამწამები — გრძელი, ხშირი... ასეთი დაიბადა — ლამაზი. ჯერ შვიდისაა... ასაკი, როდესაც თოვლის ბაბუას საბოლოო ყოფნა-არ ყოფნის საკითხი წყდება (წითელი წიგნის კიდევ ერთი კანდიდატი) და როცა მარტო წერილზე send-ის დაჭერით ველარ ამტკიცებ, რომ წამკითხველი ნამდვილად ჩრდილოეთ პოლუსელი იქნება... მოკლედ, შვიდისაა, საყვარელი და ცანცარა... თავი სამყაროს ცენტრი გონია (ან კი ვის არა) და ღრმად წამს, რომ მთელი ოჯახი მხოლოდ ლიზისთვის ვარსებობთ — იმისთვის, რომ ლიზი ბედნიერი იყოს... ჩვენც ვემორჩილებით ამ პროგრესულ მსოფლხედვას, ყველანი ჩვენ-ჩვენი რუბრიკით შევდივართ ჟურნალის ყოველდღიურ გამოცემაში სახელწოდებით — "როგორ გავართოთ ლიზი" და დღის ბოლოსკენ კაცმა რომ შეაჯამოს, კაი სახალისო ტირაჟი გამოდის: დედა — თავისი ახალი კულინარიული ჩანაფიქრებით, რომელიც ყოველთვის ჩანაფიქრებად რჩება; მამა — თავისი საძილისწინო დარიგებებით — როგორ უნდა იქცეოდნენ კარგი გოგოები და მე — დაახლოებით ისეთივე უცნაური ამბების მთელი კორიანტელით, როგორსაც ალექსანდრო უყვებოდა ლამაზ-ქალაქელებს და იმათთვისაც ალბათ ეს ისეთივე ჩინური იყო, როგორც ლიზისთვისაა ვიღაც "ნაგელის" უცნაური თავგადასავალი, ან "ხედზიუს" მელნით მოთხვრილი თვალები... თითქოს მისმენს... მიცქერს გაღიმებული, მოუსვენრად წრიალებს იატაკზე წამოწოლილი ან მაგიდაზე ჩამომჯდარი და ვერც მიხვდები, გისმენს თუ პეპლებზე ფიქრობს. ამბავს თუ შეწყვეტ — გაგაგრძელებინებს, თუ მოამთავრე, ახლიდან დაგაწყებინებს... მოკლედ, ვერ გაჩერდები, სანამ თავად არ ჩათვლის, რომ დღის საკმარისი დოზა მიიღო, მაშინ ვითომც საერთოდ არ უსმენიაო — მაგიდიდან მოულოდნელად ჩამოხტება, არც გეტყვის მომბეზრდაო, ზურგს შეგაქცევს და ოთახიდან ჰერი-ჰერი... ამას "არ-მე-შენდარდებას სიმპტომს" ვეძახი და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამის გამო უფრო მეტადაც მიყვარს ლიზი. ასეთი პატარა რომაა, თამამი, განებივრებული და რაც თვალის პირველი შევლებიდანავე ჩანს — ლამაზი...

* * *

სუფრას სამნი შემოვუსხედით. მამა აბაზანაში წრიალებდა. წყალს ხან მოუშვებდა, ხან დაკეტავდა, ხანაც ისევ მოუშვებდა...

კი არ ვუსმენდი — უბრალოდ, მესმოდა.

ლიზიმ მორიგი "ხლოპცების" შეკვრა გახსნა და ახლა რძეს, თეფშსა და კოვზს როდის მომაწვდიანო, ამის მომლოდინე, მაგიდას შემოუსკუპდა. ზედ გაშლილი ხელისგულები შემოაწყო. დედა ტელეფონზე ჯაბას ესაუბრებოდა... მერე რამდენიმე მხიარული წამოძახილი: "მართლა?", "როდის?" და:

— მაშო, ჯაბა რეკავს — მაღაზია სათამაშოებით ავავსეთო! — მერე ყურმილს ხელს აფარებს — შენი ძმის მაღაზიაში ერთხელ არ მისულხარ, როგორ შეიძლება! როდის უნდა ვინახულო-თ?!. ჯაბამ საღამოს გამოვუვლიო და წაგიყვანს. ურჩიე რამე, რა სად დადოს... მივეხმარო-თ ცოტათი. შენი ძმაა ბოლოსდაბოლოს... კარგი?

— კარგი.

"როგორ აღმოვუჩინოთ ჩვენს ჯაბას ოჯახური მხარდაჭერა" — ესეც დღევანდელი დღის პირველი გველეშაპი! დედამ ხმალი იმარჯვა და მთელი ენერგიით შეუდგა ყველა წვრილმანი, მაგრამ მეტად საჭირბოროტო საკითხის გადაჭრას: ვინ მოაკითხავს მაშოს, რომელ საათზე, სად იქნება მაშო, როდის დაბრუნდება შინ, ვინ წამოიყვანს შინ და ასე... არა, მაღაზიის ნახვა მე თვითონაც კარგახანია მაინტერესებდა — სხვა თუ არაფერი, ეს მაღაზია ჯაბას "ოჯახური ბიზნესისაგან" თავის დაღწევის პირველი მცდელობა მაინც იყო. როგორც თვითონ მომიყვა, შესულა მამასთან და მთელი სერიოზულობით დაუბრეხვებია — ჩემი საქმის წამოწყება მინდაო. ჯაბა იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ოცი წლის ასაკიდან დამოუკიდებლობაზე რომ იქაჩებიან და საბოლოდ მათ ამ "დამოუკიდებლობას" ისევ მშობლები რომ უზრუნველყოფენ. მამამ უყიდა ფართი, მოუწყო დახლები, შეუძინა პირველი გასაყიდი საქონელი და მხარზე ხელი ჩამოადო, *ამაყად* — "ჩემი ბიჭი!" ჯაბამ ფართი მოიწონა, დახლები დაასუფთავა, სათამაშოები თაროებზე შეაწყო და წელზე დოინჯი შემოირტყა — "ჩემი მაღაზია!"...

— მე გავიყვან და მე წამოვიყვან — აბაზანიდან გამოდის მამა. ოთახს თვალი გადაავლო: მაგიდა, ლიზი, მაშო... ჩაიდანი, ტელეფონი დედა... ტელეფონი, ჩაიდანი... მაშო.

— გეცლება? — ხელს ყურმილიდან იღებს დედა — ჯაბა, ვანო წამოიყვანს... და რომლისთვის მოვიდნენ?

მამა გვერდით მომიჯდა და პური მოიტეხა.

— ვანო, ექვსისთვის წაიყვან?

— კი წავიყვან, წავიყვან. — საყვარელი ყავა ჩამოისხა — ოდნავ რძე და ბლომად შაქარი.

— მისამართი იცი? — ბოლო საკითხებს აგვარებს დედა ისეთი სახით — "ყველაფერი ჩემი საზრუნავია ამ სახლში!" ან "მარტო მე უნდა მადარდებდეს?!."

— როგორ არ ვიცი, მე ვიპოვე საერთოდ ეგ ადგილი! — ორცხობილას ყავაში აწობს მამა და სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავს, პირში რომ ადნება რბილი ტკბილი და თბილი...

კი არ ვუყურებ — უბრალოდ, ვხედავ.

— კარგი ჯაბა, ექვსისთვის მოვლენ... — "გადაღლილი" შემოტრიალდა დედა.

ესეც ასე, პირველი გველეშაპი როგორც იქნა დავამარცხეთ და რამდენიმე წამი თავი განცხრომას მივეცით. უმრავლესობა სახლში საშინელი მიამიტები ვართ: ყოველ ჯერზე გვგონია რომ განცხრომა დიდხანს გაგრძელდება, ჩვენ-ჩვენ უმნიშვნელო ფიქრებში ჩავიძირებით ხოლმე და სულ რომ არ მოელი — მაშო, ავეჯის ამბავი როგორ გადაწყვიტე? — უმალ თავს ამოყოფს მეორე გველეშაპი...

* * *

მამამ მანქანა მაღაზიის კიბეებთან შეაჩერა. სანამ ჩავიდოდი, რაღაც უნდა გითხრაო და სიტყვები თითქოს ზედ ფილტვებს დაეკიდა — გამაჟრჟოლა და შემახურა... — *ხომ ხარ ჩემი გოგო!* — მეუბნება ღიმილით...

ჯაბას მაღაზია გარედან საელჩოსთან დაყენებულ ერთ კაი ბუტკა-საგუშაგოს გავდა, არ ვაზვიადებ! შიგნიდანაც ერთი შავ-ბნელი, მუყაოს ყუთებით გადატენილი სორო აღმოჩნდა, რომელსაც ერთი მოზრდილი ნაგვის მანქანა, რამდენიმე ნათურა და კარებთან აბრა აკლდა: "საჩუქრების მაღაზია" ან "სათამაშოების მაღაზია"... ჯაბას ამ ორი სათაურიდან ერთი ვერაფრით ამოერჩია. მართლაც, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — მაღაზია სასაჩუქრეა თუ უბრალოდ, სათამაშოების! ხომ შეიძლება სათამაშო საჩუქარი სულაც არ იყოს და საჩუქარი კიდევ — აუცილებლად სათამაშო?! შესვლისთანავე ეს მკითხა, რა დავარქვაო. კითხვა მეძნელა და პასუხის გაცემისგან თავი შევიკავე...

— მაშო, გუშინ თამარი რომ გაგაცანი ამაზე მინდა გესაუბრო. — იგივე, დაბალ ხმაზე აგრძელებს მამა.

თამარ, თამარი, თამარ...

— შენ ჩემი გოგო რომ ხარ ხომ იცი... ერთმანეთში საიდუმლოები არ გვაქვს... ყოველთვის ყველაფერს მიყვები და ახლა მეც რაღაც მინდა მოგიყვე...

რაღაც, რაღაც, რაღაც...

— მაშო, თამარს ძალიან მოეწონე გუშინ. მითხრა ხვალ ჩვენთან მოიყვანეო. ძალიან კარგი ბიჭი ყავს — ლუკა. შენხელაა... აი ნახავ, დამეგობრდებით.

თაროზე გულდაგულ შელაგებულ სხვადასხვა ზომის ნაყარნუყარს ნელი ნაბიჯით ჩამოვუარე: პლასტმასის ჯარისკაცები, ჯადოსნური ჯოხები, ბარბის

სახლები... ჯაბა უკან მომყვება, შეფასების მოსმენა სურს და ხმას რადგან არ ვიღებ, ახლა ჩემს ხელებს ჩააცივდა — აბა, საითკენ გაიწევენო...

— მოგწონს? — ამოღერღა ბოლოს...

— ძალიან! ამდენი... (სიტყვა ვერ შევარჩიე) რამე...

— აბა... აქ პირველად რომ შემოვედით იმის შემეშინდა, რითი შევავსომეთქი და შეავსო კი არა იმდენია, უკვე თავზე გვაყრია ყველაფერი! აქეთ ათლარიანები დევს, იქით ოციანი... — იცინის და სათამაშოებს მომგებიან პოზაში ალაგებს... — აი, აქეთ ესენი ძალიან ძვირიანებია...

— ერთი ათი წლის წინ რას არ მივცემდით ასეთი მაღაზია გვქონოდა... უფრო სწორად, ასე ვმდგარიყავით მე, შენ და ირგვლივ ამდენი სათამაშო... არა? — ვიღიმი და თვალი ფუმფულა ბაჭიებისაკენ გამირბის.

— რას იტყვი, ეს ბაჭიები ვიტრინებისკენ რომ შევატრიალო? — კიდევ ერთ ყუთს აყირავებს ჯაბა.

— არ ვიცი, მე მაგ ძვირიანებს დავდებდი, უფრო ეფექტურია! — ვამბობ და მორჩა... აი, ეს ის რომელიღაც წერტილი, რომელშიც თვალს პირველად გაუსწორებ უკვე კარგა ხნის შეუმჩნევლად გაპარულ ამბავს, ჯაბას შეხედავ და მიხვდები რომ შენ და ჯაბა სადღაც, უკვე მივიწყებული დღეების მივიწყებულ წამებში სრულიად უბრძოლველად მინებდით მარტივი ფცხიკინითა და ფრუტუნით დაწყებულ ამ შეუქცეველ და უკურნებელ სნეულებას... — ერთხელ და სამუდამოდ გაიზარდეთ.

— კვირას საღამოს რას აკეთებ? — პასუხს არ ელოდება მამა — სამსახურიდან გამოგივლი და თამართან წაგიყვან... კარგი?

— კარგი.

III

“როგორც მთის ფიჭვი შეწებილი კლდეზე — ვდუმვარ.
მასზე, ვინც მიყვარს, სიტყვა არ დამცდება.”

ტანინძაკი

“იმ ქალთან” გატარებული კვირა საღამო ასე ადვილად ვერ მოითხრობა. ყველაზე მარტივი ალბათ იმის თქმაა რომ ლუკა მართლაც მაგარი მასტი გამოდგა. *ზევით ადი, თავის ოთახშია და გელოდებაო* — ქალმა ლოყაზე მომისვა ხელი და ასე ერთი წუთის შესულები არ ვიყავით, უკვე თავიდან მომი-

შორეს. ერთი ახედ-დახედვა მაინც მოვასწარი: ქალი ქუსლებზე იდგა — "ვერაფერს იტყვი" ფორმებით: ისეთი გამხდარი არა, მოტკეცილი ჯინსები რომ ვერ მოეხდინა და არც ისეთი სავსე, შავ კაბას ვერ ეშველა... მოკლედ, არაუშავდა... კარგით-მეთქი — ხის დახვეულ კიბეს ჩქარ-ჩქარით ამოვუყევი და სანამ მამა ტყავის სავარძელში გემრიელად მოი-რბილ-კალათებდა მე უკვე ლუკას ოთახში ვიყავი. ყოველთვის მინდოდა ასეთი სხვენი-ოთახი მქონოდა! ლუკა აივანზე იდგა, ეტყობა ჩვენს მანქანას აკვირდებოდა და როგორ გადმოვედით... კარის ხმა რომ გაიგონა, ლოყებაწითლებული გა-მოვიდა — მე ლუკა მქვიაო და — მე მაშო-მეთქი. კაი საყვარელი ვინმე იყო, ჩემზე პატარა — ესე, 16-17 წლისა და მაინც თავი *ძაან ძაან* ეჭირა... პირველი ხუთი წუთი ყველაზე რთული გამოდგა — თვალები ჭერს ვაცეცეთ და ხელისგულები უხერხულად ვისრისეთ, თუმცა მალევე მივხვდით ერთნაირ გაუგებარ ამბავში რომ ვიყავით და ამან ასე თუ ისე ორივე დაგვაწყნარა.

— ჩემი ბიჭიც ძალიან კარგად ხატავს... მაშო, იქ თაროებზე ნახავდი... — გვერდით ჩამომისვა ქალმა, როგორც კი "ლუკა ჩამოდი ვანოს დაენახე!" — დაძახებაზე ორივენი დენდარტყმულებივით ფეხზე წამოვხტით და დასჯილი პირველკლასელებივით "დირექტორის კაბინეტისაკენ" გავეშურეთ.

— დიახ, დავათვალიერე... ძალიან მომეწონა. — ლუკას გავხედე, აშკარად კმაყოფილი დამირჩა ასეთი მოკლე პასუხით.

— ვანო მიყვებოდა შენს ნახატებზე! — თავისას არ იშლის ქალი — ეს ჩემი ბიჭი საღებავებს ვერაფრით დავაჩვიე. მარტო ფანქრით ხატავს... არადა ისე მინდა რამე ფერადი დახატოს! ისეთი, ფერადი ნატიურმორტი რამე... — აქ ოდნავ შეყოვნდა, ეტყობა რომელიმე ცნობილი მხატვრის მოშველიება მოისურვა და ანკესი ღრმა ინტელექტის მორევში ჩაუშვა, თუმცა ასე უცბად ვერაფერი დაიჭირა და *რას ვამბობდიო*: — ლუკა, მოდი ვანოსაც ვაჩვენოთ შენი ნახატები! ჩამოიტანე რა...

— მერე იყოს დე... სხვა დროს... მერე იქნებ ერთადაც დავხატოთ რამე? — საუბრის თემას ცვლის ლუკა.

— აუცილებლად! — ოდნავ მეც წავეშველე, ერთმანეთს გადავხედეთ და ისევ ჩვენ-ჩვენ ფიქრს მივუბრუნდით: *აქ რას ვაკეთებ— აქ რას აკეთებ* სფეროდან.

— ნიჭიერი შვილები გვყავს — კმაყოფილი იყურება მამა და თვალს მიკ-რავს...

— გინდა მუსიკას მოვუსმინოთ? — ამაზე უკეთესს ხომ ვერაფერს მოიფიქრებდა... — ყურში ჩამჩურჩულა ლუკამ.

— კარგი.

ისევ ლუკას ოთახში ავბრუნდით, ლუკამ მაგიდის უჯრა გამოაღო, შიგ რაღაც ქაღალდები აწი-დაწია და სადღაც სიღრმიდან სიგარეტის მიჭუჭყნული კოლოფი გააძრო...

გულში გამეღიმა... *ძალიან, ძალიან სიღრმიდან ამოიღო!*

აივანზე გავედით, რკინის რიკულებს ხელები წავავლეთ და წამში ზედ სახლის სახურავზე აღმოვჩნდით. აქ მთელი ბაითი დამხვდა... ერთი-ორი მუთაქა, რადიო, საფერფლე შიგ რამდენიმე ნამწვითურთ და მოკლედ, რაც გინდა სულო და გულო... ლუკამ რადიო დაბალ ხმაზე დააყენა, უხმოდ ჩამოვსხედით და გავაბოლეთ. თავში ძალაუნებურად ათასი ფიქრი ამოტივტივდა — მარტივი "ყოფნა, არყოფნიდან" და "ვის ყავს მამა ჩვენისთანასაგან" დაწყებული, იმით დამთავრებული რომ ალბათ ჩვენი ეკო-კლასის გულჩვილი დამრიგებლის ლირიულ გადახვევებსა და პათეთიკურ მოწოდებებს თუ დავივიწყებთ, ყოველდღიური მონოლოგებიდან ერთი ჭკვიანური აზრის გამოტანა მაინც შეიძლება — ბუნებაში ყველაფერი უხილავი ჯაჭვითაა გადაბმული — ყველა ამბავი საიდანღაც იწყება, ყველა ამბავს თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს... მოკლედ, ხალიჩაზე გუბე თუ შენიშნე, ესე იგი დილით ჩაპის გასეირნება დაგავიწყდა და ასე... ღირს თუ არა ამ ჯაჭვთან ბრძოლა, ამის ასახსნელად ჩვენი გულჩვილი დამრიგებელი დაფაზე ხაზებისა და რგოლების ხაზვას იწყებს ხოლმე და მონოლოგს "ექსპერიმენტის" მოყოლით ასრულებს, რომლის დროსაც თურმე "ექსპერიმენტატორებმა" ირმების ჯოგი გააბედნიერეს და დროებით ტყიდან ყველა მგელი კინწისკვრით გაყარეს. უნდოდათ შეემოწმებინათ თუ რას მოიტანდა შედეგად ბუნებრივი ჯაჭვის გაწყვეტა. რა მოხდებოდა, თუკი მგლები ირმებს აღარ შეჭამდნენ? ახლა ამ "ექსპერიმენტატორებს" ყველას სათითაოდ რაღაც მნიშვნელოვანი პირადული ხასიათის პრობლემები რომ ჰქონდათ ეგ ფაქტია, მაგრამ მთავარი ისაა, ბუნების კანონებს რა დღე ეწიათ...

აქ ჩვენი გულჩვილი დამრიგებელი სამ თითს წინ გამოიშვერს, თითქოს პირჯვარს იწერდეს და კლასიც უკვე ათასჯერ მოსმენილი მკვეთრი ფინალის მოლოდინში დაფის მაღლა, კედელზე დახატულ სამ ცალ ბუზს მივაშტერდებით — მორიგი წუთიერი დუმილით ვეგებებით ფაქტს, რომ ირმები "ზედმეტად" გამრავლდნენ, დაავადდნენ და ამოწყდნენ...

ასეა თუ ისე, ეკო-კლასის აგერ უკვე თითქმის 12 წლიანმა განათლებამ ის მაინც მასწავლა, რომ თუ პანდა მხოლოდ ჩინეთის რამდენიმე პროვინციაში შემორჩა, ეს მხოლოდ ბამბუკის ხეების გაჩეხვის ბრალი უნდა იყოს... *ჰიპოქსანტუსებსა* და წითელნისკარტა *turdus hilaris-ს* ვინ აწყენინა, არ ვიცი, მაგ გაკვეთილს ბოლომდე არ დავსწრებივარ... იმ დღეს მამამ დამირეკა და კაფეში გავიპარეთ, მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა — ეგენი წითელი წიგნის იქითაც გაუტევდნენ... საერთოდ ჩიტები კაი ჭირიანი ხალხია, მაგათი ამბები სულ შექსპირის ტრაგედიებივითაა — ბოლოში რომ მაინც ყველა კვდება.

— ლუკა, სადა ხართ?! — ქვევიდან ქალის ძახილმა ფიქრებიდან გამოგვარკვია, ერთმანეთში ისევ ის *აქ რას ვაკეთებ—აქ რას ვაკეთებ* მზერა

გავცვალეთ და — სახურავზე! — მშვიდად ჩასძახა ლუკამ, ეტყობა ხშირად ამოდიოდა ხოლმე.

— მერე, მანდ რას აკეთებთ? — შიგ კაკალგულში მოარტყა ქალმა. მხრები ავიჩეჩე და გამეღიმა.

* * *

— ვანო მოვიდა, ვანო და მაშო მოვიდნენ! — საშზარეულოდან გამოვარდა რაც შეიძლება წვეტიანი და რაც შეიძლება წითელი კვერცხით შეიარაღებული ლიზი (ალბათ ერთი-ორი საათი არჩევდა) — ჩამიპაჭუნე რა, კვერცხი ჩამიპაჭუნე რა!

— ვანო კი არა მამა! — ვუსწორებ და საშზარეულოში გავდივართ — ჩემთვისაც ერთი კაი კერკეტი კვერცხი ამოვარჩიო-მეთქი.

— ვანო, სად იყავით ამდენ ხანს? — მესმის კარს იქიდან...

— მაშო, აი ნახე აი ეს კარგია არა? — მთელი გულით მეხმარება ლიზი.

— ახალი საქონლის აღრიცხვა იყო და მაშოც დავიხმარე! — ფეხსაცმელს იხდის, კარებთან ალაგებს მამა, ქურთუკის შარიშური ისმის...

— ამ აღდგომა დღეს რა შემოგივიდათ ამდენი?

— აუ მე, მე ჩაგირტყამ რა! — ცქმუტავს ლიზი.

— კარგი მიდი, ოღონდ ზედ წვეტს დაუმიზნე იცოდე! გვერდზე არ მომარტყა...

— თავის დროზე რა ხდება ამ ქვეყანაში, ასე რომ გაგიკვირდა... გადავითვალეთ და მაშინვე წამოვედით.

— ჯაბამ დარეკა, ერთ საათში აქ იქნება... მოდი ერთი ქინძმარაული გავხსნა-თ... პასქა, კვერცხი და...

— სწორია, სწორია! აღვნიშნოთ აბა?!... კაი ხანია ასე არ ჩამოვმსხდარვართ — ოჯახი!

ტკაც! — გემრიელად მოიქნია კვერცხი ლიზიმ, ჩამირტყა და გამიტეხა.

IV

"Come... dry your eyes, for you are ... the clay in which the forces that shape all things leave their fingerprints most clearly. Dry your eyes... and let's go home."

Alan Moore - Watchmen IX: The Darkness of Mere Being

აღდგომის მომდევნო ორშაბათი ჩვენთვის ყოველთვის სამშაბათს თენდება. ორშაბათის გზები გადატვირთული იქნებაო, ვფიქრობთ და საფლავებიც ხომ ვერსად გაიქცევიან... ყოველ წელს სამშაბათობით მივაშურებთ *მუხათგვერდის გზად* წოდებულ საცალფეხო ბილიკს და რახან მთელი თბილისი მსგავს ეშმაკურ ტაქტიკას იყენებს, ყოველ წელს ორ-ორი საათი ვყურყუტებთ საცობში. ჭკუა დღემდე ვერ ვისწავლეთ, როგორც მთელმა თბილისმა. რა დასამალია, საცობში ყველას მალევე გვავიწყდება რომ საფლავები მართლაც ვერსად გაიქცევიან, დედას საომარი შეძახილებით — "ერთი მიუსიგნალე მაგას, ვანო!" — ავწრიალდებით, მანქანას თხუთმეტნაირად დავატრიალებთ და იმდენს ვიზამთ, სანამ აქეთ ორი იმდენს არ მოგვისიგნალებენ. ვსხედვართ მერე და მხრებს ვიჩეჩავთ — რაღა დღეს მოუნდა ყველას ამ დაწყევლილ მუხათგვერდში ამოსვლა?!

საოცრება თუ გინდა!

— საერთოდ სისულელეა რა... ეს კვირა მე გეტყვი სად უნდა წავსულიყავით! — თავისებური წამოიწყო მამამ.

— სად? — იასამანს წურწურით წყალი გასდის და შარვალს მისველებს — ლიზის გადავხედე და თვალები ავატრიალე — სად უნდა წავსულიყავით?

— ისრაელში! ერთი კვირა... წარმოიდგინე ახლა იქ რა ამბავია. მთელი მსოფლიო იქაა. მაშო, წავიდეთ შემდეგ წელს, რას იტყვი? — უკვე ვიცი საუბარი საითაც მიდის და ვცდილობ მოწურწურე იასამნები როგორმე თავიდან მოვიშორო, გემრიელად მოვკალათდე... ეს წუთები ჩვენი ოჯახური წითელი წიგნის ყველაზე პირველი ბინადარია... წუთები, როდესაც *ერთობლივად* ვოცნებობთ, გეგმებს ვაწყობთ ყველაფერ იმაზე, რაც არასდროს მოხდება, მაგრამ საკმარისია ვინმემ ეს ხმამაღლა აღიაროს, მთელი ჯადოქრობა მაშინვე გაქრება. დედას ერთი გაღიზიანებული — "ვანო, აუხდენელზე ნუ გვაოცნებებ" — და კარგად მეყოლე, გამზადდა საწითელწიგნოდ! ახლა შეიძლება ითქვას რომ ამ გადაშენების პირას მყოფ უნიკალურ სახეობას ხელოვნურად ვუნარჩუნებთ გულისცემას — მამა თემას შემოაგდებს, მეც თვალებს ავატრიალებ და... ყველა ბედნიერია (ყოველ შემთხვევაში ლიზი — ნამდვილად).

— ჰეჰ, მაგარი იქნება! — იასამნების უკან გადატანას ვცდილობ... იქ პასქები აწყვია და არაფერი გამომდის... — მერე იქ ხომ ისაა — მკვდარი ზღვა! ვიტივტივებთ...

— აბა, წავალთ ერთი კვირა... გავირუჯებით, ისრაელს ვნახავთ, მერე თან რამეს თუ აღნიშნავ კაცი, ისევ ერთად არა სჯობს? ხალხში...

— ხომ ვამბობდი ვანო, ვამბობდი რომ უფრო ადრე უნდა გამოვსულიყავით... ახლა არ მოგვიწევდა ორი საათი... — ჩანთას აწვალებს დედა.

— მერე ამ დღესასწალებს ერთი ეგ სილამაზე აქვთ რომ ბევრი ხალხი ერთად ზეიმობს! ტაძრებს მოვივლით...

— აუ, მართლა წავალთ? აუ, რა მაგარია ვანო-ო! — სკამზე ხტუნაობას იწყებს ლიზი და ფოთლებზე შერჩენილი უკანასკნელი წვეთებითაც გემრიელად ვიწუწები.

— არა, ხო ვამბობდი, გავიდეთ-მეთქი ადრე! ვინ მომისმინა? მაშო, მოასვენე ეგ იასამანი! ისედაც რა დღეშია, საერთოდ ასეთი რამ გაყიდინა ვანო?

ყველაფერი დიდი და სერიოზული როგორი წვრილმანებიდან იწყება! მიზეზი ყოველთვის ერთი კილო *უყიდელი* პომიდორი, ლიზისათვის პრინციპულად *არ-ნაყიდი* სათამაშო, ან ერთი შელახული *არ-საყიდი* იასამნის თაიგულია ხოლმე. მერე თვალსა და ხელს შუა დედას წვრილმანი საყვედურებიც კი საოცარ მასშტაბებს იძენს — "რამდენჯერ შეგახსენე პომიდორი ვიყიდო-თ მეთქი" უცბად "შენ საერთოდ რა გახსოვს"-ით იცვლება და აი აქ კი წასულია მამას საქმე!

— სხვა არ იყო, რაც იყო ის ვიყიდე. — საჭეს ნახევარავტომატურად ატრიალებს მამა.

— ასეთს ჯობდა, საერთოდ არ გეყიდა! სხვა არც იქნებოდა ამ ნაშუადღევს... გეუბნებოდი არა, გამოვსულიყავით ადრე...

— გამოვსულიყავით მერე... — მანქანების გაბმულ კოლონას შეშლილი რვიანებით მივუყვებით.

— მაგას მე მეუბნები?!

— შენ გეუბნები! გითხარი არ გავიდეთ-მეთქი თუ ვერ გავიგე... — გზა ნელ-ნელა იხსნება და ჩვენც ნელინელ სიჩქარეს ვუმატებთ.

— საერთოდ არაფერი არ გითქვამს! საქმეც მაგაშია, ყველაფერი ჩემი საფიქრელია ამ სახლში...

მიყვარს იასამანი!

ყველაზე ლამაზი ყვავილია და სურნელი და ფერი და საერთოდ... მომწონს მუხადგვერდის ძლიერი ქარი მტევნებს როგორ უთამაშებს და ნაცრისფერი საფლავებიდან შიგადაშიგ თავს რომ წამოაყოფინებს... მერე ეს შავხელისგულა პატარა გოგოები სათითაოდ ჩამოუვლიან და ისევ გასაყიდად ჩაარბენინებენ. საკმარისი ტაქტი კი ყოფნით, სანამ საფლავთან ხარ თავზე არ წაგადგნენ და ჩვენც საპასუხო ტაქტით ვპასუხობთ — პასქასა და კვერცხებს, რომ არ გაისვარონ, ცელოფნიდან ამოუღებლად ვუტოვებთ. ყვავილებს იქვე გავშლით... ერთ სანთელსაც სიმბოლურად წამოვაყენებთ და მოვუკიდებთ თუ არა, მაშინვე ვტრიალდებით, ვცდილობთ შინისაკენ გავიყოლოთ იმის შეგრძნება, რომ მუხათგვერდის ისტორიაში პირველი საოცრება მოხდება და სანთელი ბოლომდე ჩაიწვება...

— რაც იყო ის ვიყიდე... — მეტად და მეტად ღიზიანდება მამა.

— გეუბნები, ეგეთის ყიდვას ჯობდა საერთოდ არ გვეყიდა-მეთქი! წელიწადში რამდენჯერ ამოვდივართ რომ... ხომ შეიძლება ერთხელ მაინც რაღაც ნორმალურად გავაკეთოთ?!

— ჯობდა არ მეყიდა? ვერ გავიგე — ჯობდა საერთოდ არ მეყიდა?! გადაგვეყარა მაშინ, რას გაშალე... საერთოდ გადაგვეყარა... მაშოს უყვარს აგერ იასამანი და წამოგვეღო სახლში! — სარკეში თვალს მიკრავს მამა. გვერდზე რამდენიმე სასოწარკვეთილი მძღოლის მიერ გაკვალული რაღაც შემოვლითი გზის მაგვარი გამოჩნდა — მარჯვნივ გადასახვევი...

— ვანო, ახლა ნერვებს ნუ მიშლი იცოდე და ღვედები შეიკარი კიდე... მაშო, ლიზი!. — მტრის ჯინაზე ახსენდება დედას და მორჩა, ახლა სანამ თავისას არ გაიტანს არ მოგვეშვება...

— დამაცადე თუ ღმერთი გწამს რა... დამაცადე ტარება! — მოთმინებას თითქმის სულ მთლად კარგავს მამა...

— ტარებას რას უშლის ღვედები?! ვანო!

— ჭკუას ნუ მასწავლი... ძალიან გთხოვ თავი და-მა-ნე-ბე!!!!... — მოთმინებას უკვე სულ მთლად კარგავს მამა.

— მაშო, ლიზისაც შეუკარი!.. — ხმას მაღლა უწევს დედაც — ვ-ა-ნ-ო!!!

“და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება” — მკვეთრი მოძრაობით მარჯვნისაკენ გადავუხვიეთ, ნახევრად გაკვალულ გზას ჩქარ-ჩქარით ჩავუყევით და გულმა კი მიჩხვლიტა — რაღაც ისე არ არისმეთქი, მაგრამ საჭესთან ხომ მამა იჯდა და... თუმცა ვიტყუები, მაგდენის გაფიქრება ვერც მოვასწარი. ქვებმა და ბორცვებმა ჯანჯღარში მამას საჭე მთლად გააგდებინეს ხელიდან. მერე რაც მახსოვს ეგ იყო რომ რომელიღაც

ბორცვი ბორბლებ ქვეშ დაწყევლილი ტრამპლინივით შეგორდა და მანქანამ სადღაც შორს-შორს იფრინა, ეგ იყო და ეგ...

საოცარია, რა უცბად ამოყვინთავს ხოლმე ადამიანში ეს მუდმივად თანმდევი მთავარი გმირის კომპლექსი. ზოგიერთში ისედაც სულ ზედ ტივ-ტივებს — ჩვენი ლიზის არ იყოს... ჩემში ხანდახან იჩენს ხოლმე თავს. ანუ ეს შეგრძნება, რომ რომელიღაც დაუწერელი რომანის გმირი ხარ, უფრო ისეთი რომანის, სადაც ბევრი არაფერი ხდება მაგრამ რაც ხდება, ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია... როგორ გინდა თავი მთავარ გმირად არ იგრძნო, როდესაც 120-ით მომავალი მანქანით რომელიღაც ბორცვზე ავარდები, კლდეს შეასკდები, მერე ჰაერში სალტო... და გზის მეორე მხარეს ჩამსხვრეული ფანჯრებიდან არხეინად გადმოხვალ!. მერე დგახარ და ფიქრობ რომ სადღაც ვიღაც ეზოში მანქანით ნაძვის ხეს შეასკდება და კარგად მეყოლე... ჩაბარდა პატრონს... ეს რაღაც თავისებური გადარჩევის სისტემაა — ვინ გააგრძელებს ამბავს და ვინ გადახტება წითელ წიგნში ან საერთოდ გაქრება უგზო-უკვლოდ... ვითომც საერთოდ არ ყოფილა. დარვინს თუ დავუჯერეთ, მთელი საქმე ადაპტაციაშია... ვინ იცის. მერე ვიღაც გამოხტა — დარვინი შეცდაო და ამ თავშალიანებმაც მაშინვე აიტაცეს. მოკლედ, ადაპ-ტაციაა თუ არა, შეიკარი რა ღვედები...

მანქანიდან უხმოდ გადმოვედით.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, იასამნებზე ხმაც აღარავის დასცდენია. იქვე მდელოზე ჩამოვსხედით და თბილ ნიავს შევუშვირეთ სახე. ვიჯექი და იმას ვფიქრობდი, რომ ახლა ხელში ორი ჯოკერი და ოთხი ტუზიც რომ მჭეროდა, თამაშს მაინც ავრევდი-მეთქი. რაღაც უცნაური *მობეზრების* გრძნობა დამეუ-ფლა... აი, ერთი მაგისიცო რომ იტყვი... მგონი ყველანი ეგრე ვიყავით — უბრალოდ, ვისხედით ოდნავ გაბრუებულები, მერე ცოტა გონზე მოვედით, ვიღაცას სახლისაკენ დავემგზავრეთ და ხუთისთვის უკვე შინ გემოზე ჩაგ-ულულებულები ჩაისა და დამტკბარ ორცხობილებს მივირთმევდით.

— ვყოფილიყავით ისრაელში, ხომ ვიქნებოდით ახლა არხეინად! — უკვე ხასიათზე მოსული იღიმის მამა.

— ვყოფილიყავით რა, აუ რა... — ისევე საყვარლად წამოენთო ლიზი — და ისა კიდე... ვანო, მკვდარი ზღვა რა არი? აი, მაშომ რომ თქვა...

— აბა ლიზი, თუ იცი შენ რა არის სიმკვრივე... — მუხლებზე ჩამოვისვი და დრო მაინც ოხრად გვქონდა, ახსნა მთლად ფიზიკის საფუძვლებიდან დავიწყე. მერე მარილიან წყალში მოტივტივე კვერცხზე გადავედი და... აი, რა წუთსაც ვერასდროს გავიმეტებ საწითელწიგნოდ, უკვე თითქმის ზღვამდე ვიყავი მისული რომ — მერე ისრაელში ხლოპცები იყიდება? — ვითომც სულ არ უსმენიაო, საყვარლად თვალებს მიფახურებს და ამ სიგრძე ლექციის მერე აი, ამას მეკითხება ეს ერთი ბეწო, სასაცილო არსება. რა უნდა მეთქვა, უსუსურად ავიჩეჩე მხრები.

კაი ხანი ვისხედით ასე... მერე ჯაბაც ამოვიდა (დედამ დაურეკა — ეგეთი ამბავი მოგვივიდაო) და ერთი ტონა ფუმფულა სათამაშოები ამოიტანა. ლიზი ჭკუაზე არ იყო... საღამო მართლა გემოზე გავატარეთ. გვიანობამდე ვსაუბრობდით, ვიცინოდით და როგორც ხდება ხოლმე, ვიხსენებდით ამბებს რომლებიც ჩვენს გარდა ყველას ცალ ფეხზე კიდია...

* * *

მამა ხუთშაბათს წავიდა. ჩვენ აქეთ, სამზარეულოში ვისხედით და მანქანის ხმა მხოლოდ ყრუდ შემოგვესმა. დედა და ლიზი ბლინებს აცხობდნენ. უფრო სწორად, დედა აცხობდა და ლიზი ჭამდა. მობილურზე ლუკა იწერებოდა — მგონი რაღაც ხდება, რამე ხომ არ იციო. ტელევიზორში ტომი მორიგ ხაფანგს უგებდა ჯერის...

ალუბლის წვენს მთელი გემო ჩავატანე, ჭიქა მაგიდაზე დავდე და რამე რომ არ მეთქვა, არ შემეძლო...

— ყავისფერი, ჩვეულებრივი ყავისფერი კარგი იქნება.

დედა გაკვირვებული შემოტრიალდა.

— ყავისფერი მაგიდა და კარადა... ტყავის სავარძელი... რას იტყვი?.

მიხვდა რაზეც ვამბობდი და სახე გაუნათდა.

— მართლა ასე გირჩევნია? უბრალოდ — ყავისფერი?

— აბა, შენ რას მირჩევდი რო-ო? მგონი იგივეს...

კიდევ უფრო გაუნათდა სახე. ასე რომ გაშლის ხოლმე წარბებს — დასვენებული სახის გამომეტყველებით, რაღაცით თითქოს ვგავარ კიდეც. ცოტათი...

— შენ რას იტყვი ლიზი, ყავისფერი?

— მე სტაფილოსფერი მინდა. ჩემი ოთახი სულ სტაფილოსფერი იქნება!

— მართლა? დე, გაიგონე? სტაფილოსფერიო!

— ლიზი, რად გინდა სტაფილოსფერი — თვალები აგიჭრელდება. ვარდისფერი არ გინდა?

— არა, სტაფილოსფერი.

— ეგეთი საღებავი არც იშოვება!

— იშოვება!

— ანუ კრემისფერი?

— არა, აი, როგორც სტაფილო!

— კრემი!

— სტაფილო...

— კარგი რა ლიზი...

— რატო არა?

— კარგი რა...

ლიზი ჯერ მოიბუზა, სახეზე ეს თავისი ჯიუტი გამომეტყველება დაილაგა... მერე კი საყვარლად მხრები აიჩეჩა და ახლა რაღაც სერიოზულ არგუმენტს გააძრობსო — ორივემ ყურები ვცქვიტეთ...

— თოვლის ბაბუ არ არსებობს! — წელზე დოინჯი შემოირტყა ლიზიმ და რაღაც უჩვეულო, როგორი მეტყველი თვალებით ამოგვხედა...

— ???

დასასრული

ꝯꝏꝟꝶꝏꝝ



ორი საათი რეზერვუარში

"მე ვჭმუნავ, ეშმავ..."
ა.ს. პუშკინი

I

ვარ ანტიფაშისტი და ანტიფაუსტი;
იჰ ლიბე ცხოვრება უნდ აინ ქაოსი.
დას ისტ სასურველი, მაინ ოფიციერენ
დემ ცაიტ ცუმ ფაუსტ ცოტა შპაციერენ.

II

არ დანებდა პოლონელთა ფანდებს,
მოენატრა თავის ფატერლანდი.
იზიდავდა სიბრძნის დიამანტი,
აეჭვებდა საკუთარი ანდე.
არ უფრთხოდა ქალებს, როგორც ღოლოს
სექსზე ცხარედ მოკამათე, ბოლოს
ფაკულტეტზე თამაშობდა პოლოს.

შეისწავლა ბანქოს კატეხიზმო,
შემდეგ კარტეზიანიზმი იძმო,
ეგო-არტეზიანიზმიც იზმო

ღრმად, და აღარ სურდა ზევით...
სულ არ ჰგავდა იგი კლაუზევიცს:
ვერა ფლობდა ხრიკებს ბრძოლა-ზავთა
რადგან ფატერ მას დურგალი ჰყავდა.

ცუმბაიშპილ თარეშობდა ჭირი
უნდ ქოლერა უნდ ტუბერკულიოზენ,
გაიჩხირა შვარცე პაპიროსენ,
რომ დაეცვა საკუთარი პირი.
იზიდავდა მას ბოშა თუ მავრი
შემდეგ იგი გახდა ბაკალავრი,
მას დიდება არ ახვევდა თავბრუს
და იმღერდა: "კემბრი... დინოზავრუს..."

გერმანელ კაცს ჭკუა ერგო სულ —
თუ კოგიტო, მაშინ ერგო სუმ.
გერმანია მართლაც, უბერ ალლეს
(ვენის ვალსი ატკბობს ყურს და თვალებს),
კრაკოვიდან ჰერი! გზები — მრუდი,
მაგრამ მაინც სულ არ არის ცუდი,
როცა გელის კათედრა და ლუდი.

III

მრუმე ღრუბლებზე გადმომდგარა მთვარე, ვით ვაცი.
უზარმაზარი ფოლიანტი. დაჰყურებს კაცი.
შუბლზე ნაოჭი და თვალები ბეცი თუ ბაცი,
მათში ირევა არაბული ხლართების ქაცვი.
ხელებში უთრთის კორდოვული შავი გრიფელი
შორი კუთხიდან უთვალთვალებს ბნელი პროფილი —
ვინმე არაბად წოდებული მეფ-იბნ-სტოფელი.

თაგვი ხრავს თახჩას და სანთელი მკრთალ ნათელს აფენს.
“ჰერ დოქტორ, კმარა – ძილის დროა!”
“ო იავოლ, შლაფენ...”
შავი ხახები ერთდროულად ღნავიან: “მიაუ...”
უცებ შემოდის უხმაუროდ იდიშე ფრაუ.
მოაქვს შიშხინა ერბოკვერცხი, შესარგოდ ეგოს
ჰერ დოქტორი კი უკირკიტებს კონვერტს და დინჯად
აწერს: “გოტ შტრაფე ინგლანდ, ლონდონ, სერ ფრანსის ბეკონს”.

მოვლენ, მიდიან – სტუმრეულნი, ფიქრნი, ეშმანი...
მოვლენ, მიდიან, მიდუმდიან წელთა ეჟვანნი...
სიტყვები, დარი, სამოსელი თუ კაეშანი
მიდის ყოველი, რადგან დროა გარდაქეშანი.

...

მან არაბულს გაუსინჯა დვრიტა,
სანსკრიტი კი სულ ამაოდ ჭვრიტა.
ძალზე გვიან, მაგრამ მაინც: ჭიტა!
ვუნდერბარად უცებ გაიჩითა
აინე კლაინე ფროილაინ მარგარიტა.

უცებ აფრინა ქაიროში დეპეშა მტკიცე
და ეშმას სულის დათმობაზე თანხმობა მისცა.
მაშინ თვით მეფი ჩამობრძანდა, მან გადაიცვა
სამოსელი და არ უნდოდა ფიცი და მტკიცი,
ის უკვე იყო გარდაქმნილი. ბოლოს გარისკა
და თაიგულით ქალიშვილის ბუდუარისკენ
გასწია ჯიქურ და ქმნა ვენი, ვიდი უნდ ვიცი.

IV

იჰ ლიბე სინათლე, იჰ ლიბე სიზუსტე
აბერ არ გეგონოთ ეს რაღაც სისუსტე.
თქვენ შპრეხენ — გულგრილად ვერ მზერდაო ქალებს?!
დას ისტ ნიჰტ მარტალი კველა, დას ალლეს.
ეს შეთანხმება მახტ დერ გროსსე მინუს.
ნამდვილად შპრახე, მახტ დერ გროსსე სინუს:
ნაინ გეჰაპტ გრდზნობები აჩვენო ვინმეს.

კაცს ალლეს ვერ მოსთხოვ, არ არის ძლიერი:
“შეჩერდი წამოო, ხარ შენ მშვენიერი!” —
ჩვენ შორის ეშმაკი ციბრუტობს ცბიერი
და ჩვენგან ყოველ წამს ამ ფრაზას ელის.
ადამიანი კი, მაინ ლიბე ჰერრენ,
მერყევი ვინმეა, ამას სწორს წერენ,
თუმც ზოგჯერ გმირული ელფერით ჰფერენ,
მაგრამ ვით გოეთეს, იღბალი შველის.

უნდ გროსსე დიხტერმა შეცდომა მოცერა,
ლამის სიუჟეტი *ა განცე* მოცელა,
შერ გუნომ აცბუნა არტისტი ქალობა
თომას მანს ცაუხდა თავის ხელმოცერა.
და მაინც, ხელოვნება ეს არის სინათლე —
კონცერტში ტკუილს სდჟობს სამოთხის გალობა:
დი კუნსტ, მთავარია გრდზნობების სიმართლე.

რა მოხდა, მას ჰქონდა სიკვდილის შიში,
მან კარგად იცოდა ეშმათა ჯიში,
ჩაწვდა იბნ სინას თუ ჰალენის ნაწერს,
სახსრებში იოლად აშრობდა ვასსერს.
შეეძლო გაეგო ასაკი ხეთა და
ვარსკვლავთა სავალ გზებს წინასწარ ხედავდა.
მაგრამ ღმერთისა კი — აინ ვენიგ, სულ ცოტა რამ
ნიხტ — დოქტორ ფაუსტმა არა იცოდა რა.

V

არის მისტიკა, არის რწმენა, და არის ღმერთი —
ეს ყვალეფერი სხვადასხვაა და მაინც ერთი.
ზოგიერთებს სწყენს სულისა და ხორცის ორობა
ურწმუნოება სიბრმავეა, უფრო — ღორობა.

ღმერთი დაგვყურებს, ჩვენ ავცქერით. მაგრამ გვიანი
ჩვენნი სწრაფვანი უმწყობრო და უწყებრივია.
უფალი არის ბუნებრივი. ადამიანი?
ადამიანი ალბათ უფრო უნებრივია.

ამქვეყნად ყველა ადამიანს აქვს თავის ჭერი —
არცთუ იმდენად საიმედო, ამიტომ იგი
როდესაც გულში შეუძვრება მზაკვარი მტერი
ცხოვრებას უკვე ვეღარ ხედავს ეშმაკის იქით.

ასეთი გახლდათ დ-რი ფაუსტი; თავად
მარლოცა და გოეთეც ასეთნივე. თვით თომას მანი —
ინტელიგენტნი, მომღერლები და არცთუ ავად
სახსენებელი მკითხველები სხვანი და სხვანი...

დროის დინება მიიდენის მათ ყველას ერთობ
და სპობს მათ გზა-კვალს, დონნერვეტტერ, ტალღა უცები.
იქნებ მოასწრონ და იკითხონ: ვიდრე ხუალ, ღმერთო?
და გაარჩიონ, რას ეტყვიან შორით მუზები.

პატიოსანი გერმანელი ცურიუკ, ო ფატერ!
არ უცდის როდის მიიყვანენ ბოლო კარამდის,
შარვლის ჯიბიდან ამოიღებს შემართულ ვალტერს
და ვალტერ-კლოზეტს მიაშურებს აწ და მარადის.

VI

ფროილაინ, ვას ისტ დას ინკუბუს?
ინკუბუს დას ისტ აინე კლაინე გლობუს —
ნოხ გროსსერ დიხტერ გიოტე გვაძლევს რებუსს.

ვაიმარში კი ნისლი იდგა მქისე,
და გასაღებიც აგვაცალეს ისე,
ვერაფერიც ვერ გავიგეთ მგონი —
ამაოა ეკერმანის გონი.
არაფერი აღარ შეგვრჩა ხელზე
ვართ მატროზენ, დარჩენილნი ხმელზე.

სული არის ამოცანა რთული;
მისტიკა კი ნიშანია სრული
დამარცხების — წაწყმედილი, კრული...
იჰ ბინ, არ ღირს საკამათოდ უკვე.
ცუმბაიშპილ, ჭერი — სახურავის თავხე,
ლექსით მეტი, კაცით — ნიცშე გავხე.
მახსოვს ნიშში ღვმთისშობელის სახე,
და ლოგინში ფრიუშტუკობა უხვი.

სექტემბერი, ზმორი, მთვარე სრული,
კუდიანის კრუტუნს მიაქვს სული.
ბალიშის ქვეშ ამოვიდე ცული,
წამეშნაპსა ნეტავ... აპბემახტ!
იავოლ, ზეპტემბერ — უჟმურობის ფაქტორს
ერთვის ის, რომ სადღაც უჭირს ტრაქტორს.
მსურს სიცოცხლე. "ფელკიშ ბეობანტერ".
გუტ ნახტ, მაინ ლიბე ჰერრენ, ია — გუტ ნახტ.

1965/1991

ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲝ

ᲮᲣᲐᲕᲨᲘᲔᲚᲘ

“სამართალმა პური ჭამა...”

ანუ

გუბერნატორი კომბლე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა ქვეყანაზე... იყო ერთი კომბლე. ცხვრები ყავდა და დილიდან საღამომდე იმათ მწყემსავდა; მერე, შინ დაბრუნებული, ცხვრებს რომ დააბინავებდა, დაჯდებოდა და კომბლებს თლიდა. ხელი კი კარგი ჰქონდა და კომბლებიც მაგარი გამოსდიოდა, ოღონდ იმის ნახელავს მუშტარი ბევრი არავინ უჩნდებოდა და უკეთესი დროის იმედად, სხვენში აწყობდა ხოლმე.

ერთხელაც, შინ რომ დაბრუნდა, ხედავს — ერთი ცხვარი დაკარგვია. წავიდა საძებრად. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ვიღაც მაზალო ტიპს გადაეყარა — ჭრელი ქვედაკაბა ეცვა, ცალ ყურში წყვილი საყურე გაერჭო, მხარზე ვიდეოკამერა გადაეკიდა... *გიჟია ოხერიო*, — იმის დანახვაზე ერთი კი ბრაზიანად შეუთამაშდა წარბი ჩვენს კომბლეს, მაგრამ იფიქრა — *უცხოელი იქნებაო*, მაინც დაზოგა და იმის პირსინგ-ჩაცმულობაზე კრინტიც აღარ დაუძრავს — გიჟი თავისუფალია ჩვენშიო. მაგრამ თურმე არც მთლად მასე ყოფილა საქმე.

სალამ-ქალამის მერე, აქეთ გადმოხვეწის მიზეზი რომ გაიგო, ძაან გაუკვირდა კომბლეს: თურმე აქაურობას ერთი დათვი შემოჩვეოდა და მთელი დუნიაც იმაზე იტეხდა თავს, როგორ გაეგდო ეს გაუმაძღარი და დაუპატიჟებელი სტუმარი. ამ უცხოელსაც მისი ინტერესი ჰქონია თურმე.

დადარდიანდა კომბლე: ცხოვრებაში თავსატეხი ისედაც არ აკლდა და ნაამბობმა თან ხომ გააოცა, თან დაადარდიანა კიდეც — ეს რა უბედურება ყოფილა ჩვენს თავსო.

— TV-ს მაინც არ უყურებო?! — გაიკვირვა უცხოელმა. — იმხელა ჯილდოა მაგ ჩემისაზე დაწესებული, ხონთქარამდეც კი მივიდა ხმა და შენი ერთი ცხვარი ვის რაში ენაღვლებაო...

— ე-ე, რა ტელევიზორი, ახალუხი ვერ გამიუთოვებია უდენ-უგაზობის გადამკიდესო, — დაიჩივლა კომბლემ.

— მერე, მე აქ რისთვისა ვარ? მოდი, ერთად ვიჩალიჩოთ — გრანტსაც გამოვაყოფინებ მერინოსის ჯიშის ცხვრის მოსაშენებლად — ხო უნდა დაუ-ბრუნდეს ბოლო-ბოლო მთას მთიელი! საჯიშე ვაცებიც ჩემზე იყოს, პირდაპირ შოტლანდიიდან... ისე, რომ იცოდე, გადმოცემით, ჩემი პაპი-პაპის-პაპა ჯვა-როსანი იყო და დიდგორის ველზე იბრძოდა თქვენიანებთან — დიდგორი ხო გაგიგია?

— როგორ არა, იქაც მიძოვებია ცხვარი, სანამ აქეთ გადმოვიდოდიო, — იხტიბარი არ გაიტეხა კომბლემ.

— საერთოც ბევრი გვაქ — ეს მთებიო, გუდასტვირებიო, ბოხოხე-ბიო... ჩაღლევაც გვიყვარსო — თავისას მიერეკებოდა ჯვაროსანთა შთამო-მავალი. — კაცები ჩვენცა ვართ და დათვის ბეწვის ქუდიც გვხურავს — ჩვენი დედოფლის სასახლესთან, აღლუმებზე მაინც არ მოგიკრავს თვალიო?

— ე-ე-ე... აბა რა ვიცი, მოკლული დათვის ტყავში ჯერ არ მინახივხ-ართო და... — გაკენწლა კომბლემ.

— ჩვენზე ამბობ მაგასო?! — ემცხეთა გადამთიელს, — თქვენ რომ აქაურ ლომ-ვეფხვებს დაერიეთ, ვითომც სულ ვეფხისტყაოსნები მყავდეთ, და ქედსიქიდან გადმოსულ დათვს კი სულ ბაბა-ბაბა უძახეთ, რატო აქამდე არ გადაგჭამათ ყველანიო.

— რამე იყოს, არც თქვენ აკლებდით ტკბილ ხმასაო, — ჩაიბურტყუნა კომბლემ.

— დოკუმენტურად დადასტურებული სამხილი გვჭირდებოდაო, — ტრენინგი ჩაუტარა იმანომ, — სანამ ფაქტზე არ დაიჭერ, ქურდიც არ არი — ჩვენში სხვანაირად არ მოსულაო... ახლა აგერ მაქ ყველაფერი ვიდეოზე აღ-ბეჭდილი, შენ ოღონდ მხარში ამომიდექ, ნადირობის ცივილიზებულ ფორმებს ეზიარე და ყველაფერი OK იქნებაო.

დაჰკრეს ხელი და მთებს ორი მხრიდან მოუარეს.

მიდის კომბლე და რას ხედავს — დიდი მურა დათვი წამოგორებულა კორდზე და ღმუის ჩუმ-ჩუმად.

— რა დაგმართნიაო? — ეკითხება.

— ნაღვლის ბუშტი მაწუხებსო, — თავი შეაცოდა დათუნიამ.

— იქნება და კუჭიაო? — ჩაეძია კომბლე, — ცხვრის დუმაში შემწვარმა ხორცმა იცის ხოლმეო. თანაც, მოპარული ცხვრის ხორცი ხომ ორმაგად აწვება კუჭსო...

— არ დაიჯერო, ჩვენი ერთმანეთზე გადამტერება მოსდომებიათ ვიღაც-ვიღაცეებს და ეგაო!

— ვიდეო-სამხილები რო დაგიდონ, მაშინ რაღას იტყვიო?

— ჩემზე ვინ რისი დამდებია, თუ ძმა ხარ — ჭიანჭველასთვის არ დამიდგამს ჯერ ფეხი და თაფლსაც კი არ ვპარავ ფუტკრებს, აქეთ მოაქვთ პატივისცემის ნიშნად!

— რა ვი, აგერ მთის ძირში ერთი ვინმე სტუმარი კაცი შემხვდა, შენზე ისეთები მელაპარაკა, თმები დამიდგა ყალყზეო...

— მაგათ უჯერებ შენო?! — გადაირია დათვი, — ეგენი მეგობრებში ჩორტის ჩამოგდებით არიან ცნობილნი, დაწანწალებენ მთელ მსოფლიოში და რაც ცუდად დევს, სულ თავისი გონიათ; ხორცს სათოფეზე არ ვეკარები, ვეგეტერიანელი ვარ — თაფლი, გიორგობებზე ძმაკაცებში თითო სირჩა თაფლის არაყი და მისი ჯანი! კიდე მაყვალი, კენკრა, რკო, სოკო და რა ვიცი... ტყეში საჭმელს რა გამოლევს, ემაგ ხოლესტერინიანი[1] უბედურებიდან კი ღმერთმა დამიფაროსო.

ისე ჭიკჭიკებდა, ერთი პირობა კომბლეს ეჭვიც კი შეეპარა: მართლა რაღაცას ხო არ მამაძაღლობს ის ვიღაცააო.

— ისე, რამე რო იყოს, — შეაპარა დათვმა ნირწამხდარ კომბლეს, — მაინც ჩემთან მეგობრობა გერჩივნოს გადამთიელებს: მეზობლები ვართ ბოლო-ბოლო; შენ ერთი ურემი კაი კომბალი გამოთალე — აი, ბზისა თუ იქნა, მთლად უკეთესი — ხალხურ რეწვას დიდი გასავალი აქ, ხელით ნაკეთებ რამე-რუმეებზე ჭკუას კარგავენ ეგ უცხოელები და თქვენებური კომბალიც ხომ განთქმულია მსოფლიოშიო; ამასობაში ტურიზმიც აყვავდება და საერთოდ, ამ უაზრო მწყემსობას შეეშვი, არ მოცდე — თალე კომბლები, ფარას კი მე ჩავიბარებ და ნამატით ჩაგაბარებო.

“გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო” — სულმნათი რუსთველისა არა გსმენიათ? ამ ჩვენს კომბლეს კი გველობისა რა ეცხო, ცხვარი იყო ნამდვილი... დაუჯერა, ენდო და... ენდე! კარგი ტურაც დაიჭირა:

[1] ქოლესტერინი – ზედმეტცხიმოვანი საკვებისაგან გამოწვეული ძაან ცუდი რამე.

ერთ დღესაც რომ ააკითხა დათვს, როგორ მიდის ჩვენი პარტნიორობის საქმეო, რას ხედავს — რის კომბლები, რა ფარა — ამ ჩვენს დათვს ყველაფერი დაუნიავებია — აღარც კომბლებია, აღარც ცხვარი და აღარც ცხვრის ტყავი — დაუიღლიავებია და წაუღია ჩრდილოეთში: იქ ფაფახების ბიზნესი აუწყვია და შეთავსებით, თაფლის არყის კონტრაბანდა არ დაუწყია ქედგაღმელ ტურებთან?! გარდა ამისა, ეს — რაჭული ლორიო, ეს თაფლიო, ხე-ტყეო და რა არა — ბოროტი ენები მერე იმასაც ამბობდნენ, თოვლსაც კი ეზიდებოდა ქედგადაღმა — ზამთრის ოლიმპიადისთვის, ნაწილს კიდე დუბაიში ჰყიდდა ეკოლოგიურად სუფთა სასმელ წყლადო... ეს კიდე არაფერი, კბილი რო ატკივდებოდა, გაზის მილებს და ელექტროგადამცემის კაბელებს ღრნიდა თურმე და ზამთარში ასე შეატოვა ყინვას მთელი ეს მხარე!

კომბლე აქეთ ეცა, იქით ეცა, პატრულმა — ჩვენი მანქანები ორხიდიანი კი არაა, მოკვლევის ჩასატარებლად იქ ვერ ავალთო; მეზობლებმა — თოფ-იარაღი ჩამოგვართვეს და ნადირობაც აგვიკრძალეს — ეგ თქვენი საქმე არააო... მოკლედ, შავ დღეში ჩავარდა და ერთხელაც, ისევ იმ უცხოელს არ გადაეყარა?

— გადამრევთ თქვენო! — შეიცხადა უცხოელმა, — ეს ოხერი, არგონავტებმა ერთი კინკილა ტყავი წაიღეს და აქამდე ვერ მოგინელებიათ, ამან კი მთელი ფარა გაატყავა, ხორცი და რქა არ დაგიტოვათ და — ვითომც არაფერი! გამოტყვრებოდა თავისებურად და ძინავს ალბათ სადმე ტკბილადო...

— ეჰ, ისევ მე თუ გიშველი, თორე ცუდადაა თქვენი საქმეო, — ამოიოხრა მერე, — არ გყოლია შენ ჩემს მეტი პატრონი და გულშემატკივარი! მოკლედ, ახლა რას ვშვებით: ტრადიციულ, კომბლით დაჟვეპის მეთოდებზე უარს ვამბობთ — ვერც საერთაშორისო თანამეგობრობა გაგვიგებს და ცხოველთა დაცვის ლიგაც თავისას გაახურებს... თანამედროვე, ჰუმანური ხერხებით უნდა მოვუღოთ მაგას ბოლო!

მოკლედ, ასეთი გეგმა დასახა: დათვს ტაბლა სუფრაზე ვპატიჟობთ — ეგ იმისთანა მსუნაგი ვინმეა, უარის თქმა არ არსებობსო; ერთი ყუთი ნაღდი შოტლანდიურ ვისკი და ამბავი ჩემზეა, ხინკლები და პურ-მარილი კიდე შენ იკისრე — ეგ ჩემისა მართლა ვეგეტერიანელი ხო არ გგონიაო?!

— მერე მაგით რა ხეირიო? — გულუბრყვილოდ იკითხა უაზრო დროსტარებაზე გულაცრუებულმა კომბლემ.

— მერემ იკითხოს მერესი, მაცალე და ნახავო... დათვსაც მოგაშორებთ, ჯილდოსაც ჩაგახუტებ და ერთ კარგ ქეიფსაც გამოვრჩებითო.

დაყაბულდა კომბლე და ვითომც არაფერი — ყოფილ პარტნიორს მობილურზე დაუმესიჯა: სადა ხარ კაცო, სად დამეკარგე, ამ შაბათს პატარა პურ-მარილი მაქ და იცოდე, არ დამაღალატო — ხო იცი, უშენოდ ლუკმა არ გადამივა ყელშიო... იმ მსუნაგმაც — ჩემი რა მიდის, გული კი დათვისა მაქ, მარა მგლის მადაო და სხვის ხარჯზე ქეიფს ნაჩვევი, იოლად წამოეგო ანწუხზე...

კომბლეს ისე გადაეხვია, ვითომ მისი არც ვალი ქონოდა, არც ვახში... მერე უცხოელ სტუმარსაც კაი ძმაკაცივით დაჰკრა მხარზე ტორი, ***დუ იუ სპიკ ინგლიშო?*** – ჩაეკითხა ინტერესით და სუფრის თავშიც გამოიჭიმა. ეგრევე, ჯერ ნახევარი ყუთი ვისკი ჩაისხა ხახაში, ზედ მეგრული აჯიკაც მიაყოლა, ჭუტა თვალები გადმოცვენაზე გაუხდა, იქვე მოლზე წამოკოტრიალდა და მოჰყვა ბღავილს: Широка страна моя родная – Много в ней озер, морей и рек... მერე ჭაღარა მთების დათოვლილ მწვერვალებს მიაშტერდა, თვალზე ცრემლი მოერია და... Ах, ты степь широкая-о — დასცხო...

ოღონდ ეგაა, სევდას მალევე მოერია და საქმეზე გადავიდა: ოხშივრიანს არც გაპიწკინებული ხინკალი მიაკლო, არც ცვრიან მწვადსა თუ ბადე-ქონში გახვეულ გულ-ღვიძლზე გაუდვია თავპატიჟი და ცხელი ყაურმითაც კარგად ჩაითუთქა ყელი... ამდენი ვეღარ მოინელა, გასკდა ბორჯომის სმით, გაებერა მუცელი, ნაწლავების გადახლართვა დაემართა და წაიღო წერილიცა და თქვენი ჭირიც — გავიდა გაღმა!

დათვის ტყავი, როგორც წესია, პრეზიდენტს აახლეს — იმან კიდე გრძელზე-გრძელი, გარნა დინამიური სიტყვა წარმოთქვა დათვის ტყავში გახვეული მგლების თაობაზე, სპეციალური ბატალიონის შექმნაც ბრძანა, რომელიც დათვს კი არა, უვიზოდ ჩიტს აღარ გადმოაფრენდა ამ მხარეში; სასაზღვრო-გასამხედროებული ბანაკ/რეგიონის გუბერნატორად, უზენაესი დეკრეტით, თვით ჩვენი კომბლე დაინიშნა, ხოლო მისი კილტოსანი მეგობარი — ამა რეგიონის ინსტრუქტორ-მეთვალყურედ და უშუალოდ პრეზიდენტს დაქვემდებარებული, საპატიო დათვისბეწვქუდიანი თოფოსნების რაზმის წინამძღოლად განამწესა (ორმაგი მოქალაქეობის მიღების მერე, რასაკვირველია).

კომბლეც ჩვეული პასუხისმგებლობით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას და საქმეც გონივრულად ააწყო: უპირველეს ყოვლისა, თავისთან კომისარიატები გააუქმა და ჯარში გაწვევა მხოლოდ გამოცდების ჩაბარებით ხდებოდა *(კომპიუტერი, დახასიათება უბნის რწმუნებულისაგან, უნარ-ჩვევები).* იმდენად შეუვალი გახლდათ და პრინციპული, არც ვინმე ნათესავ-მეგობრის შვილსა თუ გინდაც ახლობელზე ნაცნობობა/პროტექცია არ ჭრიდა. არ გადიოდა არც ხვეწნა-მუდარა, არც "ზევიდან" რეკვა და არც რამ საბოძვარი...

აშენდა და აყვავდა იქაურობა; ეგაა რომ ხანდახან, ათიათასში ერთხელ, ერთი-ორი გზააბნეული, უცხო თვითმფრინავი თუ შემობოდიალდებოდა ხოლმე კომბლეს მისახედ საჰაერო სივრცეში, იმათი ჩამოგდებული ბომბები კიდე ჯიუტად არ ფეთქდებოდა და ნაჭერ-ნაჭერ, თურქეთში იყიდებოდა ჯართად... მაშ!

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა!

ნაცარქექია ინტერნეტში

თავი I

ამ ჩვენ გმირს სახელად მერაბი ერქვა, გვარად ალვანი გახლდათ და თავისი სახელოვანი წინაპრისა ბევრი არაფერი იცოდა — ცხოვრობდა თავისთვის ბედნიერად და უდარდელად ვერა-ვაკის გასაყარზე, მამის დანატოვარ ძველ, ბუხრიან სახლში, დროს ძირითადად ქეიფში კლავდა და კაი გვარიანი მსმელის სახელიც ქონდა დაგდებული; ნაბახუსევზე კი ხან წიგნების, ხან კიდევ ნაცრის ქექვით იქცევდა თავს.[1] ნაცარქექიაც მაგიტომ შეარქვეს.

არ დამიწყოთ ახლა, ამ პატიოსან, ძირძველ თბილისელს ინტერნეტში რა უნდოდაო?! გვაცალეთ, ბატონო — სულ წვრილად მოგახსენებთ ყველაფერს...

თეთრი მელას[2] რჩევით ბანკში შეტანილმა დანაზოგებმა ჩაილურის წყალი რომ დალია და ქეიფს ვიღა ჩივის, თავის რჩენაც კი გაუჭირდა, აიღო და მთელი შემორჩენილი ავლა-დიდება სანაოსნოს ბიზნესში დააბანდა. ოღონდ ამ საქმისაც ბევრი არაფერი გაეგებოდა და თვითონ ულვაშზე რომ ენდობოდა სხვას, სწორედ იმ სხვებმა, უკაცრაული პასუხია და "გადააგდეს", უნამუსოდ გააცურეს და ბოლოს მთლად მშრალზე დატოვეს: ისე წაუვიდა საქმე, იძულებული გახდა, მამისეული სახლ-კარიც გაეყიდა...

ყველაფერს მოიკლებდა, ოღონდ უბუხროდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, ამიტომ ერთი მოცუცქნული, ოღონდ ბუხრიანი ოთახი იქირავა სადღაც გარეუბანში — ძველებურად მიუჯდებოდა ხოლმე, ქექავდა ნაცარს, კბილებს აკრაჭუნებდა და შიგადაშიგ, თავისთვის ბურტყუნებდა: "იცოდეთ, არავის არაფერი შეეშალოს — *მე-რა-ბ-ალ-ვანი ვარ, მე-რა-ბ-ალვანიო...*"

ვითომ სადარდებელი აკლდა, ერთხელაც მერიიდან გიგის ბიჭები დაადგნენ — ამ ბინის ყოფილ მეპატრონეს ბუხარი უკანონოდ ჰქონია გაჭრილი ჯერ კიდევ იმ საუკუნეში და ახლა სამართალი უნდა აღსდგეს, პირადად მერის საგანგებო ბრძანებულებით, საკვამური უნდა მოგინგრიოთ, ბუხარი — დავლუქოთო. ერთი ისიც ითქვას, ათასი ბოდიში კი უხადეს —

---

[1] თუმცა მავანი (გვარს არ დავასახელებ — განათლების ჩვენი ყოფილი მინისტრი, მაგალითად) ასე ამბობდა — ეგ მაინც ერთი და იგივეაო...

[2] ედო ბაბუს ეძახდნენ ასე — მოფერებით...

ჩვენ პატარა ხალხი ვართ, ვინ რას გვეკითხება, უფროსების ბრძანებას ვასრულებთო... მერე დაამატეს — სულ ხომ არ ვშლით, ჩემო ბატონო, გქონდეთ, ისარგებლეთ, ოღონდ ცეცხლს კი ვეღარ დაანთებთ შიგო.

მერაბ ალვანმა, როგორც ჩვენებური სტუმარ-მაპინძლობის წესია, იქეთ მოუბოდიშა შეწუხებისთვის, თითო ჭიქა ჩაიც შესთავაზა, გაიკვირვა კიდეც — ვერ გამიგია, რას ერჩიან ამ პატიოსან ხალხს, მშვენიერი კარგი ზრდილი ახალგაზრდები არიანო... ოღონდ მერე, რომ გაისტუმრა, რაღაც კი ემცხეთა გულში — ცეცხლი თუ არ დავანთე შიგ, ეს ბუხარი რიღას მაქნისია, ზამთარში არ გამათბობს და ასე საგულდაგულოდ დალუქული, ზაფხულში სავენტილაციოდაც აღარ გამომადგებაო.

ამ გაჭირვებაში ერთი, მასსავით ხელმოკლე და შეჭირვებული მეგობარი მაინც შერჩენოდა ჩვენს ნაცარქექიას, საბავშვო ბაღიდან თანშეზრდილი ქაიხოსრო და იმას შესჩივლა — ასე და ასეა საქმე, ჩვენი ხე-ტყე ხომ გაიზიდა, შეშა სანთლით საძებარი გახდა, ნაცარიც შემომეფანტა და ახლა გაციებული ბუხარიღა შემრჩა, ისიც — დალუქულიო!

ქაიხოსრომ — მე რა მაბადია, რითი გიშველო, ერთი დაფეხვილი, ადამ და ევას დროინდელი, ჯაბახანა კომპიუტერი მაქ, აღარაფრად მარგია, მაინც საბერძნეთს მივდივარ ფორთოხლის საკრეფად და იქნებ შენ მოიხმაროო... შეხვალ ინტერნეტში, იჩეთავებ, ხალხს გაიცნობ, ასე ჩეთაობა-ჩეთაობით იქნება მერე შენც გამოადგე ვინმეს რამეში! ბოლო-ბოლო, ნაცრის კარგად მქექავი კაცი არც ინტერნეტში დაიკარგება, ასე გამიგია მეო...

ეს ამბავი ჭკუაში დაუჯდა ნაცარქექიას, წამოიღო მეგობრის კომპიუტერი, პროცესორი გაუქმებულ ბუხარში შეტენა — ზედმეტ ადგილს მაინც აღარ დაიჭერსო, მონიტორი — ადრე ფეხების შესაწყობად გამოთლილ ჯორკოზე შემოდო, ხელში თაგუნია-მაუსი მოიმარჯვა, შევიდა ინტერნეტში და... გაქრა კაცი — დაიკარგა!.. მას მერე, კარგა ხანი არც აღარავის მოუკრავს იმისთვის თვალი.

თავი II

აფორიაქდა მთელი უბანი — რა იქნა ეს კაცი, სად დაიკარგაო... იმისი საკვამურიდან ბოლის ამოსვლას აღარავინ ელოდა, ოღონდ ბინიდან ჩამიჩუმიც რომ არ ისმოდა, ამან შეაშფოთა სრულიად სამეზობლო.

ამ დროს კი ჩვენი გმირი საიტ-საიტ დაბორიალობდა გზააბნეული და ვინმე ჭკვიან კაცს ეძებდა — ეგება და დამაკვალიანოს როგორმეო. ბევრისა-

გან გაეგონა: ინტერნეტში ერთხელ მოხვედრილი, მერე და მერე ნებისმიერ კითხვაზე თვითონ პოულობ პასუხსო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ხედავს — ხრამია, გაღმა კი ადამიანი-ობობა საკუთარ ქსელში გახლართულა თავიან-ფეხიანად. ნაცარქექია აქეთ ეცა, იქით ეცა, ვერც skip-ი ქნა და ვერც სკუპი, მოკლედ — ჩიხშია.

— Back მიეციო, — გამოსძახა სპაიდერმენმა.

— ჩვენში ეგ არ მოსულაო, — იუკადრისა ნაცარქექიამ, იშვირა ფეხი და რომ ეგონა, Forward მივეციო, Slip გამოუვიდა და შიგ ხრამში არ დურთა თავი? ბედზე, რბილად დაეცა, დამშრალი მდინარის სილიან ფსკერზე. იქვე ბოთლი ეგდო, ნაღდად რაღაც ანტიკვარი — ცვილის ბეჭდით დაბეჭდილი; ახსნა და რას ხედავს, ერთი საწყალი ჯინი არ გაჭედილა ბოთლის ყელში?!. წლობით უძრაობა-უსაქმობისაგან ისე შევსებოდა ფერდები, ვეღარც იქით იყო და ვეღარც აქეთ.

— მანდ როგორ მოხვდიო? — გაიკვირვა ნაცარქექიამ.

— მაშ ჰურიებს[3] ვინ დაიჭერს, კარგო — ბოთლებში ხომ სულ ჯინები ვზივართ... ანუ, ვსხედვართ და ზიანს არავის ვაყენებთ!. ნაღდად ასე ყოფილა ეს და თუ ჩემი ძმა ხარ, მიშველე რამეო, — შეჰღაღადა ჯინმა. მიიხედ-მოიხედა ნაცარქექიამ, მაგრამ Escape-ს ვერსად მიაგნო. ერთი ამ პროგრამის დედაცო — მოზრდილ რიყის ქვას დაავლო ხელი, ბოთლი მიამსხრია და ჯინიც გაათავისუფლა.

— მარად შენს მსახურად მიგულე, უგონებათმახვილესოო — თავი მდაბლად დაუკრა ჯინმა, თან იშმუშნებოდა — ეტყობა, გვარიანად მოხ-ვედროდა ბეჭებში...

— რომელი ხონთქარი მე მნახე, მსახურები დავიხვიო... აწი ბოთლში მაინც ვეღარავინ ჩაგსვამს, თავისუფალი კაცი — ფუი, ეს რა ვთქვი — ჯინი ხარ, ჰოდა ეგერ, იმ გამწერებული ჯეელის გამოხსნაში დამეხმარე, ეგ იქნება შენი მადლობაც და კეთილი სამსახურიცო — მიუგო ნაცარქექიამ.

— აგაშენებს ალაჰი, მაგას როგორ დაგზარდებიო, — თქვა ჯინმა, ნაცარქექია დაიიღლიავა, ციმციმ აიტაცა კლდის წვერზე და სპაიდერმენიც გამოიხსნეს.

მერე სამივე ერთად გაუყვა ვირტუალურ გზას. ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ დაჭაობებულ დაბლობს მიადგნენ. ამ ჭაობში თურმე ცნო-

[3] მაჰმადიანური მრწამსით — სამოთხის ლამაზმანები.

ბადსახიანი ვინმე გობლინი შრეკი სახლობდა. ერთობ მოწყენილსა და მარტოობისაგან თავგაბეზრებულს, მისი ტომ-ჯილაგის არა ქალი არ მიჰყვებოდა ცოლად — ცხვირს იბზუებდნენ, მანდ რა გვაცხოვრებს, ხომ დაგვჭამა კოღომო... და ფარულის ნატვრით სულ ამას ნატრობდა შრეკიც — ერთი ეს ოხერი ჭანჭრობი დაშრებოდესო.

ნაცარქექიამ გულთან ახლოს მიიტანა გობლინის სატკივარი: მახსოვს, ერთი ქალი მეც შემიყვარდა ნამეტნავად, მაგრამ არც მე წამომყვა — ნაქირავებში ვერ ვიცხოვრებო...

— ე-ე, საქმე რო საქმეზე მიდგეს, ჭაობის ამოშრობას რა უნდა, — გმირთა ვარამს ველარ გაუძლო ჯინმა, — შენ ისა თქვი, მერე თუ იხარებს ზედ რამე?

— შანსი არააო, — იმედი გადაუწურა სპაიდერმენმა, — ჩრდილოელი ქონდრისკაცის, ორთავა ბოროტი ჯადოსანის ავი თვალი ადგას აქაურობას! თქვენ რა გგონიათ, მაგის აგენტების დევნას გადავყევი მე — ვიფიქრე, ახლა ჩემი დროა-მეთქი და არ გამაბეს საკუთარი ხელით გაბმულ ქსელში? მოკლედ, ჯერ ეგ ჯადო უნდა აიხსნასო. — დაიჟინა.

— მერე, ეგ როგორ მოხდებაო? — იკითხეს ერთხმად.

— როგორ და, იმ წუწურაქ ჰარი პოტერს რო რაღაც ჭკვიანური ქვა ქონია, *ფილოსოფიური ქვას* ეძახის მგონი, სინამდვილეში *კეთილდღეობის გენერატორია* უბრალო, ადრე *შიოს მარანსაც* იტყოდნენ ძველები და ის თუ უშველის ჩვენ გაჭირვებას! აზრზე არა ვარ, სად იშოვა. მასონების[4] ნაბოძები თუა. ისე, მაგარი რამეა — წყალს ღვინოდ გადააქცევს, ღვინოს — წამლად, გაჩეხილ ტყეებს და გაპარტახებულ მიწას — წალკოტად, გაყალბებულ არჩევნებს გაასწორებს და საერთოდ... მაგრამ რად გინდა, ხელიდან გააგდებინებ?! სულ გადაავიწყდა, ობლობაში როა გაზრდილი, რაღაც *პროგლომასტი*[5] გამხდარა და აუჩემებია — ჯერ საქმე მაჩვენეთ თქვენი გაკეთებული და ქვის თხოვება იქნება, NATO-ში შესვლა თუ ევროგაერთიანებაში გაწევრიანება, ეგ მერეო...

— მაგარი ანგარიშიანი ვინმეა ეგ ჩემისა, მართალი ხარო, — კვერი დაუკრა სპაიდერმენმა.

— ე-ეჰ, პლანეტას ეგენი მართავენ და რა გინდა, რომ ქნაო, — ყურები ჩამოყარა შრეკმა.

---

[4] მაგარი უცნაური ძიები, მშენებელ-კალატოზთა საძმო, ოდითგანვე სოფლის შენებაზე რომ დებენ თავს.

[5] პროტესტანტ-გლობალისტ-მასონი; რას ნიშნავს, ჯერ ბოლომდე ჩვენც არ გვესმის კარგად (რედ. შენ.)

— წავიდეთ, დაველაპარაკოთ, კაცურად ვუთხრათ ერთი-ორი სიტყვა, გაგების ამბავია ბოლო-ბოლო — სიტყვა ჩააგდო ნაცარქექიამ, — "გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი!" — არ გაგიგიათო?

— არაო, — მიუგეს ისევ ერთხმად და ჩაუდგნენ კვალში.

თავი III

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მართლა ზღაპრულ ქვეყანას მიადგნენ: გზებს ხელახლა დაგება არ ჭირდებოდა, ქუჩებს შამპუნით რეცხავდნენ, ცელოფანის პარკს ვერ იპოვიდი სადმე დაგდებულს, მანქანები ფეხით მოსიარულეებს გზას უთმობდნენ და ხალხი კიდე მხოლოდ გადასასვლელებზე გადადიოდა და ისიც — მწვანე შუქზე!

ბ-ნმა ჰ. პოტერმა, იქაურობის გამგებელმა, დიდის პატივით მიიღო სტუმრები — რაზეა ბატონებო ლაპარაკი, ქვეყანა რაც მეტი იქნება წესისა და რიგის მიმდევარი, მოქალაქეები — საღი აზრის ყურადმღები, რაც მეტი ჭაობი ამოშრება, გზები დაიგება, სტუმარ-მასპინძლობა მომრავლდება, ტურიზმი აყვავდება, მაგას რა ჯობსო! ოღონდ ეს მითხარით, თავად თქვენ რისი გამკეთებლები ხართ, რა გივარგათ თქვენს მხარეშიო.

— როგორ თუ რა! — ყინჩად მიუგო ნაცარქექიამ, — ჩვენი ღვინო გამნთქმულია მსოფლიოში და სმა-ჭამაც სანაქებო ვიცით — სხვები თუ პატარას წაკიკნიან და მერე ჭიქა ღვინით იკოკლოზინებენ ყელს, ჩვენში ჯერ სასმისს დავეწაფებით ხოლმე და ლუკმას მერე მივატანთ — ემანდ ფარცაგი[6] რამ არაფერი შეგვემთხვასო...

— დი-ი-დად უცნაური სმა გცოდნიათო, — გაიკვირვა ბ-ნმა პოტერმა.

— თუ გნებავთ, გავეჯიბროთო — აჯახა ნაცარქექიამ, — ნებისმიერი ტევადობის ჭურჭელი მომეცით, რაც კი სასმისად გამოდგება და მერე ჩვენ ვიცით... მერაბ ალვანი ვარ, არავისში შეგეშალოთო!

შენ რა ბალვანიც ხარ, კი გეტყობაო, — გაიფიქრა მისტერ პოტერმა, ეშმაკურად ჩაეღიმა და — ბატონი ბრძანდებიო, — უთხრა სტუმარს. — აი, ჩვენს მუზეუმში მამონტის მარცხენა ეშვის ყანწი ძევს, აქაურ მელექს/მეისტორიეებს რომ ჰკითხო, უხსოვარ დროში ჩვენს ეროვნულ გმირთა-გმირს დაუცლია და ერთი ზღაპრული, ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტოვან უცხო

[6] ცუდი რამ, ავი ზნისა.

ქვეყნიდან ჯილდოდ წამოუღია... თუ მაგ ყანწს ყველა ჯერი-ჯერზე დაცლით, აირჩიე, — გინდა ყანწი, გინდა ქვა-გენერატორი — მთელი 10 წლით, შეღავათიანი იჯარის ამბავში დაგითმობთო.

— მოსულაო, დაყაბულდა ნაცარქექია.

— რას შვები, გადაირიეო?! — აყვირდა შრეკი, — მაგის დამლევი რომელი ვართ, ხო დაგვისკდა კუჭებიო...

— გეუბნებოდით მე თქვენ, უფასო ყველი მარტო სათაგურშიაო, — კვერი დაუკრა ობობამ.

— ნახევარი ცხოვრება ბოთლში მაქ გატარებული, მე კიდე ღვინო და ლოთობა მინდაო?!. — თავი მოისაწყლა ჯინმაც.

— კარგი, ჰო! სირცხვილია... მარტო დავლევ ყველას მაგივრად — ძმა ძმისთვისაო, შავ დღისთვისაო — არც ეს გაგიგიათ?! *ე ფრენდ ინ ნიიდ იზ ა ფრიენდ ინდიიდ!* –სახელდახელოდ მოუთარგმნა კიდეც ნაცარქექიამ.

— ეგ მგონი კიო, — თავები დაუქნიეს მეგობრებმა და დაყაბულდნენ.

'Delete!' — თქვა ნაცარქექიამ ჯადოსნური სიტყვა და ყანწის ტუჩს საკუთარი ტუჩი დააწება. ერთი რომ დაცალა, ჰარიმ თვალები ააფახულა, მეორეზე — სათვალეები დაიორთქლა, გაწმინდა და მერე ისევ დაიკოსა ცხვირზე, მესამეზე — ბაკალავრის ქუდი მოიშვლიპა და გაოგნებულმა ჭმუჭვნა დაუწყო; მეოთხე ყანწიც რომ დაიცალა, ნაცარქექიამ — ჩვენში წყვილზე გაჩერება არ იციან და ერთსაც, თუ გინდა, შენს სახელზე დავლევო!

— ამ ჩემს დიპლომიან მჩხიბავ-ჯადოსნობას რა ვუთხარი, რა ტყუილად მიწვალია ამდენი წელიო! — წამოიძახა მისტერ პოტერმა. — კოფერფილდ-ვადაჭკორიას წყვილ-წყვილად დაუდგეთ თვალი, ასე უცებ ამდენ სითხეს ეგენი გააქრობდნენო?! — აჰა შენ ეს ყანწი, აჰა შენ ეს ქვა და ეს ბაკალავრის ქუდიც ალალი იყოს შენზეო...

შეუდგნენ ჩვენს გმირს აქეთ-იქიდან მხრებში ძმაკაცები და გამოსწიეს შრეკის სამოსახლოსკენ, იქ მისულებს კი ჭაობის ნასახიც აღარ დახვდათ! რაღა ჩარა იყო — მალე იმის ქორწილშიც მოილხინეს — გობლინს ვინმე ბერძენი ქალი ელენეს მოყვანა გადაეწყვიტა ცოლად და ქვეყნის ოთხივ კუთხით მოეწვია კიდეც ვირტუალური სტუმრები — მათ შორის, ცოლის მხრიდან, სწორედ ჩვენი ქაიხოსრო არ აღმოჩნდა მაყარში?! ელინები[7] ოდით-

[7] ანტიკური, ანუ ძველი ხანის საბერძნეთის მოსახლეობა.

განვე აფასებდნენ თურმე ქართველ მსმელებს და მასაც თამადის უებრო მოადგილის სახელი ჰქონია გაგდებული. ერთმანეთს დანატრებულმა, უბედობით უცხო მხარეს გადახვეწილმა თანამემამულეებმა გვარიანი დრო ატარეს — გობლინ-ჯინ-ობობა არ დარჩათ დაუთრობელი! მერე, თვითონაც რომ შექეიფიანდნენ და ერთი-ორი სუფრულიც შემოსძახეს, ისეთი სევდა შემოაწვათ და ისე მოენატრათ ჭაღარა თბილისი, ნეფე-პატარძლის დიდი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად — უთქვენოდ აქ ცხოვრებას რა ფასი ექნებაო — მაინც ხელი-ხელ გადახვეულები, ბანცალ-ბანცალით გამოუყვნენ ინტერნეტიდან შინისკენ მიმავალ გზას:

მეგო-ო-ბრებო!
მეგობრებო გშორდები-ით...
შინ მივდივართ, მივალთ გემშვიდობები-ით!
ინტერ-ნეტო — რა კარგის რა-მა ხარო-ო...
იმე-დია — ხშირად დაგეჩეთები-ი-ი-თ!..

ყანწი, რაღა თქმა უნდა, წამოიღეს — აბა მაგას როგორ შეელეოდნენ და ფილოსოფიური ქვა კი, იგივე *კეთილდღეობის გენერატორი,* ახალდაოჯახებულ შრეკს უფეშქაშეს — "აბა მე რა შავ ქვად მინდა, სალ კლდეებს მაგაში გავცვლი?! ყანწი იყოს და გაგება, დანარჩენს თავისით მოევლებაო..." — ძმაკაცს საჩუქარი არ დაამადლა ნაცარქექიამ.

— ეგრეა, ჯიგარი ხარო! — ბეჭედი დაუსვა მის სიტყვებს ქაიხოსრომ, — არც მე ვარ ბერძენი ფერმერი და არც შენ მყევხარ ბილი გეიტსი — ორივენი ბედკრული იბერიის შვილები ვართ! წამო, იქ დრო შეიცვალა, ახალ ხელისუფლებას ჩვენნაირი, უცხოეთში ნასწავლი ხალხი სჭირდება, გვერდში დავუდგეთო. ბოლო-ბოლო, ეგ კომპუტერი მე გაჩუქე და მევე გაგიყვან აქედანო. — ხია Restart-ს და ისევ იმ ნაქირავებში არ ამოყვეს თავი?!

გაიხარა ნაცარქექიამ, მამონტის ყანწი რომელიღაც კულტურის ფონდს გადასცა უსასყიდლოდ, სამაგიეროდ ახალი, ბუხრიანი ბინით დაასაჩუქრეს და ქაიხოსროც ინფორმაციული მენეჯმენტის უსტაბაშად მიიწვიეს იმავე ფონდში — შესაბამისი ანაზღაურებით, რასაკვირველია...

ოღონდ საქმე ისაა, ინტერნეტიდან გამოსვლისას, ჩვენს ქაიხოსროს თურმე Save-ის მიცემაც არ დავიწყნია და ნაცარქექიას ბინიდან შებინდებისას დღემდე მოისმის ხოლმე უცნაური როხრობი, დილაუთენია კი ვიღაცა მოკლეზე, სახურავ-სახურავ მიხტუნაობს ორიოდ ყუთი ჩაციებული "ყაზბეგის" მოსატანად, არ ცხრება მრავალხმიანი სიმღერა და გამხიარულებული ბუხრიდან ერთად ამოდის კვამლი და ცვრიანი მწვადის სურნელი...

ხო იძახდა კაცი — *არავის არაფერი შეგეშალოთო* — არ გამოდგა მართალი?.

ეზიოს

გასაჯრავი

თარგმანი თუ გრანტიყლაპიობა?

ჩვეულებისამებრ, უარყოფითი სარედაქციო დასკვნა საყოველთაოდ მიღებული ფორმულით იწყება ხოლმე: "სამწუხაროდ..." და ა.შ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ "ღია საზოგადოება — საქართველოს ფონდის" კოორდინატორთან უნდა დამეზუსტებინა, ნამდვილად <u>დასრულებული თარგმანი</u> გადმომცეს, თუ რაღაც გაუგებრობის გამოისობით, პირველადი ხელნაწერი, ანუ ე.წ. *"შავი პირი"* ხომ არ ჩამივარდა ხელთ... პასუხი ასეთი გახლდათ — *როგორ გეკადრებათ, ეგ თარგმანი უკვე რედაქტირებულია, ჰონორარიც გადახდილი და ახლა მხოლოდ დასტამბვის საკითხსღა განვიხილავთო!*

ხელნაწერის (sic!) ზოგიერთი გვერდი იმდენად გაკრული ხელითაა შევსებული, ხანდახან ეჭვი მიპყრობდა, მართლა ასეთი სისულელე ეწერა შიგ, თუ თავად ვერ ვახერხებდი ტექსტის სწორად ამოკითხვას... ამას დაუმატეთ რაღაც-რაღაც ვარიანტები, რომელთა შორის არჩევანის გასაკეთებლად თავი აღარ შეუწუხებია "მთარგმნელს", ვიღაც აშკარად გარეშეს მიერ ჩასმული ურთიერთსაწინააღმდეგო სტილისტური ჩასწორებები, გამოტოვებული ან, უბრალოდ, უთარგმნელად დატოვებული მთელი პასაჟები და სურათი, ვფიქრობ, ნათელი ხდება...

ისიც ითქვას, რაც უფრო თვალშისაცემია ლაფსუსი და რაც უფრო მეტად საცდურია იგი რეცენზენტისათვის საქილიკოდ, მით ადვილია მისი შემჩნევა და გასწორება რედაქტორისთვის, მაგრამ თუ მათ *რაოდენობას* გავითვალისწინებთ, აქ უკვე რედაქტორი კი არა, სხვა მთარგმნელია საჭირო. ამიტომაც მაგალითების რაიმე კლასიფიკაციის მიხედვით მოტანას, ვფიქრობთ, აზრი არა აქვს; უბრალოდ, ნებსითი წესით დავაფიქსირებ მხოლოდ მათ, რომლებიც გადაფურცვლისთანავე მომხვდა თვალში და რომელთა მსგავსიც, დარწმუნებული იყავით, ნებისმიერ გვერდზე შეგიძლიათ აღმოაჩინოთ:

1.საერთოდ გამოტოვებულია თავი Cultural Roots (p.9).

2.ასევე გამოტოვებულია IX თავის სათაური — The Angel of History.

3.საკუთარ "მესიური დროს" თავადაც დაუეჭვებია და იქვე, ეტყობა სამომავლოდ, დედნისეული Messianic time მიუწერია...

5. "*...მთავარი არც თავისებური ბარაბადური (!) არც პაგანი არ იყო, რომლებიც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ინტერესის საგანს წარმოადგენდნენ, და რომელთანაც მას მხოლოდ არქეოლოგიური კავშირი ჰქონდა.* (გვ. 136)

აქ აზრი, სტილი თუ გრამატიკა-მართლწერის მოთხოვნები იქით იყოს და, მთარგმნელს **ბარაბუდური** და **პაგან** (ინგლ. *წარმართი*) ორივე ხუროთმოძღვრების ძეგლი ჰგონია! ამ მოსაზრებას გვიმტკიცებს იქვე, სულ ორიოდ სტრიქონის შემდეგ გაკეთებული დასკვნა: *"საბოლოო ლოგიკური შედეგი ლოგო გახლდათ — პაგანისა თუ ფილიპინებისა".* (დაგენაცვლე! *გ.ჭ.*)

6. *მან შექმნა "უძველესი მონუმენტების ჯგუფი, ამ კლასიფიკაციის შიგნით სეგმენტირებული, გეოგრაფიული-დემოგრაფიული ნიდერლანდური ინდოეთისა* (!) *და ბრიტანული ბურმის* (!) *ოთხკუთხედი.* (ავოე! *გ.ჭ.*) გვ. 135.

დედანში ჩახედვის გარეშე, პირადად ჩემთვის ამ აბდაუბდის გაგება, უბრალოდ, შეუძლებელი აღმოჩნდა:

It created the series "Ancient Monuments", segmented within the classificatory, geographic-demographic box "Netherlands Indies", and "British Burma". (p. 185).

7. აი, რაც შეეხება დებულებას, თითქოს *"კოლონიალური სახელმწიფო არა მხოლოდ ისწრაფვოდა საკუთარი კონტროლის ქვეშ სრულყოფილი ვიზუალურობის ადამიანური პეიზაჟის შექმნას"* — აქ უკვე, ვგონებ, დედანმაც ვერ გვიშველოს... (იქვე).

8. თუმცა, უნდა მოგახსენოთ, ალაგ-ალაგ მთარგმნელის კეთილსინდისიერება პირდაპირ გულისამაჩუყებელია:

"რუმინელი და თჰაი — *(ეგენი ვინაა, არ ვიცი) ერთნაირად იგებენ + ნიშანს".* **{ღმერთმანი, სწორედ ასე წერია! გ.ჭ.}**

არცოდნა არცოდვააო, გამიგია; მაგრამ როცა წიგნში ერთი 30-ჯერ მაინც შეგხვდება სიტყვა Thailand და მიაწერ — *Thai რაია არ ვიციო* — ე.ი რაღაც ვერა ხარ, რომ უნდა იყო, მთლად ისე...

საკუთარი ჭკუა დასარიგებლად არავისთვის მემეტება, მაგრამ ზოგადად, ამგვარი ტექსტის სათარგმნელად ჯერ ალბათ იმით უნდა დაიწყო კაცმა, რომ გაიაზრო, როდის და როგორ მოიხმარო ცნებები *ეროვნება, ეროვნულობა, ეროვნული* და *ნაცია, ნაციონალური, ნაციონალისტური...* თორემ რა გამოდის? რა და ამგვარი რამ:

"თითქმის ყოველ წელს გაერთიანებული ერები (!) ახალ წევრებს (!!) იერტებენ (!!!) და მრავალი "ძველი ერი" კი, რომელიც ერთ დროს ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, ახლა "ქვე"-ერებად არის დაყოფილი თავიანთ ფარგლებს შიგნით, ნაციებად, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს ამ ქვენაციონ-

ალურობის გაუქმებას ლამობენ." (გვ. 2); და იქვე: *"მარქსისტული მოძრაობები და ქვეყნები ესწრაფვიან არა მხოლოდ ფორმით, შინაარსითაც ნაციონალური ხასიათის გახდნენ, ე.ი. ნაციონალისტური".*

მართალია, ეროვნულისა და ნაციონალურის, როგორც ცნებების ხმარება ჩვენში იმდენადაა გზა-კვალ არეული, რომ ოფიციალურად გვაქვს *ეროვნული ცირკი, ეროვნული ზოოპარკი* და ა.შ., მაგრამ ეს ვერაფერი თავისმართლება იქნებოდა...

მოკლედ და მარტივად, იმის თქმა მსურს, რომ ფრაზა — "*რატომ არის ბურჟუაზიის ეს კატეგორია (სეგმენტი) თეორიულად მნიშვნელოვანი, როცა იგი სახელდებული და განსაზღვრულია წარმოდგენილი ურთიერთობების თვალსაზრისით"* (გვ. 3) — გამონაკლისი კი არა, სწორედაც დამახასიათებელია წინამდებარე "თარგმანისათვის".

და ბოლოს, ავყიაობაში თუ არ ჩამომერთმევა, ერთი რიოში მარგალიტიც:

"ჩემის აზრით, პტოლომეის ცდაში "გადაერჩინა ფენომენი" — ორივე — მარქსისტული და ლიბერალური თეორია, — სუსტადაა წარმოდგენილი და სასწრაფოდ მოითხოვს (verbatim! გ.ჭ.) *მომავალში კოპერნიკის თეორიისაკენ რეორიენტირებას". (გვ. 3).*

ღმერთმანი, აღარაფერი მეთქმის.

PS: ოღონდ აქ ერთი მზაკვრული შეკითხვაც – ვთქვათ, ნახევარი წლის მანძილზე (ამაზე სწრაფად 300-გვერდიანი წიგნის დაკვეთა-თარგმნა-მოწონება-რედაქტირება ნაღდად ვერ მოხერხდებოდა!) როგორია ფონდის საგამომცემლო განყოფილების ერთი ოფიცრის, ექსპერტთა საბჭოს თუნდაც ერთი რომელიმე წევრისა და ბორდის ასევე ერთი წევრის ჯამური ხელფასი? როგორ დავიჯერო, რომ მათ თუნდაც ერთხელ მაინც გაეხსნათ ჭუჭყიან-ზუზღიანი *ხელნაწერით* (რაიც ფონდის წესდებითაა აკრძალული!) სავსე ეს საქაღალდე და მერე სუფთა სინდისით მიეცათ "მთარგმნელისთვის" მისი კუთვნილი ჰონორარი? და ახლა კიდევ გამომცემლობა "ცის ნამს" * დასასტამბი ფული სურთ გადაუხადონ?!

თუმცა, როგორც იტყვიან — *მათი რა მიდის რო?..*

PPS: არანაკლებ ნიშანდობლივი გახლდათ “ფონდში” მოკალათებული ჩემი ნაცნობ/მეგობრების რეაქცია წინამდებარე დასკვნაზე: *იცი, გია — ბევრი ვიცინეთო...* და რა მერე? წიგნი გამოიცა და რა ხანია, შუშისკარიან კარადაშია თავმომწონედ გამოდებული, ფონდის მაშინდელმა უსტბაშმა, უფ. დარჩიაშვილმა კი ძაან-ძაან შორს დაიჭირა ჩემგან მისი გადაფურცვლის თხოვნა — ეგ ერთადერთი ეგზემპლარი შეგვრჩა, კარადის გასაღები კი დაგ-ვეკარგაო...

PPPS: ისე, ვთქვათ და ჭკუა ეყოთ, ანუ — ხელახლა ათარგმნინეს მავანს: შესაბამისად, ახალი ჰონორარის თანხა და ხელფასების კიდევ ნახევარი წელი ხომ უნდა დავუმატოთ საანგარიშოდ?.

გაიხარე... და გიშლის მერე ვინმე?!

ᲑᲐᲮᲝᲜᲘᲡᲐᲝ

ᲭᲙᲐᲓᲣᲐ . . .

Valeri Chkadua:

HOW NOT TO BE AN ALIEN
(Jelter-Skelter Mythstories of Georgia)

II

Strangers in the Daylight

What thou givest away is thine;
What thou keepest is lost.
Shota Rustaveli[1]

I don't stick out in Thailand.
Siamese Cat[2]

In the beginning of the 12th century, king David the Constructor[3] - called "Constrictor" by his enemies – the great warrior and politician, and notably famous for his religious tolerance, united the country, fought numerous battles against the invaders and brought crucial victories to Georgia.

As was the practice of those times, king David had mercenaries from the North employed in his army. The locals called those foreigners Kivchaks.[4] In order to prevent friction between Kivchaks and local population, David gave orders to show hospitality to those outlanders and provide them with most needed things. Here is a story told by a Georgian layman – it is about the times of the abovementioned king David who ruled the country with iron hand, Kivchaks who felt themselves more at ease in Georgia than in their steppes and cultural incompatibility in general.

---

[1] Shota Rustaveli, 12th century poet, an outstanding representative of Georgian Renascence, author of an epic poem *The Knight in Panther's Skin*. The book was so popular and highly valued, Georgians used to give it to their daughters as a dowry.
[2] Cats don't talk (Ed.).
[3] King David the Constructor, alias David the Builder, also known as "The Sword of Messiah". Georgia became just about an empire during his reign. In 1121 his 56.000 warriors defeated 300.000-strong allied Muslim army, headed by the Caliph of Baghdad, thus preventing the advance on the Crusaders' headquarters in Syria-Palestine (Ed.).
[4] Kivchaks were nomads roaming North Caucasian plains (Russian name is Polovets/ Kipchak). King David brought 40.000 Kivchak families and settled them in Georgia on condition that each family would provide one warrior for the king's army. They served king David well, but a century later, circa 1230 they turned coat and joined Jahl-Al-Eddin's Arabian-Iranian troops. Their further fate is unclear: either they became assimilated with Georgians or they left the country together with Jahl-Al- Eddin's retreating army, taking along their families (Ed.).

We left town gates an hour ago – my baby doll and me. We got married in autumn and come summer, when roads dried up, she started nagging that she was home-sick and she missed her parents who lived in the nearby village. How could I refuse my angel? So we set off early in the morning and there we were trotting along the waterfront. I felt the dizzy smell of field flowers and bushes in blossom all the way. Slight breeze was lolling treetops lazily and rippling the surface of the river. Every friggin thing around was so quiet you could hear a butterfly fart.

I halted my horse to give him a chance to nibble at grass when my lovely – she was riding at my back – started giggling and said: '*Look at that funny man squatting at the river. He's lapping water like a dog!'*

One glance at his clothes and weapons told me he was a Kivchak serving in king David's army. Now, those Kivchaks were good warriors but they looked real funny. I was fresh out of army myself and I'd fought alongside them a few times but I still didn't dig their alien ways, their strange lingo, and their queer faith, which to my mind, was no religion at all. And they often behaved like animals but I kind of respected them for their fighting skills though. Besides, king David's orders were like, don't you dare to harass them, make them feel cozy here, and what not. By the way, the king was married to a Kivchak lady,[5] so it said it all. Well, who was I to go against king's orders, anyway?

On twigging us the Kivchak rose to his feet – he was a stocky man, built like a brick shit-house – and came up to us. His horse followed him sluggishly. He looked at me with his eyes like two piss-holes in the snow, then stole a glance at my sweetheart and said:

'Pshrat qlug mleshka clat'.[6]

'I don't get you, man. Can you speak Georgian?' – I told him.

'I do", he said, 'Hello, I'm Kivchak'.

As if I wouldn't know! You couldn't mistake a Kivchak for any other foreigner – they stuck out like sore thumbs in this part of the world.

'Hello, Kivchak!' I said, 'How are you doin'?'

'Now that you remind me, not as well as I'd like to. I'm hungry as a steppes wolf.' – He glanced at my bulging saddlebag and licked his thick lips.

[5] It's a historic truth (Ed.).
[6] Linguists still argue what language Kivchaks spoke (Ed.).

‘Be my guest’, I said and dismounted. When I was helping my wife get down, her dress rode up and her legs – my lovely, she had legs like two exclamation marks – flashed whitely. The Kivchak gaped at her as if it was the first time he saw a live woman. Then he turned to his horse, pulled down a piece of rug he used for his saddle and spread it over the grass.

I unpacked my saddlebag and laid out our trip-ration. Three of us my lovely wife, the Kivchak – and –me sat around the makeshift table and had light lunch. I mean, my baby doll and me had light lunch and the Kivchak had a heavy dinner – he gobbled up every frigging thing from smoked beef, goat cheese, hard-boiled eggs and white bread to red wine.

He managed to exchange a few words with me at that. He said he’d fought in a couple of battles king David carried against Turks. I told him I had the luck to be part of those campaigns too.

‘I knew you were a warrior at the first sight’, he grunted and looked at me in approval.

‘How come?’

‘Easy. The way you move and speak’, he smiled to himself. I was puzzled a bit; I had no idea I behaved in any special way, different from others.

Looked like he had drunk too much of wine. That red one of mine was the pride of my family, we’d been making it for centuries and it had a bite like a Damascus dagger – half a dozen cups were enough to fell a bull. The Kivchak burped with satisfaction, turned his face that looked like the rear end of my horse and gave an eye to my lovely wife.

Now, my baby, apple of my eye, she was a real head-turner – she had two of everything – so I dug his hankering after her. ‘Look, soldier’, he said, staring at my sweetheart, ‘be a real man – give me your woman, will you?’

I was dumbfounded. I lost my speech though I shit-listed that cock-eyed bastard at once. ‘What do you mean, be a real man? Do real men in your tribe give their wives away like domestic animals?’ I glared at him and felt blood rush to my head.

‘Sure they do’, he said and showed his yellow teeth: ‘I’ll give you my horse in exchange. Trust me, it’s a good deal, soldier’. He looked at me like he was sure he’d made an offer I couldn’t refuse. Then he caught my baby by her plait and started smooching her with his dirty turnip-trap. My lovely tried to push him away but she was too weak to get rid of his bear hug. She looked at me as if saying ‘What kind of a man are you, letting the stinking barbarian do this to your wife?!’

‘Let her go, you gutter-minded son of a bitch!’ I roared and reached for my sword. As if he’d been waiting for my move, the Kivchak jumped back and turned to me quickly. When he faced me, he was brandishing his crooked scimitar.

My sword was half out of its sheath when his weapon flashed like lightning and cut my shoulder. I got real mad. Now, this Kivchak could have been a good warrior but he didn’t know half of the tricks I’d learned during my seven years in the king David’s army. I feinted as if I intended to attack him from the right and when he shifted his weapon to ward my blow, I drove the blade deep in his throat.[7] ‘That‘ll teach you to fart in chapel’, I said, withdrew my sword and stepped back.

The Kivchak fell to his knees, dropped his scimitar, and started coughing blood. He was half-dead already. ‘All right, soldier’, he said in a hoarse voice. ‘You win. Now you can cut off my ears’.

I remembered Kivchaks had the custom of cutting off the ears of a defeated enemy but Georgians didn’t see any sense in this kind of medical operation on dead people. ‘Keep your frigging ears to yourself’, I told him and sheathed my sword. The Kivchak fell backward. Then a shadow of a smile touched the corner of his lips.

‘You are a good man, soldier’, he said, ‘Take my horse and my money’. He fumbled inside his jacket and held out a thick purse: ‘These are your rightful trophies’. I didn’t move. He dropped the purse on the ground, looked at me eye to eye for a second or two and then said: “Think of it as a dying man’s request’. He shifted his gaze to my baby doll that had blacked out during our short combat and was now sprawled on the grass. I turned and started towards her to get sure she was all right, when his hoarse whisper stopped me. I came up closer to him to make out what he was trying to say.

‘I did it on purpose’, he mumbled and looked down at his bloodstained chest. ‘I’ve always wanted to know what made you Georgians tick. Now I know’, he said and closed his eyes.

‘What happened?’ My sweetheart’s voice startled me badly. She’d recovered her senses and was standing at my side swaying like a drunk. ‘Curiosity killed the Kivchak’, I told her and petted her pale cheek.

---

[7] Actually, this is where the most popular Georgian folk poem “Encounter with a Kivchak” ends. However, Vano claims that he, being the direct descendant of that very guy who encountered the Kivchak, knows better. He insists the authentic story has been passed from generation to generation in his family and that the ending was tossed away by some romantic and stupid bards (Ed.).

Well, that's nearly all of it, except all my life went ass over tits after that cursed day. The same night we came to her native village, my wife, my beloved, that double-crossing, triple-clutching bitching whore ran away with her former lover-boy taking the Kivchak's purse with her. Then I realized why she had been so double-damned homesick. Too late, I guess.

As for me, I had to take to the woods because king's men started hunting after me for killing a Kivchak. I joined a gang of outlaws and soon became their leader. We used to hold up well-off noblemen and traveling merchants and people made up heroic legends about us. Folk singers used to chant how worthy we were, robbing only the rich, never the poor. It looked strange to me – who else could we rob, anyway? What a darn thing can you take from a poor man?! But that's another story and has nothing to do with this one.

But I still have to say this: when I had quiet moments between stick ups and get-aways, I would often ask myself, what the hell did that arsy-versy Kivchak mean when he said he knew what made me tick?[8]

Actually, this story has two morals.

One: Some people are strange; others are stranger (s).
Two: Think twice before you do away with your enemy – he could be doing you a favor. [9]

[8] I'd like to have an answer on that question too (Ed.).
[9] How true, how true! (Ed).